




K 195 791
3

გერმანია მეცნიერებები



თემატიკა

საქართველოს სსრ მთხოვნებათა აკადემია
რუსთავის სახელმწიფო კართული ლიტერატურის
ისტორიის ცენტრული



მუსიკა ტელეკულტურის

თელეკულტურის
5 ფორუმი



ნორეკა ორიენტაციის მუზეუმი

ფომი
V



დანეკვენამ,
დანილამ,
მოზოვენამ,
სოფუვენამ



8Г + 8СГ09 + 8СГ091:8С + 8СГ091:8СР + 8СГ-99

84 ГР 7

8 856

1) *fbangtso* *raugtshugyu* 2) *kyi-tsho* *shingtsa*
raugtshugyu *shingtsa* 3) *fbangtso*
tsa *shingtsa* *raugtshugyu* *shingtsa*


სარელიფონ კოდეგი:

ალექსანდრე ბარაშიძე
 სოლომონ ჯაგაცივილი
 გიორგი ციცილავილი
 აკაკი ხილიაშვილი
 სოლომონ ხატიაშვილი
 ვახტანგ ჭავჭავაძე
 გიორგი ჭიბულიძე


ტომი გამოსაცემად მოამზადეს
 და შენიშვნები დაურჩას:
 ცისანა ზისუბნი
 გიგი გიგი

ტომის რელაქტორი
 გიორგი ციცილავილი

80ორი გამოცემა



70202-330 — ბრ. № 1018—85
 M601(08)85



✓ 105-401
3



პრილოვი და აკაპი ზორეთმოლი

მერგავე ივანე ანდრიას ძე ქრილოვი (1768—1844) თავისი სახელის გაფენიბით არ ჩამოუვარდებოდა თავისავე თანამედროვე დიდ რუს მწერლებს — პუშკინს და გოგოლს.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში — მიუხედავად იგავ-არაების ტრადიციისა და საბას „სიბრძნე სიცრუის“ პოპულარობისა — პუშკინ-თან ერთად უხვად ითარგმნებოდა ქრილოვის არაებიც.*

ქრილოვის თარგმნის ქართულ ენაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოში ქრილოვის არაების თარგმნა დაიწყო 1832 წლიდან. თვით ქრილოვის სიცოცხლის დროს.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ როცა ქრილოვი თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ფრანგ მერგავე ლაფონტენით იყო გატაცებული, ჩვენს პოეტს ილექსანდრე ჭავჭავაძესაც უთარგმნია ფრანგულადან იმავე ლაფონტენის სამი შესანიშნავი იგავი: „ვრიშტინასათვის“, „მელისა და კრაიისათვის“ და „თხისა და მელისათვის“.

ივანე კერესელიძემ თავის „ცისკარში“ ეს ლექსები ქრილოვს მიაკუთვნა, რაც აშკარა შეცდომა იყო! ეს ლაფუსუსი გამოსწორებულია ჩვენს წიგნში (ი. ალ. ჭავჭავაძე, 1940 წ., გვ. 156, 157, 159 და 332).**

* აქ არ ცენტრო „მელის წიგნის“ და ეზოოსნის იგავ-არაების ქართულ თარგმანებს.

** ა. ჭავჭავაძის შემდეგ ლაფონტენი არის უთარგმნია, მხოლოდ ერთმა მიართა მას—ეინტერესული ჩიხელიძემ და ორ პატარა წიგნიადაც გამოსცა ლაფონტენის თარგმანები შეთანაბრივ, 1911 წელს... ე. ჩიხელიძე გატაცებული იყო უცხო-

ქრისტოვის იგავ-არაკები ქართულად ბევრმა მწერალმა თარგმნა, ეს თარგმანები სხვადასხვა ღირსებისაა; ასეთი თანრიგობით ითარგმნა: გრიგოლ ორბელიანმა (1832), მიხ. თუმანიშვილმა (1833), ლუკა ისარ-ლომა (1852), დ. მგალობლიშვილმა (1857), ივანე კერესელიძემ (1858), გორგი თრბელიანმა (1863), აკაკი წერეთელმა (1862),* ალ. აკოფა-შვილმა (1869), ანტონ ფურცელიძემ (1873), მიხ. ბებუთაშვილმა (1876), რაფ. ერისთავმა (1876), პ. ცახელმა (თვალჭრელიძემ), ფ. რუ-ზაველმა (მგელაძემ), ზ. ხითარიშვილმა, დავით გივიშვილმა და იონა თლულელმა (ბელიაშვილმა).

რაფ. ერისთავმა ქრისტოვიდან 50-მდე არაუ დაგვიტოვა. ამ არაკე-ბის პირველ გამოცემას (1878 წ.) ასეთი ვრცელი სათაური აქვს: „იგავ-არაუნი ქრისტოვისა გადმოთარგმნილნი და გადაეთებულნი რუსული-დან ქართულად და გალექსილნი, თავ. რაფიელ ერისთავისაგან“.

წიგნი ისსწება რაფიელ ერისთავის მშენებირი წინასიტყვაობით. ჩვენ ამ პატარა წერილს მთლიანად მოვიყვანთ, როგორც ჩვენი ძველი მოლ-გაწერებისათვის დამახასიათებელ აზრს რუსული ლიტერატურის ქარ-თულად გადმონერების შესახებ.

რაფიელ ერისთავი წერს: „მნიშვნელობა იგავ-არაუისა არის დევნ-ბოროტ-მოქმედებისა და გასწორება აღამიანის მრუდის და უსაქცე-

ეთის მეოგაეთა შემოქმედებით: მან ჯერ კიდევ 1892 წ. „გეგილში“ გამოქვეყნა არა ურიგო თარგმანი ლელრას შემდეგი არაუისა:

ეზობესმა სოქვა: ყოველ ჭაცს
თითო ხურჭინი ჰქილია,
ახლა ის კი არ გეგონოთ,
შიგ აქვს რამ გასაყიდია.
წინა თვალში ჰყრის ყველაფერს,
რასაც სხვა დააშავებსო.
უკანაში კი მას აწყობს,
რასაც თითონ იქმს ივებსო.
ამიტომ თვისი სიგლახე
კაცს უჭირს სანახავათა,
სხვისი თვალწინ აქვს ყოველთვის
საყიდავ-საძრახავათა.

(„გეგილი“, 1892 წ., № 2).

* აკაკი ქრისტოვის ერთი ლექსის „მგზაურები და ძალლები“ (პირველი რედაქცია) პირველად გამოაქვეყნა „ცისკორში“, 1862 წ. აკაკისტოს ნომერში. ჩვენი პოეტი დო-დი ინტერვალის შემდეგ კალავ დაუბრუნდა ქრისტოვს (1889 წ.). უკანასკნელი კრე-ბელი წ. კ. გამ. საზ.-ებამ გამოსცა 1906 წელს (აკაკის სიცოცხლეში).

ლო ზნეობისა. ქართულს ლიტერატურის აკლია ამგვარი იგავ-არაქი, მეონდა რა სახეში განსცენებულის ი. კრილოვისაგან შექრებილნი სა-უკეთესო იგავ-არაქები: ეზოპისა, ლაფონტენისა და სხვა ფილოსო-ფოსთა და ჩინებულად გალექსილნი მისგან რუსულს ენაზედ; აღრეთ-ვე მრავალნი, ესე გვარი, მისგანვე შეთხულნი, — ვისარგებლე ამით და გამოვკრიბე მათგან ორმოცი ისეთი იგავ-არაქი, რომლებიც უფრო დაუახლოვდნენ ჩვენის ხალხის ნაკლულოვანების სურათებს და უფრო გამოიხატებოდნენ ქართულის ენაზედ მჭევრათ და მდაბიოთ. ზოგი მა-თგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე, და უველა კი გაელექსე მოსწავლეთა ყრმათათვის, იმ განზრახვით, რომ მათ სიყმაწვილით-განვე შეისწავლონ და გაივარჯიშონ ადვილად მიმოხვრა ქართული ენი-სა, დაინახონ მნიშვნელობა იგავ-არაქებისა და დაინერგონ კულტი, თუ ვითარ სასაცილოა ადამიანში საეკუხავი ნაკლულოვანება და მრუდი და უსაქციელო ზნეობა, ან ვითარ საზიზღარია ბოროტული მოქმედება ბოროტისავე და უხსიათო კაცისა”.

ამ წიგნისათვის რაფ. ერისთავმა აირჩია ისეთი იგავ-არაქები, რომ-ლებიც ქართველ ყმაწვილს აღზრდიდა წესიერად და ზნეობრივად აამ-აღლებდა. ეს დიდაქტიკური მიზნები რ. ერისთავმა მშეენივრად შეას-რულა...

საქართველოში კრილოვის სახელი პირველად გაგვაცნო ჩვენმა დიდმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა. მას სამი ლექსი აქვს ნათარგმნი: „ვირი და ბულბული“, „სოფლელნი და მდინარე“ და „ნადირთა ჭი-რი“.

ეს არაქები გრიგოლ ორბელიანს უთარგმნია ახალგაზრდობის ხა-ნაში, 1832—1833 წლებში, როდესაც ჩვენი პოეტი რუსეთში იმყოფე-ბოდა (ქ. ნოვგოროდში).

გრ. ორბელიანს მოჰყვება ლუკა ისარლოვი. მის მიერ ნათარგმნი სამი არაკი დაბეჭდილა გ. ერისთავის „ცისკარში“ (1852 წ., № 5) და ერთიც განახლებულ „ცისკარში“ (1857 წ., № 10). ლუკა ისარლოვს კრილოვიდან ნათარგმნი აქვს სულ 33 ლექსი (იხ. მისი წიგნი, 1895 წ., გვ. 69—94). ლუკას თარგმანები ძალიან მდარე ხარისხისაა.

1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მიხ. ბებუთაშვილის მიერ ნა-თარგმნი კრილოვის 52 არაკი. მიხ. ბებუთაშვილი თავის თარგმანებს მოწიწებით უძღვნის დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც, ალბათ, ამ წიგნის

რედაქტირი ეკუთვნის. მიუხედავად ყიფიანის აეტორიტეტის, არც ეს
თარგმანია მაღალი ლიტერატურისა.*

მძიმე და გაუჩორქნავი ლექსითაა შესრულებული ა. ფურცელაძის,
დ. მგალობლიშვილის, ალ. აკოფაშვილის და ი. კერესელიძის თარგ-
მანებიც.

კრილოვის მთარგმნელთა შორის სრულიად განსხვავებული ადგი-
ლი უჭირავს სამ პოეტს: აკაკის, რ. ერისთავს და ცახელს.

ცახელის (პატმენ თვალჭრელიძის) თარგმანები, მხოლოდ სახელმძღ-
ვანელობში თუ შეხვდება კაცი („ბუნების კარი“, „ნერგი“, „გუთა-
ნი“ და სხვ.), ნიმუშად მოვიყვანთ ამ საინტერესო პოეტის მიერ შვე-
ნიერად ნათარგმნ კრილოვის ერთ არაქ, რომელიც, ჩვენი აზრით, არ
ჩამოაუკარდება აკაკის მსუბუქწრთიან ლექსთწყობას:

გვილი და გლიხი

გველი შეცოცდა გლეხთანა,
უთხრა: „ნუ მიცემა მტრულადო,
ამ ჩემი მიში ნუღარ გაქვს,
ეციცხოვოთ მეგობრულადო,
შენც თვითონ მხედავ, აღარ კარ
იგი, რაც წინად ვიყავი,
ამ გაზაფხულზე მე ძვილი
გამოვიყეალე მთლად ტყავი!“
გლეხმა მიუგო: „ვერ მაცდენ,
ვხედავ, ხარ იგი გველიო,
ტყავი თუმც გამოგიყელია,
ჩემი გაძვს ისევ ძევლიო!“
უთხრა და გამეტებულად
ყუით დარტყა მის ცელი
და მატყუარა ცბიერსა
დაალევინა წამს სული.

აკაკის თარგმანები მაღალი პოეტური ლიტერატურით არის აღმდევდი-
ლი. ლექსთწყობის მრავალსახეობა აკაკის თარგმანებში თუმცადა გა-
მარტივებულია ორიგინალთან შედარებით, მაგრამ აზრის უბრალოდ
გაშლასა და მკეთრად გაღმოცემაში აკაკის ბადალი არა ჰყავს. აქ გა-
მოკრთის აკაკის პირადი ხასიათის სტიქია და მისი შემოქმედების თა-
ნამგზავრი — ნაზი ჰუმორი.

* მიხევილ არსენის ძე ბებუთაშვილი (1818—1882) ნიკოლოზ ბარათაშვილის
სკოლის მმანვაჭი იყო.

რა განსხვავებაა რაფიელ ერისთავის და აკაკის თარგმანებს შორის? რაფ. ერისთავის თარგმანები ფორმის მხრივ დედანს უფრო უახლოვ-დება. აქ ზუსტად არის დაცული კრილოვის ლექსთწყობის კანონი: იგივე სტრიქონების არათანაზომიერი გაშლა, რითმის ზუსტად დაცვა (ჯვარედინი თუ მოღვედილი), ერთი სიტყვით, ლექსის დედანთან მიახლოების მხრივ რაფიელ ერისთავის თარგმანებს აკაკის თარგმანებ-თან შედარებით უპირატესობა ეძლევა. მაგ., რაფიელს წუნდაუდებ-ლად აქვს ნათარგმნი კრილოვის შემდეგი არაკები: „ყვავი და მელა“, „მამუნი და სარკე“ და განსაკუთრებით — „კატა და ბულბული“. ვის არ უსწავლია ეს უკანასკნელი ლექსი? ვის არ წაუკითხავს ზეპირად მასწავლებლის წინაშე? ჩვენი ყრმობის მოსაგონებლად ნებას ვაძლევ ჩემს თავს კრილოვის ეს ლექსი, რაფ. ერისთავის მიერ ნათარგმნი, მთლიანად მოეციცანო:

კატა და ბულბული

კატა ბულბულს მიეკარა, ისეუპა და დაიჭირა...
მას დაუწყო ალერსობა (თან კლასტები გაუჭირა):

„სუ, ჩიტუნავ,

ნუ გეშინიან,

მე არას ვერჩი თავის დღეშია,
არა გიშავს-არა შენ ჩემს ხელშია,
არა მსურს შენი ტანჯვა და ცემა,
არც შეგქამ, ჩემი კრუტების მზემა...
ოლონდ იმლერე, გიქებენ სტეენა,
პირეელს მგალობელს გილრიან ენას,
მე მიქო მელამ შენი გალობა,
მეც გამაგონე, მიჟავ წყალობა,
შენი გულია,
შენი სულია!..

შენ ხმა თურმე გაქვს ისეთი ტებილი,
რომ კაცს მოუვა ერეოლა და ძილი...
მოჰყე, გენაცია! რაღასა ნაშიობ?

რაღას წრიპინებ და არ მაღხაზობ?

მაგრამ ბულბული თრთოდა, კუთავდა,

კატის კლანებში ძლიერ-ლა სუნთქვადა!..

„აღარ გაანძრევ მაშ მაგ ენასა?

— განიმეორა ხელახლა ციცამ,

ბრიყევი ყოფილხარ, გამჩინისა ვფიცამ!..

მაგით ატყუებ შენ ქვეყანასა?..

მარტო წრიპინი, მარტო ჩინვილი!

ხომ კრუტებისაც მძაგს მე ქნავილი!
დავრჩი მელასგან მოცერუებული—
და ამან უფრო მომიყელა გრძი
ეხედავ, სტეფანი არ ხარ ვარჯიში,
შენ გალობისა არ მოგდგამს ჭიში!..

რახან არ ცირ მღერა საჩემო,
ენახოთ როგორი გაქს მაინც გემო!“
სოქვა და გამოხრა ჩვენი ბულბული,
ნიშნალ-ლა დარჩა მარტო ბუმბული!..

მაგრამ საერთოდ რაფ. ერისთავის თარგმანები უფრო მწიგნობ-
რულია, ხშირად გაქიანურებულიც (მაგ. „გედი, კიბო და თევზი“) და
ამიტომ ზოგიერთი მისი ლექსი ხალხში კერ გადავიდა...

აკაკის თარგმანები კი, თუმცა ფორმით არ არის კრილოვისებური,
თუგინდ ერისთავისებური, მაგრამ სამაგიეროდ გამთბარია შინაგანი
ცაცხლით და სავსეა აკაკის იროვნის ნაპერწკლიანობით. აქ თავმოყ-
რილია ქართული ხალხური მეტყველების უამრავი ნიმუში... და ხალ-
ხმაც ორივე ხელით მიიღო აკაკის კრილოვი.

დამახასიათებელია აკაკის და რაფიელის ლიტერატურული ურთი-
ერთობა კრილოვის ლექსების თარგმნის საქმეში: აკაკი, როგორც
ჩანს, რაფიელის თარგმანებისადმი არ იყო უარყოფითად განწყობილი;
ეს ნათლად გამოკრთის ამ ორი პოეტის თარგმანთა ნუსხიდან: აკაკი
წერეთელს რაფიელის რომელი თარგმანიც მოსწონებია, იმ ლექსის-
თვის ხელი არ უხლია, მეორედ აღარ უთარგმნია, თუმცა ამას ბოლომ-
დე კერ იცავს.

აკაკი კრილოვის თარგმანებზე ბევრს მუშაობდა. პოეტის სამურე-
ხო ქაღალდებში ამ თარგმნების რამდენიმე ვარიანტია შემონახული.
აკაკი ამ თარგმნებს დიდხანს ასწორებდა, მაგრამ წაყითხვის დროს ეს
როდი მოჩანს! სწორედ ამაშია აკაკის თარგმანების ღირსება. აკაკის
ზოგიერთ თარგმანს რომ აკეირდება კაცი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნე-
ბა, თოთქოს პოეტს „ერთი ამოსუნთქვით“ შეუქმნია თავისი შედევ-
რები. და პოეზიის სიიდუმლოებაც სწორედ ამაში მდგომარეობს: ის
ლექსი გადადის ხალხში და ის ლექსი იყითხება, ასე ვთქვათ, „წყალი-
ვით“, რომელიც დიდხანს არის პოეტის შინასკნელში ღამენათვი, მე-
რე ერთბაშად გადმოღვრილი ქაღალდზე და დიდხანს „ნატანჯი“, ე. ი.
ნამუშევარი! ჩემი აზრი რომ მარტივი იყოს, აი რას ვიტყვი: ლექსის
დაწერასა და გამოქვეყნებას შუა ინტერეალია საჭირო მისი საბოლოო
ჩამოძერწვისა და დამუშავებისათვის — მიუხედავიდ იმისა, ლექსი ერ-
თბაშად ამოითქვა, თუ დიდხანს იწერებოდა. აკაკი თავისი ორიგინა-

ლური ლექსების შექმნის დროს ამ ღისტანციას ყოველთვის არ იცავდა... ამას, ალბათ, პეტონდა თავისი მიწეზები, რომელთაც ახლა ჩენ აქ არ შევეხებით, ვიტუვით კი, რომ აკაეკი კრილოვის არაკებს დიდანის ამუშავებდა, ხშირად მას ერთი ლექსი თრჯერ აქვს ნათარგმნი. აკაეკიმ თავისი სიცოცხლის დროს კრილოვი ხუფერ გამოსცა, და წარმოიდგინეთ, ზოგიერთი ლექსი ძველ გამოცემასთან შედარებით გაშალაშინებულიც აქვს! აკაეკი კრილოვის ლექსების თარგმნისათვის აირჩია რვამარცვლოვანი შაირული ფორმა და სტრიქონებს მისცა სილბო და სინატიფე.

რაც შეეხება რუსული არაკების შინაარსის სისწორით გაღმოცემას, ამ მხრივ ორივე პოეტი სცოდავს... რაფიელიც და იკაეკიც მეტად თავისუფლად მოეპყრნენ რუსეთის გამოჩენილ მწერალს, მაგრამ ეს საძრახისად როდი ჩაეთვლებათ. თარგმანი (მე ვლაპარაკობ მხოლოდ ლექსებზე) ზოგჯერ უფრო ელასტიური გამოდის, როცა დედანს ოდნავ აცილებულია, მე ვამნობ „ოდნავ“, რადგან რითმა ყველა ენაზე ირაციონალურია და მისი თარგმნა არ შეიძლება. ჭერ კიდევ ცნობილმა მთარგმნელმა უუკოვსკიმ ისიტყვა: „პროზად მთარგმნელი მონაა ავტორისა, ხოლო ლექსად მთარგმნელი — ავტორის მეტოქეო“.

რასაკვირველია, ჩენ შორსა ვართ იმ მოსაზრებიდან, რომ მთარგმნელმა დედანი დაამახინჯოს, ლექსში მოხსენებულ „ქალაქს“ ადგილმდებარეობა შეუცვალოს და სხვ., როგორც ეს ჩაიდინა კრილოვის მეორე მთარგმნელმა მიხ. ბებუთაშვილმა:

ყოველთვის ლონიერთანა უღონო არის მტკუანი,
ამის მაგალითს ჩენ ვხედავთ ს აქა რთვე ლოში ხშირადა...

და სხვ.

(ხ. მისი „იგავნი“, გვ. 11, „მგელი და ბატყანი“).

აშკარაა, აქ სიტყვა „საქართველო“ მთარგმნელის მიერ არის ჩამატებული!

ასევე „გაქართველებულია“ იმავე ბებუთაშვილის მიერ კრილოვის ლექსი „ორი ვაჟი“ („Два мальчика“):

ეს სასურეელო, მე ვხედავ, რომ სრულად დაგეიწყებია:
ჩენი ქართველი ანდაზა, რაც ეხლა მომგონებია:
— ხერხი ჭობია ღონესა,
თუ კაცი შოგონებსა“ (გვ. 89).

რაფ. ერისთავი სულ სხვანაირად იქცევა. იგი შინაარსს ძირითადად არა პლატონს. ლექსთწყობასაც რუსულს უახლოებს, ხოლო იგავის

დასკვნითი ნაწილი, სადაც ზეობრივი ელემენტი ტერპიალფანს, უმარად დასახუსიდან დასარულში გადმოაქვს და მას ქართული ანდაზებით და გამოთქმებით აქსებს... აქევი შერეთელი კი კრილოვის „ორის თემას თავისებურად თხზავს, იგი ამ მხრივ მართლაც მონა კი არ არის ავტორისა, არამედ მოქიშპე, ერთი შეხედვით თითქოს აქ არის მეორე ავტორობის პრეტენზია, თუმცა ამაზე სრულიად არც უფიქრია ჩვენს პოეტს. მაგ., ლექსი „დათვის წვეულებას“ ქართული ნიადაგი ისე მოხდენილად აქვს გამონახული, რომ იგი თითქმის ორიგინალური ლექსის იერს ატარებს... ვის არ ახსოვს ეს ადგილი:

შელაქუდამ ტაში დაპყრა
ამჟერ, ჩემო დათვინა!

და სხვ.*

კრილოვის სტილი აკაკიმ გაათავისებურა და მისცა მას აკაკისებური ელფერი... ალეთ, თუნდაც, შემდეგი ნაწყვეტიბი:

— შენი ყოვილის ჭირიმე,
რა კარგად ძგალობ, მამალო,
ნეტავ, სულ შენთან მამკორა,
უური დაგიგლო მაღმალო!
— შენ რაღა ჩემზე ნაელე ხორ,
მაგას რას ამბობ, გვეგლო,
ეინ დაგიწუნებს გალობას,
თუ არ უგრძნობი, უგრლო!

(„გვამული და მამალი“).

ლექსი „პატარა მუხა“ („Дерево“) აკაკის მიერ სრულიად გადასხეა-
ფერებულია... ასევე ითქმის რუსული სახელების გადმოქართულება-
ზედაც:

ერთხელ თ ე დ თ მ უთხრა ი ლ თ ს:
კლასში მისცლას კი მოვასწრებთ.

(„ორი ბავშვი“).

ან ეს თარგმანი აკილოთ:

* „დათვის წვეულების“ რესული ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1870 წ., აკ-
ტორის სკოლის შემდეგ (იხ. „Русская старина“, 1870 წ., № 7, გვ. 82), კრი-
ლოვის ერთ მკვლევარს ეს ლექსი არ გვიჩნია ურილოვის ლექსით და შეს სიღვარ-
სოლის (B. Кеневич: „Библиограф. и истор. примечания к басням Крылова“ 1878 წ., стр. 259). ეს ლექსი — „Обед медведя“ — ბოლო გამოცემიდან ამოგლე-
ბულია...

— гаамаіхтамда, 0 з а б ё!
— гаагімаштама, 0 т а о л т !
— ҳтагтама ხარ, რასა იქ?
ხომ კარგად ხარ, ძმთბილო?

(„გლეხების საუბარი“).*

აქ რუსული სახელები შეცვლილია ქართული სახელებით. Феду-
ша — თედო, Сеня — ილო, Фадей — ივანე, Степан — სისონა, Ег-
ор — გოგილო, Савва — გაბრიელ და მთელი დიალოგი აქვის თარ-
გმანში ისე მიმდინარეობს, თითქოს ქართველი გლეხები საუბრობენ
(სახელების გაქართულებას არც რაფიელ ერისთავი ერიდება; Степა-
нушка — თედუა, Федя — გიგო, Сеня — სანდრო და სხვ.).

აქვის მიერ „ჭირვეული თამადა“ (რუსულად — „Демьянова уха“)
ისე ოსტატურადა გაღმოლებული, რომ მისი შინაარსი ქართული ქეი-
ფის შთაბეჭყილებას სტოკებს (კრილოვი ჭამას აძალებს სტუმარს, აკ-
კო — ღვინის სმას). მკონხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს, თუ რო-
გორი ქართული ხასიათი მისცა აკაპიმ ამ რუსულ ლექსს, მოვიყვანთ
ორივე ტექსტს:

ДЕМЬЯНОВА УХА

«Соседушка, мой свет!
Пожалуйста, покушай!

— «Соседушка, я сыт по горло», — «Нужды нет,
Еще тарелочку; послушай:
Ушица, ей-же-ей, на славу сварена!»

— «Я три тарелки съел!» — «И полно, что за счеты;
Лишь стало бы охоты, —

А то во здравье: ешь до дна!

Что за уха! Да как жирна:

Как будто янтарем подернулась она!

Потешь же, миленький дружочек!

Вот лещик, потроха, вот стерляди кусочек!

Еще хоты ложечку! Да кланяйся, жена!»

Так потчевал сосед-Демьян соседа-Фоку

И не давал ему ни отдыха, ни срока;

А с Фоки уж давно катился градом пот.

Однако же еще тарелку он берет,
Сбирается с последней силой,

И очищает всю. «Вот друга я люблю!»

Вскричал Демьян: «Зато уж чванных не терплю;

Ну, скушай же еще тарелочку, мой милый!»

Тут бедный Фока мой,

Как ни любил уху, но от беды такой,

Схватя в охапку

* Амиэль Лујоль «Два мужика», ხადაც ავტორს „ლული“ აქვს მოხსენებული,
იქ მთარგმნებს „ნუნუა“ გაულექსავს, ხოლო „საყინულე“ აქვის შეცვლილი აქვს
„მარანალ“ („пошел в ледник за пивом“).

Кушак и шапку, —
Скорей без памяти домой,
И с той поры к Демьяну ни ногой.
Писатель, счастлив ты, коль дар прямой имеешь:
Но если помочь во время не умеешь,
И ближнего ушей ты не жалеешь:
То ведай, что твои и проза и стихи
Тошнее будут всем Демьяновой ухи.

ეხლა ქართულად მოვისმინთ:

მისამართი თამაშა

— დალი, ლმერომა შეგარგოს!
გადაჰერ, ჩემთ ძაბია!
— დამაცა! რა ღრმისი არის,
ქრი პურიც არ მიტემია!
— რა კუყოთ! ვერ მოესწრები?
წინ არ ვიწყვეთ საქმელი?
ალავერდს მოვალ, დაიჭი,
ამ სასმისს მოპეიდე ხელი!
ოქ, აგრე არ სქობს? გაამოს!
ჩიყლურებე, შენი სულისა!
ახლა ეს თასიც დატალე,
ძაგანაც გამაგრლისა!
— ასე ზედინედ? რას ჩქირობ?
დამაცა, სული მოვითქვა,
უზმინედ ღვინომ მიხამა,
გულშე დამაწვა, როგორც ქვა!
— არა უშევს-რა, გადივლის,
„მოპელასო ხარი თივიმო“,
მასპინძლის სადლეგრძელოა
და ნუთმ გაცლით არ სეამო?
— არ შემიძლია და რა ვქნა?
— ჰე, ნე ხარ კირეეულიო!
ორივე ხელით იქმეეა
ქადა, თუ გულობს გულიო
აგრე არა სქობს? შეგარგოს,
დატალე, რისა ვრცელებენია?
გრძალობდეს მაგის ზედაშე,
ხომ ხედავ ლალის წევნია!
ეს აზირფეშაც დასცალე,
შეკრული ნუ გაქეს კბილები
უნდა დავლოცოთ მასპინძლის
კარგი ცოლი და შეილები!
— მოკვედი, ბატონი! — რა გიშევს!

— რა ექნა, რომ მეტს ვერ აფიტან!
 — გამდედე! რა დროს ეგ არის,
 მაღაც მოგივა თანისთან
 რომ მოუწყინო მასპინძელს,
 სიჩრცვილი არის, ხომ იცი!
 — კი, მაგრამ არ შემძლია,
 არც ჯერი გადის, არც ფიცი?
 ძალას ატანდა ამგვარად
 ერთხელ სტუმარსა თამადა,
 სტუმარს კი ნამალადეკი
 ლეინო მიაჩინდა შხამადა.
 არ იქნა, აღარ მოეშვა
 და რომ არ მისცა საშველი,
 ზე წამოეარდა სულრიდან,
 ქუდს მიატანა მან ხელი
 და თავს უშველა, გაიძუა:
 თავს ვერ შევსწირავ ღვინოსო,
 მასპინძელიც და თამადაც
 ლმერთმა კი შეარცხვინოს!*

როგორც მკითხველი შეატყობს, აქ, გარდა ქართული შინაარსისა, ბევრი ანდაზები და გამოთქმებია ჩვენი ფოლელორიდან ამონარიდი: „მოჰკლასო ხარი თივამა“, „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა“... ავავის ასეთი გამოთქმები თითქმის ყველა თარგმანში აქვს მოყვანილი: „მგელი წაიღებს ყოველთვის დედის წინ წასულ კვიცაო“, „რა გაჩქარებდა, უტკივარს რისთვის იტკენდი თავსაო“, „შენ გუბნები, რძალო და, მულო, შენ გაიგონეო“, „სუყოველთვის ვერ მოიტანს კოკა წყალსაო“, „საიდან სადაო, წმინდა საბაო“. ზოგიერთ მის თარგმანს არ აკლია არც ჩვენებური „ლეკური“ და „დავლური“, არც „აზარფეშა“ და არც ქართული „მწვადები“. ერთ თარგმანში („პარნასი“) ავავის კანდელაკების ცნობილი გალობაც აქვს გამოყენებული („პეტერბურგის რომ გალობენ ნამდვილ კანდელაკურებს“).

აქავი, კრილოვის ლექსიების თარგმნის დროს, ხშირად შოთას იფორიზებსაც იშველიებს:

შველას აქვს თავ-თავისი დრო,
 სალხენს თუ სამწუხაოსა!

* ეს ლექსი — „დემიანეს მასპინძლობა“ — თარგმნა იგრეთვე მ. ბეჭუთაშვილმა (იხ. მისი კრებული, 1876 წ., გვ. 63) სათაურით „პეტრეს სადილი“, რომელიც წარმოადგენს იმის ნიმუშს, თუ როგორ არ უნდა ითარგმნოს კრილოვი.

აერთი წევა და სხვა მოვა
რურთასა საბალნართსა".

(„პატარა მეხა")



ან კიდევ:

„სიტყვა სხვა, საქმე სხვა,
შუა უზის ღიღი ზღვარი",
და მიტომაც გასაჭირში
ყაცს გაუჩბის მეგობარი.

(„გაქირვებაში ჩეგილნილი გლეხი").

აკაკი რუსულ დედანს უფარდებს ჩეენს ქართულ შაირებსაც. მაგ.,
ვინ არ იცის ეს ხალხური შაირი:

გაუსვი და გამოუსვი,
ერთომც კიანურიაო—
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინურიაო.

ამ ლექსიდან აკაკიმ პირველი ორი სტრიქონი გადაიტანა კრილო-
ვის არაკში და გამოვიდა ასე:

მგელი ფექრობს: „მეც ეს მინდა
მითი სისხლი მწყერიაო!"
—გაუსვი და გაშოუსვი,
კითომ ჭიანუ რითო".

(„პირელი ცხვრები").

აკაკი კრილოვის არაკების დასკვნით ნაწილს (მორალს) თავისებუ-
რად იყენებს... როგორც ცნობილია, კრილოვი ზოგჯერ ლექსის ფი-
ნალს სამ-ოთხ ხანაში ათავსებს. აკაკის ფინალი კი ყოველთვის მოკლეა
(ერთი ხანა). აკაკი იგავ-არაკის მორალს ხშირად გვერდს უვლის, არ
თარგმნის, ეს მაშინ, როცა არაკის აზრი ისედაც ნათელია. და დასკვ-
ნის მკითხველის ვონების ანდობს. ხან კი, პირიქით, თვითონ უმატებს,
თუ ასეთი ავტორს არ მოეპოება. მაგ., მშვენიერი ლექსი „ცხვრები და
ძალლები" ორიგინალში არ თავდება ისე, როგორც მთარგმნელს —
აკაკის აქცის. ამ ლექსის შინაარსი ასეთია: ერთმა მეცხვარემ მგლების
შესაშინებლად ძალლები გაიმრავლა. მართლაც, მსუნავი მგლები ჩა-
მოშორდნენ ცხვრის ფარას, მაგრამ იმ ძალლებში ბერი ავი ძალლიც
ერია და ჩეენს მეცხვარეს ფარა ნელ-ნელა შეუთხელეს. კრილოვის

* ეს აკაკი ფ. რუსულმაც გადმოილო: „ძალლი და ცხვრის ფარა" („გეგილი", 1889 წ., № 3).


ლექსი აქ თავდება. მთარგმნელმა კი ამ იგავს ბოლო გაუკეთა, რომელიც ქართულად ასე ყდებს:

და გმინ კი სოქვა მეცხვარებ:

მგლებს რაღად ვდებდი ბრალსაო?

თუ ნდა მგელს შეკუპე მიეარ

და თუ ნდა მგლის ფერ მაღლსაო.



კრილოვს ერთი არავი აქვს „სამცოლიანი“, სადაც ავტორს ნამდეილი ამბავი ჰქონია გალექსილი. როცა ეს საქმე სასამართლოში გადასულა: დასაჭონ თუ არ დასაჭონ სამცოლიანი ყმაწვილი, ერთ მსაჯულს უთქვამს: „ჩვენ რაღა გვეთქმის, კრილოვმა ჩვენზე ადრე გამოუტანა განიაჩინიო“. მართლაც, კრილოვს თავისებურად აქვს ეს საკითხი გადაკრილი: „დამნაშავემ სამივე ცოლთან ერთად იცხოვროს და ეს იქნება მისი სასჯელიო“. როგორია ამ ლექსის დასკვნა?

И этот приговор такой наделал страх.

Что с той поры на трех женах

Никто в том царстве не женился.

აკაკიმ ეს ფინალი ასე გააქცეთა:

ამ ამბავშა მთელი ხალხი

იმნართად შევშინა,

რომ არათუ სამი ერთად —

ძლიერს მიძყავდათ ერთაც შინა!*

რა თქმა უნდა, ამ ქართულ თარგმანში უფრო მეტი გონიერამახვილობაა და წმინდა აკაკური ღიმილი.

სერე ვიტრუოზულად აქვს ნათარგმნი აკაკის კრილოვის „ორი ძალლი“... ალბათ იმიტომ, რომ ამ ლექსის შინაარსი მთარგმნელს ივნებდა იმდროინდელი ზოგიერთი მოლვაწის საქციელს, რომელნიც სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ წინ წაწევას...

აკაკის გატაცება კრილოვის იგავებით არ არის შემთხვევითი მოვლენა. ორივე პოეტს ახასიათებს ნამდვილი იუმორი. ამ მხრივ ისინი გასოფრად ენთექსავებიან ერთმანეთს. მოიგონეთ აკაკის საკუთარი ივაჟ-არავები (და განა მარტო ივაჟ-არავები?!), „ღამურა“, „კატა და ლომი“, „დათვი და შინდი“ და დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სიმართლეში.

იკაკი კრილოვის არავებს თარგმნიდა მოხასიათებით, არა სისტემა-

* ამ ლექსის ბოლო მ. ბებუთაშვილის ზუსტი თარგმნით ასე იყოთხება:

„ამ განჩინებამ ასეთი შიში ჩაუგდო ერს გვლში,

რომ აღარავის არ მოსდის სამი ცოლის შეჩრთვა ფიქრში“.

2. ი. გრიშაშვილი, ტ. V

ტურად (1862 წ., 1889 წ., 1890 წ. და 1904 წ.). კრილოვის არავი „გვალელი და ძალლები“ აქაიმ პირველად თარგმნა 1862 წელს, ორეული 22 წლის ჭაბუკი იყო (დაიბეჭდა ეურნალ „ცისკარში“, 1862 წ., № 8). 1889 წელს წერა-ეკითხვის სახოგადოების დაცვალებით და შემდეგში, 1904 წელს, იაკობ გოგებაშვილის თხოვნით აქაიმ ხელი მოჰკიდა კრილოვის სხვა არაკების თარგმნასაც. შურნალი „კვალი“ წერდა „წ. კ. სახოგადოებამ შეიძინა აქაიმი მიერ ნათარგმნი კრილოვის არაკები, პოეტს დაუსრულებია 300 ლექსის თარგმანი“ („კვალი“, 1902 წ., № 39). მაგრამ აქაიმი, როგორც ვიცით, თარგმნილი აქვს არა სამასი, არამედ 152 იგავ-არავი!.. (სამასი იგავ-არავი თვითონ კრილოვსაც არა აქვს შეთხზული!). აქაიმი მიერ ნათარგმნი კრილოვის არაკები ცალკე წიგნად გამოვიდა რეაქტ: 1891, 1893, 1898, 1901, 1906, 1918, 1937, 1941 — და ყოველთვის დიდი ხალისით იქითხებოდა და დღესაც ისწავლება ჩვენი მოზარდი თაობის მიერ. ცნობილ პედაგოგს ილია ფერაძეს კარგად შეუნიშნავს, როცა გვიამბობს, რომ „აქაიმის თარგმანს მოწაფეები ადვილად სწავლობენ“ (იხ. „მწყემსი“, 1895 წ., № 12).

კრილოვის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში აქაიმ წერე-თელმა უაღრესად დიდი როლი შეასრულა.

რა არის იგავ-არავი? როგორც ცნობილია, იგავ-არავი არის პატარა ფორმის სიუჟეტიანი პოემა, სადაც ალეგორიულ ხაზებში ასახულია მტკიცნეული კითარებანი იმ ეპოქისა, რომელშიაც პოეტი ცხოვრობს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „იგავი, არავი, ზღაპარი იმისთვის სახვა, კანია აზრისა, რომელიც საქეულ და საზნეო კეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცესს სხმულად, კეუსა გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, აესა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად... [ეს] მადლია, რომლითაც ასე გამოჩენილი არიან ეზოპე, ლაფონტენი, გრიმმები — ძმანი, ანდერსენი, კრილოვი, საბა ორბელიანი და სხვანი, — ამ სახით მქადაგებელნი სიბრძნისა და ჭეშმარიტებისა“.

იგავ-არავების მწერალი მისთვის იყენებს ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, ალპაპარავებს მათ ადამიანურ ენაზე და ამრიგად ეფარება ალეგორიის ნილაბს.

იგავ-არავების მამამთავრად ითვლება საბერძნეთის მწერალი ეზოპონი, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს ერამდე მექევსე საუკუნეში.*

* საქართველოში ეზოპონს ჩვენი ძველები კარგად იცნობდნენ (თარგმანები დარჩენილია ხელნაწერებად). ეზოპონის იგავ-არავები ჭართულ ენაზე პარეკლდ დაიბეჭდა ენეციაში. ამ, ამ წიგნის სათაურიც: „იგავი იეზებოს ფილოსოფოზისა—

საფრანგეთის მწერალმა უან ლაფონტენმა მშვენიერად გაიგო ეზო—
პის ენა და თავისი ეპოქის პერსონაჟები მკეთრ სახეებში ჩიმოყალიბა.
დამსახურება კრილოვისა, როგორც იგავ-არაკეთა მწერლისა, იმაში
მდგომარეობს, რომ მან თავის იგავ-არაკებს ჩაპბერა ეროვნული-სუმამა
ლი, მოუნახა მშობლიური ნიადაგი და გადაიქცა რუსეთის უდიდეს
ნაციონალურ პოეტად.

მარტო ის რად ღირს, რომ დღეს კრილოვი ოც სხვადასხვა უცხო
ენაზე ნათარგმნი!

ავაეკი წერეთელი არ არის კრილოვის წვეულებრივი მთარგმნელი.
კრილოვს საქართველოში თხუთმეტიოდე მთარგმნელი ჰყავდა, მაგრამ
ვერც ერთი ვერ მივიდა ხალხის გულამდე. შთამომაცლობამ მხოლოდ
ავაეკი დაიმასხოვრა. შეიძლება პარალელის გაყვანაც: კრილოვამდე და
მის შემდეგაც რუსეთში ბევრი მეივავე იყო: სუმარიკოვი, ხემინცერი,
ლიმიტრიევი, იშმაილოვი, პუშკინის ბიძა ვ. ლ. პუშკინი და სხვა, მაგ-
რამ რუსულ ლიტერატურას მხოლოდ კრილოვი შერჩა. კრილოვი და
ავაეკი განუყრელი სახელები არიან ჩევნში. ბელინსკი წერდა: „კრი-
ლოვი შექმნა ნაციონალური რუსული იგავ-არაეკი და ამით პირველმა
შეიტანა რუსულ ლიტერატურაში ხალხურობის ელემენტიონ“. ასევე ით-
ქმის ავაეკი წერეთელზეც... მათი სიტყვების ძარღვი ანდაზებად გადა-
ვიდა ხალხში.

ორივე პოეტი ქართველ ხალხს ღირსეულად უყვარს.

1944 წ.

მინაწერი:

1944 წელს, ივანე კრილოვის გარდაცვალებიდან 100 წლის თარი-
ლის აღსანიშნავად, სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა ი. კრი-
ნი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასაჩვებლოდ იყერისა, ევ-
ნეტიქ, 1859 წელსა. ხოლო ეზოპოსის არაები ლექსიად გარდათქვა ბ. ლეითაშვილ-
მა („ხერთის“ ცნობილმა მთარგმნელმა) და დაბეჭდა კიდევ ქ. კავკაში 1897 წელს
(სხვათა შორის, ეს პირველი წიგნია კავკაში ქართულ ენაში დაპერილი).

ეზოპოსის ერთი არაები — „ქურდისა და ძალლის ისტორია“ — თარგმნა ალექ-
სანტრე ქავერაძემაც (იხ. „ალექსანტრე ქავერაძე“, ი. გრიშაშვილის რედაქციით
გამოცემული 1940 წ., გვ. 168).

უნდა ითქვას, რომ ეზოპოსის იგავ-არაების ქართული თარგმნები პირველად
„ევგილში“ იძებელებოდა. გარდა ზემორე შოსხენებულ ბ. ლეითაშვილის თარგმანე-
ბისა, „ევგილში“ გამოქვეყნდა აგრეთვე მიხ. ლელაშვილის თარგმანები (იხ. „ევგილი“,
1893 წ., № 3) დ. მესხის თარგმანები („ევგილი“, 1896 წ., № 12), ა. შანიშვილის
თარგმანები (იხ. „ნაცალული“, გვ. წლ., 1911 წ., № 24; და 1911 წ., № 6) და სხვ.

გამოცემლობა „საბერია მწერალმა“, კრილოვის ცემოლესთან დაკავშირებით,
დაცემიდა ეზოპოსის იგავ-არაები, ძევლი ხელონაწერებიდან მოქრეფილი, ს. იორ-
აძიშვილის რედაქციით და წინათქმით.

19

ლოვის იგავ-არაკების პირველი სრული კრებული ქართულ /ნაზე/ (რედაქტორი, ი. გრიშაშვილი, წინასიტყვაობა — პროფ. ს. ჭანელაშვილი, რუსული ტექსტისა და ქართული თარგმანების შედარებით, ჩრდილოეთი ტორი — პ. ინგოროვა). რადგან ამ საიუბილეო გამოცემში საქონკი იყო კრილოვის ყველა იგავ-არაკის ქართულად მოთავსება, ამიტომ რაც ძველ მთარგმნელებს (გრ. ორბელიანი, აკაკი, რ. ერისთავი) გამორჩათ, ის შეასრულეს საბჭოთა მწერლებმა: კ. ვიკინაძემ, ალ. აბაშელმა, მარიჯანმა, ხ. ვარდოშვილმა, ი. მოსაშვილმა, იასამანმა, დ. გარეჩილაძემ, ვ. გორგაძემ, გრ. ცეცხლაძემ და ი. გრიშაშვილმა. ასე რომ, დღევანდელ საბჭოთა მქითხველს ხელთა ქვეს დიდი რუსი მწერლის კრილოვის 200 იგავ-არაკის სრული კრებული ქართულ ენაზე.

ალექსანდრე ზაჟავიში. როგორც მსახიობი

ჩემი სურვილია ამ პატარა მონოგრაფიით გადმოგცეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობის ერთი დარგი, რომელსაც დღემდე საფუძვლიანად არავინ შეხებია. ეს არის ალექსანდრე ყაზბეგის როლი აზლად ფეხადგმულ ქართულ თეატრში. სწორედ მისი არტისტობა და ლექსანდრის თამაშობა გახდა მისთვის საბედისწერო და სწორედ იქნან წარმოიშვა ის უმართებულო და სულელური აზრი, თითქოს მეორების ხელისხმან მსახიობს და ხანჯლებით მოცეკვავეს არ შეეძლო ისეთი მაღალნიშიერი მოთხოვნების შექმნა, როგორიც არის „ელგუჯა“, „მამის შკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“ და რომელთა წიკითხვის შედევე თუთ სიტყვაშუწმა გრიგორ ორბელიანმა აღტაცებით შექმნირა: „ქართველების პომიროსი ხარ, შებაშ!“

ვინ იყო ამ სუტლეგნდის შემქმნელი? ეს იყო ელისაბედ ყაზბეგი, ალექსანდრეს ბიძაშვილი, რომელმაც სანდრო ყაზბეგის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, თავის საქმაოდ გარგი სტილით დაწერილ მემუარებში^{*} „აღიარა“, რომ ალექსანდრეს ნაწერები ჩემს მას დიმიტრის ეკუთვნისო! რა ეუყოთ მერე? ერთ დროს ბეკონმა და რეტლენმა უილიამ შექსპირსაც ახალი თანაავტორები გამოუძებნეს და „ამ-ტიპებლენენ“, რომ შექსპირი შექსპირი არ არისო, გიორგის „ფაუსტიც“ კი ლესინგს მიაწერეს, ვითომდა ყაზბეგი ვისზე ზაკლები მწე-

* იხ. ფურნ. „მნათობი“, 1924 წ., № 5, 7-8; 1925 წ., № 1, 3, 4, 8-9, 10, 11, 12; 1926 წ., № 1.

რალია, მოღი ამასაც გამოვუძებნოთ სხვა ავტორით! ამაზე ბევრი და-იწერა, მაგრამ ყაზბეგის დამცეცლებს გამორჩიათ ერთი პატარა ცნობა, რომელსაც ამასწინათ წავაწყდი ერთ ძველ უზრნალში და სპიდინაც ირკვევა, რომ ალექსანდრეს კი არ წამოულია დიმიტრის ქალალდები, არამედ, პირიქით, ელისაბედ ყაზბეგს ჰქონია ალექსანდრეს არქივი. ამ, ეს ცნობაც:

„ამ დეკემბრის ათს, — ასე გვაუწყებს ჩემ მიერ გამოტანილი დო-კუმენტი, — შესრულდა თერთმეტი წელიწადი, რაც ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი გარდაიცვალა. ამ დღის აღსანიშნავად აქ ვათავსებთ ჯერ არსად დაბეჭდილს მის სურათს მეცხვარის ტანისამოსში და აგრეთვე მის მოთხრობას — „პარია გმირი“. ეს დაუსრულებელი მოთხრობა გადმოვცა, — სწერია ხსენებულ უზრნალში, — განსვენებულის ყაზ-ბეგის ბიბაშვილმა ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა ყაზბეგმა, რომელ-საც ეს ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერში უპოვნია (ხაზი ჩემია — ი. გ.) და რომელიც ჯერ არსად არის დაბეჭდილი. მალე დავბეჭდავთ ალექსანდრეს ხელნაწერებიდან დასურათებულ „ზღაპარსაც“.*

რა ირკვევა აქედან? ერთი რამ ცხადია: ელისაბედი და ალექსანდ-რე, როგორც ნათესავები, ძლიერ დაახლოებული ყოფილი ერთმანე-თოან, ელისაბედ ყაზბეგს ხელთ ჰქონია ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგის ბელეტრისტული ნაწერები, რომელსაც ალექსანდრეს სიკვდილის შემ-დეგ ნელინელ აქვეყნებდა (გაიხსენეთ ზემორემოყვანილ სარედაქციო ამონაწერილან ბოლო აბზაცი: მალე დაებეჭდავთ აგრეთვე ალ. ყაზბე-გის ხელნაწერებიდან „ზღაპარსაცო“)**

რასაკირველია, ჩემთვის ეს წინადაც გამორკვეული იყო, რომ ალ-ექსანდრეს ნაწერები ალექსანდრეს ექუთვნოდა და არა სხვა ვისმეს... მაგრამ რა საქირო იყო ამდენი თავის მტვრევა? ეს პატარა ცნობა კი, თვით ელისაბედის მიერ თქმული, ზედმეტად ამტკიცებს ალექსანდრეს ალექსანდრობას და პფანტავს იმ ჭორებს, რომლის პირველი და უკა-ნახენელი ავტორიც ელისაბედ ყაზბეგი იყო!

მაგრამ, ეს სხვათა შორის... დავუბრუნდეთ ჩემი წერილის თემას:

* იხ. „ჭიჭილი“, 1904 წ., № 12.

** რეადეტამ დაპირება შესრულა და ამავე უზრნალის შემდეგი წლის ნომ-რებში მოათავსა ელისაბედ ყაზბეგის მიერ აღმოჩენილი ალექსანდრე ყაზბეგის „ხელ-ნაწერებიდან“ ზღაპარი „მეფის რაში“ („ჭეკილი“, 1905 წ., № 5, 6). იმის შესახებ, რომ ელისაბედ ყაზბეგი ბეჭდავდა ალექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდივ მოთხრობებს, თვით ელ. ყაზბეგს თავის მემუარებში არაუკერი აქვს ნათევაში. დაუკიშუდა?

ალექსანდრე ყაზბეგი როგორც მსახიობი, დრამატურგი და პოეტი.
„ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილი ვის არ სდებიან“, კარტობრძნების
შოთა ერთი ამისთანა სცენის მიჯნური აღ. ყაზბეგიც გახლდა!

ყოველი მწერალი თითქოს ვალდებული იყო თავისი ხარჯი თეატ-
რისათვისაც ეძლია, არა როგორც მარტო დრამატურგს, არამედ რო-
გორც მსახიობსაც. ილია ჭავჭავაძეს „მეფე ლიტერატურული“ კენტის როლი
უთამაშნია, აյე წერეთელს მოლიერის „სკაპენის ცულლუტობაში“ —
უერონტის როლი. ვაკაფშაველი „ხევსურთა ქორწილში“ ხინჩილა ლა-
ფაჩის როლს ასრულებდა.

ა. ყაზბეგი 1880 წლამდე უჩინარი ადამიანი იყო. იგი მაშინ გამო-
ჩნდა ჩვენს საზოგადო ასპარეზზე, როცა ერთი მუქა მოწინავე ქართ-
ველი ინტელიგენცია მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის ჩაყრა-
ზე ოცნებობდა. ეს მოხდა 1879 წელს. მუდმივი დასის სეზონი გაიხ-
სნა შემოდგომაზე ბარბარე ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი, რა ვპო-
ვე!“, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგს 1880 წლის დასაწყისში ვხედავთ
ქართულ სცენაზე... ასე რომ, „მოხევი“ ა. ყაზბეგის სახელი მუდმივი
ქართული თეატრის ჩასახვასთან არის დაკავშირებული.

ა. ყაზბეგმა ჩვენი მწერლობის ალაყაფის კარები პირველად ლექ-
სებით შემოაღო 12 წლის იყო, როცა მისი პირველი პოეტური ნაწარ-
მოები „ცისკარში“ დაიბეჭდა. აი, ეს ნიმუშიც:

ნანა მიზიდვა გიორგის-ძი ჩაზღვივი

ნანა, ჩემო მიხევო, ეფემისა იამ,
დღეგრძელობით ალისე, ჩემო პარაშინაო,
მსურს გიხილა მლენარე, ჩემ საამოდ მცინარე,
შეც დაგირწევ კანარს, თუ დედა გუავს მძინარე.
საყვარელო მიხევო, გულათ მსურს რომ იხარო,
ალორძნდე, გამრავლდე და შეც ამით მახარო.
შენ ხარ ჩეილათ ხმობილი, სტრფან-წმინდას შობილი;
ანგელოზთა დასთაგან ჩვენთან გაღმოფრენილი.
ალექსანდრემ ალმოცსოქე ესე შენი ქებანი,
ამაზეც უმობესი არა მაქეს შეძლებანი.
თორმეტი წლის ყმაშეილმა ესე ნანა მოგიძლვენ,
თუ ლმერთი შემეწევა, რკათესსა მოისმენ.”*

* ეს განარკევედი, — „ყაზბეგი თეატრში“, — მოხსენების სახით წაეთხოება იქნა 1944 წ. 1 ივნისს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში, ფრონტელთა ოჯახების სა-
სარგებლოდ გამართულ სალამოზე.

** „ცისკარი“, 1861 წ., № 12, გვ. 325.

ყაზბეგის დედა თარხნიშვილის ქალი იყო, ქართლელი. კარგად იცოდა და ჩვენი ძეველი ლიტერატურა და მშევნეობის სასიმღერო ხმა ჰქონდა. ყაზბეგის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ ჩინებულ მანულობრივას ას ვაკებიაშის მუხამბაზები ზეპირად სცოდნია. 12 წლის ყაზბეგიც ამ ვაკების განიცდის და ზემორე პატარა ლექსიც, ყაზბეგისათვის უჩვეულო წყობით, მუხამბაზის ზეგავლენით არის თქმული, „თუ ღმერთი შემწევა, უკეთესა მოისმენო“, ასე თავდება ეს ლექსი და, მართლაც, ლექსების თხზვა ა. ყაზბეგს სიკედილამდე არ მიიტოვებია. მის ლექსებში აღსანიშნავია „გუთნის დედა“:

გუთნის დედა ვარ, მცდამ ვხნავ, ძილი არ მომდის თვალზედა,
ერთის ხელითა რომ კოსავ, მეორე მიღვას ხელზედა,
ნისლასთან ერთად უდელს ჩემი, ქალსა სკრის, დადის ქვალზედა,
ეკრ იქნა, ფეხსნელ ვერ დავდექ, ვალი დამიღო კალზედა,
ბევრჯელ შევები ულეში, გაეწიე ძალის ძალზედა,
ვერ იქნა, ვერსად შევაგდე გუთანი თავის კვალზედა.

ეს მეტად საინტერესო ლექსი ბოლოს იმით თავდება, რომ გუთნის დედა მიინც შეაგდებს გუთანი თავის კვალზედ. ამ ლექსის ყოველი რეფრენი ასე თავდება:

ულელო, ამა კისერი,
მე გაგწევ ძალის ძალზედა,
სულ დავლევ, მაგრამ შევაგდებ
გუთანია თავის კვალზედა.

ამ სიმბოლურ ლექსს სანდრო ყაზბეგი სცენიდანაც კითხულობდა... რასაკეირველია, მისი ლექსი ვერ გაუტოლდება მის პროზას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს უანრი ყაზბეგის შემოქმედებაში ხელალებით იქნას გატყორუნილი. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი, აწებალხურებული, ლექსი მეცე ერეკლეს სიკედილზე:

ამ გეგერებათ, ქართველნო,
შეგვეხსნა რეინის კარია.
აღარ გვყავ მეღვე ერეკლე,
მაგრატიონთა გვარია,
გაგეშორდა ჩვენი პატრიონი,
ჩამოგვეცალა მხარია,
მთვე ბრმბერაზო, ატირიდი,
აღარ გვყავ ლალი ხარია,

ალ. ყაზბეგის დარჩა ძლიერ ბევრი გამოუქვეყნებელი ლექსი, ორი ათას სტრიქნოამდე, რომელიც გვხიბლავს თავისი შინაარსის უშუალობით და გვათრობს მთის ხალხური სურნელებით. ხევის შაირის სიანქარე პირველად ა. ყაზბეგმა შემოიტანა ჩევნს ლიტერატურაში. შაირული, მიგრით მიყოლებული რითმი, პირველად ყაზბეგმა დაარჩნა მთის პოეტებს შორის. 1886 წელს ცალკე წიგნად გამოიდა მისი და მის მიერ შეკრებილი „მოხევეთა ლექსები“. ეს იყო პირველი წიგნი, რომელშიაც ერთად თავმოყრილად ჩანდა მთის ფოლკლორი. „ივერია“ წერდა: „პირველად ვნახეთ და მოვესწარით ცალკე წიგნად დაბეჭდილ ხალხურ ლექსებსონ“. (1886 წ., 237). ყაზბეგმა თავის ლექსებში ამერკუელა მთის ამაყი სული. მისი ყოველი სტრიქნი გამობარია დიდი შინაგანი ცეცხლით, თავისებური გულუბრყვილობით და მამულისადმი უანგარო სიყვარულით. როგორ ბრწყინვალედ გისმის ალ. ყაზბეგის ეს პატარა დიალოგი „მთასა“ და „მთიელს“ შორის:

მთიელი:

მთაო, მომხედვე შევწერხდი,
გულს ზეცამ აღარ უდარა,
ვახეოშვი მტერსა, დამჩაგვრელს,
არ შეიმინა ბერდარა!

მთა:

კისერში წამყარ, ძუნძულით
გადაატარე ბილარა. [ბილარა: ულალტეხილი. ა. გ.]

მთიელი:

ბევრი ვერვალე, ვებაზე
და არა გამოვიდა-რა,
მშობელს მანდილი მოხადა,
აფორიაქა ლუდარა.

* ალექსანდრე ყაზბეგის ეს ერცალი ლექსი დამტელილია ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ 1892 წ. და 1893 წ. ხოლო ხალხური ლექსი, რომლის დასაწყისიც ენათესებება ალ. ყაზბეგის ლექსის, პ. უმიკაშეილმა გამოაქვეყნა ზერ. უკრაზე 1872 წ. № 8—9).

ხმალი პეტრ! შუა გაქცეოთ,
ჩააცმევინდ სუღარა, —
თორებ მტერს გულით აცინებს
ჩემი ხევწნა და მუღარა.



ან აიღოთ ეს მეორე ლექსი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ
გამოვიტანეთ გაზეთის ფურცლებზე.

მონათლული ვარ, ნუ მათლავ!

ძმად მოწყეულო, რაღა მტრობ,
ავრემც კი გენაციალები,
რაცა ვარ, ასე დაერჩიბი,
შენთვის ვერ დავიკიალები.
მოწყეული ხარ მეჯლისად,
მა, ზინა მოსალხენადა,
არ ქმარობს გინდა შემემაზო,
გამხადო საჭდომ ცხენადა!
ძმად მოწყეულო, ძმა გყვევარ,
რისთვის შიწამლაჟ გუნებას?
რაც გინდა ძალზე ეწვალო,
ვერ შესცელი მთისა ბუნებას.
შეც მთის შეიღი ვარ! იმისი
ნამტვრევი, ნამტრწყალია,
მთა ხან მოხარო, ხანაცა
გაშალო, — განა რეალია?
რას გატუვი, ყური დამიგდე —
მთლად გაღიაძეც სმენადა, —
მონათლული ვარ, ნუ მნათლავ,
ოც გინდა დავრჩე შენადა.*

რაც შეეხება ყაზბეგს, როგორც დრამატურგს, მან ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს განიზრახა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნა. ილია ჭავჭავაძის ცნობით: ყაზბეგი ჯერ კიდევ 14 წლისა ყოფილა, როცა ილიასთვის წარუდგენია თავისი კომედია „ალმზრდელები“, ხოლო მუღმივი თეატრის ჩასახვის დროს, 1879 წელს, ყაზბეგს მოელი ხურჯინი პიესები ჩამოუტანია სოფლიდან ახლად ფეხადგმუ-

* „ლიტერ. საქართველო“, 1939 წ., № 2; ჩემს ხელთ არის ილექსანდრე ყაზბეგის დაუბეჭდვის ლექსების დაცვარი, რომლის გამოცემასაც ცალკე წიგნად ვაძირებთ, ამიტომ მისი ლექსების დაწერილებით გარჩევს აქ იღარ შევუდგებით.

ლი თეატრის მესვეურთათვის იმ იმედით, რომ ახალგაზრდა ქართველი ეროვნულ საქმეს აკეთებდა! უნდა ითქვას, რომ იმ ხანებში ქართული თეატრი დიდ კრიზისს განიცდიდა ორივინალური პიესების მრავალ ისეთი მაღალნიჭიერი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, ლადო მესხიშვილი, კოტე ყაფაზი და კოტე მესხი — თაეგიანთ ჩრდილქვეშ იკუშშებოლნენ. არ იყო პიესები, სადაც ფრთხების გაშლა შეეძლოთ. აი ამ დროს მოდის ალექსანდრე ყაზბეგი და თავის 21 პიესას აწყობს რეეისორის დაზგახე. 21 პიესა! ეს ხომ მთელი აღმოჩენა იყო ახალი თეატრისათვის? მაგრამ როგორ მოექცნენ უილბლო ავტორს, რომელიც ქართული კულტურა-სათვის იღვწოდა და იწოდა? სჯობია ისევ თვით აღექსანდრე ყაზბეგი ვალაპერავით. აბა დაუკდეთ ყური მისი დღიურის ფურცლებს: „1874 წელს მე ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარავი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ასევე იყო მიზეზი, რომ თითო თროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირებით იღვმებოდა. და რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხელულებათა პიესებს თავი საქმაოდ მოეძულებინათ საზოგადოებისათვის, მე წავედი შინა, და მოვდექ პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას, მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაცენ გამოვწიე, დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრსე მხრუნელი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგირ ცხეირწინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხარად ამიგდეს“, — დასძენ გულმოკლული მოხევე. ეს „მასხარად აგდება“ სიკვდილამდე არ მოშორებია ჩენს მწერალს, მაგრამ ამასე ქვევით.

ა. ყაზბეგის პიესებიდან ხშირად იღვმებოდა ჩენს სცენაზე „აღმზრდელები“, სადაც დრამატურგს თავისი ოჯახი ჰყავს გამოყვანილი. იყი ხომ დედის ნებიერი ბავშვი იყო, გუვერნანტებითა და აღმზრდელებით გარშემორტყმული! შემდეგ აღსანიშნავია გადმოკეთებული დრამა: „ცხოვრების თანამგზავრი“, რომელსაც მსახიობებმა მეორე სახელი უწოდეს: „ცოლი — მეულლე“. მასევ იქვე ფრანგულიდან გადმოღებული ვოდევილი: „ცულლუტი“, ურუსოვის პიესიდან „დილა ქორწილის შემდეგ“. მისი ორიგინალური პიესებიდან დავასახელებთ შემდეგ ნაწარმოებებს: „ყველაფერი ბედზედ არის“, „გრძნობა და მოვალეობა“, „გამოცდა ნიშნობის წინადღით“, „ერთი უბედურთაგანი“, „ორი ქორწილი ერთად“, „ქართველი ქალი სტუდენტებში“, „გულნარა“, „მოძღვარი“, „ქიარიმა“, „გიორგი საკაძე და სხვ., მანვე გააკეთა სას-

ცენოდ თავისი „ელისო“, რომელშიაც თვით ყაზბეგი ანთორის როლი ასრულებდა.

რასავეორველია, ბევრი მისი პიესა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რაც დარჩა, იქიდან გამოირჩევა ორი პიესა: „არსენა“ და „ქეთევან წამებული“. პირველ პიესას დღესაც არ დაპერგვია მიმზიდველობა და ჩვენი რაიონის თეატრების რეპერტუარს მშვენებს... კომედიებით და კოდევილებით თრობილ ქართულ თეატრისათვის „არსენა“ პირველი დრამა იყო, რომელსაც შემდეგ დ. ერისთავის „სამშობლო“ და ყაზბეგის ისტორიული თხზულება „ქეთევან წამებული“ მოჰყვა. ყაზბეგის ეს უკანასკნელი პიესა სრულიად უმართებულოდ არის დაეიწყებული ჩვენი თეატრების მიერ და რა კარგი იქნება ამ ისტორიული დრამის — „ქეთევან წამებულის“ გამომზევება თვისი ბრწყინვალე და მერძნობიერი, გულში ჩამწვდენი პერსონაჟებით, — რადა ლირს მარტო ერთი გოგასპირის როლი!

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ „ქეთევან წამებული“ დაიბეჭდა ილიას უურნალ „ივერიაში“ (1883 წ.), ეს იყო პირველი ისტორიული ორიგინალური დრამა, „სამშობლოს“ შთაბეჭდილებით შექმნილი. ამ პიესას მოჰყვა სხვა ისტორიული დრამები: „მტარვალი“ (ი. ლაზარიშვილისა), „და-ძმა“ (ვ. გუნიასი) და სხვა.

„ქეთევან წამებული“ სცენაზე იდგმებოდა „კონსტანტინე ბატონიშვილის“ სახელწოდებით... „ქეთევან წამებული“ რამდენჯერმე იქნა

* რომანიდან და მოთხრობებიდან გაყეთებული პიესები ისე ვერ ხეირობს სცენაზე, როგორც ორიგინალური; ეს უდავო კეშმარიტებაა. მაგრამ ასანიშნევია ის გარემოება, რომ ამ სიერთო შემთხვევებიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ საში ავტორი, რომლებმაც თავიათი მოთხრობები თვითვე გადააქცევს ხასცენოდ და ღლეანდლამდე არ ისხნება თეატრების რეპერტუარითან. ესენი არიან ალექსანდრე დორემა (შეიღო), გუცკოვი და ჩეხოვი. ალექსანდრე დორემა „მარგარიტა გოტე“ გააქცია პიესად ამავე სახელწოდების თავისიერ რომანიდან; გუცკოვმა „ურიელ აკსტა“ გააქცია თავისიერ მოთხრობიდან, რომელსაც „ამსტერდამელები“ ერქვა, ხოლო ჩეხოვმა ცენტრი პიესა „ალემლის ბალი“ დაწერა თვისი ერთ დაწერულ მოთხრობიდან, რომელსაც ეწოდება „У знакомых“ (შეი ჩვენი ნარკევე, „ილი ვაკევავდე და ქართულ თეატრი“).

ხდებოდა პირიქითაც: სარდუმ და მორომ დაწერეს პიესა „მაღამ სანქენ“ რომელიც პირველად დაიღვა პარიზში — 1893 წ. 15 ოქტომბერს. პიესამ დღიდ აღტაცება გამოიწევია ხალხში და სხვადასხვა ენაზედაც ითარგმნა (ქართულად კ. შესხმათარგმნა), და, აა, გამოჩნდა ფრანგი რომანისტი — ედმონდ ლეპელეტერი, რომელმაც სარდუმს პიესის მიხედვით დაწერა ხუთარიანი რომანი იმავე სახელწოდებით: „მაღამ სანქენ“. ეს რომანი ჩუსტლალაც არის ნათარგმნი ეინშე M. გორიაშვის შეიქმნა და დამტერილაც (მოსკოვი, 1899 წ.), მაგრამ რომანმა პიესას მარც ვერ აკობა...

აქტმალული ცენზურის მიერ, ვინაიდან ქეთევანი წმინდანებშია ჩართული და წმინდანის სცენაზე გამოჩენა მკრეხელობაა, — ასე შესველობდა ამ შესანიშნავ პიესაზე მაშინდელი სამღვდელოება.

ყველაზე პოპულარული იყო მისი სამმოქმედებიანი დრამა „არსენა“, რომელიც მეტად ორივინალურ ხაზებშია გაშლილი... ყაზბეგის „არსენა“ დაიწერა სულ ორი კვირის განმავლობაში 1881 წელს და პირველად დაიდგა 1882 წლის 1 იანვარს. „დროებამ“ აღფრთოვანებული წერილი უძლენა ამ წარმოდგენას და პიესა „თავისი სიმშევნიერით“ ელგუჯის შეადარა. არსენას როლს ყოველთვის თვით იეტორი ასრულებდა. „დროების“ რეცენზენტი როდი იძიგებს „არსენას“ მოქმედ პირებს, მაგრამ უსრნალ „თეატრის“ თანამშრომელი დავით სოსლანი კი თავს იკავებს შეფასებისაგან... „არსენას როლს ასრულებდა თვით ავტორი, მოხევვე, — წერს ირონიული ტრინით „თეატრის“ რეცენზენტი, — ამის თამაშობაზე არა გვითქვამს-რა, იმიტომ კი არა, რომ სათქმელი არაფერი გვქონდა, იმიტომ რომ „ზოგვრ თქმითაც დაშავდების“. ჩვენ ვიცით, რომ ა. ყაზბეგს სცენა უყვარს ისრე, როგორც ოცი წლის შეყვარებულს ყმაშვილს — ქალი; მისი ბელეტრისტული ნიჭის პატივსაცემად იყოს და იკლას სურვილი, ჩვენ კი მოთმინების მეტი არაფერი დაგვრჩენია“ („თეატრი“, 1885 წ.).

მართლაცდა, თანამედროვეთა გადმოცემით ა. ყაზბეგი, როგორც მსახიობი, არ ყოფილა მაღალნიჭიერი. ვისაც კი იგი სცენაზე უნახავს, ორიოდე რეცენზენტის გამოკლებით, ყველა იუგად იხსენიებს... ერთი რეცენზენტი პირდაპირ წერს: „რასაკვირველია, ღმერთმანი, ა. ყაზბეგი თავის პიესებს თვითონვე აფუჭებსო“.

ა. ყაზბეგს არავითარი ამპლუა არ გააჩნდა: იგი თამაშობდა ახალგაზრდას და ხნიერსაც, გმირსა და ფუქსიავატსაც, ფრანტსა და გლეხს. მას უთამაშინია სამოცდაათი როლი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათისა... ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილიდან ირჩევთ, რომ მას სცენაზე განუსახიერებია: ქართლელი,* ქახელი,** ოსი***, ხევსური****, სომეხი***** მეგრელი***** ღორალი*****.

* რ. ერისთავი: „ადვოკატები“ — თეატორე, ქართლელი გლეხი.

** ღ. მესხი: „ანტე ბატონიშვილი“ — ოთარი ხოლოჟაშვილი.

*** ავაკი: „სცენები საპატიმროში“ — ისი.

**** ზ. ანტონოვი: „ქორწილი ხეესურთა“ — ნინიკა.

***** ა. ცაგარელი: „ხანუმა“ — მიერ ტაშილ-კოტრიანცი.

***** კოტე მესხი: „ქარაფშეტა“ — უტუ ხოშტარია.

***** ზ. ანტონოვი: „ქორთლი“ — ქორთლი.

ხან თუ „ხანუმაში“ სომხის როლს ასრულებდა, ხან კიდევ „პიმლეტში“ — ლეირტის როლს. მას უთამაშნია ქოროლლიც (ანტონოვის „ქოროლლში“), უაյი („ორ ობოლში“), ფოქჩეისტერი და ზემლიანიკა („რევენიზორში“), უილოვი („შემოსავლიან იღვილში“), დიმიტრი დადიანი („სამშობლოში“), ცირკის დირექტორი (პიესა „პერკულესში“) და სხვა. მას უმღერია ვასო აბაშიძესთან ერთად ლუკაშევიჩის პარტია ოპერეტაში („მეჯლისი იტალიელებით“), მაგრამ ყველგან შინაურულად, პერსონაჟების შინაგანი ბუნების გაუცნობლად, ნაჩქარევად, ერთი სიტყვით, ძევლი რეცენზენტების ტერმინი რომ ვიხმარო: „ანსამბლს ხელს უწყობდა“, და, როგორც აქტორს, თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია ქართული თეატრის ისტორიაში.

ერთხელ ა. წერეთელსა და ა. ყაზბეგს შორის ასეთი დიალოგი გამართდა:

— ვერ წარმოიდგენ, ბატონო აკაკი, როგორი შიში მიპყრობს სცენაზე გამოსვლის წინ.

— შიში მეც ამიტანს ხოლმე! — უთქვამს აკაკის ყაზბეგისთვის.

— თქვენ რატომ?

— ვათუ კარები გაიღოს და შენ გამოხვიდე სცენაზე, — უპასუხნია შეუბრალებელ აკაკის. აკაკი თავის მოგონებაში შემდეგასა წერს: „აქტორობაში ყაზბეგმა დიდი ბეჭითობა გამოიჩინა, მაგრამ არც ერთში. ვარდა ერთისა, არ ვარგოდა: გენერლის როლს როგორლაც კარგად ასრულებდა ერთ პიესაშიო“... ეს ერთი პიესა, ჩევნის დადგენით, იყო ვასო აბაშიძის მიერ გადაკეთებული. „ეხლანდელი სიყვარული“, რომელშიაც ყაზბეგი გენერალ ჯამბარაშვილს ანსახიერებდა. ყაზბეგის მიერ ამ როლის კარგად შესრულებას აღნიშნავს აგრეთვე ხელოსანი პოეტი, ეგნატე ნინოშვილის უახლოესი მეგობარი, თეატრის აშიკი ალექსანდრე თოიძეც თავის სახალწლო მიღოცვაში:

პ. 8 ၁၆ ၁၃၀ ၆

თარგმანებში მოხუცებული,
ოჩიგინალში სოლის გლეხებს
ის თამაშობს რაგიანად..
ლაქრტში ვერ დაკეცება!
რეცენზენტშე ის ცხარდება,
თუ ასწავლეს, დაილეთებს.
კამბარაშვილს კარგად ვბაძავს
და ლეკა რში ხმარობს ფეხებს.*

* „თეატრი“, 1886 წ., № 3, გვ. 28.

მართლაც, ყაზბეგი თუ მერთალი იყო, როგორც მსახიობი, სამსახუროდ განსაცვიფრებელი ყოფილი, როგორც მოცეკვავე. ძველად ქოთული წარმოდგენი ცეკვით უნდა გათავებულიყო: ლეკტრიკა, ჩანთური... ათხაზური... აი, ამ ცეკვების პირველი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო ჩვენი დიდებული ბელეტრისტი.

ერთხელ ვაწეთი „დროება“ წერდა: „მოგვებეზრდა ამდენი ლეკური, დროა თეატრს მცოდნე კაცი ჩაუდგეს სათავეშით“. მაგრამ ხალხი კი სულ სხვანაირად აფასებდა ამ ცეკვებს: როცა აფაშაში ცეკვა იყო გამოცხადებული („ა. ყაზბეგი და ნ. მხედვე ითამაშებენ ჩანთურს“, „ა. ყაზბეგი და ნ. მხედვე ითამაშებენ ჩანთურს“), მაშინ მობენეფისეს შემოსავლის იმედი ჰქონდა და ეს კი კარგი დახლი, ერთგარი „პური არსობისა“ იყო ხელმოკლე აქტიორებისათვის.

მაშიასადამე, სამი რამ იყო განსაცვიფრებელი აღერქისანდრე ყაზბეგში: ლოველას გენერალ ჯამბარაშვილის როლის შესრულება პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“, ჩანთური ცეკვა და დიდი ბელეტრისტული ნიჭი.

თითქოს ეს სამი რამ საქმით უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოებისათვის, რათა პატივისცემით მოქცეოდნენ ამ პროზის ფენომენს და აბუჩად არ აეგდოთ მისი სცენისადმი მისწრაფება.

ა. ყაზბეგს, როგორც ბაეშვს, ცოტა რამ სწყინდა და ცოტა რამ ახარებდა. რეცენზენტებისაგან უარყოფილი, იგი ცეკვით ამხიარულებდა თავის ეინიან არტისტობის გუნების. მოწმეთა ჩვენებით, ცეკვაში მას ბადალი არა ჰყოლია. მერე შესახედავადაც რომ ლამაზი ყოფილა!! მაკო საფაროვა-აბაშიძისა ივონებს ყაზბეგის სცენაზე შესვლის პირველ ნაბიჯებს და მის გარევნობას ასე ავეიშეს:

„გარევნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა: ტანალი, დიდრონი, მომცინარე, უფეუნა თვალები, მშევნეორი ტუჩ-ქბილი, ჩატული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ლარიბ სცენის თავის დღეში არ ჰყოლია ისეთი მორთული არტისტი თვით წარმოდგენის დროსაც. ამასთანავე წრეს გადასული ზრდილობიანი იყო. აი ასეთი იყო გარევნულად ახალგაზრდა სანდრო, როცა ერთხელ ჩემი ავადმყოფობის დროს, — გვიამბო შაკომ, — ჩემმა ქმარმა ვასო აბაშიძემ შემოიყვანა ჩემთან საწოლ თოაში და თან დაუმატა: — ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა ქართულ თეატრში და, აბა, შენ იცი, როგორ შეუწყობ ხელსო...“

ჩვეულებით ქვევით და ბარემ მთლიანად მოვიყვანოთ დიდ ადამიანზე

დიდი მსახიობის მოგონება, რომელიც ჩეენი თხოვნით დაგვიწერა. ამ განსვენებულმა მარიამ საფაროვა-აბაშიძისამ:

„მე, ცოტა არ იყოს, ავიმრიზე, რომ ლოგინში მწოლარეს თავს და-მაყენ ასეთი „ფრანტი“, — განაგრძობს შავო, — მაგრამ შემდეგ, რო-კა შინაურულად გავიცანი, დილით საღამომდე ჩეენსა იყო ხოლმე, მი-ზიდავდა აუარებელ ხილს და ყოველის ლონით ცდილობდა ჩქარა მოვ-ლონიერებულიყავ, რადგანაც უნდოდა ჩემთვის წაეკითხა თავისი პიე-სა, არ მახსოვს „აღმზრდელები“ თუ „ცხოვრების თანამოგზაური“, ამ თანამდებობის ერთი. როდესაც წამიერთხა, არ ვიცი პიესის შინაარსმა თუ ჩემი ორგანიზმის სისუსტემ, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ისტერიკა მომივიდა.

სანდრო წამოხტა აღტაცებული, ცრემლები გადმოსცეიდა, თან ტიროდა და თან იძახოდა: — ლერთო ჩემო, არ როდის ვიგრძენ მე პირველი ბედნიერება, ჩემმა პიესამ ტირილი გამოიწევით.

ჩემი გაცნობის პირველი დღიდან არ მინახავს სანდრო, რომ ხელ-ში ქალალდი და ფანქარი არ სჭეროდეს. უბეები და ჯიბეები ქალალ-დებით ჰქონდა გამოტენილი. რაც უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო და ყაყანი, ის მაინც იჯდა და წერდა.

ამიტომ ძალიან გამაოცა იმ ამბავმა, ვითომ იმას ესარგებლოს სხვი-სი ნაწერებით. თავისი მოთხოვნები სულ ნაწილ-ნაწილ ჰქონდა პატა-რა ქალალზე დაწერილი და ბევრჯერ თავიც მოუბეზრებია ჩემთვის იმათი კითხვით.

— ჩემო პატარა ნათლიდედა, — მეტყოდა ხოლმე, — აბა, ცოტა-ხანს ყური დამიგდეო.

მაშინ ნათლიდედა ვიყავი იმისი, რადგან ჩემი შვილი, ტასო, იმისი მონათლულია.

შემდეგ ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით და თითქმის ყოველ ახალ დაწერილ სტრიქონს მიყითხავდა. ვეტყოდი ხოლმე — სანდრო, რაღა მე მიყითხავ, ისეთებს წაუკითხე, ვისაც ჩემზე მეტი ესმის-მეტქი. ამა-ზე მიბასუხებდა: მე შენი ცოდნა კი არ მინდა, შენი ნერები და შენი ინსტრუქტი მირჩევნია იმათ კრიტიკასათ. ამით მომილბობდა გულს და მაინც წამიკითხავდა.

განსაკუთრებით უყვარდა სცენა, მაგრამ, როგორც მსახიობი, ძა-ლიან სუსტი იყო სანდრო. სანდახან ვეტყოდი ხოლმე: სანდრო, მე რომ შენს იდგილის ვიყო, სცენას დავანებებდი თავს და წერას მიეყოფდი ხელსა-მეტქი.

ეს იყო მისი მკელელი აზრი: ძალიან სწყინდა, არტისტობის / რომ
ვუწუნებდი.

ერთხელ ასეთ შემთხვევას პქონდა ადგილი. ეთამაშობდეთ ასალგა-
ზრდა გულუბრყვილო ქალს, რასაევირველია, შესაფერი მანერებით.
სანდრო შემოდის იმავ ოთახში, როგორც სასამართლოს ბოქაული, რო-
მელმაც უნდა აუწეროს ავეჯულობა. პიესის შინაარსით პირველად
ხვდება ამ პატარა ქალს. ისე გაიტაცა სცენაზე ჩემმა თამაშმა, რომ
რამაც ვაკეთებდი, ის იმეორებდა, — ისევე იკლაქნებოდა, როგორც
მე, გავგრაზდი და შევეკითხე: რისთვის მობრძანდით-მეთქი. სწორედ
ამ დროს სუფლიორმაც დაუყვირა, თქვენ თქვენი როლი ითამაშეთო.
მაშინ მოაგონდა თავისი როლი — სასტიკი ბოქაულისა და მეოთხი:
„საად არის მამათქვენი, დაუძახეთ ახლავე აქაო“. მაყურებლებმა შენიშ-
ნეს ეს ნაკარნახევი კილოს გამოცელა. მეორე შემთხვევა კიდევ ასეთი
იყო: „მეფე ლიტში“ ისა და ვასო თამაშობლენ. ერთი ედმუნდის
როლს, მეორე — ედგარისას. დუელის სცენა იყო. სანდრო და ვასო
სცენაზე იდგნენ და ხმალდანმაღ იბრძოდნენ: ამ ხმლის ტრიალის დროს
ვასოს დაეშვა ფრანგული შარვალი იმდენად, რომ ოთხი თითოს და-
დებაზე თეთრი პერანგი უჩინდა. მე ესცენარიუსობდი და შევძიხე ჩუ-
მად კულისებიდან, ტრუსიკი გაისწორე-მეთქი. ამ გასწორების დროს
ისე უხერხულად იტაცა ხელი, რომ პერანგი იმოეწია გვერდზე და გუ-
დასავით დაეკიდა. ჩენ, რასაევირველია, ყველანი აგვალელვა ამ შემ-
თხვევამ, მაგრამ რა კუშველიდით კულისებიდან. მობრუნების დროს
თვით დაინახა, რომ გუდასავით ჰკიდია პერანგი. ვასომ ედგარის სასიკ-
ვლილოთ დაჭრას გაანება თავი, გამოვარდა სცენიდან და ვეღარ. შევ-
გზავნეთ სცენაზე. საწყილი სანდრო კი იდგა სცენაზე და მაინც ვა-
ნაგრძობდა ხმლის პიერში რცობას — ევონა, ვასო ისევ იქა დგასო,
რადგან საშინელი ბეცი იყო. როცა გადაეწუკიტეთ იმედი ემსოს შესვ-
ლაზე, მეტი ღონე არ იყო, შევგზავნეთ შემდეგი მოქმედი პირები, რო-
მელთაც სიტყვები ასეთი აქვთ: „საწყალი ედგარი, როგორ მოუკლავ-
თო“. სანდრომ ეს რომ გაიგონა გააგდო ხმალი ხელიდან და სცენაზე
გაწვა (ის ხომ ედგარის როლის აღმსრულებელი იყო, რომელსაც სცე-
ნაზე ჰკლავენ). რასაევირველია, ამ სცენამ ისეთი სიცილი გამოიწვია იმ
დღეს დამსწრე დიდიალ საზოგადოებაში, რომ ზოგმა ვეღარც კი შეს-
ძლო ფარდის დაშვებამდე დარჩენა და სიცილით გავიდა თეატ-
რიდან.

მაშინ ილია ვაკეთვაძე ძალიან გაბრაზებული იყო და იმანდა: აბა-
შიძემ ეგ განგებ მოახდინა, განგებ ჩინხადა შარვალი, რადგან გუშინ

დავაჯარიმეთო (ილია მაშინ დრამატიული საზოგადოების თამჯდომაზე რე იყო).

საწყალ სანდროს ვერც ამისთანა შემთხვევამ გაუგრილა გულიდა მაინც სცენას თავს ევლებოდა. განსაკუთრებით ცეკვა უყვარდა და სიმართლე უნდა ითქვას, რომ მას ჩაჩნდა ცეკვაში ბალანი არა პყავდა”...

ასე აბოლოვებს თავის მოგონებას ყაზბეგის შესახებ მისი თანამედროვე მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. საფაროვა-აბაშიძისა.

ა. ყაზბეგს უკანასკნელ წუთამდე არ მიუტოვებია სცენაზე ლეკურის თამაში. არ გამართულა ისეთი საქველმოქმედო საღამო, სადაც ა. ყაზბეგი არ ყოფილიყოს გამოცხადებული, ან როგორც მოცეკვავე, ან როგორც დეკლამატორი (სცენაზე კითხულობდა საკუთარ ლექსებს: „გუთნის დედას“, „გულის პასუხს“ და სხვ.). სოთ. მგალობლივილი თავის მოგონებაში წერს: „ყაზბეგი — არტისტი სუსტი იყო, მაგრამ მაგიერში შესანიშნავი მოცეკვავე მოხევურად და ჩაჩნდა ხანჯლებზე; ის ბეკი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალებთან მიიბიზებდა და ისე გაურინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი“... დ. კლდიაშვილიც იგონებს ა. ყაზბეგის ხანჯლებით თამაშს: „გავიკებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო... სამაგიეროდ ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაურად ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით, — მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარტე, თან შიშის ჰევრიდა, „სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს, — ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება“, — ვეუბნებოდი ხოლმე, რაზედაც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინდა“.

ა. ყაზბეგს შექსპირივით უყვარდა სცენაზე გამოსვლა... ორივენი მეორე ხარისხოვანი მსახიობები ყოფილან და აი, აქედან დაიბადა ლეგენდა, რომ შეიძლება მათი ნაწერები სხვისი დაწერილი იყოსო...

ა. ყაზბეგის სცენისადმი გატაცებას იგონებს მისი მეგობარი პოლივეტო კარბელაშვილიც „ცხვილოელის“ ფსევდონიმით:

„განსვენებული მეტად გულჩათხრობილი, მუდამ თაედაკიდული და მობუზული იყო შინ თუ გარეთ მოსიარულე, — წერს კარბელაშვილი, — სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა ადამიანი, როდესაც განსვენებული სცენაზედ სათამაშოდ ემზადებოდა და წავიდოდა შინიდამ: ამ დროს განუწყვეტელს ფაციფულში იყო, ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ, სჩერექდა თავის რვეულებს, პშლიდა და პფურცლავდა 3. ა. გრიშაშვილი, ტ. V

წიგნებს, ინიშნავდა პატარა წიგნაქში რაღაცებს ხან კარანდაშით, ზოგ კალმით, ტანისამოსს ისუფთავებდა და ისწორებდა სარკეში, ერთი სი ტყვით, უმისიოდ უსუფთაობას და არევდარევას ჩევული, ესლა თეთქვენის სადღესასწაულოდ ემზადებოდა, განსვენებული მეტად დაუდევით იყო თავისთავისა და ოდნავაც არ უფრთხილდებოდა. მის ნაცელად იყო იყო გატაცებული თეატრის საქმით და მწერლობით... განსვენებულს მეტად ეხერხებოდა ლეკურ-ჩიჩინურის თამაშობა, — განაგრძოს კარბელაშვილი, — მერე ხანჯლებით! როგორსაც რომელსამე წარმოდგნის შემდეგ სცენაზედ უნდა ეთამაშნა, მეტად მხიარულად იყო ხოლმე: ლილინებდა და მესტებით დასრიალებდა გაპრიალებულ იატავნე. სცენაზე ყველას უნახავს განსვენებულის მოხდენილი ჩაჩნურის თამაში. გვითხვდი: „სანდრო, ეგრე ბეცი რომ ხარ, როგორ ჰედი სცენაზე ხანჯლებით თამაშობას, არ გეშინიან, რომ ან თვით მოიხველოთ სადმე, ან სხვას მოახველოთ მეთქი? — სცენაზე თამაშობის ღროს თითქოს თვალთახედა მემატება და ცოცხლდებით; მოხევეებთან და ჩეჩინებთან მთაში განელილი დღეები მაგონდებიანო, — მეტყოდა განსვენებული“.*

განვითებში მოქალათებული რეცენზენტები უსამართლოდ და უდირდნდ ეცყრობოდნენ ა. ყაზბეგს. აბა, რომელი მსახიობი არ ყოფილა უსტი, მაგრამ არც ერთი არ იყო ისე აბუჩად იგლებული, როგორც სცენაზე საყარელი ბელეტრისტი!

ეს არ უთამაშნია ლეკური (თეთო ნიკოლოზ ბარათშვილსაც კი!), მაგრამ სალაპარაკოდ და საქირდლად არ გამხდარა! თვითონ ყაზბეგიც ალექსანდრის თავის პასუხებში: „ლიტერატურაში თასჯერ გაუკიცხეთ ჩემი სცენაზე თამაში, პიტები, მოთხრობები, ლეკურიც კი სალაპარაკოდ გაუხდით, მაგრამ მე მათთვის პასუხი არ გამიციაო“ („დროება“, 1883 წ., № 137).

თაქმე ის არის, რომ მაშინდელი ქართველი საზოგადოება მის სამწერლო ნიჭს და პირად ცხოვრებას ერთმანეთში ურევდა, არ ამჩნევდა იმ დიდ ტალანტს, რომელიც ნავლწაყრილი ღვითდა და გასაქანს ეძებდა. ნიკოლოზ ბარათაშვილის თქმა: „ვერ ვხედავ ისეთ კაცს, რომ ხელი მომკიდოს, გზაზე დამაყენოსო“, — სწორედ ყაზბეგზეა ზედგამოქრილი.

ა., როგორ სამართლიანიდ წერდა „ქვალი“ მისი გარდაცვალების

* 3. ცხელოველი (პოლ. კაბელაშვილი), „მოგონება ყაზბეგზე“, „უკრავ“, 1893 წ., № 296.

დღეს: „ეეროპის ლიტერატურაში ბევრი არ არის ისეთი ხელოვნები ნაწარმოები, როგორც „ხევისბერი“, „მამის მკვლელი“ და „ელგუჯა“. ასეთი ნიჭი დაგვეხადა, ასეთი კაცი დაღილდა ჩვენს შორის და ჩვენ იგი ვერ ვიცანით. ხშირად მას ლუქმა პურიც არ ჰქონია საცმელადაა სანამ ცოცხალი და ვონებით სრული იყო, მას არც ჩვენ მიერ თანაგრძნობა ჰქონია და არც განკითხა“.*

მაშინდელი ცნობილი ლიტერატორები — დავით კეშელი (ზოილი, სოსლანი), ილია ბახტაზე (ხონელი), ვალერიან გუნია (ვალიკო, ია), იონა მეუნარგვა (ლელო) და სხვები ერთპირად ყაზბეგის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი.

რა შეეძლო მარტოლმარტო დარჩენილ ა. ყაზბეგს? ებრძოლნა? როგორ? რანაირად? თუმცა რეცენზენტების მისამართით, ხანდახან ამოკუნესებდა:

ლამესენ. თორემ მეც დაგრამ,
გამიწყდა მოთმინება.
ჩემი დატული, ცას უფიცა,
დაყრულა ეგვანგამ!

ა. ყაზბეგს არა ჰყოლია გულის შემატევიარი, ქომავი. ერთხელ პიესა „ეხლანდელ სიყვარულში“, ა. ყაზბეგის ავადმყოფობის გამო, მისი როლი მსახიობმა მაქსიმიძემ (კოტე მძინარაშვილმა) შეასრულა. რეცენზენტი აქცა გადასწევდა ა. ყაზბეგს: მაქსიმიძე ძლიერ პბაძავს ყაზბეგის თამაშობას, მასწავლებელი რა არის, რომ მისი მოწაფე რა უნდა იყოს.** ჯერ კიდევ თავისი გამოსელის პირველ დღეებში, ყაზბეგზე ასე წინასწარმეტყველებდნენ: „ბ. მოხევე, ჩემის აზრით არასოდეს არ გახდება ცოტაოდენადაც თეალსაჩინო აქტიორიად“ („დროება“, 1881 წ., № 25). ალექსანდრე ყაზბეგის მთელ რეპერტუარში ჯამბარაშვილი ერთადერთი როლი იყო, რომელსაც კარგად ასრულებდა ჩვენი ბელეტრისტი და აქც შხამი გადასხეს მის გულს.

დავით კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორ ცხარე ცრემლით აუტირებია ა. ყაზბეგი ხონელის ფელეტონს. ძლიერ დავაწყინარეთო, დასძენს იგი.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი ნიჭიერი მეფელეტონე ი. ხონელი ძალიან სასტიკად ეპყრობოდა სანდროს სცენაზე გამოსვლას. ხონელი იმის მომხრეცა, რომ უხეირო არტისტს მქედარი კატები ესრო-

* „ეგვალი“, 1893 წ., № 51.

** „ივერია“ 1886 წ., № 200.

ლონ სცენაზე. აი, მოუსმონეთ ილია ხონელს, როგორის დაცინვით კა-
სენიებს ალ. ყაზბეგი... „ესეც რომ არ იყოს, როგორ პფიქტობო? —
განავრძობს ხონელი,—რამდენი კატები მოგვინდებოდა მუდამ და
სარეცენზიონდ? ხომ მარტო პ-ნი მოხვევე გააქარწყლებდა მაშინ ყველა
თბილისელ კატებს და ხომ მარტო მისდა ჩასავონებლად უნდა გაგვა-
ლო მესრი ამ საცოდავ ცხოველებისათვის“.*

დიახ!

და ყველა ეს, სამწუხაროდ, იწერებოდა „ივერიაში“ და არაეინ არ
გამოესარჩილა!!

იყო ოთხედელშეა გამომწყვდეული თავისი მაიმუნ უაქოთი, გა-
ნაპირდა, განმარტოედა, ჩასახლდა თავის გულის ყაფაზაში და მხო-
ლოდ წერაში პპოვებდა სულის სიმშეიდეს. როცა მკელევარი ათვალი-
ერებს მის სამურეხო მასალებს, განცვიფრებაში მოდის წერის ამ და-
უშრეტელი ენერგიით. თემათა იმ სხვადასხვაობით, რომელიც ასე ჭარ-
ბად ახასიათებს ყაზბეგს.

აყი თეოთონვე უძღვნა თავის თავს ასეთი მუნასიბი:

იმ მოხევეს, ყოვლად ბრძანა,
მას მიეცა ურთ ყოველის სურას,
კატას მედარსა, ვაშლს დამპალსა,
ლირსიც არის, მაგ და ნ ს რ ა დ ს წ ე რ ს წ**

ჩემს ხელთაა მისი ლექსების დავთარი, რომელიც განსვენებულმა
ილექსანდრე ჭაბადარმა გადმოსცა ჩემს ბიბლიოთეკას.

ამ რვეულიდან მინდა აეტომიოვრაფიული ხასიათის ლექსი მოე-
ყანო. აქ ნათლად ჩანს ის მძიმე ატმოსფერო, რომელშიაც მოღვაწე-
ობდა მთის უცნაური შეილი. ალ. ყაზბეგი თავის რეცენზენტებს ამ
გელმოსული ლექსით უპასუხებს, რომელიც ჩვენს ნარკვევში პირვე-
ლად ქვეყნდება. ანდა ვინ დაუბეჭდავდა ამ პასკვილს, რომელიც გაბ-
რაზებული გუნების დროს მოსხლეტია მის დიდებულ კალამს. აი, ეს
ლექსიც:

ობოლი, გულით ობოლი,
რად არის გაჩენილია?
შესამრალია ბეჩავი,
სიპ ქვაზედ დარჩენილია.

* იხ. „ივერია“, 1886 წ., № 178.

** ა. ყაზბეგის ლექსით დავთარი, გვ. 216 (ჩვენთან ინახება).

ରା ଏହ ଭୂଷାନ୍ତିପ୍ରେସ ଦାନୀଙ୍ଗର୍ମୁଲ୍ଲା
କୃତ୍ତା, ଶ୍ଵେତିର, ପରାମା.
ରାତ୍ରି ପିତାଙ୍କ ଶ୍ରେମିନ୍, ପ୍ରତାଳା,
କନ୍ଦମନ୍ଦିରା ଶ୍ରେଷ୍ଠିନ୍ ଶ୍ରେଣୀ?

ଏହ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରା ଲାଗିଥ ଶମ୍ଭାନ୍ତି,
ଦୁଇଶ୍ରେଷ୍ଠ ବାନତ୍ତେମିଶ୍ରାନ୍ ତ୍ରୈଲାହ,
ଲାହିଲା କ୍ରୋଧିଲ୍ଲା ମନ୍ଦମେଲନବୀ
କେମିଶ୍ରେଷ୍ଠ ବାନତ୍ତେଶ୍ଵର ପ୍ରତାଳା.

ଏହିଏ କଣ କିମ୍ବିନ୍ କା କଣିର୍ବେଳା,
କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା,
କାନ୍ତିପ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରା, କିମ୍ବିନ୍ ଏହିବେଳା,
କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା.

ଏହ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରା, ଏହ ଲାହିଲା,
କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା,
କାନ୍ତିପ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରା, କିମ୍ବିନ୍ ଏହିବେଳା,
କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା.

କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରାଙ୍କାଳା
କାନ୍ତିପ ଶ୍ରେଷ୍ଠମନ୍ଦିରା, କିମ୍ବିନ୍ ବେଳା,
କାନ୍ତିପ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା,
କିମ୍ବିନ୍ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା.

ମାର କିମ୍ବି କିମ୍ବି ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରାଙ୍କାଳା,
କାନ୍ତିପ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା,
କାନ୍ତିପ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା,
କାନ୍ତିପ ପିତାଙ୍କ ବାନତ୍ତେଶ୍ଵରା.

ଯୁଦ୍ଧବ୍ୟାପକାଳରେ କିମ୍ବି କାନ୍ତିପ,
କିମ୍ବି କାନ୍ତିପ ବେଳା,
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ ବେଳା,
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ ବେଳା.

କିମ୍ବିନ୍ କାନ୍ତିପ ବେଳା, କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ,
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ ବେଳା,
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ ବେଳା,
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ ବେଳା.

କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ.

କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ
କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ କାନ୍ତିପ.

მაგლენი ერთად შეცრილან,
 ცხეირით გადენენ ძმასსაო.

ობოლი, გულით ობოლო,
 რადა ხარ გაჩენილია?
 შეიბრალევით ბეჭედი,
 სიმ ქვაშეღ დარჩენილია!

არავინ შეიბრალი! ხელი არავინ გადაუსვა! სიმ ქვაზე დასტოვეს,
 მოლისულ გზაზე დააყენეს. არავინ დაუყვავა, არც „სატრფომ გულისა“
 და „არც ძლიერთა იმა ქვეყნის კაცებმა“.

ყაზბეგი ერთ საპოლემიკ წერილში წერს: „ჩენს სამწუხარო დრო-
 ში ადამიანის ადამიანურად მოქცევა სამაღლობლად გაგვიხდაო“... ძნე-
 ლად თუ მოიძებნება იმისთანა მწერალი, რომელსაც ამდენი სიკეთე
 მიუძღვდეს იმ შევბრულ დროში და ასე განწირული, სიმწარნაჭამი ჩა-
 სულიყოს სამარეში. და აკი „გულით უნდოს და სულით მსახვრალს“
 სავიეტში იმოხდა სული 1893 წლის 10 დეკემბერს, 45 წლის კა-
 ბუქს... მაგრამ ა. ყაზბეგი უკედავია! „ივერიის“ თქმისა არ იყოს, „ორ-
 ჟერ დაძადებულს, ერთი სიკედილი ვერას უზამს“.

ქართველმა საზოგადოებმ ალექსანდრე ყაზბეგის კუბო დიდის ამ-
 ბით მიაცილა უკანასკნელ სავანემდე — სოფ. სტეფანწმინდამდე. სამ-
 ხელრო გზატეცილი ეტლებით იყო დასერილი... ეს არ გამორჩენა
 უანდარმერიას... შევბრული რეაქციის მოციქულებს მისი სიკედილიც კა
 შეშურდათ! ისინი ჩვენი მწერლების განსცენებაშიაც კი ხედავდნენ რა-
 ღაც „სეპარატიული მოძრაობის“ ჩანასახებს.

ა. რასა წერდა პოლიციის დეპარტამენტისადმი გავზავნილ წე-
 რილში თბილისის უანდარმთა სამშართველოს უფროსი 1894 წელს, 7

* ამ ლექსში, ჩემს მიერ ხაზგასმულ გვარებში, ნაგულისხმევია შემდეგი პირები:
 დავით სოსლანი (დავით ქეჩელი; წერდა „ზოილის“ ფსევდონიმითაც).
 კომერი ხონელი (ილია ბახტაძე).

ლელი (შეუნარებია იონა).

მალი-ვალი (ვალ, გუნია).

კლდე მაგარი (მ. ვალელის-კარბელაშვილის წიგნი: „კლდე მაგარის ციხეში“),
 მარების პუც (ცერ გავიგე ვინ იგულისხმება).

ხუმარა (გამოურკვეველი ჩემთვის).

ღონ-ენი (დავით ერისთავი).

კავთელი (ივანე გაგანაშეილი).

ახაზარ (არტემ ახაზაროვი).

გოლორა (გრ. ყიფშიძე).

ილია (ი. ვაკევავაძე, ყაზბეგის წმინდა ილიასთვის შეუდარებით).

მარტს 6. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენების და აღექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების გამო (იმ დოკუმენტს მთლიანად მოვიყენათ): „ქართველებმა ხელახლიდ წამოაყენეს მივიწყებული საეკითხო ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ... განსაუკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან ჩაღაც ძელები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადატიოდა და ორამც თუ ყველა წოდების პირები ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წალებაში, ორამც ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს ტარებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შეილები, ასოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“...

მეფის ყანდარმერიის აგენტების მიერ ეს ვითომდა დამცინავი და ზიზღით ნათევამი სიტყვები, ამჟამად ჩვენში იწვევს ეროვნული სიამყის გრძნობას, რომელსაც თავგამოდებით ებრძოდნენ მეფის შევრაზები.

იმავე აშიაზე ყაზბეგის გასვენება კი ყანდარმერიას ასე პროვოკაციულად აქვს აღწერილი:

....გასული წლის დეკემბერში გარდაცვალა ტფილისის საავადმყოფოში ქართველი ბელეტრისტი ა. ლ. ე. ქ. ს. ა. ნ. დ. რ. ე. ყ. ა. ზ. ბ. ე. გ. ი. ეს მწერალი დიდი სანი იყო სულით იყალმყოფი და იტანჯებოდა. სიცოცხლეში მასზე სრულიად არავინ არა ზრუნავდა და არც ფიქრობდა. მაგრამ მოკვდა თუ არა, ქართველებმა ასტეხეს ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ემცნოთ თუ მთელი ქვეყნისათვის ცერა, კავკასიისათვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ (როგორც ეს ჩაიდინეს სომხებმა არწიულის გასვენებაზე). მიცეალებულის გვამის დაკრძალვა ერთი კვირით შეაჩერეს და ყოველ დღე რამდენიმეჯერ იხდიდენ პანაშეიდებს, რომლებსაც დიდიალი სახოგადოება ესწრებოდა (განცხადებანი ამის შესახებ ყოველ დღე იბეჭდებოდა ყველა დღილობრივ გაზეოთში). როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, აგრეთვე ყაზბეგის გვამის დიდი პატივით დასაფლავება, უნდა ვიგულისხმოთ, მოხდა სომხების ზეგავლენით, რომელთაც იმედი პქონდათ, რომ ეს ამბები გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას, რომლის დროსაც უიპველად ექნებოდა ადგილი დიდ სისხლის ღერას, თუ სახეში მივიღებთ ქართველების თავმოყარებას და სიფიცხეს“.

ა. პირწავარდნილი პროვოკაციაც ამასა ჰქვიან!

ა. ყაზბეგს სწამდა და ეს იყო მისი ერთადერთი ნუგეში, რომ „დალ-

Հայա օլետու գրո, հռոց հիմս Լանգելս Սեպանական անսենքնէնո» (գ. Հայոց ամբողջ ամոցանեցնու)».

Երտ թիւրունի ալլայիսանդրու տացու գրեգու թիւրդա: «Ճա Շաքուշեալ և յ յ ա ր տ զ ը լ ո ս յ ա ր ը ծ Շ ո գ ո ւ դ ը ծ ո տ!» մաս Տիգրունա տացուն նույն գամելլեռնա, ու ցիրճունելու անալու յարութելուն մոաթլունեան և ամուրումաց ուղու, հռոմ անց տամամալ ուսուրպաց:

Յոյց գրո, Մանամանահնո
մտանուա Մերնմիւցան,
յահու լապյուռունեան մեղցահու,
Ըստ պա լապյուռունան,
յուշ մոխա Մերնմիւցան,
Ե՞ Ցունու ունաց մուշտյացնո
լամ-յուղեսապ մոյրուցան.

Յոյց գրո, լամացրունեան
մամաւա մոյլուցան,
յահուն Շագունու Մեյրունու,
յահու եղումաց ցագյլուցան;
ցուցունցան աւրունեան,
յուշտյունու Մեպուլունունո
հանցիւց-իսկուցան.
Յոյց գրո, նանցրեցու Շոհուն
մուլունու ավսացրունան,
մմոմելուսցան տացու նամունո
մմոմելունու ալոնիւնունան;
ցիւնելունու նահրուցն ամսիւցն,
յուշտյուն լապյունունունան,
յուշտյուն նուժեմաց մնատունո
լապյուռունու ցամրիւնունունան.

Յոյց գրո մլուց-մոսունու,
յահուցու Մոհուն ամուր
յուլուտ-յուլումլու ցամսուն
յանուրու միացալ-յամուրու
ունցան: «Ցամենահունունու,
յահուցու կուզունու նախուննու,
յուլու կուլագունունունունու,
օլուսելուն, միացալ-յամուրու».

ეს დროც დადგა... და ალ. ყაზბეგი აღარ არის მარტო, გულით ობორი ლი. მისი შესანიშნავი ნაწერები მტკიცედ შევიდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ოქროს ფონდში და მთელი ხალხის საკუთრებად გადასახლდება.

1944 წ.

ჩამი მარავლებალი — ლალიონი

მაშინ, როცა ლალიონი მოევლინა ჩვენს გიმნაზიას, იგი ჩვენთვის იყო მხოლოდ მასწავლებელი არსენ მამულაიშვილი და არა ცნობილი ბელეტრისტი, რომელიც ლალიონის ფსევდონიმით წერდა.

მე კარტულ „ქართულ სათავადაზნაურო“ გიმნაზიაში. დღესაც არ ვიცი, რად ერქვა ამ სასწავლებელს „სათავადაზნაურო“, რადგან ჩემისთანა ხელოსნის შვილები იქ ბევრნი იყვნენ.

ქართული ენის მასწავლებლად ორი პედაგოგი მახსოვეს, ილექსანდრე ნათაძე და არსენ მამულაიშვილი. ნათაძე პირველ განყოფილებაში გვასწავლიდა, მამულაიშვილი კი, თუ არ ვცდები, მეორე და მესამე განყოფილებაში. ეს იყო 1897—1898 წლებში.

სასწავლებელში ცუდად კარტულობდი, მივაღწიე მხოლოდ მესამე განყოფილებამდე, პირველ და მეორე განყოფილებაშიც ორ-ორ წელიწადს ვიჯექი. ერთი სიტყვით, მე თვითონ არ ვიცი, რად ხდებოდა ასე. საიათნოვას ლექსის არ იყოს:

ვის დაფაბრალო, რისაგან არის,
ვგონებ... ჩემი უბედური კეკისაგან არის.

ისე კი ძალიან ცელქი ვიყავი, ფიცხი, მოუსვენარი. არსენა მამულაიშვილი დედაჩემს ხშირად იბარებდა სასწავლებელში. საწყალ დედას ილაზი ჰქონდა გაწყვეტილი იქ სიარულით...

გიური მარტივების მთელი დასი მყავდა: ქავთარაძე, ანგლიკოვსკი, მაჭავარიანი, გ. ჩუბინაშვილი (შემდეგ კომპოზიტორი), დ. ჩხეიძე (თურქოსპირელი), კოტე გაგალიძე, სულიერაშვილი და სხვ. მე მათ მეთაურად ვითვლებოდი... პედაგოგმა ნათაძემ იცოდა, რომ თბილი-სელი ვიყავი — მის სახლშიაც დავიარებოდი. პურის მოედანზე (კოლორითალის უბანში) ცხოვრობდა. როცა ჩავიჭრებოდი, იგი შინ მამზადებდა. პოდა ერთხელ, მორიგი გავავრების დროს, მოთმინებიდან გა-

მოსულმა ნათაშემ მიმითითა ფანჯრისავენ, საიდანაც თავზე თაბახდა — გმელი კინტო მოსჩანდა და მომძახა: „აი შენი ბოლო!...“

ჩემს მასწავლებელთა შორის მახსოვეს: გ. იოსელიანი — ხამტოთ სჯულის მასწავლებელი, ქიდავიძე გვასწავლიდა ანგარიშს, ზ. ჩხილაძე — მუსიკას, მრევლიშვილი — ხატვას, კორხანიძე — რუსულს. ექვთიმე თაყაიშვილი დირექტორად გვყვადა. პირტო კ. მაყაშვილი კლასის დამრიგებელი იყო, ხოლო ჩემი საყვარელი არსენ მამულაშვილი ქართულ ენას გვასწავლიდა.

არსენ მამულაშვილს ერთი აუგი არ უკადრებია ჩემთვის, ჩემს „დასს“ ძალიან უყვარდა იყო. მშევნეობი სახე ჰქონდა, ოდნავ ფერმქრთალი და ჩაქცეულთვალებიანი. შავი ულვაშები შვენოდა მის ნათელ ნახაზიბას. ტანად მაღალი და ზედმიწევნით მომთმენი და წყნარი იყო. არც ერთი მაღალი სიტყვა, არც ერთი შეძახილი თითქოს თავისი ლაპარაკისა თვეთონვე სცხვენოდა. ასეთი მახსოვეს ლალიონი ათი წლის ყმაშვილს... ამ გიმნაზიიდან ქართული წერა-კითხვის მეტი სხვა არაფერი გამომყოლია და ასე მგონია, რომ ამაში თავისებური ლამწლი მიუძღვის ალექსანდრე ნათაშეს და არსენ მამულაშვილს.

მე მიყვარს ახალგაზრდობის დროინდელი სურათები. ჩემს არქივში ინახება ქართულ გიმნაზიაში გადალებული ჭგულური სურათი, სადაც ლალიონი შეუაში გვიჩის და ჩვენ, მისი მოწაფენი კი გარშემო კუსხედვართ. ეს სურათი არც ერთ ჩემს თანატოლს არა აქვს... მახსოვეს, დედაჩემა მანეთი გამატანა ამ სურათის შესაძენად. მე მას დადი სიყრთხილით ვინახავ ჩემი მასწავლებლის, ლალიონის მოსაგონებლად.

კიდევ ერთი დეტალი:

როცა გაეიზარდე და ლექსის წერის ნაპერწკლიანობაც აღმომაჩნდა, ჭ. კ. ს.-ის წიგნის მაღაზიის წინ, სადაც ხშირად ჩვენი მოღვაწენი იყრიბებოდნენ, შემხედა დიდი ხნის უნახავი ლალიონი. მაშინვე ვიცანი. სახე გამეშალა და მიეკალმე. იმანაც ქუდი მომიხადა ზრდილობიანად.

— რა გვარი ხარ? — შემეკითხა ჩემი პედაგოგი.

— გრიშაშვილი.

— აი, ლექსებს რომ სწერს?

— დიახ, ჩემი ნამდვილი გვარი მამულაშვილია. — ვიცოდი, განარდებოდა და იმიტომ გაეასენე ჩემი გვარი. — მე თქვენს გვარს ვინათეს-ვები ერთი ასოს გამოკლებით.

— დაიცა, დაიცა, სადა სწავლობდი?

— ქართულ გიმნაზიაში... მაგრამ არ დამიმთავრებია...

— რატომ?

- რა ვიცი, მამა გარდამეცვალა, დედა გამითხოვდა, სასწაულო ფული ვერ მოვაგროვე.
- რომელი კლასიდან დაგითხოვეს?
- კლასიდან კი ორა, მესამე განკოფილებამდე მივაღწიე... მე თქვენი მოწაფე ვარ!
- მერე სად დაიკარგე, ბიჭო? ილარ გაგიგრძელებია სწავლა?
- ჩემი უნივერსიტეტი თეატრი იყო.
- ო, რა გრიგორი იყავო.
- ეხლა ვალერიან გუნიამ შემიცრდომა. ამჟამად ქართული თეატრის მოკარნახე ვარ.

— აბა, ეგ რა ხელობაა? უნდა სწავლა განაგრძო, განვითარდე, უცხო ენებს დაეწაფო, დიდი მწერლები იკითხო, უნივერსიტეტი ინახულო, საზღვარგარეთ წახვიდე.

მე ვდეუმდი... უნდა მეთქვა, რომ ობლად დარჩენილ ბიჭს სად შეუძლიან მაგდენი რამ?.. უნდა მეთქვა, რომ განა შექსპირის, შილდერის, ჰაუპტბანის, იბსენის და სხვათა სახელები პირველად სუფლიორის „ბუტკაში“ არ გვიყიონე მათი პიესების სუფლიორობის დროს? — მაგრამ ილარ მიპასუხნია... ისედაც ბევრი სიტყვები დახარჯა ჩემთან მუსაიფის დროს ჩვეულებრივ სიტყვაძუნწმა ლალიონმა — ხელი ჩამოვართვი და გამოვემჟიდობე.

გამოთხოვების დროს მხოლოდ ეს მითხრა:

— ცოტა... სხვა თემა ითრჩიე: ქილი არა ლირს იმად, რომ ამდენი ხოტბა შეასხა...

ეს საყვედლური არაერთხელ მსმენია...

ადვილი სათქმელია — „სხვა თემა ითრჩიე!“...

დაილოცის ახალგაზრდობა!

რა თემაზე უნდა მეწერა ოცი წლის კაბუქს?

საპასუხოდ ჩემი ლექსი გამოდგებოდა — „სამშობლოს ნანგრევებში“, მაგრამ განა მაშინდელი ინტელიგენციისათვის „გრიშაშვილი“ ცარიელი ბეჭრა არ იყო!

...ო, სამშობლო, შენს ულის შეილი,
მონას, მხდალსა და უბედურს,
ნუ, ნუ დამდებ ბრალს წაუშლეს,
ნუ მომასმენ შენს საყვედლის,
ნუ, ნუ მეტყვე, ჩემი შუბა
რომ ყოველთვის ერთსა სწმახავს,
მა, რა ვცხო, გენაცვალე,
სად ყუფილეარ, რა შინახავს?

შოთარ ჩამე მე, ბედით კრულს,
 უგზოდ, უკალოდ, უქმად მავალს,
 მითხარ ჩამე, რომ გვეცენი
 აწყუოს, წარსული, და მომავალს,—
 მაშინ თეთი მეც გარდვიქმნები,
 მაშინ მუზაც თვალს გაახელს,
 მაგრამ ჯერ კი, გოხოვ, სამშობლოვ,
 ნე წამართმევ მუსინის სახელს!

როდის დავწერო ეს ლექსი? ალბათ ლალიონის შეხვედრის შემ-
 დეგ. ნეტა მოასწრო ამ ლექსის წაკითხვა განსევნებულმა? და თუ გა-
 ცნო, ალბათ, მომიტევებდა ერთ თემაზე წერას.

1944 წ.

გარათაშვილის აღმართი

ისე იცვლება თბილისის ზოგიერთი ქუჩის იერი, რომ ხშირად ვერც
 კი წარმოიდგენს კაცი, რა სახის ქუჩა უნდა ყოფილიყო ძელად!

ბარათაშვილის (ყოფილი ციციანოვის) აღმართის დასაწყისი ჩუ-
 ლურეთის გაერძელება (რიყის, ჩულურეთის და ავლაბრის მიჯნა).
 პლატონ იოსელიანის სიტყვით (იხ. „Описание древностей г. Тиф-
 лиса“), ციციანოვის აღმართის კლდის წვერზე გაშენებული ყოფილა
 ორი სასახლე: ერთი გურიის მთავარს, ხოლო მეორე — სამეგრელოს
 მთავარს ეკუთვნოდა. ეს სასახლენი აღა-მაპმად-ხანის თარეშის დროს
 დაუნგრევიათ ხოჯას განკარგულებით. ის უზარმაზარი ცრემლიანი
 კლდე კი, რომელიც აღმართზეა გაჭიმული, წინათ გაუკრელი იყო და
 დარიის მონასტრისკენ, მეტების ციხემდე მიდიოდა თურმე.

სწორედ იმ დღისას, სადაც იმჟამად ეს აღმართი თავდება, მეთ-
 ხუთმეტე საუკუნეში აღმართული ყოფილა გალავანშემოვლებული და
 ქონგურებიანი ციხის რამდენიმე კოშკი, რომლის ნანგრევებზედაც ამ-
 ჟამად ქართული სტილის აივნებია გაღმოკიდებული. სწორედ ამ უბნის
 ბოლოში, „სურბ-კარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთით, ავლაბარში,
 ზედ გორაზე ერთოთახიან იაქათალის სახლში“ ბინადრობდა დანიელ
 ჭონქეძის მოთხრობის პერსონაჟი მკითხავი ვარდუა.

ამ არემარეზეა ივებული აგრეთვე ის ცნობილი ყაზარმები, რომ-
 ლებიც ერთ დროს საპატიმროს მოვალეობას ასრულებდა და სადაც
 სასჯელს იხდიდნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე მწერლები—

დომიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსან-
დრე ორბელიანი და სხვ.

აელაბარი ანუ ისანი მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, მაღ-
ლობზე. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი, საიდან წარმოს-
დგება სიტყვა აელაბარი. ზოგიერთის ვანმარტებით, „აელაბარი“ ნიშ-
ნავს ავლას ბარზე, ე. ი. მინდორზე, რადგანაც მტკვრის კიდიდან რომ
აელაბარში ახვიდეთ, კარგა დიდი აღმართი უნდა „აიაროთ“ (ივ. როს-
ტომაშვილი: „ენციკლოპედიური ლექსიკონი“). უფრო დაახლოებითი
ასენა მოგვია, პირადი საუბრის დროს, აკადემიკოსმა ნიკო ბერძენი-
შვილმა. მისი აზრით, „ისანი“ და „აელაბარი“ შემოტანილი სიტყვებია
და დაკავშირებულია ციხე-სიმაგრის, ციხე-დარბაზის ანუ სასახლის
მიღამოების მცნებასთან...

ცნობილი ქართველი გეოგრაფოსის ვახუშტის დროს ძელ ისანს
(ანუ ისნის) უკვე „აელაბარი“ ეწოდებოდა.*

სიტყვა „აელაბარი“ დავით გურამიშვილსაც აქვს მოხსენებული
თავის ისტორიულ პოემაში:

ახსა ბატონსა წინა დღითეე მზადა უვანლა თეისი ჭარი;
იგ არ ესმა, წამოეიდა, დაიპირა ავ ლა ბარი;
ნარიყალა მიშმაშს ეპურა, შიის-ტანტი, ციხის ჭარი.
რა მივიღა, ფაცხლავ მოსცა, გაიყეთა მუნ საფარი.**

„აელაბარი“ მოხსენებულია მე-19 საუკუნის ერთ ხალხურ ლექს-
შიც:

პასკევიჩი შაიგაზმა,
წელს შემაირტყაეს სმალსაო,
ქალაქში რომ ჩამოვიდა,
გაშინგას სამართალსაო,
კურ სასამართლოს გაშინგაში,
მერმე კი ავ ლა ბარ ს აო,
თავის საომარ სოფლებსა
გადავლებდა თეალსათ!***

ითანე ქართველიშვილი, მე-19 საუკუნის დასაწყისში თავის მემუ-
არებში აღნიშნავს, რომ „დარიის მონასტერი“ ავ ლა ბარ ში იყო

* იხ. „აღწერა სამეფოს საქართველოსა“, თამარ ლომოურის და ნიკო ბერძენ-
შვილის რეადიციით. 1941 წ., გვ. 54.

** დავით გურამიშვილი, ილ. ბარაბასის წინასიტყვაობით და ჩედაქეციით, 1948
წ., გვ. 116, 117.

*** იხ. ფერ. „კრებული“, 1873 წ., № 10. გვ. 7., (ჩაფ. ერისთავის ჩაწერილი).

აშენებული; იგი წერს: „...იმერეთიდან მოველ თბილის 1802 წელს
ვახლდი დედოფალს დარიას ავლაბარში“.*

ისანი ძევლი სიტყვაა: „ისანი“, „ისნელთა“, „ისნის მთან“, „ისნის
ველი“, „ისნის ცისკარი“... მე-11 საუკუნის ძევლი „მატიანე ქართლ-
სია“, თბილისის გარემოცვასთან დაკავშირებით, ისანსაც იხსენიებს:
„...ხოლო ის ნელთა ჩააგდეს ხიდი და ორა მოსცეს ის ანი, და
უდგეს ფილავავანნი, ბრძოლეს ისთა და ისნის ველთა მოვიდეს კახ
მეცე გაგიქ და ერისთავი გოდერძი და ყოველი დიდებულნი კახეთი-
სანი დარბაზობად ბაგრატისა“.**

ძევლად დელაბარში ასასელელი სამი დიდი ოღმართი იყო: მეტეხი-
სა, სირაჯხანისა და სურბ-კარაპეტისა. ციციანოვის ოღმართი კი, იმ სა-
ხით, რა სიხითაც მან საბჭოთა ხელისუფლებამდე მოაღწია, გაკეთდა
1886 წელს; ამის შესახებ განხეთ „დროებაში“ კითხულობთ: „ამჟამდღ
კითდება დელაბარის გზა, რომელსაც ციციანოვის ოღმართი ეძახიან. ეს
აღმართი რიყილან აღის ყაზარმის წინა ქუჩამდის, სიგანე იმოდენა უქ-
ნება, რომ ურემსა და ფარეტონს დავილად გაეცლება და ორც ასელი უქ-
ნება ძნელი“ (იხ. „დროება“, 1886 წ., № 123).

1885 წლამდე ექ იყო საცალფესო ბილიკი. გზა ისეთი კიშრო ყო-
ფილა, რომ განეთების ცნობით, ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ
აუქციებდა; ერთხელ „საკახო გზიდას“ (ასე ეძახდნენ ყოფილ კახეთის
ქუჩას) გაგიუბული კამები გამოქცეულა და ვინც ამ ბილიკზე დახვედ-
რია, ყველა გაუწივეტია.

პირველი ბილიკი ამ ოღმართზე გაუყვანია — ფარსადან ციციშვილს,
რომელსაც ამ მიდამოებში საკუთარი მამულები ჰქონია. ეს მომხდარი
გასული საუკუნის 40-იან წლებში გენერალ სოტნიკოვის გუბერნატო-
რობის დროს. ლუკა ისარლოვის ცნობით, ფარსადან ციციშვილს ბი-
ლიკის გასაქრელად თავისი ყმები გამოუყვანია და რადგან ძნელი სა-
მუშაო იყო, მთელ დღეს დაფასურნას აქვრევინებდა, რათა მუშებში
ხალისი გამოეწეოა. ბევრს ეგონა, რომ ეს ოღმართი მთავარმართებელ
პავლე ციციანოვის სახელს ატარებდა, ისე როგორც ალ. ჭავჭავაძის
ქუჩას დიდხანს იღია ჭავჭავაძის ქუჩად სთვლილნენ. მემამულე ფარ-
სადან ციციშვილი, რომლის სახელიც რევოლუციამდე ამ ოღმართს

* იხ. იოანე ქართველიშვილის „მეტუარები“, აფ. იოსელიანის გამოკლევეთ,
რედაქციოთა და შენიშვნებით, 1952 წ., გვ. 95.

** იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისუფლი ნუსხა, ს. ყაფებიშვილის რე-
დაქციოთ, 1942 წ., გვ. 186 (და წყაროსე მიგვითოთა შამისა ზერბძიშვილმა, რომე-
საც მაღლობის მოვასენებ).

ქეონდა შერჩენილი, შეძლებული თავადიშვილი იყო. იგი დაახლოებული ყოფილა ბატონიშვილებთან და საკმაო დიდი გავლენითაც სახელმძღვანელობდა. რევოლუციის შემდეგ ამ აღმართს ცნობილი რევოლუციონერის კალიავეის აღმართი დაერქვა, ხოლო 1944 წელს — ბარათაშვილის აღმართი.

ამ აღმართის გამოღმა, ე. ი. მარჯვნივ, ანჩისხატის ეკლესიის ჩასწერივ, მტკვრის ნაპირას, ხშირად იქრიბებოდნენ ჩვენი ლიტერატორები — „ცისკრის“ თანამშრომლები — და მსჯელობდნენ მშობლიურ ლიტერატურაზე. აქ დაიწერა ნ. ბარათაშვილის „ჩინარი“ და „ფიქრის მტკვრის პირას“. აქ ზაფხულობით, პატარა ლხინის დროს, თარის უკრავდა სილნალელი პოეტი დომიტრი ბერივეი. აქ ჩისისა დანიელ ჭონების მოთხოვნა — „სურამის ციხის“ იდეა. ეს ადგილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო ვასართობი და სასაუბრო კლუბი ჩვენთა მწერალთა ორმოციან წლებში...

დღეს 26 კომისრის რაიონს, ყოფილ აცლაბარს, ფართო და ლალი მაგისტრალი აერთებს დედაქალაქის ცენტრთან. ვაფართოებამდე ამ აღმართის სიგანე შვიდი მეტრი იყო, ამავად მისი სიგანე 24 მეტრია, დაქანებაც ერთი ორადაა შემცირებული.

ასეთია ახალი თბილისის ეს ერთ-ერთი ლამაზი კუთხე!

როდესაც ამ აღმართიდან თბილისს გაპყურებთ, თეალტინ გადაგე-შლებათ ყველა ის ადგილი, სადაც ბარათაშვილს ჭაბუკური ცსოვერება გაუტარებია. მართლაც ბარათაშვილის სახელი უნდა რქმეოდა ამ შშენიერ აღმართს! მისი სილადე და ზევით ატყორცნილი ფრთა თითქოს ბარათაშვილის რომანტიკულ ბუნებას ეხმიანება. რა კარგი ცენტრია, რომ ამ კლდოვან მაღლობს ზევიდან ლამაზად გადმოჰყურებდეს ბარათაშვილის მერნის ქანდაკება, რომლის ლტოლვაც მამა-დავითის მთისკენ უნდა იყოს მიმართული.

1944 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ციხა ცერს“ და ალექსანდრე პავლავაძის „ცერსა გნელს“

მე-19 საუკუნის პირველ წლებში მეტად გავრცელებული იყო ერთი რუსული სიმღერა: „Черный цвет, мрачный цвет“... ყველა პესომისტი პოეტი თვეისი სულის განწყობილებას სამგლოვისრო ფერით ჰქონდა. პუშკინის დროინდელ რუს პოეტ ვ. ბენედიქტოვს და ცეკვ

Сხვасаც აქვს ასეთი სათაურიანი ლექსები: „Черный цвет“. ეს ვადა ურბანული მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც თინათინობს. მაგალითად: ვინც მშვენიერ ელენეს ასრულებდა ამავე სახელწოდების ოპერეტაში, თითქოს ავალდებულებდა თავის თავს, რომ ამ ბერძნულ ამბავში წმინდა რუსული სული ჩაედავა და ემღერა „მოსკოვურ ყაიდაზე“ („Замоскворецкий лад“) ეს ჩვენი ნაცნობი რომანსი: „Черный цвет, мрачный цвет“...

ეს მოდა თბილისის სალონებშიც გამოვიდა! პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ქალს, ნინო გრიბოედოვისს, გადაუთარგმნა ეს ცნობილი ლექსი სასიმღეროდ, რომელიც ქართულად ასე გვედავრიშება:

ლერსა ბნელს, ლერსა შევს,
მე ვეტრიფი მარად ეამს.
ართდეს ლერსა სჩეს
არ ვეტრიფო, ვფრეავ ცას.

არას ძალს, არას გვამს
არ აქვს ეს უფლება,
აშორეოს ლერსა შევს
ჩემი ტრიუმფება.

ნე მეოთხავთ, ლერსა შევს
რად ვეტრილიალები?
პეიშრობენ, — და რა ვჰყო, —
საყეარლის თვალები!

გინდ შე მან სასურმან
მავიშურს ამავ წამს,
მით ვტრიოდე უდრევეად,
ლერსა ბნელს, ლერსა შევს.

ლერებში ვილოც შევს,
ცხოველში მას საგანს, —
მას შეერთამ ჩემსა სულ
მარად მისს შეწირულს.

სოფლითაც განსვლის ეამს
დასუტრებ ლერსა შევს,
და ვიდრემდის ეკოცხლობ,
თვალს არ მოეაშორებ.

ნინო ჭავჭავაძის სულიერ განწყობილებას ეგუებოდა შევი ფერი. იგი, როგორც ცნობილია, თავისი ქმრის — გრიბოედოვის გარდაცეა-

ლების შემდეგ ქვრივად დარჩა და თალხს ატარებდა საყვარელი მეურ-
ლლის ერთგულების ნიშნად: „ის (ე. ი. შავი ფერი) მექნება მარიდ მის
(ე. ი. გრიბოედოვის) საგნის სახსოვრად“.

საქართველო
სახალხო კულტურა

მოისმინეთ—

სოფლითაც განსცლის გამს,
ესტურებ ფერსა შევ,
და კოდრების კოცებლობ,
თვალს არ მოვაშორებ.
ას მექნება მარად
გის საგნის სახსოვრად.

ეს ბოლო ორი სტრიქონი მთარგმნელმა ა. ჭავჭავაძემ თვითონ მი-
უმატა დედანს: რუსულში ეს ორი სტრიქონი არ არის და არც ჩეენ
შეგვიტანია ა. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში...

როგორ გამოეხმაურა ნ. ბარათაშვილი ამ ლექსი? აშეარაა, ნიკომ
იცოდა ამ ლექსის ორიგინალიც და მისი ქართული თარგმანიც. მაგრამ
ახალგაზრდა პოეტი გამოეხმაურა არა დედანს, არამედ ჭავჭავაძის თარ-
გმანს. ბარათაშვილმა „შავი ფერი“ შესცვალა „ცისფერით“, რომელიც
ასე დამახასიათებელია თითქმის ყველა რომანტიკოსი პოეტისათვის. თუ
ა. ჭავჭავაძემ „შავი ფერი“ კაშნიან ნინოს მიუძღვნა, ნ. ბარათაშვილმა
თავისი ლექსი „ცისა ფერს“ ლურჯთვალა ეკატერინეს ალბომში მო-
თვასა, სანაცვლოდ ვრ. ორბელიანის დაქარგული ლექსისა, რომელსაც
ეკატერინე ასე ლამაზად მოეროდა ბარათაშვილის გამოსახავერებლად:

ბროლის ფიცაზი...
აფიცაზი
გულს დამუკნოს.*

პარალელისათვის გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის ეს შესანიშნავი
ლექსი:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
ჰინდულად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სურმილან კეტროდი.

* „ცისა ფერს“ ნ. ბარათაშვილის არც ერთ ხელთნაშერ კრებულში არ არის
მოთავსებული. იგი აღმოჩნდა მხოლოდ ე. ჭავჭავაძის ალბომში, სიცდანაც იონა მე-
ურნარგიამ გადმოსწერა და დაბეჭდა კოდეც ილიას „ივერიაში“ (1882 წ., № 4—5, გვ.
55). თვით ე. ჭავჭავაძის ალბომი კი, რომელიც ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავებ
ნინო ბარათაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, ჩეენის წინადაღმდებით, პატივცე-
მულმა ნინომ დაუთმო სახაზო ბიბლიოთეკას და მეცამად დაცულია ამ ბიბლიოთე-
კის მშენათ ხელნაშერთა განცოლებაში (რარიტეტსაცაში).

4. ი. გრიბოედოვი, ტ. V

და ახლაც, რომ სისხლი
მძევს გაციებული.
ვფრიავ—არ ვეტრიფი**
ართდეს ფერსა სხვას.



თვალებში მშენების
ვეტრიფი მე ცისა ფერს;
მოსტული იგი ცით
გამოქმის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მამიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით ღმიღნარი
შევერთო ლურჯია ფერს.

მოვევდები—ვერ ვნახავ
ტრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად კა ლურჯი
დამაფრქვევს ცეარს ციურს.

სამარქს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას —
იგიცა შესწიროს
ციაგმა ლურჯია ცას.

ალ. ჭავჭავაძის ლექსის — „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ — რუსული დედანი დღემდე არ იყო აღმოჩენილი. თვით ბარათაშვილის აქადემიურ გამოცემის შენიშვნებში, რომელიც 1922 წელს, სხვათა შორის, ჩვენი უახლოესი თანამშრომლობით გამოვიდა, ვერ მოთავსდა რუსული ტექსტი მისი უპოვნელობის გამო. 1940 წელს ჩემს ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა შენიშვნებში ვწერდი: „სამწუხაროდ, ამ ლექსის სრული რუსული ტექსტი ვერ აღმოვაჩინეთ. იმედი კი მაქს ვიპოვნი და მეორე გამოცემისათვის წარვუდგენ მყითხველს“ (გვ. 330). ეს იმედი გამიმართლდა: შარშან ლენინგრადში ყოფნის ლროს სიმღერების ერთი ხელთნაწერი კრებული ვნახე, სადაც სიმღერა „ჩორნი ცეტ“ მთლიანად იყო მოთავსებული. იგი სიხარულით გადმოვიწერე, თუმცა, სამწუხაროდ, ზედ არ ეწერა ავტორის ვინაობა. აი ეს რუსული სიმღერაც:

* ამ სტრიქონს ერთი მარცვალი აკლია: უნდა იყოს ან „ვიფაცავ“, ან „ვლაცავ“, ან „არა ვეტრიფო“.

ЧЕРНЫЙ ЦВЕТ

Черный цвет, мрачный цвет,
Ты мне мил навсегда,
Я клянусь в другой цвет
Не влюблюсь никогда.



Не принудят меня,
Не заставят меня
Разлюбить черный цвет,
Силы нет, власти нет,

От чего, спросит свет,
Я влюблен в цвет теней?
Я скажу — черный цвет
Цвет подруги моей.

И пусть вдруг милый друг
Позабудет меня,
Черный цвет, мрачный цвет
Все любить буду я.

У меня мысль одна,
Черный цвет и она,
В ней навек я солью
Мрачну душу свою.

Расставаясь с землей
Облечусь в черный цвет,
А пока в очках свет,
А влюблен в черный цвет.*

Английский музыкант Фредерик Саутон, автор песни «Черный цвет», написал ее в 1878 году. В России песня вошла в сборник «Сборник русских народных песен» (1878), изданного в Лондоне. Песня стала популярной в России в начале XX века.

Лирический текст песни описывает чувства автора к женщине, которую он любит. Автор пишет о том, что женщина любит его, но не может это сказать вслух, потому что он слишком темный и мрачный. Он просит ее не забывать его, даже если она будет любить другого. В конце песни автор говорит, что будет любить ее всегда, даже если она станет другой.

* Американский певец Фредерик Саутон, автор песни «Черный цвет», написал ее в 1878 году. Песня вошла в сборник «Сборник русских народных песен» (1878), изданного в Лондоне. Песня стала популярной в России в начале XX века.

გორც ერთხელ იმის შესხებ წერდა განსვენებული სერგო გორგაშ
(ეურ. „პრომეთე“, 1918 წ., № 2; — შდრ. „ნიკო ბარათაშვილის ლიტერატურული განცხადები“, 1922 წ., გვ. 221—222).*

6. ბარათაშვილის ყველა ლექსიდან თავისი განსხვავებული ფორ-
მით ორი რომანსი გამოირჩევა: „როს ბედნიერ ვარ“ და „ცისა ფერს“.
გ. თუმანიშვილი და რაფ. ერისთავი ალნიშვავდნენ, რომ ბარათაშვილის
დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტეპიანოზე და რუსულად ას-
იწყება:

Как счастлив я, коль с тобой бываю!

ბოლოს:

Ты не поверишь, ты не поверишь,
ты не поверишь, как ты мила.

და

Черный цвет, мрачный цвет
ты мне мил навсегда...

„ცელილება იქნება იმაში იყოს მხოლოდ, — განიგრძობს ა. ჭავჭა-
ვაძის 1881 წლის გამოცემის წინასიტუაციის ავტორი, — რომ შეი-
თვალები ცისფერ თვალებად გადაუკეთებია პოეტს. ეს ლექსები სრუ-
ლიადაც რომ მოაკლდეს ბარათაშვილის ლექსთა კრებას, არას დაჰკარ-
გავს პოეტის სახელი“.*

6. ბარათაშვილის ლექსების ამ ძველი რედაქტორების მოსაზრებას,
ცხადია, არ შეიძლება დაეთანხმოს 6. ბარათაშვილის პოეზიის თანამე-
დროვე მკვლევარი. ყოველ დიდ პოეტს მოეპოვება „მიბაძვა“ ანუ
„თარგმანი“, მაგრამ რამდენადაც პოეტი მკვეთრ შემოქმედებითს ინდი-
ვიდუალობას წარმოადგენს, იმდენად თარგმნილი ლექსი მისი პოეტუ-
რი ბუნების დამახასიათებელ შინაარსს და ელერადობას დებულობს.
ამიტომ ბუნებრივია, თუ ხშირად ასეთი ძლიერი პოეტის მიერ თარ-
გმნილი ლექსი თითქმის მის ორიგინალურ ქმნილებად ითვლება. გა-
ვისხვით თუნდაც ლერმონტოვის „Горные вершины“, მით უფრო
ეს შეიძლება ითქვას ლექსზე „ცისა ფერს“, რომელიც კი არ იმეორებს
თავის პირველ წყაროს — „Черный цвет“-ს, არამედ არსებითად უცი-
რისპირდება და შინაარსით ეწინააღმდეგება მას. „ცისა ფერს“ გამო-
ხატავს რომანტიკოსი შემოქმედისათვის დამახასიათებელ ლტოლეას

* ალექსანდრე ჭავჭავაძის „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“ ნოტებში გადაიღო ცნო-
ბილმა ერთობლივისტმა ივანე თევდორეს ძე სარაჯიშვილმა და „იმერულ ხმაზე“
ასრულებდა რატილის გუნდი („ივერია“, 1890 წ., № 45).

** ის. ალ. ჭავჭავაძის 1881 წლის გამოცემა; შდრ. რაფ. ერისთავის წერილ —
„დროება“, 1882 წ., № 121, 13 იქნის.

დაუსაბამო ლაქვარდოვანი სიცრცის შერთვისაკენ. „ცისა ფერს“-ში, იმდენი უნაზეს გრძნობათა სიჭარბეა, იმდენი გულწრფელობაა, რომ ის თამამად შეიძლება მივაუთვინოთ ჩვენი პოეტის დამოუკადებელ შემოქმედებას და ჩაეთვალოთ ბარათაშვილის მთელი პოეზიის ორგანულ კეთვილებად.

უჩვეულო ფორმით დაწერილი ეს ლექსი აქსებს და ახლ შტრიხს ჰქარებს ბარათაშვილს, როგორც პოეტს, რომანტიკოსს. მა პატარა ლექსით პოეტი რჩება ერთგული იმ სულისკეთებისა, რაც მან ასეთი ექსპრესიორ გამოსატავის თავის ლექსებში და განსაკუთრებით თავის თრ შედეცვაში „მცრანს“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“.

1945 წ.

აპაპის უცხოზი პიესა

აკაკი წერეთელი ქართული თეატრის მეგობარი იყო. მის კალამს ჯუთვნის ოციოდე კარგად დაწერილი პიესა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ დიდებულმა პოეტმა აქაც ისეთსავე წარმატებას მიაღწია, როგორც ლირიკული ლექსების შექმნის დროს.

ძველად ქართველ მწერალს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ყვილა დარგში უხდებოდა მუშაობა. ჩვენი თეატრი ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. იქიდან ქართული სიტყვა მყაფოდ, თამამად და ყველასათვის მისაწვდომად უნდა დარხეულიყო.

შავბნელი რეაქციის ბატონობის დროს სცენიდან თქმულ ცოცხალ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური კულტურის პროპაგანდისთვის და მასებზე იდეურ-მორალური ზემოქმედებისათვის.

აკაკი წერეთელს ბევრი რამ აკავშირებდა ქართველ სცენასთან. მას უყვარდა ის, როგორც რეჟისორს, მსახიობსა და დრამატურგს. იგი იყო საუკეთესო დეკლამატორი საეუთარი ლექსებისა და შეფრთვინებით შემხაროდა სცენიდან თქმულ ლალ სიტყვას. დიდებული მცოდნით თავისი მომხიბლავი ხმის უდერადობით და ორიგინალური მეტყველებით ხიბლავდა ქართველ საზოგადოებას. ყოველი მისი გამოსკელა ჩვენი კულტურის ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე. ჩემს წიგნთსაცავში დაცულ პროგრამებიდან იჩევვევა, რომ აკაკი წერეთელი ქართველ სცენაზედაც გამოდიოდა, როგორც მსახიობი პასუხსაგებ როლებში (მაგ.,

აყავი წერეთელს შეუსრულებია გ. სუნდუკიანცის „ხათაბალაში“ გვა-
ორგის როლი, მოლიერის „სკაპენის ცულლუტობაში“ ცურონტონს
როლი და სხვ.). გარდა ამისა აყავი ქართულ თეატრში 1904 წლის მც-
ზონში მიწვეული იყო, როგორც რეჟისორი. ა. სუმბათაშვილის „ღალა-
ტი“ პირველად აყავის რეჟისორობით დაიდგა.

ძველად ჩვენი სცენა ღარიბი იყო ორიგინალური პიესებით. მედ-
მივი დასის ჩასახვის ხანაშიც (1879 წ.) ქართული თეატრი კელავ გ.
ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესებით საზრდოობდა. იმ. პერიოდის
ყველა მწერალი ცდილობდა ამ ნაკლის შევსებას (ა. ყაზბეგი, დ. ერის-
თავი, აყავი, რაფ. ერისთავი, ასიკო ცაგარელი, გ. თუმანიშვილი, ბ. ჭო-
რჯაძე). რიგი ორიგინალური პიესებს პქმნიდა, რიგი, რუს დრამატურგ
კრილოვ-ალექსანდროვის მსგავსად, გადმოკეთებული პიესებით იქცებ-
და ჩვენს ქართულ სცენას. საევირეველია პირდაპირ: თუ ქართველი
მწერლების თრიგინალური პიესები დრამატურგულად სუსტი იყო,
გადმოკეთებული პიესები უფრო ლაზათიანი გამოღილდა. მერე რო-
გორ სწყუროდა ჩვენს სცენას კარგი პიესები. იშვიათად თუ პყოლია
სცენას ისეთი მაღალნიჭიერი მსახიობები, როგორებიც იყვნენ: მ. სა-
ფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვა-
სო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვ. გუნია,
დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე; ახალგაზრდებიდან: ქ. შათირიშვილი,
ხუცა ჩხეიძე, ტასო აბაშიძე, ვ. შალიევაშვილი, ა. იმედაშვილი, დ. ჩარ-
კვიანი, ი. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი და გ. იშხნელი. ყვე-
ლა ესენი ხშირად ერთ საღამოს ერთ პიესაში ერთად იყვნენ დაბან-
დებულნი... ცოდვა არ იყო ამ ტალანტებს გასაქანი არ პქონდათ! პი-
ესები კი არ ჩანდა, არ ჩანდა იმ დრომდე, ვიდრე სცენას არ გამოუჩ-
ნდნენ დაუვიწყარი სახელები: ივ. მაჩაბელი, ნიკო ავალიშვილი, ივ. მა-
კავარიანი და გრ. ყიფშიძე, — რომლებმაც დიდის გემოვნებით და შე-
სანიშნავი ენით სთარგმნეს უცხოეთის კლასიკოსები. ამ ოთხმა მთარგ-
მნელმა საძირკველი ჩაუყარა ეკროპულ პიესების განსახიერებას ჩვენს
სცენაზე, ხელი შეუწყო ლადო მესხიშვილის ნიჭის გაფურჩქვნას და
განტვირთა ქართული რეპერტუარი „გადმოკეთებული ეოდევილებისა“
ნიაღვრისაგან.

ეკროპული დრამებისა და ტრაგედიების თარგმნამ გამოიწვია აგ-
რეთვე ორიგინალური დრამატურგის ერთგვარი გამოცოცხლება და
ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ცხოველი დაინტერესება ჩვენი
თეატრის სცენებით.

გასულ საუკუნეში, ი. ჭავჭავაძის გარდა, თიოქმის ყველა ქართ-

ველმა მწერალმა სცადა გარკვეული ხარჯი მოეხადა ნაციონალური დრამატურგიის წინაშე.

აյაკი წერეთლის ერთი მძლავრი აგურიც ამშვენებს ახლად ფუზად-კუზად გმულ თხმოცანი წლების მშობლიური დრამატურგიის შენობას.

მწერლობის ეს რთული უანრი, — რომელსაც თვით დიდმა ილიამ ვერ შემართა ხელი, — აյაკი თავისი შემოქმედების ბრძმედში პირნათლად გაატარა და ზოგიერთ მქრთალ პიესასთან ერთად მან დავვიტოვა ორი შედევრი — ორი შესანიშნავი დრამატული ნაწარმოები — „პატარა კაზი“ და „თამარ ცბიერი“.

ჩვენ მიერ გამოტანილი აქვის „განთიადი“, რომელიც დღეს პირველად ქვეყნდება, პიესა კი არ არის, ერთად შეკრული და ერთი დედა-აზრით ამეტყველებული, არამედ ცალკეული სცენებია, რომელსაც არ აქვთ აქვისებური ჰუმორი და პერსონაჟების ხასიათის საოცარი გამოქვეთა.

პიესის მოქლე შინაარსი, „ივერიის“ რეცენზენტის მიხედვით, ასეთია:

კიკოლა გლეხს და საყვარლისეულს ჰყავთ ორი ვაჟი — მიხა და ლექსო. მიხა რუსეთში დიღხანს ყოფნის შემდეგ, საცა ის ვაჭრობდა და ბუფეტებს ინახავდა, ფულიანი ბრუნდება სახლში და თავისი დედის აღტაცების წყაროდ ხდება, როგორც „ნასწავლი“ და გაგებული კაცი. მისი ძმა ლექსო სახლში მუშაობს, ეხმარება მამას მის საქმეში. წიგნებს კითხულობს და თავვამოქებული დამცველია გლეხის საქმისა, მიწის მუშაობისა. მიხა კი თავისიანებში ვერ სძლებს, მთელ დროს უსაქმო თავიდებთან ატარებს, მათთან მეგობრობით მოაქეს თავი, რის-თვისაც მისი ჭიბე მუდმივი მსხვერპლია უსაქმო მეგობრების მადისა და ქეიფის სიყვარულისა. მიხას, როგორც „ნასწავლს“ და ფულიან კაცს, აზნაურიშვილი სპირიდონიც კი არ უშერს თავის ქალს ნუცას, რომელიც უყვარს ლექსოს. მაგრამ რუსეთიდან მოულოდნელად დაბრუნებული ცოლი მიხასი ამჟღავნებს, რა კაციც ბრძანებულა „მიხაილ ნიკოლაიჩი“, როგორც მას მეზობლები ეძახიან და ამნაირად ნუცა ისევ ლექსოს ჩერება... იდეა პიესისა — ის განთიადია, რომელიც ერთი მოქმედი პირის, დათიკოს სიტყვით, „ჩვენს ცხოვრებას გლეხებისა და თავადაზნაურთა კავშირის სახით მოევლინება, როცა ორივე მხარე შეიგნებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე და გასდებს ახალ ხიდს იქ, საცა ეს უკანასკნელი აქამდის ჩატეხილი არის, ეს კავშირი დაიხსნის ჩვენს ქვეყანას უცხო ჩარჩითა და პარაზიტთა ბატონობისაგან და უკეთესი მომავლის წინამორბედათ შეიქმნება“ („ივერია“, 1904 წ., № 20).

„განთიადს“, როგორც პიესის, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. ეს უფრო გამომელავნდა მისი სცენაზე წარმოდგენის დროს.

როგორ დაიდგა ეს პიესა ქართულ სცენაზე?

„განთიადმა“ მგზნებარე კამათი გამოიწვია პრესში: იგი წარმოდგენილ იქნა 1904 წელს, 25 იანვარს, ელისაბედ ჩერქეზიშვილის სახ-ნეფისოდ, თვით აკაკის რეკისორობით (აკაკი ამ სეზონში რეკისორად იყო მოწევული ქართულ თეატრში).

როლები ასე იყო განაწილებული:

ძიროლი — ა. ადამიძე-

საკვარლის სეული — ე. ჩერქეზიშვილი.

მიხა — ი. ივანიძე.

ლექსო — ნ. გვარაძე.

სპირიდონ — ვ. შალიკაშვილი

დათიქო — ლ. ბაქრაძე.

ნუცა — ბ. ნებიერიძისა.

არუთენა — ვ. აბაშიძე.

დარდუბალ ზახრუმალიში — გ. გელევანოვი.

ივანე — ა. იმედაშვილი.

ნიკო — ვ. მატარაძე.

მიშო — ანანიაშვილი.

როგორც ეხედავთ, ამ პიესის მონაწილენი, აბაშიძისა და ჩერქეზიშვილის გამოკლებით, ყველა ახალგაზრდა მსახიობი იყო, რაც დადგითად უნდა ჩაეთვალოს თეატრის ხელმძღვანელებს. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ყველა ერთი-მეორეს აბრალებდა. და ასტყდა ვაზეთში პავექრობა — „პასუხები“ და „პასუხის პასუხები“. * ზოგიერთი რეცენზეტის აზრით: „განთიადი“ არც დრამაა, არც კომედია, არც ლეგენდა. იგი გაზეთის ფელეტონებს უფრო ჩიმოპავას, თუმცა ეს ფელეტონები საუცხოო ენით არის დაწერილი და შიგ ბევრი მახვილი და მოსწრებულ სიტყვა-პასუხია! („ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2391).

მავე აზრისაა „ივერიის“ რეცენზენტიც. იგი წერს: „პიესის მსელულობა მოსაწყენი იქნებოდა, რომ მასში უხვად არ იყოს გაბნეული მისი ნიჭიერი ავტორის სატირისა და სიმახვილის ნაპერწკლები. ეს იყო მი-

* სულ ჩვენ წერილი დაბეჭდია ამ პიესის გარშემო: 1) „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2391; 2) „ივერია“, 1904 წ., № 20; 3) „ნოვო ობოზენოვ“, 1904 წ., 27 იანვარი; 4) „ივერია“, 1904 წ., № 23; 5) „ივერია“, 1904 წ., № 24; 6) „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., № 2399; 7) „ივერია“, 1904 წ., № 30; 8) „ივერია“, 1904 წ., № 34.

ზეზი, რომ მთელმა პიესამ სიცილხარხარში ჩაიარია“ („ივერია“, 1904 წ., № 20).

ამ რეცენზიების საპასუხოდ (განსაკუთრებით „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტის საპასუხოდ) „ივერიაში“ დაიბეჭდა ორი წერილი, ერთი ექტენზოდა მობენეფისეს — ელისაბედ ჩერქეზიშვილს, მეორე პიესის ავტორს — აკაკი წერეთელს.

ელისაბედ ჩერქეზიშვილმა სასტიკად გაილაშქრა „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტზე, რომელმაც არ მოიხსენია მობენეფისე თავის წერილში. ჩერქეზიშვილი წერს „რეცენზენტი არაკეთილსინდისიერად ირჩება, აკაკის პიესა „განთიადი“ აძაგა და თვით მობენეფისეს შესახებ კრინტი არ დასძრაო“... „ვინა ხარ ინიციალებს რომ ამომფარებიხარო („ცნობის ფურცლის“ რეცენზიას აწერია: ვ. ს. ეს იყო ქართული თეატრის ყოფილი რეჟისორი ესო სულხანიშვილი. ი. გ.), ნილაბი ჩამოიხსენი და შენი ნამდვილი სახელი და გვარი გვაუწყე, რომ დაგიჯეროთო“... „ლიტერატურული ზრდილობა მოითხოვს, — განაგრძობს ჩერქეზიშვილი, — რომ თეატრალურმა რეცენზენტმა, როცა სხვა მსახიობებს ასახელებს, ერთის სიტყვით მაინც, ავად თუ კარგად, მობენეფისეც მოიხსენიოს, ეს არ ინება „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტმა და ალბათ იმიტომ, რომ ჩვეულებაც და ზრდილობაც მეტ ბარგად მიაჩნიაო“ („ივერია“, 1904 წ., № 23).

აკაკი წერეთლის პასუხი აშენებულია იმ ცილისწამებაზე, რომელიც თითქოს პოეტს პიესის მსვლელობის დროს ეთქვას: „ჩემს პიესას არ თამაშობენონ“... აკაკი პიესის სუსტად ჩატარებას მიაწერს მსახიობი ქალის ავად განდომის. პოეტი დასძენს: „უმთავრესი როლი (ე. ი. ნუკას როლი. ი. გ.) უნდა ეთამაშნა ქ-ნ ჩხეიძეს და, რაღაც ეს არ მოხერხდა, ხელად გადავეცით ქ-ნ ჯავახიშვილს, სწორედ იმ საღამოს, როცა ფარდა უნდა ახდილიყო, უეცრად ავად გახდა ჯავახიშვილის ქალი და სხვა არავინ იყო მოშზადებული... ხელად გადავაცვით ტანთ ქ-ნ ნებიერიძეს, რომელმაც არც შინაარსი იცოდა პიესისა და არც ერთი სიტყვა, გამოვრიცხე დიდი სათქმელი მონოლოგები და ასე სუფლიორის შემწეობით მხოლოდ რეპლიკებს აწვდიდა სხვებს და ეს წინდაწინვე ეიღეც მოახსენეს დამსწრეთ“ („ივერია“, 1904 წ. № 24).

აკაკის პიესის გადაღებაც სდომნია, მაგრამ ვერ მოხერხდა თურქე.

პიესაში კარგად უთამაშნიათ შემდეგ მსახიობებს: ე. ჩერქეზიშვილს, ესო აბაშიძეს, ვ. შალიკაშვილს, ა. იმედაშვილს და ა. ადამიძეს.

„განთიადი“ აღარ განმეორებულა ჩვენს სცენაზე.

არც დაბეჭდილა.

1910 წელს „თეატრი და ცხოვრება“ აცხადებდა, აკაკის ახალი ესა „განთიადი“ ამ ახლო ხანაში ჩვენს უურნალში დაიბეჭდება („თ. და ც.“ 1910 წ., № 38, გვ. 16). მაგრამ „უურნალის აკრძალვის გამო პუს გამოუქვეყნებელი დარჩა“ (ლევ. ასათიანი: „ცხოვრება აკაკი წერეთ-ლისა“, 1940 წ., გვ. 457).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, აკაკის ავტოგრაფებს შორის, დაცულია ერთი რეეული, რომელიც წარმოადგენს აკაკის პიესის შეს (იხ. საქ. მუზ. ხელთნაწერი, № 1474—H). ეს სამურეხო მასალა ფაქტორთან ნაწერი და ძნელად იყითხება. რეეულს სათაური არა აქვს, ვინ-სვენებულმა სერგო გორგაძემ ამ ხელთნაწერს — აღმათ პირობით — უწოდა: „პიესა იმერთა ცხოვრებიდან“ („აკაკის ბიბლიოგრაფია“ — ხელთნაწერი, გვ. 296). ამ ეს გორგაძისეული პიესა ის პიესაა, რომელის სუფთად გადაწერილი პირიც ჩვენ ვიხილეთ ცენტრარქიუში და რომელსაც ჰქვიან: „განთიადი“ (იხ. ცენტრარქიუის საცენზურო საქმე-ების ფონდი, № 114, საარქივო — № 2011).

ამ პიესის საპუბლიკაციოდ ჩვენ ძირითადად დავეყრდნეთ არქიში შემონახულ ეგზემპლარს. ეს ეგზემპლარი ავტოგრაფთან შედარებით საგრძნობლად არის დამუშავებული, მოქმედი პირები ცალკეა გამოყოფილი, ენა დახვეწილია და ჩამატებულია მთელი რიგი ახალი დიალოგები და ფრაზები. გზადაგზა დავიხმარეთ საქ. მუზეუმში შემონახული აკაკის ავტოგრაფიც, რომელსაც, სხვათა შორის, არც ერთი ფურცელი არ აკლია, როგორც ეს ეგონა ახალგაზრდა მკვლევარს ს. ხუციშვილს („ლიტ. საქართველო“. 1940 წ., № 3).

რაომ დავეყრდნეთ ცენტრარქიუის ეგზემპლარს? იმიტომ, რომ ეს ეგზემპლარი აკაკის ავტოგრაფიდან უნდა იყოს გადაწერილი, არა იმ ავტოგრაფთან, რომელიც საქ. მუზეუმშია დაცული, არამედ ამ ავტოგრაფის პირიდან. საქმე ის არის, რომ ძველად სცენაზე წარმოსადგენად მიღებული პიესა ორ ცალად უნდა გადაწერილიყო, ორივე ეგზემპლარი იგზავნებოდა ნებართვისათვის საცენზურო კომიტეტში, ნებართვის მიღების შემდეგ ერთი ცალი თეატრს ეგზავნებოდა, ერთი კი კომიტეტის საქმეებში ინახებოდა. როგორც დღესდღეობით იჩვევა, „განთიადის“ ოთხი ცალი არსებულა: ორი ავტოგრაფი და ორი სხვის მიერ გადაწერილი. ეს სხვის მიერ გადაწერილები ავტორს აღარ უბრუნდებოდა უკან. ერთი ცენზორს რჩებოდა (ეს ეგზემპლარი იმეობად იბეჭდება) და ერთიც თეატრის ბიბლიოთეკისათვის იყო განკუთვნილი (რომელიც, აღმათ, 1914 წელს ქართული თეატრის ხანძრის დროს დაიღუპა სხვა ხელნაწერ პიესებთან ერთად). აკაკის ავტოგრაფები? აკა

კის ერთი ავტოგრაფი საქართველოს მუნიციპალიტეტის მმართველი და აუცილი და აქედან გადაწყვილი, მეორე ავტოგრაფი კი სწორედ ის ავტოგრაფი უნდა იყოს, რომელიც „თეატრიმა და ცხოვრებაშ“ მიღლო აქვთისაგან დასაბეჭდად და რომელიც ამჟამად შესაძლოა მის რედაქტორს — იმ-სებ იმედაშვილს — აღმოაჩნდეს, ანდა იავარქმნილი იყოს ეანდარშებისაგან, როცა ეს უკანასკნელი „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორის ეწვივნენ...

„განთიადი“ დაწერილია 1903 წელს. ცენზურიდან ნებართვა მიღებულ იქმნა 1904 წელს, 8 იანვარს, სცენაზე წარმოადგინეს ამავე წლის 25 იანვარს.

1945 წ.

ს ა ი ა თ ნ თ ვ ა

მე-18 საუკუნის, ერეკლე II-ის კარის პოეტი საიათნოვა უბადლო ნიჭია. იგი ერთსა და იმავე დროს პოეტიც არის, კომპოზიტორიც და ჩინებული მომღერალიც. თავის ლექსებს ჰანგს თვითონ უქმნიდა და თვითონ ეყ მღეროდა ტყბილი მელოდიური ხმით. ამიტომ არის, რომ საიათნოვა ცოცხლობს ჩვენს გულში და მისი სახელის მოგონება მოწინებასა და სიხარულს იწვევს.

„მუხამბაზი“ პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში. ამას თვით მოსახიც აღიარებს: „მე ვიცოდი ჩონგური კარგად და ამას-თან სპარსულ ხმებზე გავაეკო ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლისი და მიგვიყვანეს მოსაქრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად ეამა და ხალათიც მიბოძა. და მერე სხევათიც მრავალ-თა თქვეს და მომბაძეს“ (იხილეთ „ქალმასობა“, 1936 წ., გვერდი 227).

საიათნოვას შემოქმედება აღმოსავლურ იერს ატარებს. პირველ რიგში უურადღებას იქცევს მისი სიმღერების მგრძნობელობა, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძეს დამამიანის უველაზე დიდ შადლად მიაჩნდა.

აშელური სიმღერის დამახასიათებელი ფორმაა ეგრეთ წოდებული მუხამბაზი (მუხამის). საკუთრივ მუხამბაზი ნიშნავს ხუთეულს, ე. ი. ხუთ სტრიქონს. მაგრამ შემდეგში თვით საიათნოვამ და მისმა „მიმბა-ჭველებმაც“ განავითარებს, შექმნეს ამნაირი ლექსების მრავალი ვარიაცია. ზოგიერთი ძეველი პოეტის მუხამბაზი მართლაც ვირტუოზულადაა შესრულებული. მუხამბაზის ასეთი ოსტატები არიან: ქიჩიქოვა,

ბუდალ-ოლღანი, ფერშანგიშვილი, შიო მექიანურე (ილია ჭავჭავაძე), შამჩი-მელქო და ყველა დიდი თუ პატარა ბატონიშვილი (თეკლა, დავითი, მარიამი, ფარნაოზი). რომლებმაც ამ ყაიდის ლაქები ახალი შინაარსით და პესომისტური პანგებით ამერიკალის მიერთები.

საიათნოვა უმღეროდა სიყვარულს და სიხიარულს, გულწრფელ-ბას და გულადობას, გონებრივ და ზნეობრივ სიქველეს. იგი მდებრდა სამ ენაზე — ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. გასაოცარი ის არის, რომ მგოსანს თანაბრად ემარჯვებოდა სამიერე ენა. მაგრა ენაზე დაწერილი ლექსები თავიანთი მხატვრული ლირსებით, სიმახვილით და მელოდიურობით თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან (აზერბაიჯანულ ლექსები დაწერილია სომხური ასოებით, ხოლო სომხური ლექსები ქართული ასოებით, ქართული ლექსები კი მის ხელნაწერ დავთარში არ აღმოჩნდა. საიათნოვას ქართული ლექსები პირადად მე სხვადასხვა მუზეუმის ხელნაწერების ფონდებიდან ამოვიდე და შევკრიბე).

ჟქონდა თუ არა გავლენა საიათნოვას მუხამბაზებს შემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე?

მე-19 საუკუნის პოეტებს შორის საიათნოვას ლექსის ფორმა უმაღლესობამდე განავითარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ. მას ყველა ლექსი დაწერილი აქვს სხვადასხვა სამღერალ პანგზე (მაგალითად, „აქორ ჯანდა ხარიბამის ხმა“, „მანქა განგალუ დეგულამის ხმა“ და სხვ.). მაგრამ ჭაბუქმა პოეტმა შესძლო მუხამბაზის ხხიარულ პანგებში თავისი ქეყუნის სევდა მოეთავსებინა და ემდერებინა იგი პირადი სულიერი განწყობილების სიმებზე.

„ჭაბუქი პოეტი“ — ვთქვი იმ მოსახრებით, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მუხამბაზები შექმნილი აქვს თერამეტ-ცხრამეტი წლის ასკუში. სატრფიალო ლექსები მან მიუძლენა თავის თანატოლ ასულებს, რომელნიც გატაცებული იყვნენ ჭაბუქი პოეტით, ხოლო პატრიოტულ ლექსების ერთი ნაწილი დაწერილია ფარნაოზ ბატონიშვილის აჭანყების ჩამოშობის წელს (1804). როცა მისი მონაწილე ალექსანდრე ჭავჭავაძე თვრამეტი წლისა იყო. საპატიმროში გამომწყვდეული ჭაბუქი მცოსანი მოსთქვამდა:

მომესია სევდათ გუნდი,
შემომერტყა ბნელი ბნენდი,
ჭაბუქი დამსდევ მონებისა,
კისრად ვიღე და დავდემდი.

გრიგოლ ორბელიანი თავის შემოქმედებაში სიკვდილამდე დარჩა საიათნოვას ერთგული. მისი კერძო წერილები აჭრელებულია საიათ-
60

ნოვას აფორიზმებით, ხოლო საუკეთესო ლექსებს წინ უძღვის საიათ-ნოვას ცნობილი ეპიგრაფები. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის სა-მი ქართველი რომანტიკოსიდან მხოლოდ ბარათაშვილმა უარყო სპარ-სული ფორმა. მან მშობლიურ ლიტერატურას დაუბრუნა რესთაველი-სა და გურამიშვილის გაშლილი ქართული ლექსი, შეუწონა იგი მის კლასიკოსებს და ჩვენი პოეტების თაობა გადაარჩინა მუხამბაზების ქა-რიშხალს, რომელიც ონავრულად დანავარდობდა როგორც მე-18 სა-უკუნის შეფეხების დარბაზებში, ისე დაბალი ხალხის ხეინებში.

საიათნოვა „სიმღერის გამჩენს“ ნიშნავს. სიმღერა კი მისთვის სუ-ლიერი მოთხოვნილება იყო. იგი მღეროდა ყველგან და ყოველთვის. გრიგოლ ორბელიანი ასე იხსენიებს საიათნოვას თავისი „მუშა ბოქუ-ლაძეში“:

ბალით შესმის ჭიათურის ტებილი ხმა,
საიათნოვას გულდაწწელი სიტყვები.

საიათნოვა მღეროდა მაშინაც კი, როცა ბერად აღიკვეცა ახალის მონასტერში, მღეროდა, ვინაიდან, როგორც თეითონ ამბობს, არ შე-ეძლო არ ემღერა, რადგან „მასთან ერთად ეკურთხა მის უბეში ჩარ-ჩენილი ჭიათურის სიმები“.

მგოსანმა იცის თავისი სიტყვის ძალა:

ნურვინ იტყვის, ეს უმაწევილი ენა ვარ,
ანაბანა ეიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მეგიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვოტვივი, ცაშ ჟეხილი დაიწყოს.

მე, თბილისზე შეყვარებულ პოეტს, საიათნოვას სიმღერები გალ-ლობიდანვე მიზიდავდა. ჯერ კიდევ ყრმას მომხვდა მისი დიდი ნიჭის ეშხიანი ნაპერწყალი და მგოსნის აღმოუჩენელ ქართულ ლექსებს გაფაციცებით დავეძებდი ყველგან — არქივებსა თუ მომღერლებს შორის.

24 წლისა ვიყავი, როცა 1914 წ., 15 მაისს, თბილისში, ყოფ. თათ-რის მოედნის თავზე, ეკლესიის გალავანში საიათნოვას ძეგლის კურ-თხევა მოხდა. ამ ზეიმს ხელმძღვანელობდნენ გ. ბაშინჯალიანი და ოვა-ნეს თუმანიანი. ქართველ მოღვაწეთაგან ესწრებოდნენ კოტე მაყაშვი-ლი, გრ. ჩუხილაძე (ზანგი), ი. იმედაშვილი, ი. და ნ. ნაკაშიძეები. იმ დროს ბევრმა როდი იცოდა, თუ საიათნოვა ქართულ ენაზეც წერდა და იგი მეფე ერეკლეს კარის მგოსანი იყო! მე მაშინვე აღმეძრა სურვილი უფრო პოპულარული გამეხადა საიათნოვა ჩვენი საზოგადოებისათვის

და ოთხი წლის რუდუნების შემდეგ, 1918 წელს გამოვეცი ვაკელ
მონოგრაფიის დართვით საიათნოვას მიერ ქართულად დაწერილი ვა
ლექსი (მანამდე ჩემს შრომას მოხსენების სახით ვითხულობდა სა
ქართველოს დაბა-ქალაქებში). ამ შრომამ ერთგვარი ინტერესი გაღ-
ვიძა საიათნოვას პოეზიისადმი. საიათნოვა თავისი ცხოვრებით და შე-
მოქმედებით ზოგიერთი ქართველი პოეტის თემად გადაიქცა და შევლ-
ვართა შორის აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია.

და, აი, საიათნოვა დგას ახლა ჩემს წინაშე, როგორც ლრმა ემ-
ციის და იშვიათი ლირიკული ხმის მომღერალი, რომლის 200 წლის
წინათ ნათქვამი ჰანგები, დღესაც გულის აღმგზნებად გაისმის. რაც
უფრო გშორდებით მას — უფრო გვიახლოვდება იგი. საიათნოვა ჩეკ-
თან არის, ჩეკთან — მწერლებთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ა-
ალგაზრდებთან და მოხუცებთან.

ჩეკნა დრომ, საბჭოთა ეპოქამ, მიიღო და დააფასა საიათნოვა, პი-
ეტი, რომელმაც შესძლო მაღალმხატვრული სიტყვით და წარმტაც
ჰანგით გამოეთქვა ის, რაც შეებას ჰევრიდა ან აწუხებდა მისი დროის,
მისი წრის ადამიანებს; ჩეკნ გაფასებთ მას, როგორც „ხალხის ნო-
ქარს“ (ხალხის მსახურს), რომლის პოეზია ბადებს უსაზღვრო სიყა-
რულს ჩეკნი ხალხის გმირული წარსულისადმი და ლრმა ინტერესს აღ-
ძრავს გარდასული საუკუნეების რომანტიკული ელფერით მოცულ
ყოფაცხოვრებისადმი.

საბჭოთა ხალხის ამ სიყვარულს საიათნოვას მიმართ ბრწყინვალედ
გამოხატავს ოვანეს თუმანიანის შემდეგი მუნასიბი:

მოვიდა ლექსითა,
წაეიდა კვენსითა
საიათნოვა!
სიმღერით იარა,
წაიღო იარა...
საიათნოვა!
გვიხმობდა ძახილით.
მოგვიყლეს მახეილით
საიათნოვა!
წავიდა გლოვითა,
სიტყბოთი მოეგდა
საიათნოვა!

(1862—1924)



დიმიტრი ერისთავის სახელი ლიტერატურულ ისტორიას უმთავ-
რესად კრიტიკაშ შემოუნახა, და თუ დღეს ვიგონებთ ამ დავიწყებულ
ბელეტრისტს, იმიტომაც, რომ ალექსანდრე წულუკიძემ დიმიტრი ერ-
ისთავის შემოქმედება თავისი კრიტიკული წერილის ობიექტად გამო-
ყენა.

ამას წინათ გამოვიდა ალექსანდრე წულუკიძის ნაწარმოებთა სრუ-
ლი კრებული და წარმოიდგინეთ, „შენიშვნებში „დ ი მ ი ტ რ ი ერის-
თავი“ მოხსენებულია „დ ი ვ ი თ ერისთავად“, ალბათ, იმიტომ, რომ
ალექსანდრე წულუკიძე თავის სტატიაში ბელეტრისტის სრულ სა-
ხელს არ ახსენებს და კმაყოფილდება სახელის მხოლოდ ინიციალით.

საჭიროდ მიმაჩნია გარკვეულობა შევიტან ამ წერილის ვინაო-
ბაში და ბელეტრისტის მოქლე ბიოგრაფია მივაწოდო დაინტერესებულ
მეითხელს.

დიმიტრი ერისთავი ეკუთხნოდა 90-იანი წლების იმ ქართველ მწერ-
ლებს, რომელთა მონაწილეობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში
მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათს საზოგადოებრივ პრატიკულ
მოღვაწეობასთან. დიმ. ერისთავს, როგორც მწერალსა და საზოგადო
მოღვაწეს, ასულდგმულებდა ერთი ძირითადი იდეა: მშობლიური მწერ-
ლობის აუვავება და მშრომელთა კეთილდღეობა.

დიმიტრი ერისთავი (შინაურობაში „ტიტიკო“) დაიბადა სოფ. გო-
რა-ბერეეოულში (გურია) 1862 წ., მისი მამა კონსტანტინე ვახტანგის-
ძე იყო მომრიგებელი შუამავალი, ხოლო მწერლის პაპა ვახტანგ ერის-
თავი ცნობილი დიპლომატი იმერეთის მეფის სოლომონის კარზე. დიმ.
ერისთავის დედა (ივლიტა ნაკაშიძე) იშვიათი სილამაზის ქალი ყო-
ფილა, აღზრდილი ქველ ქართულ წიგნებზე.

დიმ. ერისთავმა საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზია-
ში, შემდეგ დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულ-
ტიტი. იგი მაშინვე გომეგზავრა თავის საყვარელ გურიაში და სიკვდი-
ლამდე არ მოშორებია მას. დიმიტრი ერისთავი, როგორც ექიმი, დიდი
სიყვარულით სარგებლობდა გურიის მშრომელ მოსახლეობაში.

გურიას მრავალი ბელეტრისტი პყავს: ეგ. ნინოშვილი, ჭოლა
ლომთათიძე, ლალიონი, ნინო ნაკაშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, შ. შა-
რაშიძე, იასე რაჭელი, პ. ირეთელი, პავლე ხიდისთაველი, ს. რემონი-

ქ, პ. ჩხილეაძე, ი. ლისაშვილი და პარმენ ლორია. დიმიტრი ერისთავი საც წიბო გურული აქვს, თავის თანამოქალმეთა შორის დ. ერისთავი გამოიჩინევა მოთხრობებში ახალი პერსონაჟების შეყვანით... თვიც, ჩა მოთვლილ მწერლების მსგავსად, მძაფრად და მწვავედ აშენებს სოცუ-ალური უკუღმართობის ამბებს. მოთხრობა „უბრალო ამბავში“ სა-ტიკად არის გაკრიტიკებული იმდროინდელ გიმნაზიებში გამეფებულ „კლასიკური განითლების“ ნაკლი; „ორ სურათში“ ავეიწერს ქართველ სტუდენტების უწესრიგო ყოფაცხოვრებას რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში: სტუდენტის ბინაზე მოწვეულია კრება ფრიად მნიშვნელოვან სა-კირბოროტო საკითხებზე: „როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა ხალ-ხისათვის“... მაგრამ კარგად დაწყებული სერიოზული საქმე ლანდღა-გინებით და ჩხუბით თავდება, ხოლო ღვინო და სადლევრძელოები შე-არიგებს მოჩხუბართ.

მოთხრობა „ვისი ბრალია“, რომელიც, სხვათა შორის, გაარჩია ალ. წილუკიძემ (მისი „თხზულებანი“, 1943 წ., გვ. 11, 14, 21, 72), რეა-ლისტურად გვისურათებს ქართველი აზნაურობის ეკონომიკურ გაღ-ტაკებასა და ზნეობრივ დაცემას. ძალონით აღსავს, მაგრამ ცხოვრე-ბისათვის გამოუსადევარი აზნაურები (ნესტორ უქმიაშვილი და სხვ.) უმიზნოდ დაფართვაშობენ. აეტორს მოქეიფე აზნაურების, გაიძერა სოფლის მწერლუკების და მევახშე მეღუქნის პარალელურად გამოჰ-ყავს გამრჩევლი გლეხის დათიკა გორდელაძის ოჯახი. დიმიტრი ერი-სთავი დიდი სიყვარულით ავეიწერს ამ გულფიცხ, ბრგე ვაჟყალს და მის პატიოსან შშრომელ მეუღლეს; დათიკას მიერ მისი დამდუპველი მოკვლა აეტორს აღწერილი აქვს ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით. მოთხრობა „ვისი ბრალია“ (და არა „ვინ არის დამნაშავე“, ი. გ.) პირ-ველად დაიბეჭდა 1895 წ. მთამბეში“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ.). დიმ. ერისთავს „ვისი ბრალიას“ გარდა დაბეჭდილი აქვს შემდეგი წიგნები: „ნაქვთები“ (მოთხრობათა კრებული, ქუთაისი, 1891 წ.), „ნა-წყვეტი დაუსრულებელი რომანისა“ (1912 წ.), მისი მოთხრობები იმე-ტდებოდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ (1892, 1895, 1896 წწ.). მას დაბეჭდილი აქვს საგულისხმო მოთხრობა „დამჭერარი ყვავილი“ („ივე-რია“, 1892 წ., № 61), აგრეთვე პოპულარული ნაშრომი „ხოლურა და მისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი“ (1893 წ.).

დიმ. ერისთავი ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა, მის სასიმ-დერო-სატრაფიალო ლექსებს მთელი გურია მღეროდა. უთარგმნია ლეტ-მონტოვის „მწირი“, ჰქონია დრამები, კომედიები. ყველა ეს ხელნაწე-

რი დაქარგულა 1918 წელს ოზურგეთში (ახლანდელი მახარაძე) თურქების შემოსევის დროს.

დიმ. ერისთავის მოთხოვბები, ივტორის მიერ საკუთარი ხელით გადაწერილი, 1927 წელს სახელგამისათვის გადაუცია გამოსაცემაზე მის ვაჟს — სამედიცინო ინსტიტუტის ლექტორს ვახტანგ ერისთავს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა...

1924 წელს ქალ. ოზურგეთში არჩეულ იქნა საიუბილეო კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეწყო დ. ერისთავის 40 წლის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის იუბილე, მაგრამ მწერალს სიკვდილმა რამდენიმე დღით ადრე მოუსწორო... იგი გარდაიცვალა 1924 წელს, 17 დეკემბერს. დასაფლავებულია ოზურგეთის საავადმყოფოს ეზოში.

ასეთია ამ უჩინარი მწერლის ცხოვრების გზა.

განსვენებული 40 წლის განმავლობაში თავისი ნაწერებით, თუ პრაქტიკული მოღვაწეობით უანგაროდ ემსახურა თავის საყვარელ სამშობლოს. იგი უშიშრად და მოურიდებლად ებრძოდა ძველ წესწყობილებას, მას ჩეენი ქვეყნის განთიადის ხილვა საფლავში დარღად არ ჩაჰყოლია, იგი მოესწორ სამშობლოს თავისუფლებას.

ერთხელ, როცა „საიათოება“ გამოვიყელიე (ეს იყო ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ), გან. „კოლხიდის“ ფურცლებზე კონსტანტინე გამსახურდიამ „დავიწყებულთა ჭირისუფალი“ მიწოდა... ო, როგორ მინდა ამ პატარა, კუდაბწარა წერილით „ნაესი გავტეხო“ და მოვაგონო რომელიმე ახალგაზრდა ლიტერატორს, იყისროს ვრცელი მონივრაფის დაწერა ამ მართლაც დავიწყებული ადამიანის შესახებ და ამით ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესაფერი ადგილი მიაკუთვნოს.

დიმიტრი ერისთავი ამის ღირსია!

1945 წ.

სიტყვა ფილიპე გოგიჩაიშვილს

შიხი 50 წლის მოღვაწეობის გაშო

ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროს კაცმა, რა მოგონება უნდა ჰქონდეს პოეტ გრიშაშვილს ისეთი დარგის — სამეურნეო დარგის — მეცნიერ მუშაქთან, როგორიც დღევანდელი პატივცემული იუბილარი ბრძანდება. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ძველად ფილიპე გოგიშვილისთვის მოღვაწეები თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ და ამ 5. ი. გრიშაშვილი, ტ. V

ერთეულებს უხდებოდათ მუშაობა ჩვენი კულტურის ყოველ ჭარბში. ისინი იყვნენ რედაქტორებიც, პუბლიცისტებიც, უურნალისტებიც კორესპონდენტებიც, მთარგმნელებიც, ბელეტრისტებიც, ქრიტიკებიც, ექონომისტებიც, თეატრალებიც და პოეტებიც. ფილიან გოგია, იშვილიც — ეს უაღრესად განსწავლული, ბუნებრივი უნვა ნიჭით და დიდი ენერგიით აღჭურვილი ადამიანი თავის გულის შინასკნელში ავსებდა ყველა ზემოქამოთვლილ თვისებას.

იგი პოეტი იყო.

დიახ, პოეტიც!

შეიძლება ადამიანს თავის სიცოცხლეში ერთი ლექსიც არ დაეწეროს, იგი მაინც პოეტი იყოს. და ფილიპეც, მე მწამს — არ შეიძლება საქართველოში ასე არ ყოფილიყო — ახალგაზრდობაში პოეტიც ქნებოდა და კარგი პოეტიც. ამას ადასტურებს იუბილარის უაღრესად დახვეწილი გემოვნება და კრიტიკული სკალპელი. თუმცა, როცა მე პირველად გავიცანი პატივცემული ფილიპე (ეს იყო 1907—1908 წელი, კარგად არ მახსოვეს), მასზე მთელი ლეგენდები დაღიოდა, როგორც კარგ რედაქტორზე და სასტიკ კრიტიკოსზე.

ერთხელ თურმე კოტე მაყაშვილს ლექსი მიუტანია „ივერიაში“ დასაბეჭდიად.* ფილიპეს გადაუკითხავს, კიდევ გადაუკითხავს, ზევით უწევება თავი და ასე მიუმართავს ახოვანი პოეტისთვის — კაცო, არ გრცხვენიან, მაგოდენა კაცი ხარ და ლექსებსა სწერო?

შეიძლება ეს ლეგენდაც იყოს და ალბათ იქიდან წარმოიშვა, რომ ქველად მართლაც ბევრი წერდა ლექსებს — ადვოკატი, ექიმი, შინამოსამსახურე, ბატონი, ქალბატონი, თავადი, ხელოსანი, გლეხი თუ ბუშა. ყველას ლექსის სენი შეპყროდა. თავიანთი ნამდევილი მოწოდება გაეშვათ და რითმებით ლოთობდნენ. აკაკი ასე ამბობს ამნაირ მოლექსეებზე:

ვინ არა სწერს ჩვენში ლექსებს,
ვის არ უნდა მოლექსობა,
მაგრამ ლექსი, რა ლექსია,
თუ რომ გულს არ დაესობა.

ფილიპე გოგიაშვილი თავის გაზეთის ფურცლებზე დიდის არჩევით ბეჭდავდა ლექსებს. აკაკის და ვიქის ამ პერიოდის საუცხოო და ცნობილი ლექსები პირველად გოგიაშვილისეულ „ივერიაში“ დამზეპდა. იგი ამ პოეტებს წინასწარ უძვეოდა ლექსებს და კარგ პო-

* ფილიპე გოგიაშვილი „ივერიას“ რედაქტორი იყო 1906 წ.

ნორარსაც იძლევედა. აქვთ ფეხი აიდგეს და მუხლი მოიმაგრეს ვალუ-
შეკლმა, თომაშვილმა, ათოსპირელმა, ცახელმა. იხალგაზრდა კოტე მა-
ყაშვილის პირველი დებიუტიც „ივერიაში“ მოხდა. მისი „ამირანი“
ყველამ ზეპირად იცოდა.

მართალია, დღევანდელი საპატივცემულო საღამო ეკონომიკური
ფაკულტეტის ახალგაზრდების მიერ არის მოწყობილი, მართალია,
იუბილარს დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა კადრების მომ-
ზადებაში საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგში, მაგრამ, ნება
მიბოძეთ, ფილიპე გოგიაშვილის მოღვაწეობა ცოტა პოეტებისკე-
ნაც გაღმოვხარო და მოგაგონოთ მისი დიდი დამსახურება ქართული
ლიტერატურული კრიტიკის დარგშიც. ჩვენს იუბილარს არა ერთი შე-
სანიშნავი წერილი აქვს ჩვენს მრეწველებზე. მას ვრცელი რეცენზიები
აქვს დაბეჭდილი ახლად გამოცემულ თითქმის ყველა წიგნზე. ეხლაც
დიდი ინტერესით იყითხება პატივცემულ ფილიპეს ორი დიდი ფელი-
ტონი, ერთი ნორვეგიელი მწერლის პიესა „თამარ მეფეზე“, სადაც
გაყენებულია ნორვეგიელი ავტორი და გამოაშვარავებულია მისი უვი-
ცობა და ორცოდნა საქართველოს იმ ეპოქისა, საიდანაც ვითომდა აუ-
ლია მასალა ნორვეგიელ მწერალს თავისი ქართული პიესისთვის. აქე
უნდა დავძინო, რომ ეს პიესა „თამარ მეფე“ ქართულად უნდა დაედგათ
ჩვენს ორტისტებს, მაგრამ ბატონ ფილიპეს წერილის დაბეჭდების შემ-
დეგ „თამარ მეფე“ სამუდამოდ მოიხსნა ქართული თეატრის რეპერ-
ტუარიდან. ძნელია, ასე სახელდახელოდ ჩამოთვლა პატივცემული იუ-
ბილარის წერილებისა ლიტერატურაზე, მაგრამ არ შეიძლება არ დაე-
სახელო მისი ნაშრომი სუმბათაშვილის „ლალატზე“ — მის დადგმაზე
და პიესის ანალიზზე. ჩემის ახრით, კარგი იქნება, ჩვენი იუბილარის
ლიტერატურული წერილები შეიკრიბოს და ცალკე წიგნად გამოსცეს
უნივერსიტეტის გამოცემლობამ — ეს იქნება საუკეთესო ნობათი
ახალგაზრდობისათვის.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ პატივცემულ იუბილარს სასტიკი კრიტი-
კოსის სახელი პქონდა დარხეული. ერთი შეხედვით, მართლაც, მისი
მოღვაწეული სახე, სათვალეებქვეშ მომზირალი თვალები თითქოს ამის
დამადასტურებელია. ვიდრე გავიცნობდი ჩემს უფროს მეგობარს —
ფილიპეს, მეც ასე მეგოხა — ციცი, კუშტი, ხეკაცი, მაგრამ ბევრმა
როდი იცის, რა პოეტური გული აქვს წელთა დაზიდულობით დამაშე-
რალ ჩვენს მოღვაწეს, რა უბრალო, რა სათუთი, თბილი და ამაღლელვი-
ბელია მისი გულის ყოველი კუნჭული. სხვას რომ თავი დავინებოთ,
ვისაც წაუკითხავს ფილიპე გოგიაშვილის წინასიტუაცია

პეტრე უმიკაშვილის მიერ შეკრებილ ზეპირსიტყვაობის შესტების დამერწმუნება, რომ ამ წინასიტყვაობის აღტორს მართლაც დადგენებოვანი გული ჰქონია, მერე რა გული — მგრძნობიერი, პატრიტული, ხმიერი, ცრემლის სიმებიანი, პოეზიით ილავსე და კაცო სიყვარულით გამსჭვალული.

დიდება და დღეგრძელობა ასეთი მდიდარი გულის პატრონს, ფასი პე გოგიჩაიშვილს!

1945 წ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მეცხრამეტე საუკუნის სამი რომანტიკოსიდან (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) ნიკო გამოირჩეოდა თავისი სიახლით, საგნების ახალი ხილვით და ტემპერამენტით. იგი არავის არა პგავს. მისი ყოველი სტრიქონი შთამბეჭდავია და გულში ჩამწედომი. მისი გრძნობის დოკუმენტიანობა ახლებურად ყლერს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პოეტს რითმა ეურჩება, არც ერთ მწერალს არა აქვს რიტმის შეგრძნობის მუსიკალობა, როგორც ნიკო ბარათაშვილს.

ბარათაშვილმა უარყო სპარსული ფორმა. მან მშობლიურ ლიტერატურას დაუბრუნა რესთაველისა და გურამიშვილის გაშლილი ლექსი, შეუწონა იგი ეკრაპელ კლასიკოსებს და ჩვენი პოეტების თაობა გადაარჩინა მუხამბაზების ქარიშხალს, რომელიც ასე თნავრულად დანავარდობდა როგორც მეთვრამეტე საუკუნის მეფეების დარბაზებში, ისე დაბალი ხალხის ხეივნებში.

ნიკო ბარათაშვილის კერძო წერილები ისე იყითხება, როგორც მერიმეს ნოველები: რამდენი გრძნობა, რამდენი სიღრმე, გონებამახვილობა.

ბარათაშვილი ჩვენი ჭირისა და ლხინის თანამგზავრია. იგი დარჩება ქართულ ლიტერატურაში, როგორც ლირიკული ლექსების უნაზესი ბატონიშვილი.

1945 წ.

ქართველ პოეტებს შორის არ მეგულება ისეთი ტანჯული ადამიანი, როგორიც ევდოშვილი იყო; ქართველ მწერლებს შორის, თუ არ ჩავთვლით ჭოლა ლომთათიძეს, არ მეგულება ისეთი შეუპოვარი და მებრძოლი სულით აგზნებული პოეტი, როგორიც ევდოშვილი იყო.

იგი თითქოს იმიტომ მოვიდა ამქვეყნად, რომ ცარიშმის სატრაპებს გაბედული ლექსებით შებრძოლებოდა, განკიცხული ყოფილიყო თავის მტერმოყვარე მეგობრებისაგან, პირაკრული მჯდარიყო მეტების ქვის ტომარაში, ემარტოვა ციმბირის მიყრუებულ ადგილებში, ბოლოს ნაავაღმყოფარი, ძვალტყავად ქცეული დაბრუნებოდა თავის დედა-ქალაქს და იქ ჩაეყარა თავისი გამმმარი ძელები.

აბა, ვისა ექვს, რომელ ქართველ პოეტს, ასეთი ბიოგრაფია? ა. ბლოკის სიტყვები: „Как мы любили, гибли и боролись“ — ზედგამოქმნილია მასზე.

იროდოონს თავისი სიამოვნებისათვის არ უცხოვრია, ამიტომ არის მისი შესანიშნავი ლექსები ტანჯით და სევდით აღსავს.

იროდოონ ევდოშვილი, უპირველეს ყოვლისა, — თუ შეიძლება ასე იოქვას, — რევოლუციონერი ლირიკოსია. თვით პროტესტანტული სულით გაუღენთილ ლექსებშიც კი იგი გვევლინება უნაზეს ლირიკოსად...

*

მე თავს არ შეგაწყვენთ ბეერი ლაპარაკით, არც მოგონებებით დაგრირთავთ, რადგან ევდოშვილს პირიადად სულ რამდენჯერმე შევხვედრივარ; როცა მე მოლექსეობა დავიწყე, ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო და ერთი-ორი წლის შემდეგ მოსწყდა კიდეც თბილისის არემარეს — 1909 წელს მეტებში ჩასვეს და 1910 წელს სამი წლით გადასახლეს ყინულოვან ჩრდილოეთში. ჩემი მოგონება მისი ლექსის ფარგლებშია მომწყვდეული. ეს ლექსები მე ბალლობიდანვე მიზიდავდა —

გაეჩიმდე? თითქოს ხელთა მქონდეს

ზე ჩემი გული,

განა თქვენ ძალგიძო დაამშეიდოთ

ზღვა ალგზნებული?

გაზაფხულისკენ, გაზაფხულისკენ,
აღსდევ, ისწრაფე, საშობლო ჩემი!



მე მახსოვს მისი აკრძალული კრებული — „წ ი ნ“, რომელიც 1906 წელს ხელიდან ხელში გადადიოდა ჩვენი უბნის რევოლუციურად გაწყობილ ბიჭებში!

ერთი მისი უშესანიშნავესი ლექსი „საღამო ქალაქში“, გახდა მიმ. რქმელად ჩემი საბავშვო ლექსისა, რომელიც შებრუნებულად ეხმაურება მის რეფრენს (იხ. ჩემი „გორის პიონერების კოცონთან“).

მაგრამ დღეს მე მინდა წაგიკითხოთ გულის სიღრმემდე შემაქრეოლ ლექსი თვით იროდიონ ევფოშვილისა, რომელიც თავის დროს კუპაურებით დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“. ლექსის სათაურია „გამოშვიდობება გადასახლებულისა“. როგორც სათაური გვამცნობს, ლექსი დაწერილია მეტების ციხეში, 1910 წლის ივნისში, როცა პოეტი გამოეცხადა ციმბირში გადასახლება.

აი, ეს კაშნიანი ლექსიც მთლიანად.

არც აქა მქონდა სახლი და კარი,
საცა მიცდიგარ, არც იქ მექნება,
მაგრამ საშობლო მე, გაძევებულს,
მომავალდება, დამენატრება.
არც აქ მქონია ტებილი სიცოცხლე,
საცა მიცდიგარ, არც იქ მექნება,—
იქ დანალელებულს და დაფიქრებულს
მანც საშობლო მომავალდება.
მომავალდება...*

1946 წ.

0701 ალექსაზივილი

25 წლის წინათ, 1921 წელს, 27 იანვარს, თბილისის ერთ-ერთ საავალმყოფოში გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი.

ილია ალხაზიშვილი ეკუთვნოდა ჩვენს ძველ მოღვაწეთა იმ პლეი-ადას, რომელთა გულშიც ქართველი ერის ბრწყინვალე მომავალი იმედად იყო ჩისახული, რომელთა ძლიერ სულს ერ აქრობდა აუტანელი.

* ი. ევფოშვილი. თხულებანი, ტ. II, 1936, გვ. 107.

პირობები, დუხვირი ცხოვრება. ი. ალხაზიშვილი მთელი თავისი ს-
ცოცხლის განმავლობაში იმედიანად შეკყურებდა მომავალს და თავისი
უანგარო წვლილი გულწრფელად შექმნდა ქართული კულტურის
განვითარების საქმეში.

ი. ალხაზიშვილი დაიბადა 1853 წელს, 3 სექტემბერს. ყოფ. სიღნა-
ლის მაზრის სოფ. ზიარში; მისი მამა სოლომონი ყმა იყო თავიდ სიმონ
შალიკაშვილისა, — ეს ის შალიკაშვილია, რომელიც გრიგოლ თრბე-
ლიანის თანაშემწედ იყო დანიშნული ბელაქანში დაბანაკებულ ბატა-
ლიონში.

პატარა ილია ექვსი თვისა იყო, როდესაც მამა გარდაეცალა, ხო-
ლო ექვსი წლისა იყო, როცა მისმა ბიძამ — ივანე ალხაზიშვილმა —
ზაქათალაში წაიყვანა და ერთ სამხედრო ფერშალს მიამარა რუსული
ენის შესაწავლად. გლეხთა ბატონიშვილისაგან განთავისუფლების შემ-
დეგ მომავალი მწერალი მიებარა სოფ. ვეჯინში აღვილობრივ მღვდელ
ზოტიკეს, სადაც სწავლის წაცვლად მღვდლის ჯოგს აძოვებდა სოფლის
მინდვრებში. ამის შემდეგ იგი გადადის გურჯაანში, საეკლესიო სკო-
ლაში. ამ სკოლაში ილიკო დახელოვნდა ხუცურ კითხვაში და კარბე-
ლაშეილების კილოთი გალობაში. ი. ალხაზიშვილის სურვილი იყო რა-
იმე ხელობა შეესწავლა, ამ მიზნით იგი გადადის გორში და შეგირდად
შედის აფთიაქში. იგი გულმოდგინედ ემზადება ფერშლობისათვის. ორი
წლის გამუდმებული შრომის შემდეგ ნიჭიერმა ახალგაზრდამ თბილი-
სის საავადმყოფოში საჭირო გამოცდა ჩააბარა და 1872 წელს ქ. ახალ-
ქალაქში (ჯავახეთში) გამწესდა ფერშლად. აქ მან მოკლე ხნის გან-
მავლობაში დაიმსახურა საერთო სიკარული და პატივისცემა. 1883
წელს ქუთაისის გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდა და მიიღო აფთიაქის მო-
წაფის მოწმობა. მეტი ცოდნის წყურვილით აღჭურვილი ი. ალხაზიშვი-
ლი 1889 წელს გაემგზავრა ხარკოვში და ჩიირიცხა უნივერსიტეტში
თავისუფალ მსმენელად ნამკურნალო ფაკულტეტზე. ხარკოვის უნი-
ვერსიტეტში ილიკოს ძალიან შეუყვარდა ბუნებისმეტყველება და გულ-
მოდგინებით ეწაფებოდა მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. 1891 წელს
ილიამ მიიღო პროფესორის დიპლომი და დაუყოვნებლივ დაბრუნდა
სამშობლოში.

შერ კიდევ 1875 წლიდან ილია იწყებს ლიტერატურულ მუშაობას
ქართულ ეურნალ-გაზეთებში. ხარკოვიდან დაბრუნების შემდეგ იგი
მხურვალედ ჩაება საზოგადო მოლვაწეობის ფერხულში. ახალქალაქში
ილია ცხვლა საერთო საქმის სული და გული იყო. ამ ქალაქში არ და-
წყებულა არც ერთი საზოგადო საქმე, რომელშიაც ილიას მონაწილე-
ობა არ მიეღოს თავისი ცოდნითა და გამოცდილებით.

1897 წელს ილია ალხაზიშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა „ბუნება და ცხოვრება“, სადაც გვხვავრის დღიურის სახით მოცემულია გვალ ხეთის და წალეის იმდროინდელი მდგომარეობა, ისტორია, ეთნოგრაფია და ბუნება. დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ილია ალხაზიშვილი მთელი 45 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა ყველა იმდროინდელ გამოცემებში („ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“), იგი უახლოესი თანამშრომელი იყო საბავშვი ურჩნალ „გეგილისა“, დღიდან მისი დაარსებისა (1890 წ.); ლ. ბოკაძის ურჩნალ „განათლებაში“ ათავსებდა პოპულარულ წერილებს სწავლა-განათლების დარგიდან. მის ნაწერებს შორის ილიანიშნავია შესანიშნავი ენით დაწერილი შემდეგი შრომები: „ვარძის მონასტერი“ და „მტკვარი, ჭოროხი და რიონი“. ილია კარგად იცნობდა ზემოქართლს და თურქეთის მიერ ძალით წართმეულ ქართული რაიონების ისტორიას, ეთნოგრაფიას, მათ ძეგლებსა და მონასტერებს. მას არა ერთხელ მოუვლია ყველა ის მხარე, რომელსაც აღწერს თავისი მხატვრული ენით დაწერილ მოგზაურის დღიურებში.

ილია ალხაზიშვილი აღზრდილი იყო ილია ჭავჭავაძის იდეურ ტრადიციებზე. მას მხურებალედ უყვარდა თავისი სამშობლო და ხალხი. მას უყვარდა მშრომელი ხალხი, „პატიოსანი ოფლის მღვრელი მუშაკი“, „ენიც ყოვლად უშრომლად სხვის ოფლის სკამს; სხვას იმსახურებს და თეითონ კი სხვას არ ემსახურება, მუქთახორიდ, პარაზიტად ჩაითვლება“ — ამბობს იგი.

ყველაზე მეტად ილია ალხაზიშვილს აწუხებდა ქართველი ხალხის ნაციონალური თეითშეგნების გაღვიძების საკითხი. იგი გულნატენი წერდა, თუ „როგორ დაჲქარება საქართველომ ზემოქართლი, მესხეთ-ჯავახეთიდან მოყოლებული პასან-ყალა ტრაპიზონამდე“. მრავალი წლის განმავლობაში იგი ცხოვრობდა ჯავახეთის ახალქალაქში, უღეძებდა ადგილობრივ ქართველებს ეროვნულ თეითშეგნებას და ძალით გამაპარადინებულ ქართველებს უქადაგებდა — „რჯულის გამოვლა არ ნიშნავს ეროვნების გამოცვლასთ“.

ილიანიშნავია აგრეთვე ი. ალხაზიშვილის სამეცნიერო წერილები სამკურნალო მცენარეების შესახებ. მას შესწავლილი აქვს მთელი რიგი სამკურნალო მცენარეებისა, რომელნიც არსად, ან იშვიათად შეგხვდებათ სხვა სპეციალისტების სამეცნიერო შრომებში. იგი თავის დროზე ყურადღებას იქცევდა თავისი გულმოდგინე საკვლევო მუშაობითაც.

დიდია ლევაშვილი ამ დაციწყებული და ჩუმი მუშაკისა.

განუწყვეტელმა შრომამ გასტეხა მისი მაგარი სხეული, იგი გან-
დაიცვალა 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების-დამ-
ყარებამდე ერთი თვით აღრე. იგი ვერ მოესწრო თავისი ხალხის გან-
თავისუფლებას.

1946 წ.

სონა გოგაშვილი

სონა გოგაშვილის ნიჭი პატარა თეატრებში გამობრწყინდა. მას შე-
ეძლო დიდ თეატრებში გადასვლა, მაგრამ არჩია ყოფილიყო იმ განა-
პირა უბნებში, სადაც თავისი ახალგაზრდობა გაატარა და მუშათა გათ-
ვითცნობიერებას შესწირა თავისი ნიჭის ნაპერწყლიანობა. ძველად
სცენაზე ქალის გამოსვლას საძრახისად თვლიდნენ, ათასნაირი უმ-
გვანო ეპითეტებით ამკობდნენ სცენაზე გამოსულ მანდილოსანს და
„ცირკის ქალს“ უწოდებდნენ. სონამ თამამიდ გაარღვია ეს ჭორების
ხერგანი, არ შეუშინდა მითქმა-მოთქმას და დღეს იგი იმყის თავისი
მუშაობის ნახევარსაუკუნიან ბარაქიან ხვავს.

სონას სასცენო განათლება არ მიუღია, არამცო სასცენო, სკო-
ლის სკამზედაც დიდხანს ვერ იმოგინა, მაგრამ ილია ქავჭავაძის თქმი-
სა არ იყოს: „ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც შესწივლილი,
არც უწიგნობა ვარგა, და არც მარტო წიგნიდან გამოხედვა“.

სონამ ცხოვრების სკოლა გაიარა! იგი პატარაობიდანვე მეტად დაკ-
ეირვებული და ნიჭიერი იყო. იგი ყველას აკვირდებოდა, გლეხის დე-
დაქაცხაც, მათხოვარსაც, მწვანილის გამყიდველს, სწავლობდა მათ
მიხერა-მოხერას, ჩატმულობას, სიტყვა-პასუხს, მერე ამ დაკვირვებას
სცრიდა თავისი გონების ცხრილში და სცენაზე გადაძქონდა რომელიმე
ტიპის სრულყოფილად განსახიერებისათვის.

სახალხო თეატრი — ვიდრე ზუბალაშვილის სახლი გაიხსნებოდა—
ვერ ეზოებში, დიდ ივნებზე და ფარლულებში იმართებოდა, (ნაძალა-
დევი, ვერა, ავლაბარი), მერე გადავიდა ეგრეთწოდებულ ავჭალის აუ-
დიტორიაში. ავჭალის აუდიტორია იყო ნამდვილი თეატრი, თეატრი
პატარა ფარგლებში მომწყვდეული, მაგრამ დიდი იდეების მატარე-
ბელი.

სონა ხშირად მონაწილეობდა იმ წარმოდგენებში, რომლებიც რე-
აოლუციონერების სასარგებლოდ იმართებოდა...

1905 წლის შემდეგ გამეცებული რეაქტის დროს ბევრი ამნანა გი მოხვდა მეტების ციხეში. მუშათა რაიონებში მყოფი თეატრის მუშაკები ხშირად ეხმარებოდნენ ასეთ პატიმრებს, რითაც შეეძლოთ, ერთი ასეთი დახმარება იყო წარმოდგენებიდან აღებული ფული. მაშინდელი აღმინისტრაცია სდევნიდა ასეთ ქველმოქმედებას და ყოფილა შემთხვევა, როცა მოსულა პოლიცია, წარმოდგენა შეაზრ გაუწყვეტია და გრიმგაცეთებული არტისტები პოლიციაში წაუსხამთ.

სონა გოგაშვილი ხშირად გადაღიოდა თეატრიდან თეატრში, ქალაქიდან სოფელში, მოგზაურობდა ხან მატარებლით, ხან ფეხით, ხან ურმით, ხან ტივით და ყველგან კულტურის შექმნადა... ამ მაღლიან საქმეს ისიც უნდა დაემატოს, რომ ეს ხდებოდა უსასყიდლოდ, უანგაროდ. თუ დიდ თეატრს ჰყავდა გაბუნია-ცაგარელი და ჩერქეზე-შეილი, განაპირა უბნებს ჰყავდა დარიკო რჩეულოვი და სონა გოგაშვილი. სონა და დარიკო მტკიცედ, მუხლმაგრად მიაბიჯებდნენ თავიანთ მასწავლებელთა ბილიქზე და ხშირად მშერ-მწყურვალებს ერთხელაც არ აღმოპხდენიათ ხაყვედური, ერთხელაც არ უღალატნიათ თავიანთი საქმისათვის, რადგან იცოდნენ, რომ მომავლისთვის კარგ საქმეს აქეთებდნენ.

დღეს ამ მომავალს ჩეენ ყველანი ვუმზერთ და სონა გოგაშვილი ბეღნიერია, რომ იგი თავის მიერ გასროლილ თესლს თავასხმულსა და გახარებულს ხედავს. ის, როგორც ფუტკარი, აგრძელებდა თავისი ნიჭის ყვაველთა სურნელებას და მიპქონდა იმ სკაში, რომელსაც ქართული სახალხო თეატრი ეწოდება.

სონა, როგორც მსახიობი, სინდისიერი და წესიერი იყო. მას თავისი მოვალეობისათვის არასოდეს უღალატნია, რეპეტიციებზე თავის დროზე მოდიოდა, როლი ყოველთვის ზეპირად იცოდა. როგორც ადამიანი, სონა საუცხოო თვისებების მქონეა, მხიარული, უბოროტო, მტანი და გამტანი.

სონა გოგაშვილი და მისი მეუღლე სანდრო გოგაშვილი პირეელად გავიცანი 1906 წელს, ამ ორმოცი წლის წინათ, მურაშეოს თეატრში. ამ დროს მე 17 წლის ბიჭი ვიყავი და სუფლიორად ეირიცხებოდი მურაშეოს სცენისმოყვარეთა დასში. როგორ მინდოდა არტისტობა — სცენაზე გამოსელა რომელიმე როლში, მაგრამ მაშინდელი მსახიობები: ბალაშვილი, სალაყანა, გელიაურაშვილი და სხვ. როლებს არ მაძლევდნენ, პატარა ხარო, და მეც სუფლიორის ხულაში იბლად მჯდარი ცრემლით ვაწოდებდი სიტყვებს: მშურდა, რომ მათ ტაშით აჭილოვებდნენ, მე კი არა! და როგორ გამეხარდა, როცა ერთხელ გოგა-

შეიღებმა სოსანას როლი შემთავაზეს აკაკი წერეთლის პიესა — „კინ-ტოში“. ეს იყო ჩემი პირველი ორტისტული ნათლობა.

სოსანასთანა ტიპები ხშირად მყავდა ნახული ჩეენს უბანში და ბუნებით მოკრძალებულმა, ალბათ, ძალიან თამამად შევასრულე ყარა-ჩოლელის როლი, რადგან სონა გოგაშეილისაგან კოცნაც კი დაუიმ-სახურე.

1946 წ.

ეს და აუჩიშვილი

პატარა შოგონება*

მე და ქუჩიშვილს ძეველი კრიტიკოსები შუაზე გვყოფნენ, — აბა რა გვაქვს გასაყოფი? ერთი ამბობდა: გ. ქუჩიშვილი მუშათა პოეტია, ქუჩაშია აღზრდილი (!), გრიშაშვილი კი კოცნას პქადაგებს და „ოქტოს ფეხებს“ უმღერსო. ქუჩიშვილის ლექსი ბეჩევის სულისკვეთების გა-მომსახველია, გრიშაშვილის „ოცნების კოცნა“ კი მუშას პურს ეერ აჭმევსო. და იყო კრიტიკოსების ერთი შეხლა და კამათი! მე და ქუჩი-შვილი ერთსაც ვუსმენდით, მეორესაც და განვაგრძობდით ჩეენს მი-ერ ერთხელ არჩეულ გზას. ორივეს, ერთად აღებულს, ერთ საუკუ-ნეზე მეტი გვიცხოვრია, და თუ რამე გვაქვს გასაყოფელი, ეს მხოლოდ ჩეენი მოღვაწეობის თარიღებია. ჩეენ ეს ერთი საუკუნე შუაზე გავ-ყავით: ნახევარი მას ეკუთვნის, ნახევარი მე. აი, რა გვაერთებს მე და ქუჩიშვილს, როგორც პოეტებს.

ქუჩიშვილს ბალლობიდანვე ვიცნობ... მე და მისი ძმა, მწერალი დავით თურდოსპირელი, ერთად ვსწავლობდით თბილისის ქართულ გიმნაზიაში, ერთად ვიჯერით მერხზე. ვიორგი დათიკოზე უფროსი იყო. მე იგი ხშირად შემხვედრია თავის ძმასთან, როცა არმელიმე წიგნის სახეორად დათიკოსთან მიესულვარ.

ჩეენ ერთმანეთს უფრო მჭიდროდ და მეგობრულად დაუუახლოვ-დით პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის სუსხიან წლებში. ზო-გი მისი ამნანაგი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა, ზოგმა კულტუ-

* სიტყვა, წარმოთქმული გ. ქუჩიშვილის საობბილეო სალამიზე რუსთაველის სახელმის თეატრში 1946 წელს, 21 ნოემბერს.

იუბილარი, ვაღმყოფობის გამო, არ დასწრებია სალამოს, იგი თავის ბინაზე, ლოგიში შწოლარე ისმენდა ჩეენს სიტყვას რადგოთი.

რულ დაწესებულებას შეაფარა თავი. ამ დროს განახლებული ქართული დრამა თანამშრომლებს აგრივებდა და ჩენი, ორივენი, ქართული თეატრში შევეღით: მე — მოქარნახედ და გიორგი — არტისტად იყო 1907—1908 წლებში, ჩენი პოეტური კარიერის პირველ წლებში.

ვიდრე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდოდა, გიორგიმ მეტად რთულ და გაქირვების ვრცელი გზა განვლო. „განა ვის აქვს, თუ არ გაქაცას, სატირელი, საოხრელი“ — ეს ხალხური თქმა სწორედ გიორგზეა ზედამომჭრილი. ახალგაზრდობაში იგი პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩიშვილი მთლიანად გამოიცავალა: ჩენი ცხოვრების წინსვლა ახარებდა და და აამაყებდა. მალე ჩადგა იმ მომღერალთა ფერხულში, საღა გულწრფელი სიმღერები გაისმოდა... ახლა რომ ვაკეირდები გიორგს ბიოგრაფიას, იმ დასკენამდე მიედივარ, რომ კარგ ოჯახს ბევრი ას შესძლებია. მას გატაცებით უყვარდა ოჯახი და ოჯახიც შესაფერ პირებს უქმნიდა საყვარელ პოეტს. მისი ორი შვილი — ციალა და ნიდარ ჩხეიძენი — მამის კვალს გამჟღნენ: ციალა — ქართული და უცხო ენების სპეციალისტია, ჩენი ლიტერატურის ლრმა მცოდნე, ხოლო ნოდარი — რუსთაველის სახელობის თეატრის ნიჭიერი მსახიობი. ჩენს ძვირფას გიორგის, ლექსების გარდა, მაღლობად ესეც ეყოფა.

გიორგი და მე არასოდეს ცყოფილვართ უმძრახად. მე და ქუჩაშვილს არასოდეს ზედმეტი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის. მე ის ყოველთვის თავაზით მექურდა და მეც... თვალში რომ ჩამვარდნოდა, ხელს არ მოვისვამდი. ორივენი ხელოსნის ჯილიგიდანა ერთ გამოსულნი და პოეზია გვაყიშირებდა და გვაყავშირებს... მასმევს, ჩემს იუბილეზე რა ომახიანად წარმოსთქვა ჩემდამი მოძღვნილი ექსპრომტი:

სოსო! რა თოვლი მოსულა!
რა შეუქთა სიჩახჩახება!
ეს ფოტქთა თეთრი გვეირგვინი
ცამ შენოვეის ჩამოარხია
სოსო! რა ყველას გულში ხარ!
რა ყველგან შენ სახლია!
ტაშ-ატყორცნილი ტალლანი
ეაჟაცურ კაშას გახლია!

ერთხელ კი იოხუნგა ჩემზე: ოჯახში დამპატიუ — „წამო, ჩემი წიგნის მაღარიჩი გადაეკრათო“; გიორგიმ თავის სათნო მეუღლეს ვასასის ღვინო მოსთხოვა, მე რად მოვთხოვე.

— რად, რა... ხმო ხარ?! — მეგობრულად მომახალა გიორგიმ. ეს

მოსწრებული სიტყვები არა მწყენია, რადგან ყოველგვარი ოხუნჯობა ჩემს მიმართ, თუ ის უბოროტოდ არის ნათქვამი, ჩემში ჯანსაღ სიცილს იწვევს.

გიორგი, როგორც პოეტი, ქართული პოეზიის მოვარდნილიანი ჩემი — ჩემი ჩემია ადამიანი — უანგარო და ალალი პიროვნება. ამხანგისათვის სულს არ დაიშურებს. მას მეტად მგრძნობელი და ანიში გული აქვს: ამტანი და გამტანი. არც სატრფიალო ლირიკაა მისთვის უცხო. ერთხელ განსვენებულმა მომღერალმა სანდო კავსაძემ ერთი პატარა ლექსი ჩამაწერინა: ხალხურიაო! ძალიან მომეწონა:

კოხტა გოგო წყალზე მიდის
კოხტა თიხის სურითა.
ბროწეული იშლება,
იმის სიმწითერითა,
მყერდი ისე ულელავს
ორი ბუდეშურითა,
რომ ზღვა დამშერდებული
ლელვას იწყებს შერითა!

და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ეს ლექსი ქუჩიშვილის კრებულში ვნახე. აი, როგორ გადადის პოეტი ხალხში. ეს უკეცელად გ. ქუჩიშვილის ნიჭის ნაპერწკლიანობის მაჩვენებელია. აქ კი მართლაც მე და გიორგის გასაყოფელი არაფერი გვაქვს. მე ამ ლექსის ტრუბადური ხშირად კუთხილვაზ: „კოხტა გოგო წყალზე მიდის“...

როცა ომი დაიწყო და ზარბაზნებმა იქცხეს (1941), ჩვენ, ზურგში დარჩენილი პოეტები, ერთად შევიკრიბენით და ლიტერატურული საღამოების გამართვა დავიწყეთ. ზურგი და ფრონტი ჩვენთვის არც აქ იყო გასაყოფელი.

ჩვენი ლიტერატურული ბრიგადა, რომელსაც მწერალი სიმონ წვერავა მეთაურობდა, გამოდიოდა სამობილიზაციო პუნქტებში, სამხედრო კომისარიატებში, ტრანსპორტზე, იგიტპუნქტებში, კოლმეურნეობებში, პოსპიტლებში, სკოლებში... აქ, ჩვენ, ყველანი, მხატვრული სიტყვით ვიბრძოდით და ფრონტზე გაგზავნილებს თუ შინ დარჩენილებს მტერზე გამარჯვების ჩრდინას ვუნერგავდით.

საქართველოს მწერალთა კავშირმა, მწერალთა აქტივის დახმარებით, ასზე მეტი ასეთი ანტიფაშისტური საღამო ჩაატარა. ეს საღამოები იმირთებოდა დილით, შუადღისას, საღამოთი, ხშირად ერთ დღეში სამი საღამო ჩაგვიტარებია.


ამ საღამოებზე, როგორც ყოველთვის გაისმოდა გიორგი ქუჩიშვილის მცექარე და იმედიანი ხმა. ახლაც თვალწინ მიღვას მისი ორი-

გინალური სახე, ტრიბუნაზე ხელამართული, მასებს რომ მოუწოდეს
და ბრძოლისა და შრომისაკენ.

ერთ სასწავლებელში მე და გიორგი საპატიო პიონერებიდან აკენ-
ჩიეს და ყელზე წითელი ყელსახვევები შემოგვაყრეს. ამ მოულოდნე-
ლმა სიხარულმა მე მადლობის თქმის უნარი წამირთვა, ენა დამება-
გიორგიმ კი ექსპრომტად შესანიშნავი ლექსი წარმოსთქვა. აი ეს ღია-
სიც, თუ გამახსენდა —

უანგარო სიყვარულით
მომაგებეთ ტაშის ტალღა,
და მეც, ჩემო მალხაზებო,
მეც თქვენსაენთ ვიქეც ბალად.
შახარებდა თქვენი ლექსი
და სიმღერა თქვენგან თქმული,
ტან-ვარჯიში, ცეკვა-რხევა,
რივერი და ურიმული.
საპატიო პიონერად
ამირჩით ერთსულოენად
და წითელი ყელსახვევიც
გამიკეთეთ ნიშნად, ხსოვნად.
და შეგფიცავთ, რომ გულმრავად
შევინახავ ამ ყელსახვევს,
რომ არასცროს არ შევარცხევნ
პიონერის ლამაზ სახელს.
და სარდლობაშ თუ მიბრძანა,
თუ მეც იმში დამიძახეს,
როგორც წითელარმიელი,
დროშად გაეშლი თქვენს ყელსახვევს
და შაშხანით ვეკვეთები
ჩვენი საზღვრის გადმომლახველს.

ასეთი გულწრფელი იყო და არის ჩვენი ხალხის საყვარელი მეო-
სანი ჭირშიაც და ლხინშიაც. და დღეს, როცა ერთჩაშად ვიშუშებთ
მტრისაგან მოყენებულ ჭრილობებს, როცა სამშობლოს აყვავებს ასე
გულშმიერად შეეხარით, ამ დროს ჩვენი მწერლობის ერთი მოსუსვენა-
რი ქარიშხალი — პოეტი ქუჩიშვილი არ ესწრება თავის გამარჯვების
ზეიმს, არ ესწრება, რომ ერთი მაგრად გადავკოცნო ჩემი ძეველი და
უწყინარი მეგობარი. მაგრამ მე იმედი მაქვს, ჩემი ოცნების კონკ
ცისარტყელად გაგრძელდება აქედან მის სახლამდე, რომ დაკიონოს
მის ფართე შუბლს და მიულოცოს ეს დიდი და შესანიშნავი დღე —
დღე გიორგი ქუჩიშვილისა.



17 წლის ბიჭი ვარ!

ქართულ წარმოდგენებში ვიღებ მონაწილეობას ქილაქის „განაპირობის უბნებში.

ერთ დღეს ხმა დაირჩა, რომ ეგრეთწოდებულ „მურაშეოს“ თეატრს ეწვევა ქართული დასი ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით და დადგამს დ. ერისთავის „სამშობლოს“.

გადავიდეთ შორეულში.

რა იყო მიზეზი ქართული თეატრის კორიფეულის მუშათა რაიონებში მოღვაწეობისა? იმ ხანებში თბილისის დიდ ქართულ თეატრში აიყრინდა წარმოდგენები. დარბაზში კედლები გაირღვა და ბანკის მმართველობამ, რომელიც თეატრის ბატონ-პატრონი იყო, დროებით დახურა სცენის კარი და შეუდგა რემონტს. ეს რემონტი გაჭიანურდა, სამ წელიწადნახევარს გაგრძელდა. ერთ ძველ უურნალზე იაყობ ნიკოლაძემ ავადმყოფ ვასო აბაშიძის კარიყატურაც დახატა: 『ვემ მიწერილი იყო შემდეგი სიტყვები: „მე დამიპაჩინკვეს, მაგრამ ქართული თეატრის დაპაჩინკებას არაფერი ეღირსა!“ ჩევნი სცენის ნიჭიერი მსახიობები (ე. გუნია, ლ. მესხიშვილი, გაბუნია, მესხი, აბაშიძე და სხვები) აქეთ-იქით წანწალობდნენ ლუკმა პურის საშოვნელად. ერთ ასეთ წარმოდგენას, მაშასადამე, მეც დავუსწარი. ეს იყო 1907 წელს, ისანში თამაშობდნენ „სამშობლოს“. აქ მოხდა ერთი რამ, რამაც გადასწყვიტა ჩემი მომავალი. მათი სუფლიორი ბეგლარ ბეგლარიძე, არ ვიცი რა მიზეზით, არ ვამოცხადდა წარმოდგენაზე. წარმოდგენას ხომ ვერ ვადასდებდნენ, მოითხოვეს ადგილობრივი სუფლიორი. მომძებნეს, წამიყვანეს და ჩამსვეს ალაზანეში (ე. ი. სუფლიორის ბუდკაში). ორმა გრძნობამ დაუთმო ერთიმეორეს ადგილი: ჯერ ერთი ის მიხაროდა, რომ დიდ არტისტებს უკარნახებდი და მეორე კი — შიშის ზარს ვერძნობდი, ვათუ დავიბნე და ისინიც დავაბნიო-მეთქი. როლი მხოლოდ სოსო ივანიძემ იცოდა, რომელიც სოლომონ ლიონიძეს თამაშობდა. ეს იმით შევატყვე, რომ მან სცენის იატაქს ფეხი დაჭრა, ე. ი. — ნე მაწვდი და ნე მიშლი, როლი ზეპირად ვიციო. ეს შენიშვნა ხელად შევიშვნიე, „ყურად ვიდე და დავდუმდი“ — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა არ იყოს. დანარჩენებისათვის კარგი ჩამჩრების გამოვდექი. მე, რასაკვირველია, — ჩემი მეხსიერების წყალობით — როგორც სხვა პიესები, ისე „სამშობლოც“ ზეპირად ვიცოდი, რადგან „სამშობლოს“ ჩვენ, მურაშეო-არაქსიანის სცენისმოყვარენი ხშირად

ვდგამდით სცენაზე. ხალხს უყვარდა ისტორიული პიესები: აფეთქება, დამბაჩის ხმა, ხანჯლის ტრიალი, დროშის ფრიალი. ეს მე აწერილი მაქეს და ერთხელ ვასო გოძიაშვილსაც გადავეცი შემდეგი ფაქტი: ქალაქელი მაყურებელი რომ მიღის სალაროში, მოლარეს შეკითხვეს? დღეს რა პიესა მიღის? სროლა იქნება?

დ. ერისთავის ისტორიულ პიესას — „სამშობლოს“ რომ დიდი გავლენა ჰქონდა ქართველთა გათვითცნობიერების საქმეში, ამას ორგარი ასრი არ არსებობს, მხოლოდ მე მინდა მოვიყვან მუშა კუგო ბასილაშვილის მოგონებიდან ერთი ადგილი, სადაც ნათლად ჩამა ამნარი პიესების გავლენა უბრალო მაყურებელზე:

„პატარა სატიოზე, ტრაქტირების პირდაპირ იყო თეატრი თაორ-ვისა, — იჯონებს ბასილაშვილი, — ეს თეატრი რუსის მსახიობ პალაშ ჰქონდა იჯარით აღებული. იქ მიღიოდა რუსული პიესები, ერთხელ ქართულად დასდგეს დ. ერისთავის „სამშობლო“. მეც დავეცნარი. მე-სამე იქტზე, ანტრაქტის დროს, გარეთ რომ ვამოვედით, ისე ვიყავოთ აღელვებულნი სპარსელების წინააღმდეგ. რომ წყლის მზიდავ მეთუ-ლუხე თათრებს ერთი მაგრად ვცემეთ, რომლებიც იქვე ცხოვრობდნენ. ხუთი ბიჭი პოლიციაში ჩაგვყარეს იმ ღამეს. პოლიციას ვინ სხიოდა, წარმოდგენის დატოვებას ეჩიოდითო“, — ასევნის წერილის ავტორი.

მე მგონია, რომ ჩვენ, მურაშეოს მუშა-სცენისმოყვარენი, „სამშობ-ლოს“ ქარგად ვთამაშობდით. როლები ასე იყო ვანაშილებული: ხიმ-შიაშვილი — ლევან ბალაშვილი (სპარტაკის მამა), სოლომონ ლიონი-ძე — ძველი ასოთამწყობი ვ. მეედლიშვილი, შაპაბაზი — მლებავი რთ-მანოს სალაყაია, გოგია — სტამბის მუშა ბესო მაისურაძე, ქეთევანი—ლარო რჩეულიშვილი, დაუდბეგი — გ. გელიაქურაშვილი, ბიჭი — შაქ-რო გომელაური, ჯალათი — ფირუმიანი, დადიანი — მარქოზაშვილი, ისრაფილი — რევაზიშვილი. რევისორი მაშინ მოდაში არ იყო. სუფ-ლიორად მე გახლდით.

მაგრამ რა შედარება იყო დიდი ქართული დასის წარმოდგენა ჩვენს პირდაუბანელ წარმოდგენისთან, მათ წინაშე ისე ვჩანდით, როგორც მახათის მთა ეიფელის კოშკან.

როცა წარმოდგენა ვათავდა, მე ხელად იმოვხტი ჩემი ბუდეიდან და პირდაპირ ვ. გუნიას შევეჩეხე. ვინ იცის, შეიძლება ყასიდათაც ასე მოვიქეცი, რომ ვალ. გუნიას შევხვედროდი. მაშინ ვალერიან გუ-ნია ჩემი ოცნების საგანი იყო. დამწევები მწერალი ვიყავი, ვწერდი ლექსებს, შაირებს, საფლავის ქვებზე ამოსატრელ ეპიტაფებს. ჩვენს უბანში (და ვანა მარტო ჩვენს უბანში?) ვისაც ვინმე მოუკედებოდა

ჩემთან მორბოლნენ სამგლოვიარო ლექსის დასაწერად. ლმერთმანი, არ შემჩერება, თუ ვიტყვი, რომ რაც პეტრე-პავლეს და კრწანისის სასაფლაოებზე ლექსები მაჯვს გაბნეული — ერთი მოზრდილი ტოში გამოვა. ბოლოს ასაქში რომ შევედი, მკედრები მივატოვე და ცოცხლებზე დავიწყე წერა. გუნის გაცნობა იმიტომ უფრო მენატრებოდა, რომ ბოლიშ ვიხდი და — პიესებსაც ვწერდი: ეს „ტიმოთეს ლელვიო“, ეს „ბოიკოტიო“, ეს „არსენ ჭორჭიაშვილიო“ და სხვ. ხომ სხვა არტისტებიც იყვნენ, მაგრამ მაშინ გუნია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გუნია — არტისტი, გუნია — დრამატურგი, გუნია — საზოგადო მოღვაწე, გუნია — შემდგენელი „საქართველოს კალენდრისა“, რომელიც გოგებაშვილის „ბუნების კარის“ შემდეგ საკითხავ წიგნადი იყო გადაქცეული, გუნია — „ცნობის ფურცელის“ რედაქტორი და სხვ.

ტან აბაშიძის თქმით, ერთხელ კორე მესხი, რომელიც ცნობილი იყო თავისი იუმორით, მისულა თეატრში და მსახიობებისათვის უამბნია: „იცით, დღეს რა დამემართა? სახლიდან გამოვედი და გაზეთი ვიყიდე. ქვეშ ეწერა — რედაქტორ-გამომცემელი ვალერიან გუნია, გავიარე და აფიშას შევხედე, წავიკითხე: დღეს წარმოდგენილი იქნება: „ციხის საიდუმლო“, პიესა ვალერიან გუნიასი, როსტომის როლს შესრულებს ვალერიან გუნია, დასის ხელმძღვანელი ვალერიან გუნია, რეეისორი ვალერიან გუნია, ავლელდი, გამოებრუნდი და საქანდიტოში შევედი ყავის დასალევად, ყავის თან მოაყოლეს ნამცხვარი და კანცეტები. კანცეტი რომ გავხსენი, თხელ ქაღალდზე ამოვეკითხე: „29 იანვარი, ვ. გუნიას ბენეფიციი“... პოდა, გუნიამ რომ დამინახა, თავშე ხელი გადამისავა. გამომკითხა ჩემი ავან-ჩივანი. მეც სხაბასხუპით მივახალე, რომ ქართულ სათავიდაზნაურო გიმნაზიაში ვსწავლობდი, რომ მამა მომიკვდა, დავრჩი ობლად, დედაც სხვას გაჰყენა პურის მცხობლადა — იმ ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს, და სხვ. გუნიამ მეორე დღისთვის დამიბარა მსახიობთა კანტორაში, სასახლის ქუჩაშე, სადაც ამეამად ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბია. მისევლისთანავე ვალერიან გუნია გულთბილად მომეგება და ჩიმბარა სრულიად ახალგაზრდას და გამოუცდელს თავისი უურნალი „ნიშადური“. სიმართლე უნდა ითქვას, მეც თავგამოდებით ვმუშაობდი, გუნიამ მასწავლა კორექტორობა, ხელისმომწერთა მიღების წესი, ლექსების გასწორება, შეკრეჭა-შემოკლება, კარიკატურებზე ლექსების მიწერა, მასალების მიღება და განაწილება, მერე წაკითხვა, დასაბეჭდად გამზადება, რიგზე დაწყობა და სხვ.

ერთი სიტყვით, ჩემთვის დ. ერისთავის „სამშობლო“ გახდა საბა-
6. ა. გრიშაშვილი, ტ. V

ბი ჩემი დიდ თეატრში და დიდ არტისტებთან მოხვედრისა, რაც ჟული დეგში, თუ შეიძლება ასე ითქვას — ჩემს უნივერსიტეტად გადაეჭია ქართველი არტისტების წანწალი მერე აღარ მინახავს, რადგან ქოთული თეატრის გარღვეული კედლები, როგორც იყო შეაცეცს და ქართველი საზოგადოებისათვის ნანატრი თეატრი დიდი ზეიმით გაის. სნა 1908 წელს დ. ერისთავის იმავე „სამშობლოთი“, რომელშიც საკათაშორის პირველი დებიუტი მიიღო ხიმშიაშევილის როლში იუკინ სეჭ-ბათაშევილის რეკომენდაციით გამოგზავნილმა ახალგაზრდა გ. იშხნება, მაგრამ მე მაინც ჩამჩრა — და მგონი არასოდეს ამოვარდება ჩემს ხსოვნიდან — ლადო მესხიშევილის ხიმშიაშევილი. ორიოდე სიტყუ-თუმცა, მე არ მინახავს ლადო ახალგაზრდობაში, როცა სხატრი ტანა და ხავერდოვანი ხმის პატრონი იყო.

ლადოს ხიმშიაშევილს პქონდა რაღაც საოცარი მომხიბლაობა, ლა-დო იყო ამ როლში... მისი ცნობილი მონოლოგი შაპის წინ, ეს იყო საქართველოს გმირის ამოდახილი მტარვალთა შესამუსრად. აღმა-გახსოვთ, თუ არ გახსოვთ, მოგაგონებთ: სცენაზე შაპის ბრძანებრი-შემოღის ხმალშემორტყმული ლევანი და წარუდგება ირანის შერე-ნებელს.

„შაპი — როგორ გაბედე, რომ ჩემთან ხმლით შემოხვედი.

ლევანი — როგორც ჯარის უფროსს, მე მევონა...

შაპი — რა ჯარი, რის ჯარი, შენ ჯარი აღარა გყავს. მოიტა ეგ ხმალი

(ლევანი ხმალს იხსინს და შაპს წინ დაუდგებს, მაგრამ ფართშის — შაპის ფართში-ტი ქალის თხოვნით, ხიმშიაშევილი ნებას აძლევინ აღოს ხმალი და შემორტყმულზე. მაგრამ ხიმშიაშევილი ნაწყენია და უარს ამობს, ხმალს არ ფილებს).

1947 წ.

შაპი — რატომ?

— იმიტომ, დიდებულო შაპო, — განაგრძობს მესხიშეილი-ხიმში-აშვილი, — რომ ეს ხმალი სულ სხვანაირად არის დაჩვეული... იყი სკრის და მუსრავს მტერს, იფარავს დაღუბულ სამშობლოს, ესაჩი-ლება ბერს, დედაეკაცს, ყმაწევილს, ამისთანა საქმეში თითონ ამოღის ხოლმე ქარქაშიდან და ბრწყინვაეს მზეზე... მხოლოდ თუ უბრძანეს თა-ვისიანებზე გალაშქრება, მაშინ, დიდებულო შაპო, მე კარგად ვიც-ნობ ჩემს ხმალს, იგი ამჯობინებს ჩემს გულში გადატყდეს, ვინემ თ-ვის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართ, დიდებულო შაპო! (ხმალს დაუგდებს ფეხქვეშ)“.

ამ დროს მთელი თეატრი ფეხზე დგებოდა მესხიშეილის საპატი-საცემოდ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილს დასასრული არა

ჰერონდა. ჰერონდა მარჯვენა იყო, სამშობლოს სი-
კუარულით ანთებული რაინდი.

და დღეს, ამ ძეირფას საღამოზე, მე მაგონდება ძველი თეატრი, ის
თეატრი, რომელსაც ბევრი რამ აკლდა და პირველ პლანზე მსახიო-
ბის თამაში იყო წამოწეული. მე მაგონდება ჩემი სუფლიორის ალ-
ჩიხი, გაურანდავი იატაკი, მოცახტანე ხარაჩობი, არც მბრუნავი სცე-
ნა, არც ლამაზი დეკორაციები, არც მუსიკა, ერთი სიტყვით, სცენა —
განტვირთული ყოველგვარი ანტურაესიაგან. დგას მხოლოდ მესხიშვი-
ლი და გრძნობათა ჭიაქოკონას ანთებს სამშობლოსათვის, ერისათვის,
ხალხისათვის, შენთვის, ჩემთვის...

ლადო მესხიშვილს უყვარდა ქართული თეატრი, უყვარდა „სამ-
შობლო“. სწამდა მისი მომავალი და როცა სიკვდილის მოახლოვება
იგრძნო, ჩამოვიდა რუსეთის გასტროლებიდან და თავის აღმზრდელ
საქართველოს ეკვეანა, აქ ჩამყარა მოხეტიალე ძელები.

1947 წ.

კოტე მარჯანიშვილი

ქართული თეატრის გაზაფხული კოტე მარჯანიშვილი იყო! იმი-
ტომ კი არა, რომ ის პირველად გაზაფხულზე ჩამოვიდა საქართველო-
ში, არა! მას მოპყვა საბჭოთა ქართული თეატრის გაზაფხული, ქარ-
თული თეატრის აყვაელება, ქართული თეატრის ვარდობისთვე.

კოტე მარჯანიშვილის წარმოდგენები — ეს სიცოცხლის დღესას-
წაული იყო, სიხარული და აღტაცება, ფერადი და მღერადი.

კოტე — თეატრის რევოლუციონერი, დიდი ფანტაზიის ოსტატი!

კოტე მარჯანიშვილის დადგმებში ყოველთვის შეამჩნევდით ფერე-
ბის ჯადობასობას, უპირველეს ყოვლისა, კოტე იყო მოულოდნელო-
ბის და განცეკიფრების რეესორი! სწორედ მეც ეს მხიბლავდა მასში.

მოულოდნელობა და განცეკიფრება! — ის მისი შემოქმედების ძი-
რითადი შეგრძნება. კოტესავით არავის შეეძლო წარმოდგენის გაშლა
და ამავე დროს შეკვრა და შეკუმშვა. მისი დადგმები არასოდეს ყოფი-
ლა განვიანურებული და მოსაწყენი. მას არ უყვარდა ვოლტერის
თქმა: „ჩემთვის ყოველგვარი ხელოვნება მისაღებია, თუ ის მოსაწყენი
არ იქნებაო“. ეს ფრაზა მან შებრუნებულად გამოიყენა. მას ყოველ-

გვარი ხელოვნება კი არ სწამდა, არამედ ის ხელოვნება, რომელიც
ხალხს მოუწყინრად ემსახურებოდა...

კოტე ახალი ფორმების დაუცხარომელი მაძიებელი იყო. მისი შე-
ზანსცენები ნოველებივით იწერებოდა.

მე ვიგონებ 1922 წელს, როცა განათლების კომისარიატის დაწეს-
ზში, იქ, სადაც, მეტამად საჯარო ბიბლიოთეკაა, თბილისის თეატრის
ლური საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე, ქართული თეატრის ქა-
ზისის დასაძლევად, მის დახურვას მოითხოვდნენ.... რომელიც არ-
ტორმა მარჯანიშვილის სახელი ახსენა. სიტყვა „მარჯანიშვილი“ ელ-
ვასავით გაიკრა: „ვთხოვოთ, ჩვენი თანამემამულეა, ერთი-ორი წარ-
მოდგენა ჩვენც დაგვიდგასო!“ (ამ დროს კ. მარჯანიშვილი რესულ
დასის მიერ მოწვეული იყო თბილისში ერთი წარმოდგენის — „ჭა-
ლომების“ დასაღებელად) ეს იყო და ეს კადრების მოსამართებლიდ
ქართული თეატრის დახურვა აღარ იყო საჭირო, პირიქით: ქართულ
თეატრის ბეჭედ ყურთამდე გაიღო და ახალმა ნიაღვარმა შემოიტანა კა-
ზაფხულის მჩქეფარე ტალღა... და მე, ერთი იმათთაგანი ვიყავი, რომე-
ლიც „ფურნტი ოვეხუნას“ წარმოდგენის დროს, სავარძელზე შემდგა-
რი იღმოვჩნდი და პარტეტიდან ხელად ამონათქვამი ლექსით მიემარ-
თე სცენაზე გამოყვანილ კოტეს:

გახეული დრამის ფაზდა გაპერეთ და ავტორისტეთ
და მე გიფად ვინ მომნათლავს, რომ მიგილოთ ახალ ქრისტეთ!
ჩვენს ქვიშიან ოქროს ზოდებს გასაჩინევად ხელი ახლე
და რუსეთით ჩამოსულმა ესანერთში დაგვასახლე...
შემა ნიჭმა ჩვენს სცენაზე თვით ქვებიც კი ათამშა,
და მეც მეტი რაღა მეთქმის: ვაშია ვაშია ვაშია!

და სხვ

და ოთხივ კუთხით მონაბერი „ვაშა“, რომელიც მარჯანიშვილ
ეკუთვნოდა, აგვირგვინებდა სცენის უბადლო ისტატს და ახალი სხვ-
ების შემომტანს ქართული თეატრის ისტორიაში! მარჯანიშვილმა შე-
ქართველ მაყურებელს თეატრში ასეთი რამ არასოდეს არ ენახა. ვა-
ქრა, განქარდა კადრების ძიების მკვნესარე ძახილი; თურმე კადრები
აქა გვყოლია, ჩვენ თვალწინ და ვერ ვამჩნევდით, თურმე საჭირო ყო-
ფილა გენისის თვალი და ილლო, რომ ჩვენი სცენის ქვიშა ვადაებ-
რუნებინა და იღმოვჩინა ძვირფასი ზოდები... ასეთები იყვნენ: თამაზ
ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიქო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხე-
იძე, შალვა ღამბაშიძე, დოლო ანთაძე და კიდევ მრავალი სხვა, რო-
მელნიც დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის სცენებს ამშევენებენ.

თვით ნიკო გოცირიძე და ლიზა ჩერქეზიშვილიც კი კოტე მარჯანიშვილია ახლებურიად იაცეკვა. „ნეტარ არს კაცი, რომელმან პპოვა სიბრავნე და მეცნიერება და გადასცა მოყვასთა თვისთა“.

მერე როგორ უყვარდა ახალგაზრდობა: თეოთეული ნიჭიერი აღა-მიანის გამოჩენას, მისი თვალის ახელას და დაუაჯაცებას შეილივით შესტრფოდა.

განა კოტემ არ ისიტყვა: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალო რამ არის, მისცეს ადამიანის სიხარული და ჩაუნერვოს მას მხნეობა“.

კოტე ჩვენი სიამაყეა!

კოტე! — ყოველთვის აღფრთოვანებული ჭაბუკი, მოუსვენარი შემოქმედი, ყოველგვარი შაბლონის გადამლახველი, მგზნებარე, როგორც სახმილი და დაუდეგარი, როგორც მისივე სოფლის მდინარე დურუჭი.

პირადად მე ძალიან მადლობელი ვარ მისი. მან დამაჩევია პიესების თარგმნას.* კოტეს მოსწონდა ჩემი სცენური ენა და სულ იმას ამბობდა: „ეს იმიტომ, რომ შენ სცენაზე ნამყოფი ხარ“, „ეს იმიტომ, რომ კულისების მტვერითა ხარ ნაზიარებით!“ ერთხელ მითხრა, „რომეო და კულიეტას“ დადგმა მინდა, იმ შემთხვევაში მოვყიდებ ხელს, თუ შენ გადამითარგმნიო.

მე ინგლისური ენის უცოდინარობა მოვიმიზეზე: თარგმნის თარგმანი არა მწამის-მეთქი. „არაფერიაო, — მიპასუხა, — რუსულად კარგი თარგმანები არსებობს და თუ ძალიან გინდა, ინგლისური ენის მცოდნესაც ვაჩვენებთ, ოღონდ სცენიდან შენი სატრფიიალო ენით დამალაპარაკეთ!“ ეს საუბარი თვეისი მოწაფეების თანდასწრებით იყო თქმული და, ალბათ, დოდო ანთაძე და შალვა ღამბაშიძე მოიგონებენ კოტეს მიერ ასე გადაჭარბებით ჩემს შეფასებას.

თვეის სახელობის თეატრში გადასვლის დროს, კოტეს აღეძრა სურვილი სამი მოძმე ერის ფოლელორის სცენაზე განსახიერებისა. ქართული ხალხური ლექსებიდან მან ამოირჩია „არსენას ლექსი“, სომ-

* მანამდე, რეეისორ ავარი ფალიერს წინადადებით, მხოლოდ ერთი პიესა შეონდა ნათარგმნი მიჩაბლისეულ თეთრ ლექსად. ეს იყო ფულდას კომედია „ერის წრდილი“ — კოტეს ხელასმით დადგმული რუსთაველის თეატრში (1926 წ., 8 აპრილი). ეს პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ და მხოლოდ სტუდიაში მოსწოდე ახალგაზრდობა: პავლე კანდელავა, გ. საბარაძე, სტ. ჭავჭავაძე, პოეტ კობახიძე, ა. ხელია, პოეტ მურალულია, იელიტა ჭორგაძე, სესილია თაყაიშვილი, ნინო ლოლიძე, თამარ წულევაძე, ს. სულავაური, მ. ბერიაშვილი და სხვ. ესო გოძიაშვილის პირველი გამოსკლა ამ პიესაში მოხდა.

ხურიდან — „არტავაზღ“ (ამირანისებური ვარიანტი) და აზერბაიჯანულიდან — „ქოროლლი“. ორი უკანასკნელი ნაწარმოების გაყენება მე მომანდეს. მე, რასაცვირველია, მაშინვე შევასრულე ეს საპატიო დავალება, მაგრამ რატომღაც კოტემ შემდეგში გადაიფიქრო ამ სამი ნაწარმოების ერთ სალამოს დადგმა და მხოლოდ „არსენას ლექსი“ და ტოვა. „არსენას ლექსის“ დადგმა, რევისორული ჩანაფიქრის მხრივ, ჩვენს სცენაზე ბრწყინვალე გამარჯვება იყო. აქ ნამდვილი ცხენის მაგივრად ბუტაფორული ცხენი შემოაცურეს რგოლებზე. ღმბაშებე ტექსტს კითხულობდა ცეკვით და ომახიანად, სინათლის ათამაშება მარჯანიშვილისებური იყო. მაგრამ მაყურებელი ორად გაიყო, რიგ აქებდა და ახალი სიტყვის თქმას ხელავდა ამ დადგმაში, რიგს მხოლოდ სანახაობად მოეჩვენა, ბალლების გასართობად. მეც ამ უკანასკნელში ვერიე. მე კოტეს ეს დადგმა, არსენას ლექსის მსგავსად, ხალხურ კოლოზე ავაწყე „სახუმაროდ, სათრეველად“ და რეცენზიის სახით, „ურუზის“ ფსევდონიმით „ნიანგში“ მოვათავსე. ეს იყო 1931 წელს! მარჯანიშვილს გაეგო, რომ აუგიანი ლექსი ჩემი დაწერილი იყო. ერთხელ, თეატრში ყოფნის დროს, მომეპარა და ყური ამიწია, მერე ორივე ხელით მიიზიდა ჩემი თავი და მკერდზე მიიკრა. რა კარგი იყო ამ დროს! განა მას ღიღხანს შეეძლო გულით ეტარებინა წყენა? ის ხომ ბაეშევ იყო, პოეტური სულით დაბადებული!

აი ეს ლექსიც:

ათას ცხრაას ოცდათორთმეტს, ძველებურად ჩყ დღესა
ამა ლექსის დამწერალი არსენაზე წავიდესა.
ძლიერს აეთრათი შეეიძინე, ხალხი ბლომად მიაწყდესა,
გამწიერს და გამომწიერს საყიდარზე მიმაგდესა,
თეატრია მოწყობილი — სად შეხედებით უკეთესა,
მომეწონა, წარმოდგენაც თავის დროზე დაიწყესა.
გამობრძანდა არსენი, კოხტა ცხენი მიართესა,
მაგრამ ცხენი ოჩანად უკან-უკან წავიდესა,
ერთი გოგოს გულისათვის ის უაჩალად გავარდესა,
„მდიდარს ართმევს, ლარიბს ძლიერს, მეტრთი როგორ წაახდესა“.
ვიშ, ბატონი ლიპიანი ტაბერზე ნაზად წიომწევესა, —
„გოგო, ფეხი დამტხანეო!“ — ყვირის და თან ჩიბრეს სწევსა,
ეს გოგონა შეეწიერი, ფეხებს ისე უფხანდესა,
თოთქოს კარგი დამკერელია და არჭაზედ უკრავდესა.
ყველაფერი დაგვანახევს, რაც რომ წიგნში ჩაბეჭდესა:
ყაზახები, კინტოვი, შექისენიც გვაჩერენსა
ჩვენს ნიჭიერ მარჯანიშვილს არაფერი გამორჩესა.
აქეთ ცეკვა! იქით ცეკვა! მხოლოდ ცეკვით გაგვართესა,

ეს შალიკო ლაპბაშიძეც ბალდალურად აცვევისა.
 ძლიერ ბევრი გავიცინე, მოუხდება ჩემს ძარღვებსა.
 მთოლოდ როგა სახლში მიველ, ჩვენს პატარებს კუთხარ ესა:
 — დიდებს სულ არ მოეწონათ, ბავშვებისთვის ივარგებსა!

(„ნიანგი“, 1931 წ., № 5).



კიდევ ერთი გახსენება.

მარჯანიშვილს თავისი სტუდია ჰქონდა. ერთხელ ჩემი ლექსების მყითხეველმა ნაცნობმა ქალიშვილმა მთხოვა: „ძალიან მინდა მარჯანიშვილის სტუდიაში ვიმუშაო და კოტესთან მიშუამდგომლეო... გავაკანი. კოტეს ეს გოგონა გარევნულად მოეწონა (მას უყვარდა, რომ მსახიობ ქალს სასკენი მიმზიდველობაც ჰქონდა) და უთხრა: დაისწავლე რომელიმე ლექსი, გამოცდები რომ იქნება, მოდი და ხმს გაგისინჯავო! გამოცდებს მეც დაევაწარი. მოწაფეების გამოცდა მარჯანიშვილის თეატრის მარჯვენა ფორეში მიმდინარეობდა (სადაც ამჟამად მარჯანიშვილის დადგმების გამოფენა). ბევრი მოწაფე ჩაიჭრა მაშინ. ბოლოს ჯერი ჩემ ნაცნობ ქალიშვილზე მიღვა. იგი კითხულობდა ჩემს ერთ ლექსს. მე ვლელავდი. როგორც იყო დაამთავრა ჩემმა პროტეზემ ლექსი და კუთხეში მიღვა. მე გულში ვფიქრობ: რა აზრისაა კოტე? მოეწონა თუ არა? კარგად წაიკითხა თუ არა? მიიღებს სტუდიაში თუ არა... ამ ფიქრებში რომ ვარ, ერთიც ვნახოთ, უცბად თავს დამდგომია ისევ ის ნაცნობი ქალი, ხელში წყლით საეს ჭიქა უჭირავს და მთავაზობს: „ეს, ბატონო, კოტე მარჯანიშვილმა გამოგიგზავნათო...“ ამ ცივი წყლის მოწოდებით ჩემთვის უკეთ აშეარა იყო, რომ ის გოგონა სტუდიაში ჩაირიცხებოდა... კოტემ ამით ორი საქმე გააქცია, იმ ქალის ტანის რხევასაც გაეცნო (მსახიობი ქალის სიარული ვარგისი იყო სცენისათვის თუ არა!), ჭიქა წყალი კი იმას ნიშნავდა, დამშვიდი, გული გაიგრილე და ნუ დელავო...

გონებამახალი და უცნაური იყო ჩვენი უფროსი ძმა — დაუვიწყარი კოტე, სცენაზედაც და ცხოვრებაშიც.

1932 წელს კოტე ავიდ გახდა. ოპერაცია გაიკეთა და ძალიან დასუსტდა. და, აი, ავადმყოფობის დროს თავის შეგირდებისათვის ეთქვა: სოსო გრიშაშვილთან წამიყვანეთ, იმისი ბიბლიოთეკა და ძველი თბილისი მინდა ვნახოთ. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი ბინის აიგრიდან შევამჩნიე, რომ ჩემს აღმართზე რამდენიმე კაცი მოდის დავინახე კოტეც... დაღლილი, წვერმოშვებული, ნაავადმყოფარი. დათიკო ჩხეიძეს და დოდო ანთაძეს ხელვაცით ამოქავდათ. მასთან იყვნენ აგრეთვე უშანგი ჩხეიძე, კოლია გოძიაშვილი და შალვა ლამბაში-

ქე (შალვას ხელის ფოტოპარატიც პქონდა, წარამარა აჩხაკუნებდა — „გადაღებული“ სურათი კი დღესაც არ მიმიღია). დავინახე ძვირფასი აღმიანი თუ არა, ხელად ძირს ჩამოვჭინდი და ჩემი კარის ბჟესთა მივევბე. კოტემ მაშინვე მომახალა: „უმ, ეს სადა მდგარხარ, კაცი იცოდე, როცა სიკვდილს დააპირებ, ძირს ჩამოსახლდი, ცენტრში, თუ რემ მე აქ მეორედ ამომსვლელი არა ვარო!“

ვაი რომ ბედმა სხვანაირად ინება — ერთი წლის შემდეგ კოტე გარდაიცვალა და მე ვიყავი მისი დამკრძალვი კომიტეტის მდივანი, ითქვა ბევრი სიტყვა, მოგონება, იყო წუხილი, გოდება, დანანება. მე გაოგნებული დავყურებდი მარჯანიშვილის ფერფლს, რომელსაც, აյ მევონა, ჯერ კიდევ შერჩენდა სითბო და მგრძნობელობა. ისე არავისხე არ გამართლებულა ეს „შემოქმედებითი წვა“, როგორც განსვენებულ კოტეზე. იგი დაიწვა და დაიფერფლა როგორც მებრძოლი თავისი შემოქმედების სადარაჯოზე. გაწყდა მარჯანიშვილის მარჯნის კრიალოსანი, რომლის ჯადოსნურ ყაითანზე ასხმული იყო ხელოვნების პირველი სინთეტიური მძიევები.

მე, თუმცა მეაღვილება ლექსით ამოსიტყვა, ამ დღეს ძვირფას კოტეს ლექსით ვერ გამოვემშვიდობე. დიახ, ვერ დავუწერე ლექსი. დიდი ხანი დამჭირდა იმისათვის, რომ შეერიგებოდი უმარჯანიშვილობას და დამეჭვერებინა მისი სიკედილი.

მარჯანიშვილს ბევრი სურათი აქვს გადაღებული. მე კი მთელი ერთი წლის განმავლობაში არ მშორდებოდა ის სურათი, რომელიც პროცესის წინ უძლოდა სადგურიდან თეატრამდე.

ეს სურათი სიკედილის წინ კინოპარატით ყოფილა გადაღებული მოსკოვის სტუდიაში, ოთხად დაჭრილი და შეერთებული. კოტეს გამოხედვა ამ სურათიდან რაღაც იდუმალი ძალით მოქმედებდა ჩემზე: დაფიქტებული სახე, შესანიშნავი თვალები, ლამაზი თავი, თითქოს ნისლი და სხივი ერთმანეთში იყო ჩაქსოვილი სურათის ფონზე. ეს სურათი რაღაც გასაოცარ და სულის ამაზრზენ განცდებს ბადებდა ჩემში: და მე მხოლოდ ერთი წლის შემდეგ (1934) გავზედე ლექსის დაწერა — „მარჯანიშვილის სურათთან“.

არა! მე ამ ლექსს არ მოვიყვან ამ მოგონებაში.

რა საჭიროა ცრემლები?

სახლგაზრდა ჰოეტების ხელი მოქადაცების თარიღი
გმინას, შეისწავლეთ ეს ხელოვნება და იფიქ-
რეთ ქართული ლიტერატურის გამდიდრებაშე.
„იუერია“, 1905 წ., № 60.

ქართული შექსპირიანა არც ისეთი ღარიბია.

ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა ერთ კერძო წერილში გრ. ორბელიანს (1841 წ., 28 მაისი), ჩვენმა ლიტერატურამ კარგი თარ-
გმანი შეიძინა, დიმიტრი ყიფიანმა თარგმნა შექსპირის ტრაგედია „რო-
მეო და ჭულიეტა“...

შექსპირის პიესების თარგმნის ნუსხა ასე წარმოგვიდება:

1841 წელს დიმიტრი ყიფიანმა პირველმა გადმოიღო შექსპირის—

„რომეო და ჭულიეტა“ „ფრანცუზულიდამ ქართულს ენაზედ“. (და-
იბეჭდა უურნალ „ცისკარში“ 1859 წელს, № 5 და 6).

ირიცხებოდა ქართული თეატრის 1885 წლის სეზონის რეპერტუ-
არში (იხ. ცნობა — უურნ. „თეატრი“, 1885 წ., გვ. 25).

ეს პიესა რამდენჯერმე ითარგმნა:

ქუთაისში 90-იან წლებში დაიდგა „რომეო და ჭულიეტა“ (მთარ-
გმენელი შ. დადიანი — რომეოს როლს ახალგაზრდა ლადო მესხიშვილი
ასრულებდა). იგივე პიესა სანდრო შანშიაშვილმა თარგმნა სოხუმის
ქართული თეატრისათვის; თარგმნა აგრეთვე სოლომონ წერეთელმა
(წარმოადგინეს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, 1942 წ.,
28 მარტს); „რომეო და ჭულიეტა“ ხელახლად თარგმნა ახალგაზრდა
მწერალმა ვახტანგ ჭელიძემ (იხ. „მნათობი“, 1945 წ., № 1, 2 და შექ-
სპირის ნაწერების მეოთხე ტომი, 1955 წ.); „რომეო და ჭულიეტა“ ნა-
თარგმნი აქვს აგრეთვე პოეტ გივი გაჩეჩილაძეს. ჩვენს ბელეტრიტის
ილ. ყაზბეგსაც დარჩა ხელთნაწერის სახით თარგმნილი ამ ტრაგედიის
ნაწყვეტი.

„ჰამლეტი“ პირველად თარგმნა ლავრენტი არდაზიანმა და დაი-
ბეჭდა უურნ. „ცისკარში“, 1858 წელს, № 5, 6, 7, 8. პიესის სათაუ-
რის შესახებ მთარგმნელს შემდეგი შენიშვნა აქვს გაკეთებული: „ნამ-
დვილს ენაზე, ესე იგი ანგლიურზე, მთხვეველს უწერია პირველი
მომქმედი პირი ჰამლეტიდ, ხოლო რუსულ ენაზე ნათარგმნია გამლე-
ტად, რადგანაც არ აქვთ რუსებს ასო ჲ, მე ნამდვილის მიხედვით
ვიხმარე ასო ჲ, რადგან გვაქვს ასო ესე“. ეს მინაწერი ისე არ უნდა
გავიგოთ, თითქოს მთარგმნელმა ინგლისური ენა იცოდა და „ჰამლე-

ტი“ დედნიდან გადმოთარებინა. პიესა ნათარებინია რუსულიდან, ეს ფრაზად ჩანს, სხვათა შორის, იმ ჩართული რუსული სიტყვებით, რომელსაც ხმარობს ორდაზიანი თავის თარგმანში: „ბაშმაკებია“, „შლაპა“, „პატრეთი“, „ფრთიანი თაგვი“ (լეთუგა მაშა. — უნდა ეთქვა „ლა-მურა“) და სხვ.

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ „პამლეტი“ 1857 წელს უთარებინა მეხუთე კლასის მოწაფეს მ. ფავლენიშვილსაც. აი, რა აუჭყებს თავის მკითხველებს „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე:

„რედაქცია ქართულის სალიტერატურო უურნალისა „ცისკრი“ განცემადებს სასიამოვნოდ უ. უ. უურნალისა ამის მკითხველთა, რომ იმ დღეებში მივიღეთ ჩინებული თხზულება განთქმულის მრთელს ეჭრობაში მწერლისა ვილლიამ შექსპირისა „პამლეტი, დანიის პრინცი“, რომელსაც ვამზადებთ დასაბეჭდავათ. ეს არის სასიამოვნო, რომ უასკონი ყრმანიც კი ცდილობენ დაცემულის ქართულის ლიტერატურის აღდგინებას. ეს თხზულება არის გადმოთარებინილი, საკეთილშობილო ღიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის თ. მ. ფავლენიშვილისაგან, თეატრა პროზათ არის ნათარები, მაგრამ კმასაყოფელად უთარებინა და მდაბიურს ენაზედ ზემოხსენებულს ყმაწვილს — ყოველთათვის გასაგონად! („ცისკრი“, 1857 წ., № 4, გვ. 43).

„პამლეტი“ ლექსად უთარებინა ოთხმოციან წლებში აგრეთვე ნ. ტ. დადიანს (იხ. ცნობა „ლიტ. და ხელოვნება“, 1945 წ., № 9 და „ქართული მწერლობა“, 1927 წ., № 6, 7), მაგრამ მისი ვაჟის, შალვა დადიანის ცნობით, ეს თარგმანი არ არის დასრულებული, ხელთნაწერი ინახება მწერალთა მუზეუმში.

„ას, ნეტამც, ღმუროო, ცის და ქეეყნის გამჩენო ზენა,
არ-სათონდ გეყო თავის მოყვლის ცოდვათ დაჩენა“.

(ნ. ტ. დ ა დ ი ნ ი ს თარგმანილა)

ანტონ ფურცელის მიერ თარგმნილი „პამლეტი“ — დანიის პრინცი არ დაბეჭდილა (ცერც ხელთნაწერს მივაკვლიეთ), სცენაზე მხოლოდ ერთხელ იქნა წარმოდგენილი: 1883 წ. თებერვალში, როგორც არდაზიანის „პამლეტი“, ისე ფურცელაძის „პამლეტიც“ რუსულიდან არის გაეკთებული (იხ. „ივერია“, 1888 წ., № 63), მაგრამ ჩვენი მუშაობის დროს დაგრეწუნდით, რომ ანტონის თარგმანი ლავ. არდაზიანის თარგმანს ბევრად სჯობია, თუ ზოგიერთ უხერხულ გამოთქმას არ მივიღებთ მხედველობაში.

ივანე მაჩაბლის თარგმანი პირველად 1886 წელს მოეცვინა ქართველ საზოგადოებას. ეს იყო ქართული ლიტერატურის დიდი სიხარული!

საქ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული „ცისკრის“ ერთ კომპლექტში, რომელშიაც ლ. არდაზიანის თარგმნილი „ჰამლეტია“ დაბეჭდილი 1858 წ., № 5), პირველ გვერდზე, უცნობის ხელით, მოქმედი პირები ასეა განაწილებული:

კლავი, კოროლი დანიისა	უიფიანი
გერტრუდა	გამშნია
ჰამლეტი	ალექს-მესხიშვილი
პოლონი	ქორქაძე*
ლაურტი	უაზბეგი**
ოფელია	საფაროვისა
გორაციო	მძინარევი
როშენერანცი	ლომიძე
გილდენშტერნი	კანდელაკ***
ოსრიე	გელაძე
მარცელო	მაჩაბელი****
ბერნარდო	აჩაზაროვ*****
ეტიორი	გოცირიძე*****
აქტრისა	კორინთილი

„ჰამლეტი“ ქართულად პირველად დაიდგა 1883 წელს ანტონ ფურცელის თარგმანით.

გან. „დროებაში“ ეკითხულობთ:

„წარსულს კეირას ქართულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის პიესა ჰამლეტი, რომელმაც ლირზედ უკეთ ჩაიარა. მოთამაშეთ როლები უკეთ იცოდნენ და, სხვათა შორის, ალბათ იმიტომ, რომ ეს პიესა პროზად იყო გადმოთარგმნილი. ჰამლეტის მთარგმნელს ბ. ა. ფურცელაძეს მიართვეს შექსპირის სრული თხზულება და თავისი სურათი კარანდაშით ნიხატი“ („დროება“, 1883 წ., № 40).

ალექსანდრე ნანეიშვილმა ორი დღიდი ფელეტონი უძღვნა „ჰამლეტის“ პირველ წარმოადგენას. რეცენზენტი მაინცა და მაინც არ აქებს ჩევნს მსახიობებს. თარგმანის შესახებ კი შემდეგსა წერს: „თვით თარგმანზე ჯერჯერობით, სანამ დაბეჭდილი არ არის, არ შეგვიძლია,

* ნოდარ ჭორევაძე, ფსევდონიმიც ქენდა: საბულო.

** ჩვენი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი.

*** გიორგი კანდელაკი, ნიჭიერი მსახიობი იყო. შემდეგ — პოლიტერისტერი.

**** ზაალ მაჩაბელი — ცხანვალის და გორის სკენისმოუკერე.

***** აზტემ ანაზაროვი, მწერალი, შემდეგ თეატრალური რეცენზენტი.

***** სანდრო გოცირიძე (ნიკო გოცირიძის უფროსი ძმა).

არც გვიქცეს უფლება გადაწყვეტილი აზრი გამოვთქვათ“ („ღიანება“, 1883 წ., № 45, 47).

ივანე მაჩაბლის „პამლეტი“ პირველი დაიბეჭდა 1886 წელს კ. გუნის რედაქტორობით გამოსულ ჟურნ. „თეატრში“. ცალკე წიგნიდა გამოვიდა ხუთხერ: 1886 წ. (დიდი ფორმატის), 1887 წ., 1928 წ., 1939 წ. და 1940 წელს. დაიბეჭდა აგრეთვე მთლიანად „მსოფლიო ლიტერატურის“ სახელმძღვანელოში.

ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი „პამლეტი“ ლადო მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნა პირველი 1887 წელს, 11 ობერვალს (იხ. ჟურნ. „თეატრი“, 1887 წ., № 5). ამ წარმოდგენის შესხებ ილიას „ივერიაში“ კრიტიკ რეცენზიაა მოთავსებული: აქებენ დ. აწყურელს მესაფლავის როლში; ცოტათი პენტლავენ: მესხიშვილს (პამლეტი), ვ. აბაშიძეს (პოლონიუსი), ლეონიძისას (პერტუდა), მ. საფაროვას (ოფელია). პიესის თარგმანი კარგად არის მოხსენებული. ი. მაჩაბელი რამდენჯერმე გამოუწევიათ სცენაზე (იხ. „ივერია“, 1887 წ., № 36). ამ საღამოს დასწრებია ორი გამოჩენილი მსახიობი, ერთი — ვინმე ვარშაველი, მეორე — ადამიანი.

რამდენიმე წლის წინათ „პამლეტი“-ს თარგმნა დაიწყო კონსტანტინე გამსახურდიამ, ორიოდე სცენა დაიბეჭდა „ლიტერატურა და ხელოენება“-ში (1945 წ., № 36).*

ჩვენს სცენაზე პამლეტის როლი უთამაშნიათ შემდეგ მსახიობებს: ლადო მესხიშვილს, ალექსანდრე იმედაშვილს, ი. ზარდალიშვილს, ვ. გარიკს, უშანგი ჩხეიძეს, გიორგი დავითაშვილს.

„მეცე ლირი“. შექსპირის „მეცე ლირის“ ყველაზე აღრინდელი თარგმანი (მთარგმნელის გვარი გამოცხადებული არ არის) ხელოენერის სახით პორტფელში პქნია „მნათობის“ რედაქციის (იხ. განცხადება — „დროება“ 1871 წ., № 51).

1873 წლიდან კი „მეცე ლირის“ თარგმნას შეუდგნენ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი. დაიბეჭდა ჟურნ. „კრებულში“ (1873 წ., № 10).

გაზეთი „დროება“ წინასწარ აუწყებდა ქართველ ხალხს: „უფ. ილ-ჭავჭავაძეს და ივ. მაჩაბელს გაუთავებიათ „მეცე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლი-

* საგრადისმოა, აგრეთვე კ. გამსახურდიას წერილი ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილ „პამლეტშე“ (იხ. ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № 8—9, 23. 178).

ტერატურა ერთს მშენივრად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძენს“ („დროება“, 1874 წ., 414, 8 მარტი). „მეფე ლირი“ ცალკე წიგნიდა 1877 წელს. უურნ. „ივერია“-ში ასეთი ქრონიკა იყოა:

„თებერვალში დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად ინგლისის გამოჩენილი პოეტის ვილიამ შექსპირის ტრალელია „მეფე ლირი“, თარგმნილი ქართულად იყ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან“ (უურნ. „ივერია“, 1877 წ., № 3., გვ. 15). „მეფე ლირის“ წიგნად გამოსცელის შესახებ წერილია დაბეჭდილი გ. თუმანიშვილის „აღმანახში“ (1878 წ., II, გვ. 33). „კრებულში“ დაბეჭდილსა და ცალკე წიგნად გამოსულს შორის არის სტრილისტური შესწორებანი. ცალკე წიგნად გამოცემულში კორექტურული შეცდომებიც შეპარულა. თვით ილია აღნიშნავს ერთ წერილში, რომ „ლირი“ ცოტა კორექტურის შეცდომებით დაიბეჭდაო... ჩემს ბიბლიოთეკაში დაცულია „მეფე ლირის“ ერთი დაბეჭდილი ეგზემპლარი, სადაც ილია ჭავჭავაძის ხელით რამდენიმე ადგილია ჩასწორებული“.*

„მეფე ლირი“ მეორედ დაიბეჭდა „ქართული წიგნის“ გამოცემლობით 1927 წ., საბლიტგამის გამომცემლობით — 1939 წ., სახელგამის — 1940 წ.

„მეფე ლირი“ სცენაზე პირველად წარმოადგინეს 1883 წელს, 16 თებერვალს, კორე ყიფიანის სახენცფისოდ. „დროება“ შიშს გამოსთვევამდა ამ რთული პიესის დადგმის გამო: „ვნახოთ, — წერდა ვაზეთი, — როგორ ჩაიცლის ხვალ „მეფე ლირი“, შექსპირის ერთი უძნელესი ნაწარმოებთაგანი, ენახოთ, ხომ არ გავადნიერდა ჩენი ნიჭიერი არტისტი კ. ყიფიანი, რომ ესეთი ძნელი პიესა აარჩია ბენეფისისთვის და ასეთ ძნელ როლსაც, როგორიც ლირისაა, მოჰკიდა ხელი“ („დროება“, 1883 წ., № 33).

წარმოდგენას მართლაც უხეიროდ ჩაუვლია. აი, რასა წერს „დროების“ რეცენზენტი:

„გამოცხადებისამებრ, გასულ ოთხშაბათს ბ. კ. დ. ყიფიანშა თავის ბენეფისისთვის დადგა შექსპირის ხუთმოქმედებიანი ღრამა „მეფე ლირი“, მაგრამ ვაი ამისთანა დადგმას, ჩენ მაყურებელნი შეგვაწუხეს და თითქმის ამ საღამოს სრულებით დაგვავიწყეს ყელა ის დამსახურება, რაც ჩენს დრამატულ დასს მიუძღვის ქართული თეატრის საქმეში, სუფლიორს სიმწრის თფლი იღინეს და თეითონაც შერცხვ-

* დაწერილებით ილია ჭავჭავაძეზე და „მეფე ლირზე“. ის. ჩენი წერილი — აღნია ჭავჭავაძე და ქართული თეატრის.

ნენ. გარდა თვითონ მობენეფისესი ბ. კ. ყიფიანისა (მეფე ლირი), კ მესხისა (ხუმარა) და საფაროების ქალისა (კორდელია), რომელთაც იცნ დნენ თავიანთი როლები და გვარიანადაც ითამაშეს, სხვები ისეთი სა ზარელი სანახავი იყვნენ სცენაზედ, რომ მაყურებელს სურეილი მოს დიოდა: ნეტავი ერთი ცოცხით გამარტენია ესენი გარეთო! ბ. კ. აბაშიძე (ანტრეპრენიორი ჩვენი ტრუბისა—მთავალითის მიმცემი) სწორედ ისე იდგა სცენაზე და სიტყვასიტყვით, ჩათვლით იმეორებდა სუფლიორის სიტყვას, როგორც გაევეთილს არმცონე შეგირდი თავისი ამხანაგის „პოდსკაზით“ იმეორებს. ეწუხდით, როცა ბ. მოხევეს (ედმუნდის) უქ დავდით სცენაზე, გვაწუხებდა კორნეალის პერცოვის დანახვა, ეწუხდით, როდესაც კენტს ეხედავდით, გვაწუხებდა რეგანისა და გონერილის დანახვა...“ („დროება“, 1883 წ., № 37).

„ლირის“ პირველ წარმოდგენის გამოეხმაურა გაზ. „შრომაც“ (1883 წ., № 8).

„ტიმოთე ათინელი“. ეს პიესა ხელოთნაწერის სახით პქნია „მნა თობის“ რედაქციის (იხ. განცხადება „დროებაში“, 1871 წ., № 5),

„ვენეციელი ვაჭარი“. „ნამდვილიდან გადმოთარებმნილი დიმიტრი ყიფიანისაგან“. დაიბეჭდა ნ. ავალიშვილის უურნალ „მნათობში“, 1872 წ., № 3, 4.

ქართულ სცენაზე „ვენეციელი ვაჭარი“ პირველად სცენისმოყვარებმა წარმოადგინეს სოფ. ბანძაში (სამეგრელო), 1873 წ. 16 პრილს (თარგ. დიმ. ყიფიანისა). კორესპონდენტი (დ. თ.) აქებს „ვენეციელ ვაჭარში“ მოთამაშე სცენისმოყვარებს. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ: კნეინა ოლგა დადიანისა (პორცია), კნეინა ფალავასი (ნერისა), ალ. ფალავა (ანტონიოსი), დ. ფალავა (შევლოხას მსახური), კონსტანტინე იოსელიანი (გრაციანოსი), ლუტე ფალავა (პორცილი პრინცი), მიხ. ფალავა (დოფი). წარმოდგენის მოთავე ყოფილი ალექსანდრე იოსელიანი (იხ. გაზ. „დროება“, 1873 წ., 23 პრ., № 16).

„ვენეციელი ვაჭარი“ (ანუ „შეილოკი“), ბანძაში დადგმიდან ხუთი წლის შემდეგ, 1878 წელს, 3 პრილს წარმოადგინეს თბილისში. გაზ. „დროება“ წერდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ქართველი სცენის მოყვარენი შექსპირის დრამის — „შეილოკის“ წარმოდგენის აპირებენ ჩვენს თეატრში ამ მოკლე დროში. თუ არ ვსცდებით, ეს პირველი დრამატიული თხზულება იქნება შექსპირისა ქართველ ენაზე წარმოდგენილი, და ამიტომ სანატრელია, რომ ეს ინგლისის გენიოსი — დრამატურგი არ შეარცხეინონ ჩვენი საზოგადოების წინაშე ჩვენმა სცენის მოყვარებმა“ („დროება“, 1878 წ., № 49. 9 მარტი).

თბილისის წარმოდგენის დამაქმაყოფილებლად ჩაუვლია. მთარემნელი — დ. ყიფიანი სცენაზედ გამოუძახნიათ. კოტე ყიფიანი შევლოხას როლში კარგი ყოფილა (იხ. სერგეი მესხის რეცენზია — „აკტორული ბა“, 1878 წ., 6 პარილი, № 70). როლები ასე ყოფილა განაწილებული: შევლოხა — კ. ყიფიანი, პორცია — ელენე ყიფიანი, ლანსელო — ნ. ივალიშვილი, ჯესიკა — ბ. ავალიშვილი, დოჭი — ნ. ჯორჯაძე, პრინცი არაგონელი — ი. ვაჩნაძე, პრინცი მორიკელი — ზ. მაჩაბელი, ანტონიო — დ. კეზელი, ბასსაანიო — ი. ბაქრაძე, ბიჭი — ნ. შიშნიაშვილი.

„ენეციელი ვაჭრის“ წარმოდგენის გამო და კ. ყიფიანის შესახებ პაექტობა ვრძელდებოდა (იხ. ლელოს — ი. მეუნარეგიას ფელეტონი, „დროება“, 1882 წელი, № 2). ეს პიესა კვლავ დაუდგამთ 1884 წ. 31 ოქტომბერს, რეცენზენტი მხოლოდ კოტე ყიფიანს აქებს („დროება“, 1884 წ., № 237).

„ენეციელი ვაჭრის“ პირველი რეპეტიციების შესახებ დ. ყიფიანის სახლში იხ. ეკატერინე გაბაშვილის მოგონება უურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1925 წ. № 6).

„ენეციელი ვაჭარი“ ხელახლად თარგმნა ინგლისურიდან ვახტანგ პელიძემ (სახელგამი, 1947 წ.) და უნდა ითქვას, რომ თარგმანი მშევნეორ შთაბეჭდილებას სტროვებს. ვ. პელიძის მიერ ნათარგმნი „ენეციელი ვაჭარი“ შევიდა შექსპირის ნაწერების მეოთხე ტომში (1955 წ., გვ. 203).

„იულიოს კეიხარი“, თარგმანი მ. ზ. ყიფიანისა. დაიბეჭდა უურნ. „ცისკარში“, 1867 წ., № 1, 2. ეს პიესა ხელახლად თარგმნა ივანე მაჩაბელმა (იხ. უურნ. „მოამბე“, 1896 წელი, № 1, 2, 3). ცალკე წიგნიდ გამოვიდა ამავე წელს. გამომცემლობა „ქართულმა წიგნმა“ მეორედ დაბეჭდა 1928 წ., მესამედ სახელგამმა — 1938 წ.

„იულიოს კეიხარი“, ივ. მაჩაბლის თარგმანით, ქართულ სცენაზე 3- გულიას საბენეფისოდ წარმოდგენილ იქნა 1911 წელს, 29 დეკემბერს.*

„ორი ვერონელი აზნაური“ — შექსპირის ღრამა „გადათარგმნილი ინგლისურიდან დიმ. ყიფიანისაგან“ 1865 წელს. დაიბეჭდა უურნ. „ცისკარში“, 1867 წ., № 4, 5. რედაქტორი — ივანე კერესელიძე პიესას

* ერთი დეტალი: მ. ყიფიანმა, ისე როგორც ანტონ ფურცელაძემ, თათრული სიტყვა „ბაშმაკი“ ვერ გააქართულა! მაგ., მ. ყიფიანს ერთი ადგილი „იულიოს კეიხარიდან“ ისე აქვს: „მაშ შენი ხელობა „ბაშმაკების“ დაკრება არის!“ (იხ. „ცისკარი“, 1867 წ., № 1, გვ. 327). ივანე მაჩაბელმა კი ეს სტრიქონი ასე გააკეთა: „მაშ შენ მეგანე უოფილხარ!“

შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ამ დრამის ანგლიურიდამ თარგმანზედ პქონდა ქართულად მთარგმნელს შესადარებლად საუკეთესო ფრანცუზული თარგმანი ლაროშისა და ოუსული კატჩერისა... ამას გარდა როგორც თვით მთარგმნელმა უფ. დიმიტრი ყიფიანშა მოგვანდო, უნდა მოვახსენოთ მკითხველებს, რომ ეს დრამა ითარგმნა სცენაზედ წარმოსადგენად ჩვენი სასცენო ხელოვნების საცდელად, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდა, ამის გამო გაღმოგვცა დასაბეჭდად“ („ცისკარი“, 1867 წ., № 5, გვ. 96). ეს პიესა ხელმოორედ თარგმნა გვივი გაჩერჩილაძემ ინგლისურიდან და დაიბეჭდა შექსპირის ნაწერების მეოთხე ტომში (1955 წ., გვ. 531).

„ანტონიოს და კლეოპატრა“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა. დაიბეჭდა ურნ. „მოამბეში“, 1898 წ., № 6, 7. ეს პიესა ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. მეორედ გამოვიდა 1928 წ., მესამედ — 1938 წ.

„კორიოლანოს“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა უურნალ „მოამბეში“, 1898 წ., № 8, 9, 10. ეს პიესა ამავე წელს გამოვიდა ცალკე წიგნად. მეორედ — 1928 წ., მესამედ — 1940 წ.

„მაქბეტი“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1892 წ., მეორედ — 1928 წელს, მესამედ — 1940 წ.

„მაქბეტი“ პირველად თარგმნა ვ. გუნიამ. დაიდგა მხოლოდ ერთი მოქმედება — 1885 წ. 30 იანვარს. მაქბეტის როლს ასრულებდა ვ. გუნია, ლეილი მაქბეტისას — ბაბო ავალიშვილი.

„რიჩარდ მესამე“, თარგმანი ივ. მაჩაბლისა, დაიბეჭდა ცალკე წიგნად 1893 წ., მეორედ — 1928 წ., მესამედ — 1938 წ.

„ოტელო“, პირველად დაიდგა 1885 წ., 20 იანვარს, ვალ. გუნიას სადებიუტოდ. ითამაშეს მხოლოდ ერთი სცენა (მეხუთე მოქმედებიდან). „ოტელოს“ თარგმანი თვით ვ. გუნიას კალამს ეკუთვნოდა (ეთანაბრიომლებოდა ივ. ჯაჭანაშვილი).*

ივ. მაჩაბლი „პამლეტის“ შემდეგ „ოტელოს“ თარგმანს შეუდგა 1886 წელს... ამის შესახებ ცნობაა მოთავსებული ილიას „ივერიაში“ (1886 წ., № 262, 3 დეკემბერი).

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ „დროების“ დახურვის შემდეგ ივ. მაჩაბლს არ შეუნელებია მუშაობა... იგი იმ დროის ნამდგვილი საზოგადო მოღვაწის ტიპს წარმოადგენს. ერთ კერძო წერილში [1887 წ.] ივანე მაჩაბლი თავის მეგობარს სწერს: „... თეატრს კარგს ვაშენებთ. სურათებიანი „ვეფხის ტყაოსანიც“ მე დამაწვა კისერზედ, ეხლა იბ-

* ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი „ოტელო“ ჩეენს ბიბლიოთეკაშია დაცული.

ეკდება ბანქის საქმეები ცალკე და „ოტელოს“ გათავებასაც ვა—
პირებ“.

ი. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ოტელო“ პირველიც დაიბეჭდა
1888 წელს, მეორედ — 1928 წ., მესამედ — 1938 წ., მეოთხედ —
1939 წელს.

„ოტელო“ გადმოკეთებული აქვს პროზად პედაგოგ სამსონ ყიფი-
ანს. პირველად დაიბეჭდა გაზ. „დროება“-ში. (იხ. „დროება“ 1884 წ.,
№ 252, 255, 257).

მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ „ოტელო“ აღრეც ყოფი-
ლა ნათარგმნი, 1844 წელს, ვინმე ერისთოვის მიერ (იხ. საქ. მუზ.
ხელონაშ., № 1084; „დროშა“, 1925 წ., № 25 და დიმიტრი ჭანელიძის
წერილი: „ოტელოს“ აღრინდელი თარგმანი — „ლიტერატურა და ხე-
ლოვნება“, 1944 წ., № 31).

ქართულ სცენაზე ოტელოს როლი შეუსრულებია შემდეგ მსახი-
ობებს: კოტე მესხს, ლადო მესხიშვილს, ვალერიან გუნიას, კ. მატარა-
ძეს, ალ. იმედაშვილს, აკაკი ხორავას, შ. ლამბაშიძეს, ვასო გოძიაშვილს,
ლეო ქედიას და ვახტანგ მეგრელიშვილს.

„ვინძორის ცელები ქალები“, თარგმნილი მარიამ ვახტანგის ასულ
ორბელიანის მიერ წარმოდგენილ იქნა პირველად რუსთაველის თეატ-
რში 1924 წ. 20 ნოემბერს, კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით. ესევე პი-
რსა მეორედ თარგმნა ვახტ. ჭელიძემ (გამომც. „ხელოვნება“, 1956 წ.).

„დიდი ამბავი ტუუილუბრალოდ“, თარგმნილი ნიკო დადიანის მი-
ერ; ეს პიესა ხელმეორედ თარგმნა დავით ყიფიანმა (ჟურნალისტ ლე-
ვან ყიფიანის მამა), უწინდა: „ტუუილუბრალოდ ვაივაგლახი“. შექმნი-
რის ეს კომედია ხელახლად თარგმნა გიგი გაჩეჩილაძემ სახელწოდე-
ბით: „აურზაური არაფრის გამო“ (იხ. უილიამ შექსპირი, თხზულებანი,
ტ. 4, 1955 წ., გვ— 359).

„მეთორმეტე ღამე“, თარგმნილი ს. ფაშალიშვილის მიერ. დაიდგა
1946 წ. სოხუმის სახელმწიფო თეატრში. „მეთორმეტე ღამე ანუ რაც
გნებავთ“ 1870 წელს თარგმნა ნიკო დადიანმა (არ დაუდგამთ).

„ჭირვეული ცოლის მორჩულება“ რამდენჯერმე თარგმნეს. პირვე-
ლად — შალვა დადიანმა („კვალი“, 1895 წ., № 34), მეორედ — კოტე
მესხმა, მესამედ — კ. მაყაშვილმა, მეოთხედ — ილექსანდრე იმედაშ-
ვილმა, მეხუთედ — სოლომონ წერეთელმა, მეექვედ — ს. ფაშალი-
შვილმა.

„ზეცვე ციმბელინი“, სამსონ ყიფიანის მიერ მოთხრობად გადმო-
7. ი. გრიშაშვილი, ტ. V

დითებული. დაიბეჭდა ქუთათურ უურნალ „ცდა“-ში, 1890 წ., № 2.
„ვანიციული ვაჭარი“ ასევე პროსად გააკეთა ბავშვებისთვის, რანც
დელაქმა (იხ. „ნაკადული“ — მოზრდილთათვის, 1906 წ., № 6).

„ქარიშხალი“ თარგმ. ვ. კელიძისა.

„პენრის მეოთხე“ თარგმ. ვ. კელიძისა.

„შეცდომების კომედია“ თარგმ. ს. ფაშალიშვილისა.

გარდა ამისა, თარგმნილია შექსპირის ზოგიერთი სონეტი. მთარ-
გმენები არიან; ქუჩი (შალვა დადიანის ფსევდონიმია, იხ. უურნ.
„მწყემსი“, 1897 წ., № 2), ა. შანშიაშვილი (იხ. „ნიშადური“, 1908 წ.),
ქნარი (ილეა გვანცელაძე, იხ. უურნ. „ქორწინება“, 1909 წ. № 2),
ვივი გაჩეჩილაძე (იხ. „ინგლისული „პოეტები“), ** ალ. საჯია (იხ. „ჩვ-
ნი თაობა“, 1940 წ., № 10 და მისივე ლექსების კრებული, 1947 წ.,
გვ. 75).

ილიას „ივერიაში“ გაბნეულია შექსპირის რამდენიმე აფორიზმიც
(იხ. „დამაკვირდი“, 1938 წ., 1947 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს განსკვენებული პროფესორის ერეკლე ტა-
რიშვილის მუშაობა შექსპირის პოპულარიზაციისათვის. მისი უშუალო
მითითებით და დახმარებით შეუდგნენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები
შექსპირის შესწავლას და თარგმნას.

ჩვენ გადმოვეცით შექსპირის ტრაგედიების ქართულ ენაშე თარგ-
მნისა და ქართულ სცენაშე მათი დადგმების მოკლე მიმოხილვა.

მაშასადამე:

1841 წელს დ. ყიფიანის მიერ პირველად ითარგმნა ქართულ ენა-
ზე ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, ხოლო 1872 წელს იმავე მთარ-
გმნელისაგან „კუნეციული ვაქიარი“.

შექსპირის ტრაგედიები ქართულ ენაშე თარგმნეს აგრეთვე: ლა-
რენტი არდაზიანმა („პამლეტი“ — 1858 წელს), მის. ყიფიანმა („იუ-
ლიოს ცეზარი“ — 1867 წ.), ანტონ ფურცელაძემ („პამლეტი“ —
1882 წელს).

1873 წელს შექსპირის თარგმნას შეუდგნენ ი. ჭავჭავაძე და ი. მა-
ჩაბელი. მათ ერთად გადმოიღეს ინგლისურიდან „მეუე ლირი“, რო-
მელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1877 წელს.

* სამსონ ყიფიანის მიერ გადმოკეთებული „ოტელო“, „პამლეტი“ და „მეუე ლი-
მელინი“ ცალკე წიგნად გამოვიდა ორქეტი: 1891 წ. და 1912 წ.

** გვივი გაჩეჩილაძემ 1952 წელს დაბეჭდა შექსპირის სონეტების სრული კრ-
შული (სახელგამი); შექსპირის სონეტები დაბეჭდა ახალგაზრდა პოეტშა რეზო ა-
ბაზუაშვილმა (იხ. „მნათობა“, 1949 წ., № 10 და 1951 წ., № 7).

ივანე მაჩაბელი შექსპირის თარგმნას დამოუკიდებლად შეუდგა 1885—1886 წლებში. მან დიდი სიყვარულით გადმოიღო ქართულ ენაზე შექსპირის საუკეთესო ტრაგედიები და ქართველთა შორის და იმკიცნა უბადლო მთარგმნელის სახელი.

რადგან შექსპირს ივანე მაჩაბლის სახით სიმედო მთარგმნელი გამოუჩნდა, ილიამ ინტერესი დაქვარგა შექსპირის გადმოღების საქმისადმი (ან სად ეცალა!). ეს საქმე მთლიანად დაუთმო ივანე მაჩაბელს, თვით კი უოველმხრივ ახალისებდა და აქეზებდა ნიჭიერ მწერალს და მთარგმნელს.

მარტო ის რად ლირს, რომ ქართულ „მეფე ლირს“ ჯერ ივანე მაჩაბელი აწერია თავზე და მერე ილია ჭავჭავაძე. ილიამ მაჩაბლის გვარი პირველად მოიხსენია მაშინ, როცა ყველა ცნობებით „მეფე ლირის“ ლექსიად თარგმნის თაოსნობა და პრიორიტეტი ილიას ეკუთვნის და ნათარგმნი სტრიქონების რაოდენობაც ილიასი უფრო მეტია, ვიდრე ივანესი.

ილია ჭავჭავაძემ თავის თანამშრომელში აღმოაჩინა მიმალული ზე-შთაგონება და საზოგადო გახადა იგი: „ვანო ჭევიანი ბიჭია და კარგი კალმის პატრონი — ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება“, — წერდა ილია ერთ კერძო წერილში მაჩაბლის შესახებ.

ვიდრე ილიასა და მაჩაბელს შორის უმძრახობა ჩამოვარდებოდა (1891 წლიდან დაიწყო), რაც ჩვენი მოსართვე საზოგადოების ერთი ნაწილის ბრალი იყო, ახალგაზრდა მაჩაბელი დიდ ილიას „თავის კაცად“ მიაჩნდა და მასში პეტარებდა საქართველოსათვის სასარგებლო პიროვნებას; როცა ივანე მაჩაბელი ქართული გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა, გან. „დროებამ“ (1879 წ. № 193) ასეთი ახალი „ამბავი“ გამოაცხო: „ილია ჭავჭავაძეს ყველგან თავის კაცი ჰყავსო“. *

ივ. მაჩაბელი პირდაპირ გასაოცარი მოცულნაა ჩვენს ქართულ ლიტერატურაში, ამაოდ კი არა წერდა ილია: „არც ერთი რუსული თარგმანი შექსპირისა ქართულს არ შეეძრებათ“. შექსპირის ადრინდელი ქართული თარგმანები, ივანე მაჩაბლის თარგმანთან შედარებით, რაღაც ბალლურ ვარჯიშობად გამოიყურება.

როგორც ჩვენს მიერ მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, ინგლისელ დრამატურგს ბევრი მთარგმნელი ჰყავდა ჩვენში, მაგრამ მთელი მათი

* ავაგი წერეთელიც წინააღმდეგი იყო ივანე მაჩაბლის სათავადაშნაურო სკოლის უცროსად დაინიშვნისა. ავაგი ამ ადგილზე უპირატესობას იძლევდა ილექსი ჭიჭინიძეს, მინბელი კი სრულიად ახალგაზრდაა, გამოუცდელია და საქმეს თავს ვერ გაართვევს (ის. „აქტებული“, 1898 წ., № 12—მოგონება).

მუშაობა შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ პერიოდად შექსპირის გადმოქართულების საქმეში, რომელსაც ნამდვილი მკვიდრი საფულევა ლი ჩაუყარა ილია ქავჭავაძის და ივანე მაჩაბლის თარგმნილმა „ლიტანია“.

ივანემ და ილიამ 14 მარცვლოვანი თეთრი ლექსი კანონად გახადეს შექსპირის სხვა მთარგმნელებისათვის, მანამდე შექსპირი მხოლოდ და მხოლოდ პროზად ითარგმნებოდა.

ამ ორიოდე ნიმუშიც:

1. ვიყო თუ არ ვიყო — ამა რას ვიყითხავ. რა უფრო სიქველეა სულისათვის: მოთმენა ცემათა განმამწარებელი სვესი, თუ იღჭურვა წინააღმდეგომ ზღვისა ბოროტებათა და დაძლევა მისი, იმოვსწოდ რა ერთიანათ. სიკვდილი — მიძინებაა არა მეტი. დასრულება ძილითა გულის ვნებათა, ათას ტანჯვათა, სხეულის მემკვიდრეთა — როგორ არ ვისურვოთ ესრეთი დასრულება!..

(მთარგმნელი ლ. ა. რ დ ა ზ ი ნ ი).

2. ხიცოცხლე თუ სიყვდილი? აი, რა არის საფიქრებელი! რა უფრო პატიოსნურია: ის, რომ კაცმა იტანოს მტრად იღჭურვილი განგრძის შეუბრალებელი დევნა და ჩაგვრა, თუ ისა, რომ კაცი ბრძოლად გავიდეს, შევმართოს ხელი და გაუმქლავდეს ამ ზღვითა უარებელთა უბედურებათა? სიცოცხლის გათავება არის მხოლოდ მიძინება. ამასთან, რაյმ ესეც იცის კაცმა, რომ ყველა სულდგმულის ბოლო არის მაინც ეს მიძინება, ეს ძილი უღებს ბოლოს ათასთა სატანჯველთა და წიმებათა, — ნუ თუ ამ დროს მოახლოება და შეყრა არ უნდა იყენებულით სანატრელი ყოველი ადამიანისათვის?..

(მთარგმნელი ა ნ ტ. ჟ უ რ ც ე ლ ა ძ ე).

3. ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საყითხავი აი ეს არის.

სულ-დიდ ქმნილებას რა შემცერის? ის, რომ იტანოს და იტანოს მჩაგრავ ბედის ნეტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოხლვავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი?.. მოსპოს სიცოცხლე...
ბოლო მოცულის... მიიძინოს... სხვა არავერი...
ამ მიძინებით გათავება ის გულის ქენჭა
და ათასი სხვა ბუნებრივი უკულმართობა,
რაიც ხორც-შესხმულ ადამიანს წილად ხდომია.
განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?..

(მთარგმნელი ი ვ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი).

რა დიდი განსხვავებაა ვალერიან გუნიას მიერ ნათარგმნ ჰამლეტის
ამ მონოლოგსა და ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ მავე მონოლოგს
შორის!

იაკობი
იუსტიცია

— ეინ იტანდა თავის ღროის რისხეს და გამწირებას?
სიმართლის უძლურებას, მტარევალთაგან ჩაგერმ?
ამპარტავანთაგან თავილს, სიყვარულის დაკარგვას?
საზიზუართა ხალხთაგან ზიზით ცქერას? —
რომ ვიცოდეთ, რომ მარტო ერთის ხელის გაქნევთ
ამდენ მწეხარებას მოლო მოელება!
ეინ იტეართებდა ამოლენ უბელერებას ცხოვრებაში?
ეინ მოუხრიდა ამდენ შრომას ქედს? — მაგრამ
ხელს გვიღუნებს და გვაძრკოლებს ის უცნობი
მომავალი, რომელსაც მოეცლით სიყვდილის უკან
და საიდამაც ამბის მომტანი ჯერ არეინ დაბრუნებულა..

(მთარგმნელი ვ. გ უ ნ ი ა, 1885 წ.).

ვ. გუნიას ეპატიება, რადგან მას „ჸამლეტი“ ბოლომდე არ უთარ-
გმნია და არც სცენაზე წარმოუდგენიათ. ვალერიან გუნია ახალგაზრ-
დობაში გატაცებული იყო მსახიობ როსის ტრაგედიების შესრულებით
და სცენიდან ერთ-ერთ თავის ბენეფისში სურდა გამოსაცდელად „უო-
ფნა-არყოფნის“ მონოლოგი წაყითხა თავისი საკუთარი თარგმანით.
ივანე მაჩაბლის თარგმანი კი 1886 წელს გამომზევდა იმავე გუნიას
ინიციატივით.

ნება მომეცით, შედარებისათვის ეს ადგილი ივანე მაჩაბლის თარ-
გმნითაც მოვიყვანო:

მე მაგონდება ამ მონოლოგის წაკითხვის დროს დიდი ლადო მეს-
ხიშეილი და უშანგი ჩხეიძე!

— ეინ მოითმუნდა უამისოდ უამთა სიმწარეს,
მტარევალის ჩაგრას, სიამაყის თავ-გასულობას,
ტანჯვასა მწვავეს უარ-ყოფილ სიყვარულისას,
მართლ-მსაჭულების გვიანობას, მძლავრთ უკმერხობას,
შეურაცხ-ყოფას ღირსეულის უღირსისაგან, —
შეეძლობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკარით?
ეინ ზიდიადა ჭაფით, კენესით ამ სიცოცხლის ტეირთს,
რომ არა გვერნდეს იმის შიში, თუ სიყვდილ-შემდეგ
იქ რა იქნება, იქ, იმ ბენელსა და უცნობ მხარეს,
საღიათ არც ერთი მგზავრი უკან აღაო ბრუნდება.

(მთარგმნელი ი.ვ. მ ა ჩ ი ბ ე ლ ი, 1886 წ.)

1844 წ. ვინმე ერისთოვება პროზად თარგმნა „ოტელო“... ივნის
მაჩაბელმა თავისი თარგმანი დაბეჭდა 1888 წელს. ო, რაოდენი გან-
სხვავებაა მათ შორის. ავილოთ ცნობილი მონოლოგი:

ე რ ი ს თ ო ვ ი ს თარგმანი:

„უკეთუ ყოველთა მხედრობათა განენაწილებინათ ჩემთან ტქბი-
ლი საწოლი, ხოლო მე არ მცოდნოდა, ჩემთვის იგი იქმნებოდა ყო-
ველივე სიამოვნის ასატანი! ეხლა კი მშეიღობით საუკუნოდ, ნეტარე-
ბაო ჩემო, მშეიღობით განსვენებაო, მშეიღობით ჯიღავ გამრწყინე-
ბულო, მშეიღობით ბრძოლანო, სადაცა წყურვილნი დიდებისანი ით-
ვლებიან კეთილ მოქმედებად, მშეიღობით ტაიკნო ბრძო-
ლისანო, საერავნო გამამხნევებელნო ბარაბანნო, გასაგმირელნო სალა-
მურნო, მომიტევეთ იმაყნო ბაირაბნო ნიშანნო და განმაშვენებელნო
ძლევამოსილთა ბრძოლათა შინა და თქვენ ზარბაზანოო სიკვდილი-
სანო, ეითარიღა ტყვია შემშროებს საყვარლისაგან დაჩაგრულსა!
მშეიღობით! თქვენთან უკვე აღარ ვარ ცნობილი“.

ი ვ. მ ა ჩ ა ბ ლ ი ს თარგმანი:

...თუნდ მთელ ბანაეს,
უოველ ჭარისყაცს თუნდ ცალ-ცალე ეგემნა იგი,
იმის ტქბილ სხეულს შეპხებოდა, მე ბედნიერად
ჩაეთვლიფა ჩემს თავს, არ მცოდნოდა ოლონდ არა-არ.
აწ-კი მშეიღობით სიუკუნოდ სულის სიმშევიდე,
მშეიღობით, ჩემთ მხარელო კმაყოფილება!
მშეიღობით, სპანო ჯილისანნო, დიღნო ბრძოლანო,
თავმოყვარების სათნოებად გარდამცემეველნო,
მშეიღობით, ჩემის თავმოშრონე ცენნის ჭიხეინო,
გრლის ალმძრელო დაუდაფებო, ბუქის მკეთრო ხმავ,
უურთა გამგმირო სალმშრო, სამეტო დროშავ!
დაუდგრომლობავ, მღელეარებავ დიდებულ ომთა,
ბრძოლის შეენბავ, სიამაყევ თვალის მიმტაცო.
ოქ, თქვენც მშეიღობით, მანეანნო სიკვდილის მბადნო,
რომელთ ცელიდამ ხმა გამოქვეხს სმენად საშიში,
როგორც უკვდავის იუპიტერის საზარო გრგვინვა!
ოტელოს ჩარხი ბელ-უკედა გადატრიალდა!

შესანიშნავი მონოლოგია, შესანიშნავი თარგმანი! ხანდახან გაო-
ცებას ეძლევი ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ გრიგალს
102

ვადმოჰყვა, ვინ ჩააგონა ჩვენი ერის საიდუმლოება და ქართული სახე ტყეს შეგრძნების ძალა?

მე-19 საუკუნის დიდი მოღვაწე ივანე მაჩაბელი ახალი ქართულისა ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იმ ახალი ქართულისა, რომელსაც ჩვენი ძველები ბუნებრივ, „სასაუბრო ენას“ უწოდებდნენ.

„სულიკო“, „ორეული“ და სხვა ოუარებელი ახალი, მანამდე უცნობი სიტყვა, რომელთა შესწავლაზე ამჟამად ვმუშაობ, განა პირველად ივანე მაჩაბელმა არ შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში?

მაჩაბელს ქართული ენის ბუნების განსაციფრებელი ილონ ჰქონდა, მან იცოდა სინონიმების იშვიათი მოძებნა და თავ-თავის ილაგის მოთავსება, მას ახასიათებდა სათარგმნელ ტექსტში ჩაწვდომის უნარი.

მშვენიერად თქვა ივანე მაჩაბელზე სახალხო პოეტმა იოსებ დავითაშვილმა:

ქართული ენა გაჩირხა,
ნაფიჯნი სხვა და სხვისაო.

შექსპირის უკულა გამოცემას კომენტარები ახლავს. მაგრამ, უნდა ითქვას. მაჩაბლის თარგმანი იმდენად ზუსტი და გასაგებია, რომ არავითარ კომენტარს და განმარტებას არ საჭიროებს.

ისევე, როგორც შექსპირი თავის ტრაგედიებს წერდა სცენისათვის, მაჩაბელიც თარგმნიდა მათ სცენისათვის. ამიტომ არის, რომ ეს ტრაგედიები ასე თავისუფლად უდერენ სცენიდან და მათზე სწავლობდნენ და სწავლობდნენ ჩვენი მსახიობები სწორ მეტყველებას. მაჩაბელმა თავის ქართულ თარგმანებს შეუნარჩუნა ის დიდი მხატვრულ-ლიტერატურული და სცენიური ღირსებანი, რომლითაც იღებენდილია შექსპირის ტრაგედიები.

მოეცვანთ რამდენიმე მაგალითს, თუ რამდენად ბუნებრივი, ნათელი და ადვილად გამოსათქმელია მაჩაბლისეული წინადადებანი სხვა მის თანამედროვე მთარგმნელების ფრაზებთან შედარებით.

ჰამლეტი მოკლულ პოლონიუსშე ამბობს: „ვახშამზე გახლავთ, მაგრამ ვახშამს თვითონ კი არ მიირთმევს, თვითონ იმის შეექცევიან ვახშმად, მატლთა პოლიტიკურმა კონგრესმა ეს არის ეხლა მიპყო ხელი იმის პირი“ (ანტონ ფურცელაძის თარგმანი). ივ მაჩაბელს ეს ადგილი ასე ლავონიურად აქვს ნათარგმნი: „ვახშამად არის, მაგრამ ის კი არა სჭამს, იმასა სჭამენ: პოლიტიკოსი მატლები შეკრებილან და ახლო მისხდომიან“... ან კიდევ:

პოლონ. — მე ეთამაშობდი იულიოს კეისიარს და კაპიტოლიუმი
მომქენეს. მე მომქლა ბრუტუსმა.

პიმლეტი — მაში ის ბრუტუსი სწორედ ბრუტი იყო
ყოფილა, რომ მაგისთანა ჩინებული ხდო დასაკლავად გა-
მოუმეტნია.

ესეც ივანე მაჩაბლის თარგმანია. ახლა მოვიყვანოთ ეს აღვილი
ლავრენტი არდაზიანის თარგმნით:

პოლონ. — რას ვთამაშობდი? იული კეისარსა. მე დამქელა
ბრუტიმა კაპიტოლში.

პიმლეტი — ნამდევილ ბრუტი ყოფილი ის, ოდეს დაუკლავა
ესრეთი გასუქებული ხდო.

ლავრენტი კართული ენის ბუნებრივობა, იუმორისტული ელ-
ემენტების გამოვლინება, ლექსის ისტატობა, ინტონაციის სიმდიდრე
და მრავალფეროვნება — აი ასეთი მაჩაბლის თარგმანი. თუ ანტ-
ფურცელაძეს აქვს: „მიეცით ფიცი“, „გამოვიცვალოთ აღვილი“. ივ.
მაჩაბელი ერთი სიტყვით გამოსთქვამს: „შეპიცეთ“, „გადაეინა-
ცელოთ“. თუ ლავ. არდაზიანი მესაფლავის სიმღერას ასე თარგ-
მნის:

მე ეიყავ შარჯვე და გამშედავი,
სიმღერა, თამაშობა, მიყვარდა,
ეხლა-ლა დაებერდი, მოუძლურდა.
არ ძალმის მლერა, ვიკწესო უნდა.

ივანე მაჩაბელი შექსპირის ამ სტრიქონებს აძლევს ხალხური ლექ-
სის ელფერს და, მაშასადამე, სიმღერისათვისაც გამოსაღევ მოქნი-
ლობას:

ჩემს ბიჭობას, გოგოებსა
გულიანად დაელევდიო,
ეთამაშობდი, მიხართდა,
აპ, რა ცუდ დროს დაებერდიო.

ჰამლეტს სასაფლაოზე დაეუფლა ამაოების გრძნობა და მას ვერ
წარმოუდგენია, რომ დიდი ილექსიანდრეც მიწად იქცა და ამ მიწიდან
ტალას ზელავენ.

ეს შესანიშნავი ლექსი ჩვენს მთარგმნელებს სხვადასხვანირად აქვთ
ნათარგმნი:

ლილშვერინერი კეისარი დლეს არს მტვერი. ხრწინლება,
და კადლების დასაკერებლად ისი ნახმარებია,

ცოცხალშია თიხამა შეარყია მთელი დედა-მიწა,
სოლო მკუდარი-ღა წასაცხებად ბუბნებისა შეიქმნა.

(ლ. ა. გ. ი. დ. ი. ს. ი. ა. ნ. ი.)

ეს წინ ეცარენ ფერთა მტკრად
ხალხები და კრისტი ვერ სძრავდნენ,
ცეზარი იქცა ტალახად
და მითი კარებს პეტენ.

(ა ნ ტ. ფ უ რ ი ე ლ ა დ ი)

თიხად გადიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი,
და სახლო საცესად ხმარობდნ მას, მას, ქვეყნის მზარავს,
ის, ეს წინაშეც შიშით ძროდა ურიცხვი ერთი,
ზამთრის სუსტისგან უბრალო ქოშს ეხლა იუარავს.

(ი. ვ. მ. ა. ჩ. ა. ბ. ე. ლ. ი.)

ასეთი ოსტატობა „მეფე ლირის“ თარგმანშიაც გვხვდება. იქ ხშირად რეპლიკა მთლიან სტრიქონშია მოქცეული, ხან კი მთლიანი სტრიქონი ერთი სიტყვით არის ნათარგმნი. შექსპირის ტექსტთან (მე ვამბობ „მეფე ლირზე“) შეფარდებულია წმინდა ქართული გამოთქმებიც, მაგალითად: „ვაი შენ ჩემო თავო“, „შენ არ მომიკვდე!“ „ლილახანა გაუცედა“, „გიცნობ, რა წითელი კოქიცა ბრძანდები!“ „მეხი კი დაგეცა მაგ ბრიყვ თავზედ...“ ზოგი ჩვენებური სიტყვა შესანიშნავად ეფარდება პიესის დედაზრს, მაგ., „პამპულა“, „ნაცარქექია“, „ფეხთა მლოკი“, „ნაბიჭვარი“, „დიდგულა“, „ძალლის გაერდნილი“, „თავლაფდასმული“, „ლაწირაკი“, „მელაძუა“, „ოხერტიალი“, „წუწისშვილი“, „დომხალი“, „ვირეშმაკა“, „მიქარევა“, „ყადრი“, „აშალლარა“, „ბოლლიწო“, „სართი“, „კოტოში“ და სხვ.

საჭიროებისამებრ მთარგმნელმა თუ ფოლკლორიც არ მოიშველია, სხვაგვარად ზოგიერთი მცნების შესატყვისი ტერმინი უსუსური და მჰლე გამოდის. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა ძველმა მოლვაწეებმა და განსაკუთრებით შექსპირის მთარგმნელებმა. ამიტომ იყო, რომ ისინი სხვადასხვა თხზულების თარგმნის დროს, შესაბამი ტერმინის გამოსანახავად, გულსავსედ ეწაფებოდნენ ცოცხალ სიტყვას და ხალხურ გამოთქმებს.

ორი აზრი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რაც გინდა დიდი მსახიობი იყო, თუ პიესა უხეირო ენით იქნება დაწერილი, სათანადო ზეგავლენას ვერ მოახდენს მაყურებელზე. ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს „პამლეტის“ ფურცელაძისული ტექსტი, რომელიც გახდა პამლეტის როლში ლადო მესხიშვილის მარცხის მიზეზი 1883 წელს.

„კვალი“ წერდა: „ჰამლეტი“ ძალიან ძნელი გასაგები და წარმოადგენია, ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული არტისტები და აღწევული განსაკუთრებული საზოგადოებაც“ (იხ. „კვალი“, 1899 წ., № 50). ეს არ არის მართალი. შექსპირის ტექსტის გამები არტისტებიც გვყვა-და და საზოგადოებაც, მაგრამ, როგორც ვთქვი, ხეირიანი მთარგმნელები არ გავვაჩნდნენ. (აქ მხედველობაში არა გვყვავს ბრწყინვალე მთარგმნელები: ნიკო ავალიშვილი, ივ. მაჩაბელი, გრ. ყიფშიძე და ივ. მაჭავარიანი, რომელთა ნათარგმნი პირებიც სამაგალითოდ უნდა ჩა-ითვალის ჩვენს თარგმნითს ლიტერატურაში). და როცა 1887 წელს ქართულმა ოეატრმა „ჰამლეტი“ ივანე მაჩაბლის თარგმანით წარმოადგინა, სურათი სულ სხვანაირი იყო. აქ არტისტებმა ფრთა გაშალეს და ქართული ენის ელასტიკურობა, მისი ძარღვე და სილბო ნაკადულიერი მდინარებდა მსახიობთა ბავეთაგან; სწორედ მოსწრებულად უთქვამს ილიას: „ქართველმა არტისტებმა ქართველ საზოგადოებას შეაყვარეს და გაუშინაურეს შექსპირი“. იშევიათი შემთხვევაა თეატრალური ცხოვრების ისტორიაში, რომ ხალხმა მთარგმნელი გამოიძახოს სკენაზე და ხელში იყვანილი გამოატაროს ქუჩებზე. მაყურებელი ივანე მაჩაბელს ისე უკრავდა ტაშს, როგორც „ჰამლეტის“ შემქმნელს და ამ ტაშის პირველი დამკერელი ილია ჭავჭავაძე იყო.

პრესა ივ. მაჩაბლის თარგმანებს ყოველთვის აღტაცებული ეგბებდოდა. იყო ერთი შემთხვევა მხოლოდ, როცა „ივერიამ“ „ოტელოს“ მთარგმნელებს (ივ. მაჩაბელს და დ. მესხს) უსაყველურა: „თარგმანი მოითხოვარიებდა, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაონ“. ეს სამი უკანასკნელი მოქმედება კი დათიკო მესხისა იყო და არა მაჩაბლისა. *

ივ. მაჩაბელს შექსპირის სულ რვა ტრაგედია აქვს ნათარგმნი: „ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიოს კეისარი“, „ანტონიოს და კლეოპატრა“,

* მყითხელმა რომ სხვანაირად არ გაიგოს, თი, როგორ მოხდა ეს ამბავი: კ. შესხვანუშერახაეს ქუთაისში „ოტელოს“ დადგმა და მოქმედლობა მაჩაბლისათვის, თარგმანი გამომიგზავნეო. ივანე მაჩაბელს „ოტელოს“ მხოლოდ ორი მოქმედება ჰქონის წილად და ის გაუგზავნია, დანარჩენს ნელინელ მოგაწყვდით. მაჩაბელს, ავალშეორბის გამო, დაპირებული სამი მოქმედება ვეღარ მოუწოდებია, კორც მესხს კი წარმოდგენის გადადება არ მოისურვებია და დანარჩენი მოქმედებების თარგმა თავის ძმისათვის, დათიკო მესხისთვის დაუვალებია... თი რატომ წერდა „ივერიის“ რეცენზიტი, „თარგმანი მოითხოვარიებდა, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებათ“. აშეკრა, ეს საყვედლური იყანე მაჩაბელს არ უკონის (იხ. „თ. და ც.“, 1914 წ., № 39. შდრ „თემი“, 1914 წ., № 197).

„მაქტეტი“, „რიჩარდ მესამე“, „კორიოლანის“ და „მეფე ლირი“ ცენტრული ილიასთან ერთად თარგმნა).

ხშირად მიფიქრია: რატომ არ დაგვიტოვა ივანე მაჩაბელმა კულტურული ცენტრი ვაჭარი“ ან „რომეო და ჯულიეტა?“ განა „რიჩარდ მესამის“ ან „კორიოლანის“ ნაცელად ზემოხსენებული ორი პიესა რომ ეთარგმნა, არა სჯობდა? მის ლირიულ სულს და რომანტიულ ბუნებას „რომეო და ჯულიეტა“ უფრო არ შეეფერებოდა? მაგრამ არ უთარგმნია. არა იმტომ, თითქოს ამ პიესების თარგმნა ვერ მოასწრო, არამედ...

ამ რა უნდა ვთქვა:

ივანე მაჩაბელი მეტად კეთილშობილი, მორიდებული და უპრეტეზიო ადამიანი იყო. როცა მან ფეხი შემოსდგა სამწერლო ასპარეზზე, ილია ჭავჭავაძის გარდა, სახელმოხვევეჭილი მთარგმნელი იყო ქართული ენის კარგი მცოდნე დიმიტრი ყიფიანი. „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ორი ვერონელი აზნაური“ სწორედ დიმიტრი ყიფიანის ჰქონდა ნათარგმნი და დაბეჭდილიც. ჩემის აზრით, ივანე მაჩაბელი მოერიდა მხცოვან დიმიტრი ყიფიანს და საჭიროდ არ ჩასთვალა ხელმეორედ ეთარგმნა დიმიტრის მიერ უკვე თარგმნილი ტრაგედიები.

დიახ, ამ პიესების უთარგმნელობა სწორედ ამით უნდა აიხსნას და არა სხვა მიზეზით.*

უნდა ითქვას, რომ ივ. მაჩაბელი შექსპირის თარგმანზე, სხვა მთარგმნელებთან შედარებით, დიდი პასუხისმგებლობით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით მუშაობდა. მისი სურვილი იყო, შექსპირის ქართულ თარგმანში არ დაკარგულიყო ამ ბუმბერაზი დრამატურგის აზრების სიღრმე და მისი მხატვრულობის უდიდესი ძალა.

როცა მაჩაბლის თარგმანებს ვკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება

* ლიმ. ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზი (გარდაიცვალა 1905 წ. ქ. მრიუსელში), ნ. დიმიტრიძის ფსევდონიმით, ასეთ ხოტბას ასხამს შექსპირის პირველ მთარგმნელს: „ერთი კარგი მთარგმნელი გვყავს, რომლის თარგმანში შექსპირიდან ერთ რჩება და არ იმახინება. ანგლიური ენის მცოდნე და შეენიერი ქართული ენის პატრონი, უფ. დიმიტრი ყიფიანი. „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირის ერთი უკეთესთავანი ასწულება არის ძეირული შენაძენი საწყალი ქართული ლიტერატურისათვეს...“ უფ. ლიმ. ყიფიანი სთარგმნის შექსპირის გენიალურ დრამას „შეიღოქს“ (მთარგმნელს ეს სახელი გადმოუღია „შეიღოხად“). ამბობენ, რომ ამ დღეებში ათავებს კალება უფ. ლიმ. ყიფიანი ამ დრამის თარგმნას. „შეიღოქსა“ და „რომეო და ჯულიეტას“ ნათარგმნით საწყალ ქართულ ლიტერატურას ორი გენიალური, შეენიერი სანიმუშო ქართული ერთ დაწერილი თხზულება მოემატა“ („დროება“, 1872 წ., № 2).

გვრჩება, თითქოს ქართულად მოლაპარაკე შექსპირი იღვეს ჩვენ
წინაშე... ივანე მაჩაბელს, რომელსაც პირველად ილიამ მოუხვევა
ქარგი მთარგმნელის სახელი, ქართულ შექსპირიანაში ყველაზე მაღა-
ლი და საპატიო იდგილი უჭირავს.

ქართველი მწერლების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი ოლივერ
უორდრომი, „იულიოს კეისრის“ ცალკე წიგნად გამოსცვლისთანავე, 1896 წელს, 28 მაისის თარიღით ყირიმიდან ასეთ წერილსა სწერს
ივანე მაჩაბელს: „თქვენი თარგმანი „იულიოს-ცეზარისა“, სამაყო რა
არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენი უძრე-
სი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. მე წამიერ-
თხავს ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული ვერსიები
ამ პიესისა, მაგრამ არც ერთი იმათაგანი არ არის ისე ერთგულად
შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმნით, რომ-
ლითაც შთამომავლობა აღტაცებული იქნება...“ (საქ. ლიტ. მუზეუმ,
№ 1145, ინვ. 2182; შდრ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, № 9,
გვ. 181).

შექსპირი — ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მხატვარი, ადამიანის
გულის მესაიდუმლე და სიმართლის მომღერალი — ჩვენი თეატრე-
ბის ახლობელი და განუყრელი დრამატურგია. შექსპირის ტრაგედიები
საბჭოთა თეატრებში 22 ენაზე იდგმება, მაშინ, როცა მწერლის საპ-
შობლო — ინგლისის თეატრების რეპერტუარში შექსპირის პიესები
ისე ხელწაყრით არ იდგმება. ტყუილად კი არ სახვდა ჰენრის ჰეინრი
მაკლერებისა და ბანკირების ინგლისი. იგი ამბობდა: „ზღვა დიდიხა-
ნია ჩანთქეავდა ინგლისს, რომ პირისლებინებისა არ ეშინოდესონ“.

შექსპირის სახეები, შექსპირის ბრძნული აზრები, მისი საკაცობ-
რიო ღრმა იდეალები შეისისხლხორცა საბჭოთა მაყურებელმა.

ქართული თეატრი დიდად დავალებულია შექსპირით. ლადო შეს-
ხიშვილმა შექსპირის სიტყვებით აიდგა ფეხი. ივანე მაჩაბელი რომ არ
ყოფილიყო, ჩვენს სცენას ვოდევილების ხანძარი შთანთქეადა.

თანამედროვე თეატრები ახალი სხივით აშექებენ შექსპირის უკ-
ვდავ გმირებს, რომელნიც კაცობრიობის ბედნიერებისათვის თანამიშ-
დევარი მებრძოლები არიან.

ამბობენ, დიდი მწერალი არ ბერდება, ყოველთვის თანამედროვეათ.
ჩვენს თეატრებსაც შექსპირის ტრაგედიების განსახიერებით დიდი
წვლილი შეაქვთ მოწინავე საბჭოთა ხელოვნების საგანძურში.

1874 წლის გაზეთ „დროებაში“ ასეთ ცნობას წაეწყდი:

„შექსპირს ეხლა ესპანიურ ენაზედაც სთარგმნიან და ამბობენ,
რომ ეს პირველად არისო... ჩვენ ქართველები ცოტათი უთუოდ უნდა

ავმაღლდეთ ჩვენს საქუთარ თვალში, რადგანაც ესპანიელებისათვის
დაგვისწრია და რამდენიმე შექსპირის თხზულება მშენივრად გად-
მოგვიღია ქართულ ენაზედ“ („დროება“, 1874 წ., № 438).

საქართველოში შექსპირმა უდავოდ სახელოვანი თანამოსავრე-
პპოვა იკანე მაჩაბლის სახით.

შექსპირის ვარსკვლავებმა ღრმად ჩაიხედეს იკანე მაჩაბლის შემოქ-
მედების ტბაში და ორეულის სხივთა ანარეკლი ჩვენს მშობლიურ ჰო-
რიზონტზე ბრწყინვალედ ათინათინდა.

1948 წ.

ფ ი რ უ მ ი ა ნ ი

დღეს ვდღესასწაულობთ გიორგი ნიკოლოზის-ძე ფირუმიანის 50
წლის სასცენო მოღვაწეობის აღმნიშვნელ თაობის.

გიორგი ფირუმიანი ჩვენი ხალხის შვილია, მისი წიაღიდან ამოზრ-
დილი კვირტი, რომლის ნიჭიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების
დროს გაიფურჩქანა დაბალი წრიდან გამოსული გიორგი დღეს სახალ-
ხო არტისტის წოდებას ღირსეულად ატარებს. გიორგი ფირუმიანი
ერთნაირი სიძლიერით გამოდის, როგორც სომხურ, ისე ქართულ წარ-
მოდგენებში. იგი ითვლება ქართულ-სომხურ სკენისმოყვარეთა ამ-
ხანაგობის ერთ-ერთ დამაარსებლად. ეს დრამატული დასი დაარსდა
1904 წელს და უნდა ითქვას, რომ ამ ამხანაგობამ ბევრი კარგი საქმე
გააქცია: ჯერ ერთი თბილისის მშრომელები შეაჩვიეს თეატრს და მე-
ორეც წარმოდგენების შემოსავალი დაჭრილ რევოლუციონერებს
ხმარდებოდა.

ქართველ და სომეხ მსახიობთა თეატრალური ურთიერთობა ჯერ
კიდევ 70 წლებიდან იწყება, როცა 1875 წელს პირველად „პეპო“ და-
იდგა ქართულ სკენაზე. პეპოს როლს გრიგოლ ჩიმიშვიანი თამაშობდა,
ნათაძის, კოტე ყიფიანის, შიშნიაშვილის ვერდით. სერგეი მესხის გან.
„დროება“ იქებს ამ წარმოდგენის და განსაკუთრებით ხასს უსეამს ჩი-
მიშვიანის მკაფიო, სწორ ქართულ მეტყველებას. ვასო აბაშიძეც გა-
მოსულა სომხურ სპექტაკლებში, სომეხი მსახიობი გედეონ მირალია-
ნი — გედევანვი ხომ ითეული წლების განმავლობაში ქართული სკე-
ნის ბრწყინვალე მსახიობთა რიგებში ირიცხებოდა.

ჩვენი დღევანდელი იუბილარი ამ გზის გამგრძელებელია. გიორ-

გი ფირუმიანს ამპლუა არა აქვს, ის ყველაფერს ერთნაირი მონძოშებით თამაშობს. მის თამაშში იგრძნობა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, თავისი გმირისადმი სიყვარული და კეთილსინდისერებას. მეტვები, ფირუმიანს ამპლუა არა აქვს-მეტვები და ეს დასტურდება იმ როლების გალერეით, რაც მას უთამაშნია თავისი მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე. კაკულა და ზიმზიმოვა („პეპოში“), გიგმოზე და მარმაროვი („დაქცეულ ოჯახში“), მასისიანი და ისია („ხათაბალაში“), მოღიერის პიესაში („ძალიად ცოლის შერთევეინება“) სამი სხვადასხვა ჟანრის როლი აქვს შესრულებული, ოსტროესკის „უდანაშაულოდ დასჭილში“ შმაგაც უთამაშნია და მილოეზოროვიც. ერთი სიტყვით, არ არის ისეთი პიესა, სადაც ფირუმიანს სხვადასხვა დროს ერთიმეორის საწინააღმდეგო როლი არ შეესრულებინოს და ყველა თავის-კარად, ბრწყინვალედ, შესანიშნავად. ფირუმიანს, როგორც დეკლამატორს, ყველა იცნობს. ვის არ ახსოეს მის მიერ წაყითხული ხალხური ლექსი „თამადა“:

ლმერთო, შენა სწყალობდე,
აქ მბრძანებდას, ყველასა.
გაქირვებდულ პბრალობდე,
არ ყლებდე შეელასა.

ახლა სომხურ ლექსებს როგორ კითხულობდა! მას ამხანაგებმა ერთხელ მეორე საიათონოე უწოდეს.

ფირუმიანის დეკლამაცია, ეს იყო სიმფონია, ნიაღვარის მოვარდნა, გაზაფხულის სურნელება.

მან, პირველმა, ჩაუყარა საფუძველი ოპერეტებს და ოეატრის ამ ჟანრს მიმზიდველობა და სერიოზულობა მიანიჭა. დაუერწყარია მისი მაშტიბალი („მაშტი-იბალი“), სულეიმანი („არშინ მალ ალან“) და ნაპ-პეტა („უშლინი, ნუშლინი“). ქართულ პიესებში გიორგი ფირუმიანი უფრო ვასო აბაშიძის, ნიკო გოლიძის და აწყურელის როლებს ასრულებდა და უნდა ითქვას, რომ მოწაფე ოსტატს არ ჩამოუვარდებოდა. ასეთებია არონა („მელანიას თინებში“), ავეტიქა („რაც გინახაეს“...) და პეტრა („ციმბირელი“).

როცა პირველი წარმოდგენა ენახე, 16 წლისა ვიყავი. თამაშობდნენ ასიკო ცაგარელის „ციმბირელს“. როლები ასე იყო განაწილებული:

მ ა ზ უ თ ი ა ნ ი — გიგო გელიკურაშვილი,
ნ ა რ გ ი ზ ი — თამარ აფხაზიშვილი,
ა დ ვ ი კ ა ტ ი ქ ლ ე ს თ ვ ი — შაქრო გომელაური,

ი ვ ა ნ ე უ ს ტ ა ბ ა შ ი — ვანო მარკოზოვი,

ქ ა ლ ი ა — დარო რჩეულოვი,

ნ ი კ ო ლ ი — ლევან ბალაშვილი,

ს ტ ე ფ ა ნ მ ა კ ა რ ი ჩ ი — ნიკო მირველოვი,

მ ა შ ი კ ი — ნინო საყვარელიძე,

კ ა ვ კ ა ვ ე ლ ი პ ე ტ უ ა — გიორგი ფირუშმიანი,

ა რ ტ ე მ ა — დ. მელაშვილი.

ამ წარმოდგენაზე ყველაფერი ისე ბუნებრივი იყო, რომ მე გაკვირვებული ცეკითხებოდი ჩემს თავს: — ეს ჩვენი უბნის ხალხი აქ სად მოუხვეტიათ-მეთქი. მართლაც, ნიკოლა, ვანო, სტეფან მაკარიჩი, მაზუთიანი, პეტრუ — ნამდვილი ხალხი მეგონა, ჩემი მეზობლები. მაშინ გრიმსა და პარიქსე ხომ არაეითარი წარმოდგენა არა მქონდა. ამ წარმოდგენაში განსაკუთრებით პეტრუ მომეწონა. ერთი ჩემი მეზობელთაგანი დავით გულაზიანი მეუბნებოდა: — იცი, ეგ ვინ არის? გვარად ფირუშმიანია, პექიმ ნიკოლას ვაჟი, ბუღალტრად მსახურობს შახბუდალოვის კანტორაშიო.

მე შევუტი: რის პექიმის შვილი, რის შახბუდალოვი, ეგ მეთევზე ავაქაა, ორთავეალელი, ვირების ხიდთთან რომ თევზაობს. რამდენჯერ მამაჩემს გაუგზავნივარ მასთან „ცოცხალის“ საყიდლად-მეთქი. დამენიძლავეო, — დავნიძლავდით. მთელი ერთი კვირა დაედიოდით დახურულ ბაზაზეანაში, თათრის მოედანთან, ვიჭყლიტებოდით მაღაზიაში, რომ ერთხელ მაინც თვალი მოგვეკრა პეტრუს როლის შემსრულებელ ბუღალტრერ ფირუშმიანისათვის. რასაკეირველია, სანიძლაო მეწავავე. აი, რას ნიშნავს ბუნებრივი თამაში. მას შემდეგ გიორგი ფირუშმიანი გახდა ჩემი საყვარელი მსახიობი და მურაშქოს და არაქსიანის თეატრების მუდმივი შაყურებელი გაეხდი. ერთი წლის შემდეგ ხომ სუფლიორადაც მიმიღეს. მეც ჩავეწერე მათ დასში, საიდანაც 1907 წელს ვ. გუნიამ დიდ სცენაზე გადამიყვანა, მოკარნანის თანამდებობაზე.

50 წელი!

ნახევარი საუკუნე!

ადვილი სათქმელია! ვინ იცის, ჩვენს ძვირფას იუბილარს რამდენი გიჟირვება უნახავს, რამდენი ლამე დასთენებია თავზე, მაგრამ ერთხელ არჩეულ გზიდან არ გადაუხვევია. ცალკე ცარიზმის აგენტებთან ბრძოლა, ცალკე მიკიტნებისა და ყომარბაზების მუქარა—ჩვენს მუშტრებს თეატრი რატომ გაუხსენით, ვაჭრობა იღარა გვაქვსო... ცალკე სცენის ანტურაების საყუთარი სახლიდან ზიდვა, არტისტების მონახვა, რეპე-

ტიციების დანიშვნა — იდეილი სათქმელია, სხვადასხვა უბირავ შესა სცენისმოყვარეთა ერთად შეკრება, რეპეტიციიდან ღამის 2 საათზე სახლში წასელა და დილით 6 საათზე ადგომა და სამუშაოზე გამოცხადება. ფირუმიანს, როგორც დასის ხელმძღვანელს, ყველატრისათვის უნდა ანგარიში გაეწია. და მართლაც, ვაშა მის ენერგიას, რომ აქმდე მოაღწია და ჯერ კიდევ ახალგაზრდად გამოიყურება... როცა შეკურებ ამ ჭალაროსან ჭაბუქს, გული სიამით მევსება, რომ მე, მის მოწაფეს, მერგო ამ ნაზეომო პატარა შეკრების გახსნა. და დღეს უფრო ბედნიერია ჩვენი გიორგი, რომ საკუთარი თვალით ხედავს თვეისი საქმის დაგვირგვინებას, თავისი მოწოდების აყვავებას.

1948 წ.

ჩართული ესტრადის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ქართული ესტრადის ჩანახები უეჭვილად იყო იმ მესტვირეებსა და აშულებში, რომელიც პერსონალურად გიმოდიოდნენ სოფლის დღეობებში.

მესტვირეები ხშირად ექსპრომტად წარმოსთქვამდნენ ქებასა და უკს რომელიმე პიროვნების მიმართ. მესტვირეები უფრო სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ხოლო აშულები ქალაქის ტრუბალურები იყვნენ. ისინი უქმე დღეებში მონახავდნენ მოედანიერთ გაშლილ იდგილს, სადაც ბევრი ხალხი იყრიდა თავს, გააკეთებდნენ მომალლო ესტრადას და იქიდან ჩინგურების ეკომპანემენტით ხალხს უმღეროდნენ და უძბობდნენ რომელიმე ზღაპრული გმირის თავგადასავალს (აბესალომ და ეთერიანს, ამირანიანს, ქალვაკიანს, ალექსიანს, შეიდევზირიანს და ბიბლიოდან ამოლებულ ამბებს.) აშულებს შორის ხშირად იმართებოდა შეჯიბრი; თუ რომელიმე აშული დამარცხდებოდა, თავისი ჩინგური გამარჯვებულისათვის უნდა გადაეცა (იხ. ჩემი „საიათონვა“).

ქართულ ესტრადულ უნდა მიეკუთვნოს ის ხალხური შიორები, რომელსაც სოფლად გამოსთქვამდნენ რომელიმე პიროვნების დასაცინად. შეიძლება ამას ეწოდოს ხალხის სატირა თავისი მბრძანებლების მიმართ:

ორი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ისა მცემდა, ხან ისა.
ორივე ერთ დღეს დავმარხო,
ხან ის ვიტირო, ხან ისა.

უსამართლობით არ ისხამს
ეს კარალული კაკლები.
ისაული არ მოვა
თორმეტ-თორმეტზე ნაკლები.
„რას მერჩი, მიმღებარო..“ და სხვ.

ქართველ მეფეებს პყავდათ აგრეთვე სასახლის ხუმარები, უნდა ითქვას, რომ ამ ხუმარების სახით მეფეთა დარბაზებს იმხიარულებდნენ კრიტიკულად მოაზროვნე აღამიანები, რომელნიც შაქარმოყრილ შხამიან სიტყვებს პირში იხლიდნენ დესპოტ მბრძანებლებს. ისტორიამ შემოგვინახა მათი სახელები: ბენია, ბეჭტია და სხვ...

შესტევილები, ხუმარები და აშულები აეს ავად ისესნიებდნენ და კარგს — ქარგად, ისინი არავის არ ერიდებოდნენ და ისარივით პირდაპირები იყვნენ.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იმგვარმა ეანრმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო, — როცა ერეკლე მეორის მზრუნველობით საფუძველი ჩაეყარა ევროპულ ყაიდაზე გააზრებულ ქართულ თეატრს. ჩვენს არქივებში შემონახული ზოგიერთი დრამატიული ნაშრომი ამის ნათელი დამამტკიცებელია. ქართული მუზეუმის ხელთნაწერთა განყოფილებაში მოიპოვება რამდენიმე ძველი პიესა, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური, მაგრამ რაც დამახასიათებელია ჩვენი წერილის თემის გასამაგრებლად, ჩვენა გვაქვს დიალოგების ეანრის ნაწერები, რომელნიც აღნავობით დღევანდელ სკეჩებს გვაგონებენ. ამ მინიატურულ პიესებში ორი ან სამი აღამიანის მეტი არა სჩანს: მაგალითისთვის დავასახელებ ისე ისე საუკუნის მიერ 1761 წელს დიდი იუმორული ნიჭით დაწერილ სასცენო მინიატურას, სადაც მღვდლების და ბატონების ონბაზობაზეა ლაპარაკი (ს. კაგაბაძე, „მნათობი“, 1946 წ., № 7).

ასეთივე საესტრადო ხასიათისაა „კალმასობის“ ზოგიერთი შესანიშხავი დიალოგი.

1879 წელს დაარსდა ქართული მუდმივი დასი. მანამდე მსახიობები სცენისმოყვარეობდნენ და დროვამოშვებით მონაწილეობდნენ იმ კანტიკუნტ, ერთეულ წარმოლგენებში, რომლებიც საქველმოქმედო მიზნებით იმართებოდა. მუდმივი დასის დაარსებიდან კი (1879) მსა-8. ი. გრიშაშვილი, ტ. V

ხითბები, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაპროფესიულდნენ. მა დაჭმულიც იტენიცებოდნენ ისეთი მაღალნიკები მსახიობები, როგორებიც უკანენ: გასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიახი, კოტე მესხი და სხვ. ამათ მიემატა შემდეგ წლებში: ვ. გუნია, ა. ყაზბეგი, ბ. ივალიშვილისა, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. შიმშიაშვილი, ზაალ მაჩაბელი, გ. კანდელაკი, ვ. გამყრელიძე, სვიმონიძე, აწყურელი (გოგოლაშვილი), ქ. შითირიშვილი და სხვ.

ქართული ესტრადის, მე ვამბობ — სასცენო ესტრადის ოფიციალურ თარიღიად შეიძლება 80-იანი წლები დავადგინოთ. და ის რატომ! ძეველად, ჩაც გინდა ტრაგიკული მომენტებით აღსავს პიესა დაედგათ ჩვენს აქტიორებს, ბოლოში უკველად დივერტისმენტი, (ე. ი. ერთგანყოფილებიანი ესტრადული ნომრები) უნდა ყოფილიყო. აქ იყო სკეჩები, ცეკვები, დეკლამაცია, კომიკური კუპლეტები, რომანსები და სხვ.—ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ესტრადას მშვენებს და ახალისებს. ვინ იყვნენ შემსრულებლები? ისევ ჩვენი ქართული დასის მსახიობები: ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ლ. მესხიშვილი და სხვ.

ვასო აბაშიძე და მარიამ საფაროვას ქალი მშვენიერად ანსახიერებდნენ ერთმოქმედებიან სკეჩებს და მუსიკალურ კოდევილებს („გულმა იგრძნო“, „ცელები“, „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“, „კატა აწონა“, „კაპიშონი“ და სხვ.).

მაყო საფაროვა-აბაშიძისამ რუსულიდან გადმოაკეთა სცენა-მოწოლოვი — „დაკეტილ კარებთან“, ხოლო ვ. აბაშიძემ „სწავლული ცოლი“. ორივეში მხოლოდ თითო მოქმედი პირია და მასაც შესანიშნავად ასრულებდა მაყოს მეუღლე — ვასო აბაშიძე და თვით მაყო. დავით ერისთავმა დაწერა ინტერმედია სათაურით — „რა არის ბენეფისი?“. ეს იუმორით აღსავს ნაწარმოები აზტისტის ცხოვრებიდან ვასო აბაშიძემ თვით ბენეფისშიაც შეასრულა. ერთი სიტყვით, ქართული ესტრადის ჩანასახები ძეველი აზტისტების შემოქმედებაშიც ბრწყინავდა.

დრამატული მსახიობი ლადო მესხიშვილი გულწარმტაცად მღერდდა სახუმარო კუპლეტებს. ა. ყაზბეგი შესანიშნავად ასრულებდა მოხევეურ და ჩაჩნურ ცეკვებს, მხედის ქალი და ქეთო ანდრონიკაშვილი ლეკურის ცნობილი ოსტატები იყვნენ. ნატო გაბუნია ქართულ კონცერტებზე ევანგელიას დაირაზე დაეკრით ილიას, ივაის და ორბელიანის მუხამბაზებს გასაოცარი ხმით მღერდდა. საესტრადო ეანრი შემდეგში თანდათან განეითარდა. ვასო აბაშიძემ და გ. გელევანოვმა შემოიტანეს „ვაი-ვუის“ ხმაზე სამღერალი კუპლეტები ყოველდღიურ

კირვარამზე: სცენაზე გამოდიოდა ორი მოქალაქე — ქართული ყოშებიანი კაბებით და ეგრეთწოდებული „წიწავის ქუდებით“ მორთული. ისინი ცრემლიანი კილოთი პენტლავდნენ უკულმართ მოვლენებს და ხელში წინწყალშეყრილი ცხვირსახოცებით ჰგოდებდნენ. ეს დღესას დიდი პოპულარობა მოიპოვა და რამდენიმე თეული წლის მანძილზე გრძელდებოდა ამ ჰანგის დაუბერებლობა. არ ყოფილა ისეთი სალიტერატურო საღამო თუ კონცერტი, სადაც ამ „ვაი-ეუით“ არ გაემხიარულებინათ საზოგადოება ვასო აბაშიძეს და გ. გელევანოვს. ხშირად გელევანოვს ენაცვლებოდა ვასოს შესაფერი პარტნიორი ნიკო გოცირიძე. „ვაი-ეუის“ ტექსტს კი ყოველ იხალ საღამოსთვის უკვეთავდნენ ჩვენს მწერლებს: იყავი წერეთელს, გრ. აბაშიძეს, ბეგლარ ახოსპირელს, ა. ახნაზაროვს, თაგუნას (შალვა შარაშიძე) და ამ სტრიქონების დამწერს. რაც შეეხება „ვაი-ეუის“ რეფრენს, ის ისევ ძევლი რჩებოდა.

ვაი, ვაი, ვაი!
ეს რა არის—ვაი, ვაი, ვაი!
რა ცუდია, რა მო-ჟა-ჟა.
ეს რა არის, რა ცუდია
ჩენი დრო... .

რას არ ეხებოდა „ვაი-ეუის“ კუპლეტები? პოლიტიკას, ქალთა მოდას, საზოგადოებრივი აზრის უკულმართობას და ათას სხვა რამეს... აი ზოგიერთი მათვანი:

ახეთის რეინიგზის მშენებლობა, როგორც ცნობილია, დიდხანს გრძელდებოდა (თითქმის ათ წელიწადს). ვასო აბაშიძე სცენიდან მღეროდა:

ახეთის რეინის გზა
სწორედ მაშინ გავა,
როცა სიღნაღმა
ვირი ხეზედ ვე.

ან ეს კუპლეტი, გოროდოვების საწინააღმდეგოდ ნამღერი:

აქ რომა ზის ეხლა
ჩვენი გოროდოვი,
ქრთამებს იღებს ოხრად,
არის სისხლის მწივი.

ერთხელ ქალებმა მოდად მამაკაცური შარელების მსგავსი რალაც შემოიღეს, სცენიდან ნიკო გოცირიძე მღეროდა:

ამ შარეალის მომგონს
არ ჰყოლია ტოლი, —

ერთხელ კიდევ მოღად ვიწრო კაბები შემოვიდა:

ჩემი ცოლი მართა
სულ ჩემთან ომობს,
ოთხმოცი წლისაა,
ვიწრო კაბას ნდომობს.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს (1904 წ.) ნიკოლოზის ფარი უკან
იხევდა, მაგრამ მეტის რუსეთი გულს მაინც არ იტეხდა! სცენიდან
ასეთი კუპლეტი ისმოდა:

ომის ამბავს, ძმაო,
ნებარ მყითხავ, ნურას,
ვარცხდებით და ვყვირით:
სულ ურას და ურას.

აფთიაქების დაცინვაც ხდებოდა:

ჩემს აფთიაქს, აბა,
ეინ აფობებს, ვინა,
„სლამიტელის“ ნაცვლად
მომცეს ჭინაქინა.

1910—1914 წლებში საქართველოს მოედო „ლიტერატურული
დილების“ ეპილემია (სწორედ ეპიდემია!). ზოგიერთი ეს „ლიტერა-
ტურული დილა“ მართლაც ძალზე მოსაწყენი იყო. ვინ მოსთველის,
ვინ არ მართავდა ამ ლიტერატურულ „დილებს“, „შუადღებს“ და
„საღამოებს“. ასეთი „დილებიც“ იყენწლებოდა ჩვენი არტისტების
მიერ:

თუ არ ვეძინება,
გენატრება რული,
მოისმინეთ „ჭილა
ლიტერატურული“.

და ასე შემდეგ...

სკეჩები, ანუ მცირე ფორმის პიესები, რომლებმაც დღეს მოქალა-
ქური უფლება მოიპოვეს ესტრადაზე, ქართულ თეატრს იდრევე ჰქონ-
და, სადაც სულ ორი მოქმედი პირია; ასეთებია: „ორი მშიერი“, „თაგ-
ვის ბრალია“, „ტიმოთეს ლელვი“ და სხვ.

ესტრადის უანრს უნდა მივაკუთვნოთ რაფ. ერისთავის მიერ შე-
სანიშნავად გაღმოკეთებული პიესა — „ბიძიასთან გამოხუმრება“ (კო-
მედია-ოპერეტა). საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ქართული ოპერე-
ტების ტრადიცია პირველად ჩვენმა თეატრმა შექმნა ვასო აბაშიძის

მეთაურობით. რუსულიდან ითარგმნებოდა მხიარული ოპერეტები: „მეჯლისი იტალიელებით“, „რაინდი უშიშარი და გულმართალი“, „ქართველი რწინების წინ“, „ნატერის თვალი“ და სხვ. ქართულ ოპერეტებში ისე-კე-ვე მომხიბლავი იყვნენ, როგორც კომედიებში და დრამებში, შემდეგი მსახიობნი: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ტასრ აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ალ. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი, კ. შათირიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ქართულ ესტრადას სწყალობდნენ ჩვენი საუკეთესო შეერლებიც. გლეხური სცენების პირელი შემსრულებელი იყო მსახიობი ალ. ნებიერიძე, უურნალ „თეატრის“ რედაქტორი და სცენის მოამაგე; ალექ-სანდრე ნებიერიძის შემდეგ ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი სცენიდან საუცხოოდ კითხულობდა საკუთარ გლეხურ სცენებს გრიმსა და ტანისამოსში.

კოტე მესხი, დავით მესხი, ვასო ბალანჩივაძე და ვალ. შალიქაშვილი მთელი წლების განმავლობაში იმერული სცენების უებრო წამკითხელები იყვნენ.

ვასო აბაშიძე, დ. აწყურელი, ასიკო ცაგარელი, ნიკო გოცირიძე და გ. იორდანიშვილი ქალაქური (ყარაბაღლული) სცენების, ლექსების, თუ შეიძლება ასე ითქვას, აყადემიური შემსრულებლები იყვნენ.

გურული სცენების პირველი შემსრულებელი იყო ოზურგეთელი ქალი ატატო ბებურიშვილი.

აი, რას ვეითხულობთ ოთხმოციანი წლების გაზეთ „ივერიაში“: „ქ-ნმა ბებურიშვილმა წაიყითხა სცენები გურიის ცხოვრებიდან — „სიყვარული“, „ქალი მყავს გასათხოვარი“ და „თქვენ ციცას გაგითხოვებთ“. თუმცა პირველი არ იყო ამისთანების წაყითხეა იმისაგან, მაგრამ მაინც ისე გამხიარულდა ხალხი გურული მკვირცხლისა და მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, რომ ყველა იძახოდა — „ბებურიშვილო, ორიოდე სიტყვა კიდევ გაგვაგონეო!“ („ივერია“, 1889 წ., № 264).

გურული სცენების ავტორ-წამკითხველთა შორის უნდა დავასახელოთ ვასო ურუშაძე, ივლიანე ქავთარაძე, პიტნა, მიქელაძე ჯიბილა და სხვ.

თეთი ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა რაფიელ ერისთავმაც მოიხადა ხარკი სცენაზე გამოსულის სახით: იგი სცენიდან საკუთარ კომიკურ სცენებს კითხულობდა (იმერულსაც, გურულსა და ქალაქურსაც).

ჩვენი საზოგადო მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი ავტორი და მთქმელი იყო მრავალი ქალაქური ფელეტონისა, ხოლო იყავი წერეთლის „სცენები საპატიმროში“ ხომ ნამდვილი საესტრადო ნომერია...

ქართული ესტრადის სასიხარულო სტუმარი იყო დიდი ქართველი მომღერალი, როგორც ეძახდნენ „საქართველოს ბულბულა“ — განსკვენებული ვანო სარაჯიშვილი. იგი სცენაზე ასრულებდა პირველი პლეადის ქართველი კომპოზიტორების: ია კარგარეთელის, მელიტონ ბალანჩივაძის და ა. ყარაშვილის რომანსებს: „შენ რაღას ფიქრობ, არავო“, „მშვენიერთა ხელმწიფია!“ „ისევ შენ და ისევ შენ“, „ოდესაც გიცევერ“, „შენ გეტრფი მარად“, „დავრდომილი სნეული“ და იტალიურ მოტივებზე გაქართულებულ რომანსებს: „მხოლოდ შენ ერთს“, „გენაცვალეს“ და სხვ. ვიდრე ვანო სარაჯიშვილი გაჩნდებოდა, ქართული საღამოების დამატებულებელი იყვნენ, თავიანთი თბილი და ხავერდოვანი ტემბრით, ია კარგარეთელი, სანდრო კაესაძე, დათიყოფალავა და სხვ. როგორც ამ რომანსებს, ისე მის შემსრულებლებს ვერ დაიკიწყებს ქართული ესტრადა ვ. სარაჯიშვილი იყო პირველი ქართველი მომღერალი, რომელმაც ქართულ ოპერასთან ერთად ქართული რომანსის კულტიც შექმნა.

ეს კია, რომ ძველად ჩევნს ესტრადას კონფერანსიე, დღევანდელი გაგებით, არა ჰყავდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ალექსანდრე ყანჩელის მოღვაწეობას ქართულ ლიტერატურულ საღამოებსა და კონცერტებში. ყანჩელი იყო შესახიშნავი კონფერანსიე, ფაფუქი, კითოლშობილი და მახვილგონიერი.

ქართულ ესტრადას უნდა მივაკუთნოთ ზოგიერთი მომღერალიც. ჭერ კიდევ ალიაშვილის გუნდში სამი შესახიშნავი ტენორი ირიცხებოდა, მაგრამ ძველად მუსიკალური და საესტრადო ქეტივის მხრივ თბილისი უეჭველად ქუთაისს ჩამორჩებოდა. პირველად ქუთაისში აიღვა ფეხი საესტრადო მსახიობმა და დიდი იუმორისტული ნიჭით დაკილდობულმა დათიყო მესხმა. ეს კითხულობდა თავის საყუთარ იმერულ სცენებს და, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მას ბადალი არა ჰყავდა, ხოლო რაც შეეხება ქუთაისის მუსიკალურ ძალებს, აღსანიშნავია პირველი ქართველი ქალი, კოლლინოზე დამკვრელი — თამარ ძნელაძე, რომელსაც პირველი დებიუტი ქუთაისში ჰქონდა. დიდის წარმატებით გამოდიოდნენ სცენაზე — უიბო ქიქოძე, ნინო შარაბიძე, გალაქტიონ თუთბერიძე (ტენორი), დაეით აკოფაშვილი, მიხეილ ქორელი (კიოლინოზე დამკვრელი), ილიკო აბაშიძე (ჩელოზე დამკვრელი). ქუთაისში ახალგაზრდა ძალების მიერ ჩამოყალიბდა მშვენიერი საესტრადო ნომერი, ე. წ. „ხრინწაძის ხორო“, რომლის ინიციატორები იყვნენ სერგო კლდიაშვილი და კუკური პატარიძე. ელო ანდრონიკაშვილის და კოშო ანდრონიკაშვილის ლეკური ხომ დიდ მოწონებას იმსა-

ხურებდა ხალხში. მათი ცეკვა იყო მეტად დარბაისლური და ბანალობას მოკლებული, როგორც ეს ზოგიერთ მოლექურეს ეხლაც სწავლადა. შოთა რომ ცოცხალი იყოს, იტყოდა ჩვენი მოლექურების საყურადღებო: ცეკვა სხვაა, ხტო მა სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარით. ყველა ზემოჩამოთვლილი პირები ქართული ესტრადის ფუძემდებელნი იყვნენ, რომელთა ეშნი და ლაზათი დღესაც თინათინობს თანამედროვე მსახიობთა შემოქმედებაში.

თანამედროვე ოპერის მომღერლებიდან, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ესტრადულ ყანრში, აღსანიშნავია — დავით ბადრიძე, დათიყო ანდლულაძე, ბათუ ქრავეეშვილი, დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, ქაშავაშვილი, ეკატერინე სოხაძე, მერი ნაკაშიძე, ნადია ხარაძე, მ. ყვარელაშვილი, გეგუჩიძე, გოგიჩაძე, გრიგორაშვილი, გერმესაშვილი და სხვა მრავალი ახალგაზრდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

სწორედ ქართული ესტრადისათვის ზედ გამოჭრილი იყო მოღვაწეობა პლ. ლექავასი (სევდიანი), რომელიც სასცენო კუპლეტებს ხალისით და დიდის მონდომებით წერდა. დამახასიათებელია, რომ იგი თავის კუპლეტებს ჰანგსაც თვითონ უგონებდა და სცენაზედაც ასრულებდა. ვინ არ იცის მისი „მიცოცავს“ და „სალამურსა გულში ჩავსწერის“.

უნდა აღინიშნოს, რომ ძევლი საესტრადო რეპერტუარის მუდმივი ივტორები იყვნენ: ა. ცაგარელი, გ. ქოჩაკიძე-ჭალადიდელი, ჩ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, დ. ერისთავი, ა. ახაზაროვი, მიხაელ ნასიძე, ალ. ყანჩელი, ტრ. რამიშვილი, ბ. ახოსპირელი, ი. იმედაშვილი, გ. ქუჩიშვილი, პლ. ლექავა, ილია ჭყონია (თ. მაგმაძე) და ი. გრიშაშვილი.

ქართულ ესტრადას აქვს ტრადიცია ლექსების ქარგი კითხვებია... ძველად სცენიდან ორიგიხალურად კითხულობდა ლექსებს თრი პოეტი: მამია გურიელი და გრიგოლ აბაშიძე. ლექსებით გამოდიოდნენ აგრეთვე შემდეგი პოეტები: იოსებ ბაქრაძე, ი. დავითაშვილი, ი. ევდოშვილი. ხოლო მეოცე საუკუნის პირველ ათ-თხუთმეტ წლებში საუცხოო დეკლამატორები იყვნენ მსახიობნი: ალ. იმედაშვილი, ნიკო ერისთავი, ი. ივანიძე, ა. აღამიძე, ისაკო ალიხანაშვილი და სხვა.

ერთ დროს, ამ ცდათხუთმეტი წლის წინათ, ქართული ლიტერატურული სალამოები განაახლეს დრამატული საზოგადოების წევრებმა: ნიკო ქართველიშვილმა, ნიკო ლორთქიშვილიძემ, ჯაბადარმა, შიხინვამა და ტარსაძემ. ერთ ასეთ სალამოზე დადგეს ილია ზურაბაშვი-

ლის ერთმოქმედებიანი პამფლეტი — „ცოცხალი გაზეთი“. სცენა წრი-
მოადგენდა ქართული გაზეთის რედაქციას თავისი ატრიბუტებით.

სცენა, რასაკეირელია, ღარიბული და იყო მოწყობილი: მაგრამ, მა-
გიდასთან რედაქტორი, მის პირდაპირ დეპეშების მთარგმნელი. კუ-
თხეში, სამფეხ სკამზე, ხრონიკორი და სხვა. შემოდიოდნენ მწერ-
ლები, კორესპონდენტები, პოეტები და მთელი გაზეთის მასალა სცენი-
დან ხმამაღლა იყითხებოდა. პიესა „ცოცხალი გაზეთი“ აღსავს იყო
სერიოზული ამბებით და იუმორისტული ლექსებით. მავალითად, სე-
რიოზულ ამბებად წარმოდგენილი იყო: ნ. ლორთქიფანიძის „იყიდება
საქართველო“ და ჩუსტების მექრაპორტის ლექსი „მე ვარ ხარაზი,
კოხტა და ნაზი, მომე აბაზი, წაგისვა მაზი“ და სხვ. კარგი იქნება, ჩვე-
ნმა ფილარმონიამ ესტრადის ეს ძეელი ეანრი გააცოცხლოს ჩვენს სცე-
ნაზე.

ცალკე უნდა იღინიშნოს მიხეილ ჭიათურელი, რომელიც თავისი ნი-
კის წყალობით იერთებს ესტრადის ყველა თვისებას — დეკლამაცია,
ცეკვა, სიმღერა და მომხიბლავი თავისიდაჭერა სცენაზე. მ. ჭიათურელი,
როგორც ძელად, ისე ეხლაც საყვარელი და პოპულარული მსახი-
ობია. ქართულ სცენას ახსოვს აღმოსავლური დასტის საუკეთესო ოს-
ტრატები: სათარა, ჯაფარა, ევანგულა, კუპრია, პაზირა, უდროოდ დაღუ-
პული უნიკიერესი მექიანურე ალექსანდრე ოპანეზაშვალი და იოსებ
საღირაშვილი (თარზე დამკვრელი).

რაც შეეხება უხუცეს პოეტებს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კლასი-
კოსები საესტრადო სცენაზედაც ისევე კარგად გამოდიოდნენ, რო-
გორც ვიწრო წრეში. ეს ტრადიცია ძელი დროიდან მომდინარეობს.
ოთხმოციან წლებში თბილისში ძალიან საინტერესო სალიტერატურო
საღამოები იმართებოდა. არ გამართულა ისეთი საღამო, საღაც ჩვენი
კორიფეები, ეს მხატვრული სიტყვის ოსტრატები — ილია ჭავჭავაძე,
აკაკი წერეთელი, დიმ. ყიფიანი, რაფ. ერისთავი, დაუით ერისთავი და
ალ. ყაჩბეგი არ გამოსულიყვნენ და ხალხი არ დაეტებოთ თავიანთი
წარმტაცი ნაწერებით. ხალხი ყოველთვის აღტაცებული ხელებოდა ამ
პოეტების გამოსვლებს, ესენი ცოცხალი სიტყვით ნერგავდნენ ხალხ-
ში სამშობლოს სიყვარულს, დასცინოდნენ მუქთახორებს, მღვდლებს,
თავადებს, მეფის ბობოლა მოხელეებს (გაიხსენეთ აკაკი ლექსი —
„ამოუსვი, რა უშავს“, თბილისის გუბერნატორ ფონ-რაუშტრახტენ-
ბერგზე), დასცინოდნენ ქართველ წვრილ ჩინოვნიკებს, ქალაქის დუმის
„ლალაოსნებს“, პრისტავებს, გორგოლოვებს, მამასახლისებს, ვაჭრებს,
პრანჭია ქალებს და სხვ. ჩვენი ძეელი მოღვაწენი, ქარაგმით თუ უქა-

რაგმოდ, ქადაგებდნენ კაცომიყვარეობას, შრომის უფლებას; ჰერებლავდნენ უქნარებს, უნამუსოებს, გადაგვარებულებს და საზოგადოების ნაძირალებს. ქარაგმიანი ლექსების მამამთავარი იყენი წერტოლი იყო და უხდებოდა კიდეც სცენაზე გამოსვლა ისე როგორც ვ. აბაშიძეს ჰქონდა შედგენილი და დაბეჭდილი საესტრადო კრებული „ჩანგი“, იყენისაც ჰქონდა საკუთარი იუმორისტული უურნალი, სახელად „მასხარა“, რომელიც ცარიშმის აგენტებმა აქრძალეს და მხცოვანი პოეტი-რედაქტორი იყენი წერტოლი მეტეხისაკენ გაასეირნეს... გუბერნატორმა მხოლოდ მაშინ ინება პოეტის ციხიდან განთავისუფლება, როცა ხალხი მიადგა ციხეს და ყიუინით და ხმამალი ძახილით პოეტის განთავისუფლებას მოითხოვდა.

ძელად პოეტების სცენაზე გამოსელა უფასო იყო, თეატრის შემოსავალი საქეულმოქმედო მიზნებს ხმარდებოდა ან პატიმარი რევოლუციონერის, ან ლარიბი სტუდენტის სასარგებლოდ... იყაყი წერტოლი ხშირად გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ არასოდეს ლიტერატურული საღამოებიდან პონორარი არ აუღია. მან ერთხელ სცენიდან ასეთი ექსპრომტიცა თქვა:

თქვენ აქ მეძახოთ სცენაზე,
და იშობთ—ეაშა, ვაშაო,
მაგრამ ცოლმა კი დღეს სახლში,
ლობითც კერ მოხარშაო.

ვასო აბაშიძის კუპლეტები კი მოურიდებელი იყო. ვასო ყველას უვარდა და ყველაფერი ეპატიებოდა. ვასო იყო სცენის განებიერებული ბავშვი. ერთხელ, როცა ვასო აბაშიძემ კუპლეტები დაათავა, პარტერში პრისტავი შენიშვანა, ხალხი კი კვლავ მოითხოვდა კუპლეტების განმეორებას. ვასომ ხალხს ასეთი ექსპრომტით მიმართა:

კიდევ ბერ ამბავს გეტუოდით.
ხეაშიადსა დაფიარულსა,
ამბავს ჩევენის დევებისას,
გმირულს და ფალავანურსა.
მაგრამ უხდავ ბატონ პრისტავს,
რისხეით მიქნებს თავის ხმლის თავს.
მაშ ნურას უკაცრავად.
თუ დაგიხდით დღეს იყად,
კვლავ მოდით სანახავად.

თუ არ ვცდებით, 1908 წელს დიდი სენსაცია გამოიწვია ივი სენის საწინააღმდეგოდ „ერლის 606“-ის გამოგონებამ. ამ ამბავს თბილისის თეატრებიც გამოეხმაურნენ. ეს გამოხმაურება კომიკური კუპლეტების

თქმაში განხორციელდა. ამავე წელს მესტამბე მ. გაჩეჩილაძის გამომუნდობით და ჩემი რედაქტორობით გამოვიდა საოხუნჯო, აღმანახა სახელწოდებით „606“. სულ ორი ნომერი გამოვიდა. მესამე ნომერი სთვის აწყობილი მასალა ცენზურამ წაიღო. იქ დაიბეჭდა კუპლეტები, რომლებიც ვასო აბაშიძემ იმღერა ერთ-ერთ კონცერტზე. რეფრენი ასეთი იყო: ყველაფერს გამოასწორებს 606-ის შეშხაპუნებაო. მახსოვე, მფრინავ ქებურიაზე ასე იყო თქმული:

მე ცაში ვეძებდი
ქებუროვს ქებულსა,
არ მევონა, ვნახავდი
მიწაზე გდებულს.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მეფის მოხელეები შესულან სცენაზე და საღამოს მონაწილენი (თეოთ გრიმგაქეთებული არტისტებიც) წაუსხმოთ პოლიციაში.

ასეთი იყო ის დრო.

1948 წ.

სანდრო ინაზვილი

ჩემი კაბუკობის დროს—1910 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ვმართავდი ჩემს „ლიტერატურულ საღამოებს“.

ამ საღამოებმა ერთგვარი პოპულარობა მოიპოვეს. ყველას ეხალი-სებოდა ჩემს საღამოში მონაწილეობის მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საღამო“ მუდამ სხვადასხვანაირი იყო: ერთი მონაწილე მეორე წელს აღარ გამოშვავდა, მაგრამ ვარო სარაჭიშვილი, სანდრო ინაშვილი და თაგუნა მუდმივი დამამშვენებელი იყვნენ ჩემს მიერ გამართული საღამოებისა... ამ სამეულიდან ორმა „მიღალატა“: ვანო სარაჭიშვილმა და თაგუნამ. ისინი ვერ დაისწრენენ ჩემს საიუბილო საღამოს (1944 წ. 30 ოქტომბერი) და ამით გული დამიკოდეს, თვალებიდან ცრემლი გამომწურეს იმ ბეღნიერ წუთებში.

კიდევ ერთი რამ მინდა გავიხსენო (ვინ იცის, იქნება სხვა დროს არ მომიხდეს ჩემს საღამოებზე ლაპარაკი). ამ საღამოების კეთილმოწყობისათვის დიდხანს ვემზადებოდი, თითქმის სამ თვეს. ეს იყო ჩემი წიგნიცა და პოემაც. გამსვენებული კომპოზიტორი ვიქტორ დოლიმე ერთ დროს სიმფონიის დაწერასაც კი აპირებდა ამ სათაურით: „გრი-

შაშეილის საღამოები“... მაგრამ ეს სხვათა შორის, პოდა, თუ რომელიმე ახალ მსახიობს ვნახავდი სცენაზე, ან პროგრამის შესადგენად ქარღვი რამ გამახსენდებოდა, მაშინვე იონა მეუნარგიასავით უბის წიგნაკუში ჩავინიშნავდი ხოლმე, რომ შემდევში ჩემი საღამო დამეტშევენებინა და ამით მაყურებელში შემექმნა მოულოდნელობისა და განცვიფრების განწყობილება, რაც ასე ძალიან მიყვარდა და ახლაც მიყვარს, როგორც პრეტს.

სანდროს გაცნობა ასე მოხდა: მე იგი ვნახე რომელილაც კონცერტზე მუშათა უბანში. ძლიერ მომეწონა ლამაზი, ახალგაზრდა, ზრდილობიანი და თავდაჭერილი. მას ჰქონდა ბერათი გადმოცემის შინ და ლაზათი. ვნახე და... „ნახვა მომინდა უცხოსა სანახავისა“ — მყისეებისი სიხე და სახელი უბის წიგნაკუში მოვათავსე.

პირველად დიდ საღამოში სანდრო ინაშვილი მე გამოვიყვანე. ეს იყო 1915 წელს. იმედი გაძიმირთლდა. სანდროს გამოსევლა მართლაც „მოულოდნელი“ და „განსაცვიფრებელი“ იყო. ჩემი საღამოს დამსწრენი მეორე დღეს მადლობას მეუბნებოდნენ — ახალი მომღერლის „აღმოჩენისათვის“... თუ მოვონებათა ფარდას კიდევ გადაეწეოთ. ვიტყვი, რომ „სანდრო“ პირველად მე დავარქვი, მანამდე მას „შერას“ უწოდებდნენ, ჩემს პროგრამაშიაც ასეთ დაბეჭდილი (სანდრო ინაშვილი). მაშამსადამე, დღეს ჩვენი სანდრო ჩემი სანდროცაა, იმედია, ჩემი ძეირფასი ამხახაგი ჩემს „ხათლიობას“ არ იუკადრისებს.

სიამაყით უნდა აღვნიშხო, რომ სანდრო ინაშვილს არც ერთი ჩემი საღამო არ გამოუტოვებია. გაიგებდა თუ არა, მავან და მავან ალაგას „გრიშაშვილის საღამოაო“, აფიშებშიაც რომ არ ყოფილიყო გამოცხადებული, მეწევოდა და თავისი ცერიანი ბარიტონით აორკეცებდა „საღამოს“ სიხარულს.

და როგორ გამეხარდა, როცა ამას წინათ სანდრომ — თავის წერილში ზაქარია ფალიაშვილის შესახებ — მოიგონა ერთი ჩემი საღამო, სადაც, ჩემივე ინიციატივით, ვანომ და სანდრომ პირველად იმღერეს დუეტი „აბესალომ და ეთერიდან“, რაც მანამდე საკონცერტო სახით არ სრულდებოდა სცენაზე.

ვანო და სანდრო — განუყრელი სახელებია ქართული ოპერის ისტორიისათვის. ვანო და სანდრო ერთ ტოტზე მობმული ორი ვარლია, ორი თვალის ერთი სინათლეა.

დღევანდელ ახალგაზრდობას ვანო და სანდრო ერთად არ უნახავს, მაგრამ მაინც ლეგენდად გადაქცეულია ამ ორი შესანიშნავი მომღერლის ეში და ჯავარი:

მესმის კულტან,
შეცებსა თუ ბინაში—
ვით მლერიან:
ვანოსა და ინაშევილს.



მე კი, პირადად, დიდი მადლობელი კარ ჩემი სცენის მეგობრის სანდროსი, რომელიც ჩემს საღამოებში არასოდეს არ იშურებდა თავის ხავერდოვან სიმთა აუდერებას... უსასყიდლოდ, უანგაროდ და ამით ხელს უწყობდა ქართული საღამოების ბრწყინვალედ ჩატარებას.

ჩემო კარგო და დაუვიწყარო სანდრო! დღეს, როდესაც შენი არტისტული მოღვაწეობის ორმოცი წლისთავია, მეც განვიცდი ამ საზეიმო თარიღს აღალი გულის ძეგრით და სიამოვნებით ვთავიზობ ჩვენი მუსიკის მემატიანეს — პოეტ შალვა კაშმაძეს ამ მოგონების ერთ პატარა ფოთოლს შენს დიდ თაიგულში ჩასაწინავად.

1948 წ.

6060 ნაკაშიძე

ქველად ქართველი ქალის საზოგადოებრივ სარბიელზე გამოსვლას, თეატრი იქნებოდა ეს თუ მწერლობა, აუარებელი დაბრკოლებანი ელობებოდა წინ. მაგრამ მაინც გვყავდა ქართველ ქალთა მთელი გალერეა, რომლებმაც არ მიხედეს მამა-პაპათა დანერგილ ტრადიციებს და თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლო სცენის და მწერლობის საგანძურში. ასეთ მერცხლებად უნდა დაესახელოთ ქართული სცენის პირველი მოამაგრენი: მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, მაღალიქიშვირი ნატო გაბუნია და ტრაგიკული როლების შემსრულებელი ბაბო ავალიშვილი-ხერხეულიძისა. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლებისა და ჩვენი საუკუნის დამდეგ მწერალ ქალთა შორის, რომელთაც დაუვიწყარი კვალი დააჩნიეს ქართულ მწერლობას — მოსახონარია: ბარბარე ჭორვაძისა (პოეტ, რაფ. ერისთავის და), ნინო თრბელიანი (აბაშიძის პსული), ეკატერინე გაბაშვილი (თარხნიშვილის ძმული), ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი, ტასო თუმანიშვილი-წერეთლისა („ჯეჯილის“ რედაქტორი), მარიამ დემურია („ნაკადულის“ პირველი რედაქტორი), შემდგომში ჩვენი დღევანდელი ღვაწლმოსილი იუბილარი ნინო ნაკაშიძე და ქუთაისში მოღვაწე მთარგმნელ ქალთა ჭგუფი.

ნინო ნაქაშიძემ მოღვაწეობა მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ცხოველების გარიერაეჭე ახალი, რევოლუციური სხივი ათინათინდა. ამიტომ არის, რომ მის მოთხრობებში — „საახალწლო სურათი“, „გურიის სოფელში“, „მოვალეობა“ და სხვ. გამოკრთის დაბეჩავებული გლეხის უმწეო მდგომარეობა და რეაქციის ბასრი ჭანგები... 1905 წელს ნინო ნაქაშიძე, თავის ქმართან — ილია ნაქაშიძესთან ერთად, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან მივლინებულ იქნა გურიაში სპეციალურ კორესპონდენტილ. მან თავისი თვალით იხილა გენერალ ალიხანოვის ბარბაროსობა და მწერლის ბუნებით ნაზ და მგრძნობიერ არსებაში სამუდამოდ ჩაისახა სიძულვილი ცარიზმის რეეიმისადმი.

ნინო იყო აგრეთვე ერთი ორგანიზატორთაგანი დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ ფულის შოენისა — შემოწირულების შეგროვებისა და მე მაგონდება სპექტაკლი ოპერის თეატრში, სადაც ასეთი რამ მოხდა:

როცა შავი ზღვის ფლოტი იჯანყდა და გემ „ოჩაკოვის“ ქაპიტანი შმიტი დაპატიმრეს, აწამეს და სიკვდილით დასჭით ემუქრებოდნენ, ამ დროს, ეს იყო 1905 წელს — ოპერის თეატრში დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ „სევილიელი დალაქი“ მიღიოდა ქართულ ენაზე, ქართველი მომღერლების: რჩეულიშვილის, ქარგარეთელის, ცხომელიძის, მეიფარიანის, ჯაფარიძის და დირიქორ ნიკო ქართველიშვილის მონაწილეობით. ის-ის იყო, მეორე მოქმედება უნდა დაწყოთ, რომ ქანდარიდან გაისამა ომახიანი ხმა: „ქმებო და ამხანაგეზო!“ — ხალხი გაოგნებული უსმენდა ორატორს, — „შმიტი დაპატიმრეს, რომელმაც იჯანყების დროშა ააფრიალა გემზე — და სიკვდილით ემუქრებიან“... კაცი ქანდარიდან მოითხოვდა, პროტესტის ნიშნად, წარმოდგენის შეწყვეტას, ამასთანავე ხალხს ამშვიდებდა, რომ მათ არავითარი საფრთხე არ მოელით, ნუ აღელდებიან და მშვიდად დაიშალონ... მართლაც, ხალხი მშვიდად დაიშალა, წარმოდგენა აღარ განმეორებულა და — არც ბილეთის ფული მოუთხოვიათ უკან.

ამ ინციდენტის შემდეგ მთავრობამ ძებნა დაუწყო დაზარალებულ გურულთა კომიტეტში შემავალ პირებს. რიგი სად გაგზავნეს და რიგი სად. მათ შორის ჩვენი ნინო ნაქაშიძეც დისაჭა, ვიატკის გუბერნიაში გადასახლებით, 5 წლის ვადით.

და აი, დადგა სანეტარო დრო, — მოხდა რევოლუცია და ასი წლის ნანატრი სულ ერთ წამში დაგვირგვინდა... ნინო თავისუფლად ჩაება საზოგადო მოღვაწის ულელში და „ნაქადულის“ პირველი რედაქტორის, მარიამ დემურიას გარდაცვალების შემდეგ, ეს იყო 1910 წელს,

მისი საქმის გამგრძელებლად და „ნაკადულის“ რედაქტორად დაინიშნა. პირველად იყაყი მიესალმა იმ დაინიშნენას. ნინო ნაკაშიძე, რომელ მაც ახალ ნიადაგზე გადავდო „ნაკადულის“ ტოტი და შემოიკრიბა თავ ეის გარშემო საუკეთესო ძალები (იყაყი, გოგებაშვილი, ვაჟა, იარაღიანი, სოფრომი), შეუდგა მძიმე, მაგრამ საპატიო მოვალეობის აღ. რულებას.

უნდა გარკევევით ითქვას, რომ ნინო ნაკაშიძის რედაქტორობის დროს ბევრი ახალგაზრდა მწერალი გამოიხარდა, არამთე ახალგაზრდა მწერალი, ჩვენი პროზის ისეთი ბრწყინვალე ისტარები, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა და იროდიონ ევლოშეილი, მხოლოდ „ნაკადულში“ დანაყოფიერდნენ ბავშვთა გასახარად. ვაჟა-ფშაველის საუკეთესო საბავშვო მოთხოვობები სისტემატურად იბეჭდებოდა ნაკაშიძის „ნაკადულში“ და იბეჭდებოდა მწერლის მიმართ რედაქტორის დაეკინებითი მოთხოვნის შედეგად. დღეს იროდიონ ევლოშეილი თუ საბავშვო მწერლის სახელსაც ატარებს, ეს მხოლოდ ნინო ნაკაშიძის წყალობით. განა ყველა რედაქტორს შეუძლია თანამშრომლებთან საუბარი და მწერლისადმი სათუთად მიდგომა? ნინო ნაკაშიძემ იცოდა ეს საიდუმლოება და დღეს, როცა „ნაკადულის“ ქომპლექტებს ათვალიერებს მყელევარი, განცვიტებაში მოდის იმ დაუშრეტულ მასალათა განლაგებით და სხვადასხვაობით, რომელიც ნინო ნაკაშიძის დროინდელ „ნაკადულებს“ ახალიათებს. ენა და შინაარსი ერთომეორეს თავაზით უთმობს ადგილს. ახლა მხატვრები? ახლა კლიშეების დამზადება? ფერადების შერჩევა? „ნაკადულის“ მუდმივი მხატვრები იყვნენ: მოსე თოიძე, ალექსანდრე მრევლიშვილი, მიხეილ ჭიათურელი და იყონ ნიკოლაძე. ყველა ესენი ნაკადულის უფასო თანამშრომლებად ითვლებოდნენ და, როგორც საზოგადო მოღვაწენი, დიდის მონდომებით მუშაობდნენ მოზარდი თაობის სიყვარულისათვის.

ურნალი „ნაკადული“ იქცა ქართული ოჯახის სამაგიდო წიგნად. ნაკადულს თვით ისეთებიც იწერდნენ, რომელთა ოჯახებშიაც წინათქართულად არ ლაპარაკობდნენ. მაგონდება პოლემიკა: ეკატერინე გაბაშვილმა მიმართა ქართულ ოჯახებს, რომ სამშობლო ენა არ უნდა დაივიწყოთ და თქვენს შვილებს ქართულად უნდა ელაპარაკოთ. ზოგმა თავი იმართლა „არ მეხერხება ქართული, ჩვენი უკულმართი აღზრდის ბრალიაო“, ახლა მესამე მოპავერე ქალი ჩაება და უმტკიცებდა ცრულიასახლისებს, რომ საქმე სიყვარულია და თქვენ კი ეს სამშობლოსადმი სიყვარული არა გაქვთო. თუ მარჯორი უორდრომა, ტომით ინგლისელმა, ქართულის უცოდინარმა, ორ თევზი შეისწავლა ქართუ-

ლი წერა-კითხვა, თქვენ, შთამომავლობით ქართველებს, რატომ უნდა
გაგიტირდეთ შობლიურ ენაზე ლაპარაკიო და სხვ. ასე და მორიგად,
ჩევნი საბავშვო უურნალები — „ჯეჭილი“ და „ნაყაღული“ იქცნება...
დაგვარებული ოჯახების პირველ მეგზურებად...

ნინო ნაერშიძე, როგორც ყველა საზოგადო მოღვაწე, პირველად
ლექსით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მის ლექსებს ერქვა „იმე-
დი“. ნინო ნაერშიძემ „იმედი“ გამართლა. ამ პაწია ლექსს მოჰყევა მოე-
ლი რიგი მოთხრობების სერია გლეხების ცხოვრებიდან, მაგრამ ლექ-
სი მაინც გადავიდა ხალხში ჩონგურზე დასამღერად. აი, ეს ლექსიც,
რომელსაც ერთ დროს ნატო გაბუნიაც მღეროდა სცენიდან:

სიუვარულმა ფრთა გაშალა,
ტურფავ, შენკენ გამოფრინდა,
ჩემი გული მოგიტანა,
გქონდეს, გქონდეს, თუ კი გინდა!

გონება და ჩემი გული
გემონება, გენაცელება,
ეით პეპელა მინდვრის ყვავილს,
დაგხარის და თუს გეელება.

და არ მინდა მე ამქვეყნად
არც სიმღილრე, არც დიდება,
მინდა მხოლოდ განცემვიტლივ
შენთან ყოფნა, შენთან ხლება.

სიუვარულმა ფრთა გაშალა,
ტურფავ, შენკენ გამოფრინდა,
ჩემი გული მოგიტანა,
გქონდეს, გქონდეს, თუ კი გინდა!

ეს ლექსი დაიბეჭდი „ქვალში“, 1902 წელს. იგი სატრუთიალო ციკ-
ლიდან არის მოღებული. დღეს ჩევნს იუბილარს არ უნდა გაეცინოს
იმ ლექსზე, რადგან შოთას სიტყვით რომ ვილაპარაქოთ „ვინ არ ყო-
ფილა მიგნური, სახმილი ვის არ სდებიან“.

სწორედ იმ მიგნურობით აიხსნება ნინო ნაერშიძის და ილია ნაკა-
შიძის გასვლა ხალხში, მუშებთან, დიას, რეინიგზის ქარიშხლიან მუ-
შებთან.

გასული საუკუნის მიწურულს და ჩევნი საუკუნის პირველ წლებ-
ში საქართველოში ქალთა ერთმა ჯგუფმა ითავა მუშების გათვითცნო-
ბიერება, მათი კულტურული დონის ამაღლება. იმ ჯგუფში ნინო ნა-

ქაშიძეც იყო. ეს ქალები აწყობდნენ ეგრეთ წოდებულ „სახალხო კუთხებს“ და მართავდნენ ორშაურიან წარმოდგენებს, რეპეტიციები ნინო ნაკაშიძის ბინაზე იმართებოდა და არტისტი ქალების სახლებში ნინო სცენაზეც გამოდიოდა სხვა მუშებთან ერთად. მსახიობ ჯაბაშვილის ცნობით, ნინოს უთამაშინია სუნდუკიანცის პიესა — „პეპოშია“ ეფემიას როლი, ხოლო იმერელი ბიჭის სამსონას როლი—ნინოს ქმარს, ილია ნაკაშიძეს.

ილია ნაკაშიძე მოსამსახურე სამსონას როლს, ასე თუ ისე, ილბათ წარმატებით შესარტულებდა, რადგან სამსონა ბიჭიც და ილია ნაკაშიძეც, ორივენი დასავლეთ საქართველოს კუთხის მცხოვრებნი იყვნენ, ხოლო როგორი იქნებოდა სომხის გაჭარ ზიმზიმოვის ფაშვაშა ცოლი — ეფემიას როლში გურული ნაკაშიძის ქალი, ვერ წარმომიღებია; უფრო წარმტაცი ყოფილა ნინო ნაკაშიძე მაშიკოს როლში, ა. ცაგარლის „ციმბირელში“.

მაგრამ საქმის სიყვარული ვისაც აქვს, მას არაფერი არ ეთავისუბა. ნინო ნაკაშიძე გრძნობდა, რომ ის ამით სხვა ქალებს აქვთ და საზოგადო ასპარეზზე სამუშაოდ და მართლაც, განწლნენ მთელი რიგი ინტელიგენტი ქალები — ე. წულუკიძე, ა. ჩაჩიბაია, სოფიონ ციცა-შვილი, ნინო ლომოური, ნინო ყიფიანი, ოლღა იგლაძე და სხვ., რომლებმაც მუშებს შორის დიდი აღმნიშვნელობითი მუშაობა ჩაატარეს იმ შევნელ, დუხშირ დროში...

ნინო ნაკაშიძე, როგორც ბელეტრისტი, ქართველ სამოციანელთა შემოქმედების დიდ გავლენას განიცდიდა. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც პუმანისტი, ადამიანის მოსიყვარულე, სოციალური ჩაგრის მოძულე. მსგავსად ეგნატე ნინოშვილისა, მან თავის მოთხოვობებში სცადა აესახა საქართველოს ერთი კუთხის ყოფა და მშრომელ გლეხთა იუტანელი ცხოვრება. მის ნაშრომებში ვხვდებით იმდროინდელი საზოგადოებრივი დამახასიათებელი მოვლენების სურათებს. ხასიათები და მოვლენები მწერალს უდაოდ ჩეალისტურად აქვს იღებელი და გადმოცემული. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კლასობრივი ბრძოლის გამჭვავებისა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ეპოქაში, როგორც ძეველი ლიტერატურული სკოლის მიმდევარმა, ვერ გადმოვგვალ ღრმა და ტიპიური სურათები იმ შინაგანი სულიერი წინააღმდეგობებისა, რომელიც დამახასიათებელი იყო მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ამიტომ, ნინო ნაკაშიძის გმირები ეწინააღმდეგებიან ბოროტებას, ისინი პეტრენ ადამიანის ჩაგვრასა და აუგად მოქცევას,

მაგრამ აქტიურად არ იბრძვიან, მისი მოთხრობის გმირები ვერ მაღლადებიან იმ ეპოქის მოწინავე რევოლუციური შეხედულებების დონემდე, რომელშიაც ცხოვრობენ; ასევე შეიძლება ითქვას სხვა გურულ ბელეტრისტთა შესახებაც, ლალიონზე, იასონ ნიკოლაიშვილზე, დიმიტრი ერისთავზე, პოლიო ირეთელზე, ტრიფონ რამიშვილზე და სხვ. ბუნებრივია, მყვირცხლი და ბუნტარი გურული ამათი ნაწერების მიხედვით, მოთხრობათა ფინალში უმოქმედო და ხელჩაქნეული მოსჩანს.

მიუხედავად ამისა, ნინო ნაკაშიძის მთელი რიგი მოთხრობები („ძიძა“, „სალდათი“, „ყაჭობა“ და სხვ) მაინც ხელს უწყობდნენ ადამიანთა გამოღვიძებას და თავიანთ ბედზე დაფიქრებას. მე ვქ მხედველობაში მაქვს ნინო ნაკაშიძის პირველი პერიოდის მოთხრობები, 1903 წელს გამოქვეყნებული.

მე მინდა განსაკუთრებით ვილაპარაკო ნინო ნაკაშიძის საბავშვო მოთხრობებზე. ამ ნაწერებით, — თანამედროვე თემას ეხებიან ისინი თუ ისტორიულს, — მწერალი ქალი თავის ნორჩ მქითხველებს უნერგავს სიყვარულს საშობლოსადმი, თავისი ხალხის საუკეთესო წარსულისა და ბედნიერი აწმყოსადმი! მწერალი ნინო ნაკაშიძე ქადაგებს აღზრდის მაღალ ზნეობას, ადამიანისადმი პატივისცემას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სიყვარულს.

ნინო ნაკაშიძე საბჭოთა ქვეყნის უერთგულესი მოქალაქეა. იგი საბჭოთა ბავშვების გულთბოლი აღმზრდელი და სადა ენით მოსაუბრე მწერალია. აი როგორ ახასიათებს ჩვენს ეპოქას ნინო ნაკაშიძე თავის ერთ-ერთ წერილში: „არც ერთი ქვეყნის, არც ერთი ეპოქის მწერალს არა ჰქონია ისეთი მდიდარი, ისეთი ამაღლევებელი და დაუშრეტელი მასალა ბავშვის ინტერესების დასაქმაყოფილებლად, როგორც აქვს საბჭოთა მწერალს. უნდა აისახოს ეს დიდებული, წარმტაცი სინამდევილე, აისახოს ძლიერი, დამაინტერესებელი მხატვრული ფერადებით. აი, ეს არის ვეშმარიტი გზა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისა“.

ცალკე უნდა გამოვყოთ ნინო ნაკაშიძის დრამატურგიული შემოქმედება: „ვინ არის დამნაშავე“, „კაცი — სამართალი“, „ქორეს დასაშაული“ და სხვ. ნინო ნაკაშიძე იმ დრამატურგთა თაობას ეკუთვნის, რომლებმაც შექმნეს რეალისტური და ესთეტიკური ღირსების შემცველი პიესები. ასეთები იყვნენ: დ. კლდიაშვილი, შიუკაშვილი, გელევანიშვილი, პ. ირეთელი, ტ. რამიშვილი და შალიკაშვილი, ესენი ერთი თაობის დრამატურგები არიან, რომლებიც ჩვენმა მატიანემ არ უნდა გაათვალისწინოს.

ნინო ნაკაშიძის პიესებში გლეხის მძიმე მდგომარეობაა ასახული, მისი პერსონაჟები ჩვენი სოფლის ლარიბი მოსახლეობაა, რომელიც ყველგან გვინახავს, ქუჩაში, ოჯახში, ყანაში. ისინი ჩვენი ნაცნობებია.

პიესა „ვინ არის დამნაშავე“ მაღალნიჭიერი ტემპერამენტით არის შესრულებული, რეალურია და მარტივი: მისი დევიზი მოქლევა: ოჯახის პატრონი რომ შორცება თვალს — ოჯახი — ოჯახის იღუპება. ერთ დროს დადიოდნენ საეჭვო აგენტები გურიასამეგრელოში და იქაური ხელმოკლე ახალგაზრდობა მიმყავდათ ამერიკაში შავ სამუშაოს, იქიდან დაბრუნებულნი აღარ ვარგოდნენ ოჯახისათვის. ოჯახი გაპარტახებული ხედებოდათ და მათი არსებობა ცოლ-შვილის დაღუპვით და სახლ-კარის გადაწყვით თავდებოდა.

„ვინ არის დამნაშავე“ დიდის წარმატებით იღებმებოდა რევოლუციამდელ თეატრებში და იგი ჩვენს ეკრანზედაც იქნა ნაჩენები ნიკიერ რეესორ ალექსანდრე წუწუნავას დადგმით. „ვინ არის დამნაშავე“ ათეული წლების განმავლობაში არ მოშორებია ჩვენს საბჭოთა სკონასაც. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ფატის ტრაგედია ვერიკო ანჯაფარიძის შესრულებით, ის ვერასლროს ვერ დაიკიტყებს მი გლეხი გოგონას ტანჯულ თვალებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლიდანვე ნინო ნაკაშიძეს ვხედავთ საბავშვო უურნალების რედაქტორის პოსტზე. იგი ჩვეული ენერგიითა და საქმისაღმი წრფელი სიყვარულით აღმურვილი განაგრძობს ბავშვების აღზრდის საქმეს და აქეცყნებს წიგნებს, ბროშურებს, პლაკატებს, რედაქტორობს ქართველი მწერლების წიგნებს, თემებს ურიგებს ახალ მწერლებს. თარგმნის ბავშვის სულიერი მოთხოვნის შესაფერ კლასიკოსების ნაწარმოებებს და მთელი წლების მანძილზე ქტიურად, სულით და გულით ებმება სახოვადოებრივ საქმიანობაში.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მის ნაყოფიერ მოლვაშეობას და დიდი იუბილე მოუწყო რესთაველის სახელობის თეატრში ამ ხეთი წლის წინათ, 1948 წლს.

ნინო ნაკაშიძე, რომელმაც ადრევე დაისახა მიზნად სამშობლოს სიყვარული და ახალი თაობის აღზრდა, დღეს იმკის თავის გადასროლილი თესლის ნაყოფიერებას. ნეტარება მას!

გუსტავოთ ჩვენს ძეირტას იუბილარს, მუდიმ მიმზიდველს, ხალისიანს და ნორჩი თაობის საყვარელ მწერალს — დიდედა ნინოს ხანგრძლივი და ბეღნიერი სიცოცხლე, რათა თავისი გასაოცარი შე-

მოქმედებითი ენერგიით და ბრწყინვალე ნიჭით, მიუხედავად ხანდაზ—
მულობისა, კელავ ასე თავდადებით ემსახუროს ჩვენს ძვირფას სამ-
შობლოს, ჩვენს ხალხს და საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის სამსახუ-
რების ეს თეთრი თმები ხელმეორედ გაუკალარავდეს!

1948 წ.

მარო მდივანი

დღევანდელი მედლეობე მარო მდივანი გავიცანი 1908 წელს. ეს
ის დრო იყო, როცა ქართული დრამატიული საზოგადოება დასის შეკ-
რების სამზადისს შეუდგა განახლებული თეატრის სეზონისათვის.

მე ეოქვი, განახლებული თეატრისათვის.

დიახ! ქართულ თეატრს, ყოფილ არწრუნისეულ ქარვასლაში რომ
სუფევდა, კედლები დაუსკდა, წარმოლგენების გამართვა აიკრძალა.
თეატრის რემონტი ოთხ წელიწადს გაგრძელდა. ერთ იუმორისტულ
ეურნალ „ნიშაურში“ ასეთი კარიკატურაც იყო მოთავსებული: ავ-
ადმყოფი ვასო აბაშიძე დაპყურებს ქართული თეატრის შენობას და
ამბობს: „მე დამაპაჩინევს, მავრამ ქართული თეატრის დაპაჩინებას
არაფერი ეშველა!“... როგორც იყო ჩვენი მსახიობების წანწალს ბო-
ლო მოელო. 1908 წელს, სექტემბრისთვის შედგა დასი საუკეთესო ძა-
ლებისაგან, რევისორად მოიწვიეს განსკენებული ალექსანდრე ყან-
ხელი, თანაშემწევებად ვალერიან შალიევილი და ვასო ურუშაძე,
სუფლიორებად ბეგლარ ახოსპირელი და მე. დასის ხელმძღვანელი და
ავანჩიანი ისევ გუნია დარჩა. ამ წელს სუმბათაშვილის რეკომენდა-
ციით თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის დრამატიულ სტუდიადამთავრე-
ბული ჩვენი თანამემმულე გიორგი იშხნელი. ამ წელსვე ჩიორიცხა
წამყვანი როლების მსახიობად უკვე ცნობილი არტისტი ქალი —
მარო მდივანი.

სეზონი გაესსენით „სამზობლოთი“. ქეთევანს თამაშობდა მარო
მდივანი, ლევანი — იშხნელი... იშხნელმა იხამა და მაროს კარგი პარ-
ტნოორი ვერ გამოადგა, მაგრამ მაროს ეს როდი შეუმჩნევია იშხნე-
ლისათვის... ისე არაფერი მოქმედებს მსახიობზე, როგორც ის, თუ
კალაპოტიდან ამოვარდება და მეგობრები გულგატეხილნი შესცემი-
ან... პირველი შთაბეჭდილება იშხნელისთვის არ იყო სახარბიელო,
ქეთევანი — მარო მდივანი ისევე ალერსით ექცეოდა, როგორც ნამ-

დვილ ლევანს... მაროს პარტნიორობამ სანახევროდ იხსნა იშხნელი ფე/ნადგურებისაგან. მერე, ხომ ვიცით, როგორი იშვიათი მსახიობი და/გა გიორგი იშხნელი. და ეს მოხდა სწორედ მეგობრების მხარდაქე/რით და ამის პირველი მერცხალი იყო ჩვენი იუბილარი მარო მდი/ვანი.

ესი არ ახსოეს მისი დეზდემონა, რუქაია, ოფელია, ქრისტინე, ოლ/ოლი, ლიგია, მერცია და სხვ.

მე მარო მდივანი ყველა ამ როლში მინახავს და ბეღნიერი ვარ, რომ მოვესწარი მინი ნიჭის გაფურჩქვნის მწვერვალებს...

მე სხვანაირი სუფლიორი ვიყავი, აქტიორის ტანკვას თუ სიხარულს მე თვით განვიცდიდი ჩემს პატარა ხულაში. რამდენი ცრემლი დამი-ლერია მაროს მიერ მერციას, ლიგიას და ქრისტინეს როლის შესრუ-ლების დროს. როგორ მიყვარდა მარო მდივნის რუქაია: მერე რა ლა-მაზი იყო ჩვენი იუბილარი, დიდრონი, ეშხიანი, ციმციმა თვალები, ტუჩ-ქბილი ჩამოსხმული, მინანქარი მარჯნებში ჩასმული, წარბები — მოქნეული მათრახები... არა! მარო მდივნის რუქაია შესანიშნავი იყო თავისი ხევერდოვანი ხმით და მტრედივით ენებააგზნებული. ეხლაც ამ ორმოცი წლის ამბავს ვიკონებ და ჩემი ბებერი ძვლები ნეტარებას განიცდის:

როდესაც გული, გული მტკიცანი,
ჩამომეტტერევა ცრემლის მიწებად,
მომავონდება მარო მდივანი
და ლექსში სხივი ჩამეფინება.

ერთი დეტალი: მე, როგორც სუფლიორი, მოვითხოვდი მსახიო-ბისაგან, რომ რემარკები უსათუოდ შეესრულებინა. ხშირად მსახი-ობს სუფლიორის ჯისურიდან ვემუსაიტებოდი: ადე, გაიარე, დაწექი, გალი, აკოცე. ვინც როლი არ იცოდა, შევუყვირებდი ხოლმე: „რა არ-ის, ორი სიტყვა ვერ დაგიხსომებია!“, ვინც როლი იცოდა, ვეუბნე-ბოდი: „აი, ყოჩალ“. ყოველ შემთხვევაში, მსახიობს რეპეტიციაზე მაინც უნდა შეესრულებია რემარკები. და აი, მეც ვაციოდებოდი მსა-ხიობს: „აკოცე! აკოცე!“, რადგან პიესის შინაარსის მიხედვით, ასე მე-ვონა, თუ არ აკოცებდა, პიესის მთლიანობა დაირღვეოდა. რუქაიაც ერეკლეც იკოცნებიან. მერედა, განა ამას ყველა ასრულებდა? თუ მსახიობი ხარ, უნდა რემარკებში მოქცეული მოქმედება შეასრულო. მასონებს, ერთხელ, რუქაიას კარგარეთელის ქალი თამაშობდა, ხოლო ერეკლეს — შექრო ბერიშვილი. რეპეტიციებზე არ იკოცნებოდნენ. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხებდნენ: სოსო, ეხლა თავი დაგვანებე და

წარმოდგენის დროს ვაკოცებთო. განსაკუთრებით კარგარეთელის ქალი ჯიუტობდა და იქამდე მიეიდა საქმე, რომ „ლალატის“ წარმოდგენის დროს, როცა ერექლემ—შაქრო ბერიშვილმა დააპირა რუქაის—კარგარეთელის ქალის კოცნა, კარგარეთელმა მოიშორა და ხელიდან გაუსხლდა. შაქრო ბერიშვილი კლავ ეცა საკოცნელად, მაგრამ კარგარეთელის ქალიც მაგრად დაუხვდა, ორივე ხელი მოუჭირა ყელში, რომ ახლოს არ მიეშვა საკოცნელად და გაიმართა სცენაზე ჭიდაობა. ეს მოხდა არა ჩეკეტიციაზე, არამედ წარმოდგენის დროს.

აი, ასეთი მსახიობებიც გვყვანდნენ, რომელთაც კოცნა სათავილოდ მიაჩნდათ სცენაზე. არ მახსოვს, რომ მარო მდივანს რემარკები გამოეტოვებინოს, თუ საჭირო იყო კოცნა—იგი იკოცნებოდა კიდეც და იკოცნებოდა მაგრად, რომ საერთო ილუზია შეექმნა და მეც როგორც სუფლიორს და რემარკების მოყვარულს, მეტი რა მინდოდა.

ძვირფასო მარო! ბევრი ავი დღეები გამოვიყლია ძველად, იმ დუხშირ დროში, სად არ გითამაშნია, ხარაჩოებზე, მინდორზე, სოფელში, ქალაქში, მუშათა უბნებში, დიდ თეატრში, პატარა თეატრში და ყველგან ნამუსიანად, პასუხისმგებლობის გრძნობით და როლის ლრმა შეგნებით. ბედნიერი ხარ, რომ მოესწარი დღევანდელ დღეს, როცა თეატრი ნამდეილი თეატრია და მსახიობებს აღარ უხდებათ აქეთ-იქით წანწალი ერთი ლუკმა პურისათვის.

1949 წ.

სულიორის ნიშარიდან

(განხენება ლადო შესხვაოლზე)

მე მინდა გავიხსენო ლექსი, რომელიც ამ 37 წლის წინათ წაეუკითხე ლადო მესხიშვილს — მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის ზემოში. ეს იყო 1913 წლის 10 თებერვალს.

მაგრამ ცოტა შესავალი:

ლადო მესხიშვილი, როგორც მსახიობი, პირველად ვნახე 1904 — 1905 წლებში, ჯერ კიდევ 15-16 წლის ახილგაზრდამ, „კაი გრაქსა“ და „ახალ მოძღვრებაში“, ოპერის თეატრის სცენაზე, სადაც იმ ხანებში, ქართული თეატრის შენობის შეკეთების გამო, კვირაში ერთხელ იმართებოდა ქართული წარმოდგენები. მეორედ ლადო ვიხილე 1908

წელს, როცა ქუთაისის ქართულმა დასმა ოდესიდან მოიწვია ლადო მესხიშვილი და სეზონის დასასრულს თბილისში შესანიშნავი გამტროლები ჩატარა ყოფ. არტისტულ საზოგადოების თეატრში (ამჟამად რუსთაველის თეატრი). ეს იყო 1908 წლის 15 ივნისს.

ლადო მესხიშვილი თავისი მოღვაწეობის გრძელ მანძილზე ბევრ-ჯერ გაპბუტვია ქართულ თეატრს... ამის მიზეზი იყო ქართული თეატრის მესვეურთა უსულგულო დამოკიდებულება ჩვენი სცენის კორიფესადმი. ერთხელ ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ (რომელიც, სხვათა შორის, „დედაენის“ შემდეგ საკითხავ წიგნად ითვლებოდა) შ. მღვიმელმა ასეთი „საახალწლო ხუმრობა“ დაუწერა ლადო მესხიშვილს:

ეინც სანახავად მოვიდა,
ყველაზ აქ მოიყალოთა,
შენ კი რა მიგარენიშმ
ცცხო მხარეში ძალათა?
გვითხარ, საშობლო სცენაზე
რა მიზეზით ხარ მწყრალადა,
ნუთე მოძმეთა სიყვარულს
მანც არ ადგებ ჩილადა?

(„საქ. კალენდ.“ 1894 წ., გვ. 423).

1908 წლის თბილისის გასტროლიც ამ „გაბუტვის“ შედეგი იყო, მაგრამ ახლა ჩვენ ამ მიზეზების ახსნა-განმარტებას არ შევუდგებით. „მოძმეთა სიყვარულს“ რომ იგი ღრმად აფასებდა, ამას ნითლად მოწმობს ის ცნობილი სიტყვა, რომელიც ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებაზე წარმოთქვა დიდებულმა მსახიობმა:

„...მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს“... ან კიდევ: „მესხიშვილი კიდევ შეგარებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვების გავონება მოგინდებათ სცენიდან“... (იხ. „მოგზაური“, 1905 წ., № 15).

ლადო მესხიშვილი ხამდვილი მოქალაქე — მსახიობი იყო. ვინ არ იცის მისი გამოსვლა 1905 წელს ქუთაისის თეატრში თუ ბარიკადებზე და ამის გამო უანდარმთა სამმართველოს უფროსის ნიკოლაევის დაბეჭდების შემდეგი აქტი: „1905 წელს 25 აგვისტოს ქართული დასის მსახიობთა წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში, მსახიობმა ლადო მესხიშვილმა სცენიდან წარმოსთქვა ქართულ ენაზე სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლასაკენ; სიტყვის დასასრულს მესხიშვილმა ხუთვერ წამოიხახა, „ბრძოლა ხალხის გადასარჩენად“.

ასეთი იყო დიდი ლადო მესხიშვილი, რომელიც თავისი მაღალ-
მხატვრული წარმოდგენებით და მოქალაქეობრივი მოწოდებით, ხალ-
ხში რევოლუციურ სულს აღვივებდა, სამშობლოსადმი სიყვარულის
მარცვალს სთხოსავდა...

მესხიშვილამდე ჩვენი თეატრი „გართობისა და სანახაობის ადგი-
ლი იყო“. მესხიშვილის შემდეგ ამ სანახაობას „გრძნობა-აზროვნებაც
დაემატა“. თამამად შეიძლება ითქვას: ლადო მესხიშვილი რომ არ
მოვლენოდა ჩვენს სცენას, ქართული თეატრის რეპერტუარი „არყა-
დიას სადილსა“ და „კატა აწონას“ ერ გასცდებოდა. მან შემოიტანა
ჩვენს სცენაზე შილერისა და შექსპირის სურნელება.

ლადოს ბევრი მოწეაფე დარჩა, მაგრამ მეორე ლადოობა ვერავინ
დაისაკუთრა. შეიძლება ეს იმიტომ, რომ მესხიშვილმა ვერ შექმნა თა-
ვისი თეატრი და ეს არც შეიძლებოდა იმ დუხშირ დროში! ლადოს
ბევრი მიმბაძველი ჰყავდა. მაგონდება ერთი კურიოზი. მე მაშინ თბილი-
სის გარეუბნის თეატრის მოკარნახე ვიყავი. ისნის თეატრში ერთი ნიჭიე-
რი სცენისმოყვარე ვეყავდა—ლევან ბალაშვილი. ამ ადამიანში ისე ძლი-
ერი იყო ლადოს მიმბაძველობა, რომ სცენაზე გამოსვლის წინ ყელზე
ცხვირსახოცა მოიქცერდა, რათა ხმა ლადო მესხიშვილის გაბზარულ
ხმისათვის დაემსგავსებინა; „გაბზარულს“ იმიტომ ვამბობ, რომ ლა-
დოს, თუ არ ვცდები, 1894 წელს ყელის ტკივილი დასჩემდა. ეს იმით
იყო გამოწვეული, რომ „ყაჩაღების“ წარმოდგენის დროს, როცა
ფრანც მოორი ჭალზე ჩამოეკიდება თავის დასახრჩობად, ლადომ იღ-
ლიებში საგანგებოდ გაეკთებული თოკი კისერთან ყულფს ერ გა-
მოსდო, ეს თოკი სიჩქარით, როგორც იტყვიან, „როლში შესვლის მო-
მენტში, სცენა რომ არ გაციებულიყო“ — შიშველ ყელზე ამოიხვია,
სკამს ფეხი გაპქრა და... ცოცხალ-მკვდარი, ენაგადმოგდებული ძლიერ
ჩამოსხნეს თოკიდან. წინანდელი შვევენიერი ხმა (ასე ამბობენ, მე არ
მოესწრებივარ), მელოდიური და მულერავი, გაებზარა და ერთგვარი
ხრინწი შეეპარა... სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ ლადო სამუდამოდ
გამოეთხოვა სცენიდან საესტრადო კუპლეტების მღერას და ქართულ
ოპერეტებში გამოსვლას! პოდა, აი, ეს „გაბზარული“ ხმაც კი გახდა
ზოგიერთი სცენისმოყვარისათვის მისაბაძ საგნად.

მესხიშვილი იყო უმჭველად ბუმბერაზი მსახიობი... იგი იყო ქარ-
თული მიწიდან ამოტყორუნილი ოქროს ზოდი; ამიტომ მას უნდა მო-
ეხსნას „ნიჭიერი“ მსახიობის სახელწოდება და უფრო დიდი და და-
მახასიათებელი სახელი გამოექვნოს. „ნიჭიერი“ მსახიობი ბევრი ვეყა-
ვდა ძველად, მაგრამ ლადოსთანა მსახიობი კი არც ერთი!

ლადო ხალხს უყვარდა. მის ფოტოსურათს ქალიშვილბი, — ეს ყველაზე მგრძნობიერი მაყურებლები, — გულზე ატარებდნენ ვეგან როზის მსგავსად.

ლადო ხალხს უყვარდა-მეთქი, ეს თქმა არ არის მარტო ცარიელი ბეგრა, დიახ! ლადო ხალხს უყვარდა... ეს დაადასტურა 1908 წლის გასტროლებმა. ქუთაისის ახალგაზრდა, შესანიშნავმა კოლექტივმა, სა-ფაც იყვნენ: ნუცა ჩხეიძე, ვ. შალიკაშვილი, შ. დადიანი, ნ. დავითა-შვილი, ნატო ჯავახიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე და ვაიანე ურბნელი, — ამ დასმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის ქართველ საზოგადოების პირველად აჩვენა გასაოცარი ანსამ-ბლით შეკრული საგასტროლო სპექტაკლები: დიმოვის „იმინე, ისრაილ!“, შალომ აშას „შურისძიების ღმერთი“, კოსოროტვეის — „გა-ზაფხულის ნიაღვარი“, კოლიშვილს „საქმის კაცი“ (თარგმანი შალიკო-ვალიერისი*); კომედიები: — „დარისპანის გასაშირი“ და „უბედური დღე“. ეს წარმოდგენები მართლაც ნიაღვარივით მოვარდა და მაშინ-ცელი თბილისის სეზონი გამოაფხიზლა და აამჩქერარა. ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ მაშინ. ლადო მესხიშვილის ამ გასტროლების შესახებ ერთი გაზეთი პირდაპირ წერდა: „ქართველ საზოგადოების თაყის დღე-ში არ უნახავს ასე მწყობრად და შეთანხმებით ჩატარება წარმოდ-გენისათ“ („ნაპერწეალი“, 1908 წ. ივნისი).

ვინ ესწრებოდა ამ წარმოდგენას, ვინ იყო ამ ოღტაცების ორგანი-ზატორი? მოსწავლეები, სტუდენტები და ხელმოკლე ინტელიგენცია; სად იყო მაღალი წოდება, „მარილი ამა ქვეყნისანი“? საზოგადოება ორად გაიყო. ინტელიგენციის ერთმა ფრთამ ბოიკოტი გამოუცხადა ლადოს, თუ ჩვენია ჩვენი იყოს, რა წარამარა გარბის სხვა ქვეყნებ-შით. ამაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო მაშინდელ პრესაში. მასსოეს ერ-თი სატირული ლექსი, ქუთაისის გასტროლების დასაცავად გამოთქ-მული, რომელიც აქვე მოყვავს:

ქართველი ინტელიგენცია
იქ არ გვინახავს თვალითა,
არც ნებით შემონავალი,
არც მოყვანილი ძალითა.
ისევ აკრატის უფალმა
ის შეეი ხალხი დაბალი,
ეისაც ბეჭე გალიორებისა
უპყრია ფრიად მაღალი,

* შალვა დადიანი და ვალერიან შალიკაშვილი.

ამ გასტროლების შემდეგ ლადონ მესახიშვილი საქართველოში აღარ გაჩერებულა. 1908 წელს წავიდა და მხოლოდ 1910 წელს დაბრუნდა. მაგრამ მე მინდა ცოტა შორიდან დავიწყო:

1904 წელს, სწორედ სეზონის დაწყებისას, თბილისის ქართულ თეატრში, ეგრეთ წოდებულ არწრუნისეულ თეატრში, ანუ ბანკის თეატრში ადმინისტრაციამ აკრძალა ქართული წარმოდგენების მართვა, რადგან შენობის უკანა კედლები „დაბზარული, დახეთქილი აღმოჩნდა და დღე-დღეზე ჩამონავრევას ლამობდა“. ქართულ თეატრს თავშესაფარი აღარ ჰქონდა.*

მსახიობებისაგან შემდგარმა ამხანავობამ „სახაზინო თეატრის“ (აწ თბერის თეატრის) შენობა დაიქირავა ქართული პიესების დასადგმელად. წინათ თუ კვირაში ორი ან სამი ქართული წარმოდგენა იმართებოდა ქართულ თეატრში, 1904-1905 წლიდან, სახაზინო თეატრში გადასცის გამო, კვირაში ერთხელ უნდა დაედგათ ქართული წარმოდგენები და ისიც ზარალით, „შემოსავლის დილი ნაწილი თბერის ანტრეპრენიორს რჩებოდა. სამწუხაორ უფრო ის იყო, რომ ქართული წარმოდგენებისთვის რუსული თეატრის გამგენი არაფერს არ იმეტებდნენ, არც დეკორაციებს, არც ტანისამოსს, რაც რამ ძეველი და უვარესი გააჩნდათ, იმას უთმობდნენ ჩვენს არტისტებს... 1905 წელს ქართული წარმოდგენების გამმართველმა ამხანავობამ 2 000 მანეთი იზარალა“ („ცნობის ფურტელი“, 1905 წ. № 2755). მთელი ოთხი წლის განმავლობაში წანწალებდა ქართული დაისი სხვადასხეა თეატრში — ხან თბერის, ხან საარტისტო საზოგადოების (აწ რუსთაველის), ხან ავლაბრის (არაქსიანის თუ მურაშვილის) თეატრებში, ხან თბილისის კრუუოები... ხან ვეტერის თეატრში. როცა ფუნქულიორის ექსპლოატაცია დაიწყო, მაშინ ჩვენმა მსახიობებმა ის ადგილიც გამოიყენეს შემოსავლის წყაროდ, ხალხის მისაზიდად აფიშებზე ასე ეწერა: „ვინც

* ეს თეატრი, რომელიც თავად-აზნაურთა ბანქს დარჩა, არწრუნისა იყო თავისი ქარესალითურთ. იქ ჩემია არწრუნის გარდაცვალების შემდეგ, ეს შენობა გადაიღია შინი ვაერის, გრ. არწრუნის ხელში („შშაკის“ რედაქტორი). მისმა შვილმა, გაზეთის ხარჯის დასაფარავად ქარებას ლა თავისი თეატრით დაგირავა ილია ჭავჭავაძის ბანქში. თეატრი დარჩი ბანქს და ხშირად ამ თეატრს გადაირავა ილია ჭავჭავაძის ბანქში. ეს თეატრი თბილისის სხვა თეატრებთან შედარებით, მინიატურული იყო. 1887 წელს ბანქმა თეატრი გადააყეთა და 855 ადგილიანი გახდა.

თეატრის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ/ უწინიერობრის ვაკონებით“.

ზუბალაშვილისეული სახალხო სახლი მხოლოდ 1909 წელს გაიხსუსნა! უსავანოდ დარჩენილი ქართველი მსახიობები დიდის ვაი-ვავლახით ატარებდნენ იმდროინდელი ქართველი არტისტის უმაღლეს ულელს. ერთ ძველ უურნალში ქარიყატურაც იყო დაბეჭდილი: ქართველ არტისტებს რეპეტიცია კიბეებზე ვაუმართავთ, რადგან ოპერის თეატრის ანტრეპრენიორი, ვინმე დონსეკო, თეატრს აქირავებდა, ხოლო სარეპეტიციოდ კი ქართველ არტისტებს სცენაზე არ უშვებდა... 1905 წლის რეპერტუარი უფრო თარგმნილი პიესებიდან იყო შერჩეული: „ჟაი გრაქი“, „ახალი მოძღვრება“, „ივლითი“, „შევარდნები და ყორნები“, „როზა ბერნდ“, „პეპელათა ბრძოლა“, „რუი ბლაზი“, „ებრაელები“, „ავი სენი“ და სხვ. ყველგან ლადო მესხიშვილი ასრულებდა მთავარ როლს. ლადომ ვერ ვაუძლო ასეთ მოუსვენარ სეზონს და რამდენიმე ხნის შემდეგ მიატოვა ქართული დასი... ქართული დასის ამხანაგობა უმესესიშვილოდ უძლვებოდა საქმეს: მათი რეპერტუარი შეიცო ორიგინალური პიესებითაც, ვამოჩნდნენ ახალგაზრდა დრამატურგები. იდგმებოდა: „მეზობლები“ (ტრ. რამიშვილისა), „დამარცხებულინი“ (პ. ირეთელისა), „სოფელში“ (სპ. ყიფიანისა), „ქოხში“ (ი. გომართელისა) და სხვ., მაგრამ თეატრი მაინც უფსერულის პირას იდგა, ხალხი თეატრში არ დაიარებოდა, თეატრს ახალი ძალები არ ემატებოდა, არ ჩანდა რეესიორი. ამ წარმოდგენების სულისჩამდგმელი ისევ და ისევ ჩვენი დაუღალავი და ნეტარმოსავონარი მოღვაწე ვალერიან გუნია იყო.

ქართული თეატრის შენობის შექეთება, რაც 1904 წელს დაიწყო, 1908 წელს დლიგს დამთავრდა. „მე დამაპაჩინქეს, მაგრამ ქართული თეატრის დაპაჩინქების არაფერი ეშველაო“, — ხშირად იტყოდა ხოლმე ავადმყოფი მსახიობი ვასო აბაშიძე.

როგორც იყო, ოთხი წლის დუმილის შემდეგ, ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ განახლებული ქართული თეატრის გახსნა გამოაცხადა. 14 დეკემბერს (1908 წელს), დღის პირველ საათზე განხალებულ თეატრში მოხდა საზეიმო შექრება. დასწრნენ ოფიციალური წარმომადგენლები. ფილარმონიის საზოგადოების გუნდმა, ზაქარია ფალიაშვილის ლოტბაროლით, შეასრულა საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერილი კომპოზიტორ გ. ი. ნატრაძის საზეიმო ნაწარმოები — „ოცნების ზღვაში“, წარმოითქვა სიტყვები. იყო მილოცვები, ხოლო საღამოთი დანიშნული იყო დ. ერისთავის „საშობლოს“ წარმოდგენა.

ამ სალამოს პირველად გამოვიდა სცენაზე გ. იშხნელი, რომელიც სუმბათაშვილ-იუჟინის რეკომენდაციით მიღებულ იქნა დასში. იშხნელმა ამ სალამოს შესარტულა ლევან ხიმშიაშვილის როლი... მაგრამ სადაც ლადო მესხიშვილი? რატომ არ გაიზიარა განახლებული თეატრის სინარული? ლადო მესხიშვილი ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ არამც თუ მსახიობად, რეეისორადაც კი არ მოიწვია, თუმცა ამ დარგში დიდ კრიზისს განიცდიდნენ.

საგულისხმოა რეეისორის ძიების საკითხიც. დასი შეიკრიბა, მაგრამ რეეისორი არსად იყო... დრამატულმა საზოგადოებამ რამდენიმე სხდომა შესწირა ამ საკითხს. ჯერ უნდოდათ, მოეწვიათ კოტე მარჯანიშვილი, მაგრამ „უფლობის გამო“ ვერ გაბედეს. მერე მიმართეს ვახტანგ მჭედლიშვილს, მაგრამ უკანასკნელმა უარი შემოუთვალა: „ამ-ეამად სამხატვრო თეატრს ვერ დავტოვებო!“ ფიქრობდნენ რუსი რეეისორის მოწვევას ქართულ დასში, მაგრამ დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრები ამ საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს მოიწვიეს ალექსანდრე ყანჩელი მთავარ რეეისორად და თანაშემწედ დაუნიშნეს ახალგაზრდა ვალერიან შალიკაშვილი.

როგორც ვხედავთ, ლადო მესხიშვილზე ჩქამიც არ ისმის, ეს მაშინ, როცა ქუთაისის გასტროლებმა იმავე წლის ივნისში ასე ბრწყინვალედ ჩაიარა, ეს მაშინ, როცა ლადოს დასიდან ბევრი მსახიობი გადმოვიდა განახლებულ თეატრში სამუშაოდ.

უნდა ითქვას, რომ ქართული დრამატული საზოგადოება ქართველ არტისტებს შორის განხეთქილებას და ბუტიაობას უწყობდა ხელს. ამ ბუტიაობის ბრალი იყო, რომ განახლებული დასის შემადგენლობაში არა ჩანდა ნატო გაბუნია, რამდენიმე წარმოდგენისათვის რის ვაივაგლახით დაითანხმეს კოტე ყიფიანი და ტასო აბაშიძე; არ ჩანდა საქმის ნამდვილი მცოდნე რეეისორი, ამ განხეთქილების ბრალი იყო, რომ გელამლვრეულმა და ფიცხი ხასიათის მქონე ლადომ მიატოვა თავისი დედაქალაქი, მიატოვა განახლებული თეატრის ურეეისოროდ დარჩენილი ქართველი ამხანაგები და მთავარ რეეისორად გამოცხადდა... სად? კრასნიიარსკში. მერე — რიაზანი, არხანგელსკი და მოსკოვე! თითქმის ორ წელიწადზე მეტს მოგზაურობდა, მშობლიურ კერას მოშორებული, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში... და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ლადო მოულოდნელად გვეწვია თბილისში. ეს იყო 1910 წლის იანვარს. როგორც ი. ზარდალიშვილიც იგონებს, პირველად ლადოს ნახა მე მხვდა წილად ყოფილ გოლოვინის პროსპექტზე, მაშინ ვახარე ი. ზარდალიშვილს, კონსტ. ანდრონიკაშვილს, ნ. გვარაძეს

და იმავე დღეს მაღალაშვილის სარდაფში მოწყო მშვენიერი ზანკეტი ქართველი ინტელიგენციის თანდასწრებით.

ამ წელს ლადო მესხიშვილის მონაწილეობით რამდენიმე ქართველი გენა გამართეს ქართველმა არტისტებმა. საზოგადოებამ კვლავ იხილა ლადოს ურიელ იყოსტა, პამლეტი, პეტრონიუსი („ვიდრე ხალ“...), სულეიმან-ხანი („ლალატი“); ლადო შესანიშნავი იყო ტოლსტოის (არა ლევ ტოლსტოის) მიერ ჩეხოვის მოთხოვობებიდან გაკეთებულ დრამაში — „შავი ბერი“ და სხვ.


როცა თბილისში სეზონი დამთავრდა, მარტის დამდევი იყო, მსახიობებმა შეადგინეს ამხანაგობა, სათავეში ჩაუყენეს ლადო და იმავე წლის 10 მარტიდან გავემართენით შემდეგ დაბა-ქალაქებში: ბათუმს ქუთაისს, ფოთს, სოხუმს, ჭიათურას, სამტრედიას, ზესტაფიონსა და ხონს. რეპერტუარში იყო: „პამლეტი“, „ურიელ იყოსტა“ და „შავი ბერი“. დასში ირიცხებოდნენ: ლადო მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რიონელი (კ. მესხის მეუღლე), პ. შოთაძე, მ. მდივანი, კ. ანდრონიქაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. ურუშაძე, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ი. ეკიძე, ბ. გრეტლი, ა. ალექსიძე (გვარად ქურდოვანიძე) და ი. გრიშაშვილი.

ხალხი ყველგან აღფრთვეანებული ეგებებოდა ლადოს. შემოსავალის მხრივ ეს იყო ბრწყინვალე სამოგზაურო დასი: მესხიშვილს ოცწარმოდებუაში ერგო 862 მანეთი, ამხანაგობის დანარჩენ თითო წეერს კი — შეხვდა 120 მან. ამ მოგზაურობამ გასტანა ერთ თვეს. დავამთავრეთ 1910 წლის 9 აპრილს.

მე ამ დასის სუფლიორი ვიყავი (მაშინდელი სასუფლიორო ეგზემდლარები ახლაც შენახული მაქსი). ქართული თეატრის მოღვაწეთა შორის ყველაზე ტანჯული სუფლიორი იყო.

იმ ხანებში თბილისის ქართულ დას თრი სუფლიორი ჰყავდა: ბეგლარა (ახოსპიტელი) და მე, გრიშაშვილი! ახოსპიტელი, როგორც პირელხარისხოვანი სუფლიორი, არ გაძიება მესხიშვილის დასს პროეკციებში, ის თავისუფალ დროს თავის საყვარელ თელავში ატარებდა. გარდა ამისა, ბეგლარა და დასის წარმომადგენელი ვასო ურუშაძე ვერ მორიგდნენ ფასში, ბეგლარა დღე-ღამეში 1 მანეთს მოითხოვდა, მე კი ათშაურიანი სუფლიორი ვიყავი — როგორც ახალგაზრდა და მცირესტავიანი. როცა ლადო მესხიშვილმა მომმართა: „წამოხვალნებნან საქართველოს დაბა-ქალაქებშიო?“ მე თრივე ხელი გავუწოდე, სიხარულით ფეხზე არ ვიდექი, რადგან დიღომს არ გავცილებოდი და სხვა ქალაქების უნახავი ვიყავი. ერთხელ ერთი ლექსი დავწერე ზღაზე, როცა ზღვა თვალითაც არა მქონდა ნახული. რაღაც კინოსურა-

თი კნახე, მომეწონა ტალღების ფრთონა და ნამდვილი ზღვის უნა-
ხაება დავწერე ასეთი „მღელვარე“ ლექსი:



ჭ ღ ვ ა

...და ზღვა ბობოქრობს,
ზერთი ზეირთს ებრძების,
კლდეს ტალღას ესვრის,
შეღგრად აწყდება;
ზე ებეოქება;
კაით, მოთქმითა,
საზარის ხმითა,
ლელავს, გრიალებს,
სკექს და ლრიალებს
განრისხებული,
აღშეფოთებული...
აქალებული...

ზღვის მრისხანებას,
მის ხმას მეტხარეს,
მის ძლიერებას,
ტალღას მშეფოთვარეს,
სულაც არ ვდეტო,
არ ვშიშობ, არ ვთრთი,
როცა ღლედაღამ
ესტირი მწუხარე,
როცა მგზნებარე
გვდისა ძგერა
ცხოვრების ტალღამ
ჩაპელა, დასერა...

(„ფასკუნჯი“, 1909 წ., № 16).

ეს იყო თითქმის მეორე ლექსი „არ შეგციცდეს, ბარაშკავან“-ის შემდეგ.

მესხიშვილის სამეზაერო დასში ჩაწერით საშუალება მეძლეოლა-
ბათუმიც მენახა და ნამდვილი ზღვის ჭერეტით დაემტებარიყავი. მხო-
ლოდ ერთი პირობა დამიღვეს: „ხარჯებს ვერიდებით, პატარა როლე-
ბისათვის ზედმეტი არტისტის წამოყვანა რომ არ დაგვეირდეს, ხანდა-
ხან მესამებარისხოვანი როლებიც უნდა შეასრულოთ“ ამაზედაც დაე-
თანხმდი. ქართულ თეატრში გარდა სუფლიორობისა, მსახიობობასაც
ვეტანებოდი. ერთი დიდი როლის მონატრული ვიყავი. ჩემს სიკოცე-

ლეში სულ ლაქიებსა და გლეხის პატირა ბიჭებს კთამაშობდი. მნო-
ლოდ ერთხელ მოვიყალ ჩემი არტისტული ნიჭის უნი, როცა ჩემს
სალამოზე კავკაველი პეტრას როლი შევასრულე ა. ცაგარლის „უკმბრ-
ჟელში“ და ისიც ოლღა ლევავისთან ერთად (ის მაშიქოს თამაშობ-
და). წარმოდგენა, რასკვირველია, კარგად ჩივლიდა. განსაკუთრებით
კარგად ჩივატარეთ შეუფარებულთა სცენა...

ქუთაისის ნახვაც კი ამ კოლექტივის მოგზაურობის დროს მელირ-
სა.

ქუთაისში პირველად გამიცნო როგორც მსახიობი. ეს იყო 1910
წლის 13 მარტს, ვთამაშობდი მეორე მესაფლავის როლს „პიმლეტ-
ში“. პირველი მესაფლავის როლიც კი შეშურდათ საწყალი სუფლი-
ორისათვის. სამაგიეროდ, იმავე წელს და იმავე ქუთაისში, შეიდი
თვის შემდეგ, მიწვეული ვიყავი არა როგორც მსახიობ-სუფლიორი,
არამედ როგორც პოეტი-დეკლამატორი. ეს იყო 1910 წლის 27 ოქ-
ომბერს, ილია ვაკევაძის ტრადიციულ სალამოზე, რომელიც წ. კ. სან.
ინიციატივით გაიმართა. თბილისიდან მხოლოდ ორნი ვიყავით მიწვე-
ულნი: ვაჟა-ფშაველა და მე (იხ. რეცენზია: „ნოვაია რეს“, 1910 წ.,
№ 247). საკუთაისში პირველად ვიყავი 1910 წელს ოქტომბერი: —
პირველად როგორც სუფლიორი (1910 წ. 13 მარტს), მეორედ — რო-
გორც პოეტი (1910 წ. 27 ოქტომბერს).

სუფლიორის მძიმე ულელი, როგორც იყო, მეც გაეწიე და მიუხე-
დავად ამ დიდი ქაპანისა, როდი ვნანობ?

სუფლიორი ვიყავი-მეთქი, მოგახსენეთ, მაგრამ მაშინდელი სუფ-
ლიორი სულაც არ ჰეგვდა დღევანდელ სუფლიორს. ახლანდელი სუფ-
ლიორი არხეინად დგას კულისებში და ათასში ერთხელ თუ მიაწედის
მსახიობს თავის სათქმელს, რადგან თანამედროვე მსახიობი სუფლი-
ორს როდი უცდის, ვალდებულია როლი ზეპირად იცოდეს. ძველად
კი სუფლიორი სუფლიორიც იყო, რეჟისორიც, რეჟისორის თანაშემ-
წეც და, რა ვიცი, კიდევ რა მას უნდა მიეწოდებინა მსახიობისათვის
არამცუ მისდამი განკუთვნილი სიტყვები, არამედ რემარკებიც: ადექ-,
დაქექ, მიდი, მოდი, გადი, წადი, აქცე, გაიცინე, იტირე... ამ ნიადაგ-
ზე მრავალი კურიოზი არსებობს, რომელთა მოყვანა შორს წაგვიყვან-
და. მხოლოდ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო მურაშეოს თეატრის ის-
ტორიიდან. ვთამაშობდით ვ. გუნიას ისტორიულ პიესას „და-ძმას“. ფა-
შის როლს ასრულებდა რომანიშ სალაყანა, გიორგის — დავით მელა-
შვილი, ადამიას — ბესო მაისურაძე, ოტიას — ვანო მცედლიშვილი
(ქიზიყელი), გაიოზს — ლევან ბალაშვილი, მარინეს — თამარ აფხაზი-

შეიღლი. „და-ქმის“ მეხუთე მოქმედების პირველი სურათია. სცენა წარ-
მოაღვეს ციხეს. სცენაზე ტყევებსა სძინავთ, მათ შორის გარინებ
ძმა, გაოზიც იქ არის. შემოდის აღელვებული და თმაგაწეწილი მია-
რინე. ყურები, მსახიობისათვის ეს აუცილებელი სასმენი ორგანო,
ჩამოყრილი თმებითა ექვს დაფარული, ღელავს, ვაწვდი სიტყვებს, მაგ-
რამ არ ესმის. ის გაფაციცებით დარბის სცენაზე, პატიმრებს შორის
დაექებს თავის ძმას გიოზს, რომ ციხიდან ჩუმად გააპაროს. მარინე
მალიმალ ფეხებს მიბაკუნებს — ეს ნიშნავს: არ მესმის და სიტყვები
ხმამაღლა მომაწოდეო. ხმამაღლა რომ ვუკარნახო, საზოგადოება მი-
წყრება და მიყვირის: „სუფლიორ, თხშე!“ არადა, რა ვენა, ორ წყალ-
შეა ვარ ჩავარდნილი. მეც ვლელავ, ის კი ვლავ განაგრძობს ფეხე-
ბის ბაჟუნს. ილავი წაილო... ბოლოს გაბრახებულმა მივაძახე: „გადა-
იწიე ეგ თმები და გაიგებ, რაღა!“ მარინეს ეს ფრაზა პიესიდან ეკონა
და მინარე გაიოზს მიმართა: „გაიოზ, გაიოზ, გადაიწიე ეგ თმები და
გაიგებ, რაღა!“

ეს ანეგდოტი როდია, ეს არის ფაქტი, მწარე ფაქტი ძველი წარ-
მოდგენების დასახასიათებლად და, ვინ მოსთვლის, რამდენი იმისთანა
კურიოზის ამოღება წარსული თეატრის კიდობნიდან.

მე ძალიან მიყვარდა სუფლიორობის დროს მსახიობებთან გაბა-
სება. თუ როღები არ იყოდნენ, მივაძახებდი: არა გრცევენია, ორი-
ოდე სიტყვა ვერ დაგისწავლია? ხოლო როცა რომელიმე მსახიობმა
როლი ზეპირად იყოდა მაშინ კი აღტაცებით შევძახებდი ჩემი ნიუა-
რიდან: ბარაქალა! ზეპირად გისწავლია!

იმაზე ცუდი არაფერია, როცა მსახიობმა როლი არ იცის, როლის
უცოდინარი მსახიობი, სუფლიორის სიტყვების მოლოდინში, სახეს
მანქავს, რომ იქნება მოკარნახის ფრაზას მოპქრას ყური. თუ დაიჭი-
რა სიტყვის პირველი ნიხევარი, მერე აღარ იცის რა თქვას. იგი იბ-
ნევა, ზმია აეწყდება, აზრს შეაში სწყვეტს და ქართული ენის მახ-
ვილის დაცემს ამახიჯებს.

რაც შეეხება ლადოს, მან როლი ყოველთვის ზეპირად იყოდა. ჩეე-
ნი თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ პირველ ხანებში, როცა 1881
წლის დასასრულს დავით ერისთავმა ლადო მესხიშვილი რუსულ სცე-
ნის მოვარეთა წარმოდგენებიდან ქართულ სცენაზე გადმოიყვანა, ლა-
დოს ქართული ლაპარაკი არ ეხერხებოდა, ქართული პიესის როლებს
რუსული საოებით უწერდნენ. დ. ერისთავის „სამშობლოში“ სიტყ-
ვას: „მაძრწუნებს“ სწორად ვერ გამოთქვამდა. (ნაცვლად: „შენი სიტ-
ყვები მაძრწუნებს“, უთქვამს „მაწრუწუნებს“). ლადო რუსულად იყო

აღზრდილი. შემდეგში ნიკიერმა მსახიობმა სწრაფად ვამოქმნიოდა ეს ნაკლი, შესანიშნავად დაუტული ქართული ენის ბუნებას. მის მეტე ნათარგმნი პიესები ქართული ენის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქართული ენის დამხარებელი ხშირად ჩვენს დრამატურგებსა და მთარგმნელებსაც ედოთ წილი. რატომ შესარულა ლადომ 1883 წელს პირველად პამლეტის როლი სუსტად? ჩემის აზრით, იმიტომ, რომ შექსპირის ეს გენიალური ნაწარმოები ძალიან ცუდი ქართულით იყო ნათარგმნი. მე მოვახსენებთ ანტონ ფურცელის და ლავრენტი არდაზიანის თარგმანებზე. რასაკვირველია, „ცუდი ენით“ ნათარგმნი პიესები ყოველთვის ხელს უშლიდა ახალგაზრდა ლადოს სწორ მეტყველებას, ხელს უშლიდა იმ დრომდე, ეიდრე არ გამოჩნდა ივანე მაჩაბელი, რომელმაც შექმნა ახალი ქართული ლიტერატურული ენა და განსაკუთრებით სასცენო ქართული ენა.

ლადო მესხიშვილის იუბილე 1913 წელს ქართული კულტურის დღესასწაული იყო. მის იუბილეს მთელი დღე პქონდა დათმობილი — დილა და საღამო; დილის 12 საათიდან — მილოცები იყო, საღამოთი — წარმოდგენა. მე დილით მივულოცე. პარტერიდან მარჯვნივ, მაღალ კვარცხლბეჭებზე ერთი სავარძელი და ორი სკამი იდგა. ვევიძე გამოიყენა ლადო და წინასწარ მომზადებულ სავარძელში ჩასვა, თვითონ მარჯვნივ დაჯდა. მარტენივ, თუ არა ვცდები, ნინო ჩეხოვე ჰყავდა. სცენაზე და სცენის სიღრმეში კი სულ მომლოცველები იყვნენ ჩამწკრივებულნი, როგორც ადგილობრივნი, ისე სხვადასხვა დაბაქალავებიდან სავანგებოდ იმ დღისთვის ჩამოსულნი. მათ შორის განიჩეოდა ნიკო სულხანიშვილის გუნდი, რომელმაც პირველად იმ საღმოს მოიხვევა მაღალი სახელი.

მასხალეს, შემოსელისას ლადო გამოეშვა აქაის ხელკავს და ქურციკიეთ აეიდა თავის დალიჭზე, სწორედ ისე, როგორც ამას სჩაღიოდა „სამეგრელოს მთავარი ლევანი“-ს წარმოდგენის დროს. შევენიერი პილარი! შევენიერი სახე! ნაკვთი ნაკვთად აწყობილი... თვალები... ო, ის თვალები, ლრმა და უძირო, ვინ იცის, რამდენხერ ვეუტირებივართ იმ ჯადო თვალებს. როგორ უხდებოდა შევერცხლილი თმების ტალღა... ხალხმა ივრიალა. ტაშის ტკრციალს დასასრული არა პქონდა... ჩემი გამოსელის დროც მოახლოედა. კოჭო ანდრონიკაშვილმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ იუბილეს, ადრევე გამაფრთხილა: იმა და ამის შემდეგ შენი გამოსვლაა — მოემზადეთ. ან რა გაფრთხილება მინდოდა... მე ახლა უფრო ვდელავ, ვიდრე ჩემი ახალგაზრდობის

დღროს... გამოეელი, დავდექი შეა სცენაზე და პირდაპირ მივმართე:

ხან მეფე ხარ სკემლებიძე, ქედს გიხტან ქვეყნის მპურობელს,
ხან ეით ნამე ტბის ნაპირას ქლვრი ცრემლება შეცრებობელს;

იარჩევანი
იარჩევანი

ხან მკერთ ისრით დაიღილი სულ არა გრძნობ წყლულთა ტკინს,
სულის სწრაფეს პანგად აქმევ, იორეუცებ აღმაფრინს.

ხან ოცნებით ცის სიერცეში ნიატალლად დასრიალობ,
ლრმა კარგით მოხიბლული სამსევერპლოზე კენესით ჰგალობ.

შენ ჩანგი ხარ და ეგ თმები, ეგ ვალია თეითეული,
ხალხის გულის სიმებია, ხალხის სუნთქევით დარხეული.

და მეც ხალხის აღმაფრინამ შენთან მეოსნად ამომტყორცნა...
მსურს მოვიძლენა, როგორც მამას, მხოლოდ კოცნა... მხოლოდ კოცნა!

ეს ექსპრომტი, რომელიც ახლა სუსტად მეჩიენება, მაშინ არ იყო
სუსტი და... ხალხი ვერ დაწყნარდა, გამეორებას მოხოვდა. მე არ გა-
მოვდიოდი. ეს ხომ ლიტერატურული საღამო არ იყო! მიულოცე?
მორჩა და გათვალდა! მაგრამ ასე არ მოხდა!

მაშინ ჩემს პოეტურ ხურჯინში შეიღიოდე წლის სავზალი ეწყო.
ახალგაზრდა ვიყავი და ლექსის გარდა არაფერი არა მწიმდა... როცა ვა-
ლერიან შალიკაშვილმა მეორედ ძალად გამაგდო სცენაზე და ხალხის
სურვილისამებრ მეორედ წაეცეკითხე ეს ლექსი იუბილარს, — ახლა
ვერდნობ, რომ შეცდომა მომივიდა: როგორც მოგახსენეთ, მილოცვა
ერთხელ უნდა!.. იუბილარის ორჯერ ატირება შეიძლება განა? არც
ქუთაისში უნდა გავყოლოდი ლადოს... იქაც გაიმართა ლადოს იუბი-
ლე და ივ. პურალაშვილმა აქედან მიმიწვია ქუთაისს, იქაურ იუბი-
ლეზე იმავე ლექსის სათქმელად! ეს მილოცვა ქუთაისშიც წაეიკითხე
და იქაც გაიმარტობინეს! რა კარგია ახალგაზრდობა!

კიდევ ერთი დეტალი: მე მაშინ, არ ვიცი რატომ და კრიტიკოსებ-
მა „კოცნის პოეტი“ შემარქევს, ალბათ იმიტომ, რომ ჩემს პირველ
წიგნს „კოცნების კოცნა“ ერქვა (მხოლოდ ოცნების)... იმას იმი-
ტომ ვამბობ, რომ თვით აყავი წერეთელიც, ალბათ, ასე ფიქრობდა,
როცა იმ იუბილეს შემდეგ კულისებში თავისებური ირონიით მითხრა:
„მაინც კოცნა გამოურიე, არა? როცა დაიწყე: „და მეც ხალხის
ალმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა“,
მაშინვე გულში გავიკლე, აი, ნახე, თუ აქაც „კოცნით“ არ გაათავოს-
მეოქი... მართლაც, რითმა გამოვიდა: „კოცნა — ამომტყორცნა!“. ნუ-
ცა ჩემიძესაც აქვს მოგონებაში: ჩემს სიტყვაში მეც კოცნა უნდა მეძ-
10. ა. გრიშაშვილი, გ. V

ლონა ლადოსთვის, მაგრამ გრიშაშვილს კოცნას ვინ დაასწრებოდა! ყავის შენიშვნამ ისე იმოქმედა ჩემსე, რომ ამ ლექსიდან ბოლო სტრიქონი, სადაც კოცნაზე ლაპარაკი, მთლიან იმოვილე და ჩემს ვინდელ ტომში ეს ლექსი სხვა გარიბით დავბეჭდე, ამას უფრის მქონდა თუ არა უფლება, — როცა სხვა მიმღლოცელები იუბილას ხან ფულს სთავაზობდნენ, ხან ასა და ხან ას, მე, როგორც მის შეგირდსა და სცენის უმცროს ამხანაგს, მხოლოდ პოეტის წრფილი კოცნა მიმერომია!.. რასაყვირელია, ამის უფლება მქონდა... დიდებულის აკაკის გახუმრებას კი დღეს სიამოვნებით ვიგონებ: „კოცნა — მომტყორუნა“...

რამდენჯერ მოთქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერი იყო. რაც სკოლამ და მაკლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის შინაგანელში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფი. როგორც დაკვირვებული ბალლი, დაუყურადებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი აე-კარგი. რა ბუმბერის მსახიობთა შორის ვტრიალებდი: მაკო საფაროვი! ვასო აბაშიძე! ლადო მესხიშვილი! კოტე ყიფიანი! კოტე მესხი! გალერიან გუნია! ნატო გაბუნია!.. რა ბეღნიერი ვყოფილვარ და არ ვაფასებდი... განსაყუთრებით მიყვარდა ვასოს ღიმილი და ლადოს ცრემლები. თუ ჩემს პოეზიას რაიმე მგრძნობიერება ახასიათებს, ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია. ის სცენაზე იყო, მე — სუფლიორის ნიკარაში, ის თამაშობდა კინს, აკოსტას, ჰამლეტს, მე კი ვაწვდიდი იმ გრძნობიერ სიტყვებს. მაგრამ, არა! ხშირად ისე გამიტაცებდა ხოლმე მისი თამაში, ისე დამატყველებდა ლადოს სახის ნაკეთთა ათამაშება, მისი ფაფუელი ხმის მინანქრიანობა, რომ მავიწყდებოდა ჩემი მოვალეობა, მავიწყდებოდა, რომ მე „აგავირვების ტალკვესი“ ვიზავი და მსახიობისათვის სიტყვები უნდა მიმეწოდებინა. მე ვიმსკვალებოდი მისი ფსიქოლოგიური განცდებით და მხოლოდ თვალებში შეეცილებდი უხშოდ. ლადოს სახის მეტყველება მეც ძალაუნებურად გადამქონდა სახეზე. ის ხშირად გამიგაერდებოდა, როგორც კინი უფავრდება თავის სუფლიორს — სოლომონს, მაგრამ ფარდა დაეშვებოდა თუ არა, ლადო მომეარდებოდა და მომეხვეოდა, როგორც კინი იმავე სოლომონს მოეფერებოდა ხოლმე...

მე ვიტანჯებოდი ლადოს ტანჯით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით და ახლაც... ჩემო ძვირდასო ლადო, თვალები ცრემლით მენამება, როცა ამ სტრიქონებსა ვწერ.

ახ, ლადო! ლადო! რატომ ჩაშერი ასე მალე, ასე უღვთოდ? ასე
უდროოდ!

რატომ უნდა იდოს შენი ლამაზი სახე შავ მიწაში?
რატომ ეერ მოესწარი ჩვენი თეატრის გაზაფხულს?
რატომ? რატომ?

წახელ! დასტოედ—არ ვიცი თე რად—
ჩვენი ღიმილი, ჩვენი ქვეყანა,
ბოლოს გვეწეო... მესხიშეიღურად,
რომ შენი ძვლები აქ ჩაგვარა.

ალბათ, პეოდებდი სიმარტოეეზე,
გენატრებოდა შენ და იები.
წაიქცა მეხა, რომლის რტოებზე
ბუღას ჰყენწლავდნენ ჩიტუნები.

შაგრამ წე ფიქრობ, რომ გვირგვინოსანს
მოგხადეს ჭილა, დაგანავერცხლეს...
დღეს საქართველო დიდებით ქმოსაეს
შენის უბილო აურენილ მერცხლებს.

როცა სცენაზე შევლიდთ რბოლი,
გამოწყობილი ქართულ ჩიხითა,
შენს შევგრძელობას მე შევხაროდი
ჩემი პატარა ალაზინიდან.

და თუ რამ სულეეს ჩემში კეთილი,
გრძნობის სიმართლე, რითმის გალობა,
სულ შენგანა მაქეს ამოკეთილი,
შენმა სიუხვემ დამაწყალობა.

ზიხარ ჩემს გულში, როგორც იმედი,
შედამ ეიგონებ შენს მეტყველ სახეს.
რა შეუძლიან ამაზე შეტი —
ურთ ქართველ პოეტს—შენს მოქარნახეს?

1950 წ.

„მაში, შენი გულის დაუთრებშიც არაფერმასწერაშია
პეტოს მონალიზან

ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას ხანგრძლივი ისტო-
რია აქვს.

ამ ორი ერის ბედ-ილბალი მუდამ ერთმანეთთან იყო გადაჭავეუ-
ლი. გარეშე დამპყრობელთა შემოსევის დროს არაერთხელ გაუწოდე-
ბია ქართველ ხალხს დახმარების ხელი სომეხი ხალხისათვის სამშობ-
ლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ასე-
ვე სომხებიც, განსაკუდელის უამს მხარში უდგნენ მეზობელ ქართვე-
ლებს და საქმით განამტკიცებდნენ მათთან მეგობრობას. „ჩენ კარ-
გად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბე-
დური დღიდან, როცა პირქვე დამხმა სომხეთი — ეს ჩენი წინანდე-
ლი ზღუდე სამხრეთი... ვიდრე სომხეთი იყო, საქართველოს რომ თა-
თრობა მოესოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა, ამიტომაც ჩე-
ნი უდიდესი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგადნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ“ (ი. ჭავ-
ჭავაძე).

ამ ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ მე-
19 საუკუნის მოღვაწენი — ილია, აკაკი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ
ორბელიანი, სუნდუკიანცი, თუმანიანი, გ. ბაშინჯალიანი და სხვ. მათ
ერთმანეთს, შოთას სიტყვებით რომ ვთქვათ,

„გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.

გაბრიელ სუნდუკიანცი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც თე-
ატრი აირჩია შემოქმედების მთავარ სარმიელად. იგი ცარიზმის უსას-
ტიქეს პირობებში ერთნაირი გატაცებით და სიყვარულით ემსახურე-
ბოდა, როგორც სომხურ, ისე ქართულ ხელოვნებას. სუნდუკიანცმა
შოწიწებით შეაღო ქართული თეატრის ალაყაფის კარები და ჰპოვა იქ
უსაყვარლესი სახელები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, კოტე ყიფია-
ნი, რომლებმაც ორივე ხელით ჩამოართვეს ძეირფას მეზობელს ქარ-
თულ ხონჩაზე დაწყობილი ხელნაწერი პიესების პურ-მარილი...

რა იყო ქართული თეატრი მანამდე?

ვიდრე ამ საკითხზე ჩამოვაგდებდე სიტყვას, მოკლედ შევეხები სუნ-
დუკიანცის ბიოგრაფიას.

გაბრიელ სუნდუკიანცი, ანუ როგორც ქალაქელები უწოდებილნენ „მეზანდუქეანთ გაბო“, მამა-პაპით თბილისელი იყო, აქ დაბადებული და აღზრდილი.

პაპა არუთინა, მამა მიკირტუმა (ნიკიტა), დედა თინათინი, ცოლი სოფიო, თვითონ გაბრიელიც ოჯაში მხოლოდ ქართულს ლაპარაკობდნენ... ამას ამტკიცებს ერევნის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მისი ოჯაშის ის ეპისტოლარული მდიდარი მასალა, რომელიც წმინდა ქართულით არის შესრულებული.

ამ ორიოდე ნიმუში—

მოგვაუს გაბრიელის მამის წერილი თავისი მეუღლისადმი:

„საყვარელო და ნუგეშო, აროდეს დასავიწყარო თინათინ ზახაროვნა! პირველად სიყვარულით მრავალს მოკითხესა და ლამაზ სახე-ზედ — თვალებზედ და ლოყებზე კოცნას მოვახსენებ, იგრეთვე საყ-ვარელ სურვილებს. გენაცვალოს შენ მიკირტუმა, რომ დედას და-მორჩილდე და წამილი დალიო...“

გაბრიელ სუნდუკიანცის 200-მდე კერძო წერილი, ქაბუკობის დროს ქართულად დაწერილი 1855 წლებში, აღსავსეა დედისადმი ულ-რმესი სიყვარულით. ყველა წერილის თავი და ბოლო ერთი და იმავე მორჩილი სტრიქონებითაა აკლერებული: „საყვარელო და ნახეად სა-ნატრელო დედავგან!“ „უსაყვარლესო და უძვირფასესო დედავგან!“ „თქვენი მორჩილი და მუხლზედ მთხოვნელი შვილი გაბრიელი“ და სხვ.

გ. სუნდუკიანცის მამის, ეტყობა, ლექსების წერაც ეხერხებოდა, მას აღრევე შეუდგენია თავისი ეპიტაფია. აი, ეს ლექსიც:

მცნობი ჩემი ქმაყოფილნი,
შეულევ და ჩემი შეილნი,
ასურეკენ თუმცა წერილი.

ლმერთსა სოხოვეთ, ჩემთვის ძალი,
მავტოოს ჩემი ბრალი,
რომ არ მომხვდეს ცეცხლის ალი.

წლისა ვიყვად ერგასისა,
მიკირტუმ სუნდუკოეისა,
მამით არუთინას ძისა.

გამორიცელ სუნდუკიანცი დაიბადა ქ. თბილისში 1825 წელს, 29 ივნისს (ძვ. სტ.).

1832 წლიდან 1838 წლამდე პატარა გამორიცელმა პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ერთ ცნობილ პედაგოგთან, რომელსაც, სხვათა შორის, მეუღლედ ფრანგი ჟალი ჰყავდა. ფრანგულ ენას პატარა გამორიცელი ბავშვობიდანვე დაეწაფა და შემდეგში ისე კარგად შეისწავლა, რომ თავისი „პეპო“ სომხურიდან ფრანგულად თვითონვე თარგმნა.

1838—1840 წლებში ის სწავლობდა ხაჩატურ აბოვიანის კერძო პანსიონში, სადაც სომხურთან ერთად თავისუფლად დაუფლებით რესულ ენას.

1840 წელს მომავალი დრამატურგი თბილისის კლასიკურ გომბაზიაში გადავიდა.

1846 წელს, გომბაზიას დამთავრების შემდეგ, სუნდუკიანცი, სხვა თავის თანამეგობრებთან ერთად (იასე ვაკევაძე, გ. წინამძღვრიშვილი, მეზინოვი, სარაჯიშვილი, ანდრონიკაშვილი, ციციშვილი), გაემგზავრა პეტერბურგს და ჩაირიცხა იქაურ უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ იმპოსაციური ენების ფაკულტეტზე.

პეტერბურგის ხანა საუკეთესო ხანად ითვლება დრამატურგის ცხოვრებაში. იქ იგი მიესურვილა რუსულ ლიტერატურას. მისი საყარელი მწერლები იყვნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, გრიბოედოვი. გარდა იმისა, იგი არა სტოკებს არც ერთ წარმოდგენას, სადაც მონაწილეობდნენ ისეთი ნიჭიერი მსახიობნი, როგორებიც იყვნენ შემცინი, მარტინოვი და სხვ.

1850 წელს გ. სუნდუკიანცი ბრუნდება თბილისში და შედის სახელმწიფო სამსახურში თარჯიმიანის თანამდებობაშე. უნდა შევნიშნოთ, რომ ვინც სახელმწიფო ხარჯით იგზავნებოდა პეტერბურგში სასწავლებლად, მას ექვსი წელიწადი უნდა ემსახურნა კავკასიის რომელიმე სამოქალაქო დაწესებულებაში...

ამ სამსახურის დროს მწერალს უთანხმოება მოუვიდა „მელნის მხერებავ“ ჩინონიკებთან და სუნდუკიანციც ახალი იდეების გავრცელებისათვის 1853 წელს გაგზავნეს. დერბენდს სამხედრო გუბერნატორის განკარგულებაში...

მიუხედავად დედის გულმოდგინე თხოვნისა, „შვილი თბილისში გადმოიყვანეთო“, სუნდუკიანცმა დერბენდში მაინც ორ-სამ წელი-

წილს დაჰყო. ჩეენს არქივებში დაცული უცნობი მასალების მიხედვით
ირკვევა, რომ პოეტი გრიგოლ ორბელიანი დიდად ცდილობდა სუნდუ-
კიანცის თბილისში დაბრუნებისათვის, იგი შეამღვიმლობდა კულტუ-
რის ამიერკავკასიის სამმართველოს უფროსის წინაშე, რო-
მელსაც პოეტი სწერდა: „სუნდუკიანცს პირადად კარგად ეცნობ, რო-
გორც წესიერ ყმაწერილ კაცს“ (იხ. არქივის მასალა, გამოქვეყნებული
ერევნის „Komunist“-ში, 1948 წ., № 171).

საზოგადოდ, გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის გულთბილად ეპყ-
რობოდა სუნდუკიანცს, რომლის პოეტური ბუნებაც ერ ეგუებოდა
„კანკელარიების“ სამსახურს. იგივე გრიგოლ ორბელიანი სწერს დი-
მიტრი ჭორაძეს (1858 წ. 13 აპრილს): „ძლიეს, საბრალო სუნდუკი-
ანცი ვადმოვაკვანინე სტროტელნის კომისიაში ჩლენად“ („წერილე-
ბი“, ტ. II, გვ. 288. — ავ. გაწერელიას რედაქციით).

ასე იყო თუ ისე, გ. სუნდუკიანცმა მაინც 50 წელი გაატარა მეფის
საძსახურძი...

დრამების წერა გაბრიელმა გვიან დაიწყო... „პეპო“ რომ დაწერა,
ის უკვე ცხოვერების დარჩავში გამობრძმედილი 45 წლის ვაჟკაცი იყო.

როგორც ბევრმა ლიდმა ღრამატურგმა, გაბრ. სუნდუკიანცმაც სცე-
ნაშე ვიდევილებით შესდგა ფეხი. მისი „სალამოს ერთი ცხვირი ხეი-
რია“ პირველი პიესა იყო ნიჭიერი ღრამატურგისა. ამას მოჰყევა „ხა-
თაბალა“, „კიდევ ერთი მსხვერპლი“, „პეპო“, „დაქცეული ოჯახი“
და სხვ. მაგრამ გვირჩვინი ყველა მისი პიესებისა—„პეპოა“!

ჩეენ ცოტა ვრცლად შევჩერდებით ამ პიესაზე და ქართველი მსა-
ხილების მიერ მის განსახიერებაზე.

„პეპო“ თბილისის ქარგაზეა გაშლილი. ამ პიესის მთავარი გმირი
ძეველი თბილისის ტიპია და „ყველაზე უმეტესად თბილისელებს ესმით
მისი მნიშვნელობა“ („კვალი“, 1901 წ., № 21). ამიტომ იყო, რომ
ერთხელ „პეპოს“ თარგმნა სცადეს სომხურიდან სომხურად, კინაი-
დან სუნდუკიანცის ქალაქური დიალექტი ყველა სომებს არ ესმისო!

პეპო ძეველი თბილისის ლეიილი შვილია, იმ თბილისისა, როცა
ჯერ კიდევ ქართულ დარბაზებს ჰქონდა სანათური პქონდა დატანე-
ბული ვარსკველავების სახილეელად და თავდახურული მანდილოსნები
ახლად დაგებულ ქვაფენილებზე ფეხებს იმტერედნენ სიარულით
(„ვიპ. გენაცვა, ამ ქუჩის ქვებმა ხომ ფეხები დამამტერიეს...“), ეს
იყო სამოცდაათიანი წლების თბილისი!

სუნდუკიანცის შემოქმედების უშრეტი წყარო ჩეენი დედაქალაქია.
ერთხელ ილია ზურაბიშვილმა კარგადა თქვა: „სუნდუკიანცის გმირ-

თა მოქმედების არემარე თბილისია, ამ ფარგალს ისინი არ გასცილებიანო!

ვერც ერთი სხვა ქალაქის მაყურებელი ვერ წედებოდა აშშ-შის სილრმეს, როგორც თბილისელი მაყურებელი. საქართველოს დედაქალაქ თბილისში „პეპო“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, რადგან თბილისელები ყველაზე უკეთ გრძნობდნენ და განიცდიდნენ ამ პიესის პერსონაჟების, კერძოდ მთავარი გმირის — პეპოს ხასიათის თავისებურებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მისი დადგმა ვერ გაძედეს პარიზის ანტრეპრენიორებმა, მიუხედავად ვეტორის გულმოლგინე მოწადინებისა.

გაბრიელ სუნდუკიანცს მაშინდელი ელჩების საშუალებით მიწერ-მოწერა ჰქონდა ვეტორ პიუვოსთან და ალექსანდრე დიუმა-შეილ-თან. პარიზში „პეპოს“ დადგმის მიზნით აეტორს პიესის ფრანგული ეგზემპლარიც გაუგზავნია დიუმა-შეილისთვის. ალექსანდრე დიუმა წერილია სწერს სუნდუკიანცს და აღნიშნავს, რომ თქვენი პიესა კარგი „კერძია“, მაგრამ აქაური მაყურებლის გემოვნებისათვის არ გამოდგებათ... ით, დიუმას ეს წერილიც:

„ჩემთ ბატონო, მიღებისთანავე წაეიკითხე თქვენს მიერ გამოგზავნილი ხელთნაწერი და მე არა მგონია, რომ იმ თემას, რომელსაც თქვენ ეხებით, წარმატება ექნეს ჩვენს ფრანგულ სცენაზე. როდესაც ჩვენი მაყურებელი ხედავს აფიშაზე ორიგინალურს, უცხო ზენ-ჩევეულებების შემცველ პიესას, იგი მოელის ისეთ არაჩვეულებრივობას, რის მოცემასაც თქვენი მეტად სადა და ფრიად ბუნებრივი პიესა ვერ შესძლებდა. თქვენი ნაწარმოების სათუთი და ნაზი ყველა დეტალი ჩვენს სცენაზე დაიყარებოდა. თქვენი პიესა მაღალი გემოვნების მქონეთა კერძია, რომელიც ჩვენი პარიზელი მაყურებლის უხეში გემოვნებისთვის ვერ გამოდგება. ვეცდები კი, მე მზადა ვარ, თუ მოისურვებთ, თქვენი პიესა გადაეცე პარიზის იმ თეატრის დირექტორს, რომელსაც მიმითოთებთ, არ დავიშურებ რეკომენდაციას და მთელ ჩემს გავლენას, რაც კი გამაჩინია. ამისათვის ველი მხოლოდ თქვენს პასუხს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგიგზავნით ხელთნაწერს იმ მისამართით, რომელსაც მაცნობებთ.

ა. დ ი უ შ ა - შ ე ი ლ ი.

როგორ შემოდგა ფეხი „პეპონ“ ქართულ სცენაზე?

ვამბობ „ქართულ სცენაზე“, რადგან სუნდუკიანცის პიესები ჩვენს საზოგადოებაში გავრცელდა არა ბეჭდური სიტყვის, არამედ სცენის საშუალებით.

პირველად „პეპონ“ შესახებ კირილე ლორთქიფანიძის „დროებამ“ ამოილო ხმა 1874 წელს. ახალ ამბავში ვკითხულობთ: „პეპონ“ ამ- ჟამად სტამბოლშიაც თამაშობენ. იქნება ქართველებიც მაღე გავხდეთ ამ კომედიის თბილისის სცენაზე მნახველი“ („დროება“, 1874 წ., 7 ივნისი).

„დროების“ ეს ნატვრა ასრულდა! მხოლოდ არა თბილისში, არა- მედ ქუთაისში. „პეპონ“ პირველი დრამოდგენილი იქნა ქუთაის- ში 1874 წელს, 21 ოქტომბერს (თბილისში კი „პეპონ“ ითამაშეს ერ- თი წლის შემდეგ — 1875 წ., 27 ნოემბერს).

*

ქართული პროფესიონალური თეატრის ფუძემდებელი ვიორგი ერისთავი დიდი მონდომებით შეუდგა ქართული დასის შექმნას. მის დასში ირიცხებოდნენ უმჭველად ნიჭიერი მსახიობნი: გ. დვაინაძე, ზ. ანტონოვი, უზნაძის ქალი (პირველი მომღერალი — შემდეგში ივა- ნე კრესელიძის მეუღლე), თვით გიორგი ერისთავი (პირველი კომი- კი ჩვენს სცენაზე), აბრამიძე, სააკაშეილი, მეიიფარიანი, ჯაფარიძე და სხვ. მაგრამ ცარიზმის მოხელეების განკარგულებით თეატრი დაი- ხურა, მსახიობები დაიქსაქსნენ, გულგარეზილი გიორგიც ქართლს გა- ემგზავრა და თავის სამშობლო სოფელში დასრულა უკანასკნელი დღენი.

ქართული თეატრის აღორძინების საქმეში, სუნდუკიანცსაც დიდი ღვაწლი მიუღდვის.

მიძინებულმა ქართულმა თეატრმა მხოლოდ სამოცდაათიან წლებ- ში გაიღვიძა.

ამ დროს... მაგრამ ისევ სჭობია დოკუმენტები ავამეტყველოთ და სიტყვა მივცეთ იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს — კო- ბე უ ფ ი ი ნ ს, რომელმაც გ. სუნდუკიანცის 30 წლის იუბილეზე ეს აღრესი წაიკითხა:

„დვირფასო გამრიელ ნიკიტას-ძეე!

ქართული თეატრის ისტორიამ განიცადა ორი მწარე პერიოდი თავისი არსებობისა: პირველი პერიოდი ეკუთვნის 1850-იან წლებს,

როდესაც ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდა დაუკიწყარი თვითი მოვა ერისთვი, რმელმაც ქართულ თეატრს საფუძველი ჩაუყარა და მისი წარმატებებისათვის შექმნა თავისი ღრამატიული ნიჭილმისეუბები, მეორე ასეთივე მოღვაწის ზურაბ ანტონოვის გვერდით, რომლის პიცხებითაც არსებობდა მაშინ ქართული თეატრი.

შემდეგ დაეტყო მინელება. სხვადასხვა მიზეზოს გამო შუდმივი ქართული თეატრი დაიხურა და ულმობელმა დრომ, რმელიც არავის არა ზოგადს, საზოგადოებრივ ასპარეზს ჩამოაშორა ეს ადამიანები და ქართულმა თეატრმა მიმდინარე 25 წელზე მეტ ხანს. ხოლო მისი მოღვაწეები სდუ მდენენ.

გამოჩნდით თქვენ — და ქართული თეატრისათვის დადგა სხვა ხანა. მოგვევლინა ახალი ცხოვრება; 25 წლის ლეთარგიული ძილისაგან გამოღვიძების შემდეგ (ქართული თეატრისათვის) დადგა აღორძინების ხანა.

ამ აღორძინებით ჩვენი თეატრი სავსებით დავალებულია თქვენგნით, რადგან თქვენ თქვენი ღრამატიული ნაწარმოებებით ხელახლად შთაბერეთ მას სიცოცხლე და თეატრის დაცხრობილ მაჯისცემს საშუალება მიეცით ახალის ძალით აძვერდეს.

თქვენ, რმელსაც მაღლა გევირათ ხელოვნების ღროშა, მისი შრიალისა და ჩრდილქვეშ მოგვეცით ჩვენ მაღალმხატვრული ნაწარმოებები, მაღალპოეტური [პიცხები]. თქვენ ღრამატურგი კი არ ბრძანდებით, არამედ პოეტი, — პოეტი, რმელიც წერდა არა რითმით კარც ლექსით, არამედ ჩვენი ცოცხალი შეტყველებით.

ტიპებს, რმლებიც თქვენ მიერ არიან გამოყანილი, ჩვენ ყველანი ვხვდებოდით ჩვენი ცხოვრების გზაზე ყოველ ნაბიჯზე, მათ ვხედებით იხლაც, დღესაც კი, მაგრამ არც ერთი ჩეკნთავანი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, სანამ თქვენ არ გაასხეულეთ ისინი თქვენს ღრამებსა და კომედიებში და სანამ ამით თვილი არ გაგერილეთ ჩვენს გარემონზე...

ასეთი უნარით თქვენ გააცხოველეთ საზოგადოები და ჩვენში ვამოჩნდა მთელი პლეადა ღრამატურგთა, ორიგინალურ აეტორთა, მთარგმნელთა და გადამეტებელთა და ამგვარად თქვენ ჩვენი ლიტერატურაც წინ წაბიძევთ. თქვენი თხზულებების წყალობით ჩვენში გამოჩნდა ავრეთვე მთელი პლეადა მსახიობთა და მსახიობ-ქალთა, თქვენია ნაწარმოებებმა აღმოაჩინეს ჩვენში ტალანტები, რმლებსაც ჩვენ წენთ არ ვიცნობდით.

დიახ! თქვენ პოეტი ხართ, რამდენადაც ჩვენი ყოველდღული უფერული ბერკანტილური ცხოვრებიდან წამოაყენეთ ისეთი „ტრაქიული“ რომლებიც არასოდეს არ გაქტრებიან ჩვენში, რომლებიც თქვენ უკუკალავქმენით. განა შეიძლება თქვენი ზამბახოვის, ოსეფას, ზიმზ. მოვას, პეტოს, კაკულის, გიქოს, ეფემიას, ოსკარ პეტროვიჩის, ისაიას, გურგაშასისიანცის და მარგალიტას მივიწყება?

ქართული დასი ზეიმობს დღეს თქვენს 30 წლის ნაყოფიერ მოლვაწეობას. დღეს შესრულდა 30 წელი მას აქეთ, რაც გამოქვეყნდა თქვენი შესანიშნავი „პეპო“, რომელიც ამ სალამოს გავითამაშეთ და რომელშიაც 30 წლის წინათ მე ვთამაშობდი იმავე „გიქო“-ს როლს და რომელიც ამავად შევასრულე.

მე, როგორც ქართული თეატრის უხუცესი მოლვაწე, უმეტესის სიხარულით გილოცავთ დღევანდელ ზეიმს. ჩვენ, მშობლიური თეატრის მოლვაწენი, აღვინებით თქვენს პიესებზე, ჩვენ ვაწავეული ვართ თქვენი ნაწარმოებებით და რამდენადაც თქვენი მოწაფეები ვართ, იმდენად უფრო დიდი სიხარულით ვეგბებით თქვენს დღევანდელ იუბილეს...

ნება მიბოძეთ მე, თქვენვან მაღლიერ მოწაფეს, შეილობრივი სიყვარულის ვრძნობით საგარიოდ მოგეხვიოთ და გადაგვოცნოთ თქვენ—დაუკიწყარო ხელმძღვანელო და დამრიგებელო” (იხ. ერევნის სახელმწიფო მუზეუმის მწერალთა განყოფილების ფონდი. პირველად გამოიქვეყნა ლ. მელიქსელბეგმა — „ლიტ. საქართ.“, 1940 წ., № 15. იბეჭდება შემოკლებით).

ასე და ამგვარად, თითქმის 25 წელი გავიდა ერისთავის თეატრის შემდეგ, რაც ქართველ სახოგადოებას ხეირიანი სანახაობა არ ენახა.

იყო იტალიური ოპერა, იაბლონჩინას რუსული დრამატული დასი, მაგრამ განა ეს საალბუნად დაედებოდა ქართული სიტყვის მოყვარულ თეატრალურ სახოგადოებას? ერთ ხანს თბილისელებს ეს „სიამოვნებაც“ მოაკლდათ, რადგან 1874 წელს ხანძარმა იმსხვერპლა თამამშევის ქარებასლა და მისი თეატრიკული და მისი თეატრიკული

იმ წლიდან იწყება ლტოლვა მუდმივი თეატრის შესაქმნელად. წარმოდგენებთან ერთად გაჩნდა ლიტერატურული სალამოებიც, კონცერტები, რომელთაც ჩვენი მწერლების დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას. ისინი სცენიდან კითხულობდნენ ახალ თხზულებებს. ერთ საეთ საღამოზე ჩ. ერისთავმა „პეპოს“ მონოლოგიც კი წაიკითხა სცენიდან (იხ. ჩვენს არქივში დაცული პროგრამა).

დროებით მალამოდ ესეც კმაროდა...

სწორედ ეს ის დროა, როცა ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა
ვასო აბაშიძე, გორიდან — ნატო გაბუნია, თელავიდან — მაქა საფა-
როვისა, ქვიშეთიდან — ყიფიანები და დაიწყეს მონაწილეობა სცე-
ნისმოყვარეთა წარმოდგენებში...

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების
დადგმა ქართულ სცენაზე. მისი პიესები პირველად განახორციელა
თბილისის სომებს მსახიობთა ამხანავობამ, ხოლო მეორედ — ქუთა-
ისის ქართული სცენისმოყვარეთა დასმა. მალე სუნდუკიანცის პიესე-
ბისაღმი ინტერესი აღიძრა თბილისის ქართველ არტისტებსა და თე-
ატრალების წრეშიც.

დავით ერისთავი — „სამშობლოს“ ავტორი, 1879 წ., 14 ოქტომბ-
რის თარიღით ს. ოძისიდან წერილსა სწერს გიორგი თუმანიშვილს და
ახლად ჩამოყალიბებული ქართული თეატრის რეპერტუარში შესატანად
გაბრიელ სუნდუკიანცის პიესების გადათარგმნის საჭიროებას მიუთი-
თებს: „Не забудь распорядиться относительно перевода «Хата-
бала».

„დროება“ წერდა: „ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში უფ-
სუნდუკიანცი მოდათ შემოდის ჩეენს სცენაზე. პირველად ქუთაის-
ში გაგვაცნო ეს სომხის ნიკიერი დრამატურ-
გი. იქ ითამაშეს პირველად იმის შშენიერი კომედია „პეპო“, შემ-
დეგ მეორე იმის დრამა „კიდევ ერთი მსხვერპლი“, იქვე წარმოად-
გინეს ორჯერ და ახლა, როგორც ამბობენ, იქვე მესამე იმის დრამა-
ტიულ თაზულების „ხათაბალის“ წარმოდგენას აპირებენ. თბილისი ამ
შემთხვევაში, ქუთაისის კვალზედ მიდის; იქაც ამასწინად ორჯელ წარ-
მოადგინეს „პეპო“ და ახლა წარსული კეირის ხუთშაბათს, 15 იანვარს
იყო კიდევ ერთი მსხვერპლი“ („დროება“, 1876 წ., № 6).

განა საგულისხმო არ არის, რომ გ. სუნდუკიანცის ამ უკანასკნელ
პიესაში (—„კიდევ ერთი მსხვერპლი“) ჩეენს სასიქადულო პოეტი
აკაკი წერეთელ საც მიუღია მონაწილეობა და
შეუსრულებია თერგდალეული მიხეილის როლი! ტყუილად კი არ
წერდა „კვალი“, რომ სუნდუკიანცის პიესებმა „შეაერთა ორი მეზო-
ბელი ერთ ხელოვნების ნიადაგზეო“ (1901, № 21).

აკაკი და არტისტი!

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ „აკაკი წერეთელი პოეტია და რო-
გორც პოეტი ყოველთვის ერთს ხასიათს არ არის“, ის სუსტი იყოთ
უგულო, უსულო, მიხერა-მოხვრა უშნო, მაგრამ—განაგრძობს გაზე-

თი, — „ღმერთმა მოგცეთ იმისი თავი, როცა კარგ გუნებაზეა, ცოცხალი, მახვილი, ლაზათიანი და გამჭრიახათ აღმასრულებელი თავისი როლისა. ხუთშაბათს ის უთუოდ უხეირო გუნებაზე იყო და ამიტომ მაც მიხეილის როლიც იმის თამაშობაში უხეირო და უსულო გამოვიდა“ („დროება“, 1876 წ., № 6). აქვე უნდა დავსძინოთ აკაკის არტისტობის დასაცავად, რომ ამ პიესაში მიხეილი ყალბი ტიპია და თვით ლადო მესხიშვილსაც უჭირდა ამ როლში გამოსვლა. საქმე ის არის, რომ პიესა მიღიოდა საქველმოქმედო მიზნით (როგორც აფიშებში ეწერა: „კეთილი საქმის შესაწევრად“) და აკაკიმაც, როგორც საზოგადო მოღვაწემ, ივტორის ხათრით და გამმართველების დაქინებითი მოთხოვნის შედეგად — იყისრა აქტორობა და ამით მის დაფნის გვირვენს ერთი ფოთოლიც არ შერჩევია... აკაკი ყველგან აკაკი იყო!

„პეპო“ ქალაქის ტიპია, პეპო ალალ-მართალი ადამიანია, თავისი შრომით მცხოვრები, პეპო მეთევზეა, მებაღური, მისი ქონება ბადეა, მისი შემნახავი — მტკვარი. მართალია, პეპოს მამას თავისი კვალობაზე ცოტაოდენი თანხაც პქონია ზიმზიმვზე გასესხებული (კეკეს მზითევი), მაგრამ თვითონ პეპო ყოველდღიურად გამოსული მუშავია: სწორედ პეპოს ასეთმა მდგომარეობამ მიკარნახა მეთქვა შემდეგი სტრიქონები:

სისხამ დილით თევზებს ეიჭერ,
ბაღით ხელში მივაღ წყალზე,
ეენაცვალე ჩემს ძმა-ბიჭებს,
არ ფერობენ მომავალზე.
დღეს მოვაბულს, დღესვე ეხარჯო,
შესანხად კის აქვს თავი!
ბაღე ჩემი ქონებაა,
მტკვარი—ჩემი შემნახავი.

აკაკი წერტეტელს მოსწონდა „პეპო“. იგი ამ ნაწარმოებს „ობოლ მარგალიტს“ უწოდებდა. როცა ეს პიესა ხონში წარმოადგინეს (პეპოს როლს სარულებლა მქურნალი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი), აკაკიმ აღზარებული რეცენზია უძლენა ამ სპექტაკლს და თვით პიესაზე ასეთი სიტყვები აღმოხდა: „ობოლი მარგალიტი, საღაც უნდა იყოს, თავის ღირსებას არ დაპკარვავს, გინდ მდიდრის ფარჩა-დიბაზე ეკეროს და გინდა ძონზე“ („ივერია“, 1901 წ., № 170; შდრ. ილია ბახტაძე: „წარსულის გახსენება“, განს. „ჩვენი ცხოვრება“, 1912 წ., № 9).

თვით ილია ჭავჭავაძემაც, გ. ჩიმიშვილიანთან კამათის დროს, აღიარა, რომ „ჩვენს ქართულ რეპერტუარში, ნათარგმნთა გარდა, „პეპო“

ծցըրն Յոյսաս Տշռծոառ” (Ոլով տե՛սուլը ճան, Ը. II, 1941 թ., հա. 198-
3. Ռէզորոպչան Հայակական)։

Ամաց աշխատա ոյս յիւտաւուս Տաշոցագուցաց, Տաճապ յև Շղթակ Ռուր-
ցուլագ Բարմուգունք յարուլ Տպենանց, աւոնց լայս Վիրու Ռամուցաց-
նաս, — Եւրս Հայունենքու, — Կայլամ Կարցո աշխա Յամուրան Յոյսա-
նց, յանսայութուրեցու Յեշու եասուտմա Ծամուսանը հայն Տաշոցագուցա-
նանցընութառ” („Ժրուցան”, 1874 թ., № 442)։

Իշխատա Ծաճու միջուալո մայսոմ յորդյո Յաճալո օգացիու Մագո-
նեցուլ Եամցուլ Յեսէրուլ Եայսարմուցա Տավունդա „Յեքուս“։ Ման յև
մոյսա տազուս Հայակական (Իշխատա տարցման յայունու Տուրման Հ. Շա-
հոան) Ծաճուցա Կուզու 1916 թ. Յամուրամուլ յուժուլնի — „Տարուն
արմանակա լիտերատուրա” Ծաճու կա Սամուլուն յուժուլնի — „Տարուն
արմանակա լիտերատուրա” Ծաճու կա Սամուլուն յուժուլնի — „Տարուն
արմանակա լիտերատուրա” (ոճ. ց. այսանու Տոմիսանը Բիցին)։ Մայսոմ
յորդյո դա Տոմիսանը յուլուրան։ 1946 թ., հա. 43)։

յորդյուս յև Տուրման յուժուլնի մաս Եանայս, Իման Յուժուլնի Յա-
նուցա Յեքուս եալնուր Յուժուրսիանուցուլ Տուլս դա Իշխատա Կու-
յունու Յմասեցուլ Յոյսաս շնաս յանու յա յուլուս Տունուն Յանուայ-
ցու։

„Յեքուս” Ց-19 Տաշունու Յնուշունուցան Յուլունա։

Մայսոմ յայուու յամուսանուլու տելուգ յայեացմուլո ծովայուսու-
լո Տաշոցագուցա յուտու մերու յա յուրու մերու — ամ յլասու մոյս
Ժամորհիուցանուլո դա Կույլուցուլո Ծաճալո յայուս տայուս Կույլու-
ցուցու յուլու յուլու յա յուլու առ, Յամոնդուլո յայունու։

Տունուցունուս յուտու Յոյմեցու Յորու յարյացուու ամծոնս։ “Կուլո
յայցու? Յամուսաճամյ, Յոյելո յայցանա Մենու!“

Յեքուս յայցարդաւ առա Իսրահ-յայրուն, Իմոյելուաց Յամոնդուլո Սուր-
ալուրու յայցարտուն լալ Կույլունուն անյայեցու, արամեց Կույլու ալ-
ալ-մարտալ ուղարկու Յոյմեցունու լոյցմակուրուս Մյոնե աճամուն։ Յեքու-
ս եալես Յոյու ոյս, Տուրմանու յա յումեցա Իշխատա Յմոնցունու մաս, ու-
ռու Յոյուրեցուն յա յայրանց յամուրանա Միայցարու Նոմնումուցու, Ի-
մենուց եալեմու „Պարուսան Տայըլութ” Ծաճունունուն յա Յամուցունու
յու Յմուրմելու եալես Տունուս Յմուրմելունու ոյցնուն։ „Նու Տրուրո, յա-
գու, — յունեցա Յեքու Կույլու Մյայլուսան, — ոյ եռմ առ Յոյցուցունու,
յուտել եռմ յանուացուսուլուցունու... յա Յամուն Կույլու յայցնուն, Իման յև
յալու (Երևան յանուացը արշուունակցուն), Իմոյելուաց Կույլունու տայս Սյիր-
ան։ Կույլունու յայցունուն յա Պարուսա Տպումեն, յև ուս յալու, Իմոյելուս-
158

თვისაც არაფერი წმინდა არ არის - რა მმ ქვეყანაზე... ეხლა იტირეთ
რამდენიც გრძათ, საწყლის ტირილი, აღბათ, იმისთვის გაუჩენია
ლმერთს, რომ მდიდრის ბოროტება მორეცხს".

პეტრ ამ სიტყვებით დრამატურგმა გამოხატა არა მარტო მმ სო-
ციალური წრის გულისნადები, რომელსაც მისი პიესის მთავარი, გმი-
რი პეტრ ეკუთვნოდა, არამედ საკუთარი პროგრესული მისწრაფებანიც.
აეტორმა გვაგრძნობინა თავისი დროის კლასთა ბრძოლის სიმწვავე. თუ-
მცა სუნდუკიანცი, იძროონდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის
გამო, არ მისულ კლასობრივი ბრძოლის საჭიროების და მიზანშეწო-
ნილობის აღიარებამდე. აეტორი და მისი პიესის გმირები მართალია
პროტესტანტულად არიან განწყობილნი, მაგრამ მაინც შორს დგა-
ნან რევოლუციური ბრძოლის იდეებისაგან. მიუხედავად ამისა, სუნ-
დუკიანცის დრამატურგია თავისი დროის მასების გამათვითუნობიე-
რებელ როლს თამაშობდა. ეს არის სუნდუკიანცის შემოქმედების ღირ-
სება და დამსახურება.

სუნდუკიანცის დრამატურგიის იდეური და მხატვრული ძალა, რო-
გორც აღვნიშნე, თავის დროზე შეიგრძნეს როგორც ქართველი ხალ-
ხის საყვარელში მსახიობებმა, ისე ჩვენმა მოწინავე მწერლებმა. მის
პიესებში გამოსულიან პოეტები: აკაკი წერეთელი და რაფ. ერისთავი,
ბელეტრისტი ალექსანდრე ყაჩბეგი, პოეტი და ცნობილი მთარ-
გმნელი იოსებ ბაქრაძე, ჩვენი დრამატურგი — ასკუ ცაგარელი,
მშენებელი ლექსების აეტორი რუს-იმერელი, ქუთათური მეფელე-
ტონე დათიყო მესხი, ნინო და ილია ნაეაშიძენი და ბევრი სხვა მსა-
ხიობიც, რომელთა გვარებიც ჩემს მიერ გამოცემულ სუნდუკიანცის
ქართული წიგნის „შენიშვნებში“ მაქეს მოხსენებული (1950 წ., გვ.
350). მმ სტრიქონების დამწერმაც, როგორც სცენისმოყვარემ, პირ-
ველად სუნდუკიანცის „კაკულათი“ ითდგა ფეხი სცენაზე!

*

ერთდროულად აღძრულმა ქართულმა და სომხურმა თეატრებმა
ერთნაირი ბედი და ერთნაირი მძიმე გზა გაიარეს. ორივე თეატრს
ჰყავდა დიდი ორტისტები და ორივე თეატრი დიდ უმწეო მდგომარე-
ობაში იმყოფებოდა. ოც დეკორაციები, ოც გარდერობი, ოც მუდ-
მიები შენობა, — ერთის სიტყვით, ამ ორი თეატრის არტისტებს ნიჭის
გარდა სხვა არაფერი გააჩნდათ. ჩვენი მსახიობები, ვიდრე არწიუნის
მიერ აგებულ თეატრში გადაეიდოდნენ, ალალბედზე ყველგან დგამ-

დნენ პიესებს, სადაც კი ტახტი დაიდგმებოდა და ზეწარი გაიბმებოდა...

თუ რა დამცირებას იტანდნენ მაშინდელი მსახიობები, მოყვავანოვა ორ მაგალითს: პირველი ვასო აბაშიძის ნაამბობია, მეორე — სუნდუკიანცის პიესას შეეხება (დავით გულაძიანმა გადმომცა):

„სამშობლო“ უნდა დაედგათ. რეესიორი მ. პ. ბეგუთაშვილი მოითხოვდა ახალ დეკორაციებს და ახალ ტანისამოსს. მეცენატ ივანე მუხრანბატონთან ფულის სასესხებლად გაგზავნეს ვასო აბაშიძე. ვასო აბაშიძე იმიტომ იორჩია დასმა, რომ ხმა დადიოდა მუხრანბატონს „მზის დაბნელებაში“ მხოლოდ მიყირტუმას (ვასო აბაშიძის) „შტუკა“ და მისი ცალფეხზე შემოტრიიალება მოეწონაო... „როგორც იყო მოვედი, — გვიამბობდა ვასო აბაშიძე თეატრის ახალგაზრდა მუშავებს ამ ორმოცი წლის წინათ, — უნდა იცოდეთ, რომ ივანე მუხრანბატონი მთხოვნელებს მხოლოდ სისხამ დილით, 7 საათზე იღებდა. დამაკიტყდა მეთქვა, რომ ეს იყო ზამთრის დღეებში, — მაშისადამე, ბნელოდა. ზარი ჩამოვკარი, კარი გაიღო. შევედი დარბაზში, არაერი არა სჩანდა, სილრმეში დავინახე მაგიდა, მაგიდაზე იყო ხელში დასაქერი პატარა ფარანი, — სწორედ ისეთი: აი, საღვერის მეისრეებს რომ აქვთ. მუხრანსკი მრგვალი ტანის კაცი იყო, მომცრო. სავარელში მოთავსებულიყო (მართლაც რომ მოთავსებულიყო) და ძლიერ მოსჩანდა. მიერალმე. ვერ მიცნო.

— დილა მშვიდობისა, ბატონო!

— გავიმარჯოს! რა, ალბათ თხოვნა გექნება რამე, არა?

— დიახ, ბატონო, ჩვენი დასი...

— რაო? დასიო! რის დასი, რა დასი!

— დიახ, ბატონო, ჩვენი დრამატული თეატრის დასი სდგამს დავით ერისთავის ახალ პიესას — „სამშობლოს“. ამ პიესის ისე იოლად დადგმა არ შეიძლება, ეს ხომ ვოდევილი არ არის, „ქატა-აჭინა“ ან „ბიძისათან გამოხუმრება“ ეს დრამა და ძლიერი დრამა საქართველოს წარსული ცხოვრებიდან...

— ჰო, სოქეი, ფული გინდათ, რაღა, — გამაწყვეტინა ქველმოქმედმა.

— დიახ, ხომ მოგეხსენებათ ახალი დეკორაციები, ახალი ტანისამოსი... ჩვენ კი, სულის გარდა, სხვა არაფერი გაგვაჩინია...

— ამას წინათ „მზის დაბნელებამ“ შემოსავალი არა დაგიტოვათარა?

— რას ბრძანებთ, ბატონო, რის ვაინაჩრობით ვკიხოვრობთ. იმ

წარმოდგენაშიც, თქვენ რომ ზრდანეთ, ცარიელი კუჭით გამოველი და
მშეერი ვხტოდი სცენაზე...

— დაიცა, — დაიცა, მაში ის შენ იყავი, რომ შეხტი და ცალფეხზე
შემოტრიალდი? მაში, ვასო აბაშიძე შენა ხარ?

— დიახ, ბატონო, მე გახლავართ!

— აი, გაგაჩინაგა ღმერთმა, — და დაიწყო სიცილი. მერე ხველა
აუტყდა და კინალამ დაიხრჩო, — ბარაქალა! ბარაქალა, აბა, ერთი,
თუ ღმერთი გწამს, აქაც შეხტი! აბა! აბა!

რა უნდა მექნა, — განავრდო ვასო აბაშიძემ, — არ შევმხტარიყა-
ვი და ვაი თუ გამებრაზებინა ფეოდალი, შევმხტარიყავი და ასე დი-
ლადრიან, ვიღაც მდიდრის წინაშე, ცირკის მასხარი ხომ არ კიყა-
ვი... ბოლოს, როგორც იყო (გამახსენდა თეატრის უმწეო მდგომარე-
ობა, „სამშობლოს“ პირველი დადგმა, დეკორაციების უქონლობა), იქ-
ნებ რამე დაცუინცლო-მეოქი, ერთი ჩემებურად შევხტი, მერე ცალ
ფეხზე შემოვტრიალდი და თან დავაყოლე — „ჯან კნიაზგან!“

იქ კი ველარ მოითმინა და ხველა და ხარხარი ერთმანეთში იერია.
როცა დაადინჯდა, აიღო ბანკის ჩეკი, ზედ 500 მანეთი დააწერა, მოხია
და გადმომცა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... მაშინვე გა-
მოვვარდი გარეთ და თეატრისაკენ მოვუსვი. მუხრანსკის ხარხარი კი-
დევ მესმოდა...“

მეორე მაგალითი სომხურ თეატრს ეხება. არ იქნა და არა მსახუ-
ობებმა სოვდაგარ მანთაშოვს პირჯეარი ვერ დააწერინეს და სომხუ-
რი თეატრის სასარგებლოდ ფული ვერ გადაადებინეს. მაშინ მსახიო-
ბებმა ასეთ ოინს მიმართეს:

მიდიოდა სუნდუკიანცის პიესა „ოსკან პეტროვიჩი სიიქიოს“. ამ
პიესაში სცენა წარმოადგენს ჯოჯოხეთს, საღაც ეშმაკები, ტარტარო-
ზები და ცოდვილი ხალხია გამოყავინილი. ამ ჯოჯოხეთში მოუთავსე-
ბიათ ყველა ის მეეაბშე ვაჭარი, რომელნიც სააქაოს „პატიოსან“ და
„ალალ-მართალ“ ხალხად ითვლებოდნენ. ერთმა მსახიობმა ასეთი
ხერხი იხმარა: გაიკეთა მდიდარ მანთაშოვის გრიმი და ეშმაკების მი-
ერ დაინთებულ ჯოჯოხეთის ალისაგან შეწუხებული აქეთ-იქით ეხე-
თქებოდა. პიესის მიხედვით ვაჭარი ისკან პეტროვიჩი მიუახლოვდა
თურმე მანთაშოვს და ეუბნება:

— მე კიდევ პო, ხალხს ვატყუებდი და ჯოჯოხეთში გამომგზავ-
ნეს, შენ? შენ რაღათ მოგიყვანეს? რის გულისთვის? შენ ხომ დიდი
ქველმოქმედის სახელი გქონდა გვარლინილი?

— იყი, რატომ? — უპასუხებს მანთაშოვი, — სომხური თეატ-

რის დასახმარებლად შესაწირავი ფული მთხოვეს, არ მივეცი და /ხომ
ხედავ, ჯოგოხეთში მიკრეს თავი.

მანთაშოვიც დასწრებია ამ სპექტაკლს. როცა პეტა გათხვებულა,
შესულა კულისებში, გაუხსნია ქისა და კარგა ბლობა თანხა შეუწი-
რავს სომხური თეატრის ასაღორძინებლად. „ოღონდ ამ მიქარევებს
თავი გაანებეთო“, — უთქვაშს არტისტებისათვის.

აი, ასე აიდგას ფეხი ძველმა არტისტებმა, ასე ტანჯვეთა და ჭამე-
ბით მიაღწიეს დიდი თეატრის საფეხურებს. მხოლოდ საქმისადმი სი-
ყვარულმა, მხოლოდ სამშობლოსადმი სიყვარულმა და ზოგიერთი
ჩვენი კორიფეის თავდადებულმა შჩომამ შეინახა ქართული თეატრი
და მოიყვანა იგი ჩვენს დიდ თანამედროვეობამდე, როდესაც თეატრი
და კულტურის სხვა დარგები პარტიისა და ხალხის ურთისებრო
მზრუნველობით არის გარემოცული.

ზემოთ ეთქვი:

ქართული და სომხური თეატრის ფხასხმულობა თითქმის ერთ და
იმავე დროს მოხდა... 1870 წელს!

სამოცდაათიანი წლების ნაყოფიერი ხანა იყო როგორც დიდი არ-
ტისტების გამოჩენის, ისე დრამატურგიის აღმაელობის მხრივ. „ორთ-
ვე დასი (ქართული და სომხური) დიდ მეცნიერებულ განწყობილებაში
იყვნენ. ის, რაც აკლდა ერთს, მოპქონდა მეორეს. თუ ერთი დასის
მსახიობს არა პქონდა [უსაქიოროესი რამ], ის მიმართავდა მეორე დასის
მსახიობს. ბენეფიციდან აღებული ფული იხარჯებოდა მეორე დას-
თან ერთად“ (სომხეთის სახალხო მსახიობ გრიგოლ ავეტისიანის მო-
გონებიდან).

კოტე მესხი თამამად გაიძახოდა: „...ჩვენ, ქართველ არტისტებს
თავი მოგვწონს, რომ ბედმა გვარგუნა სუნდუკიანცის გმირების მსა-
ხიობად ყოფნა ჩვენს დედაქალაქში“ (სუნდუკიანცის არქივიდან).

„აბანოს ბოლჩა“ პარალელურად მზადდებოდა როგორც სომხურ,
ისე ქართულ სცენაზე. სომხის გამოჩენილი მსახიობები ჩიმიშკიანი და
არაქსიანი ხშირად ქართულ ენაზე ასრულებდნენ — პირველი — „პე-
პოს“ და მეორე — „კაკულას“ როლს.

ქართული თეატრის მუდმივ დაში ირიცხებოდნენ: გედეონ მი-
რალიანი (გედევანოვი) და მელიქიანის ქალი. ვასო აბაშიძე, ანდრო
აღამიძე და ნ. ვოკირიძე არა ერთხელ გამოსულიან სომხურ ენაზე
ეპიზოდურ როლებში; სიღნაღმი 22 დეკემბერს, 1888 წელს, გ. სუნ-
დუკიანცის 25 წლის მოღვაწეობის იღსანიშნავ იუბილეზე, „პეპო“
ქართულად და სომხურად წარმოუდგენიათ — პირველი და უკანას-

ქნელი მოქმედება სომხურად, შუა მოქმედება ქართულად („ივერია“, 1889 წ., № 13). თბილისელი მსახიობი განო ტერ-გრიგორიანი, საც-ზეთო წერილსა და მოგონებებში დიდი სიყვარულით იხსენიებს ქართული თეატრის მოღვაწეებს (ამ ავტორის ნაწერების თარგმნა 1917 წელს დაიწყო აკადემიკოსმა ივაკი შანიძემ... ნაწილი დაიბეჭდა კადეც ქართულ უურნალ „პრომეთეში“).^{*}

განა სუნდუკიანცის „პეპო“ პირველად იღიამ არ დაბეჭდდა თავის „ივერიაში“? განა ამ კულტურულ ურთიერთობას ხელს არ უწყობდნენ მაშინდელი პრესის წარმომადგენელნი: ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ნიკოლაძე, პ. უმიკაშვილი და სხვანი?^{**}

სუნდუკიანცის პიესები სავსეა ქართული ანდაზებით, ქართული გამოთქმებით, საესეა გრ. ორბელიანის და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებით, რომლებსაც, სხვათა შორის, ქართულად მღერიან სუნდუკიანცის სომხურ პიესებში და სხვ.

1891 წელს ქართულმა დასმა ივადმყოფ მსახიობ პეტროს ადამიანცის წარმოდგენა გაუმართა, რომლის მთელი შემოსავალი ნიჭიერ მსახიობს გადაეცა.

ქართველ და სომებს მსახიობთა მეგობრობის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ვასო აბაშიძის საბენეფისო საღმოზე, 1888 წ. 22 მარტს, ცნობილმა მხატვარმა გ. ბაშინჯალიანმა ცოცხალი სურათები დადგა საქართველოს ცხოვრებიდან.

თუ ამას დაუვამატებთ სომები და ქართველი მწერლების ნაყოფიერთ თანამშრომლობას თარგმნის საქმეში, მათ ცდას — ერთმანეთი-სათვის გაეცნოთ თავიანთი ლიტერატურის მხატვრული ნიმუშები, მა-შინ ცხადი გახდება ორი ერის საკუეთესო შვილთა შეგნებული მისწ-რაფება, ხალხში შეეტანათ ერთა ძმობის იდეა და ამით წინააღმდეგობა გაეწიათ თეოთმპყრობელობისათვის, რომლის აგნტებიც ამიერ-ქავებისის ხალხებში შურსა და მტრობას იღვივებდნენ.

ასეთი იყო ძველი პროგრესული მოღვაწეების მეგობრობის იდეა. ჩემს ბიბლიოთეკაში ინახება ორც ისე იოლად საშოგარი გამოცემა,

* ჩრ კიდევ 1873 წელს, 25 ოქტომბერს, თბილისის თეატრში უთამაშინიათ ქართველიანცის 3 მოქმედებიანი დრამა „შეუსინიერ“. ამ ღრამის პირველი მოქმედება წარმოუდგენიათ სომხურად, ხოლო დანარჩენი ორი მოქმედება — ქართულად (იხ. „ღროვა“, 1873 წ., № 41).

** სწორედ სერგეი მესხის ჩედაქცეული მოხდა გან. „შეაეის“ პროგრამის ჩამოყალიბება ქართველი მწერლების მონაწილეობით.

„Тифлисский журнал“, სადაც რედაქტორი (ჯაბარი) გაბრიელის ახალგაზრდობის პერიოდს იკონებს! იგი წერს: „სუნდუკიანცი კარგად უკრავდა თარზე, საზოგადოთ მას ძალიან უყვარდა ქალაქური შესიკა. განსვენებული სუნდუკიანცი აღტაცებული იყო ნატო გაბურიას სიმღერით. ერთხელ შემოვიდა ჩემთან, დაინახა გრამაფონი და მოხოვა, რომ დამეკრა. მე ავიღე გაბუნიას ჩანამღერი „სულო ბოროტოს“ ფირფიტა და გრამაფონი ავამუშავე. სუნდუკიანცი ყურადღებით ისმენდა გაბუნიას ხმას, ბოლოს ცრემლი მოერიო და წარმოსთქვა: „საბრალო ნატო!“ შემდეგ განაგრძო: „დიალ! ნატო და ვასო (აბაშიძე) შესანიშნავი მსახიობები იყვნენ. იმათი მოსმენა ერთი სიამოვნება იყო! საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ ჩემი პირ სები ჭირთულ თეატრში ხშირად უკავთ სად მიდიოდა, ვიდრე სომხებ სცენაზე“ („Тифлисск. журнал“, 1913 წ., № 11).

ეს რომ ასეა, ამას, ავტორის გარდა, იმდროინდელი პრესაც დღისტურებს (იხ. „Тифлисск. Вестник“, 1879 წ., №№ 211 და 216; „ივორია“, 1886 წ., № 44 — ვალერიან გუნიას სტატია და მოსკოველი კორესპონდენტი, უკანასკნელს „პეტო“ კორშის თეატრში უნახეს სომხურად — „ივერია“, 1886 წ., № 271).

როგორ ასრულებდნენ ქართველი არტისტები სუნდუკიანცის პიესებს? პასუხი მოკლეა:

— ჩინებულად!

ეს აღმათ იმიტომ, რომ სუნდუკიანცს, როგორც საქართველოს დედაქალაქში დაბადებულს და ოლზრდილს, უმთავრესად თბილისის ცხოვრება ქვეს აწერილი და მისი დაკვირვებული თვალი თბილისის ცხოვრებას უფრო კარგად ხედავს.

მაյო საფაროე-აბაშიძისა (ხატალია, ეფემია), ვასო აბაშიძე (ისათა, გიქმოზე, ოსეანა), ნატო გაბუნია-ცაგარლისა (ხამფერა, ხახო, მათო), კოტე ყიფიანი (გიქო, ზამბახოვი), — აი ის ოთხი დედაბოძი, რომელსაც ეყრდნობოდა ახლად ილორძინებული ქართული თეატრი.

მეც მოვესწარი ზოგიერთებს და უნდა აღვნიშნო ძველი მსახიობის ერთი კარგი თვისება. შესანიშნავი მიმიკის და დიქციის გარდა, მათ ჰქონდათ საჭირო და აუცილებელი ინტონაციის მიგნების ნიში, ფრაზის ისეთი კილოთი თქმა და აუღერება, რომელიც მაყურებელს მოელის სიღრმით აგრძნობინებდა გმირის სულის მოძრაობას, მისი განწყობილების სხვადასხვაობას.

ცნობილი იტალიელი მსახიობი ტომაზო სალვინი თავის „მემუარებში“ იგონებს არანაკლებ ცნობილ არტისტის ერნესტო როსის

მიერ შთავონებით თქმულ ერთ ფრაზას და შემდეგსა წერს: „მე არ მგონია, იყოს ისეთი მსახიობი, რომელიც „მიუვარხარ“ ისე დამზღვებრივად ამბობდეს, როგორც ამას სჩიდოოდა ერნესტო როსიო!“ ამას განა ჩვენთანაც ასე არ იყო?

მაგალითად, „მარგარიტა გოტიში“, როცა არმანი უკიცინებს მარგარიტას „მე შენ არ გიყვარვარო“, იცით როგორ უპასუხებს ნერა ჩხეიძე ამ უმართებულო ფრაზას: „როგორ, მე, არ მმიყ...“ მსახიობი აქ სწყვეტს და დანარჩენს გულს ათქმევინებს.

მე ახლაც ყურში ჩამესმის ვ- ვუნის მიერ განწირული ხმით თქმული ერთი სიტყვა „ოტელოში“ (დახრჩობის შემდეგ) — „დეზდემონ-ნენაა...“ ან ლადო მესხიშვილის (ურიელის) გულჩამქვდარი სიტყვები ივლითის რაბინებთან გადასელის გამო: „ისიც გამშორდა!

„ხათაბალაშიც“ ასე ყოფილა: კორე ყიფიანი რომ იტყოდა: „მე ვერასიმ იყულის ზამბახოვს მედახიან!“ — მაყურებელი გრძნობდა ამ ფრაზის სიძლიერეს. ამას მაშინდელი პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა („ივერია“, 1887 წ., № 36).

*

თუ სუნდუკიანცის პიესები ასეთი სოციალური და მხატვრული სიმართლით ყლერდნენ, ეს აისხნება იმითაც, რომ ამ პიესებში მთელი დასი ხმაშეწყობილი გამოდიოდა. ყველა მსახიობი, თვით პატარა როლის შემსრულებელიც კი, დაკვირვებით და უაღრესი გულისხმიერებით ჰქმნიდა ავტორისაგან ჩაფიქრებულ სახეს. სუნდუკიანცის პიესების სცენიური განსახიერება, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ნამდვილი ანსამბლური წარმოდგენები იყო და რაომ მერე? იმიტომ, რომ ამ სპექტაკლებს ჰყავდა ერთი რეჟისორ-ხელმძღვანელი და ეს იყო თვითონ ავტორი, — იგი შესანიშნავ რეჟისორობას უწევდა მსახიობთა მთელ კოლექტივს, რომელიც მის პიესებს სცენიურებდა (ამუშავებდა მიზანსცენებს, აეკირდებოდა გრიმს, ჩატულობას და სხვ.). ეს ხაზგასმით აქვს აღნიშნული იმდროინდელ გაზეთებს:

„ძვირად გვინახავს, — წერს განეთი „დროება“, — ჩვენ ამისთან კოერელის მხრით ჩინებული და თითქმის უნაკლო თამაშობა და წარმოდგენა, როგორც ამ გასულ სამშაბათს; თითქო ყველა მოთამაშე თავის როლისათვის იყვნენ გაჩენილიო, თითქო პიესა განსაკუთრებით ამ მოთამაშეებისთვის არის დაწერილიო, ისე მოხდენილად, ისე უნაკლოდ თამაშობდნენ ყველანი. ეს უნაკლულოვნება წარმოდგენისა

უმთავრესად, ჩვენის აზრით, იმას უნდა მიეწერებოდეს, რომ მოჰა-
მაშეებს რიგიანი და, როგორც თვითონ ისინი მხბობენ, ერთობ სასა-
ტიკი რეეისორი ჰყვანდათ — უფალი იეტორი, რომლის წყალობითაც
წარმოდგენას გარეგანის მხრით და თამაშის მხრითაც თითქმის სრუ-
ლიად წუნი არა ჰქონია. მაყურებლები სრულის კმაყოფილებით გამო-
ვიდნენ თეატრიდან, ყველა დარწმუნდა, ვინც დღემდი დარწმუნებუ-
ლი არ იყო, რომ თუ ოდესმე ქართველებს თავის საკუთარი თეატრი
ელიტსა, მოთამაშეები არ შემოაკლდება. რომელ სცენას არ დამშვე-
ხებენ იმისთანა მოთამაშეები, მაგალითად, როგორც ვის. იბაშიძე,
პ. ყიფიანი, ელენე ყიფიანისა და სხვ.“ („დროება“, 1877 წ., № 38).

გ. სუნდუკიანცის პიესების ტიპაჟი არ იყო სრულიად უცნობი.


განა გ. ერისთავის მიერტუმა იგივე ოსეფა არ არის? განა რუ-
სეთში გაზრდილი ივანე („გაყრა“), იგივე მიხეილი ან გიორგი მასისი-
ანცი არ არის? განა „დაქუცული ოჯახის“ ლოტოს ამბები, იმავე
გ. ერისთავის ლოტოს ამბებს არ ჩამოჰვაეს (იხ. „შეშლილი“)? წარ-
მოიდგინეთ, „ხათაბალის“ ერთი სცენა, ლამაზი ქილის ნაცვლად მა-
ხინჯის შეტყუების ცდა „მეჯლანუაშვილშიც“ გვევდება, „ქაურა აღა-
მიაშიც“ და ბევრ სხვა ქართულ და სომხურ ნაწარმოებში. ალბათ, ეს
იყო ეპოქის დამახსიათებელი მოარელი სიუჟეტი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გაბრიელ სუნდუკიანცმა თავის პიე-
სებში ასახა ახალი ეტაპი თბილისის სახოვალოებრივი ცხოვრებისა, ის
ეტაპი, როცა მტკიცედ იყიდებდა ფეხს სავაჭრო ბურეუაზია, როცა
გიორგი ერისთავის დროინდელი ნახევრად ბატონიშვილი ურთიერთო-
ბა იცელებოდა ბურეუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობით და
ვაჭრული ინტერესები უპირისპირდებოდა არა მარტო თავადაზნაურო-
ბის, არამედ წერილი ხელოსნების და ქალაქის ღარიბი მშრომელი მო-
სახლეობის ინტერესებს.

იცოდნენ რა დრამატული დასების ხელმძღვანელებმა თუ რა დიდ
როლს ასრულებდა გაბრიელ სუნდუკიანცი თავისი პიესების სცენი-
ურ გამართვასა და მხატვრულ ასახვაში, ხშირად იწვევდნენ მას პიე-
სის იდეურ ჩამონებლად, დამდგმელ-რეეისორად, ასე რომ, შეიძლება
თამაშად ითქვას, გაბრიელ სუნდუკიანცის პიესები უგაბრიელოდ იშ-
ვიათად დადგმულა!

გაბრიელ სუნდუკიანცის დიდ მხატვრულ გემოვნებაზე, თეატრა-
ლური ხელოვნებით გატაცებაზე, თეატრის მოღვაწეებთან მის სათუთ
და გულისხმიერ მოპყრობაზე, მის იშვიათ რეეისორულ ნიჭი, —

დაწვრილებით მოგვითხობს ქართული სცენის სიამაყე, მისი უმც-
როსი თანამედროვე მაქო-საფაროვა-აბაშიძისა.



აი, ეს მოგონებაც:

„ერთ დღეს გვითხრეს, რომ ხვალ მოელი დასი გ. სუნდუკიანც-
თანა ვართ მიწვეულები სადილათ და იქვე უნდა წავიკითხოთ პიესათ,—
წერს მ. საფაროვა-აბაშიძისა, — რამდენადაც მახსოვს, ეს პიესა იყო
„ხათაბალა“.

მაშინდელი დასის შემადგენლობა ძალიან პატარა იყო. მოელ დას-
ში შედიოდა ათი-თორმეტი კაცი. სახელდობრ იყვნენ: პატივცემულ-
ნი კოტე ყიფიანი, ნატალია გაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, შიშ-
ნიაშვილი, მძინაროვი, მარიამ საფაროვი, ადამ ჩუბინოვი, ზალიკ მა-
ჩაბელი, მაშო ყიფიანი, ბ. კორინთელი, ავქსენტი ცაგარელი და გრი-
გოლ ყიფშიძე.

ასეთ ცაგარელი იყო სუფლიორი, გიგო ყიფშიძე სცენარიუსი და
ადამ ჩუბინოვი აღმინისტრატორი. ყველა ზემოხსენებულ მსახიობებმა
მოვიყარეთ ერთად თავი და გავემართენით სოლლაკისკენ, სადაც
სცენოვრობდა განსვენებული სუნდუკიანცი. მიველით, აგვიყვანეს ზე-
მო სართულში. წინ მოგვევება თვით გაბრიელ სუნდუკიანცი, შვე-
ნიერი სახის ვაჟკაცი, მომცინარე სახით, პატარა ულვაშებით, ერთი
სიტყვით წარმოსადევგი ვაჟკაცი.

ჯერ სადილათ მიგეიძატიუა. შვენიერი სუფრა გავვიმართა.

სადილი რომ გავათავეთ, ავიშალენით, გაველით საღარბაზო ოთახ-
ში. იქიდანეე სტუმართმოყვარე მასპინძელმა მიგვითითა თავის კაბი-
ნეტშედ: „აი, ესეც ჩემი სამუშაო ოთახი“—ო.

შემოვუსხედით მაგიდის გარშემო. დავიწყეთ პიესის კითხვა. თან
ყველა ჩვენთაგანს განსვენებული გვეუბნებოდა: „აი, გენაცვალე, ეს
ოქენე უნდა ითამაშოთ და კარგად უგდეთ ყური“—ო. რასაკეირეველია,
გვიხსნიდა სათითაოთ რა ხასიათის ტიპი უნდა განვეხსახიერებინა.
როცა გავათავეთ კითხვა, ავიშალენით ალტაცებულნი პიესის შინა-
არსით. გაბრიელმა ერთხანს თვით გამოვაცილა და გამოთხოვებისას
გვითხრა: „აბა, ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ეხლა ჩემი პიესის
ბედ-ილბალი თქვენ ხელშიაო“.

თეატრი მაშინ იკვებებოდა სუნდუკიანცის პიესებით. მე მახსოვს,
როდესაც გაგვიჭირდებოდა, იმისი პიესები იყო ჩვენი გაჭირების
ტალავესი. ამ პატივცემული ავტორის პიესებს ჩვენ თითქმის უნაკლოდ
ვთამაშობდით და შემოსავალიც კარგი გვექნდა. როცა სუნდუკიან-
ცის პიესები მიღიოდა, ავტორი არანაკლებ ორ რეპეტიციაზედ დაესწ-

რებოდა, თუნდ აფერაც გვერდოდა ის პიესა ნათამაშევი, ყველაზე გვერდოდა, მსახიობებზედ უფრო თვეოთონ ლელავდა, სრულად უმნიშვნელო როლის შემსრულებელი რომ ენახა გამოცელილი, სასტუკ ყურადღებას მიაქცევდა და გვეტყოდა: „გენაცვალეთ, შეილებო, ამა და ამ როლის შემსრულებელი გამოგიცელით და თუ შეიძლება, ჯერ ის ადგილი გავიაროთ“. მისი მოსკვლა ყველაში აღფრთოვანებას გამოიწვევდა ხოლმე.

მახსოვს, ერთხელ „ხათაბალაში“ ნატალის როლი უნდა მეთამიშნა. შემოვიდა ჩემს საპირფარეშოში და, რომ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, სახეზედ სიამოვნების ღიმილი გადაეშალა: მითხრა „აბა, რა გიოხრა, შვილო, დუშვაზან, სანამ შენ ცოცხალი ხარ, ჩემი ნატალია და ეფემიაც იცოცხლებენ. მართლა, გენაცვალე, აბა, დღეს ხმაზედ როგორა ხარო?“ „ეერა ვარ, გაბრიელ ნიკიტიჩ, კარგად და არ ვიცი, ჩემი საქმე როგორ იქნება-მეთქი“, — ვუპასუხე. „მაშ, აი, გენაცვალე, რას გეტყვი, ხომ იცი საცა ვწივარ, სიმღერის დროს მე გამომხედე, თუ ასე ეზივარ (და დაიკრიფა გულ-ხელი), ნუ გაიმეორებ სიმღერას, თუ ასე გაშლილი მილავია კრესლოს ფრთხებზედ ხელები, მაშინ ნუ გვშინიან, წადი და წადი, რამდენჯერაც გთხოვონ, გაიმეორეო“. ამის შემდეგ განსვენებულს მე აღარ შევხვედრივარ ივადმყოფობის გამო...

ეიხრი მდაბლად თავს ნიჭიერი მწერლის ხსოვნის წინაშე.

მარიამ საფარო კაბინეტი

(„კომენტი“, 1926 წ., № 9).

სუნდუკიანცი იყო ჰეშმარიტი მოქალაქე, თბილისის რომანტიკოსი, მისი ერთგული აშეიკ. იგი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ „ქართული მიწით იყო გაზრდილი“... როცა რაფიელ ერისთავის საიუბილეო ბანკეტზე „სომხის დრამატურგის სუნდუკიანცის სადღეგრძელო დალიეს“, გაბრიელ სუნდუკიანცმა საპასუხოდ აი რა მოახსენა სახოგადოებას: „მე კერძო სადღეგრძელოს ღირსი არა ვარ დღეს, რაღვან ყოველივე ამისთანა სადღეგრძელო მარტო ჩვენს იუბილარს ეკუთვნის. ამისაც მოვახსენებთ ჩვენი გვარის მაგიერათ, რომ ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჭირის და ლხინის მუდამ თანამზარენი კუთხილვართ და ვიქნებით“ (იხ. რ. ერისთავისადმი მიძღვნილი კრებული: „საერთო დღესასწაული“, 1899 წ., გვ. 37).

როგორც ვხედავთ, ამ დღიდ სომებს, ამ უდიდეს მოამაგეს თავისი

ერისას, უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. ყველგან და ყოველთვის უდიდესი მოქრძალებითა და პატივისცემით აღნიშნავდა იმ მნიშვნელოვან როლს, საქართველომ რომ ითამაშა მის ცხოვრებაში. იგი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ სთვლიდა. „მე ამ ქვეყნის შვილი ვარ, — ასე დაათავა სუნდუკიანცმა თავისი სამადლობელი სიტყვა „პეპოს“ იუბილეზე, — საქართველო მიყვარს როგორც ჩემი სამშობლო, ქართველები — როგორც ჩემი ძმები და შვილები; ამდენი პატივისცემა ჩემს მცირე ღვაწლს არ შეეფერება და ეს მოასწავებს მხოლოდ თქვენს გულეკათილობას“, („ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 1452).

ვისაც კი ერთხელ უნახავს გაბრიელ სუნდუკიანცი, ის არასოდეს არ დაიკიტყებს ამ იშვიათ და დაკვირვებულ ადამიანს. იგი ყოველთვის ფაქიზი და თავაზიანი იყო — ადამიანური გრძნობებით იღსავს. მოუხედავად იმისა, რომ გაბრიელის მამა არ იყო დარიბი და თეოთონაც თავის ნამსახურობის გამო საქმით შეძლებაც პქონდა (პონორარი არასოდეს არ აულია), — სულით და გულით ჩაგრულების მხარეზე იყო. საარქივო ძალაში შიხედვით მტკიცდება, რომ ამქართა აჯანყების დროს სუნდუკიანცი აჯანყებულ ხელოსნებს ესარჩელებოდა და ქალაქის თავის შერმაზან ეართახოვის წინააღმდეგ აქეზებდა მათ.

განსაკუთრებით უყვარდა ჩეენებური ტიპები — ქირთული მტკიცარის მებაღურები; ექიმი ბავრატ ნავასარდიანი იგონებს გაბრიელ სუნდუკიანცის სიყვარულს დაბალი ხალხისადმი და ამბობს, რომ „ერთხელ გაბრიელმა ერთ უცნობ მეთევზეს შვილი მოანათვლინა, რომელიც ბაყალხანაში ვნახეთ და ძალიან ჰვავდა პეპოსაო“ („დროშა“, 1932 წ., № 6 — ვანო ბუთლიაშვილის ჩაწერილი).

ამასთან დაევშირებით უნდა ითქვას და, — ალბათ, ბევრმა არ იცის, — რომ პეპოს ტიპი აეტორისათვის ჩაუგონებია გრიგოლ ორბელიანის ლექსის პერსონაჟს „ლოპიანას“.

ამ, საბოთებიც:

სომხურ ურნალ „აღმოსავლეთში“ (1910 წ., № 7272) დაბეჭდილია მოგონებაზი გაბრიელ სუნდუკიანცზე. წერილის ავტორს მიუმართავს დრამატურგისათვის შემდეგი კითხვები:

— თქვენ გქონდათ წინასწარ პეპოს ტიპის ჩანასახი?

— არა, პეპო მთლიანად ორიგინალური განსახიერებაა მშრომელი კინტოსი.

მე გვახსენი, — წერს მოგონების ავტორი, რომ პეპოს პირველი

წარმოდგენის დროს გ. ორწერებს შეუნიშნავს: პეპო ნამდევილი შერმელის წარმომადგენელი არ არის, იგი საქმიალ დიდი თამასუქისახასაც კითხს უნდება და დასაც დიდი მზითვით ათხოვებს.

— დიახ, — უპასუხნია სუნდუკიანცს, — პეპოს მამას პეპონია კერძო საკუთრება, მაგრამ თვით პეპოს, როგორც მემკვიდრეს, არაეთარი სიმღიდრე არ დარჩენია და ცხოვრობს მხოლოდ საკუთარი შრომით.

ამის შემდეგ, — განიგრძობს მოგონების აეტორი, — სუნდუკიანცმა მიამბო, რომ მებადურის ტიპით დიდი ხანია რაც დაინტერესებული ყოფილა; ეს იყო მიზეზი, რომ სუნდუკიანცს განსაკუთრებული პატივისცემით და აღმრთოვანებით უყვარდა ქართველი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ერთი ცნობილი ლექსი მეთვეზის შესახებ.

— მეთვეზე ლოპიანა, — უთქამს სუნდუკიანცს, — ცნობილი პიროვნება იყო. მის შესახებ ამბობენ, — რომ ის, ლოპიანა, თავის გავლენით და შუამავლობით ბევრს დავრღომილს ესარჩელებოდა და ბევრი ბრაზიანი თავადიც მოურბილებია. ის, სწორედ ეს მეთვეზე გამოვიყანე ჩემი პიტის გმირად (იხ. სომხურ ენაზე სუნდუკიანცის ერთტომეული, ს. პარუთუნიანის რედაქციით, 1934 წ., გვ. 499).

ლოპიანასა და პეპოს შორის უკუკველად არის მსგავსება, მაგრამ მსგავსება გარეგნული და არა შინაგანი. პეპო მევახშეთა ნილაბის ჩამოხსნელია, ლოპიანა კი უფავრელია და გიებით მოლაპარაკე:


ჩემს დარტებსა ვინ ინალელის, ვინ არის,
ვის ჩად უნდა, ლოპიანა ვინ არის.

უკევლად მართალი იყო აკაკი წერეთელი, როცა ამ ორ ტიპს კი არ აერთებდა, არამედ ათავთავებდა, აუალევებდა ერთი მეორისაგან. აკაკი წერს:

„სუნდუკიანცის პეპო დიდათ განსხვავდება ლოპიანასაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს ნეტარებას, როცა საყვარელი ზედ წამწამზე უზის და ორთავეალის ბალებში ქეიფობს... პეპო კი ყველგან პეპოა, საღაც კი ალალი შრომა ამოძრავებს“ („იკერია“, 1901 წ., № 170).

საზოგადოდ აკაკი — როგორც ორი ერთს შემაერთებელი ხილი — დიორ წევანდარია სუნდუკიცისა და მისი ტიპებისა. თავის დროზე ვის არ უნახავს ეს ორი ოდამიანი ერთად ხელკავით მოსიარულენი რუსთაველის პროსპექტზე? ვინ იცის რამდენჯერ ულაპარაკნიათ და უოცნებით მათ ამ ორი ხალხის ჰეშმარიტად ძმურ მეგობრობაზე, რომელიც მხოლოდ ჩეენს ეპოქაში განხორციელდა.

აყავიშ გაბრიელ სუნდუკიანცს სამი ლექსი უძღვნა და სამივე სავსეა სიყვარულით, სიხარულით, სითბოთი და სიტყბოთი.



გაბრიელ სუნდუკიანცს

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მეგრამ ძმები ეართ ერთმანეთისა,
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიღამისი და ერთი მთისა!

კაეკაზმა დიდმა და ქედმალმშა
გაადგადა შენი ბუნება
და ამ მიღამომ, ყვავილოვანმა,
აგილერადა სამოდ ვნება.

ფერად-ფერადი ვნებათა ლელვა
შენს თხზულებაში უხვად ჩაქსოვი
და უკვდავება საშეილიშვილო
შეისისხლხორცე და მოიპოვე!

ამ ურიცხვ ხალხის გრძნობას და სურვეილს
შეც შეუურთებ ამ ჩემს სულისთქმის
და თაყვანისა გუემ, ღიღი მოლვაწევ,
როგორც უმცროსი თავის უფროს ძმას.*

გაბრიელ სუნდუკიანცი ყველას ერთნაირად ჰქიბლავდა თავისი კეთილშობილებით, უანგარობით და თავმდაბლობით. ხშირად მისი უშუალობა ბაეშეურ მიამიტობამდე მიღიოდა — გატაცებით უყვარდა ბუნების სილამაზე, მხოლოდ ბუნებას შეეძლო თავდავიწყებამდე სი-ამოვნება განეცდევინებინა სანელოვანი მწერლისათვის. თვით გაზაფხულის უბრალო ყვავილებიც კი („ატმის ყვავილები“) მისი ტრუიალების საგანი იყო. მეტად საგულისხმოა ერთი მაგალითი სუნდუკიანცის ცხოვრებიდან, რომელსაც აყავი წერეთელი თავის „გახსენება-ში“ ასე გადმოგვეცმის:

„ერთხელ, ახალ გაზაფხულის დილას, მუშტაიღში ამოვყავი თავი. რასაკეირველია, იმ დროს იქ ხორცშესხმული არავინ სიანდა და მეც ჩემს ნებაზე დავიწყე ბალში სიარული. მოულოდნელად ერთმა რამემ გამაშტერა: შეაგულ ბალში ერთ ყვავილებად გაპენტილ ატმის ქვეშ თვალი მოკეარ გაბრიელ სუნდუკიანცს: ინ ხის ქვეშ მუხლებმოყრი-

* ეს ლექსი პირველად ა. აბაშელმა თარგმნა რესულად — „Новая речь“, 1910 წ., № 195.

ლი და ხელებ-მაღლა აპურობილი იყო, როგორც ქანდაკება. მე შევა-
რთი, ვიფიქრე: გადარეულა-მეთქი. უქანეე გამოვბრუნდი და წრეში
შემოვედი. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა აღტაცებული სუნდუკი-
ანცი და მომაყეირა: „აეაყი-ჯან, აქ რას უზიხარ? წამოდი, რა გიჩვე-
ნო, — დამავლო ხელი და მიმიყვანა იმ ატმის ხესთან, — ამა ვერ
ხედავ? რატომ არ დაემხობი და თაყვანს არ სცემ შშენიერების გამ-
ჩენს? მე კი ეს ერთი ხანია, ყოველ დილის მოვდივარ და ვლოცუ-
ლობ!“ („თემი“, 1912 წ., № 64).

ეს პატარა მოგონება ბევრს მეტყველებს გაბრიელ სუნდუკიან-
ცის სულიერ სისპერაკეზე და ჭეშმარიტ პოეტურ სულისკეთებაზე.
ჩვენს ძვირფას აყავის ეს სურათი აღუნიშნავი არ დარჩენია.

*

1912 წელს, 16 მარტს გაბრიელ სუნდუკიანცი გარდაიცვალა 87
წლის ასაკში.

სიკვდილამდე რეა თვით იდრე სუნდუკიანციმა დაწერა ანდერძი,
გაუგზავნა გაზ. „მშავის“ რედაქციას და სთხოვდა, რომ ჩემი სიკედი-
ლის შემდეგ გამოაქვეყნეო.

ეს ანდერძიც, როგორც სუნდუკიანცის მთელი მოლვაწეობა, წარ-
მოადგენს კეთილშობილების და დიდი პოეტური ბუნების მაჩვენე-
ბელ ადამიანურ დოკუმენტს. ამ იმაღლევებელ ანდერძში ცოცხლად
მოისმის სამშობლოს ბედნიერი მერმისისთვის გულანთებული პატრი-
ოტის ძახილი.

ჩვენ ამ „ანდერძს“, ამ მშვენიერ პოემას, მთლიანად მოვიყვანთ:
„მშვენილობით, მე წავედი, წავედი იმისთანა ალაგას, საიდანაც, რაც
ევეყანა არსებობს, არავინ არ დაბრუნებულა.

თქვენ კარგათ იყავით, დიდი დღე გქონდეთ, ჯანსალი იყავით, გუ-
ლით მხიარული, სულით წყნარი.

თუ ეისმესათეის რაიმე დამიშავებია, ვთხოვ მაპატიოს: ეისაც ჩემ-
თეის დაუშავებია რამ და ჩემი გული დაუდაგაეს, მეც ვაპატიებ წმინ-
დის გულით: სინდისმა არა პქენჯნოს არასოდეს მისი გული. ჩემი
დაკრძალვის დროს არავითარი სამზადისი საჭირო არ არის. სახლის
ავეგეულობას წელი არ ახლოთ, — ჩემს სამუშაო და საწოლ ოთა-
ხებსა, სადაც ჩემი საუკუნო ძილის ლოგინი უნდა მოამზადოთ. დანარ-
ჩენი ოთახები ისევე დასტოვეთ, როგორც არის, ვიდრე მე დამმარ-
ხევენ; მერე კი თქვენ იცით.

შავები არც ერთ ოთანში არ იყოს და თქვენც, ჩემო აზიზო სოფი-
ოვან და გულით საყვარელო შვილებო და შვილის შვილები (Chère Hé-
lène),* თუ რომ სრულებით შავებს არ ჩაიცვამთ, ძლიერ კარგს მიშება-
ამთ.

„ვენკები“ (გვირგვინი) ერთიც არ იყოს, არც სახლში, არც კარ-
ში, არც თქვენ შეუძვეთოთ, არც სხვისაგან მიიღოთ; აღრევე შეატ-
ყობინეთ, რომ არავის არ ეწყინოს.

კუბოში ჩამაწვინეთ შავი სერტუეით და ტყავის თეთრი ქუდით.

ჩემს დაქრძალვამდე, სახლში არავითარი პანაშვიდები არ გადაი-
ხადოთ! ჩემი სახლის მღვდელიც საქმარისია, რომ მომსელელთათვის
„მამაო ჩვენო“ სთქვას, როგორც აღრე მიღებული იყო. და თუ შო-
რეულებს და უცხოებს არ ეწყინებათ, ნუ მოვლენ ყოველ წამს და
ჩემ მეუღლესა და შვილებს ნუ აატირებენ ხელახლად.

მათგან, ვისაც ჰსურს თავის სიმწუხარე განაცხადოს ჩემი სიკვ-
დილის გამო, დევ, თავისი სადარბაზო ბარათი დასტოკოს შესავალში,
ანუ იქვე დავთარში თავისი სახელი და გვარი ჩასწეროს, როგორც
მიღებულია განათლებულ ქვეყნებში.

დამავიწყდა თავის ადგილის მეოქვა, რომ გაზეთები არ გაავსოთ
მრავალი და მახინჯი განცხადებებით და უაღგილო სიტყვებით, ვინ
არ იყის, რომ ყველასათვის, ვისაც მე ვუყვარდი, ძლიერ საყვარელი
და ძეირფასი ვიყავი. ამასთანავე, ამ სიტყვებს მრავალნი წაბატულო-
ბით მეტად მწარე და ძლიერი სიტყვებით განაცხადებენ ხოლმე.

მახლას!

ჩემი სიკვდილის განცხადება დასწერეთ უბრალოთ და ჩემს ხა-
რისხს ნუ გამოაცხადებთ.

„გაბრიელ სუნდუკიანც-ჰამმალი გარდაიცვალა (დრო), დაქრძალვა
მოხდება (დღე) დილის (საათი) განსენებულის ბინიდან“ და სხვა.

ჩემ დამირხვის დღეს მხოლოდ ერთი მღვდელი, ჩემი სახლის ხუ-
ცესი გამიძლევს წინ და ერთიც დიაკვანი. სხვა სამღვდელოება არ შე-
აწუხოთ და არ მოიწვიოთ.

ჩემი ნამსახურობის ჯვრები და ჩინები არც ბალიშებზე და არც
უბალიშოდ სრულებით არ იყოს.

ჩემს წინ მსვლელმა მღვდელმა და დიაკვანმა უჩუმრად მიმასევ-
ნონ სახლიდან ეკლესიაში და ეკლესიიდან საფლავამდე; გზაზე არა-
ვითარი გალობა და ლოცვა არ იყოს.

* ძეირფასო ელევ.

ქვირფასო სოფიოგან და ქვირფასო შვილებო, თქვენ ყოველთვის
ჰქვიანი ყოფილხართ: თქვენ იცით, როგორც გულს გაიმაგრებთ ჩემი
გაცილების დროს.

ბალდანინი და ცერემონიები სრულებით არ იყოს: მეტადღე ცერ-
ების თავზე ის ბუმბულის თაიგულები არამც და არამც არ იყოს,
რომელსაც მე ჰიქინაზე მოვყავდი. რვა მუშა და რვა კინტო მოიწყი-
ეთ, რიგრიგად ჩიტივით გამაფრენენ. იქნება მათ შორის პეპოც აღ-
მოჩნდეს; ეს ჩემს „პეპოსათვის“ დიდი პატივისცემა იქნება. დამმარ-
ხეთ, სადაც გსურთ. მე ვისურვებდი დედაჩემთან, მავრამ იქ ადგი-
ლი არ არის. ამასთან დაერძალულ ჩემს ბავშვების სამარეს არ შეე-
ხოთ. ჩემს საფლავზე არავითარი ძეგლი არ არის საჭირო; ერთი დიდი
ლოდი და ჩემი ჯნი!

ზედ ასე დაწერინეთ:

გ ი ბ რ ი ე ლ ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ც ი პ ა მ შ ა ლ . დ ი ი ბ ი დ ა
1825 წ. 29 ივნისს, გარდაიცვალა 191... წ.-ს.

თუ გულით გსურთ ჩემზე ძეგლის დადგმა და მის ლირი ვარ,
ეს ძეგლი ჩემს მაგიერ „პეპოს“ დაუდგით, საღაც მოსახდენი იქნება.
მთელი სხეულით იდგეს კვარცხლბეჭვე თავისი ტანსაცმელით, ქუდ-
დაბაზურული, ერთ ხელში არუთინას ბარათი ეჭიროს, მეორე ხელით
ბარათზე დაწერილს უჩევნებდეს. არუთინა კი ქუდმოხდილი და სერ-
თუკით პირშავად გვერდით იდგეს.

შევშ წარწერილი იყოს მხოლოდ ეს სიტყვები:

პ ე პ ო — „ეს მაგ მოსატეხ ხელით არ დაგიწერია?“

ძეგლი და კვარცხლბეჭვი თუჯისა იყოს ჩამოსხმული; ზედ არც ერთ
ალაგის ჩემი სახელი არ იყოს. ჩემი სურვილი ის არის მხოლოდ, რომ
ზევლას გულში და გონებაში დღედალამ გამაგრდეს ის აზრი, რომ სი-
ტყვის გატეხა (პაშაქრობა) დიდათ სასირცხვილო რამეა ადამიანისა-
თვის და ვინც თავის გალს არ იკისრებს, თავის მიერ მიცემულ სიტყ-
ვას არ შეასრულებს, თავის ხელმოწერილ ბარათზე უარს იტუვის, იგი
კაცი არ არის, რაც უნდა მაღლა იდგეს კაცთა შორის.

ეხლა შევუდგეთ ჩემი ნათქვამის შესრულებას.

პეპოს ძეგლის დადგმა ჯერ ძალიან შორს არის; ამისათვის ახლა-
ვე არვინ შესწუხდეთ და უბრალოდ დრო არ დაპეარგოთ. ჩემს დაერ-
ძალებს რაც ხარჯი მოუნდეს, ჩემი ვალია; ამის შესახებ ჩემი მეუღლე
და შვილები იხრუნვენ იმ პაწია ქონებიდან, რასაც ეტოვებ მათთვის.

ქელეხ-მელეხი სრულებით საჭირო არ არის; იმ დღის საწყლე-

პის სადილის ფული მიეცეს სომესთა საქველმიქმედო საზოგადოებრივ მათვეის დასარიგებლად.

დარჩა ჩემი დამარხვის წესრიგის შესრულება. ყველა ეს განახლილ იქმნეს ისე, როგორც ზემოდ დამიწერია.

მისითვის განსაკუთრებით ეთხოვ გაზ. „მშავის“ პატივცემულ რედაქციას, ჩემს გულითად კეთილმდომლებს, ჩემ თეალისჩინ მეუღლეს და შეიღებს. ეცალნენ და სიტყვასიტყვით შეასრულონ ჩემი ნათევამი და თხოვნა.

მშვიდობით იყავით,

მშვიდობით, ჩემო ძეირთასო სოფიოვან,

მშვიდობით, ძეირთასო შეიღებო,

მშვიდობით, საყვარელო მეგობრებო,

მშვიდობით, საყვარელო ადამიანებო, რომელ ეროვნებისა, ტომის და სარწმუნოებისაც უნდა იყოთ,

მშვიდობით, ჩემო საყვარელო ქალაქი ტფილისო,

მშვიდობით ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს.

ყველას სიყვარული ჩემს გულში ღრმად ჩამარხული თან მიმაქვს. მშვიდობით იყავით.

გ ა ბ რ ი ე ლ ს უ ნ დ უ კ ი ა ნ ც - ჟ ა შ მ ა ლ .*

14 ავგისტოს, 1911 წ., ბორჯომი.

*

ანდერძი პირნათლად და ზუსტად იქნა შესრულებული.

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო და სათაყვანებელო ეროვნებავ, ღმერთმა შენს სამშობლოს გაღირსოს!“

ასე გულისტყვილით ეთხოვებოდა მწერალი მრავალტანჯულ სომებ ხალხს. იგი ნატრობდა, რომ მას მოეპოვებინა ნამდვილი თავისუფლება, შეექმნა და აელორძინებინა საყოთარი სამშობლო. გ. სუნდუკიანგი ხედავდა, რომ მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო ხალხის სრული თავისუფლება, მაგრამ ურყევეად სჯეროდა, რომ დაგებოდა დრო, როცა სომები ხალხი შექმნიდა თავის სამშობლოს, და-

* ჟამშალ — გ. სოჭუიანცის ფსევდონიმი იყო (პამხალ — „კურტნიანი მუშა“).

ფასდებოდა შრომა და პატიოსნება, სრული ძალით გაიფურჩქნებოდა ერის მატერიალური და სულიერი კულტურა. ეს ლამაზი და კეთილშობილი ოცნება ღიღი მწერლისა გამართლდა. ღიღი იქტიმბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მიანიჭა სომებ ხალხს საკუთარი სამშობლო, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობა და ეროვნული განახლების შესაძლებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ამიერკავკასიის ხალხებმა უდიდეს ეკონომიკურ და კულტურულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს მრკიც და ურჩევე მეგობრობა გადაიქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მძღვრი აღორძინების საფუძვლად.

ჩვენ ამ დიადი მეგობრობის სამსახურში მუდამ უნდა გვასოვდეს ის ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც თავისი ხალხის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაზე ოცნებობდნენ და რომელთაც თავიანთი ქვეყნის თავისუფლება და ბედნიერება ვერ წარმოედგინათ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის გარეშე.

ჩვენი ვალია, საბჭოთა კულტურის შემოქმედი ძალების წმინდა და საპატიო ვალია, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ცოდნა, ნიჭი და უნარი, რადგან ეს მეგობრობა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური სიმრკიცის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და დასაყრდენია.

ვინც მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია!

1950 წ.

გოგოლის „რევიზორი“ ჩართულ სცენაზე

„დი, ნახვთ, რომ ეკრობა ჩვენთან მოვა არა სელისა და ქონის საყიდლად, არამედ სიბრძნის შესაძნელ, რაც უკვე აღარ იყიდება ეკრობის ბაზრებზე“.

გოგოლი

ქართული ლიტერატურისა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწენი ყოველთვის დიდად აფასებდნენ რუსული თეატრისა და დრამატურგის მნიშვნელობას სათეატრო ხელოვნების განვითარებაში. ქართუ-

ლი თეატრი და ქართული ლიტერატურა თავისი განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე გაბედულად სარგებლობდა რუსული თეატრის მიღწევებითა და გამოცდილებით. ქართული თეატრი არასოდეს არა უშინდებოდა სიძნელეებს და ორ გაურბოდა რუსული პიესების დადგმას. რუსული დრამატურგიის თითქმის ყველა საუკეთესო ქმნილება, თავიანთი სირთულისა და სპეციფიკის მიუხედავად, სხვადასხვა დროს დადგმული ყოფილა ქართულ სცენაზე. ამით ქართული თეატრი და მისი მოწინავე მოლვაწენი განამტკიცებდნენ რუსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას, წინ სწევდნენ და ანეითარებდნენ ეროვნულ თეატრალურ კულტურას. კავშირი და შემოქმედებითი ურთიერთობა რუსულ კლასიკურ დრამატურგიასთან ჯერ კიდევ შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განმტკიცდა. ქართულ სცენაზე მეტყველდნენ ა. გრიბოედოვი, ა. ასტროვსკი, ა. სუხოვო-კობილიში, ნიკოლოზ გოგოლი, ლევ ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, მ. გორკი და სხვ. ქართული თეატრი დიდად დავალებულია ამ დრამატურგებისაგან.

ჩვენ ამეამად ვილაპარაკებთ საქართველოში „რევიზორის“ პირველი დადგმის შესახებ, გზადაგზა შევეხებით ზოგიერთ უცნობ და ახალ მასალებსაც გოგოლის სახელთან დაკავშირებით.

ქართულ სცენაზე „რევიზორი“ გაჩნდა ცოტა მოგვიანებით, სამოცდაათიან წლებში, ჯერ კიდევ ქართული პროფესიული თეატრის განახლებამდე. სცენისმოყვარეთა სპექტაკლებმა შეამზადეს ნიჭიერი აქტიორული ძალები, რომელიც 1879 წელს აღდგენილი ქართული პროფესიული თეატრის ძირითად ბირთვად შეიქმნენ. ეს სცენისმოყვარენი, ქართულ ორიგინალურ პიესებთან ერთად, რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებსაც ავრცელებდნენ ხალხში და სახელს უხვევდნენ.

გოგოლის „რევიზორი“ საქართველოში პირველად განსახიერებულ იქნა რუსული პროფესიული დასის მიერ ჯერ კიდევ 1856 წელს, თბილისში. 1867 წელს კი ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებმა ქუთაისის თეატრში რუსულ ენაზე წარმოადგინეს კომედიის ორი მოქმედება. გაზით „დროებაში“ ვეითხულობთ: „გიმნაზიელებმა წარმოადგინეს აქაურ თეატრში რუსულად „რევიზორის“ პირველი და უკანასკნელი მოქმედება“ („დროება“, 1867 წ., № 11). კორესპონდენტი აღნიშნავს, წარმოდგენამ კარგად ჩაიარაო.

ხოლო ქართულ ენაზე „რევიზორი“ პირველად დაიდგა თბილისში 1881 წელს, 19 აპრილს, პროფესიული თეატრის სცენაზე. როლებიც ასე იყო განაწილებული:

გოროლნისი — ანტონ ლორთქიფანიძე,
ხლესტაკოვი — ვასო აბაშიძე,
ოსიპი — კოტე ყოფიანი,
ლიანდენ-ტიანდენი — ჭავალ მაჩიაბელი,
ფორმერისტერი — მოხვევა [ალექსანდრე უაზბეგი],
ანი ანდრევანი — ნატო გაბურია,
მარია ანტონოვია — მაქო საფაროვანაშიძისა,
პოლიანდენი — ბაბი კოჩინთელი,
დობრინსკი — ნიკო თომაშვილი [შინშიაშვილი],
ბობრინსკი — ნოდარ ჭორჩაძე [საბულელი].

„რევიზორის“ დადგმის იდეა ეკუთხნოდა ვასო აბაშიძეს. რევიზორიდ ქუთაისიდან მოიწვიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ანტონ ლორთქიფანიძე (1847—1894). იმ სპექტაკლის განხორციელებაში დადი ლვაწლი მიუძღვის აკაკი წერეთელსაც, რომელიც იმ წლებში მციდროდ იყო დაკავშირებული თეატრთან და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ახალგაზრდა მსახიობებს.

ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ პირველად დადგმული „რევიზორის“ რეცენზია, რომელიც რუსულ გაზეთ „Кавказ“-შია მოთავსებული (ქართული გაზეთი არ გამოხმაურებია „რევიზორის“ პირველ დადგმას). რადგან დღემდე ჩეკნ მკელევარებს ეს ყოველმხრივ საყურადღებო წერილი შეუნიშნავი დარჩათ, ამიტომ ინტერესს მოქლებული არ იქნება, იგი მთლიანად მოვიყვანოთ ქართულად:

„კვირის, 19 აპრილს, ქართულ სცენაზე პირველად იქნა წარმოდგენილი გოგოლის კომედია „რევიზორი“. ხალხი, ვინც აქამდე უნდობლად ეკიდებოდა ადგილობრივ სცენებზე რუსულ წმინდა საყოფაცხოვრებო პიესების დადგმას, ხელმეორედ, თვალნათლივ უნდა დარწმუნებულიყო თავის შეხედულების მცდარობაში. სომხურ სცენაზე „ვაი ჰელისაგან“-ისა და ქართულ სცენაზე „რევიზორის“ დადგმამ საესებით დაამტკიცა, რომ ადგილობრივ სცენაზე რუსული ნაციონალური პიესები წარმატებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი. თუკი რუსულ ენაზე ჩეკნ კუუურებთ ათას ალფონსია და არმანს, მაშინ რატომლა უნდა გვეოცოს და გვეუცნაუროს ფამუსოები სომხურ ენაზე ან ხლესტაკოვი ქართულად მოუბარი? ეს პიესები მსახიობებს უხეიროდ რომ შეესრულებინათ, უკელა მაშინ აუცილებლად ბრალს იმას დასდებდა, რომ რუსული ყოფაცხოვრებითი პიესები ადგილობრივი სცენისათვის შეუფერებელი და გამოუყენებელიათ.

ალბათ, ქართველი მსახიობები გრძნობდნენ ამ ამოცანის მთელ სიმძიმეს და ამიტომ, სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან კეთილსინ-

დისერტაცი მოეკიდნენ თავიანთ საქმეს. პიესა რეპეტიციების დროს კარგად იყო მომზადებული, — და თუ არ მეხუთე მოქმედება, რომელმაც უხეიროდ ჩაიარა, — შესრულება ბრწყინვალედაც კა შეძლებოდა მიგეეჩნია. ხელსტაკოვის როლი, რომელიც რუსულ რეპერტუარში ერთ-ერთ უძნელეს როლად ითვლება, ბ-ნმა აბაშიძემ არტისტულად ითამაშა. ზომიერება მას სავსებით პქონდა დაცული, მთელი პიესის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაუმლაშებია, ეს კი, — გნებავთ თუ არ გნებავთ, — მნიშვნელოვანი ღირსებაა. აბაშიძის პირველი გამოსკლიდან მოყიდებული მაყურებელი ვრძნობდა, რომ მის წინ დგას მსახიობი, რომელსაც თავისი როლი ღრმად აქვს მოფიქრებული. მეორე მოქმედებაში, გოროდნიჩთან შეხვედრისას, ის მიუბადები იყო. საერთოდ მისმა თამაშმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოა. მან ტყუილად გაიკეთა (ფრაქტე) მუქშუშიანი პენსნე; ამას კაცმა მარტო უყიდურეს შემთხვევაში უნდა მიმართოს ხოლმე. მაყურებელი უნდა ხედავდეს მოთამაშის თვალებს; განა შეიძლება ფიზიონმიის, სახის თამაში უთვალებოდ? ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ის მეტისმეტად ცუდად იყო ჩაცმული, ისე ცუდად, როგორც პეტერბურგში ქარეასლის ნოქტებიც კი არ იცვამენ. რადგან ქართულ წარმოდგნათ შესახებ განეთებში რეცენზიები ძალიან იშვიათად იძევდება, ამიტომ ვსარგებლობთ შემთხვევით და ბ-ნ აბაშიძეს მიეუთითებთ ერთ ნაკლებ, რომელიც მას ჩქარა შეუძლია თავიდან მოშოროს. ჩეენ ელაპარაკებთ ერთ ჩვეულებაზე, რომელიც მას ბოლო ხანებში დასჩემდა — ფრაზის უკანასკნელ სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებს. ვოდევილებში ერთხელ, ორჯერ — კიდევ ჰო, შეიწყნარება, მაგრამ წარმარა ამის მოსმენა პირდაპირ აუტანელია, გოგოლის კომედიაში ხომ ეს სრულებით უადგილო.

გოროდნიჩის როლში პირველად თბილისის სცენაზე გამოვიდა ა. ლორთქეიფანიძე. ქართულ თეატრის ახალი რეჟისორი, რომელიც ქართულმა დრამატულმა სიხოგადოებამ“ დაინიშნა. როგორც სცენისმოყვარეს, როგორც სცენაზე ახლად გამოსულს, მას, რამაცერზელია, არც შეიძლება კაცმა ბევრი რამ მოსთხოვოს. სცენიური გამოცემდელობის გარდა, რაც პირველ ხანებში გარდუვალიცაა, მას არა აქვს მთლიან მკაფიო გამოთქმა, ისიც იმერული კილოთი. პეტეს საუკეთესო ადგილები მას დაეკარგა, რადგან არ იცის ეფექტური მდგომარეობისა და მარჯვე ფრაზის გამოყენება. სადაც გაცხარება უნდა, იქ ის მთლიან სუსტია. მეხუთე მოქმედების მონოლოგი, რომელიც შველაზე უფრო მაღლიანია და მქუხარე ტაშს იწვევს, თუკი კაცი

ოდნავ მაინც რიგიანად წარმოსთქვების, მას მეტად უფერული გამოე-
ვიდა, რასაც, სამწუხაროდ, საკმაოდ შეუწყო ხელი პიესის ბოლოს
ხმის დაკარგვაშ. ბ-ნ ლორთქიფანიძის თამაშში შესანიშნავი იყო: მეტა-
რე მოქმედება, როცა გორილი ხელსტაკოვს გამოეცხადება. საერ-
თოდ, მეორე მოქმედებამ არტისტულად ჩაიარა.

ოსიპი ოდნავადაც არ იყო ტიპიური. არ ვიცით, რამ აიძულა ბ-ნი
ყიფიანი, რომ ოსიპის წარმოსახეაში მან გვერდი აუქცია საყოველ-
თოდ მიღებულ ნიმუშს. გოვოლის ტიპები მთლად ჩამოყალიბებულ-
ნი არიან და რაიმე ახლის შექმნა სახიფათოცაა და უსარგებლოც. ბ-ნი
თომაშვილი დობჩინევის როლში კარიკატურული იყო; შეუდაჩებ-
ლივ უკეთესად ეჭირა თავი მის ამხანაგს ბობჩინევის — სცენისმოყ-
ვარის ნ. ჯორჯაძის სახით, რომელსაც საუცხოო გრიმი ჰქონდა. ნაფიც
მსახიობებს შორის თავის თამაშით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ
ბ-ნი მაჩაბელი ლიაპინ-ტიაპინის როლში და მოხევე ფონჩემენტერ
შეკვინის როლში. თურმე ბ-ნ მოხევესაც შესძლებია კარგი თამაში,
როცა როლი დასწავლილი აქვს. დანარჩენ პირებს თამაშობდნენ სცე-
ნისმოყვარენი, რომელიც თუმცა არ გამოირჩეოდნენ თავისი თამა-
შით, მაინც, მიუხედავად ამისა, ანსამბლს არ აფუჭებდნენ. ქალთა რო-
ლების შესრულება გაცილებით უკეთესი იყო. ქ-ნი გაბუნია ანა ანდ-
რევენას როლში და ქ-ნი საფაროვა მარია ანტონოვნას როლში მეტად
ტიპიურები იყვნენ. სამწუხაროდ, ერთ ადგილის ორივე მსახიობმა
ქალმა დიდი შეცდომა დაუშეა: როცა ხლესტაკოვი მარიას წინ უჩი-
ქებს, მაშინ ქ-ნმა გაბუნიამ, კარის გაღებისთანავე ეს სცენა რომ დაი-
ნახა, ოდნავადაც არ შეჰქივლა და დამშეიდებით დაუწყო თავის ქალს
„ტუქსვა“, ასე რომ შესანიშნავი ფრაზა „ოს! რა მოულოდნელი რეპრი-
მანდია!“ — სრულებით მიიჩქმალა. იგივე გააკეთა თავის მხრივ ქ-ნმა
საფაროვამაც. ის რამდენიმე ხანიც კი შეჩერდა კარებში, რათა დაშ-
ტებარიყო, თუ მისი საქმრო როგორ დგას წამოჩენილი მისი დედის
წინაშე და სრულიად დამშვიდებით „ოს! რა პასაეია“ შესცვალა ფრა-
ზით „რას ჩიდიხართ?“ ასე რომ დედის სიტყვებმა — „რა გიჟიეთ
შემოიშერით“ — ყოველგვარი აზრი დაპყარგეს. ამაში, რა თქმა უნ-
და, უფრო რეისორია დამნაშავე, ვიდრე პატივცემული მსახიობები,
რომელთაც, როგორც ამბობენ, არასოდეს არ უნახავთ „რევიზორი“
რესულ სცენაზე. პოლიოპეკინის როლს დიდი წარმატებით ასრულებ-
და ქ-ნი კორინთელი. საერთოდ ამ წარმოდგენისაგან საზოგადოებამ
სავებით კარგი შთაბეჭდილება მიიღო. კვირას იმავე სცენაზე იდგმე-

ბა ისტორიესკის „შემოსაელიანი აღგილი“ („კავკაზი“, 1881 წ., № 89, 24 აპრილი).

როგორც ვხედავთ, „რევიზორის“ პირველი ქართული წარმოდგენი ნა წარმატებით ჩატარებულა. ეს ხელმოუწერელი რეცენზია, რომელიც თეატრთან ახლო მდგომ პირვოვნებას უნდა ეკუთვნოდეს (შესაძლოა მიხ. ბებუთაშვილს), დაწერილია საქმის ცოდნით და ახალგაზრდა არტისტებისადმი სიყვარულით.

ნათარეგმნ პისებს შორის, რომლებიც იდგმებოდა ქართულ თეატრში, გოგოლის „რევიზორი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული, სახელმოხვევილი და ქართველი მაყურებლის მეტად სიყვარელი პისაა. იგი 1881 წლიდან მოყოლებული დღევანდელამდე არ მოშორებია ქართულ სცენას და ჩეენს რეპერტუარში საპატიო აღგილი უჭირავს.*

* „რევიზორის“ გარდა გენიალური შექრის რამდენიმე მოთხოვნა ქართულ ენაშე ჯერ კიდევ 70-იან წლებში გადაითარეგმნა. მისი ნაწარმოები თარეგმნეს: ვიონგი ჩიქოვანმა — „რაზეც მოუკიდათ ჩეუბი იგან იგანის იგან ნიკიფოროვითან“ („კრებული“, 1871 წ., № 2, 3, 4, 5); იგანე მესხმა — „შინელი“ („კრებული“, 1871 წ., № 4, 5); კორი მესხმა 1879 წელს სცენისათვის მცირედი შემცირებით თარეგმნა „შეშლილის წერილები“, რომელსაც პირველად „გილის დღიური“ უწოდა. ეს თარეგმნი კ. კაფაუანმა 1879 წ. 6 იელის წარიგოთა ქუთაისის თეატრის სცენაშე. „შეშლილის წერილები“ კ. მესხმა დაბეჭდა 1882 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 5); კომედია „რევიზორი“ პირველად უთარეგმნია გ. ი. სულხანიშვილს (იხ. „დროება“, 1876 წ., № 2), შავრამ თარეგმანის ტექსტს ჩეენამდე არ მოუღწევა, მეორედ თარეგმნა ცნობილია პედაგოგემ ალექსი ქიქენიძემ (არ დაბეჭდილა). გ. შერეფოლი კურნ. ძაღლში „მაზაეველის“ ფსევდონიმით უხება ამ თარეგმანს და წერს: „ასეთი მშევნეობი ენით ნათარეგმნი კომედია ჩეენს რეპერტუარში მცონი არა აქეთო“ („კედი“, 1895 წ., № 5, გვ. 16); „რევიზორი“ მესამედ თარეგმნა კ. გუნიამ, დაბეჭდა თარეგმნი — 1935 წ. და 1937 წ., მეოთხედ — რევიზორშია კ. ურულმა, რომელმაც 1947 წელს დაღვა სოხუმის სახელმწიფო თეატრში. ჩეენამდე მოლწეული ცნობების მიხედვით კ. კაფაუანს ჯერ კიდევ 70-იან წლებში უთარეგმნია „ქორწინება“ „ცოლის შერთვის“ სახელწოდებით („დროება“, 1876 წ., № 22); ი. ახალშენიშვილმა, ინანის ცეცელონიმით, თარეგმნა „ტარას ბულა“ (იხ. „მთამბე“, 1902 წ., № 6—11). დ. კასრაძემ — „მეცდარი სცენა“ 1937 წელს; იმავე ნაწარმოების ნაწყვეტები თარეგმნა და გაზეთ „მეცდარი“ გამოიქვეყნა ს. ფაშალიშვილმა; „ძეველი დროის მებატონენი“ თარეგმნა ი. სონიულაშვილმა (იხ. ს. გორგაძის და შ. თაბუკაშვილის „ქრესტომათია“, 1927 წ., გვ. 312), ლი. დეკანიშვილმა — „შინელი“ და „მისისი ლამე“ (გამოვიდა ცალკე წიგნიდ 1949 წ.); ა. შანშაშვილმა რუსთაველის სახელმობის თეატრისათვის თარეგმნა: „ქორწინება“, „განწეოს მოთამაშენი“ და „შეშლილის წერილები“ (1952 წ.); სახელგამის 1950 წელს გ. ტალიაშვილის ბოლოსიტუვაობით გამოსცა გოგოლის მოთხოვების მოზრდილი ქრებული, სადაც მოთავსებულია „საღამოები „დიკანეს მახლო-

თეოთმპყრობელობის მიერ დამონებული პატარა ერების თუატრების სცენაზე „რევიზორს“ ისეთი გამოხმაურება ჰქონდა, როგორც წამდეილ ჩევოლეციურ ნაწარმოებს. კომედიაში ისახული მოვლენები მაყურებელს ისე ახლოს ავონებდა ადგილობრივი ხელისუფლების თეოთნებობას, რომ ეს სპექტაკლები მრავალ ქალაქში ხშირად არსებული წყობილების საწინააღმდეგო ნამდვილ დემონსტრაციად გადაიცემდა ხოლმე.

100 წლიწადზე მეტია, რაც სცენაზე ცოცხლობს გენიალური კომედია „რევიზორი“. იგი ჩვენს მაყურებელს მარტო რუსეთის თავაღაზნაურთა და მებატონეთა შორეულ წარსულზე როდი მოუთხობას. არა! ახლაც კი, ჩვენს დროშიც ის საშუალებას იძლევა ანალოგით გადავიდეთ იმ სამყაროში, სადაც ამჟამად ბრძანებლობენ ექსპლოატატორები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი აგრესიული პოლიტიკით მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს თმი და ოდიგარი მოახეიონ თავზე.

გოგოლი თეატრს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ეს ისეთი კათედრაა, — წერდა იგი, — სიღდანაც ქვეყანას ბევრი რამ კეთილი შეიძლება ეთქვასო“. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ გოგოლმა „რევიზორის“ სიუჟეტად აიღო მაშინდელი რუსეთის სინამდვილის ტანიური მოვლენები. კომედიაში სარკესავით აისახა ნიკოლოზ პირველის დროინდელი უხამსი ზნე და ჩვევები.

როგორც გოგოლი მოგვითხოვთ აღსაჩებაში“, „რევიზორის“ იდეა მისთვის პუშკინს მიუცია. პუშკინს უამბნია აგრეთვე გოგოლისათვის, თუ ერთმა აეანტიურისტმა ნოეგოროდის გუბერნიის ერთ-ერთ ქალაქში როგორ გაასალა თავი რევიზორად და ადგილობრივ მოხელეებს ჯიბები ამოუცარიელა. ამგვარი ოინბაზობანი გოგოლს სხვა მეგობრებისაგანაც ჰქონდა განაგონი. სწორედ ეს მონათხრობი ამბები თეოთმარქვია რევიზორებისა და გაბრიყვებულ-გაბიაბრუებული მოხელეებისა და დოკუმენტების სიუჟეტურ ქარგის იმ კომედიისას, რომელიც შეიქნა გოგოლის თანამედროვე სოციალური სინამდვილის უდიდეს რეალისტურ სურათად.

როცა პეტერბურგში პირველად წარმოადგინეს „რევიზორი“ (1836 წ. 19 აპრილს), საოცრება მოხდა. მაყურებელს თვალწინ წარმოუდგა შემზარებელ, შემაძრწუნებლად გაშიშვლებული ნიკოლოზისული რუ-

ბელ ხეტორში“ (ორიე ნაწილი) და „მირგოროლი“ (ორიელი და შეორე ნაწილი). კრებულში მოთავსებული თარგმანები ეყუოვნით: ი. შეედლიშეილს, ივანე და ანა ახალშეინშეილებს, ნინო ანანიაშეილს, სიმონ ჰეიშეილს და ეთერ გაბაშეილს.

სეთი მთელი თავისი სისაძაგლით, პოლიციის თავგასულობით, თვითნებობით, სიბრძნელითა და უფიციობით. „რევიზორმა“ თვალნათლივ დანახვა ყველას ბატონიშვილის წყლულები და სიღდგენირე, მოხელეთა კიცმუნდირებში გამოწყობილ გაიძვერათა და ორაშიადების საზოგადო სამყარო, მუქთახორა მემამულეები, უპატიოსნო მოსამართლეები, პოლიციის დერეიმორდები. პიესა იქცა მთელი თავადაზნაურულ-ბატონური წყობილების ულმობელ, საბრალმდებლო ოქმად. ეს კარგად გაიგო „რჩეულმა“ საზოგადოებამ პირველსავე სპექტაკლზე და თვითი განახენი მაშინვე გამოუტანა: „ეს შეუძლებელია“, „ეს ცილისწამებაა“, „ეს ფარსია!“ და სხვ. სამეფო კარისოთვის მიუღებელი კომედიის ტექსტს ცენზურა დაუნდობლად გაუსწორდა. პირველი წარმოდგენის გამოცდილებით დამფრთხალი და შეშინებული მეცის ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უშლიდა „რევიზორის“ დადგმას.

„რევიზორის“ სატირული ეფექტი რომ მთლად გაექარწყლებინათ, მეფის მოხელეებმა, დრამების მკეთებელს ვინმე ციციანოეს სასწრაფოდ შეუკვეთეს პიესა სათაურით „ნამდვილი რევიზორი“, რომელიც გაცემული ბრძანებისამებრ თეატრებს უნდა წარმოედგონათ გოგოლის „რევიზორთან“ ერთად, რათა საზოგადოებისათვის ეჩვენებინათ „მართლმსაჯულების ზეიმი“.

ციციანოეს მიერ გავრძელებული „რევიზორი“, რომელიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ჩვენ გადაეციოთხეთ და უნდა ითქვას, რომ უმწეო და უსუსური ნაწარმოებია. გაკეთებულის იწვევის ის გარემოება, რომ ციციანოეს „Настоящий ревизор“ დაიბეჭდა 1836 წელს, ივნისის თვეში, ე. ი. გოგოლის პიესის პირველად დადგმისა და დაბეჭდვის ორი თვის შემდეგ. პიესის ასე ჰაიპერად დაწერა და დაბეჭდვა სწორედ იმის მომასწავებული იყო, რომ „ზემო სფეროებში“ გოგოლის „რევიზორის“ გამო დიდი შეშფოთება სუფევდა, მაგრამ რა გამოვიდა! როცა მთავრობის ბრძანებით ერთსა და იმავე სალამოს გოგოლის „რევიზორსაც“ თამაშობდნენ და ციციანოეს „ნამდვილ რევიზორსაც“, მაყურებელი პირველს აღტრთოვანებით ეგებებოდა, ხოლო მეორეს, როგორც ყალბ ნაწარმოებს, სტაციონა და ყვირილით ისტუმრებდა. ციციანოეს პიესაში იგივე მოქმედი პირებია, რაც გოგოლის კომედიაში: გოროდნიჩი, ცოლი, ქალიშვილი, დობჩინსკი, ბობჩინსკი, ერთი სიტყვით, მთელი სამყარო იმავე ჩინოვნიკებისა. ციციანოეს პიესა დაწერილია 3 მოქმედებად; პირველი მოქმედება ისსნება გოროდნიჩის ცოლისა და ქალიშვილის დიალოგით. დედა — ანა ანდრეევნა უსაყვედურებს თავის ასულს,

რომ ახალგაზრდა ქალები არ დაფიქტდებით და ეისაც დანიშნული, ჯელას „მილაშვილი-მილაშვილი“ უწოდებთ, აი, ხომ ხედავ, ის შენი მოწონებული, ცრუ რევიზორის გარდა, ცრუ სასიძოც გამოდგავ. მარია ანტონოვნა თავს იმართლებს... მაგრამ დედა მოაგონებს, რომ ხლეს-ტაკოე მის წინ დაჩოქილი იყო და ალბათ, გყოცნიდა კიდეცათ. ქალი მიამიტად უპასუხებს:

„ქალი— Ведь он поцеловал меня только в щечу.

«Ох— Ах, он негодяй! И ты позволила?..

«Кошка— Я разбранила его, маменька.

«Ох— Этого недовольно, сударыня, ты должна была ему дать пощечину, закричать, крикнуть меня, отца, полицейских, слуг, весь дом сбудоражить. Ты, чай, даже и в обморок не упала?

«Кошка— Нет, маменька, не упала. Я думаю, что если бы упала, то хуже было бы... он такой дерзкой».

შინაარსი ამ ახალი რევიზორისა ორი სიტყვით ითქმის:

როგორც ვიცით, გოგოლის „რევიზორის“ ფინალის მიხედვით უანდარმი შემოდის და აცხადებს ჩინოვნიკის ჩამოსკელას. ეს ჩინოვნიკი სენატორი აღმოჩნდება. ციციანოვის რევიზორი ვითომდა წესი-ერებას ამყარებს. ხლესტაკოვს გზიდან დააბრუნებენ და გამოსახტო-რებლად „გაასალდათებენ“. გოროდნიჩის ქალს, მარია ანტონოვნას, რომელიც ხლესტაკოვის საცოლედ ითვლებოდა, „სიტუცილის გადა-სარჩენად“ თვითონ ეს ახალი რევიზორი შეირთავს; გოროდნიჩის, როგორც სიმამრს, საკუთარი მამულების მოურავდა დანიშნავს. მექრთა-მე ჩინოვნიკებიდან მხოლოდ სამადლო დაწესებულებათა მზრუნველი ზემლიანიკა დაისჭება, დანარჩენები კი უკნებლად რჩებიან.

თუ გოგოლის კომედიაში ჩინოვნიკები სათითაოდ შემოდიან და ხლესტაკოვს, ეითომდა სესხის სახით, ქროამს შესთავაზებენ, ციციანოვის პიესაში ეს ჩინოვნიკები ხლესტაკოვს თავიანთ მიცემულ ქროამს უკანა სთხოვენ. ხლესტაკოვი უარზეა, თავს იყატუნებს, მაგრამ როცა ჩინოვნიკები ციხეში გაგზავნით დაემუქრებიან და „არამ-ზადას“ სახელით მონათლავენ, მაშინ, ეითომდა შეურაცხყოფილი ხლესტაკოვი, ეშმაკურ ხერხს მიმართავს, ჩინოვნიკებს სათითაოდ დუ-ელში გამოიწვევს: „ოსიპ! — გასძახებს თავის მსახურს, — გამოიტანე დამბაჩები და კარგები მავრად ჩაეეტე“. დამბაჩის გაგონებაზე ჩი-ნოვნიკები აკანკალდებიან, როცა ხლესტაკოვი დამბაჩს გაუწვდის, ზემლიანიკას, მას გულიც კი მისდის, ეხვეწებიან: გაპატარიეთ! სირკაზა

„არამხადა“ წიმოგეცდა. არაფერი არ გვინდა შენგან, თუ საჭიროა, კი-
დევ მოგარომეც ფულს, ოლონდ დუელისაგან გვიხსენიო. და მართ-
ლაც, ეს „დაბრუნებული“ ხლესტაკოვი ხელახლად სარგებლობს იმით,
რომ ჩინოვნიები შეშინდნენ, ყველას სათითაოდ უკანა რიცხვით წე-
რილს აწერინებს, თითქოს მათ ხლესტაკოვის ფული ემართათ. აი, ეს
არის მოკლე შინაარსი ამ სახელდახელოდ დაწერილი პიესისა, რო-
მელსაც სერიოზულობის ნიშანწყალიც კი არ გააჩნია.

ძეველად ასეთი „გაგრძელებანი“, ასე თუ ისე, ყველა ცნობილი
ნაწარმოების ხვედრი იყო: გრიბოედოვის „ვაი კეუისაგან“ გააგრძე-
ლა პოეტმა ქალმა გრაფინია ე. პ. როსტომჩინამ და უწოდა: „Возвраще-
ние Чацкого в Москву“ (1850); ხოლო ვ. ბურენინმა გრიბოე-
დოვის პიესის პლანიროვებით დაწერა პიესა-სატირა: „Горе от глу-
пости“; გოგოლის „მკვდარი სულები“ ვითომდა დაამთაცრა ვინმე ვაშ-
ჩენკო-ზახარჩენკომ; პუშკინის „ევგენი ონეგინის“ გაგრძელება მრა-
ვალმა სცადა რუსეთში... ერთი ასეთი ცდა თბილისის გაზეთ „Новая
речь“-შიც იბეჭდებოდა; ფონვიზინის „უმწიფარიც“ (Недоросль) მოხვდა ამ „გაგრძელებანის“ ტკუებაში. კუპრინის „Яма“-ს, ორციბა-
შევის და ვერბიციას რომანებს წიგნის ბაზარზე გამოსვლისთანავე
აგრძელებდა ვინმე „გრაფ ამორი“, (მისი ნამდვილი გვარი იყო И. Ран-
гоф). ასევე მოხდა „რევიზორის“ მიმართაც. მაგრამ რევიზორის
„გაგრძელებას“ სულ სხვა მოსახრება ედო საფუძვლად. ეს იყო მე-
ტის პირდაპირი დაკვეთა, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ძლიერი
მამხილებელი და გამანადგურებელი გაელენის გაქარწყლებას, რასაც
გოგოლის „რევიზორი“ იწვევდა მაყურებელში. მაგრამ, როგორც
ყველა ყალბ და ნაძღლიადევ ნაწარმოებს ემართება, ციციანოვის „ნამ-
დვილი რევიზორიც“ მხოლოდ ოქივის საკუთრებად გადაიქცა.*

*

საერთოდ ცნობილია, რომ ძეველად, რევოლუციამდე, მწერლები
და საზოგადო მოღვაწენი ძალიან ახლო იდგნენ თეატრთან, ისინი
ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ნაციონალური თეატრალური ხე-
ლოენების განვითარებას. მწერლების დახმარება არ ამოიწურებოდა
მარტო პიესების დაწერით, ან მორალური მხარდაჭერით; ხშირად ისი-

* ერთ დროს საქართველოშიც მიმართავდნენ თხზულებათა ასეთ „გაგრძელე-
ბებს“. გაგრძელეს და გააფართოეს „ამირანდარეკანიანი“, თეატრაზის უწევთევა-
ნიანი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ნანუჩა ციციანიშვილშა) და სხვ.

ნი. მონაწილეობას იღებდნენ სპექტაკლებშიც, რათა იემალლებინათ თეატრის ავტორიტეტი ხალხში. თვითონ ისტორიას და გოგოლი საქ-ველმოქმედო მიზნით ყოველთვის გამოდიოდნენ თავიანთ პიესებში. საქართველოში ასეთი შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება. როგორც ზევით დავინახეთ, სხვადასხვა დროს ზემლიანიკას და ფოჩქმეისტერის როლი შეისრულებია ჩვენს სახელოვან ბელეტრისტს ალ. ყაზბეგს. აյა-კი წერეთელი, როგორც მსახიობი, დიდის ხალისით იღებდა მონაწილეობას მოლიერის და სუნდუკიანცის პიესებში. ქართულ სპექტაკლებში გამოდიოდნენ აგრეთვე: ვაჟა-ფშაველა, დავით ერისთავი („სამ-შობლოს“ ავტორი), დავით გურამიშვილი (მხატვარი), ავჭალიშვილი, უ-გარელი, გრიგოლ ყიფშიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ი. ევლოშევილი, თ. სახოკია, ილია ზურაბიშვილი, ლ. ბოცვაძე, ივ. გომელაური, ს. ტარუაშვილი, ალექსანდრე ყანჩელი, იოსებ იმედაშვილი, ნარგანი (ნიკო კურდლელაშვილი) და სხვ. 1884 წელს ქუთასიში, „რევიზორის“ წარმოდგენის დროს, დობჩინსკის როლი უთამაშია კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძეს, — მსახიობი ი. ზარდალიშვილს 1938 წელს გა-ზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციისათვის (№ 94) მიუწოდება ცნობა ამ წარშოდგენის შესახებ. მას თავის არქივში დაცული პქონია აფიშა, სადაც როლები შემდეგნაირად ყოფილა განაწილებული: ხელი-ტავოვი — ვასო აბაშიძე, გოროდნიჩი — ანტ. ლორთქიფანიძე, გობ-ჩინსკი — კოტე მესხი, დობჩინსკი — მელიტონ ბალანჩივაძე, ისი-პი — კოტე ყიფიანი, გოროდნიჩის ცოლი — მაკრინე ჩიკვაძე, გო-როდნიჩის ქალი — მაშო კლდიაშვილი და სხვ.

6. გოგოლის „რევიზორს“, როგორც რუსული კლასიკური დრამა-ტურგიის გენიალურ ნიმუშს, რომელშიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ პირ-ველის საშინელი რეაქციის წლებში ნათლად გამოიხატა რუსეთის პროგრესული საზოგადოების პროტესტი გაბატონებული რეემის მი-შართ და ამ საზოგადოების დაუცხრომელი სწრაფვა უკეთესი მერმი-სისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა პქონდა თავისუფლებისათ-ვის მებრძოლი ქართველი ხალხისათვის. ამიტომ თავიდანვე „რევი-ზორმა“ ქართველ მოწინავე საზოგადოებაში განსაკუთრებული ყუ-რადღება მიიქცია. მას თარგმნიდნენ და დგამდნენ არა როგორც გასარ-თობ ან უბრალო საყოფაცხოველო პიესას, არამედ ისეთ ნაწარმო-ებს, რომელიც მთელი თავისი შინაარსით და იდეური მიზანსწრაფვით საესებით ემაურებოდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქარ-თველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურების მსოფლმხედველობას, მათ საბრძოლო ინტერესებს. „რევიზორს“ ჩვენი

დიდი მწერლები ხშირად გამოხმაურებიან და თავიანთი უდიდესი თანაგრძნობა გამოუნტავთ დიდი რუსი მწერლისაღმი. გოგოლის გერმანი ნიალური კომედიის სცენიური განხორციელება არა ერთხელ გადაქცეულა ქართველი და რუსი ხალხის ძმური მეგობრობის დემონსტრაციად.

როცა 1886 წელს „რევიზორს“ პირველი დადგმიდან 50 წელი შეუსრულდა, ამ საყოველთაო ზეიმს მხურევალედ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებაც. 1886 წელს, 6 მაისს, სპეციალური საღამო გამიართა თბილისში. ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმ ნიკო ავალიშვილმა წაიკითხა მოხსენება გოგოლის შემოქმედებაზე. ვასო თუმანიშვილმა რუსულად წარმოსთხვა ივანე თხორევესკის მიერ ამ საღამოსათვის საგანგებოდ დაწერილი ლექსი, დიდი ქართველი მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „რევიზორის“ მეორე და მესამე მოქმედება. აյაკი წერტეოლმა გოგოლის ხსოვნას უჩდევნა, „იურიის“ გამოფქმით, „გრძნობით და აზრით საცხე ლექსი“, რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

აյაკი აღნიშნავდა: როცა გოგოლისდროინდელ რუსეთში საძავლობა სუფევდა, ჩიგრულთა ცრემლი იღვრებოდა, ცრუპეშმარიტებას უმაღლესი მტარევალობის კალთა ეფარა, ფარისეელობა თამამად ისხამდა ფრთხებს, ამ დროს ვაისმა რაღაც უჩვეულო ხმა გოგოლისა და ამ ხმამ დააფრთხო „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, დაიწყეს დევნა მწერლისა, მაგრამ გამოფხიზლდა ხალხი

და მაშინ კი გაიგეს
რომ ის, ვისაც სძრახეონენ,
ბოროტებას სწამებდნენ
და უგულოდ ჰახევდნენ,
თურმე ქარგი ყოფილა,
კეთილ განზრახვით ოქმული
და მისი ნალველ-გესლი —
უზომის სიყვარული...
თაყვანი სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოელინებას
და დღეს ჩეენც პატივსა ვცემთ
მის ნიჭის და ხელოვნებას.
ხელოვნებას არა აქვს
საყუთრება... საზღვარი,
ის ყოველ ხალხს ეკუთვნის,
ვით ყველას მაცხოვარი.

უცხო არც ჩვენთვის არა
„რევეზორის“ შემთხვეველი
და თავშე გვირგვინს ადგამს
ქართლში ქართველთა ხელი.



ამ სიტყვების შემდეგ აკაკი წერეთელმა ცვავილებით მორთულ გოგოლის დიდ სურათს ქართველი ერის სახელით დაფნის გვირგვინი დაადგა თვეზე. აღტაცება უნაპირო იყო.

ამ საღამოს შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა თავის განეთ „ივერიაში“: „...გოგოლის „რევეზორი“ უკედავია მთელი რუსეთისათვის; თუმცა ამ პიესაში გამოხატული ტიპები სრულიად რუსების ცხოვრებიდან არის ამოღებული, აღზრდილი რუსულ ნიადაგზე, რომელიც ჩვენ არ შეგვისწავლია და გვიცხოვება, მაგრამ ნიჭი და ხელოვნება გოგოლისა ისეთის სინამდვილითა ხატავს ამ ტიპებს, ისეთის ხელოვნერის სიწვრიმალით აღწერს მათს ცხოვრებას და სულთა მოძრაობას, რომ სამართლიანად დიდება და სახელი მოიპოვა მთელს რუსეთში. ყველა თეატრის რეპერტუარის ათვის საუკეთესო განძია „რევეზორი“, რომელსაც დღემდე არც დაძველება დასტურობია და არც მიმზიდვილობა დაუკარგავს („ივერია“, 1886 წ., № 97. ხაზი ჩემია, ი. გ.).

„ივერიის“ მომდევნო ნომერში ილია ჭავჭავაძე, გოგოლის ზემოთ აღნიშნულ დადგმასთან დაკავშირებით, თავსებს სპეციალურ მეთაურს (ხელმოუწერელია), რომელშიაც რუსულ ლიტერატურას ენება და აღნიშნავს, რომ რუსეთის მოწინავე მწერლები მარტო რუსეთს კი არ ეკუთვნიან, არამედ მთელ კაცობრიობასთ.

„პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარი მოღვაწენი, — ამბობს ილია ჭავჭავაძე, — რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათი წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ლონეს, რომლის გამომეტყველიც იყვნენ ხსენებული დიდბუნებიანი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი, — განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, — მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელიმე გვარტომბას ეკუთვნიან, მაგრამ თევისის ღვაწლით ამასთანავე გვიჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობის ეძახია; რა განძია და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარ-

ში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ლიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჩულისა, გვარ-ტომობისა და დიდპატარაობისა” („ივერია“, 1886, № 100, 9 მაისი).

6. გოგოლის ყოველი საიუბილეო თარიღი საქართველოში ყოველთვის დიდ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. 1902 წელს გამოჩენილი რუსი მწერლის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს ქართველი საზოგადოება ცხოვლად გამოიხმაურა. სხვა თეატრებს რომ თავი დავანებოთ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი საღამო მოეწყო თბილისის მუშათა თეატრშიც (ავჭალის აუდიტორია), ხოლო ქუთაისში ეს იუბილე ნამდვილ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა: „რევიზორის“ წარმოდგენის შემდეგ (გოგოლინის როლს ლადო მესხიშვილი ასრულებდა), ფარდის ახდისას მაყურებლის წინაშე წარსდგა ქართული დასის ოცამდე მსახიობი გამოწყობილნი, ჩამწერილებულნი. ყველას დაფნის გვირგვინი ექირა ხელში. კედელზე დაკიდებული იყო გოგოლის დიდი სურათი; წარმოითქვა სიტყვები, ლექსები და სხვ. უკრავდა მუსიკა, ხალხი მუსიკას მრავალეამიერის ხმას აყოლებდა და ყვირდა: „ვაშა, ვაშა გოგოლი! „გაუმარჯოს გოგოლის ხსოვნას“ და ამ ძანილით, — გადმოგვცემს ქუთაისელი კორესპონდენტი, — დაიშალა საზოგადოებათ“ („ივერია“, 1902, № 53, 10 მარტი).

1909 წელს, მიუხედავად საშინელი რეაქციისა, ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ ბრწყინვალედ აღნიშნა რუსული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ იუბილეზე ერთხელ კიდევ მეაფიოდ გამომეუღენდა მეფის თეითმცყრობელობის მოძრულე ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილებისადმი. ამავე წელს ცნობილმა პედაგოგმა და პოეტმა სილვან ხენწაძემ გოგოლის სახსოვრად დაწერა მეტად საყურადღებო ლექსი. ის, ამ ლექსის ზოგიერთი ადგილი:

მის იუმირით, მის პოეზით
ქართველიც ისე ილჩეს და სტეპება,
როგორც თვით რუსი... სევდინ მეოთხეულს
ვინც უნდა იყოს, ცრემლი აშჩება.

გოგოლი განა მოლოროსია?
ის განა მარტო რუსეთს ეკუთვნის?
თვითი ცოტრი ნიჭისა ნაყოფს
ის თანასწორად ყოველ ერს უძლენის.
ის, კევშირი საერთშორისო,
ხილი, ხალხების შემაერთები...

როს მომწიფებება იმათი აზრი
და გაერცელება ის გრძნობა სრული,
მაშინ ამ ქვეყნად აღარ იქნება
ატკა მჩაგრელი, არც დაწიგრელი.



თითქოს ბუნებრივად დაემთხვეა გოგოლის დაბალებიდან 100 წლის იუბილეს თბილისის სახალხო თეატრის გახსნა ზუბალაშვილების მიერ აგებულ შენობაში. 1909 წლის 4 აპრილს იხსადა პირველად ამ თეატრის ფარდა. წარმოდგენილი იქნა გოგოლის „რევიზორი“ კ. შათორიშვილის რეჟისორობით. ამ წარმოდგენის შემდეგ ორმოც წელზე მეტი გავიდა და საინტერესოა, რომ სწორედ იმავე შენობაში, სადაც ახლა მარჯანიშვილის სახელობის თეატრია მოთავსებული, ნიჭიერმა კოლექტივმა 1951 წლის 1 დეკემბერს ბრწყინვალედ განახორციელა გოგოლის ეს უკედაები კომედია.* დამდგმელმა (რეჟისორი ალ. თაყაიშვილი) და სპექტაკლში მონაწილე აქტიორებმა (შ. ლამბაშიძე, ვ. გომიაშვილი, გ. შავგულიძე, კ. კვანტალიანი, ა. გომელაური, ა. უორუოლიანი, მ. სარაული, ც. წუწუნავა, მ. თბილელი, ი. ტრიპოლისკი, ა. სიხარულიძე, შ. გოცირელი, გ. გოცირელი, შ. ქოჩორაძე, დ. ოქროსუკარიძე, ან. მესხიძე, ტ. საყარელიძე, გ. გოგუა, ბაბო გამრეკელი, ე. ნინუა, ა. ვერულეიშვილი, ბაბო მიმინოშვილი, შ. გაფარიძე, გ. თოლორდავა, ფ. სონდულაშვილი, ნ. ქიტიაშვილი) შექმნეს სპექტაკლი, რომელიც თავისი მხატვრული ღირსებით საბჭოთა თეატრალური კულტურის მიღწევების სიმაღლეზე დგას. „როგორც რეჟისორმა, ისე სპექტაკლში მონაწილე მხატვობებმა, სწორად გაიგეს პიესის შინაარსი, სცენიურად ორიგინალურად გაიაზრეს მხატვრული სახეები და დამაჯერებლად გაღმოვცეს დიდი რუსი დრამატურგის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი“.**

ჩვენში გოგოლის ტიპები პოპულარული იყვნენ. ქართულ პრესში ხშირად გვხვდება გოგოლის მხატვრული სახეები ამა თუ იმ მა-

* იხ. ი. გრიშაშვილის წერილი ამ სპექტაკლის დაღვშის გამო. „ზარია ვოსტოკა“, 1951 წ., № 294.

** ერ. ქარელიშვილი — „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951 წ., № 49; მავე სპექტაკლს კაცელი წერილი უძღვნა დიმიტრი განელიძემ („კომუნისტი“, 1951, № 295), ხოლო „ზარია ვოსტოკას“ გამოცემლობაში გოგოლის იყბილესთან დაკავშირებით გამოსცა ორი წიგნი: „გოგოლი ქართულ სცენაზე“ გ. ბუხნიაშვილისა და „გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“ — გ. ტალაშვილისა. ეს ჩვენი ნარკევე, მოსხენების სახით წაითხულ იქნა როგორც იყალების, ისე შეერთა კავშირის დარბაზში — 1952 წლის 29 თებერვალს და 1 მარტს.

ხინჯი გამოვლინების გასაკიცხავად. მაგ., გაზეთ „დროებაში“ 1878 წელს დაიბეჭდა წერილი სახელწოდებით: „ხლესტაკოვი ქართლში“ (იხ. „დროება“, 1878, № 119). რომელიმაც ავანტიურისტი ჩამოულა სოფელ ნაბახტრევში, რევიზორად გაუსაღებია თავი და გლეხებისა-თვის ფული დაუტბუბებია ვითომდა ჯარიმების სახით. „ბობჩინსკები და დობჩინსკები“, „საბაკევიჩი და პლიუშკინები“, — ხშირად შეხვ-დებით ამ სახელებს ძველი ქართული გაზეთების ფურცლებზე მო-იავსებულ საპოლემიკ წერილებში. როცა გ. წერეთლის პიესა „ოჯა-ხის ასული“ დაიდგა, ერთმა რეცენზენტმა აღნიშნა გოგოლის ტიპე-ბის გამოყვანა ქართულ ლიტერატურაში: „ფოსტის ჩინონენიკი გოგო-ლის რევიზორიდან არის ამოგლეჭილიო“, — წერდა გაზეთი „დროება“ (1882 წ., № 221).

ცარიზმის პოლიტიკის კირთებ ქვეშ მყოფ ქართველ მსახიობებს შეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ მოლვაწეობა. მაგრამ საქმის სიყვარულით გატაცებული ყოველგვარ გაჭირვებას ითმენდნენ. ჩვენ აქ გვინდა გაეიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც გოგოლის „რე-ვიზორთან“ არის დაკავშირებული და ამავე დროს ძველი ქართველი მსახიობების ხელმოკლე ცხოვრების ერთგვარ სურათსაც იძლევა. ვა-სო აბაშიძე, როგორც ვიცით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ სცენაზე რუსი კლასიკოსების დაღმას. მისი თაოსნობით დაიდგა რო-გორც ოსტროვსკის კომედიები, ისე გოგოლის „რევიზორი“. ვასო აბაშიძე, ეს გასაოცარი დიაპაზონის მსახიობი და მიმიკის ოსტატი, ისევე მომნიბლავი იყო გორიონიჩისა და ხლესტაკოვის შესრულე-ბის დროს, როგორც სხვა, მის საყვარელ როლებში. ვასო ამ როლებს თავისებურად ანსახიერებდა. პრესა და მაყურებელი ყოველთვის აღ-ტაცებული იყო მისი თამაშით. გაზეთი „დროება“ აღნიშნავდა, რომ ხლესტაკოვის როლს ვასო აბაშიძე ისე კარგად თამაშობს, აუგი თვა-ლი თვით რუსის მოთამაშებებშიაც ვერ უპოვის ბადალსო („დროება“, 1882, № 267). გიორგი წერეთელი „მაზაკვალის“ ფსევდონიმით თავის ურნალ „ქვალში“ „რევიზორის“ ერთი წარმოდგენის შესახებ წერ-და: „ეს წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს ქართული ხელოვნების ნამდ-ვილ გამარჯვებად.... მაყურებლის წინაშე საესებით გაცოცხლდა ის ეპოქა, რომელიც გენიოს მწერალს პერნია თავის გონებაში გამოსა-ხული... თვით გოგოლი რომ გაცოცხლებულიყო, ყველა მსახიობს გადაჰკოცნიდათ“, — დასძენს რეცენზენტი („კვალი“, 1895 წ., № 5, გვ. 16).

ამ მცირე გადახვევის შემდეგ დაუუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

ჩეენი საყვარელი მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი ვის „მემუარებში“ მოგვითხრობს „რევიზორთან“ დაკავშირებულად ასეთი საინტერესო შემთხვევის შესახებ.

„ერთხელ ვასო აბაშიძემ მიამბო, — წერს ელისაბედ ჩერქეზიშვილი, — პატარა ამბავი, რომელიც სასაცილოც არის და ამავე დროს სამწუხაროც.

„ერთ ზაფხულს, — განაგრძო ვასომ, — შევაღვინე პატარა დასი და წავედი სამოგზაუროდ კახეთში. ბევრგან გვერდი შემოსავალი, ბევრგან არა. სიღნაღმი ვერ მიღიოდა კარგად ჩვენი საქმეები. სასტუმროში უცხოერობდით, მეტი წილი ჩეენი არტისტებისა შიმშილობრივი. მეც სასტუმროს პატრონის 150 მანეთი ვალი დამედო.

დასი უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, სავწაოდ კი გროში არ გვერდია. გადაეწყვიტე უკანასკნელად კიდევ მიმემართნა სასტუმროს პატრონისათვის და სესხათ ფული მეთხოვა. თუმცა დიდი გამედულება იყო ჩემგან, რადგან სასტუმროს უფროსი ისედაც გაბოროტებული იყო არტისტებზე. ასე ვუთხარი: „ჩემო გეურქ, ხვალ შენი ლინეიკო გაგვისტუმრე მელანის საღვურამდის და მატარებლის ფულიც, ერთი ხუთი თუმანი, კიდევ მასესხე, რომ ჩემი არტისტები წავიყვანო თბილისში. ერთი კვირის შემდეგ ბენეფიცი მექნება თბილისში და შენც ჩამოდი. შენს ოც თუმანისაც მოგართმევ და ჩემს ბენეფიციაც დაგვატიებდ: წარმოდგენაზე დაესწრები, კარგს თამაშობას ნახავ და ისიამოვნებ.

გეურქამ კარგი საუზმე გაგვიმართა, ლინეიკა შეგვიბა და გაგვისტუმრა საღვურზე. ერთი კვირის შემდეგ დეპეშა მიეწერე გეურქას: „ჩამოდი, ხვალ ჩემი ბენეფიცია“. გეურქა ჩამოვიდა მეტად ნასიამოვნები. მე ვუთხარი — ხვალ მოხვალ თეატრში, ბილეთს დაგახვედრებ. გურქა მეუბნება — თუ შეიძლება, კნიაზო, მაღლა, გალიორკაში მომეცი ბილეთი, იქ უფრო ჩემი იმქრის ხალხი იქნება! მეც ივუსრულე სურვილი.

იმ ღამეს ჩემს ბენეფიციში გოგოლის „რევიზორი“ დავდგით, მე ხლესტაკოვს ეთამაშობდი...

გეურქას ჩემი რილი — ხლესტაკოვი — იგრე რიგად არ მოსწონებოდა და ეთქვა: „კაცო, ჩემი კნიაზი იმნაირ საქმეებს სჩადის, რომ ეგ ჩემი ვალის მომცემია? ყველას ფულებს სტყუებს, ეტყობა ესეთი ზე პქონია; არა, ძმავ, მე მაგისი აღარაფერი მჯერაო“.

წარმოდგენილან ისე წასულა, — ამბობდა ვასო, — რომ თვალით
არ დამნახვებია!..”

ამ ამბავს, — დასძენს ჩერქეზიშვეილი, — რომ ჩაუფიქრდეს ადამიანი ეს უფრო სატირელია, ვიდრე სასაცილო. ჩვენს თეატრს ბევრი გაჭირვება და დამცირება უნახავს ცარიზმის დროს, თვით ბუმბერაზ არტისტს ვასო აბაშიძესაც კი ხშირად უხდებოდა თავის დამცირება უხეშ და ხარბ მევახშეებთან”.*

*

ერთ საუკუნეზე მეტი გვაშორებს ჩვენ იმ დროსთან, როცა გო-
გოლის კომედიამ მთელი რუსეთი შეარყია. რამდენიმე თაობამ შესც-
ვალა ერთიმეორე, უკუნეთში ჩაინთქა უსაძაღლესი სამყარო, სადაც
მბრძანებლობდნენ გოროდნიჩები და ხლესტაკოვები, ბობჩინსკები
და დობჩინსკები, სეისტუნოვები და დერეიმორდები. დღეს, საბჭოთა
ხელისუფლების ბრწყინვალე ეპოქაში, ახალი, სისხლსავსე, ბეღლიე-
რი და მხიარული ცხოვრებით ცხოვრობენ ღღესღაც ჩამორჩენილი და
დაბერჩებული ხალხები, უმაგალითოდ გაიზარდა საბჭოთა აღამიანე-
ბის მატერიალური მდგომარეობა და სულიერი კულტურა, გაჩნდა ახა-
ლი მკითხველი და ახალი მაყურებელი. გოგოლის გენიალურმა კომე-
დიამ დროის გამოცდა დაიკირა. დღეს დიდია „რევიზორის“ შემეცნე-
ბითი მნიშვნელობა და მხატვრული დამაჯერებლობის ძალა, უკვდავია
გოგოლის გამანადგურებელი სატირა. გოგოლის მნიშვნელობა ჩვენს
დროში კიდევ უფრო გაიზარდა. როგორც ამ ასი წლის წითათ, ახლაც
ეს კომედია პირდაპირ ნიშანში სცემს ძალადობის სამყაროს, ბნელ
სამეცნოს.

ჩვენს ქვეყანაში უკვე აღარ არიან გოგოლის სატირის გმირები,
მაგრამ ეს „გმირები“ ჯერ კიდევ ცოცხლობენ კაპიტალისტურ ქვეყ-
ნებში. გოგოლი თავისი მამხილებელი სატირით ეხმარება მსოფლიოს
უკვე პატიოსან აღამიანს, რათა სამარტინო ბოძეზე გააკრას თანამე-
დროვე იმპერიალისტები, რომლებიც ადამიანის ნიღაბით მხეცურ საქ-
მეს აკეთებენ... სწორედ ამაშია გოგოლის გენიის უძლევე ძალა.

საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი, რუსული
ლიტერატურის უკვდავი გენიოსი, გოგოლი ღირსეულად ითვლება

* ე. ჩერქეზიშვილი, „მოგონებანი“, ი. გრიშაშვილის რელაქციით, 1941 წ.,
გვ. 53.

ჩვენს თანამედროვედ. თავისი მხატვრული სიტყვის იარაღით შან სა-
მუდამოდ დადალა ძველი წყობილების ბნელეთის მოციქულები; გო-
გოლის მრისხანე სიტყვა დახავსებულ ცხოვრებაზე, მისი სიძულვი-
ლი ბოროტებისა და თვითნებობისადმი, მისი ლრმა რწმენა ხალ-
ხისათვის, რომელიც დღეს სინამდვილის ხორცს ასხამს კაცობრიობის
საუკეთესო შეილთა თამაშ ოცნებებს.

გოგოლისული სატირა, მისი სიცილი დღესაც თავის მიზანს ემ-
სახურება, როცა ის მამხილებელის როლში გამოდის და ამათრახებს
მღიერელობას, ჩინოსნების წინაშე ფიანდაზად გაფენას, თავნებობას,
მფლანგველობას და ყველა იმ წყლულსა და მანქს, რაც კი ამანიჯებს
ჩვენს სოციალისტურ ყოფას.

კომედია „რევიზორი“ პროგრესულმა დემოკრატიულმა ინტელი-
გენციომ მეფის რეჟიმთან ბრძოლის დროს აღმართა, როგორც დრო-
შა. ყველგან, რუსეთშიაც და საქართველოშიც, „რევიზორის“ წარმოდ-
გენა რევოლუციის წინა წლებში გადაიქცეოდა ხოლმე თვითმცყრო-
ბელობის საწინააღმდეგო ლოშუნგად.

გოგოლი უკვდავია თავისი დილებული შემოქმედებით; მისი ქმნი-
ლებანი მრავალი ოთვული წლის მანძილზე უდიდეს პროგრესულ როლს
ასრულებდნენ რუსი ხალხისა და მთელი კაცობრიობის გონიერიერ
განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

მწერლის სიღიადეზე მეტველებს ის ფაქტი, რომ დიდმა ლენინ-
მა გოგოლის ბრწყინვალე ნაწიარმოებებში—„რევიზორსა“ და „მკვდარ
სულებში“ — გამოხატული იდეები გვერდში ამოუყენა დიდი რევო-
ლუციონერ-დემოკრატის ბელინსკის იდეებს.

გოგოლის უკვდავებას, მისი ნიჭის უკენობ ცხოველმყოფელობას
და ქმედითს ძალას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადო მიღვა-
წენი თავიათ წერილებში თუ გამოსკლებში ხშირად იხსენიებენ გო-
გოლის სახეებს, როგორც ძეველი საზოგადოებრივი ურთიერთობის და
მისი ნაშთების მამხილებელ სახეებს.

განუშომელია გოგოლის ღვაწლი ქართული კლასიკური მწერლო-
ბის წინაშე; მისმა შემოქმედებამ დიდი და გამანაყოფიერებელი გავ-
ლენა იქნია ქართულ მხატვრულ პროზაზე, ქართულ დრამატურგი-
ზე, ასწავლა ჩვენს საუკეთესო მწერლებს ადამიანებისა და საზოგა-
დოებრივი მოვლენების, ყოფა-ცხოვრების კრიტიკული თვალით და-
ნახვა და მათი ცხოველმყოფელი ასახვა. ამიტომ ქართველი ხალხი,
მოძმე ხალხებთან და მთელ მოწინავე კაცობრიობასთან ერთად, ულ-

რმესი სიყვარულითა და მაღლიერების გრძნობით იგონებს უდიდეს რუს მწერალს — გოგოლს, რომელმაც ნიკოლოზ პირველის დრესატურაში ბატონობის სულის შემხუთველ პირობებში ამილა მებატონებულა, მეფის მოხელეთა, მომხვეველთა გონებრივად ჩამორჩენილი და ზნეობრივად დაქნინებული სამყარო.

ჩვენ ულრმესი პატივისცემით ვიგონებთ გოგოლს, რომელიც ოცნებობდა ეხილა სამართლიანი და ზნეობრივად ფაქტის საზოგადოება, გოგოლს, რომელსაც სწამდა თავისი ხალხის ძალა და მისი დიადი მომავალი.

გმირმა საბჭოთა ხალხმა ბოლშევეკური პარტიის ხელმძღვანელობით სინამდვილედ აქცია კაცობრიობის უდიდეს ადამიანთა ოცნება ჰქონდა ადამიანურ ცხოვრებაზე.

1951 წ.

ელისაბედ ჩირქეზიშვილი

ქართული თეატრის ძეველი პლეიადის პატარა კრიილოსანს ერთი ძეირფასი მძიევი მოსწყდა. ეს მოხდა ამ ხუთი წლის წინათ. ეს ქარვა, ეს ჯადო ჩვენი ელისაბედ ჩირქეზიშვილი იყო — „ჩვენი ლიზა“, რომლისთვისაც დიდ ილია ჭავჭავაძეს ხელი ჩამოურთმევია, გზა დაულოცავს.

არ გვეგულება ისეთი ქართველი, რომელსაც ლიზა ჩირქეზიშვილი ერთხელ მაინც არ ენახოს სცენაზე და არ დამტკბარიყოს მისი მადლიანი თამაშით.

ელისაბედ ჩირქეზიშვილი ეკუთვნის იმ მსახიობთა ოჯახს, რომელმაც ქართულ თეატრს შეუნარჩუნა ქართული სახე და, ათასნაირ დაბრკოლებათა მიუხედავად, ხელოვნების წმინდა ალამი დღვევანდლამდე პირნათლად ზიდა.

ლიზა ჩირქეზიშვილი ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც ქართველ შსახიობს და მით უმეტეს ქართველ ქალს სასცენო მოღვაწეობისათვის ესაკიროებოდა არა მარტო ნიჭი და ხელოვნებისადმი სიყვარული, არამედ დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობაც.

ქართული თეატრის მატიანე არასოდეს დაივიწყებს იმ ქართველ ქალებს, რომლებმაც მიუხედავად უგბილთა კილვა-კიცხეისა, მოქალაქეობრიობა გამოიჩინეს, სცენის კიბის საფეხურს შეახეს ნაჩნარი ფე-

ხი და ამით საძირკველი ჩაუყარეს ქართველი მსახიობი ქალის გამოფენების საქმეს. ვინ იყვნენ ეს პირველი მეტალურები? — ზატო, გაბუნია-ცაგარელისა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ბაბო ავალიშვილისა და ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

თუ რა ძნელი და „სათაკილო“ იყო ქართველი ქალისთვის სცენის მტკრით ზიარება — ამას ნათლად გადმოვცემს ლიზას მევობარი მაკო საფაროვა-აბაშიძისა ჩვენთან საუბრების ერთ-ერთ ეპიზოდში: „როცა ნათესავების რჩევით სცენაზე გავედი, — გვიამბობდა ერთხელ მაკო საფაროვა-აბაშიძისა, — მამაჩემმა გამომიტირა: ქალი გამიერდა და სცენაზე შემივარდათ. ერთხელ, როცა თბილისში ბენეფისი გამომართეს, მამაჩემს წერილი მიეწერე თბილისიდან თელავში და შერიგებასა ვთხოვდი, თან ასე დავსძენდი: მამილო, მე აქ კარგ სამსახურში მოვეწყე. წუხელ ღამით ჩემი საბენეფისო საღამო იყო და ორასი მანეთიც დამრჩა-მეტქი“. მაგრამ მაკო საფაროვას მამას ეს არ მოსწონებია და ალექსილი პასუხი მოუწერია თავის ახალგაზრდა ქალიშვილისათვის, სადაც სხეათა შორის ეს ეწერა თურმე: „დაიცა, ერთი თბილისში ჩამოვიდე, მამაჩემი არ წამიწყდება, მათრახით იგაჭრელებ, არა, ეგ რა მამაბალლური სამსახური აგირჩევია, რომ ღამეა და არა დღეო!..“

სერთოდ, ქალს, ისიც იმ დროს, როცა ლიზამ, მაკომ და წევებმა დაიწყეს მოლვაწეობა, სულ სხვა მოთხოვნილებით ჰქონდა ასპარეზი შემოგარსული.

მას ყველაფრისათვის უნდა გაეწია ანგარიში.

ოჯახი და საზოგადოებრივი აზრი, — აი ეს იყო ის ბორკილი, რომელიც ხელს უშლიდა აღამიანის ნიჭის სათანადო გაშლა-გაფურჩქვნას.

სულ იხალგაზრდა ლიზამ დასძლია ყოველი დაბრკოლება და თავისი ენერგიით, შრომით და ნების სიმტკიცით მიაღწია არტისტულ მწვერვალებს.

ვინ მოსთელის, რამდენი გაჭირვება უნახას ლიზა ჩერქეზიშვილს ძელ, დუჭვირ დროში და მაინც ყოველთვის იყო „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“. და როდესაც მის გულში ათასნაირი ბოლმა ტრიალებდა, მაშინ, როდესაც მისი თვალები ცრემლებისთვის იყო განამზადი, ის სცენაზე პირმცინარე უნდა გამოსულიყო რომელიმე მხიარულ ეოდევილში და აუდიტორია სიცილში გაებანა...

ლიზამ ცხოვრებაც ერთი თეატრია, მთლიანი პიესა, თუ გნებავთ, ტრაგედიაც — თავისი ვოდევილით. ჯერ 15 წლისა არც კა იყო, რომ გაათხოვეს ვინმე მაჩაბელზე, მერე ნიკო სიზანიშვილმა — მწერლო-

ბაში ურბნელმა — მოიტაცა ჩვენი ლიზა და თბილისში ჩამოიყვანა. პირველი ქმარი ლიზას გაყრის ნებას არ იძლევდა — ასეთი კანონი იყო ძველად, ლიზამ კი გადალახა ძველი რტინა და თავის მეორე ქმართან, რომელიც თავდავიწყებით შეიყვარა, 17 წლის განმავლობაში ჯვარდაუწერლად ცხოვრობდა. ეს რაღაც დაუჭრებელი ამბავია. მაგრამ ფაქტია, ლიზამ ნიკო ურბნელზე მხოლოდ მაშინ დაიწერა ჯვარი, როცა პირველი ქმარი — მაჩაბელი გარდაცვალა. ამ დროს კი ჩვენი ლიზა უკვე ორი ვაჟკაცის დედა იყო და.... „ჯვრის წერის დროს, ეკლესიაში, ჩემი ორი შვილი იქეთ-იქით შაფერებად მედგნენო“, — წერდა თავის მოგონებაში ელისაბედი.

შეიძლება თამამად ითქეას, რომ ლიზა ჩერქეზიშვილი ერთადერთი მსახიობი იყო, რომელიც პროვინციიდან პირველად ჩამოვიდა დედაქალაქში და მეორე დღესვე დიდ სცენაზე გამოვიდა ჩვენი კორიფეების გვერდით.

ყოველი მსახიობი მცირე როლებით იწყებს თავის კარიერას და თანდათანობით იზრდება. ლიზას არ ჰქონია ორც წინასწარ გაელილი სქოლა, ორც სათეატრო წრე და მომზადება. ინტუიცია და ბუნებრივი ნიჭის დოკულათიანობა კი საქმაოდ ჰქონდა.

როცა ელისაბედ ჩერქეზიშვილი ამ სამოცდათხუთმეტი წლის წინათ პირველად გამოვიდა დიდ სცენაზე, ეს გამოსვლა არ იყო პატარა მსახიობის პირველი ნაბიჯი, ორამედ უკვე დასრულებული მსახიობის ნამდვილი დებიუტი. ელისაბედ ჩერქეზიშვილი თავიდანვე, მაშინვე, პირველი ხმის ამოლებისთანავე პრესამ და ხალხმა მიიღო და იცნო, როგორც იშვიათი ნიჭით დაჭილდობული მსახიობი — რეალისტური შემოქმედების სწორ გზაზე მდგარი.

მისი დებიუტი იყო ვასო აბაშიძის მიერ დიაჩენქოს კომედიიდან გადმოკეთებულ ძველ პიესაში — „ეხლანდელი სიყვარული“. ეს როლი ძალიან უფერულია. ლიზა ასრულებდა ჩინოვნიკის ცოლის როლს, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დადის სცენაზე და ამთქნარებს. მაგრამ ლიზამ ამ პატარა როლით მაშინვე შეიგრძნო, თუ რა დიდი მომავალი ელოდა წინ. ლიზამ თითქოს ამ მთქნარების საშუალებით გამოაფხისლა გულცივი და ძილად მივდებული ქართველი მაყურებელი, რომელიც თეატრში არცთუ ისე ხალისით დაიარებოდა.

ვალ. გუნია — უურნალ „თეატრის“ რეცენზენტი — ლიზას პირველი გამოსვლის შესახებ წერდა: „საუცხოვოთ შეასრულა თავისი როლი ახალმა არტისტმა ქალმა — ლიზა ჩერქეზიშვილმა. ამ ახალს

მოთამაშეს ნიჭიც ეტყობა და ცოდნაც, თუმცა როლი პატარა და უფრო რელი ჰქონდა, მაგრამ მაინც ჯეროვნად ითამაშა. საზოგადოდ არტისტმა, — განაგრძოს ჩეცენზენტი, — ნიჭი უნდა გამოიჩინოს უფრო რელ როლში, თორემ კარგად და „ფეროვან“ როლში უნიჭო და უხერო არტისტიც ხეირიანი გამოჩინდება და ამიტომ ჩენ დარწმუნებული ვართ, რომ ლიზა ჩერქეზიშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ დახელოვნდება, თუ შრომას არ დაიზარებს...“

დიახ, პირველი გამოსელიდან სიკვდილამდე ლიზას შრომა და რუდღნება არ დაქცელებია... არ დარჩენილა თბილისში და მთელს საქართველოში ისეთი მიყრუებული კუთხე, სადაც ლიზა არ ყოფილიყო მიწვეული და ეს დღე სახეიმო დღეობად არ გადაქცეულიყო.

ლიზა ჩერქეზიშვილი თავისი სიცოცხლის მანძილზე გამოსული 422 პიესაში და უთამაშინია სამოცდაექვეს სხვადასხვა თეატრში.

ლიზას ამპლუა მრავალგვარია: მისი კაპასი კნეინა, დარბასისელი აღმზრდელი, გაიძეერა მავანკალი, ჩიფჩიფა ბებია და აქალარა დედამთილი — აი, ის უკვდავი სახეები, რომელიც ჩენი სასცენო ხელოვნების გალერეას ამშვენებს.

საქმიანისი გავიხსენოთ ის, რომ იგი მუშაობდა არამცუ მარტო დიდ სცენაზე, ჩენ გამოჩენილ მსახიობთა გვერდით, არამედ ყველგან და ყველასთან, სადაც კი სცენა დაიდგმებოდა და ფარდის ნაცელად ზეწარი გაიბმოდა, — ოღონდ კი ხალხში შეეტანა კულტურის სხივი, სიო, ნაპერწყალი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ჩერქეზიშვილის უანგარო მოღვაწეობა მუშათა რაიონების სახალხო თეატრებში და მოგზაურობა საქართველოს დაბა-სოფლებში.

არავისთვის სადაცოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ძეელი მსახიობი დიდ გაქირვებას განიცდიდა. მას არავისაგან არ ეძლეოდა დახმარება. თეატრის შემოსავალი ხარჯს ეერ ისტუმრებდა. კამაგირზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩენი აქტიორების ასეთი თავდადება მხოლოდ ეროვნული საქმის სიყვარულით და რაღაც რაინდული რომანტიზმით თუ ასესწება.

ქართული თეატრის დარბაზი თითქმის ყოველთვის ცარიელი იყო (განსაკუთრებით ლოები და პარტერი). ძეელი მდაბიო ხალხი — ხელოსნები და მუშები ძალიან ეტანებოდნენ ქართულ თეატრს, ინტელიგენცია უფრო რესულ თეატრებში დადიოდა. ქართველ მსახიობს თვალი რჩებოდა, ასე ვთქვათ, ერთი გატენილ დარბაზში გამოემდავნებინა თავისი ნიჭი. პარტერი და ლოები მხოლოდ მაშინ ავსებოდა, როცა რომელიმე მსახიობის ბენეფისი იყო. აქ ინტელიგენ-

ცია მიდიოდა თევის გამოსაჩენად, ზიზილ-პიპილების გამოსაფენით, სამაღლოდ, რომ ორმანეთიანი ბილეთის ყიდვით დახმარებოდა კუ-
პირვებულ ქეტიორს.

ახლა, სოფლად წარწალი? გათავდებოდა თუ არა სეზონი, რომ მდგრა-
ნიმე მსახიობი იყიდებდა გუდა-ნაბადს და დაბა-სოფლებში მიდიო-
და იაფფასიანი წარმოლგენების გასამართავად. ხშირად ჩევენი მსახი-
ობები აქედანაც ზარალით ბრუნდებოდნენ შინ, რადგან არც სოფელი
იყო მომზადებული ქართული სიტყვის მოსასმენად და თეატრის და
ცირკის ხელოვნებას ერთმანეთში ურევდა. ერთხელ განსვენებულმა
მსახიობმა სანდრო ყალაბეგაშვილმა ასეთი რამ მიამბო: „მე, ჩემი
პატარა დასით, წავედი დუშეთში წარმოლგენის გასამართავად. პირ-
ველ დღეს ხალხი არ მოვიდა და წარმოლგენა გადავდეთ. მეორე დღეს
ხალხის მოსახიდად გარეთ, თეატრის წინ გაბერილი ფერადი ბუშტე-
ბი ივუშეით ჰაერში. ხალხის ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ითა-
ფა იმდენმა ხალხმა და თეატრის კასას მიაშურა ბილეთების შესაძე-
ნად. იმბობდნენ თურმე: „გარეთ რომ ასეთი ამბავია, შიგნით რა იქ-
ნებაო და მთელი დარბაზი ხალხით გაიჭედა!“

ერთი ასეთი დასის ამხანავობა ელისაბედ ჩერქეზიშვილს და ვასო
აბაშიძესაც შეუდგენიათ და გამგზავრებულან კახეთისაკენ. სილნაღში
ვალში ჩავარდნილან და უკან დასაბრუნებლად გზის ფული აღარ ჰქო-
ნიათ. ვასო აბაშიძეს მიუმართავს სასტუმროს პატრონისთვის: ჩემო
გურქ, ხვალ შენი ლინეიკით გაგვისტუმრე მელანის სადგურამდე და
მატარებლის ფულიც, ერთი ხუთი თუმანი, კიდევ გვასესხე, რომ არ-
ტისტები ჩაეყიდანო თბილისში. ერთი კვირის შემდეგ ბენეფიცი მექ-
ნება თბილისში, დეპეშას გამოგიგზავნი, ჩამოდი, შენს ვალსაც მოგარ-
ომევ და ბენეფიციზედაც დაგპატიუებო...

— ბაშუსტა, ვასოჯან, — უპასუხნია გეურქის, კარგი საუზმე გა-
უმართავს, ლინეიკა შეუბამს და არტისტები სადგურამდე გაუსტუმ-
რებია. ვასო აბაშიძეს მართლაც გაუგზავნია თბილისიდან დეპეშა:
„ხვალ ჩემი ბენეფიცი და ჩამოდიო“. სასტუმროს პატრონი ჩამოსუ-
ლა თავისი ამფსონით და ქანდარაზე მოთავსებულა, პარტერში არ მინ-
დოა.

ვასო აბაშიძის საბენეფიციოდ იდგმებოდა გოგოლის „რევიზორი“,
ვასო აბაშიძე თამაშობდა გაქნილ ხლესტატიკოსის როლს. გეურ-
ქის არც პიყსა მოსწონებია და არც ვასოს ხლესტაკოვი — ჩვენ ვი-
ციოთ, რომ ხლესტაკოვი „რევიზორში“ უველას ფულს ესესხება —
ფოჩტმეისტერს, ბობჩინსკის, დობჩინსკის და სხვ. გეურქის უთქვამს

თავისი მხხანაგის თვეის: „ადე, ადე, წავიდეთ, ეგ ჩემი ფულის მომ-
ცუმია? ვერა ხედავ, ყველას ფულს ესესხება, ალბათ ქართველ არტის-
ტებს ვალის მიუცემლობა ზნეთა სპირთო“.

მოგონების ეს ერთი ნაწყვეტი, რომელიც ელ. ჩერქეზიშვილის
მემუარებშია დაბეჭდილი, სასაცილოც არის და სატირელიც. ეს ამბა-
ვი ნათლად ამტკიცებს ქართველი მსახიობის დუხვირ ცხოვრებას იმ
დუხვირ დროში.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართულმა თეატრმა, საიდანაც გაის-
მოდა თამაში და იმედიანი სიტყვა, ღლემდე უმწიველოდ მოიტანა და-
უხრელი დროშა და სიამაყით ჩააბარა ჩევნი თაობის თეატრის ახალ-
გაზრდობას. ეს დროშა უფრო გაიზარდა, ამაღლდა და დღეს იმაყად
ფრიადებს შინის ეშვით ნაქსოვ საქართველოს მიწა-წყალზე.

ძველი განეთის ფურცლები („ივერია“, „თეატრი“ და სხვ.) ინა-
ხავენ ლიზას მიერ ჩაწერილ ხალხურ შაირებს, ანდაზებს, გამოცანებს
და სხვ. ჩერქეზიშვილი ერთი პიონერთაგანია ხალხური ლექსების
გამოფენისა. მან ეს დაიწყო თავისი ქმრის, ღიდი სახოგადო მოღვა-
წის ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელის წინადადებით:

წყალსა ნაფოტი მიპქონდა,
ალეის ხის ჩამონათალი,
დაღექ, ნაფოტო, მიამბე
მოყერისა შემონათვალი.

ეს ხალხის სიბრძნე ლიზას გამოტანილია პირველად! ანდა აიღოთ
ლიზას მიერ ჩაწერილი მეორე ლექსი, რომელიც შედევრია ფოლკლო-
რის მდიდარ ოჯახში:

ვერცხლისამც თახად მაქუა,
რომ დვანით აგვესებოდე,
დაუკრძალ მქნა წითლადა,
უშეგამდე, შაგერგებოდე!

ანა მქნა ვერცხლის სათოოკ,
რომ ხელშე ჩაგეგებოდე,
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რომ ფეხშე შაგეპრებოდე!

ან შენი ქოჩირის ბეწედ მქნა,
რომ ნებაშედ აგვეგებოდე;
ან შენი წარბის ფერფლი მქნა,
წამწამშე დაგეგებოდე!

ანამც შენა ვარდი-ორილი,
ცხერპირზე დაგეყრებოდე,
ან ვიუო მოვის პერანგი,
ზედ გულზე დაგადნებოდე!

ან შენი ნაწლაური მენა,
გულს ჭავრად ჩაგეტრებოდე,
ანამც ძმა ეკუო მოწილე—
ოცნებას არ გაგეყრებოდე.

ასეთია ლიზას ლიტერატურული გემოვნება. მე მიყვარს ეს ლექსი. ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ჩერქეზიშვილის ორიგინალურ მოთხრობებზე, რომელთა შესახებ ეტორს გულთბილი სიტყვები მოუსმენია ისეთი ადამიანებისაგან, როგორნიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, გიორგი წერეთელი და სხვ. მაგალითად, გიორგი წერეთელმა, „მაზაკვალის“ ფსევდონიმით, ლიზას ერთი პიესის შესახებ წერილიც მოათავსა თავის უურნალ „კვალში“. ლიზას პიესას ჰქვია „სამოცი წლის არშიყი“, რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ჩვენს სკენაზე ვასო აბაშიძის, კოტე შათორიშვილის და ავტორის მონაწილეობით, თვით ლიზა ამ თავის პიესაში ექვს სხვადასხვა ხასიათის როლს თამაშობდა: ქართველ კნეინას, სომხის ქალს, ოს დედაკაცს, თათრის გოგოს და სხვ. „სამოცი წლის არშიყი“ პირველად დაიღვა 1897 წელს. რეცენზენტი გიორგი წერეთელი ამ პიესას „მარგალიტა“ ადარებს. ივი წერდა: „დიდი მადლობის ღირსია ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომელმაც თავის მსახიობურ ნიჭთან ერთად კიდევ ერთი კარგი მარგალიტი შესძინა, ჩვენს ვოდევილებს შორის, ქართულ თეატრს“...

მაგრამ ყველაზე კარგი მარგალიტი თვითონ ლიზიკო იყო: იგი მართლაც ქართული თეატრის „60 წლის არშიყი“ თვითონ იყო, ყოველთვის ახალგაზრდა, მოძრავი, კისეასა, ვერცხლისწყალი, გონებამახვილი! ის იყო თავისი ქვეყნის და ქართული ხელოვნების წინსვლის მოსიყვარულე ადამიანი.

ანატოლ ფრანსი ამბობს: ადამიანს კულისების მტერი და სურნელება აყმაწვილებს და ახალისებსო. ალბათ ამით ახსნება, რომ, საზოგადოდ, არტისტი უბერებელი და ნიჭდაუშრეტელია.

ქალთა წლოვანების მომატების შესახებ ერთმა მწერალმა ასე ითხენჯა: „ქალი ორჯერ იბადება, ერთხელ ნამდვილად, მეორედ ტყუილადო“.

ლიზამ როდი იცოდა თავისი დაბადების თარიღი. არა! ეს არ იყო

ქალის ტრადიციული კექუცობის ჩვეულებრივი ამბავი! ლიზას მართლა არ ეტყობოდა თავისი ასაკონება.

ერთხელ, როცა მის შემუარებს ვძევდავდი, ლიზას ვკითხეს: „რამდენი წლისა ხარ?“ — „რა, გათხოვებას ხომ არ მიპირებ?“ — მიპასუხა თავისებური ირონიით. ერთი სიტყვით, მიუხედავად ჩემ მიერ ბევრი ცდისა, მოვკვდი, გავწყდი და ლიზას დაბადების წელი მაინც ვერ ვათქმევინე! ასეთია ნამდეილი მსახიობი: მას თამამად შეეძლო ეფექტუალურისანდრე ჭავჭავაძის რეფრენი: „მე იგივე ვარ, მარად და მარად!“. მისი ლეჩაქის შრიალში ქართლის ნამუსი ინახებოდა. მას ასულდგმულებდა მშობლიური მიწა. ის ხელოვნების თავგანწირული ამორჩალი იყო, რაღაც ლიზა დღენიადაგ შრომობდა, ეძებდა და სწავლობდა. ლიზა არ იყო მედიდური და ქედმილალი; ის, როგორც ადამიანი, უბრალო და სადა იყო: ყოველთვის ამტანი და გამტანი, მხიარული და გულწრფელი, მოძრავი და ცერიალა, ნაზი და შუშპარა.

ლიზა ჩერქეზიშვილი — ეს ჩვენი ხალხის დარბაისული ლიმილი იყო, თბილი და მოცისკროვნე.

ლიზას ეანრი თავისებურია: განსაკუთრებული, ჩერქეზიშვილური. ამ ხაზით მას წინამორბედი არ ჰყოლია. მე ვგულისხმობ ისეთ როლებს, რომლებსაც წმინდა ქართული ბეჭედი აზის (მაგ. ქართველი გამდელი, გლეხი დედაკაცი და სხვ.).

ყველა მსახიობს აქვს თავისი ამპლუა. ლიზა იყო ყოფაცხოვრებითი ხასიათის როლების შემსრულებელი მსახიობი. ასეთ როლებში მას ბადალი არა ჰყავდა. მაგალითად, დაუკიტყარია ნენე („მზის დაბნელებაში“), აბუა („დავაში“) და სარა („ხანუმაში“).

აღსანიშნავია სარას როლი!

როცა ხანუმას როლს მიღალინებიერი ნატო გაბუნია ასრულებდა, მაშინ ლიზა თამაშობდა სარას როლს. ამ როლის შესრულების დროს ლიზა იცავდა ყოველ დეტალს ბებრუხანა დიდედის ნიშანდობლივი თვისებებისას და დიდ ემოციურობასაც ამჟღავნებდა. ჩვენი თანამემამულე დრამატურგი ალექსანდრე იუჟინი-სუმბათაშვილი იგონებს ლიზას სარას და შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „ლიზას სარა შესანიშნავი იყო, რა დამაციტყებს, როდესაც ის, ჩერქეზიშვილი, ტაბრიდან ჩამოდის, ქოშებში ფეხს გამყოფს და წელში მოხრილი უყვავებს სონას, ამ დროს ის ისეთი რეალური, ისეთი ბუნებრივი იყო, რომ ცხადად თვალწინ წარმომიდგა ბებიაჩემი ქეთევანი“.

ერთხელ ჩვენმა რეასორტი კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა გადმომცა საუბარი რუსეთის გამოჩენილ მსახიობ იაბლოჩევინასთან... იაბ-

ლოჩქინის თავის ახალგაზრდობისას თბილისში უნიხევს ლიზას საჩადა და დღევანდლამდე ახსოეს თურმე. იაბლოჩქინის უკითხევს ანდრონიკაშვილისათვის: „ის მსახიობი კიდევ ცოცხალია (ლიზას გვარი უკერავის მოუფენია), ამ, „ხანუმაში“ მოხუც ქართველ ქალს რომ თამაშობდა; იმისი სიარული, შემოსვლა, ტახტზე ასვლა და ჩიტჩიფით ლაპარაკი ნამდვილი არტისტული გამოსახვით იყო შესრულებულიო“.

ასეთი იყო ჩვენი უბადლო მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომლის მიერ პატარა როლის შესრულებაც კი მაყურებლისათვის შეუმჩნეველი არა რჩებოდა. ასეთი იყო-მეოქვე მისი მაღალი ნიჭის საუცხოო სტატობა.

ელეონორა დუხემ თავისი ძეირფასი გრიმის ყუთი მერი პიკფორდს უანდერდა. ლიზას არ მიუღია ასეთი არმალანი. მან ნიკიერად განაგრძო ნატო გაბუნის გაკაფული გზა და ყოველთვის ლირსეულად ატარებდა ხანუმას მოხდენილ ქათიბს.

ივანე მაჩაბლის ცოლის და ცოლის დების გარდა, ისე არაეს უხდებოდა ქართული ტანისამოსის ტარება, როგორც ლიზა ჩერქეზიშვილს. ამ ტანისამოსში გამოწყობილს ისე არავის არ უხდებოდა ქართული ლეკურის თამაში, ხელების გაშლა და ჩამოვლა, როგორც ლიზა ჩერქეზიშვილს.

ქართული კაბა, სარტყელ-გულისპირი, ჩიხტი და კოპი, დაბასმული ლეჩქი ლიზას ტანზე სუნთქვედა რაღაც გადოსნური ძალით და სათუთ ელფერს აძლევდა ქართველი ქალის ტრადიციულ ეშხსა და მშეონნობას. ცნობილმა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა რამდენჯერმე გადაიღო ლიზას სურათი ღია ბარათებზე გასასყიდად, მოგზაურ ფრანგ მურიეს წიგნშიც არის ჩახატული ლიზა, როგორც ქართველი ქალის ტიპიური გამოსახულება.

ასეთი იყო ლიზა ჩერქეზიშვილი, მან დიდი და სახელოვანი გზა განვლო, გზა პატიოსანი, შრომისმოყვარე მანდილოსნისა.

ლიზა ჩერქეზიშვილი ის ძეირფასი თვალია, რომელიც მიწის გულიდან შემთხვევით ამოვარდება და ბედნიერი მგზავრი უცბად იპოვის. ეს განძი ლიზა იყო, მგზავრი — ქართული თეატრი.

ლიზა ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის თარიღი შუაზეა გაყოფილი: ნახევარი ძეელ ხანის ეკუთვნის, ნახევარი ახალ საბჭოთა ქართულ თეატრს. ლიზას დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში იგი მხარ-თექმზე წიმოწოლილი არ შეხვდა: ლიზა, როგორც დიდი ნიჭით და დიდი ტემპე-

რამენტით აღჭურვილი, ახალგაზრდული გატაცებით ჩაება თანამედროვე მსახიობთა ფერხულში და ახალი ქართული თეატრალური კულტურის განვითარებაში, მის ისტორიაში თავისი დაუღალვა შემოჰკმედებითი მუშაობის წყალობით საგრძნობი წელილი შეიტანა.

იშვიათია თეატრის ისტორიაში ისეთი მსახიობი, რომელსაც 60 წელიწადი გაეტარებინოს სცენაზე და კიდევ ირიცხებოდეს დასში, არამოთუ ირიცხებოდეს, წამყვან მსახიობადაც ითვლებოდეს.

ჩვენი თაობა ბეღნიერია იმით, რომ ლიზას გამარჯვებას მოესწორო, ლიზა თავისი თვალით ხედავდა სამშობლოს თავისუფლებას. დღეს ქართველი აქტიორი ლუკმატურისთვის აღარ წანწალებს დაბასოფლებში და მევანშე გურჯებს და ახირებულ მუხრანსკებს აღარ ემეცენატება.

თუ ლიზა ჩერქეზიშვილის თაობის მრავალ მოღვაწეს ბეღნიერაცნებად დარჩა ეცხოვრა და ემუშავა აღორძინებულ საქართველოში, ლიზა ჩერქეზიშვილს წილად ხედა თავისი ხალასი ნიჭით, მომხიბლაობით და აქტიორული გამოცდილებით მონაწილეობა მიეღო იმ შეუდარებელ აუგავებაში, რომელიც საბჭოთა წყობილების ხანაში ქართულმა თეატრმა განიცადა სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის მეოხებით.

1947 წელს ლიზა ჩერქეზიშვილის უკანასკნელი იუბილე გაიმართა, მისი 60 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

მე, როგორც მისმა მოკარნახემ, სალამოზე პატარა ლექსი წარმოვიქი.

მოღი, მოვიგონოთ, გავიხსენოთ:

წინათ რა იყო, ეს შე არ ვიცი,
მე იმას ვამბობ, რასაც დღეს ეხედავ,
ქართული კაბა როდის ჩაიცვი,
ბაეშვი, მიჯნურო, დათ და დედავ!

უბერებელო! რა ხარ? ვინა ხარ?
შენზე არ ითქმის: „ღროსგან ნამუსრო!“
შენს კაბის შრიალს გულში ეინახავ,
თაეღახურულო ხალხის ნამუსო!

ლაპარავობენ თეით შენი ძელები,
როცა სცენაზე გწვავს სიხალისე,—
ათიათასჯერ გარდაიცვლები,
ათიათასჯერ ცოცხლდები ისევ!

სიტყვის თავთუხმ! ღიმილის წყობავ!
ჭართული სცენის სულო და გულო!
ერთი სიცოცხლე შენ რას გვიორუ,
შენ რამდენწერმე დაბაცებულო!

ამ იუბილეზე ლიზამ საზოგადოებას კონტა სიტყვით მიმართა. ამ სიტყვის ხელთნაწერი ლიზამ ჩემს არქივს გადმოსცა. რადგან ეს სი-
ტყვა უკანასკნელი ამოსუნთქვაა დიდი მსახიობისა და არც დაბეჭდი-
ლა — ნება მიძოძეთ, წაგიკითხოთ:

„პატივცემულო საზოგადოებავ!

ცრემლები მაღრჩიობს, ენა მებმის და თამამად ყველაფრის ლაპა-
რაჟი არ შემიძლიან. ჩემინა თანამეტნობმა მთავრობამ დიდად დამა-
ჯილდოვა და დიდი ყურადღება მომაქცია.

საყვარელო საზოგადოებავ, თქვენ უწყით რა სიხარულს და ოლ-
ფრთხოებას განვიცდი. ეს ზეიმი ჩემთვის ტყბილიც არის და მწა-
რეც. სამოცი წელია, რაც ჩემ საყვარელ თეატრს ვემსახურები. ეს
უკანასკნელია თქვენი შეწუხება, რადგანაც ოთხმოცი წლისა ვარ,
ჩენს შორის დარჩეს და — ცოტა მეტისაც. ცხადია, იძღვები ენერგია
და უნარი აღარ შემწევს, რომ კვლავინდებურად განვაგრძო მუშაო-
ბა, მაგრამ ჩენი პარტიისაგან, რომელიც ხელოვნებასაც დიდ ყუ-
რადღებას აქცევს, მე მათგან გამხნევებული ვეცდები, რაც ჩემს ხო-
ნანებას შეეფერება, ვემსახურო ხალისით ქართულ ხელოვნებას.

უღრმეს მაღლობას მოვახსენებ ჩენს ხელისუფლებას და თქვენც
დიდ მაღლობას გწირავთ ასეთი პატივისცემით და სიყვარულით შეხ-
ვიღრისათვის“.

ერთი წლის შემდეგ ლიზა ჩერქეზიშვილი გარდაიცვალა. ეს დიდი
თავზარის დაცემა იყო ყველასათვის და განსაკუთრებით ჩენთვის,
სცენის მუშავებისათვის, მისი ახლობლებისათვის...

ჩენს შორის აღარ იყო ჩენი გულის ჯავარი, ოთხმოცი წლის
პარტოვანი ქალწული, უბერებელი, ყოველთვის მღიმარი, ახალგაზრ-
და, ძეელი და ახალი თეატრის ჩაუტეხლი ხიდი, ყოველთვის მოუს-
ვენარი ლიზა და აბა, მე რას წარმოვიდგენდი, რომ ერთი წლის წი-
ნათ იუბილეზე ნათქვამი ლექსი სამგლოვიაროდ შემცვლებოდა დი-
დუბის პანთეონში, ჩერქეზიშვილის სამარესთან:

ჩამოსათხოვარი

შენ, ნიკორო თემით ტერტამდე,
სულ სხვა ფხა გქონდა, სხვა სილამაზე,
გარდაცალე უცბად, უცცრად,
შემოქმედების ბრწყინვალე გზაზე.

შენ, ნიჭიერო თხემით ტერფამზე,
რა იყო დაღლა როდი ცოცხა!
საყვარელ საქმეს შესწირე თავი,
ზემთაგონების ცეცხლით იწოდი.

აღსდეგ! გახედე, რა ხდება ირგვლივ—
სულ სხვანისი არის ჩევნება —
რა ზიმშიმია... რა ყვავილები...
ეს ზემოთ თუ გასცენება?

ახ, აღარ მოყვარს შე ყვავილები,
ეს გვირგვინებიც შემჯვრდა მგოსანს.
შენს უტილებე ვარდის ზღვა იღვა,
მოკვდი და ეხლაც კარდები გმოსავს!!

რათა ხარ აგრე დადუმებული,
ეინ მოგაწოდა სიმწრის ფიალი
შენს უძრავ სახეს ცერ შევეჩევეოთ,
ჩემო ზიზიო! ჩემო ცქრიალა!

შენს უძრავ სახეს ცერ შევეჩევეოთ!
აღსდეგ, გახედე შენს პატივმცემლებს,
შენის დაკარგვით ისარნარავნი,
ცერ იმაგრებენ ანკარა ცრემლებს.

ეინ დაივიწყებს შენს ქართულ შანდილს,
შენს მდიდარ ლიმილს, შენს ლამაზ გრძნობას,
შენს უკენობ ცრროშას ეშხით გაღავცემთ
ჩეცნი თაობის ახალგაზრდობას,

დილუბის შიწავ! გულში ჩაიკარ
ერთი ბებქრი ტაბილი ბრუნელი,
„ოფატრი“ იყო მისი ბოლო თქმა,
მისი ანსება, სული და გული.

და აკი დააკვდა კიდეც იმ გზას, საიდანაც წარმოდგენების გასა-
მართავად მიემგზავრებოდა სოფლად.

ქედს ვიხრი, თნემით ტერფამდე, განსვენებული მსახიობის ლიზა
ჩერქეზიშვილის ბრწყინვალე ხსოვნის წინაშე.

საუკუნო ვაშა დიდ მსახიობს!



პავლე! მე შენი პირველი გამოსელა მახსოვს ავტოლის სახალხო აუდიტორიაში. ბოდიში, რომ შენს წლოვანებას ვამჟღავნებ, მაგრამ ეს იყო 1910 წელს. მე მაშინ იქ, ავტოლის აუდიტორიაში პატარა დასი მყავდა. სატრაბახოდ არ გამბობ, მაგრამ პირველად მე გაეურთხე, მე გაგძანე სცენის მტვერში, მე შეგაყვარე სცენა და პატარა ბიჭი კან-ლინაშვილის გვარით „ფრანგიშვილად“ მოგნათლე.

ასე მგონია გუშინ იყო ეს ამბავი. 45 წელი გასულა მას შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნე, შენ კი 40 წლის იუბილეს იხდი! ეს თა-რილი არ არის მცირე თარილი იმ მსახიობისათვის, რომელიც დღემდე ასე სასახელოდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

შენი დღევანდელი გამარჯვება, სხვებთან ერთად, მეც მახარებს, მეც, შენს უფროს ძმას და თანამოსაგრძეს.

მაგრამ ულექსოდ როგორ იქნება და პა, მიიღე ეს ჩემ მიერ მუნა-სიბად დაწერილი მოლოცვა-მოგონება.

პაწიაწია ბიჭი იყვით,
გამშრიახი, ნიჭით სავსე,
ამიტომაც ჩემი დასის
მცირე ჯგუფში მოგათავს.

შენ მლეროდი ურმულს კარგად,
ასრულებდი თანაც როლებს...
მოვიგონოთ წარსული დრო,
როცა ხსოვნა ჩაგვიქროლებს.

რა კარგია მოგონება!
რა კარგია სიტომურე!
ჩემს „ტითონის ლელეში“, გახსოვს,
თავაშობდი ჩემზე უკეთ.

დღეს დაბერლიჩ ეგ გრუზა თმა
უკრცხლისტერად ალამიზდა?
რათა, ბიჭო, მე კიდევ — პო,
შენ ხომ იყავ ახალგაზრდა?

მაგრამ, გეტეე, თუმც მოეხუცით,
მიიც ლეთქეს ნორჩი გული,
ახალმა ლრომ ახლებურად
ჩაგინერგა სიხარული.

ალექსანდრა პარგარეთიშვილი

ასეა! კაცი რომ ხანში შევა, მოგონებებში გადავარდება.

არ ვიცი, ღმერთმანი, საიდან დავიწყო. აშკარაა უნდა გავიხსენო, როგორც ეს მემუარისტებს სწვევიათ, პირეელი გაცნობის დღე! მეც ასე დავიწყებ. ეს მოხდა ამ 45 წლის წინათ.

არტისტული საზოგადოების თეატრში (ამჟამად რუსთაველის სახელობის თეატრი) დაიდგა სუმბათაშვილის პიესა „ლალატი“.

მე მაშინ 15 წლისა ვიყავი. ნუ მიაწერთ ამას ჩემს ჭაბუკურ უმეტებას, ნურც რაიმე ენებურ ზრახვებს, გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ „ლალატიდან“ რუქაის შემსრულებლის გარდა, სხვა არაერთ დამსკომებია. და რატომ მერე? ალბათ იმიტომ, რომ რუქაის როლს ასრულებდა ქართული თეატრის ულამაზესი ქალი ალექსანდრა კარგარეთელი.

ჩემს მიერ ნახული რუქაია-კარგარეთელი სცენიდან თან გამჟავა ჩემს ბინაზე და სიზმრად თუ ცხადად, სულ ის მედგა თვალწინ. სიზმრად მეჩვენებოდა, რომ რუქაია ცაშია, მიპქრის ღრუბლებს შორის და მეც უკან მივდევ ხელებგაწედილი დასაბყრობად და გულში ჩასაკრავად. ეხლა თქვენ იტყვით, „ეს სოსო რა გარყვნილი ვინმე ყოფილა, რომ 15 წლის ბიქს ძილში ასეთი რამ ეწმანებოდა“, მაგრამ ღმერთი, რჯული, არასოდეს არ ვყოფილვარ ნაპირებგადალახული ვაბუკი და ეს ჩემი ბავშვური გატაცება დღევანდელი იუბილარის ილექსანდრა კარგარეთელის შშეენიერებას და მის ჩაცმულობას უნდა მიეწეროს რუქაის როლში.

მერე როგორ უხდებოდა მხევალ რუქაიას, ამ შემთხვევაში ილექსანდრა კარგარეთელს, ირანული ტანისამოსი — გამშვირვალე და მსუბუქი ქსოვილები. გასაგიცებელი შეიდიში ეცვა, ნაოჭასხმული შეიდიში, რომელიც კანკებთან ოქროს ლილით იყო შემნეული, მოხდენილ ტანს დალალი დასთამაშებდა, თავზე ქალაბაია პერსედა შემოელებული, ხარაზული წულები ეცვა, რომ დადიოდა, მიხაროდა, ასე მეგონა, ქოშებს მე მაბიჯებს-მეთქი გულზე.

„ლალატის“ პირველი მოქმედებაა. შემოჰყავთ რუქაია. იგი წამო-
წევბა სულეიმანის ფერსთვებს და „ათასერთლამიანი“-დან ამოგლეულ-
ჯილი ზღაპრული ქმნილება, თავის მბრძანებელს ზღაპარს ეკუპნება ასეთ-
ის.

დღეს, როცა ალექსანდრა კარგარეთელი შემხვდება ხოლმე ქუჩა-
ში, გამახსენდება ეს სასიყვარულო შემთხვევა, რომელიც თითქმის
ამ ნახევარი საუკუნის წინათ შემემთხვა 15 წლის ვაბუქს და მადლო-
ბის გრძნობით ვივისები იმ განცდისათვის, ნიჭიერი მსახიობისაგან რომ
მიეციმა ხოლმე შაუკურებელს. უნ იცის, იქნება ამ ეპიზოდმაც ჩამა-
გონა ის, რომ ჩემი მოღვაწეობის პირველი ნახევარი წმინდა სიყვა-
რულისათვის შემეწირა...

ალექსანდრა კარგარეთელს შეიძლება ეწოდოს „გაჭირვების ტალ-
კეესის“ მსახიობი. მას ყველა როლი ერთნაირად ეხერხებოდა. ხან თუ
ვერონიკას თამაშობდა „ვედრე ხვალ, უფალოში“, მეორე დღეს ზეი-
ნაბის როლსაც აყისრებდნენ.

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო, როგორც მისმა სცენის მეგო-
ბარმა. ჩვენს იუბილარს, პატივცემულ ალექსანდრას ერთი ჩერული-
ბა პქონდა, სცენაზე პარტნიორი არასოდეს არ აყოცნინებდა! მე კა
ისეთი სუფლიორი ვიყავი, რომ მსახიობს რემარკებსაც ვაწევდი, ასე
მეგონა, თუ ის ჩემს მიერ ნაკარნახევ რემარკის არ შეასრულებდა,
ქვეყანა დაინგრეოდა; მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე კოცნაზე მი-
ვაოდებოდა, ჩვაცივდებოდი ხოლმე მსახიობს — „აკოცე, აკოცე!“
შემდეგში, ჩემი ხანდაზმულობის დროს, მსახიობი მავა ქართველიშვი-
ლი ხშირად მეტყოდა ხოლმე: „შე გასაწყვეტო, პატარაობიდანევ გე-
ტყობოდა, რომ კოცნის პოეტი გამოხვიდოდინ!“

პოდა, ერთხელ, „ლალატში“ ერეკლეს როლის შემსრულებელმა
შაქრი ბერიშვილმა დაიტრაბახა: „კაცი არ ვიყო, თუ იმაღამ სცენაზე
რუქაის (ე. ი. კარგარეთელს) არ ვაკოცო“.

მართლაც, ერეკლემ (ბერიშვილმა), პიესის რემარკის მიხედვით,
მიიწია რუქაისაკენ საკოცნელად — „შენ თავს, რუქაია, ვერავინ ვერ
წამართმევს, შენ ჩემი უნდა იყო, გესმის, მხოლოდ ჩემი“ (პქოცნის),
მაგრამ რუქაიამ ხელი პკრა ბერიშვილს და კოცნა შეაჩერა. დაიწყო
ბრძოლა. ბერიშვილი კვლავ ეცა გაშმაგებით რუქაის, მაგრამ... აქ
დახვდა რუქაიას ბასრი ბრჭყალები:

- ვერ მაკოცებ.
- პიესა თხოვულობს.
- ნებას არ მოგცემ.
- ვნახოთ.

რუქიამ ორივე ხელი მიიტანა ერეკლეს ყანყრატოსთან მოხავე-
რიებლად და კინაღმ ჩვენი ერეკლე მესამე მოქმედებაში არ გამოე-
სალმა წეთისოფელს.

ამ, ასეთი იყო ჩვენი სცენის ქართველი მსახიობი ქალის საზო-
გადოებრივი მდგომარეობა! ასეთი იყო ალექსანდრა კარგარეთელიც.
რომელსაც ტრადიციის მიხედვით, არ შეეძლო პიესის სრულყოფის-
თვის ნამდვილი კოცნა გაემეტებინა პარტნიორისათვის.

ეს დეტალი დამახასიათებელია ქართველი მსახიობი ქალის ისტო-
რიისათვის.

კიდევ ერთი და უკანასკნელი ეპიზოდი. მე შემეხება.

ეს მოხდა რეპეტიციაზე, ჩემი სუფლიორობის დროს.

ვთამაშობდით ეჭ. გაბაშვილის პიესას — „ნიგილისტების“. ამ პიე-
საში ნიგილისტების მოთამაშეს (არეტა ლოლუას) ბევრი რუსული სი-
ტუკები ჰქონდა სათქმელი. დედანი ძალიან ცუდი ხელით იყო დაწე-
რილი. ქართულს, ჩვეულებრივ, კარგად ვარჩევდი, მაგრამ რუსულის
წიკოთხვა, ისიც ხელთნაწერის, ძალიან მიჭირდა პირველ ხანებში.

„ნიგილისტების“ რომ ესუფლიორობდი, ერთბაშად შევნიშნე, რომ
ერთი ისეთი ორგონული რუსული სიტყვა : წამომიროშია, რომ მოე-
ლი აქტიორები სიცილით დაწყდნენ. განსაკუთრებით კისეისებდა ჩვე-
ნი დლევანდელი იუბილარი. არ იცინდა მხოლოდ მსახიობი ოლია-
ლევა, არამეთუ არ იცინდა, იგი თვალცრუემლიანი შეპყურებდა ამ
ამბავს. მე, როგორც ახალგაზრდა პოეტი, ოლიას შევეცოდე, მხო-
ლოდ ოლიას. ის მაშინვე კარგ აღამიანად დავსახე და მას შემდეგ
დაწყო ჩემი სატრუიალო ლექსების ციკლი მის მიმართ.

ამ, რა პენა ალექსანდრა კარგარეთელის სიცილმა, რომლითაც,
სხვათა შორის, განთქმული იყო ჩვენი მსახიობი ქალი.

მე, ამ მისთვის ბედნიერ დღეს, არ შემიძლია მაღლობა არ გადა-
უხადო ჩვენს იუბილარს მისი გულწრფელი სიცილისათვის, იმიტომ
რომ მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტს, შემთხვევა მომეცა ყველა-
სათვის საყერელი ქალის ოლოლ ლევავის მიმართ რამდენიმე კარგი
ლექსი დამეწერა, რომელიც გამოწვეული იყო ალექსანდრა კარგარე-
თელის სიცილით და ოლია ლევავის ცრემლებით.



გარდაიცვალა უშანგი ჩხეიძე.

ესიაც ერთხელ მაინც უნახავს იგი სცენაზე, არ შეიძლება განსა-
ძლორებული გულისტყივილი არ იკრძნოს ამ გასაოცარი შემოქმედის
დაკარგით. მოუხედავად იმისა, რომ უკურნებელმა ავადმყოფობამ
ორ თეულ წელს მეტია თეატრს მოსწყვეტა, ქართველი მაყურებ-
ლის სიყვარული მისდამი ოდნავადაც არ შენელებულა.

უშანგი ჩხეიძე უყვარდა იმასაც კი, ესიაც სცენაზე არ ენახა. ყვე-
ლას ენატრებოდა მისი გულში ჩამწედომი ხმის გავრცება, მისი მგზნე-
ბარე თამაში, მისი გრძნობათა დოკლაოთანობა.

ლადო მესხიშვილის შემდეგ, ჩხერის სცენას არ ახსოეს ისეთი ყო-
ველმხრივად შემყული ურიელი, ჩენჩი, პამლეტი, როვორიც შექმნა
ჩხერიმა დიდმა ხელოვანმა უშანგი ჩხეიძემ.

ჟელად თეატრი იყო ერთი ან ორი მსახიობის თეატრი. თანამე-
ტროვე ქართული თეატრი ანსამბლის თეატრია. კოტე მარჯანიშვილმა
ცოტა შრომა როდი გასწია სინთეზური თეატრის ჩამოყალიბების საქ-
მეში. მან ქართველი მსახიობი შეიჩინა შრომის, დისკიპლინის, რო-
ლის ზეპირად დასწავლას, პარტნიორების პატივისცემას. ამიტომ იყო,
რომ უშანგი ჩხეიძე, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოირჩეოდა და არ უ-
გამოირჩეოდა საერთო ანსამბლიდან.

უშანგი ჩხეიძე უდიდეს ყურადღებას აქცევდა პარტნიორებს სცე-
ნაზე. ისინიც დიდი მსახიობის შემოქმედებითი ცეცხლის მსურვალე-
ბით იწეოდნენ. ყველას უხაროდა მის გვერდით თამაში.

ის ხანმოქლე სიცოცხლე, რომელიც უშანგი ჩხეიძემ ქართული
თეატრის სცენაზე გაატარა, მუდამ დაუკიდებელი იქნება.

ქართული თეატრის ისტორია ყოველთვის სიყვარულითა და მად-
ლიერების გრძნობით მოიგონებს იმ ინთებულ გულს, რომელიც იწ-
ვოდა, იწვის და არასოდეს არ დაიწვება.

1953 წ.

ვიქტორ მატარაძე

ვიქტორ მატარაძე ჩხერის ახალ თაობას არ ახსოეს. რაიონის მუ-
შავები კი კარგად იცნობებ მის მოღვაწეობას. მატარაძეს მოღლილი
ქავს მთელი საქართველო. იგი მოგზაურობდა ჩხერის დაბა-სოფლებში

თავისი პატარა დასით და გველგან სიყვარულს და სიხარულს ჩემთვის ხურებდა. იგი ხელს უწყობდა ადგილობრივ სცენისმოვარებებს, რეკო-სორობდა, ამზადებდა... დრამატურებებს ყალიბებდა და სხვა. მისი ქალ-ვარი დღესაც ირკებიან სხვადასხვა რაიონის სახელმწიფო თეატრში და დღით წარმატებით ასრულებდნ საპასუხისმგებლო როლებს.

მატარაძე, უპირველეს ყოვლისა, ანსამბლის მსახიობია. შშვენი-ერი დიქტი! ხმა! ტემპერამენტი! — ამ, მისი დამახასიათებელი თვი-სება.

მატარაძე მე მახსოვს ავლაბრის თეატრში, 1907 წელს და შერე ქარ-თულ თეატრში დიდ მსახიობებთან ერთად. მე მისი მოქარნას ვიყავი.

არ დამავიწყდება მისი „ოტელო“. შესანიშნავი გრიმი და საუ-ცხოვდ წარმოთქმა ივ. მაჩაბლის თეთრი ლექსისა. მისი დიქტია ხიბ-ლავდა მაყურებელს. მან როლი ყოველთვის ზეპირად იცოდა. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ძველად როლის უცოდინარობა არ ითვლებოდა მსახიობისათვის სათაყილოდ. მახსოვს, არაესიანის თეატრში „ოტე-ლო“, ვიქტორის მონაწილეობით, ავლაბრელების დღესასწაული იყო, ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ მიღიოდა ეს წარმოდგენა და თეატრი ყოველთვის ხალხით იყო აღსავას. ვინ იცის, რამდენი ვაშა, რამდენი თაიგული, კოცნა და წერილი მიუღია ხალხისაგან ჩეენს ძერტფას, დღეს დაავადებულ მსახიობს ვიქტორ მატარაძეს. ეს ფაქ-ტია, რომ ერთი ხუცესის მეუღლე — ახალგაზრდა და ლამაზი ფოთუ-დია, ისე იყო მოხიბლული მატარაძის ოტელოთი, რომ იგი გამოექ-ცა თავის ქმარს და ცოლად გაძყვა ჩვენს ვიქტორს. ამათი ვაუიც მ- უმად თელავის სახელმწიფო თეატრის ცნობილი მსახიობია. ეს კი სულ „ოტელოს“ თამაშმა ქნა. ვიქტორ მატარაძე მომხიბლავი იყო ამ როლში. ასევე მომხიბლავად ჰქონდა გაკეთებული გრიმი, რომელსაც ყოველთვის თვითონ იქეთებდა, თავისი გემოვნების მიხედვით.

ეს კია, რომ ოტელოს ანსამბლი არ იყო შესაფერი. იაგოს როლ-ში მას პარტნიორად პყავდა ერთი მელიმონე არტემა. გვარი არავინ იცოდა. პბაძავდა ქართული თეატრის დიდ მსახიობს სეიმონიძეს და თვითონ ფსევდონიმად ლიმონიძე დაირქვა: ლიმონიძე — სეიმონიძე! მისი თვალები მართლაც ოდნავ ემსგავსებოდა სეიმონიძის თვალებს, მაგრამ რა შედარებაა: ჩეენს დიდ მსახიობს, ნამდვილ სიმონიძეს მე-ტად ლამაზი თვალები ჰქონდა, ფართეკილობებიანი, მუქი და ელვარე. ქალები გიდებოდნენ სეიმონიძის სილამაზით. ლიმონიძე კი, როლში რომ შევიდოდა, თვალებს გური მოზვერივით ატრიალებდა, ეს კუ მისი თამაში, ეს იყო მისი მიმიკა. ჩაც უნდა ესაყვედუროს იმდროინ-

დელ მატარაძეს, ეს ის იყო, რომ პიესის ტექსტი ძალიან შემოკლუ-
ბული ჰქონდა.

ქართულ თეატრში, ძველიდ, ჩვენი დიდი კორიფეები არ დერიდებული
ბოლონ პატარა როლის თამაშსაც. გერ კიდევ გიორგი ერისთავის თე-
ატრში, პიესა „დავაში“ აძრამა ბიჭის როლს ასრულებდა შემდეგში
ცნობილი სიხელმწიფო კაცი — გრაფი ლორის-მელიქვი; ლადო მეს-
ხიშვილმა რაც ერისთავის საიუბილეო წარმოდგენაში (მიღოცა პე-
სა „გერ დაიხუნენ, მერე იქორწინეს“) ითამაშა ბაზარში გამყოლი
ლაგიის როლი.

ვარტორ მატარაძე შესანიშნავად თამაშობდა ასეთ პატარა რო-
ლებსაც. „რეეიზორში“ — დერეიმორდა, „სიმართლეში“ — ბიძა,
„უბედურ დებიუტში“ — კიმნაზიელი, ლაქიები, დვორნიკები, კამერდი-
ხერები. — ესი მოსთელი! ჩვენი ექტორი ყველგან ტიპიური და სა-
სცულო იყო. მასსოდაც, ერთ რომელიმც პიესაში ვიქტორი მეჯინიბის
როლს ასრულებდა. შემოვიდა ამაყად სცენაზე, გაიჭიმა და ბატონს მი-
მართო ტრაგიკული ხმით: „ბატონო, უხენები მოვიყვანე და თავლაში
დაიგაბა!“ — და გულზე ხელი მაგრად დაირტყა. არა! ძალიან სასაცი-
ლოდ გამოიყენებოდა — რა საჭირო იყო ერთი საწყალი მეჯინიბის
თამაშის დროს ტრაგიკული პონა და გულში მაგარი მუშტის ჩაცემა? ამიტომ იყო, რომ როცა ერთხელ მატარაძე შემოკლებაში მოხვდა,
დრამატიული საზოგადოების წევრმა ტარსაიძემ წამოიძახა: „ა კრო
უ ბუდეტ იგრატ ლაკევე?!" კიდევ ერთი დეტალი ამ ტარსაიძის შე-
სხებ. ტარსაიძე თეატრის ძალიან მოყვარული იყო. ლარიბი ქართუ-
ლი თეატრისათვის შემოწირულებას აგროვებდა, ეხმარებოდა მსახი-
ობს. დიდი ენთუზიასტი იყო. სასამართლოში მსახურობდა. იგი იყო
ძმა ცნობილი თვალის ექიმის ტარსაიძისა, რომელსაც, სხვათა შორის,
ნიკო ლომოურმა მოხხობა „პაწია მეგობრები“ უძლვნა. ერთხელ ამ
ტარსაიძემ ლადო მესხიშვილი დაპატიჟა სადილად და ამალად შშიე-
რი პატარა აქტიორებიც მიგვიყოლა: მატარაძე, გვარაძე, უივიძე, გო-
მელაური და მე. ის-ის იყო სუფრას უნდა შემოესხდომოდით, რომ
მასპინძელმა ლადოსაგან წერილი მიიღო, ბოდიშს იხდიდა, „ისეთი საქ-
მე გამიჩნდა, რომ ეკა მოვალო“. ტარსაიძეს ეწყინა და ერთბაშად წა-
მოიძახა: „მაშასადამე, მე დღეს სტატისტებთან ესაღილობა?“ მართ-
ლაც, ლადო მესხიშვილის ნიჭითან შედარებით, ჩვენ ყველანი სტატის-
ტებად ჩავითვლებოდით, მაგრამ რა საჭირო იყო ჩვენი დამცირება
და დამადლება? მატარაძემ ჩამჩრეულა: ეკა უყურებ, მე ოტელოთი
და ანტონიუსით თავი მომაქვს, ეს სტატისტს მეძახისო!

დღეს ჩვენს ქვეყანაში მსახიობსაც ისევე პატივისა სცემენ, როგორც უკელა სხვა დარგის მუშაკებს. ჩვენი მთავრობა არ იცის უკელა აღამიანებს, რომელთაც წარსულში, იმ დუხშირ დროში, დიდი დამსახურება მიუძღვით კულტურულ დარგში.. ამ ბელნიერებას ვერავინ წაგვართმევს.

1953 წ.

ობადეს თუმანიანი

I

დიდი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი იმ კლასიკოს მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც თავიანთი კეთილშობილური იდეებით თავიდანვე ლრმად იქრებიან ხალხში და საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებენ. შეუძლებელია სომხური ლიტერატურიდან დავისახელოთ მეორე მწერალი, რომელიც ასეთი პოპულარობით ხარგებლობდეს. ეს იმით აისწნება, რომ ხალხის წიაღიძან გამოსულმა პოეტმა თავისი შევნებული ცხოვრება მოლიანად ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის მოახმია.

ოვანეს თუმანიანი (1869—1923) დაიბადა სოფელ დსეღში, ძეგლი ლორის მაზრაში. ბავშვობა მან სომხეთის ამ ულამაზეს კუთხეში გაატარა. ხეთო-იქვსი წლის ბიჭუნა ვლეხის სხვა ბავშვებთან ერთად მოელ დღეს ბუნების წიაღში ატარებდა. მას ხიბლავდა ლორის მოდამოების მომავალოებელი სილამაზე, ტყით დაბურული მაღალი მთები, მჩქეფარე ნაყადულები, გვივი მდინარეები და ყვავილებით ხალიჩისავით აქრელებული მინდვრები. შვიდი წლის ოვანესი ამ ტყესა და ველებში საქონელს მწყემსავდა, მთელ დღეებს თავის ტოლებთან ერთად ცის ქვეშ ატარებდა: აწყობდნენ გასართობებს, ამბობდნენ ზღაპრებს, თხზავდნენ შაირებს და სხვ. მაგრამ პატარა ოვანესი მარტო ბავშვების „მხიარული“ ცხოვრების მოწმე როდი იყო, მის თვალშინი ნათლად იშლებოდა ლორელი ხალხის ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები. იგი ბავშვობილანვე აკვირდებოდა გლეხების გაჭირვებულ ცხოვრებას, მდიდრების მიერ ღარიბების უსამართლო ჩავრას. ხალხის სილარიბესა და მწუხარებას არა ერთხელ აუჩიუებია კეთილი ბავშვის გული და ლრმად ჩაუფიქრებია. როცა მის სოფელში (ამებად ამ სოფელს თუმანიანი ეწოდება) სკოლა გახსნეს, ხოლო ამ

სკოლაში ღარიბთა შეიღებს იმის გამო, რომ სწავლის ფულის გადანდა არ შეეძლოთ, მიღებაზე უარი უთხრეს, მომავალმა პოეტმა უგონდნო, რომ „მზე ყველასათვის თანაბრად არ ანთებდა და ერთხმავალურ არ ათბობდა“.

პოეტი შემდეგში წერდა: „ამ დროს მე პირველად გავიგა, რომ ჩვენს შორის ზოგი შეძლებული იყო და ზოგიც ღარიბი. მე დღესაც ჰესმის ჩემი ამხანაგის, პატარი ნესოს ლრიალი, რომელიც თავის სახლის წინ მიწაზე გართხმული ტიროდა: სკოლაში წასელა მინდაო! მასი მამა კი უყვიროდა: არა მაქეს, არა მაქეს... სად ვიმოვო? სამი მანეთი რომ მქონდეს პერს ვიყიდი და მშივრები არ მეყოლებოთ! ოვანეს თუმანიანი თავისი ბავშვობის ამ მეგობარ ნესოს მუდამ გულისტყვილით იგონებდა. პოეტი ამბობდა: „ნესო კარგი ადამიანი დადგებოდა, შეიძლება ჩემზე უკათესიც ყოფილოყო, განათლება რომ მიეღო და ხელის შემწყობი პყოლოდაო“.

ასე შეიძულა ბავშვობიდანვე პოეტმა ძველი, უკუღმართი და უსამართლო ცხოვრება, რომლის სიმწვავე თვითონაც არა ერთხელ პქონდა განცდილი. თვითონ ოვანესსაც, მიუხედავიდ დიდი მისწრაფებისა, საშუალება არა პქონდა ფართო განათლება მიეღო. ცაშეტი წლის ოვანესი თბილისში ჩამოიყანეს სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო სწავლას თავი მიანება და სამსახურის ძებნა დაიწყო.

მძიმე ცხოვრებამ გული ვერ გაუტეხა, დაბრკოლებამ მისწრაფებაზე ხელი ვერ ააღებინა. იგი მტერიულ და გატაცებით დაეწაფა თვითონ განვითარებას, დღედალამ წიგნებში იყო ჩაფლული და ბევრს კითხულობდა. ახალგაზრდობიდანვე გაეცნო სომხურ, რუსულ, ქართულ და ევროპულ კლასიკურ ლიტერატურას, განსაკუთრებით ბევრს სწავლობდა ხალხისაგან. დიდი სომეხი პოეტის ოვანეს თუმანიანის უნივერსიტეტი თვით ცხოვრება იყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივად სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე ოვანეს თუმანიანის შემოქმედება, მისი ყოველი ნაწარმოები აღბეჭდილი იყო ხალხურობით, დამოკრატიული მოტივებით. მისი გამოსვლით სომხური ლიტერატურის განვითარებაში უფრო მაღალი ეტაპი დაიწყო. სომხური მწერლობა ოვანეს თუმანიანმა გაამდიდრა ახალი თემებით და შექმნა ბრწყინვალე ქმნილებანი, რომლებიც სომხური კლასიკური მწერლობის ოქროს სიგანძურში შევიდნენ და დღემდე მხატვერული აზროვნების ხალხურობის, სისადავის უბადლო ნიმუშებად დარჩნენ.

სომეხი ხალხის დარღი და სიხარული ჩაქსოვილია თუმანიანის ყო-

ველ სტრიქონში. პოეტმა ვალერი ბრიუსოვემა კარგადა თქვა: „სომხეთის გასაცნობად საჭირო არ არის დიდტანიანი წიგნების წაყითხვა, ამისთვის კაცშა მხოლოდ თუმანიანის პოემა „ანუში“ უნდა წაიკითხა ხოსტა!“

ოვანეს თუმანიანის მხატვრული ფანტაზია მეტად მდიდარია; იგი წერდა ისტორიულ თემებზე, ძალიან ხშირად მიმართავდა ფოლკლორს და იქიდან იღებდა გმირულ-ეპიკურ სახეებს. ბევრს წერდა თავისი დროის ცოცხალ სინამდვილეზე, მაგრამ არასდროს, არც ერთ შემთხვევაში დიდი რეალისტი მწერალი წარსულის ტყვე და ფაქტების მონა არ ყოფილა. იგი მუდამ ფხიზელ ისტორიულ ანალიზს უკეთებდა წარსულის მოვლენებს. თანამედროვე ცხოვრებიდან განაზოგადებდა ყველაზე ტიპიურ მმბებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას. მწერლის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილი თხზულებანი, სადაც ხალხის გმირული წარსული სიმართლით არის სახელი, უშუალოდ ეხმაურებოდნენ მშრომელი მასების სასიცოცხლო ინტერესებს.

ოვანეს თუმანიანი, როგორც პოეტი და ადამიანი, უაღრესად მგრძნობიარე იყო. მას შესანიშნავად ესმოდი თავისი ერის ტანხეა, მისი სულიერი ტკივილები, მავე დროს ლრმად სწამდა, რომ სომები ხალხის ჩაგვრისაგან განთავეისუფლება დიდად იყო დამოკიდებული მეზობელ ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებაზე. ამიტომ იყო, რომ იგი თავგამოდებით, დაუცხრომლად იღწეოდა ქართველი, სომები და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისათვის და ამ მეგობრობას მოელი გულით და შეზნებარებით უმდეროდა.

როცა მეფის თვითმშეყრობელობამ ამიერკავკასიის ხალხებს შორის მტრობა და შუღლი დანერგა, როცა აზერბაიჯანელები და სომხები ერთმანეთს შეუსია, — დიდებული შეოსანი მაშინვე გვეიდა ხალხში... იგი ას ერთდებოდა არავითარ ხიფასს, დადიოდა აზერბაიჯანულ და სომხურ სოფლებში, ოჯახიდან ოჯახში, კარილან კარად, თეითმკრთბელობის აგრძელებისაგან მოტყუებულ უბრალო ადამიანებს ერთმანეთისადმი მეგობრობას შთაავონებდა და ხოცვა-ულეტის შეწყვეტისაეკნ მოუწოდებდა.

სწორედ ამ ხანებშია დაწერილი მისი შესანიშნავი პოემა — „ერთი წვეთი თაფლი“ (პოეტი ამ დროს მეტეხის ციხეში იჯდა). ეს ნაწარმოები მიმართულია ცარიშის დამქამებისადმი, რომლებიც ცდილობდნენ შეერყიათ მეზობელ ერებს შორის ისტორიული მეგობრობის

შრწყინვალე ტრადიციები და გაეჩილებინათ ნაციონალისტური შუღლი.

თვანეს თუმანიანი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მთელი გრძნობით უმღერა სომეხი და ქართველი ხალხების ძმობის იღეს. თავის ცნობილ ლექსში „საქართველოს პოეტებს“, რომელიც დაწერილია 1919 წელს, პოეტი წერდა:

„თანამოძმერო, ხალაში თქვენდა!
პოეზიაში წვა გერგოთ ხველრაც,
და არარატმა—როგორც ლეგენდა.—
გული გაიპო თქვენს შესახეულრა—
შემოლამების მიმქრალი შეკი
და, შეუერთდეს ჯანსაღ განთიადა,
ანთოს ძმათა ორი პატრუქი,
გზა გაუნათოს მომავალ დიალა.
და, ჩევნი ლექსის ნაზ ცისარტყელაშ
მოსპოს კერაფო სისინი მტრულა,
და, ჩევნი ლექსი შოელოს ყველას,
ბელნიერებით გადაზღაპრული.
კავკასიონის ქალარა ერებს
ჩვენ მოუწილებთ საერთო ლხილშე,
ჩემი ქამანჩაც ტუბილად იმდერებს
თქვენი მგონების შემოძახილშე.
დაერჩეთ, ქურუმნო, ძმად და შეგობრად,
შეექმნათ ოჯახი მხხანგური
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
ყველამ მიუზილოთ თითო აკური.
ლღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება,
ეს დაგვრჩეს შაინც ჰველ გაცემილად,
რომ ერთი ერთის უბელურება
უარ გადაიქცეოდა მეორე ერთის კეთილდღეობად. იგი ოცნებობდა იმ
ხეტარ დროზე, როცა ალარ იქნებოდა ომები და მტრობა კარის მეზობლებში, როცა დამკვიდრდებოდა მშრომელთა თავისუფალი და
საამური ცხოვრება...“

პოეტს სწამდა, რომ ერთი ერთის უბედურება კერ გადაიქცეოდა მეორე ერთის კეთილდღეობად. იგი ოცნებობდა იმ
ხეტარ დროზე, როცა ალარ იქნებოდა ომები და მტრობა კარის მეზობლებში, როცა დამკვიდრდებოდა მშრომელთა თავისუფალი და
საამური ცხოვრება...“

პოეტს სწამდა, რომ საკუთარი თვალით ნახავდა თავის ხალხს თავისუფალსა და ბელნიერს. და ის, როცა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთან ერთად მთელი ამი-ირკავებისის ხალხებსაც თავისუფლება მოუტანა, თ. თუმანიანის ილ-ტაცებას სახლვარი არა ჰქონდა.

„თ, მთავრობა, — წერდა იგი 1921 წელს, — რომლის გერმანულ
ჩენ ცხედავთ არა მხეცებისა და იარაღის გამოსახულებას, არამედ
ნამგალსა და ჩაქუჩის — მუშებისა და გლეხების შრომის სიმბოლოს, —
თ, მთავრობა, რომელსაც თან მოაქვს მევობრობა, მშეიღობიანი
ცხოვრება, თავისუფალი შრომა და არა ომები და გაღატაკება“.

ოვანეს თუმანიანი სომეხი ხალხის სიმაყევა. იგი თავისი დიდი
ადამიანური გულით, რომელიც საყვარულოან ერ-
თად ასე ფაქტზე იტევდა ყველა ხალხის სიყვარულს, მაღლიერი
საბჭოთა ადამიანების ხსოვნაში მარად ცოცხალი დარჩება.

II

ოვანეს თუმანიანი გავიცანი თითქმის ამ ორმოცი წლის წინათ,—
1914 წელს, 15 მაისს, — პირველი მსოფლიო ომის რამდენიმე თვით
დღე. ეს იყო სწორედ იმ დღეს, როცა ოვანეს თუმანიანის და გი-
ორგი ბაშინგაბლიანის ინიციატივით საიათონოებს საფლავს ძეგლი და-
უდგეს. გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ვინც ამ ზემოს და-
ესწრებოდა, უნდა ტანისამოსის ლილ-ეკლოზე გაეთვებული პქონო-
და იმ დღის, — ძველი თბილისის მკედრეთით იღდვომის დღის, —
სახსოვრად ალისფერი ვარდი, საიათონოებს საყვარელი ცერის ყვავილი.

ჩენც ასე მოვიქეცით. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე თბი-
ლისის ხელოსანთა ამქრებმა მოახდინეს. თავიანთი ფირებმოხატული
ბაირალებით, წითელი ფერის თაიგულებით.

ქართველი მწერლებიდან, — როგორც იტყვიან, — სულ რაღაც
სამნახევარი კაცი დაესწრო (ნახევარ კაცად ჩემს თავს ეგულისხმობ,
ახალგაზრდა ვიყავი): კოტე მაყაშვილი, ილია და ნინო ნაკაშიძენი,
ისეს იმედაშვილი და მე. ოვანესი აქ გავიცანი. წარმოიდგინეთ,
დამსწრე ქართველებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი ისეთი კაცი, რო-
გორ საც საიათონოებს ნაწერები პქონიყო წაეკითხული. ყველას, თვით
მეც, ლეგენდას ავით გავონილი გვქონდა საიათონოებს სახელი, მაგრამ
ვინ იყო, სიიდან იყო, რას აკეთებდა, რას წერდა, ვის უმღეროდა და
სხვა — არავინ იცოდა. როცა კოტე მაყაშვილმა მომმართა: „შენ ქა-
ლაქელი ხარ, ცმილი ბიჭი (სწორედ ამ ლექსით მომმართა), აქაუ-
რებისაგან უცოდინება, ან თუ არ იცი, შეიტყვე, გაიგე, იწვრილე და
ქართველ ხალხს გააცანი ეს სამ ენაზე მომღერალი მგოსანი“, მე სა-
პასუხოდ გულში კიმეორებდი აკაკის ლექსს:

ეს ძველის ძველი ამბავი არის,
მე ზლაპარიყით გამიგონია,

ამ ზეიმის შემდეგ ყველანი, დიდიც და პატარაც, ქართველიც და სომხებიც, ოვანეს თუმანიანის ბინაზე მოკეცდით გაშლილ სერობაზე. აქ ბევრი სიტყვა წარმოითქვა ძმობაზე, კულტურულ ურთიერთობაზე, პოეზიაზე, მასპინძლებზე, საიათნოვას რაობაზე და სხვ. ყველა ეს თქმული მძივივით ივისხი გულის ყითანზე და იქვე გადავწყვარი, რომ შევდგომოდი საიათნოვას ქართული ლექსების ძებნას და ცალკე წიგნად გამოცემას.

როგორც მოგეხსენებათ, საიათნოვაზე ჩემი პირველი წიგნი, სამათხი წლის რულუნების შემდეგ, გამოვიდა 1918 წელს.

ჩემი მონოგრაფია ძლიერ მქრთალი გამოვიდოდა, თუ ამ საქმეში ოვანეს თუმანიანს არ დაეთმო თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა... ყოველმხრივ ხელს მიწყობდა აგრეთვე ცნობილი მხატვარი გიორგი ბაშინჯალიანი, რომელიც, სხეათა შორის, სიღნაღმი იყო დაბადებული და შესანიშნავიად წერდა და ლაპარაკობდა ქართულ ენაზე. ამავე დროს განსვენებულმა პროფესორმა ისხებ ყიფშიძემ ლენინგრადიდან ჩამომიტანა ბატონიშვილ თეიმურაზის ქალალდებში ნაპოვნი, საიათნოვას შვილიშეილის ივან სეიდოვის მიერ გადაწერილი თავისი პაპის რამდენიმე ლექსი და ამან ხომ ფრთხი შეასხა ჩემს კვლევით გეგმებს.

როცა რომელიმე თარიღი, ურჩი ბაქმივით არ მემორჩილებოდა, ჩემი გვეირვების ტალ-კეესი ოვანეს თუმანიანის ერულიცა იყო. აედიოდი ყოფილი ამაღლების (აწ დაერთაშვილის) ქუჩაზე, მორჩილად დავაეცუნებდი კარებს, მისი ერთ-ერთი ქალიშვილი (სულ 13 შეილი ჰყავდა) შემიძლევებოდა თავის მამასთან და ოვანესიც თავისებური დიმილით, — ეს ღიმილი ერთ ლექსადა ღირს, — შემექითხებოდა ჩემი მუშაობის შესახებ და მის სიხარულს სახლევარი არა პქონდა, როცა ვეტყოდი, რომ მუშაობა დასასრულს უახლოედებოდა, ხოლო როცა საგარეო მოხსენება წავიკითხე საიათნოვას შესახებ, თუმანიანი და ბაშინჯალიანიც დაესწრენ ამ საღამოს. ისინი პირველ რიგში იჯდნენ და ყოველ ჩემს სიტყვაზე ტოკავდნენ და ხანდახან ერთმანეთსაც გადახედავდნენ ხოლმე.

არ, ასე და ამგვარად დაგვაძმობილა საიათნოვამ მე და ოვანეს თუმანიანი.

ერთხელ ოვანესი ავად იყო. ექიმს ელოდა და მე შევაღე კარები „ინი კონიშ ჰექიმნ,
ინი კონიშ გარენ,
მე ტვაწნ ურიშ დიღე,
ურიშ-დიღ“

(რად მინდა ექიმი,
რად მინდა სალბუნი,
შენგან მოცემული წამალი
სხვა წამალია, სხვა წამალი)“



მომაძახა საიათნოვას ერთი მუხამბაზის რეფრენი.

მცირეოდენი ლიტერატურული საუბრის შემდეგ, ოვანესმა განაცხადა: „მინდა ჩემი ღიღი ხნის ნატერა აეიხდინო და ეთარგმნო პომეროსი, ფირდოუსი და რუსთაველი, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“ მენიაზება, თუ აეადმყოფოსამ ხელი არ დამრია, ამ დიდ საქმეს უკველად გაზაფხულიდან შევუდგებოთ“. ბოლოს ჩემს ლექსებზე გადავიდა, მე და შენ ერთმანეთი უნდა ვთარგმნოთ, დაე, ქართველმა და სომებმა ხალხმა გაგიცნოს და ერთმანეთის ძმობა და სიყვარული ჩაეუნერვოთ გულშიო.

აღარ დასცალდა! მისი გარდაცვალება რომ გავიგე, მაშინვე პომეროსთან და ფირდოუსთან ერთად ჩვენი „ვეფხისტყაოსანის“ აეტორი რუსთაველი გამახსენდა და ოვანესისადმი მიძღვნილი ერთი ჩემი ლექსი ასე დავამთავრე:

გადაისხება იმ ქვეყნის კალთა,
შე დაიხრება, როგორც თაველი
და ხელში ლანგრით დაგხელება კართან
პომერი. ფირდუს და რუსთაველი!

ოვანეს თუმანიანს თავისი შიგნი ქართულ ენაზე დაბეჭდილი არ უნახავს.

მე მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ოვანესის ნაწერებს ორიგინალში არ ეკინობ, მხატვარ ბაშინგალიანის ბრწყარული თარგმნის მიხედვით, შეეცდები მისი რჩეული ნაწერების გაქართულებას, იმ მიზნით, რომ სომები ხალხის დიდი პოეტი, ეს საქართველოს საუკეთესო მეგობარი — ქართველი ხალხისთვისაც საცნობარი გამეხადა. მე მინდოდა ეს ჩემი თარგმანი შესანდობარი სიტყვა ყოფილიყო პოეტის გარდაცვალებაზე თქმული, იმ პოეტის, რომელიც ორ ერთა შორის მეგობრული ქარების გაშლას ლამობდა. ვაი, რომ ის ასე ჩქარა გამოგვეცალა!

მე ჩემი პირობა შევასრულე!

ერთხელ მწერალი შირვანზადე შეეკითხა ოვანეს თუმანიანს: რომელ მიმართულებას თანაუგრძნობ ლიტერატურაში, რომელ დაჯგუფებას ეკუთვნიო; ოვანეს თუმანიანმა ღიმილით უპასუხა: მე არც ერთ

დაგულებას არ ვეკუთვნი, მწერლობაში მხოლოდ ორი მიმართულება ასებობს.

საქართველო
იურიდიკური

— რომელი? — შეესიტყვა შირვანშადე.

— „ნიჭიერნი“ და „უნიკონი“. — სიტყვა მოუჭრა თუმანიანმა.

ოვანეს თუმანიანის ნიჭი, — რომელიც პირდაპირ ხალხის წილი-დან მომდინარეობს, — მეტად თავისებურია და შუშტაკებადაუსმელი. იგი სრულიადაც არა ჰგავს კრილოვის იმ გლეხს: გზაზე რომ აქრო იპოვა და ბევრი ხეხვისაგან წონა დაუკარგა. ოვანეს თუმანიანმა იცოდა თავისი წონა და ფასი. იგი არ ეკუთხნდა ლიტერატურაში გავრცელებულ რომელიმე ბრწყვეილა მიმართულებას და ბუნებრივი ინტეიციის საშუალებით ინაზღაურებდა ზოგიერთ დანაკლისს.

ოვანეს თუმანიანი დიდის ავტორიტეტით სარგებლობდა: ყველა პატივისცემით ეპყრობოდა მის აზრს... ის იყო მეზობელ ერთა შორის სოლიდარობის წმინდა მოციქული. მაგრამ ამასთანავე უყვარდა თავისი ერი. მან ერთხელ, თავის ლიტერატურულ საღამოზე, წარმოსთქვა: „არ არის არც ერთი ი.ე.თი ერი, — დიდი თუ მცირე, მაღალ-კულტუროსანი თუ უყვარტური, რომელსაც მე უარყოფითად ვექ-ცეოდე, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ჯერ ჩემი ერი მიყვარს. ვისაც თავისი ერი არ უყვარს, ის ვერც სხვას შეიყვარებსო.“

არანეკლებ უყვარდა საქართველო და მისი დედაქალაქი. მას გაბრიელ სუნდუკიანციით შეეძლო ეთქვა: „ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომხები, ქართული მიწითა ვართ გაზრდილიო!“

ოვანეს თუმანიანი გულწრფელი მეგობარი იყო საქართველოს კულტურისა, მისი კეთილშობილი რაინდი. „ერთი გზა გვქონდა ძველად, ერთი კულტურა მცყვაოდა ჩვენს შორის და მომავალიც ერთი გვაქვსო“, — იტყოდა ხშირად განსვენებული.

ოვანეს თუმანიანი არ იყო საქართველოს უძლები შეილი. ნამდვილ ქეს არ შეუყვარდება ჩვენი თვითება ისე გამძაფრებით, როგორც ეს განსვენებულს უყვარდა. საქართველოს ჭარასული, აქმყო თუ მყობალი, სომეხთა პოეტში სერიოზულ გამოძახილს ჰპოვებდა... ამას აღსტურებს მისი მშვენიერი ლექსები: „საქართველოზე“, „ნიკო ბარათაშვილზე“ და სხვ.

იგი ერთხელ წერდა: „ძველი თბილისი, საიათნოვას მსგავსად, თუმცა სინთეზია ბევრ ხალხთა ცხოვრებისა და სულიერი ძლიერებისა, ატარებს ქართულ სულს... პოეტური გუნება იმდენად შეთვისესულია ქართველში, რომ ყოველი ქართველი მე პოეტი მგონია. ეს ჰქონდა ქართველს მიმზიდველად თავის მტრებისათვისაც კი“.

ეს აზრი შემდეგში სიკო ფაშალიშვილისადმი მიწერილ შერილშიაც გაიმეორა: „ქართველი კაცი, — ამბობდა თუმანიანი, — ეს უკვე პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი, ორმაგად პოეტიაო“.

ოვანესის ქალიშვილმა გადმოგვეცა ერთი დამახასიათებელი ამბავი: როცა განსუენებული პოეტი საექიმოდ მოსკოვში წავიდა, დაბინავდა ქუჩაზე, რომელსაც ერქვა: Грузинский переулок.

— მამიჩემის აღტაცებას საზღვარი არა პქონდა, რომ თვით რუსეთშიაც საქართველოს ქუჩაზე სცხოვრობდათ, — მიაგებობდა პოეტის ქალი — ნვართ.

ოვანეს თუმანიანის ნაწერები ცნობილია საქაცობრიო იდეალის წინაარსით: მშობლიური მიწის სიყვარული და ხალხის განთავისუფლება უარიშმის ჭანგებისაგან.

ოვანეს თუმანიანი იშვიათი სპეტაკი პიროვნება იყო: სიყვარულის განხორციელება. მისი სიყვარული არ იყო ის მურმანის ეკალი, რომელიც ორ მონათესავე სულს აშორებს. ოვანეს თუმანიანი ჩვენს საიათოებს წრფელად დაემოწაფა და მისი სიყვარულით აასინთეზა საქართველოს მაღალი კულტურა.

მაგრამ მთელ თავის სიძულვილის ბოლჩას გახსნიდა მაშინ, როცა ადამიანს თაღლითობას შეამჩნევდა. ეჯიბრებოდა შფოთისა და შუღლის ავტორები, ეჯიბრებოდა ყველა ის ტურისტები, რომელნიც ჩამოდიოდნენ ამიერკავკასიაში და არასწორ ინფორმაციას ათავსებდნენ ევროპულ პრესაში.

ოვანეს თუმანიანის კალმი ვეისატავს რეალურ სახეებს სოფლის ცხოვრებიდან. ქალაქის მოტივები არ ეხერხებოდა და თვითონაც გაურბოდა. მას აქვს ერთი ჩინებული მოთხრობა სოფლის ბავშვის ცხოვრებიდან: „გი ქორ“, სადაც მხატვერულ ფორმებში დასურათებულია სოფლის მიამიტი ბავშვი, რომლის სასიცოცხლო ენერგიის ექსპლოატაციას ეწევა ქალაქელი მევისშე აღა. ამ მოთხრობას დღესაც ბავშვებში უცრემლოდ ვერა პკითხულობენ.

შვენიერი სტილითაა დაწერილი მეორე მოთხრობა მონადირეთა ცხოვრებიდან: „ირემი“. აქ პოეტის ნაზი სული ეურჩება ადამიანის ძალმომრეობას და ესარჩელება უდანაშაულო, ტყეში თავისუფლად მონავარდე პირუტყვს. ამ მოთხრობაში სულ რამდენიმე ნახაზობით მოცემულია ბუნების სხვადასხვა წარმტაცი სურათი.

„ა ჰ მ ა დ“ — ავტორის პირადი მოგონებაა მათი თვალის წარსულიდან. მართალია, ეს „დღიური“ სულ ორიოდე ფურცელია, მაგრამ

მეტად დამახსინათებელია ორი ერის მტრული დამოიდებულების
არასასიამოვნო შედეგებისა...»

„გულადი ნაზარი ზღაპარია და აღნავობით ჩვენს „ნატარ-
ქექის“ ემსგავსება („სახელად მქვია ფასია, ერთი ხმლით მოვალ
ასია“). ამ მოთხრობიდან ნათლად სჩანს, თუ რა წყაროებით იქმნება
„საზოგადოებრივი აზრი“, და როგორ შეიძლება, რომ სრულიად უბ-
ადრუება, უბირმა და ჩია კაცმა, კარგი რეპუტაციის საშუალებით დიდ
თანამდებობას მიაღწიოს.

მაგრამ ოვანეს თუმანიანის თავიანკარა ნაწარმოებად ითვლება „ა მ-
უ შ“. ანუშ — ლირიკული პოემა: სიყვარულის ნატიფი სიმფონია. ამ
ნაწარმოებში ჩართულია: სოფლის ადათები, მისი ჭირი და ლხინი,
მტრობა და მეგობრობა, ბუნების სიქალწულე, დღეობა, ქორწილი,
ჭიდაობა... ერთი სიტყვით, ამ პოემაში სოფელი მოცემულია მთელი
თავისი კოლორიტით და ბუნებრივი სახით.

ოვანეს თუმანიანის თემები არ არის გაზვიადებული გრძნობებით
დატვირთული: იგი თავისი ერის წარსულს სათუთად ეპყრობა და
არასოდეს სომხის იარებზე წარმარა არა სწერს, როგორც ამას მისი
თანამოკალმენი სჩადიოდნენ. მისი სევდა საყაობრიო სევდაა — რო-
მელიც ყველა ჩაგრულს ერთნაირად ეხება.

წინა დროის პოეტები, გამსჭვალულნი წინასწარ იყვიატებულ დე-
ით და თავიანთ ტენდენციურობით, ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ
აგრეთვე ლექსის გარეჯანს, მის ტექნიკურ აღნავობას. რასაეკირეველია,
მათ ბევრი შედევრი მოეპოვებათ, მაგრამ მათი ერთსახეობა და არა-
ხალხურობა, ნაწილობრივ მაინც, გამოსჭვიერის მათ თხშულებაში.

მართალია, ოვანეს თუმანიანის ლექსის პირველ ხანში აყლდა ხმო-
ვანების დინამიკა და მხატვრული კონცეპცია, მაგრამ თანისთანობით
მისი ნიჭი ჩამოიქნა და აფერადდა: მშობლიური სურათები, ბავშვეური
მოვნებანი, თავის სამშობლო ლორის მთა-გორიანი ადგილები, ხალ-
ხური ლეგენდები და სხვა — კალავ გაცოცხლდნენ მის მდიდარ მეხ-
სიერებაში და უკვდავების სიმწვანით დაიდაფნენ.

მისი ლექსის ფორმა შინაარსის ზიარია.

სანიმუშოდ დავისახელებ: „ფარვანას“, სადაც სულის სამა-
რადის ძიება (უკვდავ გეცხლის საძებნელად წასული რაინდები)
ლამაზ ლეგენდარულ რკალშია გამოსახული... მაგრამ ბოლოს მაინც

შეელას ერთი ბელი ქვედება,
ძიებაში შეელა კვლება!

ზღაპრები — ეს ხალხის კოლექტიური შემოქმედება — ოვანესა
თუმანიანის მადლიანში ნიჭია ხელმეორედ გააზღაპრა.

მას, როგორც ხალხის შეილს, ძვალსა და რბილში გამჯდარი ჰქონდა
ხალხური სული, მან ხალხს დაუბრუნა ის, რაც ხალხისაგან
აიღო:

მე მდიდარი ვარ! ხალხს შეეწირე ლხენა და გლოვა, —
თვითონ მტერსაც კი იმონებდა ჩემი გალობა;
მე ამა სოფლად ხელმეორედ ხომ ვეღარ მოვალ,
უკან კუბრუნებ ჩემს სამშობლოს, რაც მიწყალობა.

აიღეთ მისი პატარა საბავშვო ზღაპარი „ძალლი და კატა“, რომელიც მის ნაწარმოებთ შორის ყველაზე ადრეა დაწერილი (1886). აქ იუმორის თხელ მარმაშის ქვეშ გონებამახვილურად გადმოცემულია ქატის და ძალლის ისტორიული უმძრახობა... შეიძლება თამამად ითქვას, რომ სომხეთში არ არის არც ერთი მოწაფე, რომელმაც ეს ლეგენდა ზეპირად არ იცოდეს და ამით არ აედგას ფეხი... კეშმარიტად, მის ლეგენდებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში ოვანეს თუმანიანი ჩვენს ძვირფას აქაყი წერეთელს გვაგონებს...

აქ მაგონდება ერთი მისი ზღაპარი — „უბედური ვაჭრები“, — რომელიც ჩვენს ფოლკლორშიაც მოიპოვება.

ღამურა და ფარფატა (ყაშკა) დაძმობილდებიან: ერთად ვივაჭროთ. შექვრავენ პირობას, მაგრამ ფული? სად იშოვონ შესაფერი თანხა? მივლენ ეკლის ბუჩქთან და დიდი ხვეწინის შემდეგ „ბარათით, სარგებლით“ გამოართმევენ საქმაო ფულს. ღამურა დარჩება ღუქანში. ხოლო ფარფატა ჩაჯდება გემში და გაემვზავრება უჩინმახინის ქვეუნებში; მოივლის სპარსეთს, ინდოეთს, არაბისტანს, შეისყიდის ბითუმად საქონელს (მარგალიტს, ქირმანშალს, ინდისხურმას, ფუსტულს), დატვირთავს გემს და დაბრუნდება სიხარულით... მაგრამ ზღვაზე ასტყდება დიდი ფრთონა, ჩასძირავს დატვირთულ გემს და საწყალ ვაჭარ ფარფატას საქონელი დიელუპება. გადარჩება მხოლოდ ფარფატა. რა ქნას? სირცხვილისგან ვეღარ ბრუნდება ამხანავთან: არ შორდება ზღვას და დღენიადაგ ეძებს თავის საქონელს... აი, რატომაა რომ იმ დღიდან ამ დღემდე ფარფატა სულ ზღვაზე ფრინაეს. ღამურა კი — ფარფატას მეგობარი ვაჭარი — აქამდა, მევალემ არ დამინახოს — დღისით აღარ გამოდის გარეთ, მხოლოდ ღამლამობით დაფრინავს ხოლმე. ეკლის ბუჩქი? ეკლის ბუჩქიც გაჯავრებული ცველას ედება:

ვინც ახლოს გაუვლის, ეკალს კალთაში ჩავლებს და პერთხაეს: ის ჩე—
მი უნამუსო მევალეები ხომ არსად გრინახავთო!

სულ სხვაა მისი მესამე ლეგენდა: „ერთი წვეთი თაფლი“ ასეთა მასა—
ვისებურად არის განმარტებული ომის წარმოშობა და მისი შედეგ—
ბი. ისტორიულად მცირე მისებებს დიდი შედეგები მოჰყოლია. ექიც
ერთი წვეთი თაფლი პხდება იმ დიდ მორევად, სიღდანაც კაცობრიობა
ჯერ კიდევ ვერ ამოსულა. იმ ლექსის ღრმა ნაოჭები მარტივი სტრიქო—
ნების ღიმილითა დაუთოვებული.

1953 წ.

შალვა დადიანი

გრძელია და ნაყოფიერი შალვა დადიანის მოღვაწეობის თემ-შა—
რა. იგი იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა ძეველი ახალს
უთმობდა ადგილს. ჩვენი კორიფეები თავიანთი შემოქმედებით ახალ
თაობას ასწავლიდნენ დუხვირ ცხოვრებასთან ბრძოლის მეთოდებს.

შალვა დადიანი ჯერ კიდევ 18 წლის ვაბუკი იყო. როცა ქუთაისის
სცენაზე მსახიობად შევიდა და ხელდასმა მიიღო ისეთი მსახიობისა—
გან, როგორიც ჩვენი ლადო მესხიშვილი იყო. შალვა დადიანი ჯერ
კიდევ 18 წლის ვაბუკი იყო, როცა ლექსების პირველი წიგნი „ნა—
პერწეალი“. გამოუშვა „ქუჯის“ ფსევდონიმით და მოწონება დაიმსა—
ხურა ისეთი პოეტისაგან, როგორიც ჩვენი დედაბოძი იყავი წერეთელი
იყო. მას შემდეგ მოდის და მოიმღერის ჩვენი სახელოვანი იუბილარი. შალვას სამოცი წლის შემოქმედების გზაზე არც ერთი დაღმართი
არ ჰქონია. იგი დღესაც ამაყად დგას პოეზიის მაღლობზე და იღწეის
გამარჯვებულ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ. „მხოლოდ შენ
ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს“ — მოდის და
მოიმღერის ამ სიტყვებს ჩვენი შალვა იგერ ექვსი ათეული წელიწა—
დიდ და მართლაც თავისი ნიჭი, თავისი ენერგია, რაც მიიღო ხალხი—
საგან ჩვენმა იუბილარმა, ისევ ხალხს დაუბრუნა ხელწაყრით... მერე რა
კარგად! რა ლამაზად! არ ყოფილა არც ერთი დარგი ხელოვნები—
სა, სადაც მას თავისი წვლილი არ შეეტანოს. მწერალი, მსახიობი,
რეჟისორი, მთარგმნელი, აღმინისტრატორი, მოგზაური დასის პირ—
ველი თრვანიშატორი და სულის ჩამდგმელი, ახალგაზრდა მსახიობ—
თა აღმზრდელი — აი, შალვა დადიანის ნათელი გზა. ყველგან და ყო—

ელოდების ჩვენს შალვას ერთი მიზანი ძალის გმულდებულებს: ხალხის სამაცხოველი და შემოქმედებითი წინსვლა.

შალვა დადიანმა თავისი მრწამსი 1905 წლებში უფრო გააცხოვეს, ლა. ამ დროს დაწერილი მისი პიესები „მღვიმეში“, „როს ნადიმობენ“ და სხვა ნოველები ამის ნათელი მაგალითია. ამ ნაშრომებში აღძრულია იმ დროის თითქმის ყველა მტკიცნეული საკითხი. ეს არ ასრულებს „ცნობის ფურცლის“ დამატებებებში შალვა დადიანის მიერ ეზობის ენით დაწერილი პატარ-პატარა მოთხრობები. ეს ფურცლები ხალხში თოლიებად დაქვრიდა. როცა შალვა რომელიმე მინიატურის ფინალში ნართაულად ასწერდა შემოდგომას და იტყოდა „ჩამოვარდა ფოთოლი“, ეს იმას ნიშნავდა, რომ მართლაც 1905 წლის დღეებში რომელიმე მინისტრი უნდა ჩამოვარდნილიყო. ასეთი იყო მისი ალლო და ფანტაზიის დოვლათიანობა! მისი სასუნო წერილები ყოველთვის ხალისითა და სიახლით მეტყველებს.

შალვა დადიანის ნაწერების ფაბულა და ფორმა ერთმანეთთან არის შერწყმული. შალვამ თავისი „ნაპერწყლით“ თითქოს კიდევ დაადასტურა ის აზრი, რომ არ შეიძლება ფორმის და აზრის განცალკევება. მის შრომებში ყოველი სიტყვა ყალიბშია ჩამჯდარი, ყოველი დეტალი მეტყველია. მისი ქართული ენა მოციმუმება და მწყაზარი. შალვას ფრაზა საზრიანია, სიტყვა ყაირათიანი, სტილი — დაქნილი და სხარტი. ერთი სიტყვით, შალვას კალამმა იყის თავისი საზღვრები, სად უნდა დაიხიოს და სად უნდა გადავიდეს შეტევაზე. მართალია, მის რომანს „გიორგი რუსს“ ზოგიერთი არსებითი ნაკლა ახახიათებს, მაგრამ ეს რომანი, ჩვენის აზრით, ქართული პროზის შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. შალვა დადიანი ქართული ისტორიანის პირველი ბატონიშვილია.

საიდან მომდინარეობს ეს ცოდნა, ეს გემოვნება ქართული სიტყვისა? ჩვენი იუბილარი დაიბადა და აღიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც შოთა რუსთაველის დაწმენდილი ენა სულევდა ქართული ფოლკლორის თანხლებით. დედა — „ეეთხისტყაოსნის“ ტრუბადური, მამა — „დიდ ნიკოდ და ფილოსოფოსად“ წოდებული — და, ადვილად წარმოსადგენია ჩვენი ძვირფასი მწერლის მისწრაფება ეროვნული კულტურისადმი. ტყუილად კი არ ჩაუწერა ალბომში მამამ ეს ლექსი თავები ოცი წლის შეილს შალვას:

უკველგან სცნობდე „დროს“ და „მხარესა“,
შორითვან სკერეტდე ნათელ არესა,
ნისლს, კვამლს ირეპლე შენსა გარესა,
„ალეგს“ შვენოდე, „დროს“ ეგლეოდე,
არჩევდე კარგად „მტერს“, „მოყვარესა“...
და წინ საწადელ ეკვინთ დამლგმელი,
წმინდათ იცავდე „დიდო“ სამარესა.

ნიკო დადიანი

(საქ. დამატება. 1916 წ., № 17, 24 პრილი).

და მართლაც, შალვა დადიანს არ ულალატნია ამ ლექსის იდეი-სათვის. მან გაასხივოსნა წინაპართა ანდერძნამაგი და მავე დროს არც აწყოს ივიწყებს. იგი ახალის ძალით და ფაქიზი მისწრაფებით შეპლა-ლადებს ახალ საქართველოს, ეტრფის მის აღორძინებას და ყოველ-თვის რჩება „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“. შალ-ვა დადიანის დარბაისლურ ლიმილთან ერთად, როგორც საბჭოთა მო-ქალაქისათვის, შეერთებულია მწერალი და პრაქტიკული მოღვაწე. მი-სი სამშობლო აღარ არის, მამია გურიელის თქმა რომ ეიხმაროთ, ჩაბალახახდილი, არამედ სამშობლო მუდამ აყვავებული, ამაყი და პარტიის მშობლიური მზრუნველობით გაბრწყინებული.

ჩემო შალვა, სიყვარულს არ უყვარს მრავალსიტყვიანობა. პოეტ გეგუნავის თავის „თამარიანში“ ასეთი სტრიქონი აქვს:

„შალვა ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო“. მინდა ეს სიტყვები მეც გავიმეორო — „შალვა ჩეგნო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო, ჩვენი სიხარულის მაუწყებელო, იმედიანო და მა-რად ხალისიანო, შალვა, გისურვებ სულით და გულით დღეგრძელო-ბას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, რომ ეგ ვაღარა თმები ხალხის სამსახურში ხელმეორედ გაგივალარავ-დეს. იცოცხლე, იღლეგრძელე, ქართული პროზის შესანიშნავო ოსტა-ტო და ოთხმოცი წლის ვაღაროსანო ვაბუკო! მშობლიურ სცენაზე ბევრი როლი გაეითამაშნია: მეფე და მაწანწალა, სარდალი და კლახა-კი, შეყვარებული და უარყოფილი მოღალატე, მაგრამ შენს მრწამს მაინც არ ღალატობდი. მაშ, მიიღე ეს ლექსი „მსახიობი“.

ხან მეფე ხარ, სკემლვიძარე, ქედს გიხრიან ქვეყნის მფლობელს, ხან ვით ნაძვი ტბის ნაპირას ღვრი ურემლებსა შეუშრობელს.

ხან მკერთალი ისრით დაკოდილი, სულ არა გრძნობ წყლულთა ტკინს, სულის სწრაფვას ჰანგად აქმევ, იორქეცებ აღმაფრენას, ხან ოცნებით ცივ სივრცეში ნიავ-ტალღად დასრიალობ, ლრმა კაეშნით მოხიბლული, სამსხვერპლოზე კვნესით ჰვალობ. მეუფე ხარ გულის ფიქრთა, გურას რომ ყველა შენს წინ თრთოდეს... მაგრამ შენსა რწმენის კანდელს ნუ ჩაექრობ ნურასოდეს!

1954 წ. 25. X. 80 წლის იუბილეზე,
რესოუელის ფესტივალი.

სომხეთის დიდი მოაღერალი

1955 წლის 31 ოქტომბერი ჩვენი მოძმე სომეხი ხალხის კულტურული ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს 80 წელი უსოფლება დიდ ეროვნულ პოეტს — ავეტიქ ისააკიანს, რომლის სახელიც დიდი ხანია გასცდა თავისი სამშობლოს ფარგლებს. იშვიათია მწერალი, რომელსაც თავის სიცოცხლეშივე ასეთი საყოველთაო აღიარება მოვალეობინოს. ავეტიქ ისააკიანი დიდი სიყვარულით სარგებლობს მთელს საბჭოთა კავშირში. პოეტმა ლექსების თითქმის პირველი წიგნითვე დაიმკეიდრა ცოცხალი კლასიკოსის სახელი. ჯერ კიდევ 1916 წელს, ალ. ბლოკი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას, აღნიშნავდა, რომ შეიძლება ასეთი ხალი და უშუალო ტალანტი დღეს მთელს ევროპაში არ იყოს. ბევრი მას აღმოსავლეთის ჰაინცსა და დასავლეთის ხადის უწოდებს.

ავეტიქ ისააკიანი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის, ლრმად მოახურენ და დიდი ჰუმანისტი პოეტია. იგი ხალხს უყავარს როგორც მგრიბარე პატრიოტი, მშეიღობისა და თავისუფლების დაუცხრომელი მომღერალი, მოქალაქეობრივი სულისკვეთებით ანთებული ლარიკოსი, მშობლიური ლექსის შეუდარებელი ოსტატი.

ავეტიქ ისააკიანმა, ოვანეს თუმანიანთან ერთად, სომხური პოეზია ახალი მოტივებით გაამდიდრა და პოეტური კულტურის მწევრეალზე იყვანა, მან დახვეწა და გააფაქიზა ლექსი, მისცა მას დასრულებული მონუმენტური სახე. ლექსის სტრიქონები უაღრესად ტევადი და მეტყველი გახდა. მაგრამ ისააკიანის პოეზიის მშენებელება და სილამაზე მარტო ფორმის სიფაქიზესა და დახვეწილობაში როდია, მისი

პოეზიის სიღიადე უპირველესად მის ღრმა ხალხურობაშია. სომეხი ხალხის ცხოვრების თავისებურება და სულიერი სიძლიერე თავი-დანვე იყო და არის პოეტის შემოქმედების დაუშრეტალი წყარო. ერთ-ოვნულიდან ამაღლდა იგი საერთო-საკაცობრივ მწვერვალამდე. პოეტი უკელასათვის გასაგებია, ყველა ერის ადამიანის გულს ათრო-ლებს იმიტომ, რომ თავის ლექსებში ხალხის ჭირ-ვარამს, მის წმინდა ფიქრებსა და მისწრაფებებს, დარღვა და სიხარულს გამოხატავს, იც-ავს და ანგითარებს რაც კი საუკეთესო შეუქმნია სომეხ ხალხს თავი-სი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

ავეტიქ ისააკიანის პოეზია მრავალ ტანჯვაგამოვლილი სომეხი ხალხის ცხოვრების მხატვრული მატიანეა. ამიტომ არის ასე პოპუ-ლარული პოეტი თავის სამშობლოში. მის ლექსებს მღერიან ყველ-გან, სადაც არ უნდა წახვიდეთ — ქალაქიდ, სოფლად, მთასა თუ ბარში, შრომისა და დასკენების დროს. ჩვილის აკვანთან მჯდომი სო-მეხი დედა ნანასაკით დამღერის ისააკიანის ლექსებს და თავიდანვე ულვიძებს შეკილს მათდამი სიყვარულს.

ავეტიქ ისააკიანშა ცხოვრების ისეთოვე მღელვარე გზა გაიარა, რო-გორიც მისი ხალხის ცხოვრება იყო. პოეტი დაიბადა 1875 წლის 31 ოქტომბერს, ალექსანდროპოლში (ახლანდელი ლენინგრადი). ბავშვო-ბა გაატარა ისტორიული ვინის მახლობლად, სოფელ ყაზარაბალში, მდინარე ახურიანის წარმტაც ნაპირებზე. ეს არის სომხეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, თავისი მშენიერი ბუნებითა და შემონახუ-ლი ძველი ფოლკლორით. ეს კუთხე ყოველთვის იზიდავდა და ამდიდ-რებდა პოეტთა შემოქმედებითს ფანტაზიას. ისააკიანის მამას სოფ-ლის ბოლოში პატარა წისქვილი ედგა. ამ წისქვილში ხშირად თავს იყრიდნენ სოფლის აქულები, ხალხური ლექსების მთქმელები. ზოგ-ჯერ გათენებამდე გრძელდებოდა მათი ტებილი სიმღერები და პექ-რობა. პატარა ავეტიქი კუთხეში, უფროსებისაგან ოდნავ მოშორებით მიჯდებოდა ხოლმე და გულმოღვინედ უსმენდა მათ. ყრმაზე განსა-კრიტებული კვალი დაუტოვებია ერთ მოხუც მეწისქვილეს, რომე-ლიც უამბობდა ზღაპრებს და მამა-პაპათა გადმოცემებს სომხეთის მძი-მე წარსულზე.

ხალხურმა თქმულებებმა და აშულთა სიმღერებმა არა მხოლოდ გა-იტაცეს მომავალი პოეტი, ღრმად ჩააფიქრეს კიდეც — თანდათან წარმოშვეს და გააღვივეს მასში ის დიდი ვრძნობა, რომელსაც სამშო-ბლოს სიყვარული ეწოდება.

თორმეტი წლისაც არ იყო ავეტიქ ისააკიანი, როდესაც მან სიმ-

დერების თხზვა დაიწყო და ლიტერატურას დაეწაფა. ბაეშვის განხე-
მა განსაკუთრებით ააფორიაქი დიდი განმანათლებლის, იხალი სომ-
ხური ლიტერატურის ფუძემდებლის ხაჩატურ აბოვიანის „რომანმა
„სომხეთის იარებმა“.

1889 წელს ისააკიანი ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში მიაბა-
რეს. მართალია, სასულიერო აკადემია იხალგაზრდა ისააკიანის პატ-
რიოტულ სულს არაფერს აძლევდა, მაგრამ აქ იგი გაეცნო იმ დროს
უკვე საკმაოდ ცნობილ პოეტს ოვანეს ოვანესიანს, რომელმაც დი-
დად შეცწყო ხელი ისააკიანის პოეტური ნიჭის გაფურჩქვნასა და
მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. როგორც თვითონ ისააკი-
ანი მოგვითხრობს, ოვანესიანი მაღალი ინტელექტის, უაღრესად გან-
ვითარებული, მრავალმხრივ განათლებული, შესანიშნავი გემოვნები-
სა და დიდი კულტურის იდამიანი ყოფილა. მასთან ყოველი შეხვედ-
რა წარუშლელ გველენს ახდენდა იხალგაზრდა ისააკიანზე.

იხალგაზრდობაში ისააკიანი მოხიბლული იყო აგრეთვე რევოლუ-
ციონერი-დემოკრატის მიერელ ნალბანდიანის ნაწარმოებებით. რესი
მწერლებიდან იგი გაიტაცა პუშკინმა და ლერმონტოვმა, ხოლო შემ-
დეგ, როდესაც ქართულ ლიტერატურას გაეცნო, მისი პოეტური ფან-
ტაზია დაატყვევეს შ. რესთაველის „ვეფხისტყაოსანმა“, ვაჟა-ფშავე-
ლის პოემებმა, ალექსანდრე ყაზბეგის რომანებმა და ნიკოლოზ ბარა-
თაშვილის „მერანმა“, რომლის შესახებაც პოეტი წერდა: მოხარული
ვარ განვაცხადო, რომ ჩემი პოემის „აბულ ალა მარის“ შთაგონება
ჩემი უფროსი ძმის ნიკო ბარათაშვილის „მერანი“ იყო.

მოწინავე პატრიოტული და დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ
ისააკიანს აკადემიაში აღმაცერად უყურებდნენ, მით უმეტეს, რომ
იგი მოწინავე ახალგაზრდობაში ტრიალებდა და თავისუფალ ლიტე-
რატურას კითხულობდა. მოსწავლეთა არეულობაში მონაწილეობის
უამო, ვიდრე გარიცხავდნენ, მან თვეოთ მიატოვა აკადემია და საზღ-
ვარგარეთ გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. 1893 წელს ისაა-
კიანმა იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში, იყო ბერლინში, კრინიცაში,
ვენეციაში, ვენისა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში, ისმენდა ლექ-
ციებს ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესახებ, მუშაობდა მუზე-
უმებში, გულმოდგინედ სწავლობდა უცხო ენებს. ორი წლის შემდეგ
ისააკიანი სამშობლოში დაბრუნდა და სამწერლო მუშაობასთან ერთად
მჩქეფარე საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა. პოეტი ცდილობდა
მშრომელ მასებში ეროვნული თვითშეგნება გაეღვივებინა, აენთო ისი-
ნი სამშობლოს სიყვარულის უშმინდესი გრძნობით, მაგრამ 1896 წლის

გაისში სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით ანთებულ ახალგაზრდას მეფის მთავრობამ ხალხთან კავშირის გზა გადაუტრია, იგი ერთი წლით ერევნის ციხეში მოათავა, შემდეგ კრის რდესაში გადასახლდა. ამ დროს ოდესაში გადასახლებაში იმყოფებოდა აგრეთვე ცნობილი სომეხი რომანისტი შირვანზადე, რომელსაც პირველად გვეცნო მწერალი და ახლო დაუმეგობრდა. ოდესიდან ისა-აკიანი ახერხებს შვეიცარიაში წასვლას, საიდანაც, 1901 წელს ბრუნდება სამშობლოში. ამ პერიოდში მწერალი განსაკუთრებულ შემოქმედებით აქტივობას იჩინს. იგი ეხმაურება მასების საბრძოლო დარაზმულობას, წერს ლექსებს, რომლებშიც კავკასიის ხალხებს მოუწოდებს დაამსხვრიონ მონობისა და ძალადობის ბორკილი. ამის გამო 1908 წელს ისააკიანს კვლავ აპატიმრებენ და ამწყვდევენ მეტეხის ციხეში, სადაც იმყამად მეორე დიდი სომეხი პოეტი — ოვანეს თუმანიანიც იჯდა.

მეტეხის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ისააკიანი იძულებული გახდა სახლვარგარეთ წასულიყო. სამშობლოსაგან მოწყვეტილ პოეტს გულს ცკლავდა სომხეთზე ფიქრი, სომეხი ხალხის მძიმე ხევდრი ნალვლიანს ხდიდა მისი ლექსის სტრიქონებს, მაგრამ სასოწარკვეთილება მაინც არ იძყრობდა, გულის სილრმეში მტკიცედ ატარებდა მრავალრაჯული სომეხი ხალხის ბედნიერი მომავლის რწმენას. უცხოეთიდან იგი ცხოვლად აღვენებდა თვალყურს რუსეთის იმპერიის ხალხების ცხოვრებაში მომხდარ ცელილებებს და როცა სომხეთში რეეოლუციამ გაიმარჯვა, პოეტი მას თანაგრძნობით შეხვდა, თავისუფალი რუსი ხალხის დახმარებამ უსახლვრო იმედით აუცხო გული. ამ დამარებაში დაინახა მან თავისი სამშობლოს ხსნის ერთადერთი გამოსავალი. პოეტი იღფროთოვანებული იყო იმ მტკიცე კავშირითაც, რომელიც დამყარდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მეზობელ ხალხებს შორის. 1936 წელს პოეტი საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში და გატაცებით ჩაება სოციალისტური სომხეთის მშენებლობაში.

*

საბჭოთა სომხეთში ჩამოსვლიდან ახალი ხანა იწყება ავეტიქ ისა-აკიანის მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებითს ცხოვრებაში. მისი პოეტური აღმაფრენა ფართოდ შლის ფრთებს, მისმა სიმა სევდის ნისლი გადაიყარა და ჭანსაღი თპტიმიზმის მზიური ბრწყი-

ნეალება შეიძინა. მწერლის ახალი ლექსები და მოთხოვობები კუთხით
მთლიანი, მძლავრი სიმღერაა თავისუფალ და აყვავებულ სამშობლო-
ზე, ხალხთა ურყევ მეგობრობაზე: ისინი გვხიბლავენ და გვიტაცებენ,
წრფელი და ზარიეთ წმინდა ხმით.

ისაკიანი ყველაზე დიდ მასწავლებლად ხალხს სთვლიდა, ხალხის
გულისცემას უგდებდა ყურს და მის რიტმზე აწყობდა თავისი ლექსის
ბეჭრას. ხალხის ცხოვრების არც ერთ ისტორიულ მოვლენას ისე არ
ჩაუკლია, რომ მის პოეტურ გულს არ ევრძნოს და არ გამოხმაურე-
ბოდეს. ამაშია სწორედ მთელი მისი შემოქმედების პროგრესული
მნიშვნელობა, ძალა, ღირსება.

ჩვენს დროში ავეტიქ ისაკიანმა შექმნა ბრწყინვალე ლექსები, რომ-
ლებიც საერთო ყურადღების იქცევენ მაღალი მხატვრულობით და
ღრმა შინაარსით. ვინ არ იცის მისი მონუმენტური ქმნილებები —
„სამშობლოს ძახილი“, „ხალხის სიმღერა“, ჩემი გული მთის მწვერ-
ვალზეა“ და მრავალი სხვა. ღრმად მონუმენტულობის მიუხედავად ავე-
ტიქ ისაკიანი დაუცხრომლად იღწვის თავისი ქვეყნისა და ხალხის
კეთილდღეობისათვის. დიდი სამამულო ომის წლებში მის ხმას არ
ყოლდა კაბუკური უღერა და მხნეობა. 80 წლის მგოსანს ახლაც არ
ყოლია სომხეთის პეიზაჟის ფერთა სიმდიდრე და სურნელება. მისი
დიდი სიხარულის დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა ეუთხრათ:

შენი სახელი აქ, ჩენენთან
სწორედ ისევე ხმელებს,
როგორც უდროოდ წასული
ჩვენი ძვირფასი თვაწეს.
თქვენ ხმა ჩაუდგით შშრომელ ხალხს
და შუხას ათასწლოვანებს.

შენ არ დასჭირები, რაღვანაც
მუდამ აღალ გზით ეიღოდი.
იცოდი ღრმა სიყვარული
და სიძუღვილიც იცოდი.
წყალში იდექი ყელთამდე,
მაინც სიმღერით იწოდი.

სომხეთის ლექსის ხანძღო,
ანთებ, აღარ გვიქრები;
აღარულდა შენი ოცნება,
შენი აზისი ფიქრები,
ვათ ცისარტყელა ძმობისა,
ცუდამ ჩვენს შორის იქნები.



ფათერაკინი, სათავეგადასაცლო მხატვრული ნაწარმოები ცემენტთი ინტერესით იყითხება. არც ერთი ყანრი ისე არ იტაცებს ახალგაზრდას, როგორც საფათერაკო თავეგადასაცლით იღჭურვილი რომანი. ეს შეიძლება იმიტომ, რომ მასში გმირი-ადამიანი ყოველ წესს ხიფათის წინაშე დგას, გასაოცრად რთულ დაბრკოლებებს აწყდება, ბეჭვის ხიდზე დადის, ერთ მოულოდნელ ფათერაკს რომ თავს დაალწევს, მის წინაშე მეორე, უფრო საშინელი ხიფათი აღიმართება და ასე დაუსრულებლივ, ვიდრე ყელა დაბრკოლებას არ გადალახავს და ყველა ბოროტებას არ გაანადგურებს.

ყოველი მხატვრული ნაწარმოების ცენტრში აღამიანია მოქცეული. მწერალი მუდამ პერსონაჟთა ცოცხალ ურთიერთობას ხატაეს, აღამიანის ინდივიდუალურ ხასიათებს იყალიბებს, თვალწინ გადაგვიშლის მათ პირად და სახოგადოებრივ ყოფას. მაგრამ ფათერაკიან სათავეგადასაცლო ნაწარმოებში მთავარი გმირის სახით აღამიანი მაინც განსაკუთრებულად წინ არის წამოწეული, ყურადღება გამახვილებულია აღამიანის ღაუშრეტელი შესაძლებლობის ჩევნებაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი ყანრის მხატვრულ ნაწარმოებს არ შეუძლია ისეთი ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს ახალგაზრდის სულიერ ჩამოყალიბებაზე, საკუთარი ძალისაღმი რწმენის განმტკაცებაზე, ნებისყოფის გამომუშავებაზე, როგორც ეს შეუძლია საუკეთესო და თავანჯარა სათავეგადასაცლო ნაწარმოებს.

მართალია, ამ ყანრის წიგნი ზოგჯერ მხატვრულად სხვა ყანრის ნაწარმოებების დონეზე არ დგას, შეიძლება მასში უფრო მსუბუქიდ, ზედაპირულად, მარტივად იყოს გადმოცემული მოვლენები და პერსონაჟთა გარეგანი დამახსინოთებელი მხარეები ნაკლებად ჩანდეს, მაგრამ ეს ნაკლი მყითხველს თითქმის შეუმჩნეველი რჩება, რადგან მის სანაცვლოდ იქ იტაცებს კონფლიქტების სიმძაფრე და იშეიათი დინამიურობა.

ამ ყანრის ასეთი პოპულარობა თავისთვავად მეტყველებს მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზეც. თუ ასეთი წიგნი ეხება იმ საკითხებს, რომლებიც ახალგაზრდობას იღელებებს, ამავე დროს იდეურად თუ გამართლებული და მხატვრულად სრულფასოვანია, მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა მდიდარია ამ ყანრის ნაწარმოებებით. რუსეთის საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომ-

ცემლობამ დაიწყო ისეთი წიგნებისაგან შემდგარი სათავეებისაკენ, ბიბლიოთეკის ბეჭდვა. ხელისმომწერლებმა უკვე მიიღეს კატეგორიული წიგნი დეფოს „რობინზონ კრუზის თავგადასავალი“. იმ ოცნებისას აუცილებლად შევა თანამედროვე მწერლების ნაწარმოებინც, რომელ-ნიც მკითხველს უჩვენებენ მეოცე საუკუნის გმირი ადამიანების სახე-ლოვან თავგადასავალს თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათ-ვის ბრძოლაში.

და რატომ ჩვენმა ახალგაზრდობამ არ უნდა წაიკითხოს მშობლი-ურ ენაზე ეს საუკეთესო თხზულებანი? ბევრი ამ ნაწერებიდან, სხვა-დასხვა დროს, ქართულ ენაზე თარგმნილია და გამოცემულიც.

თომოციან წლებში ქართველმა მოღვაწე ქალებმა მეტად სასაჩ-გებლო საქმე წამოიწყეს. მათი მიზანი იყო ქართველი მკითხველისათ-ვის მიეცათ „საამო სავითხევთა თხზულებათა თარგმანი“ (ეს მათი სი-ტყვებია). ამ მიზნით, ქუთასიში დააარსეს უცრნალი სახელწოდებით — „ქართული ბიბლიოთეკა“, სადაც უმთავრესად იბეჭდებოდა უცხო-ური ლიტერატურიდან ნათარგმნი მოთხრობები. პირველი წიგნის წი-ხათქმაში დაითხულობთ:

„ჩვენ გვინდოდა გვეძლვნა მკითხველისათვის ისეთი წიგნი, რო-მელიც იმას სიამოვნებასთან სარგებლობასაც მოუტანდა...“

მართლაც, ამ უცრნალებში მხოლოდ და მხოლოდ უცხოურიდან ნათარგმნი მოთხრობებია დაბეჭდილი. ყველა ნაწარმოები გატაცებით იყითხება. მაგ., ქართველი ქალების ამ უცრნალში დაიბეჭდა რომა-ნი — „არა, არ არის დანაშაული“, ეს რომანი ცხრა ნომერში ვაკრ-ძელდა. წარმოიდგინეთ, ეს უცრნალი „ქართული ბიბლიოთეკა“, მთლი-ანად არც ერთ წიგნთსაცავში არ მოიბოვება, თუ სადმეა აღმოჩენილი ორიოდე ეგზემბლარი, ბევრი წაკითხეისაგან ისეა დაფლეთილი და ფურცელნაელები, რომ მკითხველი ვერც თავს გაუგებს და ვერც ბოლოს. ამ რომანის ცალკე წიგნად დაბეჭდვა უცველად ორნაირად სახეირო საქმეა, მაგრამ ეს კი უნდა ითქვას, რომ ენას საფუძვლიანი გარანდვა დასჭირდება... აქვე უნდა ვაღიარო, რომ ამ ქართველი ქა-ლების მიერ ნათარგმნი თითქმის ყველა რომანი დამაკმაყოფილებლად როდია შესრულებული! თუ ძველად ასე იყო, დღეს ჩვენმა გამომცემ-ლობამ სათარგმნელი მასალა ყველა მოყვარულს არ უნდა ჩაუგდოს ხელში. წიგნი მაშინ მიაღწევს მიზანს, თუ ის კვალიფიციური მთარ-გმნელის დარჯაშია გამოსული. თარგმანი მაშინ გამოდის სრულფა-სოვანი, როცა მთარგმნელს ორივე ენა კარგად ეხერხება, ის ენა, სი-დანაც თარგმნის და ის ენა, რომელზედაც თარგმნის. ჩვენში კი ხში-

რად პირიქით ხდება ხოლმე. თარგმანის პრაქტიკიდან ვიცით, რომ ერთი ენის ცოდნა საქმარისი არ არის. ამ მხრივ, ჩვენი ქალების მიერ დაბეჭდილი უურნალის ცხრა წიგნი (1883 წელი) ქართული ენის მხრივ ძალიან მოიკოჭებს, წიგნი ხეიბარია! მთელი ეს კარგი იდეით გააზრებული უურნალები ისეთ შთაბეჭდილებას სტრომის, თითქოს ამ ახალგაზრდა ქალებს სავარგიშვებლად აულიათ ხელში კალაბი.

1896 წელს გამოვიდა „შესანიშნავი მოთხრობა „თავადის ქალი“ ანუ „შრომა და ფუფუნება“, აი, მშვენიერი წიგნი! აი, მშვენიერი თარგმანი! ეს ნაწარმოები ეკუთვნის პოლონელ მწერალ ქალს სოფიო ურბანოვსკაიას (მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი), დაიბეჭდა სულ ერთხელ და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. რატომ არ უნდა დაიბეჭდოს მეორედ? კარგი წიგნია და უნდა დაიბეჭდოს კიდეც.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს მოთხრობა „მოსისხლე ბელადი“ (მთარგმნელი შიუკაშვილი), „ლედი ჯენ“ ანუ „ცისფერიყანჩა“ (მთარგმნელი ელენე წერეთელი) და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

ცუდი არ იქნება ჩვენმა გამომცემებმა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და, შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნან უფრო პატარა მოცულობის საკუთარი ბიბლიოთეკა, სადაც ქართველი ავტორების გარდა დაიბეჭდება რუსული და მსოფლიო ლირებულების ყელაზე საუკეთესო ნაწარმოებნი.

აქვე უნდა დავაყენოთ ერთი საყითხი. სამწუხაროდ, ჩვენს მწერლობაში ამ უანრის განვითარებას არასოდეს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება... როგორც დავინახეთ, ძეველ ლიტერატურაში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები მოვალეობდა, ისიც თარგმანები, რატომ ხელმეორედ არ უნდა დაიბეჭდოს ილია ჭავჭავაძის მიერ თსტატურად ნათარგმანი საფათერავო რომანი „იზა“. ეს რომანი ილიამ ჯერ თავის უურნალ „ივერიაში“ დაბეჭდა ნაწილ-ნაწილ (1879 წ.), შემდეგ, როცა მისი ნაწერების სრული კრებული გამოვიდა (1892 წ.), მასში შეტანა. მაშისატამე, დიდი ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთი უანრის თხზულებას!

არც ქართული საბჭოთა ლიტერატურა ამ მხრივ მდიდარი. ჩვენს დროში შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოზარდი თაობისათვის დაწერილი თხზულება: ს. კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავალი“, გ. ნახუცრიშვილის „მგელ-კაცა“, მისივე „მამამ დაიგვიანა“ და „სილვა ვასილევი“, ს. მთვარაძის „უცნაური ცხოველი“

და სხვ. სათავეგადასავლო უანრში ნაყოფიერად მუშაობს ორდე დჯებუაძე. მას კარგად ეხერხება დამაინტერესებელი, ხლართებიანი სოუ-ჟეტის შექმნა და გმირის თავეგადასავლის დაძაბული თხრობა. თუ ამ მწერლის ყურადღებას მივაჭრევთ იმ თემებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს გამოეხმაურებიან, მას ამ დარგში აუცილებლად სასარგებლო საქმის გაქოთება შეუძლია. საერთოდ კი ქართველი საბჭოთა მწერლების წმინდა ვალია, ჩვენი ახალგაზრდობისათვის ამ საყვარელ უანრს მეტი ყურადღება მიიღიონ. „საბლიტგამმა“ თავის გარშემო მჭიდროდ უნდა შემოიკრიბოს ის მწერლები, რომელთაც ამ დარგში მუშაობის უნარი გააჩნია და ყოველმხრივ დაეხმაროს მათ. თანამედროვე მწერლების ასეთი ნაწარმოები დაუყოვნებლივ უნდა იბეჭდებოდეს...

ჩვენი ხალხის მდიდარი ცხოვრება, ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება ყოველგვარ პირობას გვიქმნიან იმისათვის, რომ გვქონდეს კარგი და საინტერესო სათავეგადასავლო მხატვრული ლიტერატურა.

1955 წ.

მოგონება დავით გულაზიანი

დავით გულაზიანი ჩემი სიყრმის მეგობარია. ჯერ კიდევ 17 წლის ეკიავი, როცა სცენამ დაგვიამხანავა. იგი დაიბადა ხარუხის მეცელ უბანში. მისი პაპა ძმრის დაყენების ოსტატი იყო, ამიტომ შეარქვეს ამ ოჯახს „უქაცახაანი“. დავითის დიდედა შესანიშნავ ახალუხებს ჰქირავდა, — ღოშლულიან და ჩითარიშიან ახალუხებს; მამაჩემი მხოლოდ მის შეკერილ ახალუხს იცვამდა. მამას რამდენჯერ გაუვაგზავნივარ გულაზიანთ სახლში — „წალი, შეილო, ეს ღუგმები წაულე“, ან „წალი, შეილო, და უთხარი, რომ ახალუხი სააღდგომოდ მომისწროს“ და სხვ. დათიკო, მართალია, ჩემზე უფროსი იყო, მე მაინც ჩემს ტოლად ეთვლიდი. მიუხედავად წლოვანებისა, ის ქედმალლურად როდი დამყურებდა, ამხანაგურად მექურეოდა და ჩემს „შენიშვნებს“ ანგარიშს უწევდა. მე ვიცოდი, რომ დათიკო და მისი ახლო ნათესავი ეშხიანი ოლგა გულაზიანი ჩვენს უბანში — ხარუხებში შინაურ წარმოდგენებს მართავდნენ... მამა აღრე გარდამეცვალა, დედა — გამითხოვდა, ობლად რომ დაკრჩი (აბა, ვინ დამიშლიდა!), მეც ვესწრებოდი ამ უფა-

სო წარმოდგენებს. ისე გამიტაცა ოლღას თამაშმა (ნეტავ, იმ დროს), რომ გადაუწყვიტე ჩემი სიხლის თვალზედაც დაშედგა ქართული პე-სები. მე ვსწავლობდი ეგრეთწოდებულ „ქართულ სათავადასნაურო“ გიმნაზიაში“. ამ სკოლაში გარდა თავადასნაურო შეიღებისა, ი. ჭავ-ჭავაძის წინადადებით, ხელოსნის შეიღებიც სწავლობდნენ. სწავლის ფასის გადაუხდელობის გამო ადრე დავანებე სკოლას თავი. ჩემი შემ-დევი თვითგანვითარება თეატრიდან იწყება, ხოლო შემდევ, როცა ვალერიან გუნიამ 18 წლის ქაბუკი დიდ თეატრში გადამიყვანა სუფლი-ორის თანამდებობაზე, — ეს კი ნამდვილი უნივერსიტეტი იყო ჩემ-თვის... დავუბრუნდეთ ხართუხის წარმოდგენებს... ჩემს პატარა დას-ში დავით გულაზიანიც მოეიწვიე, როგორც გამოცდილი მსახიობი. მან „პეპოს“ დადგმა შემოვეთავისა, მანამდე ვოდევილებს ვდგამდით („ადვოკატი მელაძე“, „ორი შშიერი“, „ქატა აწონა“ და სხვ.). „პეპოს“ როლები ისე გავანაწილეთ: ზიმზიმოვის როლს ასრულებდა დ. გუ-ლაზიანი, კაკულას — მე, ეფემიას — ოლგა გულაზიანი (ძლიერ დავი-თანხმეთ), შუშანას როლი, რადგან ქალები არა გვყავდა, მამაკაცს მი-ვანდეთ (გიგო ჩოჩიაშვილს), გიქოს თამაშობდა ვინმე გაფრინდაშვი-ლი, ხოლო პეპოს დის — კეკელოს როლს ასრულებდა ჩემი განსე-ნებული დაი — ელენე მამულაშვილი. რადგან პეპოს მოთამაშე ჩემს დასში არ აღმოჩნდა, ავლაბრიდან მოეიწვიეთ ცნობილი სცენისმოყვა-რე ლევან ბალაშვილი. ეს წარმოდგენა ხართუხელ მაყურებელს ისე მოეწონა, რომ გადაუწყვიტეთ „მურაშეოს თეატრშიც“ გადაგვეტანა... (ეს თეატრი მდებარეობდა პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ, ეგრეთწოდე-ბულ „ძალლების უბანში“).

უველაზე მეტად ხალხს მოეწონა ლევან ბალაშეილი და დავით გულაზიანი, დანარჩენი აქტიორები, მეც მათ შორის, არაფრით არ განვიხვდებოდით და „ანსამბლს ხელს ვუწყობდით“, როგორც ამას ძელი რეცენზენტები წერდნენ.

დავით გულაზიანისაგან დავალებული ვარ: მან შემატყო, რომ ქალამიც მიქრიდა, შემაჩინა სომხურიდან ქართულად პიგების (ვოდე-ვილების) თარგმნას; ის სომხურად კითხულობდა და მე ქართულად ვწერდი...

დავითს დავყავდი აგრეთვე „არაქსიანის თეატრში“, საღაც „სომ-ხურ-ქართული სცენისმოყვარეთა ამხანავობის“ წარმოდგეხები იმარ-თებოდა. ეს საჭირო იყო ჩემი შთაბეჭდილების გასამდიდრებლად. რა დამაკიწყებს მაშინდელ ნიჭიერ მუშა სცენისმოყვარებებს: ვანო მცედ-ლიშეილს, გ. ფირუზიანს, რ. სალაყაიას, ბესო მაისურაძეს, დარო

რჩეულიშვილს, მაგა ქართველიშვილს, ი. რევაზიშვილს, გ. გელაცუ-
რაშვილს, ივ. მარკოზოვს, შ. გომელაურს, დ. მელაშვილს, პ. ბეგეგა-
ნივს და ლ. ბალაშვილს. ეს უკანასკნელი ლადო მესხიშვილს შაბავ-
და.

პირველი პიესა, რომელიც ვნახე არაქსიანის თეატრში, იყო — „არშავ მეორე“. ეს ისტორიული დრამა მაინცა და მაინც არ მომე-
წონა, შიგ ბეგერი თოფების სროლა იყო, სომხური ლაპარაკიც ჩემს
ყურამდე არ მოდიოდა... სამაგიეროდ, აღტაცებული ვიყავი ვოდევი-
ლით. უნდა ითქვას, რომ ძეელად, როგორც კანონი, ტრაგედია-დრა-
მის შემდეგ, ყოველთვის მხიარული ვოდევილებით გვიმასპინძლდე-
ბოდნენ. ერთ ასეთ საღამოზე ვნახე ვოდევილი „ხეჩიო თუშ“ (ც. ი.
ხეჩიოს ლელვი). ამ პიესაში სულ ორი მოქმედი პირია — ბატონი და
მსახური. ეს ვოდევილი ისე მომეწონა, რომ იმავ ღამეს დავჭექი და
გათენებამდე ზეპირად დაეწერე. მე მას დავარქვი „ტიმოთეს ლელვი“.
ეს პიესა ჩემი პატარა თეატრის ქართულ რეპერტუარში დიდხანს
ირიცხებოდა. არამცუ ხართუხის თეატრში, ამ 50 წლის განმავლო-
ბაში, არ ყოფილა ისეთი მსახიობი, რომელსაც თავის სოფელში პირ-
ველად „ტიმოთეს ლელვით“ არ აედგას ფეხი სცენაზე. შიგ სულ ორი
მოქმედი პირია, აღვილი დასადგმელია და არც ქალია საჭირო (ძეე-
ლად ქალები თაყილობდნენ სცენაზე გამოსვლას).

ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მიყვარდა ინიციატორობა. ამიტომ
იყო, რომ ჩემი ხართუხელი სცენისმოყვარებით (რეესიორობდა და-
ვით გულაზიანი) დაედიოდით ახლომახლო სოფლებშიც. ორ ტახტს
ერთმანეთს მივაკრავდით, ზეწრებს ფარდებად ჩამოვეკიდებდით, დე-
კორაციებად ხის დამტერეული ტოტებიც გვყოფნიდა და ამრიგად
ჩენი წარმოდგენები იმართებოდა ავჭალაში, დილომში, წყნეთში და
სხვ. დილომში და წყნეთში ჩენაშდე არც ერთი წარმოდგენა არ გა-
მართულა. ჩენ ეს გვეამაყებოდა. დილომში კანცელარია დაგვითმეს,
ხოლო წყნეთში ბებუთოვების საგვარეულო მამულში დიდი იიგანი
ამოვარჩიეთ. აქ ადგილობრივმა გლეხებმა პირველად იხილეს ხარ-
უხელ სცენისმოყვარეთაგან დადგმული ქართული წარმოდგენები. ეს
მოხდა 1907 წ. 17 სექტემბერს. აფიშა და პროგრამები (სტამბურად
და ეკვდილი) ეხლაც შენახული მაქვს.

მე, როგორც პოეტი, რომანტიკოსი ვარ და მიყვარს ბალლობის
მოგონებანი. რა სიამოვნებით ვიგონებ გულაზიანთან მეგობრობას...

მე და გულაზიანი ერთმანეთს დავშორდით.

მან თავის სარბიელად ერევნის თეატრი აირჩია... მაგრამ რა სიხა-

რულს განვიცდი, როცა ერთმანეთს შევხედებით ხოლმე — ამის სატყვიერად გაღმოცემა შეუძლებელია. დედ, ეს ჩემი მოვონების ერთი ნაწილი დაფინის პატარა ფოთოლი იყოს, მისი 50 წლის მოღვაწეობის დიდ თაიგულში ჩასაწინავად!

1955 წ.

მოგონების ერთი ფოთოლი

(ვერიქო ანგალარიძე)

ვერიქო ანგალარიძე ჩემი გულის მსახიობია.

ვერიქოზე არ შეიძლება „სხვათა შორის“ ლაპარაკი, მას მთელი გულით უნდა შეეხო, რომ კალმის წვერს სიხარულის ნაპერწელები სცვიდეს. უფრო მეტს ვიტყვი: ვერიქოზე შეყვარებული უნდა იყო!

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: მიყვარს და არ ძალმის მისი შექება, მიყვარს და არ შემიძლია ლექსი დაცუწერო (ალბათ, ბევრი გამიგებს).

მე მაგონდება 1919 წელი! ვერიქოს პირველი დებიუტი. ოპერის თეატრი. ჯაბადრის სტუდია. ბრიეს პიესა „საჩწმუნოება“. 19 წლის ვერიქო ეგვიპტელი ქალის იაუმას როლს ასრულებს. რა შესანიშნავი იყო! ეხლა თქვენ მეტყვით, ცხრამეტი წლის გოგონა ისედაც კარგი იქნებოდათ! არა, არც ისეა საქმე. მან პირველ გამოსვლისთანავე მთავადოვა შაჟურებელი, მან პირველ გამოსვლისთანავე დაიმკვიდრა მაღალი მსახიობის სახელი. სიტყვა „მაღალი“ სიმაღლის აღმნიშვნელია. მე ასე ვიტყოდი: ვერიქომ დაიმკვიდრა განუმეორებელი მსახიობის სახელი! რაც შეეხება „მაღალს“, ვერიქო მართლაც მაღალი მოსჩანდა, ამ სიტყვის ლამაზი მნიშვნელობით. მე არ შემიძლია მისი ნაკაროვანი სხეულის აღწერა, ერთი სიტყვით, ვერიქო იმ საღამოს ბესიკ გაძაშვილის ლექსის „ტანო ტატანოს“ განსახიერება იყო. ახლა პასი! თითქოს ნიავმა ფოთოლები შეაშრიალათ. დგას ეს ეგვიპტელი ასული, დგას როგორც თბილი ქანდაკება და სათნის (მ. ჭიურელი) ასე მიმართავს: — „მე შენ არ მიყვარხარ, სათნი!“ (მაგრამ თითქოს შერცხვათ თავისივე სიტყვისა, ხელად მოტრიალდება და ალერგით გამოასწორებს თავის თქმულს). „არა, მე შენ მიყვარხარ... გამოფხიზლდი, სათნი! ღმერთებმა მე ამირჩიეს მსხვერპლად... მე უნდა შევწირო ჩემია თავი ნილოსს!“ რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და ეს სიტყვები

კიდევ მასისოვს... რატომ? იმიტომ, რომ კარგად იყო ნათქვამი. უბლაც
როცა ვერიყოს დიალოგი მაგონდება სათნისთან, გეფიცებით იაუძია
ლამაზ ხელებს, თეძოებზე მიყრდნობილს, ეხლაც-მეთქი ურუანტელია
მივლის.

ეს იყო 37 წლის წინათ! დღეს ჩვენი ძვირფასი და სასურველი
ვერიყო უკვე ორი შეილის დედაა და მისი ნაყოფიერი შემოქმედება
19 წლისას ჩამოგავს. ვერიყო ანგაფარიძემ გაამართლა პირველი იმე-
დები. მის ნიჭიერებას მრავალი სახე განსახიერებია: ლარისა, დეზ-
დემონა, ლუიზა, გრაფინია, მირანდოლინა... სად მოვთვალო!.. მხოლოდ
მინდა „ივლითის“ როლი გამოვყო.

ერთი დეტალი გამახსენდა. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ქუ-
თაისს რაღაც მიმზიდებელი ძალა ახასიათებს. ჩვენი ძეველი აქტიონე-
რი იქ, იმ თეატრალურ ბულეში უფრო კარგად მუშაობდნენ. „ური-
ელ აკოსტას“ გავიხსენებ: განა ლადო მესხიშვილმა პირველად ეს პი-
რა ქუთაისში არ განსახიერა? განა კოტე მარაზნიშვილმა ივევე „ური-
ელ აკოსტა“ ქუთაისში არ შექმნა და იქიდან არ ჩამოიტახა თბილის-
ში, რომ თეატრალური მაყურებლები გაეგიერდნა?

უშანგი! ვერიყო! ეს წყვილი მთელი ეპოქაა ქართულ თეატრა-
ლურ ცხოვრებაში. მაგონდება ერთი სცენა „ურიელ აკოსტადან“ —
რაბინის საზარელი წყევლა! დგას ვერიყო და ისმენს რაბინის განა-
ჩენს. დგას, მაგრამ როგორ დგას — თავდახრილი. რაბინის სიტყვე-
ბის ყოველი ამზაცის დროს ვერიყოს თავი თანდათან ძირს იხრება,
თითქმის იატაკმდე და ბოლოს ერთბაშად, როგორც უცლკანი, აღმოხ-
დება შეძახილი: „სტუი, რაბინო!“ ჰეშმარიტად, ეს იყო მსახიობის
დიდი გამარჯვება, არტისტულობის აპოვეა. ვერიყოს ახასიათებს წევი-
ანურად დამუშავებული როლის შეგრძნება და პარტნიორთან საერთო
სუნთქვით გამთბარი მისანსცენები. „ურიელ აკოსტა“ ასკერ დაიდგა
ჩენებს სცენაზე და მე ასკერებ მაქვს ნანახი... ასეთი შეკრული წირ-
მოდგენა არ ახსოვს ქართულ სცენას:

კოტემ ააგო სრა-ასპარეზი
ჯერ არნახული, ჯერ არსაც თქმიული,
ნარნარი, როგორც ანგაფარიძე,
ალექსა, როგორც უშანგის გული.

ვერიყოზე ბევრი ითქვა და უფრო ბევრი დირექტება. მაგრამ მე
მინდა კიდევ ერთი ეპიზოდი გავიხსენო, რადგან დეტალებს დიდი
მნიშვნელობა აქვს მთლიანობისათვის. ცნობილია, რომ ვერიყოსათ-
ვის „პატარა“ და „დიდი“ როლი არ არსებობს და აი, მაგოხდება პიე-

და „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ მესამე მოქმედება წარმოადგენს კუფე-შანტანს, ვერიყო მოცეკვავის როლს ასრულებს. რამდენი ნინარ-ნარე, რამდენი ლერწამტანის ხევულების მოღულაციები იყოა ერთ-კოს ცეკვაში ჩაქსოვილი არ დაიჯერებთ, მე ხშირად ამ ციქვისთვის დაეიძრებოდი ამ სპექტაკლზე.

ანდა, აიღეთ გინატრეს როლი („ნინოშვილის გურია“). რამდენი ცურემლი დაღვრილა პარტერში ვერიყოს მიერ ამ ტანჯული ქალის როლის შესრულების დროს. 50 წელიწადია თეატრის გიერი ვარ და ისეთი სიცვლილი სცენაზე, როგორც ეს ვერიყოს ენერება, არ მახსოვეს.

ერთი რეცენზენტი გ. მდივანის „პარტიზანების“ წარმოდგენის შესახებ, სადაც ვერიყო ანგაფარიძე დრამატიზმით აღსავსე ყირიმელი თათრის ქალის ლეილის როლს ასრულებდა, სწერდა: „შესახიობი ცდილობს თავის როლს იმაზე მეტი ათემეენოს, რაც ტექსტით აქვს დაკისრებულიონ“. კარგად არის ნათქვამი. ვერიყო, როგორც ნამდვილი მსახიობი, სცენაზე ცოცხლობს, მას არა აქვს ცარიელი აღგილები, იგი პატარა როლშიაც მთლიანობას ეძებს.

ვერიყო ანგაფარიძე ქართული თეატრის ჯადოქარია, მას ახალიათებს ბუნებრივობა და იშეიათი მომხიბლაობა, დიდი ტალანტი და გონივრული გააზრება, არტისტული გზნება, ემოციების ფერადოვნება, სიმართლე.

ერთხელ, ქუთათური რეცენზენტი ლონ-ვალიანი (დავით ავალიანი) ურჩევდა მსახიობ ნუცა ჩხეიძეს — ზეინაბის შემსრულებელს, შეიბრალე შენი ჯანი და ბევრ ენერგიის ნუ ხარჯავ „დალატის“ უკანასკნელ მოქმედებაშიო. მე მაშინ ეს „რჩევა“ სასაცილოდ მეჩვენა... დღეს კი, როცა ვერიყოს სცენაზე ვნედავ, მეც იმ რეცენზენტის მდგომარეობაში ვვარდები; პარტერში ვთიქმობ ხოლმე: რა იქნება ვერიყომ, როცა იგი შეუვარებული ქალის როლს ასრულებს, მცირე დოზით შეამციროს მგრძნობელობა და თავს გაუფრთხილდეს! რა ვიცი, შეიძლება ეს მოხუცი თეატრალის პარადოქსიც იყოს.

ვერიყო ცველას უყვარს. მეც, როგორც მისი ნიჭის თაყვანისმცემელს, არ შემიძლია არ მიყვარდეს. მინდა კი ჩემი იქვნარევი სურეილი ასე ჩავწერო ძეირთას ვერიყოს ალბომში:

შიომე ჩემი რჩევა ბებრული,
ოქროს საყურედ ცურს შეიყარე:
— იყავი მუდამ შეუვარებულა,
მაგრამ ნურავის ნუ შეიუვარებ!



1910 წელს წ. ქ. საზოგადოებამ ასეთი დეპეშა მიიღო ქუთაისი-დან: „ილიას ტრადიციულ საღიმოში მონაწილეობის მისიღებად 30 აგვისტოსათვის გამოგვიგზავნეთ ვაჟა-ფშაველა და ახალგაზრდა გრი-შაშვილი“. ხელს აწერდა ქუთაისის წ. ქ. საჩ. გამგეობის წევრი პეტ-რე ყიფიანი.

მე მაშინ, 20 წლის ჭაბუკი, ორიოდე წლის სტაერიანი მოლექსე ვი-ყავი და ქართულ თეატრში სუფლიორად ემსახურებოდა. ეს ამბავი შემატყობინა ჩვენი დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარემ ნიკო ქართველიშვილმა.

ახალგაზრდა ქეტიორები ხუმრობდნენ: პირველად ვეესმის, რომ საგასტროლოდ სუფლიორს იწევედნენ. დურაქებო, ეგ ბიჭი, ვიღრე ვუნია სუფლიორად შემოიყვანდა, პოეტი იყო, — პასუხობდნენ სხვები.

— პოეტი, თორემ ავაკი წერეთელი გამოვა, მაგისთანა ლექსებს მეც დავწერ — „გაუცე-მაუცე“, „მეხუტე-გახუტე“ (აქ იგულისხმებოდა ჩემი ერთი ლექსი — „ზამბახის ყური“).

ჩემი განმქიქებელი ოხუნჯი მსახიობი შექრო საფაროვი გახლდათ, სამაგიეროდ ახალგაზრდობა ჩემს მხარეზე იყო: ი. ეივიძე, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, შ. ბერიშვილი და დ. მგალობლიშვილი (შესანიშნავი ქეტიორი, მწერალ სოფ. მგალობლიშვილის ვაჟი, ულროოდ გარდაცვლილი).

ვ. გუნიამ კოსტუმი მიქირავა (მაშინ ვეერდზე შექრულ სატინის ხალათს ვატარებდი). მიქირავას იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ თეატრს გარდერობი არა ჰქონდა და თეატრი სპექტაკლებისათვის მაღაზიიდან შხაშეკერილ ტანისამოსს ქირაობდა. წარმოდგენა რომ გათავდებოდა, მაღაზიის პატრონს ტანისამოსი ისევ უკან მიქვინდა და ისევ მაღაზიაში გასაყიდად ჩამოჰკიდებდა. ასე მეორდებოდა ყოველი წარმოდგენის დროს, ხოლო ისტორიული პიესების ტანისამოსი და ხელ-საწყო იარაღების ბუტაფორია ვინმე ქორიძეს მოჰქონდა, რომელსაც სიონის ქუჩაზე აზიური იარაღების სახელოსნო ჰქონდა.

პოდა, გუნიამ რომ მიმიწერა ელჩიბეგოვთან — ამ ჩემს თანამშრომელს ერთი კარგი კოსტუმი ჩააცვიო, ვერ ვავიგე, საკუთრად ჩემი იქნებოდა ეს ტანისამოსი თუ ქუთაისიდან ჩამოსელის შემდეგ ისევ უკან უნდა ჩამებარებინა პატრონისათვის და მაღაზიაში გამოეფინათ.

ჩემთა სცენის მეგობრებმა გამამშადეს — ლადო ახობაძემ დაკან-

მალებული თეთრი პერანგი მომცა, ჯერი მიღვა გალსტუქსე. ოსაებ
უიიძებ დარღიმანდულად ჩამოიხსნა თავისი ყელსახვევი და მომაწო-
და (ეს ყელსახვევი ეხლაც შენახული მაქვს). დათაშვამ (ბუკებრა-
დით მგალობლიშვილს) ყელსახვევი გამიერთა, რადგან მე ჩემს სი-
ცოცხლეში მაშინ პირველად ვიკეობდი ყელსახვევს და მისი გამოკ-
ვანდვა არ ეცოდა.

ასე გამოწყობილი გავემგზავრე. საღურზე ჩემი ჯამაგირიდან ავ-
ანსად მოცემული ხუთმანეთიანი ჯიბეში ჩამიდეს, ამით მესამე კლა-
სის ბილეთი ეყიდვე და მოვთავიდი ბარგის დასაწყობ მესამე თარო-
ზე, სულ ზემოთ. მაგრამ არ გინდა დაიძინო? ვიწევი გულალმა ხმელ-
ფიცარზე, უბალიშოდ და ვიტანჯებოდი, თან გადაბრუნებისა მეშინო-
და, კოსტუმი არ დამჭმულოდა, თან გაკრახმალებული საყელო მი-
კერდა, მაშინ მაგარი საყელოების მოდა იყო. ვიწევი საცოდავად. კი-
სერი მცვლივით შეონდა გაშეშებული. მომებსნა და როგორ მომებსნა,
ვიცოდი, რომ ხელახლა ერ შევიკრაცდი და დეპეშით მიწვეული გას-
ტრალორი უსაყელოდ და უგალსტუკოდ ხომ ერ გამოიჩნდებოდი
ქუთაიში.

...დავბრნავდი სასტუმრო „ფრანციაში“. ლადო მესხიშვილმა ად-
რევე გამოფრთხილა: „ყველაზე კარგი სასტუმრო „ფრანცია“ და იქ
ჩიმოხტიო“. პირი დაეგინე იქ, რომ წინწკლები არ მოხვედროდა
კრახმალიან პერანგს და შეკრულ გალსტუქს და გამოვედი გარეთ. მა-
ვედი თეატრში, დამხედა პ. ყიფიანი, მივესალმე და გამოემცნაურე.
ალერსით მომეგება, ეს კი მითხრა: — „ბარაშვა“ არ წაიყითხოო.

— არც იცეთი ტურული ვარ, რომ არ ვიცოდე, სად რა წავიიქოხო.
მე ამ საღამოსთვის ახალი ლექსი მოვამზადე-მეთქი.

ვიჟითხე ვაჟა-ფშაველა, მითხრეს სასტუმრო „კოლხიდაშიონ“. ვა-
ჟას დეპეშა არ გამოუგზავნია, ამა და ამ რიცხეში ვიწევებით, ერთი
დღით აღრე ჩამოსულა ქუთაისის დასათვალიერებლად, საღურზე
არავინ დახვედრია და ფეხით გამოუსეირნია, გზად სასტუმროში შე-
სული და დაბინავებულია. დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ საღამოს ჭია-
თურიდან სანდრო კავისძეც იყო მოწვეული თავისი გუნდით.

ვეახელი ვაჟას „კოლხიდაში“, დილის 11 საათზე შევედი მის თო-
ახში და რას ვხედავ, — । უფრა გაშლილია და ყველანი მხიარულო-
ბენ. მიმრწვევის და მეც მიეუჯერი მაგიდას. ბოლოს ვიგრძენი, რომ
ეს ყოფნა ხელს არ მომცემდა — ისინი შეზარხოშებულნი, მე კი ჯერ
პირში ლუკმა არ ჩამდო, ფანდში ერ მოვიდოდით. რაღაც მოვიმი-
ზეზე და მოვუსეი. მერე ჯუაყვედურე ვაჟას: „კაცო, რაღა იმ სას-

ტუმროში ჩამოხტი, კარგი სასტუმრო ვერ ამოარჩიე-მეთქი? — ურა
ვიციო, — მიპასუხა, — სალგურზე არავინ დამხვდა, ფეხით წამოვკ-
ლი და გზაზედ ეს სასტუმრო შევამჩნიო. სიტუაცია „კოლხიდა“ მომე-
წონა, ეს ხომ ძეელი საქართველოს სახელწოდებაა და რას ვიფიქრებ-
დი, რომ „კოლხიდაზე“ უკეთესი სასტუმროც არსებობდა, მე ხომ პირ-
ველადა ვარ ქუთაისშიო“.

8 საათისათვის ყველამ თეატრში მოვიყარეთ თავი. სცენა უკვე
გაწყობილი იყო: შუაში ილია ჭავჭავაძის ბიუსტი იდგა, ბიუსტის
გარშემო მე და ვაჟა დაგვაყენეს — ვაჟი მარჯვნივ, მე — მარცხნივ.
ვერას გვერდით კიტა აბაშიძე იდგა, ჩემს გვერდით ქალაქის თავი ბაქ-
რაძე. ბაქრაძის გვერდით არ მახსოვეს ვინ იყო, ხოლო კიტას გვერდით
კონსტანტინე გამსახურდია შევამჩნიო, ქულაჯაში გამოწყობილი. ყვე-
ლანი მწყრივად ვიდექით, სახე ხალხისკენ გვერდა.

კიტამ სიტუაცია თქვა, ვაჟამ ლექსით მიმართა, მერე მე წავიკითხე.
ის ეს ლექსიც — „ქართლის დედავ“ (იხ. 1910 წლის თარიღი, ჩემი
ერთტომეულიდან).

მოსინის საფლავი

ილიას ხსოვნას

ქართლის დედავ! ჩოს მთა მზეს გააცილებს,
ჩოს ცის ცრემლი გადამუონის ყვავილებს,
ჩოს ნიავი ფოთლებს ჩამოუქროლებს
და ძირს დაპყრის მარგალიტის წყლის რგოლებს,—
მიღი ძეგლთან, მიღი, კით მგლოვიარე,
და საფლავთა კვნესა გაიზიარე!

და შენ კი, ბრძოლ, რაც ქმენ, აღარ მოგწყინდა?
ნეთე არას გავრმნობინებს მთაწმინდა?
ნეთე მოთქმა ამ ხალხის და ამ ერის
ჩვენს საშობლოს, სისხლით შემკულს, შეპლერის?
რაც გურით, ქმენით, რაც გურით, გაიმეორეთ,
ოლონდ შეისანს ნე დამარხავთ მეორედ!

ამ ლექსის მეოთხე ნაკვთს ასეთი ისტორია აქვს: მაშინ სოციალ-
დემოკრატიულ გაზეთებში იბეჭდებოდა პროტესტები ილიას მკვლე-
ლობის და მისი დამცველების გარშემო...

ეს პროტესტები დიდხანს გრძელდებოდა. 1913 წელს ორი სო-
ხუნჯო ფელეტონიც დავწერე ამის გამო. დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ

„კოლხიდაში“, დაბეჭდა თბილისის ქ. „კლდემ“ ამ შენიშვნით: „ფსეუ-
დონიში „ფირუზა“, როგორც ამბობენ, ეკუთვნის ერთ ნიჭიერ მწი-
რალს.“

1956 წ.

ა. ცაგარლის ზორილები ნიკო ნიკოლაძისადმი

მახალა ა. ცაგარლის პოლიტიკის

კირლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური პიბლიოთეკის მხარეთ-
შოთა გამოცემის ფონდში დაცულია ნიკო ნიკოლაძის (1843—
1928) არქივი, რომელიც გადასცა მისმა ასულმა პროფ. რუსუდან ნი-
კოლაძე-პოლიტოვებტოვმა.

სხვა მრავალ საყურადღებო წერილებს შორის, ნიკო ნიკოლაძეს
შემოუნახავს დრამატურგ აქესენტი ცაგარლის (1857—1902) წერი-
ლები... მართალია ეს წერილები შეეხებიან ა. ცაგარლის პირად
ცხოვრებას. მაგრამ მათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვთ.
ამ წერილებში ნათლად არის გადმოცემული ის მძიმე და დუხშირი
პირობები, რომლებმიაც უხდებოდა ცხოვრება მრავალ ჩერქეზ გამო-
ჩენილ მწერალსა და მოღვაწეს.

ახალგაზრდა ა. ცაგარელი მაშინაც კი, როდესაც სახელმოხევეჭი-
ლი დრამატურგი და თეატრის უანგარო მუშავი იყო, ოჯახისა და თა-
ვის სარჩენად იძულებული იყო გარეშე სამსახური ეძებნა, უარი არ
კონკრეტული ისეთ უბრალო სამუშაოზედაც კი, რომელიც მის მოწოდებას
არ შეეფერებოდა. ლიტერატურასა და თეატრს ა. ცაგარელი თავდა-
დებით ემსახურებოდა. მართალია, თეატრი არაფერს არ აძლევდა, მაგ-
რამ ის ერთი წუთითაც არ მოშორებია მას (წერდა პიესებს, სცენებს,
ლექსებს: მსახიობობდა, სუფლიორობდა, გაზიერებში თანამშრომლობ-
და და სხვ.). ამას ზედ დაერთო უფროსი ძმის, პროფ. ალექსანდრე ცა-
გარლის საყვედურები; მაშინ, როცა ა. ცაგარლის პიესებს აღტაც-
ებით უებებოდა საზოგადოება, ამ დროს მისი ძმა ასეთ წერილს უგ-
ზავნიდა პეტერბურგიდან შინაურებს: „...ასიკოს უთხარით ჩემს მაგივ-
რად, რომ რასაცვირეველია მიხარიან, რომ ნიჭი აქვს, მაგრამ თეითო-
ნაც კარგად იცის, ჩემი ოჯახის ამბავი და უნდა ეყურებოდეს, რომ
მაგის თეატრში ყოფნას საბოლოო არაფერი მოსდევს“... ბოლოს დას-
ძენს, რომ სამსახური მოძებნოს, თუ გინდ ეს სამსახური სხვა ქალაქ-

შიაც ყოფილიყო. და ასიკოც ეძებს სამსახურს. მეგობრებმა ჩვენს ღრამატურებს ერთი ხეირიანი, ჯამაგირიანი ადგილი ვერ მოუხერხეს, ბოლოს თვით გაახსენდა ხიკო ნიკოლაძე, იცოდა, რომ ნიკოლაძეს მოსწონდა მისი ნაწერები; ამან გააძედვინა ცაგარელს წერილი შეი-წერა ნიკოლაძისათვის, სამსახური ეთხოვა: ნიკოს იმ დროს კარგი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის რეინიგზის სამმართველოში, მას თავისი ავტორიტეტით და საქმის ცოდნით დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ამ დაწესებულებაში, მას ენდობოდნენ. და, ა., 1884 წელს ა. ცაგარელი წერილსა სწერს ნიკოლაძეს, გამოსთვამს თვეის გატირვებასა და რეინიგზის სამმართველოში რაომე აღვილა სახოვა... ნ. ნიკოლაძე გულისხმიერი აღმოჩნდა, მან მაშინვე უქამუხა ასიკოს და რეკომენდაციის ქალალდიც გაგზავნა ამიერკავკასიის რეინიგზის მმართველის პრესნიაკოვის სახელზე...

ვინც წაიყითხავს ა. ცაგარელის წერილებს, გული ბოლმით აეცე-ბა: რამდენი ტანგვა და დამცირება გადაუტანია ამ უნიჭიერეს ადამი-ანს, ჩვენს „ქართველ ოსტროვსკის“ ერთი ლუკმა პურის საშონე-ლად. ცემმარიტად მასზე ითქმის, „იყო სოფელში და სოფელმა იგი ვერ იცნო“.

უცვლაფერ ამაზე მკაფიოდ მოგვითხრობს ა. ცაგარელის პირადი წერილები (მიგვითითა საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერმა მუშაქმა თამარ მაჭავარიანშა, რისთვისაც დიდ მაღლობას მოვახსენებ).

ა. ცაგარელს ამიერკავკასიის რეინიგზის სამსახურში თერთმეტი წელი გაუტარებია; შემოქმედებისათვის კი რა მცირე დრო ჰქონდა და რამდენი რამ გააკეთა! მისი უკანასკნელი სამსახურის ადგილი — სადგური ჭალალიდი იყო, საიდანაც ჭანგატეხილი, გაწამებული და გაუხარელი ასკო დაბრუნდა თბილისში და აქ პპოვა უკანასკნელი სა-ვანე (1902 წ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ ა. ცაგარელს მაინცდამაინც არ დარჩენია მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, და, ეს წერილები ცო-ტათი მაინც აესებს ამ ხარვეზს.

წერილები იძეპდება ჩვენი შენიშვნებით.

1

თბილისი, 4 აპრილი [1884 წ.]

უძვირფასესო ნიკო!


დიდი ხანია, წერილის მოწერის ვაპირებდი, მაგრამ არ მომიხდა, რადგანაც ქალაქში გელოდით.¹ ნიკო, შენი ჭირიმე, ერთი სათხოვარი

მაქეს შენთან და იმ იმედით და სასოებით გეტუვი, როგორც იქნა /
ნაზარეველის წინ დაჩიქილი მართლმადიდებელი. გთხოვ, გრძელებულ
სახსარი და წინამძღვრმელი მომავლის ჩემის ცხოვრებისა და წარმატე-
ბისა. მე სხვა არავის აღარ მიერნდობი შენს მეტს, ამას გულწრფელად
გეუბნები. მრავალჯერ და მრავალგვარ მომატუულეს ცრუ იმედე-
ბით და დაპირებით, ამას მე შემდეგ დაწვრილებით მოვწერ, ხომ იცი,
რა ხალხიც მახვევია, რა ხალხშიაც გტრიალება: — ლაჩარი ვმირები,
ტყუილად მყირალი ჩიჩქები, უანბანნი, გამოტვინებულნი, უბაშ-
პორტო ლიტერატორები, ჰქუის ლილისუტები, თუ შეიძლება, ასე
ცსოდვა, ცრუ და მატყუარნი, რომელთაც ჰქუა კონდრაბანდად მიაჩ-
ნიათ — აი, ეს ხალხი მახვევია, და რა კეთილს უნდა მოველოდე ამ-
ათგან.

მესამე წელიწადია, უალაგოდ დავდივარ. ბევრი დამპირდნენი,
ბევრი მაიმედეს, ბევრი მალოდინეს და ბოლოს კიდევ უსაშველოდ
დამტოვეს. რომელი ერთი შემოგჩივლო? გთხოვ, ნიკო, ოღონდ რამე
ალაგი გამომიძებნე, რომ ცხოვრების სახსარი მქონდეს და როგორიც
და საღაც უნდა იყოს, სრული თანახმა ვარ და მოვენდობი. დარწმუ-
ნებული იყავი, ჭოჭოხეთში რომ წამიყვანო, სიხარულით წამოყენე-
ბი. თუ რამე გარეშე ალაგის შოვნა გეძნელება, ეს მაინც ჩაიდინე, რომ
წერილით სთხოვო ჩემი გულისთვის ქაურს რკინიგზის უფროსებს.
იმედი მაქეს ყველას იცნობ, რომ დროებამდის პოეზიის კონტრო-
ლიორის ალაგი მაინც მომცენ, ამას მე საუკუნოდ დამივალებ და და-
მისხინი სასოწარკვეთილებისაგან. გშერ სრულის იმედით, რომ ამ ალ-
აგს გამირიგებ. დარწმუნებული იყავი, რომ ჩემს სამსახურს მტკიცედ
მოვეკიდები და იმედს არ გაგიცუდებ. ეს ხომ იცი, რომ ჩემზე უხე-
იროებს ვჯობივარ და გაქირებაში შემიძლიან, თოხარიერი გამოვიჩი-
ნო.

ნიკოგან, იმედი მექნება, შენი ჭირიმე, რომ ძალიან მალე მომწერ
პასუხს და ზემოხსენებულ ალაგსაც მითხოვ. გავიმეორებ, ამითი ძა-
ლიან დამავალებ. თუნდა სხვაც რამე ალაგი იყოს, ოღონდ შენთან
ვიყო და გეუბნები, საღაც გინდა, წამიყვანე. მგონია, საემაოდ მიცნობ,
რომ ცოტა საქმის გაქეთება მეც შემიძლიან და არ შეგარცხევნ. პა-
სუხს ველი დიდის იმედით, გახსოვდეს, შენს იქით არავითარი სახ-
სარი და გზა არა მაქეს.

შენი დლეგრძელობის მონატრე
ასიკო ცაგარელი.



თბილისი, 3 მაისი 1884 წ.

უძვირფასესო ქმაო ნიკო!

მე დიდიხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ შენი სიტყვა და კა-
ლამი წმ. გიორგის მახვილზედ არა ნაკლებ სჭრიდა, და ეხლაც რომ
იმავე ძალას გამოიჩინდა, — ამას რაღა კოდელი ნინო უნდა!! ჩემს
შენდამი მადლობას ჯერ ასე ადვილად ვერ გადაგიხდი და, სწორე
გთხრა, უერცყი მოვახერხებ ჯერჯერობით მადლობის გადახდას, ისე
ალძრული ვარ ამ დაუვიწყარის დავალებით; სჯობს, ისევ საქმის წარ-
მოება გიამბო...

პრესნიკოვთან² მივედი, მიმილო თავის კაბინეტში, ჩვეულებრი-
ვი მოკლე გაცნობის შემდეგ გადავეცი წერილი. გახსნა წერილი, თვა-
ლებოთან ახლოს მიიტანა, კისერი მარჯვნივ დახარა და გულმოდგინეთ
და თანაგრძნობის გამომხატველის სახით გადაათვალიერა პირველი
გვერდი წერილისა; მე მაშინევ ვიფიქრე, ეხლა კი არდაგანი ავილეთ
მე და ჩემმა წინამდოლომა მეთქი... იმ ალაგთან რომ მივიდა, საღაც
იმის სახლობას მოყითხვას. უძღვნიდი, მდაბლად თავი დაუხარა წე-
რილს. მომიბრუნდა და მითხრა: „Можна! я слишком дорожу мне-
нием г. Николадзе“, წაიბუტბურა თავისთვის. შემდეგ მითხრა, რომ
პირდაპირ კონტროლიორობის მოცემა არ შეიძლებათ: ჯერ ის საქმე
უნდა გაიცნო, რას აკეთებს კონტროლიორით და მერე შემიძლიან ეგ
ალაგი მოგვერა: ამისათვის დროებით დაგნიშნავთ ვაჟას აგენტომ,
ხან დვიუენის კონტორაში იქნები, ხან კონტროლისათ, რომ საქმე შე-
ისწავლოვთ. შემდეგ ბოდიში მოიხადა, დღეს ბევრი საქმე მაქვს და
გთხოვ, ხვალ ამ დროს მოხევიდე, დაწვრილებით მოგველაპარაკებიო. მე-
ორე დღეს ჩამისვა ფაიტონში და უპრავლენიერში წამიყვანა. გზახედ
შეერთი იყვედა (მგონია გადაკრულში იყო), მე თქვენს სამსახურზედ
სხვანირად ვფიქრობო, ნიკოს პატივისცემისთვის, მინდა იმისთვის
საფუძვლიან საქმეზედ დაგაყენოვთ, რომ შეგეძლოს თანდათან წინ
წილოთ („я, говорят, для Николая Яковлевича хочу сделать
что нибудь путное“). მხოლოდ უნდა იმეცადინოთთ. ის ეხლა გორ-
ნის³ გავაცნობ, დვიუენის უფროსიათ: ამ კაცს, არამც თუ არავი-

თარი სპეციალური განათლება არ მიუღიაო, თითქმის არსადაც არ უსწავლიაო, მხოლოდ თავის შეცალინებით ამ ილაგამდის მიახწიათ... როგორც ლაპარაკში შევამჩნიე იმას, გორნიჩი ძალიან არ უნდა უკიტავა ნავებოდეს... მიმიყვანა უპრავლენიეში, გორნიჩი დაიბარა, ცალკე რა-ლაც უთხრა, გამაცნო და იმას ჩამაბარა. პირველ მასიდან დაიყენის კანტორაში დავდივარ. რაღაცა რაპორტებს მაწერინებენ და მოსამსახურებისთვის — უფასო ბილეთებს. ეს არის ჩემი საქმე. არ ვიცი შემდეგში რას მიპირებენ. ოლონდ სტანციის უფროსად ნუ კი დამნიშნავენ და სხვა რაც უნდათ ის თანამდებობა მომცენ.

ნიკოჭან, პირველი ნაბიჯი კარგად გადამადგმევინე და შემდეგშიაც თუ თან მომყვები, სიკედილ-სიცოცხლით დამავალებ. ეხლა შენ იცი, როგორ შეუკეთებ პრესნიაკოვს და ჩემზედ ყურადღებას მოაქცევინებ. ჩემი ნუ გეფიქრება-რა, არ შეგარცხვენ. მე რომ ამ ხალხს ვხედავ, ღმერთს გეფიცები, პროფესორი ვარ ამათში: ოლონდ ნუ დამიკიწყებენ და არა უშავს-რა, რამდენიმე თვე უფასოთ ვემსახურები, მხოლოდ ბოლოს დროს კი სტანციის უფროსობა არ მომცენ. დასწყილოს ღმერთია, როგორლაც გული მეთანალრება და არ მეხერხება ეს თანამდებობა. ნიკო, თუ მადლს მარილსაც მოაყრი, არ დამიკიწყებ და პრესნიაკოვს მალე მოაგონებ დანაბირს, სახეში იქონიე, რამდენი გვარი თანამდებობა აქვთ, რომლებითაც კაცს შეუძლიან საქმე შეისწავლოს: კონტრолერ პიეზი, კონტროლერ კასა იли სეიფოდესტვა, რევიზორ თოლივა და კიდევ რამდენი რამე. ის ესენი მოაგონე. საქმე ახლა ფეხის გამაგრებაა. ილიამ მითხრა (ჰავეივაძემ), თუ საკირო არის შენი საქმისთვის (ჩემი საქმისთვის), გორნიჩს ვნახამო, ჩემი კარგი ნაცნობიაო, აბა ნიკო მისწერე, ამაზე რას იტყვისო? ამ დღეებში მანდაური მინისტერსთა ეს სეკრეტ-რის წერილით ერთს მესამე კლასის გემნაზისტს, ამილახვარს კონტროლიორობა მისცეს. გეუბნები, ქვეყნის ოხრობაა მეთქი. ეს თხერი, მე შეიდი კლასი მაინც გავათავე; ღმერთი არ არის? მართლა, მწერდი, ნურას⁴ მიებარე, რუსული გასწავლოსო! შეიძლება რუსულს სიტყვიერებაში მექრმერყველი და განვითარებული არ ვიყო (ამ ენის იშვიათად ხმარების გამო), მაგრამ მართლწერაში ნურას კი არა, თვით იქიმ ნახარეველსაც კი ხმას არ ამოვალებინებ. ჯერ ისე არ მოვხუცებულვარ, რომ ნურასთანა შეგირდები ვერ გამოვჩარდო. ესეც არ იყოს, ის წყეული ქუთაისში გაგვითქრინდა, გემნაზიაში მისცეს მასწავლებლის ადგილი. როგორც გვაუშევებს საღმოთ უურნალი „მწყემსი“, ნურასთვის უკვე მიუკაჯუნებიათ სასუფეველში. ვაი ჩენი ბრა-

ლიცა. აფსუს, რა დეპარტამენტის პატრონი იყო! აქ რომ ყოფილიყო, როგორ დაგომტკიცუბდი ჩემს შენდამი ერთგულებას, როგორ კავნია ნიერად ჩავპროშტამდი... მაგრამ რეებს მაღაპარაკებ, რა შეგისტუ მცხელა. ახალი ამბები აქ არაფერი არ არის. ახირებული ცივი მისი დაგვიდგა: გახშირებული სეტჭვაა და მთებში თოვლიც ჩამოყარა. როცა დამშეიდებული მექნება გული. მაშინ ბევრს სასიამო სიბრძნე-სიცრუეს მოგწერ. ეხლა კი უმდაბლესის თავის დაქვრით მომიერებე თლგა ალექსანდროვნა. ნატომ ყველანი მოგიყითხათ და მალე წერილს მოსწერს თლგა ალექსანდროვნას. დათიკოს უთხარი, რატომ შერილს არ იწერება, შე ჩუნცხავნ, შენა-თქო.

თქვენები კარგად არიან, ყოველ დღე ვხედავ, მოგიყითხეს სიყვარულით და კნეინაზ მაღლობასაც გიძლვნის ჩემ მაგივრად ჩემი საქმის გავეთხდისათვის.

შენი გულითადი პატივისმცემელი,

საუკუნოდ ერთგული და დავალებული უმცროსი

ა ს ი კ ო ც ა გ ა რ ე ლ ი.

P. S. დღეს, 3 მაისს, სოლომონ ივანიჩი ვნახე ხალხში და სიღლუმლოთ მეკითხება: „ნიკოსი ხომ არაფერი იცი?“ მე დაუყვირე, ძალიან კარგათ არის მეთქი. — ახლა ტუტუცი ნუ კი ხარ, რა გაყვირებს. სხვა ხომ... არ გაათავა. მე ხელი გაუქნიე: ჩეე, ახპერ, ჩე⁸.

3

თბილისი, 23 თებერვალი [1885 წ.].

ძმაო ნიკ!

ისე ვერ მოგწერე წიგნი, რომ არაფერი არ შემოგწუწუნო; რა ვქნა, საქმე რომ თავს არ მოდის. სანამ შენ აქ იყავი, კიდევ იმედს მაძლევდნენ ჩემი სამსახურის შესახებ, წახვედი და სულ გადავავიწყდი და გაუწყრათ ჩემი გამჩნი. ამ მამაძალლებმა მითხაან მაინც, რას ითხოვენ ჩემვან, რომ პატარა რიგიანი ალავი მომცენ! ეს ათი თვე შესრულდა, ტყავს კიძრობ ამ უმაღლერ სამსახურში, დღე და ღამე არ მძინავს, მაგრამ მაინც მე არაფერი არ მეშვეოლა. ღმერთს გეფიცები. ნიკო, თვალში ჩინი დავკარგე, საშინლად დამიწყო თვალებმა ტკივილი. რომ დამსახურება უნდოდეს ჩამე ცოტა რიგიან ალავს, მე მაშინ უკან დავიხევდი და ასე თამამიდ თხოვნას ვერ გავბედავდი, მაგრამ აქ ხომ ესენი არ არის: ერთ ვისმეს თხერს იპოვნიან პროტექ-

ციანს და მისცემენ ალაგს. ამ ერთი თვის წინათ გორბიჩმა მოხხედა, კონტროლიორის ალაგი თავისუფალი რომ მქონდესო, დიდის სიამოუნებით მოგცემო, რადგანაც ძალიან კმაყოფილი ვართ... გიარა ერთმა ქვირამ და ვნახოთ, ერთი ვიღაც ხლესტაკოვი დაუნიშნავს — ლოთი, უცოდინარი, უწავლელი, ჩენი საქმის უმეცარი... რაღა ბევრი თავი შეგაწყინო, შენ თითონ დაგპირდა, თბილისში პომოზნიკობას მიკცემო; ორჯერ დაიცალა ალაგი და ორჯელვე სხვა დანიშნა. ერთი სიტყვით, ჩემთვის არაფრის მოცემა არ უნდა. რა ვქნა, შენი ვირიმე, ნიკო, მეთავილება, ათი თვეა კანტორშჩიკათა ვარ. თუ პისრობა მდომოვიდა, ის თხერი ბიძაჩემი მთელი დამოქნის მმართველი იყო, ერთ ალაგს როგორ ვერ მიშოვიდა. მე ხომ მოწყველებას არა ვსთხოვ ამ ყოველად უსწეო ხალხს: მომცენ ალაგი და თუ არ გამოვდგე, სულ კინწის კერით ვამავდონ.

რადგანაც არ მინდა უშენოდ ერთი ნაბიჯი გადავდგა და ამასთანავე ამ საქმეში შენითა ვარ ჩაყენებული, ამისათვის ერთი უკანასკნელი რჩევა უნდა გეთხო: კიდევ მოვითმინო, როგორც ადრე მოთხარი, თუ თავი დავანებო? ალაგს ბევრი მპირდება, გიშოვითო, უშენოდ საქმის დაჭერა შენ საწყინოდ მიმაჩინია და ამისათვის მოგმართე ამ კითხვით. თუ ნაქმეს დატყობ, რომ შეიძლება რამე ალაგი ვიშოვო ან თუ პრესნიაკოვს მოსწერ რასმე, ხომ ძალიან კარგი; მე დიდი სიამოვნებით დავრჩები იმ სამსახურში, რომლის სამმართველოშიაც შენ ურევიხარ, და თუ გრძნობ, რომ ამ უსვინდისო ხალხთან, ამ ჩენ ვორნიჩებთან სამსახური არა ღირს, რა დღესაც შენი წერილი მომივა, იმავ დღეს თავს დავინებებ ამ სამსახურს. ვეცდები, ნაცნობები ბევრი მყავს, რამე შესაფერი სამსახური ვიშოვო.

ამის პასუხს რაც მალე შემატყობინებ, ის ემჯობინება, სანამ კი ისევ ისე კატორლელად ვიმუშავებ, როგორც აქამდის მიმუშავია.

ნატომ მოგიყითხათ შენც და ყველა თქვენებიც. დათიკო მომიკითხე და ერთი ჩემმაგივრად ლოთიანათ თავში ჩაათარე.²

აქ არაფერი ახალი ამბავი არ არის. წრეულ თოვლი არ ვეინახავს. ვისაც შენგან ბილეთები მოუვიდათ, ყველა დიდ მადლობას და ქებადიდებას გიძლვინიან³. ნიკო, ნატომ შემოგითვალა, როგორც ვიციო. შენ ძველის მოყვარე ხარო, სადაც რამ ძველი შეგხედება უნდა იყიდოვთ, თუ მადლიერი დამირჩებით, ახალციხის მაზრაში ერთი 140 წლის დიდედა გამოჩენილა, იმასა და მამიჩემის მუნიციპალიტეტების ფეშაშად გამოგიგზავნიოთ⁴.

ჩენი გურქა ეფიმიჩინ პრესნიაკოვის კანცელარიაში გადიყვა-

ნეს და 3000 მანეთი დაუნიშნეს, გუშინწინ ამაზე ცირკულიარი იყო.
შენი ერთგული უმცროსი ას იკო ცაგარელი.
ჩემი ადრესი: Станция Тифлис. З. Ж. Д. Ав., Цагарели.

ნიკოზან!

ეს ძალიან კირგად იცი, რომ შენს იქით გზა არა მაქვს, მაგრამ ის კი არ იცი, როგორ არის ეხლა ჩემი საქმე. თუ ეხლავე არ მომე-
შველე, ამ ექვსი წლის საქმე ფუჭად ჩამიერის. დღეს დაბრუნდა
მოსკოვიდან ეისიმონტი¹ (начальник движения) და როგორც ამ-
ბობენ, თან მოუყვანია რამდენიმე სტანციის უფროსები; ამის შემ-
დეგ ჩეენ ვიღა შემოგვეხედავს. ეს კიდევ არათერი. ამ მამაძალლს ხა-
ჩატუროვს დღეს „ლისტოში“ დაუბეჭდია, რომ პოეზია № 6 გაუ-
შვეს მომავალ პრობნი პარავოზე გადას და კინ დამ ხალხი არ დაი-
ლუბაო,² ეს შემთხვევა, სულ სხვანაირად იყო, მერე გამბობ. მხო-
ლიდ საქმე იმაშია, რომ დევურნი მე ვიყვავი. შეიძლება უკითხავიდ და
გამოუყიებლად სამსახურიდანაც დამითხოვონ, ხომ იცი ჩეენთვის
თავს არაერი არ გაიცხელებს. კიდევ გამეორებ, შენ კირგად იცი, რომ
შენს იქით გზა არა მაქვს. და ერთადერთი დედაბოძი ჩემი შენა ხარ,
სხვა ვერავის ვერ შეიძლიან მიემართო გაჭირებაში, — ამისათვის
ურიგოს არ იზამ, რომ გაბედო და შენის ნაკურთხო წვერებით ჩა-
მონედე, ვიდრე საქმე გაციცდება. ალხაზოვის³ შუამავლობით შევ-
ძლიან ყველაფერი მოხხერხო და ხიფასს ამაცდინო, საქმეს აქ დაწ-
ვრილებით გიამბობ, მოუთმენლად გელი, ვიდრე ბეწვი არ გაწყვე-
ტილა.

ალხაზოვს თუ ათხოვნინებ, უნდა უთხრათ, რომ ან პოეზიდნო
კონტროლიორობა მომცენ, ან უპრავლენეაში გადამიყვანონ შესათერ
ალიგზე. მეექვსე წელიწადია ვმსახურობ უნაკლულოდ, უწუნოდ...
უაზრობა მაპატიე, ჩქარა ვწერ და ალელებულიცა ვარ.

შენი საკუთარი ას იკო ცაგარელი.

საყეარელო ნიკო!

ვიგზავნი თუ კონას აქაური გამოჩენილი ბროჭეულის ძირებს: მა-
გი მცველი არის, ტქბილიც და მუავე და ტქბილიც ერთად. რო-

გორც მიიღო, იმწამსვე დაარგვევინე. აქაური თათრები ამბობენ, რომ
ძირები (ფესვები) უნდა დაეჭრას და ისე დაირგოსო: მე სწორე მო-
გახსენო, არაფერი არ ვიცი, წყობიან, მანდაურ მებალებს ჰქითხო,
როგორ ვირჩევენ.

ნატომ სიკურულით მოვიყითხათ ყველანი, ჩემმაგივრად ყველას
უმდაბლესი თავის დაქვრა.

შენი ასიკო ცაგარელი.

6

ქურდაშირი, 28 ივლის [1891 წ.].

საყვარელო ნიკო!

ამ წერილის მომტანი, ანტონ ანტონიჩ რადციხი (Радцих), არის
Коммерческий агент Временного Управления казенных же-
лезных дорог, присланный из Петербурга по делу проведения
предполагаемой телефонной железнодорожной ветви, როცა ეს
ჩემთან მოვიდა (წინათ ამის მოსევლა ზოლოტნიციმ² მაცნობა დეპე-
შით), ის იყო გაზეთი მიერიდე და კერთხულობდი შენს სტატიას „Ше-
მახინская ветвь“,³ ამას ძალიან მოეწონა და მთხოვა, ბატ. ნიკო-
ლაძე გამაცანიო. ამის გამო გწერ ამ წერილს. გაციანი და რაც ვინდა,
იმას გააკეთებინებ. უფლება დიდი აქვს მინისტრისაგან. ძალიან ტუ-
რული არ გეგონოს, ცოტათი არის ტურული. მაგრამ თავის საქმე კარ-
გად იცის — შენთან უნდა ლაპარაკი вообщე о проведении желез-
нодорожных ветвей у нас, რომლებიც სულ ამასა აქვს მინდობილი.
ნახეამდის.

შენი ასიკო ცაგარელი.

7

ქურდაშირი, 13 სექტემბერი, 24 წ.

საყვარელო ნიკო!

შენ რომ გაგშორდი და დავბრუნდი ჩემს სადგურზე, ისე ავად გავ-
ხდი, რომ მორჩენის იმედი აღარა მქონდა. ნიკოგან, თუ ეხლა არა-
ფერი მეშველა, სამსახურს თავი უნდა დავანებო. მეორედ თუ კიდევ
ასე გავხდი ავად (და რომ გავხდები, ნამდვილია), ვიცი, რომ ველა
გადაურჩები სენს.

ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინა მყავს გულშემატკივარი, და

თუნდა მყავდეს, საშელად ორავის არ მივმართავ. ჩემი თხოვნა ეს
არის, რადგანაც თავისუფალი საშუალო სადგური ჯერ არ არის, მი-
სათვის ცოტას დაესჯერდები და გთხოვ, როგორმე რიონში გადამიყ-
ვანინო. რიონი ჩემს სადგურზედ ბევრით მცირეა, მაგრამ რას იზამ,
რომ აქ ყოფნა არ შეიძლება, მე სრული თანახმა ვიქნები. ოღონდ ჩემი
ჯამაგირი (100 მან.) დამიტოვონ, ექიმები დაეინებით ითხოვენ, რომ
მე დაეტოვო ბაქოს უჩასტყა და გადავიდე ბათუმისკენ, თუ სიცოცხ-
ლე მინდა. ამაზედ, რამდენიც გინდა, იმდენს მოწმობებს წარმოვიდ-
გენ. თერთმეტი წელიწადია ემსახურებ და შენიშნული არაფერში
(ურიგობაში) არა ვარ... ჩემი ზნეობითი თვისება შენ კარგად იცი, და
რა გელაპარავო. ქურდამირში გამგზავნეს სამი-ოთხის თვით (დროე-
ბით), და ამ ოთხი წელიწადია, რაც აქა ვარ, არც ერთი უფროსი სად-
გურისა აქ წელიწად-ნახევარზედ მეტი არა ყოფილა, ცუდი ჰავის გა-
მო გადაძყარდათ ხოლმე, და მე რაღა დავაშავე?! რაზე ვირთმევ სულს.
ყველა მირჩევს და მეც მინდა რიონში გადავიდე. თუმცა რიონში ჯა-
მაგირი ჩემზედ მცირეა, მაგრამ ჩემსას ვერ მომაკლებენ, რადგანაც იცი
დამსახურდებული მაქეს (лично присвоенное) ჯერ კიდევ მაშინ, რო-
დესიც გზა საზოგადოებისა იყო.

ჩემი თხოვნა ეს არის: რიონი უთუოდ უნდა გამირიგო, უკეთესს
არ მოვალეობენ. ჩემი სახარბილო ის არის, რომ ჰავა კარგია და მეო-
რეც ის, რომ სამი თანაშემწე ჰყავს უფროსს. ასე რომ ლამის თევა
ალარ მოუნდება. ველი, ნიკოჭან, შენს პასუხს, ამას კი განმეორებით
გატყეო, რომ ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია....

შენი სამუდამოდ ას იკო.

P. S. რიონის უფროსს, თითონ იციან, რასაც მისცემენ. თუნდ
არხიმანდრიტობა მისცენ.

ას იკო.

თ ა ნ ი ა ვ ნ ე ბ ი ა ბ

პირველი წერილი

დრამატურგ ასიქო ცაგარლის პირველი და მეორე წერილი მიწე-
რილია ნ. ნიკოლაძისადმი პეტერბურგს. ეს წერილები დაწერილია
1884 წელს. ამ დროს ნიკო პეტერბურგში იმყოფებოდა. მას საბასუ-
ხისმეგებლო თანამდებობა ეჭირა ლიბავა-რომენის რკინიგზის სამშარ-
თველოში. გარდა ამისა, იგი ირიცხებოდა ამიერქავეკასიის რკინიგზის

სამმართველოს წევრად და ერთ-ერთი აქტიური მუშაქთაგანი იყო. მასი მონაწილეობით იწერებოდა პროექტები და სხვ. იგი დაჯილდოებული იყო ოქროს უტონით და უფლება პქონდა უფასოდ მომგზაურა ამიერკავკასიის რეინიგზის ხაზზე.

1. „ქალაქში გელოდით“, — ე. ი. თბილისში გელოდით. ძევლად, რომ იტყოდნენ „ქალაქში ციყავი“, „ქალაქში მივდივაჩ“ — იგულისხმებოდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ამის შესახებ პეტრე მირიანშვილსაც აქვს წერილი: „ქალაქმა რა დაშვავი?“ („ივერია“, 1900 წ., № 208).

2. „ოლიკო და დათიკო მოვეიითხეთ“. ოლიკო — ოლგა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი, მეულლე ნიკო ნიკოლაძისა. დათიკო — დავით ალექსანდრეს-ძე გურამიშვილი, ნიკოს ცოლის ძმა, მხატვარი (გარდაიცვალა 1926 წ.).

3. „ნატოს მაგიერადაც“, ნატო — ქართული თეატრის გამოჩენილი უნიჭიერესი მსახიობი ქალი ნატოლია მერაბის ასული გაბუნია (1859—1910), მეულლე ასიკო ცაგარლისა (ჯვარი დაწერეს 1882 წელს, — „საქართველოს მოამბე“, 1909 წ. № 5).

ამ წერილს 6. ნიკოლაძის ხელით აწერია: „პასუხი და რეკომენდაციის წიგნი გაუგზავნე 12 პრილს, 1884 წ.“

ასიკო ამ წერილის დასასრულს თავისი ბინის მისამართს უგზავნის ნიკოს: Сололаки, садовая № 43, ხოლო ბოლო წლებში ასიკო პინადრობდა ავჭალის ქ., № 4 (ავჭალის და ნიკოლოზის ქუჩების კუთხე), გაგნიძის სახლში, საიდანაც გაასვენეს 18 აგვისტოს (1902 წელს) კუკის სასაფლაოზე.

მ ე თ რ ე წ ე რ ი ლ ი

1. „ქოდელი ნინო“ — განთქმული მკითხავი იყო ავლაბარში. ილია ჭავჭავაძე თავის საპოლემიკო წერილებში ამ სახელს ხშირად ისსენიებს.

2. პრესნიაკოვი — ე. ლ. პრესნიაკოვი, ინჟინერი, ამიერკავკასიის რეინიგზის მმართველი.

3. გორნიჩი — იოსებ გერასიმეს-ძე გორნიჩი, — ამიერკავკასიის რეინიგზის მთარაობის (მიმოსვლის) უფროსი.

4. ნურა — ჩვენთვის უცნობი პიროვნებაა.

5. „ჩუნესა“ — ქალაქური თქმაა: ჩუნესა — უნარმოკლებული,

უქნარა, უნდილი, ჩანჩურა, უხეირო, ასიკო თავის პიესებში, ზემო კაცის დასახასიათებლად ას სიტყვას ხშირად იშველიებს.

6. კნეინა — აქ იგულისხმება ნ. ნიკოლაძის სიდელრი ქეორგან მანიშვილის ასული, ალექსანდრე გურამიშვილის მეულე.

7. სოლომონ ივანიჩი—ეს იყო სოლომონ ივანეს-ძე შაბუროვი, ძველი მოქალაქე, ტყიბულის ქვანახშირის მრეწველი, ქველმოქმედი. იგი ხშირად ეხმარებოდა ქართულ საზოგადო საქმეებს. ძმები სოლომონ და ივანე შაბუროვები ტყიბულის ქვანახშირის საქციონერო საზოგადოებაში ირიცხებოდნენ. შაბუროვებს ქართველ ინტელიგენციასთან დიდი მეგობრობა ჰქონდათ. სოლომონ შაბუროვის მიერ წმინდა ქართულით დაწერილი ბარათები ტყიბულის ქვანახშირის საქმეებზე ინახება ნიკო ნიკოლაძის ქაღალდებში.

8. „ჩე, ახპერ, ჩე!“ (ლომბ.) — „არა, ძმით, არა!“

მ ე ს ა მ ე წ ე რ ი ლ ი

1. „ბიძაჩემი მთელი დამოენის მმართველი იყო, ერთ ალაგს როგორ ვერ მიშოებდა... ასიკოს ბიძა მელიტონ თომას-ძე ფომინ-ცაგარელი, მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას, ის თავის ნაწერებს მხოლოდ „ფომინს“ აწერდა. ცაგარლების მეორე გვარი „ფომინი“ წარმოებულია პაპის სახელიდან: „თომა“ — ფომინი — ე. ი. „თომას შვილი“. ასიკო ცაგარელი თავის ბიძას ხშირად ასეც იხსენიებს: „მელიტონ ფომინი“. როგორც ვიცით, თომას შეილები და შეილიშვილები ამ ფომინის გვარითაც იყვნენ ცნობილი, ვიდრე სამუდამოდ არ დაიკვიდრეს ქართული გვარი: „ცაგარელი“.

2. „დათიყოს ერთი ლოთიანათ თავში ჩააფარე“. ეს ქალაქურ ყაიდაზე შექმნილი გამოთქმა ა. ცაგარელს თავის პირს „ხანუმაშიც“ აქვს ჩართული — აკოფა ამბობს: „ერთი სიძე მითხარით, სიძე, რომ ლოთიანათ თავში ჩავაფარო“ (იხ. „ქომედიები“, 1936, გვ. 34, ი. გრიშაშვილის რედაქცია).

3. „ვისაც შენგან ბილეთები მოუვიდათ, ყველა დიდ მადლობას და ქება-დიდებას გიძლენიან“... საქმე ის არის რომ ნიკოლაძე მსახურობდა რეინიგზის სამმართველოში (1882 წლიდან 1886 წლამდე — პეტერბურგი, თბილისი). ჩეენი მოლვაშენი ნიკოს ხშირად მიმართავდნენ რეინიგზით სამოგზაურო უფასო ბილეთებისათვის. ნიკო ყველას ეხმარებოდა. მის არქივში დაცული მასალებით ირკვევა, რომ რეინიგზის მუქთი ბილეთებით უმოგზაურიათ: აკაყი წერეთელს, გ. წერე-

თელს, დავით ერისთავს, დიმიტრი დადიანს (ქუთათეურ გაზეთ „შრომის“ რედაქტორს), დეკ. დ. ლამბაშიძეს, ილია ბახტაძეს, ივ. თხორუელეკის და სხვ. წარმოიდგინეთ, გლებ უსპენსკისაც მოუმართავს ნაციონალურ თვის უფასო ბილეთებისათვის. ხოლო ნ. ჩერნიშევსკის 1884 წლის 27 აგვისტოს, ასტრახანიდან პეტერბურგში გაუგზავნია წერილი ნ. ნიკოლაძისთვის, რომელშიაც სთხოვდა თავისი უმცროსი ვაჟის მიხეილისათვის სამსახურის შორის რეინის გზათა სამმართველოში. ნიკოლაძეს თავისი „მასწავლებლისათვის“ შეუსრულებია ეს თხოვნა და მიხეილ ჩერნიშევსკი მოუწყეთ ამიერკავკასიის რეინიგზათა სამმართველოში.

4. „ნატომ შემოვითვალა, მამიჩემის მუნდირს ფეშავედ გამოიგზავნიო“. უნდა ვიცოდეთ ნატო გაბუნიას ბოლორაონიდან, რომ იგი შეილი იყო ნადიამბეგარ (შემდეგ გორის საპატიმროს უფროსის) მერაბ გაბუნიასი, რომელიც გორში იყო ჩასიდებული.

5. „გეურჯ ეფიმიჩი“ — ასე უწოდებდნენ ხუმრობით გიორგი წერეთელს. გ. წერეთელი იმ ხანებში საკომერციო საქმეებში იყო გაბმული... მისი მოხსენებითი ბარათების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მას სურდა ჭალის მთის (საჩხერისაევნაა) ექსპლოატაცია და რეინიგზის პატარა შტოების გაყვანა სოფლებისა და ჭალაქების დაახლოების მიზნით (ჭალისკენ, ხონისკენ და სხვ.).

მეოთხე წერილი

ა. ცაგარელი ამ წერილს თბილისიდან უგზავნის ჭიხაიშვი ნ. ნიკოლაძეს, რომელიც ამ დროს თავისი მეურნეობის საქმით იყო გართული.

როგორც ამ უთარილო ბარათის დაწერის დრო გამოვარევით, 1889 წელს ასევე თბილისში უნდა მსახურობდეს სადგურის მორიგის თანამდებობაზე. ადგილის მარებელი ასევე, სულ იმას ეხვეწებოდა ნ. ნიკოლაძეს, რომ მისთვის არ მიეცათ სადგურის უფროსის ან მისი თანამერმწის საპასუხისმგებლო ადგილი: „ოღონდ სტაციის უფროსად ცე დამნიშნავენ და სხვა რაც უნდათ, ის თანამდებობა მომცენონ“, — წერს ნიკოლაძეს ასევე (იხ. წერილი 2). ალბათ გული უთქვამდა, რომ იგი ფათერაჟს ვერ აცდებოდა და როგორც მეოთხე ბარათიდან რეკვითი, ასეც მომხდარია.

1. ეისიმონტი — ანტონ ივანეს-ძე ეისიმონტი, ინერერი. ამიერკავკასიის რეინიგზის მოძრაობის უფროსი.

2. ეს შემთხვევა აწერილია გან. „ტიფლისკი ლისტოქში“, 1889 წ.
№ 138 და № 139.

3. „ალხაზოვის შეამდგომლობათ შეგიძლიან ყველაფერი მოახერხოთ“. პეტრე ლაზარეს ძე ალხაზოვი, ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟენერი იყო, ნიკო ნიკოლაძის ნაცნობი.

მეხუთე წერილი

როგორც ირკვევა, ნიკო ნიკოლაძეს თავის ჯიხაიშის ბალისთვის ასევე სთვის უთხოვნია ასერბაიჯანული ჯიშის ბროწეულის ნერგები,— ასევე ეს თხოვნა შეუსრულებია.

წინა წერილში მოხსენებული „მარცხის“ გამო. ასევე შიშს გამოსთვევამს, რომ ის „უკითხავიდ და გამოუძიებლად“ შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ, ამიტომ ემუდარება ნ. ნიკოლაძეს ჯიხაიშიდან თბილისში ჩამოსვლას და დახმარებას. უნდა ვითიქროთ, რომ ნ. ნიკოლაძის საქმეში ჩარევით, ასევე სამსახურიდან არ დაუთხოვნიათ, ზაგრამ, ვითომ დროებით („სამი-ოთხი თვით“) ცეცხიან და გამოყრულებულ ადგილას — სადგურ ქურდამირში გაუმწესებიათ. ასევე იქ ოთხ წელიწადს მსახურობდა; მისივე თქმით, ცუდი პავის გამო, არც ერთი სადგურის უფროსი ქურდამირში წელიწადნახევრიზედ მეტს ვერა სძლებდა. ქურდამირში ასევე ხშირად იყალმყოფობდა. ნატო, მისი მეუღლე, მთელი წლობით იყო იმასთან და სეზონის განმავლობაში თბილისში ვერ ჩამოდიოდა, თეატრს ვერ ემსახურებოდა. ასევე თავისა საყვარელი დედა ქურდამირში გარდაეცვალა და იქვე დასაფლავებული.

მეექვსე წერილი

1. ანტონ ანტონის რადციხ — რკინიგზის მოხელე (ამ კაცის თანამდებობა თვით ასევე აქვს მეექვსე წერილში მოხსენებული).

2. ზოლოტნიცკი, ესეც რკინიგზის მოხელე (Э. Д. Злотницкий).

3. ნიკო ნიკოლაძის სტატია „Шемахинская ветвь“ დაბეჭდილი ეყო გან. „ნოვოე ობოზრენიეში“, 1891 წ. № 2611.

ამ წერილს ნიკო ნიკოლაძის ხელით აწერია: „ასევე ცაგარლისაგან“. წერილს თარიღი არა ჰქონდა.

ეს წერილი, რომელიც დაწერილია 1894 წელს, 13 სექტემბერის დღის შურდამირიდან, ასევე უკანასკნელი წერილია. ნიკოლაძე ამ წელს ფოთის ქალაქის თავიდ იყო არჩეული, მაგრამ, როგორც ჩანს, ნიკოლაუნის გადმოყვანა ქურდამირიდან საქართველოში, მთლიან რიონის მაგირად, როგორც ამას ითხოვდა ასევე, ვალიდიდა დაუნიშნავთ სადგურის უფროსი. ტანში გამჯდარი ქურდამირის „ციება“ ვალიდიდაში უფრო გაუცხოველდა... დაუძლურებული ასევე, როგორც იყო, მევობრებმა გამოიწვიეს ვალიდიდიდან და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში უშოვეს მცირე იდგილი (დეპეშების მთარგმნელი მსახურობდა). ამის შემდეგ ასევე დიდხანს არ უციცლია: გარდაიცვალა 1902 წ. 12 აგვისტოს (დვ. სტ.), 45 წლის ასაკში.

1956 წ.

პ ა ღ ვ ი ა ნ ი

აკოფ აკოფიანის შემოქმედებითი მოლვაშეობის მნიშვნელოვანმა პერიოდმა ჩვენს თვალშინ ვაიარა. ვის არ ახსოეს პატარა ტანის, მაგრამ მხნე გამომეტყველების მოხუცი თავის შემოქმედებითი შთაგონებით ანთებული თვალებით! იგი ხშირად სელებოდა ქართველ მწერლებს, მათთან კარგი მევობრობა პქონდა და ხშირად საუბრობდა ქართველი და სომეხი ხალხის ისტორიულ ძმობაზე, ორი მეზობელი ერის დიდ კულტურულ მექანიზრებაზე...

საქართველოს აკოფიანი თავის მეორე სამშობლოდ თელიდა. რა თემაზედაც არ უნდა გაგებათ მასლაათი, იგი ყოველთვის სიყვარულით გაიხსნებდა საქართველოს ცოფლებს, სადაც იგი თავისი სიქაბუის წლებში ხშირად მოგზაურობდა, როგორც ბოლშევიკი იგიტარორი. აკოფიანის ხიბლავდა ჩვენი დაბა-ცოფლების ბუნებრივი სინატოფე, მაგრამ განსაკუთრებით იტაცებდა ქართველი გლეხის სულიერი სიმდიდრე. „რამდენი სიკეთეა ქართველი გლეხის გულში! — იტაცებდა ხოლმე აკოფიანი, — როგორი ძლიერი სიყვარულით უყვარს მას ადამიანი, მისი ვაჟკაცობა, თავდადება, საკუთარი მიწა-ჭყალი, მშობლიური კერა. ამ მაღალი საქაუმბრიო თვისებებით დადას ჰევანან ერთმანეთს ქართველი და სომეხი, იმიტომ, რომ მათ ერთნაირად

მძიმე ისტორიული გზა აქვთ გავლილი და არაერთხელ გაერთიანებულ
ძალით მოუგერიებიათ გარეშე დამპყრობელთა რისხეა, ერთი სიტყვით
სომები და ქართველი ხალხი ყოფილან ერთმანეთის ფარი და სმიათლა.

აյთ აკოფიანს რომ ასე ძლიერ უყვარდა საქართველო, ეს შინი შე-
მოქმედებიანაც ჩანს. მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე თა-
ვისუფლებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განტკიცებისათვის და-
უცხრომელ ბრძოლას მოახმარა. იგი ერთნაირი სიყვარულით უმღე-
როდა განახლებულ სომხეთსა და საქართველოს. საბჭოთა საქართვე-
ლოს ყოველი გამარჯვება უსაზღვრო აღფრთვისანებას იწვევდა მასში.
ჩვენი ხალხის ყოფაში არ მომხდარა არცერთი ისეთი მნიშვნელოვანი
მოვლენა, რომელსაც იგი გულწრფელად არ გამოხმაურებოდეს და
თავისი შთაგონებით აღმცენილი პოეტური სიტყვა არ ეთქვას.

ქართველი ხალხიც ყოველთვის დიდად აფასებდა და აფასებს დი-
დი სომები საბჭოთა პოეტის ღვაწლს. აკოფიანი თბილისში გარდაიც-
ვალა და ქართულმა მიწამ მცს ნეშტს მშობლიური მზრუნველი კალთა
გადააფარა.

მარად დღეგრძელობდეს ქართველი და სომები ერთს ძმობა! უკა-
დაეი იყოს ხალხთა მეგობრობის სახელოვანი მომლერლის აკო-
ფიანის ხსოვნა!

1956 წ.

ჩვის გულთან დაახლოებული პოეტი

(პეინეს გარდაცვალებიდან 100 წლისთვის გამო)

აი, ნამდვილი ლირიკოსი! გულის მეუფე!
სიხალისე და სიხარული პოეზიის!

საგანძურო, სადაც დაუნგებულია უკვდავი, ლამაზი გრძნობა და
მარადიცული სიყვარული — ჰე ი ნე!

სიყვარული სიხარულს პბადებს, მაგრამ პეინესათვის თითქოს
სიხარული არ არსებობს, იგი ტანჯული მგოსანია, მისი ლექსები სევ-
დიანი გულის ამონაკვნესია:

შეამოთ სავსეა ჩემი ლექსები
და ან კი, სხვაფრივ, როგორ იქნება...
შენ, სატრატო, მომაკედინებელ შეამოთ
სრულად მოსწამლე ჩემი ცხოვრება.

შხამით სავსეა ჩემი ლექსებით, — შესჩივის სატრფოს!

ჰეინეს ლექსებში სოლივით შეტრილია და თინათინობს: ცურემლი, შხამი, დარდი, კაეშანი და ტანჯვა. ისე დიდია ეს ვაება, რომ იგი ერთ ლექსში ამბობს: მე რომ მოვკედები, დიდი საფლავი ამომითხარეთ, რადგან დ ი დ ი დ ა რ დ ი თ საესეა ჩემი გული და პატარა კუბოში ვერ ჩავეტევიო. მაგონდება ბარათაშვილი: „თვითონ საფლავიც მევიწ-როვოს, თუ ტოლი მყვანდესა“.

გალოცარია ჰეინეს ლექსების შინაარსი, თითქოს ყველა მისი პატარა ლექსი, პოემების გამოკლებით. ერთ საგანს დასტრიალებს თავს. ეს საგანია სიყვარული, მაგრამ შეგ რამდენი ვარიაცია და რა ლაქონურადა გამოთქმული ეს გრძნობა და ემოცია ამ დაუბერებელი სიყვარულისა!

ჰეინე ლექსის სიუკეტის შექმნის და გამოთქმის ვირტუოზია! იგა ლექსს ფინალს როდი უკეთებს, არც მრავალსიტყვაობა უყვარს — სწორედ ეს არის აღსანიშნავი მის შემოქმედებაში... მისი ყოველი ლექსის დასასრული ისე უღრის, რომ მსმენელი თუ მეითხველი თვითონ იღებს მონაწილეობას ლექსის ფინალის განსაზღი. მაგალითად, ჰეინეს ერთი ლექსის შინაარსი ასეთია: შეყვარებული ვაჟი უიმედოდ იტან-ჯება, ქალი სხვაზეა დანიშნული. იგი ყოველდღე ქალის ფანჯარას შესცერის. ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენება, რომ სატრფოს ფანჯარა უჩვეულოდ გაჩახჩახებულია, ვაჟი ამბის გასაგებად მოსამსახურეს გზავნის: წალი, ცხენს შემოახტი და საჩქაროდ გამიგე, რა ხდება ჩემი შეყვარებულის ბინაზე, ქორწილია თუ დარბაზში შემთხვევით ანთია დიდი სინათლეო, თან დასძენს, თუ ისეთი არაფერია, მაშინ ცხენი ნელა წამოიყანე, ხოლო თუ ქორწილია, მაშინ ცხენი ააჩქარე და თან თოყიც წამომილეო. აქვარა, აქ თავის ჩამოხრიობაზეა ლაპარაკი, სხვა პოეტებივით არ ამბობს: „თავი უნდა ჩამოვიხრიო, მეტი რალა დამრჩენია უიმედოდ შეყვარებულსო“. აეილოთ მეორე ლექსი. მოვყვან ძველი პოეტის იოსებ ბაქრაძის თარგმნით:

მაგიდას უსხედნენ და ჩაის სეამღნენ,
სიყვარულზედა ქეონდათ ბასი,
კაცები ჭკუით ამჟარ ტავნო ბლ ნენ,
ქალთ ჩალუოთას არ ედო ფასი.

„უნდა გეიყვარდეს პლატონიურად!“
წარმოსთქვა ერთმა ხმამალლა, განწრახ,
ცოლს გაეცინა ირონიულად,
ამოიოხრა მწარედ და სოქვა: „ახ!“

მღვდელმა კი ბრძანა: „კაცს როდი შეართებს,
აუყვეს სიყვარულს გატაცებითა,
თორებ იგი მას დაასწულებს“,
ქალწულმა ქალმა შენიშვნა: „რითა?“

„სიყვარულია ენებათა ლელვა“,
სოქეა გრატინიამ გულისტურილით;
შემოვე ბართმა ჩინ მიართვა
და გადახედა ნაზი ლიმილით.

ჩემო ძვირფასო! რა იქნებოდა,
რომ ყოლილიყავ შენც მიწევდი
შენ გთ შევენერად დაუმტკიცდო,
რაც არის ტრუმბა და სიყვარული!

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია, ლექსის ბოლო აშენდა: მაგიდასთან შეყრილები — ბართმი, გრაფინია, მღვდელი, გამათხოვარი ქალი, ნანში შესული ბანქირი — ყეველანი სიყვარულზე სუბიექტურად მსჯელობენ. აქ ავტორი, გაასხენდება თავისი შეყვარებული ქალი და დანანებით წარმოსთვევამს: ჩემო ძვირფასო, შენც რომ იქ ყოფილიყავი მიწევეული, სიყვარულზე მსჯელობა სხვა ხსისთას მიიღებდა და უველა იქ ყოფით დაუმტკიცებდი, თუ მართლა რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული!

რა უსუსურია ასე პროზად გადმოცემული ჰეინეს შესანიშვნავი შინაარსი ამ პატარა შაირისა, ლაქონიურ ლექსიდ გაეკეთებული. უნდა ითვეს, რომ არც ერთ ეკროპიელ მწერალს არ ეხერხება დიდი შინაარსის შემნე სიუჟეტის მოკლედ გადმოცემა, როგორც ეს ჰეინემ იცოდა. მისი სულ პატარა ლექსიც კი დიდი ემოციის მიტარებელია, პოემების შემცველი ციუჟეტია. დიდ აზრს, რაც სხვისთვის პოემის დასაწერადა საჭირო, ჰეინე სულ 2-3 სტროფში ათავსებს, მერე რა კაგად, რა ლამაზად.

მისი სიმღერების კრებული უბადლოა. ჰეინეს დარჩა ნაწერების 15 ტომი, მაგრამ ხალხს შეხლოდ ერთი ტომი ახსოეს, ის ტომი, საღაც ლარიკული ლექსებია შეგროვები.

ჰეინეს ლექსები შეუძლებელია ზეპირად არ დაგამახსოვრდეს, შეუძლებელია არ იმღერო. განა შეიძლება ჰეინეს ლექსები გაყვიზნებულმა ადამიანმა წაიკითხოს საღილის შემდეგ. ყილეტგახსნილმა და გვერდზე წამოწოლილმა? იგი ახალგაზრდობის მომღერალი პოეტია, ჰეინეს ლექსები ყველამ ზეპირად უნდა იცოდეს!

ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ,
მოაცურე ჩემსკენ ნავი,

ცერას ფიქრობ ჩემზე აესა,
ული მსურვალედ ჩამეკარი
და თუ შენ თავს ანდობ ზღვასა,
მა რაღაც ერ უნდობარი?

შეგრამ გულიც ხომ ზღვა არი,
ხან ლელავს და ხან მშეოდება —
და ძეირფასი მარგალიტი
ემაშიაც იმალება!

საქართველოში ჰეინეს ლექსები ხელწაყრით ითარგმნება და ითარგმნებოდა: ჰეინეს მშენიერი ლირიკის მიმართ თვით ილია ჭავჭავაძემ და ივაი წერეთელმაც გადაიხადეს თავიანთი ხარკი! გარდა ილია და ივაისა, ჰეინეს მთარგმნელები არიან: ანტონ ფურულაძე, განდუგილი, ოსებ ბაქრაძე, ნიკო ივალიშვილი, ალექსანდრე აკოფაშვილი, ოსებ მჭედლიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სანდრო ჭანშიაშვილი და სხვ.

ხარისხინ ვარდოშვილმა ორჯერ ვამოსცა ჰეინეს ლექსების ქრებული, ვრიგოლ აბაშიძემ და კარლო კალაძემ ირ დაიშურეს თავიანთი გამოცდილება ჰეინეს ლექსების სათარგმნელად. შარშან პოეტმა იყარი ჰკადუამ გერმანულიდან თარგმნა ჰეინეს რჩეული ლექსები და ცალკე წიგნად ვამოსცა. ჭოლა ლომთათიძე? ჭოლა ლომთათიძემ, კონეში ყოფნის დროს, ჰეინეს პოეზიიდან ყველაზე ბევრი ლექსი თარგმნა და 1913 წელს ყალკე წიგნად დაბეჭდა მშენიერი წინათქმით. მიუხედავად ლექსიური აღნავობის სიმკრთალისა, უნდა ვთქვა და ეს ჩემი პირადი შთაბეჭდილების ნაყოფია, რომ ჭოლას თარგმანი დაიგ გზნებით არის ნათარგმნი, პოეტმა ვაიგო პოეტი.

ამ თარგმანებს ჭოლას „პირადი ვანცულის და მისი სულის შეფოთვის დაღი აჩნია“. აი, მისი ერთი თარგმანი, რომელიც წეპირად მახსოვეს:

აზ შემიძლიან, რომ დაგვიფურო,
აზ შემიძლიან გაეწირო თავი,
ო, მახსოვეს, მახსოვეს, ჩემი ლამაზო,
რომ სულით, ხორცით ჩემი იყავო.

და ეხლაც მინდა შენი სხეულის
კუყო პატრონი, პატრონი სრული, —
და შენი სული? წალონ თუ სურთ,
მე უშენოთაც ბევრი მაქეს სული.

მოღის თანაბრძლ სულ ვეკუოფ შეა,
ხეხვდას შეავბერ შენსა არსებას,
შაშინ ჩენ ერთსულ ერთხორც ვიქწებით, —
ერა შეიძლება ჩენს დაშორებას?



მე, როგორც პოეტი, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას მომხვდა
პეინეს ლექსების ნაპერწყალი, ჭილას თქმისა არ იყოს: „აქეს სიყ-
ვარულს ერთი დიდი და შეურყეველი კანონი. ეს კანონი მდგომარე-
ობს იმაში, რომ ის, ვინც გიყვარს, მუდამ გიყვარდა, გვოხია, რომ ეს სიყვარული, დაიბადა შენთან ერთად, რომ შენს სიცოცხლეში არ ყო-
ფილა ისეთი წიმი, როცა ის, ვინც გიყვარს, არ გვარებოდეს, ეს ასეა,
თუ მართლა და ნამდვილი სიყვარულით გიყვარს“... და სწორედ ასე-
თი სიყვარულით მიყვარდა და დღესაც მიყვარს მსოფლიო სევდის
მგრძანი, სიყვარულისა და დიდი გრძნობის მომლერალი პენრის პე-
ნე. არ მასსოვს როდის შეეხვდი პირველად იმას, რომელი მისი ლექსი
წაგიკითხე პირველად, როდის დაიწყო ჩემი მისდამი სიყვარული—და
დღეს მგონია, რომ ის იმთავითებ იჯდა ჩემს გულში და გალობდა.

მე ორი ლექსი მასსოვს პეინესა. ერთი ეთარგმნე და მეორე—ლე-
გნდა — გაელექს ჩემი ფინალის დართვით. ჯერ წაგიკითხავთ ამ მი-
მართვას, შემდეგ ჩემს საკუთარ თარგმანს.

პირველი ლექსი

1
ა. ლეკსის მეზოეური ახალგაზრდულ მელავით
მიაპობდა ზღვის ზილუებსა, მისცურავდა ნაენო.
ა. ლროს ზღვაში ასიმლირდა ზღვის ნარნარი ელუა,
მეზოეური მოიხიბდა, გული იღლებულა,
და რომ პანგი ზღვის სულის ზღვის ტრინიბზე მიწუდა,
მეზოეური მოლად დაიბნა, საკუ მიავიწყდა,
გადაწრუნდა ცელჭი ნაერ, ტალამ იწყო ფრთხია
და საკუთარ თავის მკედელი გახდა ის თეოთონა.
ზღვის შეხერნარი ფურულუშებად ედებოდა გარსა
და ზღვა გულში ისტრებდა ნობათს მონაგარსა.

2

ნიმთალია, შენ არ მღერი, ვერ ეწყობი პანგსა,
ვერ მოხიბდავ ცაში ფრინველს, ზღვაში—ზღვის ნიანგსა,
ნიმთალია, არ ხირ ელუა, ზღვის შაცდური ქალი
და ლურჯ ზღვასი ვერ ალურჯებს ეგ მოლურჯო თვალი,—

შეგრძნ შენში რაღაც სუფევს, რაღაც ჩემი ძალა,
 რომ ამ ძალაზ ლექსის წერა თოთქმის მიყენდალა;
 გულში წევდა დასხვადლა, გულით ტრემლ შეუდება,
 რომ გიყურებ, კეელის ეტოვებ, კავლ მავწყდება.
 მავიწყდება ლექსის ფორმა—გრძნობის საცურეველი,—
 კშიშობ; ჩემშე არ გამართლდას ის ლეგენდა ძველი.

1914 წ.

ეხლა საკუთარ თარგმანს მოგახსენებთ. ლექსების ამ რეალს ავტორი ანუ ელიკას უძლენის:

ვეოცნი ტუჩებში! ვეოცნი ტუჩებში!
 და თვალებშე კი ვაფარებ ხელსა,
 ის კი ნიადაგ მისაცველურებს
 და პასუხსა მთხოვს ძნელასასნელსა,—

ამბობს: „პოეტო, შენ მაგ ქცევითა
 მაჯეიტებებ, მტანებ, ეპეით მამწარებ;
 რად მკოცნი ტუჩები?.. და ან თუ მკოცნი,
 თვალებშე ხელებს რატომ მაფარებ?”

რა ეუპასუხო, როს თეოთ არ ვიცი,
 ან რა დავარქევა ამ საქციელსა?
 ვეოცნი ტუჩებში! ვეოცნი ტუჩებში
 და თვალებშე კი ვაფარებ ხელსა.

ჩემი მადლობა ჰეინეს ძვირფას ლანდს, რომელმაც შემასწავლა სიყვარულის საიდუმლოება და მისი ლექსიად გამოთქმის უნარი, ქედს ვიხრი ჰეინეს ხსოვნის წინაშე თხემით ტერფამდე!

1956 წ.

მარო თარხიზვილი

ჩვენი სანელოვანი იუბილარი ქართული სამუსიკო ხელოვნების იმ ღვაწლმოსილ აღამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავისი უანგარო შრომით, ენერგიულობით და ხალისი ნიჭით ხალხის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ქართული ხალხური მუსიკა თავისი ლრმა იდეურობით, ემოციურობით, ეანრიობრივი ნაირფერობით და მრავალშემიინობით მსოფლიო მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განშტოებას წარმოადგენს. მარო თარხნიშეილიც ამ ჩვენი სამაყო ხალხური მუსიკის

მესაიდუმლეა, მისი სიწმინდისა და ბუნებრივობის ღამცველი ფურთო ასპარეზზე გამომტანი.

შესანიშნავი მომლერალი და ქართლ-კახური სიმლერებისადმისა დი მცოდნე, მარო თარხნიშვილი თეული წლების მანძილზე ატყობის ჩვენს ყურთას მენას, ზრდის ნიჭიერ მომლერალთა კადრებს, აყალიბებს ახალ და ახალ გუნდებს და თავს არ ზოგავს მშობლიური ხელოვნების განვითარებისა და გაფურჩქვნისათვის.

ამ თავისი ღვაწლით მან ქართველი ერის მადლობა და სიყვარული დაიმსახურა, რომლის ნაწილობრივ გამოხატულებას დღევანდელი სალამოც წარმოადგენს...

მე სიამოვნებით ვიღონებ ერთ ჩემს ტრადიციულ საღამოს (მგონი, 1917 წელი იყო), როცა მარო თარხნიშვილის და მისი დის ეკატერინე ფალავანდიშვილის პატარა საოჯახო გუნდი პირველად წარუდგა ქართველ თეატრალურ საზოგადოებას ოპერის თეატრში, რამაც დიდი, აუწერელი აღტაცება და სიხარული გამოიწვია.

ეუსურვოთ ჩვენს ძეირფას იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე და მისთვის ჩვეული უშრეტი ენერგიით მშობლიური ხელოვნებისადმი უანგარო მსახურება მრავალებიმიერ!

1956 წ.

პაგუაი პაგუაიანი

მე შთაბეჭდილების კაცი ვარ, სპექტაკლს მთლიანად არ ვეხები.

უპირველეს ყოვლისა, როცა გავიგე, რომ „ოტელო“ ბალეტად იყო გადაკეთებული, გავიფიქრე: „ოტელოს“ სიძლიერე გამოთქმაში, სიტყვებშია. უტექსტო „ოტელო“ ვერ წარმომედგინა. მაგრამ ვახტანგ ჭავჭავაძის სასახელოდ, რომელიც ამ სპექტაკლში მთავარი ძარღვი არის, უნდა ითქვას, რომ თავისი ბრწყინვალე ცეკვით მან უჰქოლად განგვაცდევინა ოტელოს სულიერი ტანკვა. კარგად ჩაატარა ეჭვიანობის მონილოგი. პირველი შემთხვევაა, რომ საყვარელი არსების მქოლელი აღტაცებით მიიღოს მაყურებელმა. ეს კი დიდი მსახიობის წარმატებაა. რა კარგი იყო ჭავჭავაძის დეზდემონასთან ალექსის დროს. ეს ენების შეკავებული ინსტინქტი, ეს ველური გამოხედვა, კოცნის სიცრთხილე უსაზღვრო ემოციას ბადებდა ხალხში. ჭავჭავაძი — ეს შესანიშნავი მოცეკვავე და დიდი რეეისორი, მიმიკის დიდი ოსტატიც უოფილა... უუყურებდი ჩემს თეალწინ გაზრდილ ამ დიდ ხელოვანს და გული სიამით მევსებოდა...

ამ სამი ათეული წლის წინათ ერთ ჩემს პატარა წერილში შევაგრძენები მისი მომავალი და თხუთმეტი წლის ჭაბუკას ასეთი სტრიქონების გუძღვენი: „რა კარგი იყო ვახტანგ ჭაბუკიანი „პიონერის“ ცეკვის შესახულების დროს, ეს ბედნიერი ახალგაზრდა უიპოლად დიდ მომავალს გვიქადის“. ან ასეთი მოწოდება: „პერინის სტუდიაში სწავლობს ახალგაზრდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა, საკიროა ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ქართულ ოპერასთან ერთად ქართული ბალეტის შექმნისათვის ჭაბუკი ჭაბუკიანი ერთი პირველ-თაგანია“.

ვახტანგ ჭაბუკიანი ჩვენი ბალეტის სიამაყეა. „ოტელოს“ დადგმა ოპერის თეატრში ქართული კულტურის დღესასწაულია.

1957 წ.

ჩესოვის „დათვის“ ჩართულ სცენაზი

ეს პიესა თავის დროზე ქართული თეატრის ღარიბი რეპერტუარის შესახებად თარგმნა პოეტმა და ექიმმა გრ. ვოლსკიმ.

ახლახან ბათუმში გამოვიდა ალმანახი „ტალღა“ (№ 19). ამ ალმანახში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ა. მხითარიანის წერილი „ფურცლები ლიტერატურის ისტორიიდან“. ავტორს, ეტყობა, უმუშევნია ჩვენს არქივებში და მისი რამდენიმე მოსახრება ჩვენი ძელი მოღვაწეების შესახებ მართლაც სიგულისხმოა. მაგრამ როცა აეტორი გრ. ვოლსკის მიერ ნათარგმნ ჩეხოვის პიესა „დათვის“ შესახებ ლაპარაკობს, აშკარად სცდება.

წერილის აეტორს საცენზურო ფონდის მასალებში უნახევს „დათვის“ ქართული ხელონაწერი და შემდეგსა წერს: „როგორც ჩვენი გამოკელევით (?) ჩანს, ვოლსკის მიერ თარგმნილი „დათვის“ ტექსტი გამოუქავებულია“ (ხაზი ჩემია. ა. გ.). შემდეგ ასკენის: „ლიტერატურაში არაფერია ნახსენები... გადაჭრით შეიძლება ითქვის, რომ „დათვის“ თარგმანი, თუმცა კი იყო ნებადართული დასადგმელად, მაგრამ დღემდე იგი არც გამოუქავებიათ და არც სცენაზე დადგმულა“ (ხაზი ჩემია. ა. გ.).

ზოგიერთი დაუკვირვებელი მკვლევარი, როცა უკვი აღმოჩენილია, იმას თავის „აღმოჩენად“ ასაღებს; აქ კი, იმის ნაცვლად, რომ მკვლე-

ვარმა მორიდებით სოქეას — „მგონი არ დაბეჭდილა“, „მგონი სუენაზე არ დადგმულაო“, — პირდაპირ აცხადებს: ჩვენი გამოკელევით, გადაწყრით შეიძლება ითქვას, რომ გრ. ვოლსკის თარგმანი, ანჩხოვის „დათვი“ არც გამოქვეყნებულა და არც სუენაზე დაუდგამთო.

არ არის მართალი! თეატრის ზოგიერთმა ახალგაზრდა მკულევარმა რომ არ გამომოროს ეს შეცდომა, ვიტუვით ჩენც „გადავწრით“, რომ გრ. ვოლსკის „დათვი“ მარტო არქივში კი არ ინახება ხელთანაწერის სახით, არამედ დაბეჭდილიც არის და სუენაზე დადგმულიც აი, საბუთებიც:

1. გრ. ვოლსკის მიერ ნითარგმნი „დათვი“ დასცელილია ილია ჰავშეავაძის „ივერიაში“ (რბ. 1889 წლის № 84 და 87).

2. სუენაზე დადგმულია თბილისში დასახულის მონაწილეობით 1889 წლის 18 ივლის; 1891 წლის 24 აპრილს და 15 სექტემბერს; 1892 წლის 17 აპრილს; 1893 წლის 2 თებერვალს; 1894 წ. 25 იანვარს. კიდევ მეტიც: „დათვი“ „ივერიიდან“ გადაიბეჭდა ი. იმედაშეიღლის რედაქტორობით გამოცემულ პიესების კრებულ „ცისორების სარკე-ში“ (1901 წ.): ხოლო რაც შეეხება სუენაზე განსახიერებას, თბილისის გარდა, იგი დაიდგა: ქუთაისში (1893 წლის 7 თებერვალს), ფოთში (1893 წლის 30 ოქტომბერს), ბათუმში (1893 წ. 30 იანვარს და 7 თებერვალს), თელავში, ქიათურაში. სიღნაღმი და საერთოდ ყველა პერსეფორმულ სუენაზე.

3. მოქლედ „დათვის“ დადგმების ნუსხა.

ამის შემდეგ თქმა იმისა, „დათვი“ არც დაბეჭდილა და არც დადგმულაო, რბილად რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ ნარკვევების აეტორმა თავის ნაჩქარევი მსჯელობით დათვური სამსახური გაუწია ჩვენი თეატრის წარსულის შესწავლის საქმეს.

1958 წ.

მაღარა თბილისი

შემთხვევით როდი ამაყობს ქართველი თავისი დედაქალაქით!

თბილისი ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქია მსოფლიოში. კისაც ერთხელ მაინც უნახავს ჩემი ქვეყანა, არ შეიძლება იგი თბილისის მშენებელებით არ მოხიბლულიყო. მრავალი მოძმე ხალხის შეილისათვის გამხდარი თბილისი შთაგონების წყარო, მრავალი პოტი აუმდერებია, მრავალი მიუღია და თავისი შშობლიური დედაქალაქით შეუყვარებია იგი.

შშეენივრად აქვს ნათქვამი გამოჩენილ რუს პოეტს — ნ. ტიხო-ნოვს: მოსკოვზე საყვარელი დედაქალაქი ხომ არ არსებობს, თბილი-სი ჩემთვის მეორე მოსკოვია. ა. გრიბოედოვი აღტაცებული იყო მარტინისთ, აქ დაქორწინდა და აქ მუშაობდა თავის ნაწარმოებებზე. ა. პუშკინი და მ. ლერმონტოვი მოხიბლა ჩევნმა იშვიათმა ბუნებამ, ჩევნ-მა მარად მცხუნვარე მხემ. ა. ისტორიკი მოუმენლად მოისწრაფვო-ლა საქართველოსენ, რათა ენახა პოეტების მუზა — თბილისი. მუ-დამ სიიმოვნებას ჰვერიდათ თბილისში გატარებული დღეების გახსე-ნება ლევ ტოლსტიის და მაქსიმ გორკის, ჩიკოვესკის და რეპინს, ესე-ნინსა და მიიკოვესკის, — ყველას, ვისაც ერთხელ მაინც დაუდგამს თავისი მეგობრული ფეხი თბილისის წმინდა მიწაზე.

თბილისი გენისი ფერმწერის ქმნილებას მოგავონებო. მდინარე მტკვრის ორივე მხარეს გაშენებული ქალაქი ლამაზი მთებითა გარ-შემოკრული, აღმოსავლეთით მახათას მთაგრეხილი აკრავს, სამხრე-თით სოლოლაკის მთა, დასავლეთით — მთაწმინდა, ჩრდილოეთით კი მას ლალად გაუშლია მცერდი და გაუნავარდია... ქართულ მწეს მისი მიღამოები ათასფრად შეუმოსავს.

მაგრამ თბილისი მარტო ამ ბუნებრივი სილამაზით როდი გიტა-ცებს. თბილისის გმირული თავვადისავალი ქართველი ხალხის სახე-ლოვანი ისტორიის თავფურცელია. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსულ დამპყრობლებს მრავალჯერ აუთხრებიათ ჩევნი დედა-ქალაქი, მაგრამ ქართველ ხალხს ყოველთვის აღუდგენია, დაუშვე-ნებია და დაუცავს მისი დიდება. ამაოდ როდი ამბობს ჩევნი ხალხი:

„ოთხმოცერ წასდენილია,
ოთხმოცერ აღშენებულია!“

თბილისისათვის უთანასწორო ბრძოლაში ამაყად იღუპებოდნენ უბ-რალო ადამიანები და გმირობისა და მამაკობის შარავანდედით მო-წვდნენ მშობლიურ ისტორიას.

თბილისის სატანჯელო სამუდამოდ გათავდა მას შემდეგ, რაც სა-ქართველო სამიარადისოდ დაუკავშირდა რუსეთს. იმ დღიდან რუს და ქართველ ხალხს შორის განმტკიცებულმა მეგობრობამ საშუალება მისცა ქართველ ხალხს შედარებით შეკიდობიან პირობებში განევი-თარებინა თავისი ცხოვრება, აღედგინა და წინ წაეწია თავისი ექო-ნომიკა და კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

დიდმა ოქტომბერმა სამარალეამო სიხარული დაუმკვიდრა ჩევნს ხალხსა და მის დედაქალაქს.

თბილისი მეგობრობის ქაღაფია.

მისი მრავალეროვანი მოსახლეობა ძმურად აშენებს ახალ ცხრვა-
რებას, იცავს შშეიდობას.

თბილისის ათასეთასი წლის სახელოვანი იუბილეს დღეს ჩვენი
ცველაზე სანუკვარი სურვილია:

მარად ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების მე-
გობრობა!

1958 წ.

ზეგირდობა თბილისი

თბილისის დაბალ მოსახლეობაში, სადაც მრავალშეილიანობა იყო
გაერცულებული, მშობლები ქალებს ხელსაქმეს აჩვევდნენ, ხოლო ვა-
ჟიშვილებს შეგირდად მიაბარებდნენ ხოლმე სხვადასხვა ხელოსნებს;
თერქებს, კონებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, სარაჯებს, დალაქებს,
დაბლებს, ხარაჩებს, ბაზაჩებს, ყაზაჩებს და სხვ.

ძეველად, კარიშმის დროს, ხელმოყელებს სად ჭერიდათ იმ-
დენი საშუალება, რომ შვილები სკოლაში მიებარებინათ. ამ მხრივ
მღიღდართა ბავშვებს გაულიმებდა ხოლმე ბედი. ღარიბების სკოლა
ჭრია იყო, აქ იზრდებოდნენ, აქ იკვირდებოდნენ ცხოვრებას და ჭა-
პანწყვეტით ცვალევდნენ გზას.

შშრომელია შეილები ბალლობიდანვე მძიმე შრომაში ჩაებმებო-
დნენ ხოლმე, შეიდი-რვა წელი არც კი ჰქონდათ შესრულებული, რომ
მამა თავისითან წაიყვანდა სამუშაოზე, გვერდში ამოიყენებდა და ისე-
ვე. როგორც თვითონ, გაფით წელში სწყვეტდა. ან თუ მშობელს
ოჯახში მრავალი მცირეწლოვანი ვაჟები ჰყავდა, ხელოსნებს ბიჭალ
მიაბარებდა ხელობის შესასწავლად.

ხელობის შესასწავლად იყვანილ შეგირდს, როგორც ეს წესად იყო
მღიღდებული, ოთხი წელიწადი მუქთად, უსასყიდლოდ უნდა ემსახურა
ოსტატთან, შემდეგში ეძლეოდა „შეგირდანა“.

ზოგი ხელოსანი ყოველ შაბათ საღამოს, როცა სახელოსნოს „და-
რაბებს აუგდებდნენ“ (დახურავდნენ) შეგირდს აძლევდა „შეგირდა-
ნას“, ე. ი. საჩუქარს: 7 კაპეიქს და ერთ წყვილ წმინდა სანთელს.

პირველად შეგირდი მორბედის მოვალეობას ასრულებდა: აქეთ-
იქით გზავნიდნენ, დასაქმებდნენ, დუქანს დააგვევინებდნენ, სახლი-
დან კერძს აზიდეინებდნენ, ხოლო როცა რამდენიმე წლის შემდეგ

იგი ხელობას შეისწავლიდა და შეგირდობიდან ქარგალი გახდებოდა ამ შემთხვევაშიც, რაგინდ ხელობა ქარგად სცოდნოდა, მაინც სრულ ფასოვან ოსტატიდ არ ითვლებოდა, სანიმ ქარგლობის ვადას არ გაივალიდა. ქარგლობის დროს იგი მუშაობდა როგორც ნამდევილი ოსტატი, მაგრამ ხელფასს ნაკლებს იღებდა. ქარგალს დიდი გაფა და წვალება უნდა გვევლო, რომ „სუფთა ოსტატი“ დამდგარიყო, დალოცვის ღირსი გამხდარიყო. ოსტატიდ „დალოცვას“ კი თავისი წესი ჰქონდა:

ერთი ხელობის ხელოსნები წინასწარ აზრეულ რომელიმე ბაღში შეიკრიბებოდნენ, აქ სუფრა იყო გაშლილი. უსტაბაში (ოსტატების მეთაური) ქარგალს (რომელსაც, სხვათა შორის, წელშე ბალდადი ჰქონდა შემორტყმული და შიგ თავისი ხელობის ერთი ძირითადი ხელ-საწყო იარაღი უნდა ჰქონდა გარკობილი) გვერდით მოისვამდა. უსტაბაში იმავე ღროს ტოლუმბაშიც იყო, თამაცა. იგი პირველად ად-ლეგრძელებდა ქარგლის ოსტატს — მასწავლებელს, კინც ხელობა შეაწევდა. შემდეგ ქარგალს დაახსიათებდა, მარჯვენას შეუქებდა და აკრი დარიგებით მიმართავდა:

— იყავი გამრჩე, გიყვარდეს შრომა, ნამუსიანად გაატარე შენი ცხოვრების გზა. ასახულე შენი გამხრდელები, რომ სიამაყით შემოგცეროდნენ ისინი. სახელი მოუხვევე შენს ხელობას და ჩვენგან შეძენილი ცოდნა და გამოყდილება სხვებსაც გადაეცი... ამა, დაფუქრდი, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ყველას თავისი ცოდნა საფლავში ჩაეტანა...

ამ სიტყვის შემდეგ, უსტაბაში დასალოცად გამზაღებულ ჭიბუქს მსუბუქად სილას გაარტყამდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მიერიდან უკვე თავშეყრილ ოსტატთა თანატოლი ხდებოდა.

შემდეგ გადაპოცნიდა. ყველანი ღვინით საესე თიხის ფიალებს გამოსცლიდნენ ოსტატის სადლეგრძელოდ. მთელი ეს საზეიმო ცერებონია მხიარულ დროსტატებად გადაიცეცოდა. სადლეგრძელოს სადლეგრძელო მოსდევდა, იკვროდა დაფა-ზურნა, მლეროდნენ, ცეკვადნენ და შემდეგ ზარხოშად მყოფნი ღილინით გაეშურებოდნენ შინისკენ. ეს დაუკიწყარი ღრეობა თუ ღროს გატარება არასოდეს ლოთობაში არ გადადიოდა.

„სხვისა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“, — უთქვაშს ჩვენს ხალხს. ამ სიტყვებში რაოდენი სიმწრის გრძნობაა ჩაქსოვილი. ენა კი ადვილად იტყვის, მაგრამ განა სინამდვილეში მოჯამაგირეობაც ასეთი ადვილია? შეგირდობასაც იგივე სიმწარე ახლდა, რაც მოჯამაგირეობას, თუმც, მართალია, შეგირდს იმისთვის იყვანდნენ ხოლმე. რომ

ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში რამე ხელობა შეესწავლებინათ, გრძელებულ და დაკავშირებინათ, შემდგომი ცხოვრება გაეადგილებინათ, ერთი სიტყვით, როგორც იტყოდნენ — „კაცი გამოსულიყო“. ამასთან ერთად, შეგირდობა თავისთვად იმასაც გულისხმობდა, რომ მას მამაშვილურად უნდა მოქცეოდნენ, გაფრთხილებოდნენ, მაგრამ უკულაფერი ეს მხოლოდ პირობა იყო. ეს პირობა კი მაშინვე დავიწყებას ეძლეოდა, როცა მშობელი თავის შეილს გამოეთხოვებოდა და „გულდალხინებული“ შინისენ გასწევდა. ზოგიერთი დამქირავებელი შეგირდსაც ისევე უღეოთდა ექცეოდა, როგორც ბატონი მოხამაგირეს. ოთხი წლის განმავლობაში იყი თავისი უფროსის კარზე შეასა და ყველა მძიმე სამუშაოს ასრულებდა. არავინ დაეძებდა არც ბავშვის ასაკს და არც მის ჯანსა და უნარს. შეგირდობა ერთგვარი ფიზიკური გამოცდაც იყო, ვინც ამ აუტანელ და არაადამიანურ მოპყრობას ვერ გაუძლებდა, ნაადრევად იღუპებოდა კიდევ.

ამ თემაზე ბავშვობაში ერთმოქმედებიანი პიესა მაქეს დაწერილი სათაურით — „ბოიკოტი“, რომელსაც ბალონბის დროს სცენაზედაც ვთამაშობდით ხართუხის უბანში.

მაგრამ ყველაზე მტკიცნეულად ჩემი უფროსი მეგობარი ოვანეს თუმანიანი შეეხო ამ მოვლენას. გაიხსენეთ მისი „გიქორი“, რომელსაც მე, ხანდაზმული იდამიანი, თვალზე ცრემლმომდგარი ვთარგმნიდი. მე დარწმუნებული ვარ, ჩემი პატარა მეგობრებიც ამ შესანიშნავ მოთხოვთ დღესაც უცრემლოდ ვერ წაიკითხავენ.

საბედნიეროდ, ყველაფერი ეს ახლა მხოლოდ ისტორიაა, ისტორია.

1958 წ.

ჩემი მიმუშარები

დასკვნა

დასასრულ, ჩემმა ახალგაზრდა მეგობრებმა ისე არ გაიგონ ჩემი ბიოგრაფიის ის ადგილი, სადაც სკოლის დაუმთავრებლობაზე მაქეს ლაპარაკი, თითქოს უსკოლოდაც შეიძლება კაცი. გამოხვიდე. არა! შეიძლება გამონაელისი იყოს, თვითგანვითარებით გავიკელი გზა. ჩემი მთავარი სკოლა ცხოვრების სკოლა იყო, რომელსაც თან უძლოდა განუწყვეტელი რულუნება და სისტემატიური მეცადინეობა, დიდი სი-

ყვარული ქართული წიგნისადმი, წაეკითხულის ანალიზი და კეშმარი-
ტი გავება ნაწერისა. ყველა წაკითხულ წიგნზე ვცდილობდი საკუთა-
რი აზრი შემედგინა, ჩემს დავთარში აღმენიშნა წაეკითხულის დადებითა
თი და უარყოფითი მხარეები. ყველა ჩემს აზრს მცოდნე პირებთან
ვამოწმებდი, რაც არ ვიცოდი, სხვას ვკითხავდი, ეს ცოდნის წყურვი-
ლი დღევანდლამდე გმომყვა. არ მიყვარს, როცა რომელიმე ახალგა-
ზრდა, ჭიუტობით თუ რაღაც თავმოყვარეობის კაპრიზით, „თავს იტ-
ებს“ და ვერ ამოუხსნია წაეკითხულის დედააზრი. იქ უსათუოდ მას-
წავლებლის დახმარებაა საჭირო. ლექსიცა მაქვს ამ სათაურით:

რაც არ იცი, პეიტენ სხვასა

გაშაბრაზა გუშინ ცირამ,
სულ არ იცის შესვენება,
კითხულობს და შიგ ბევრი რამ
გაუგებრად ეჩვენება.

ამორწერს სიტყვებს ნუსხად,
განა ერთსა, ათს და ასა
ეუბნება: რასა ცწუხარ,
რაც არ იცი, პეიტე სხვასა.

ამ, აწლაც, სასატბროს
უდი აუბა სიტყვის კილო...
-- რაც არ გესმის, პეიტე უფროსს,
აქ რა არის სათავილო?

სწაულამ ბევრი გამოზარდა
რა დაშრობს სიბრძნის ზღვასა,
ამდენი ხნის კაცი ვარ და
რაც არ შესმის, ეკითხავ სხვასა!

ხშირად ის მხატვრული ადგილები წიგნისა, რომლებიც ჩემზე დად
შთაბეჭდილებას სტოკებდნენ, უცვლელად გადამქონდა ხოლმე ჩემს
რვეულებში, ბოლოში კი მივაწერდი: აეტორის გვარს, წიგნის სათა-
ურს, თარიღს და ამონაწერის გვერდს. დროგამოშვებით ამ რვეულებს
გადავხედავდი და იქ გამოთქმულ აზრებს შემოქმედების საცერტი
ვატარებდი. ეს ფაქტი ძალიან სასარგებლო გამოდგა ჩემი პიროვნე-
ბის ჩამოყალიბებისათვის.

ყველა ამ ამბებს დაფნის ფოთლებად დაეფინა ვალერიან გუნიას
წინადადება ჩემი მოკარნანედ მოწყობის შესახებ ქართულ თეატრში.
ამ წელს (1908) ქვიტეირის საძირქველი დაედო ჩემს მომავალს.

თეატრის ნიუარაში ხუთი წლის განმავლობაში მიხდებოდა კითხები სეთი იეტორებისა, როგორიცაა შექსპირი და შილერი, მოლიერი და გოლდონი, ვიქტორ ჰიუგო და პაუპტმანი, ლევ ტოლსტოი, და ასეთსაც ტროვესი, მაქსიმ გორკი და ჩეხოვე, დ. ერისთავი და ალ. სუმბათაშვილი, ნიკო შიუკაშვილი და ვასილ ყიფიანი, ვალ. შალიკაშვილი და ტრ. რამიშვილი და სხვ. ამ იეტორებმა და მისმა მთარგმნელებმა ფრიად წარუშლელი კვალი დასტოვეს ჩემი ნათელი მიზნების ხნულში და განსაკუთრებით ქართული ენის შესწავლის საქმეში. „ქართული ენა თეატრში“ ამ სათაუროთ უნდა დავწერო წერილი. რაც ვინდა კარგი მთარგმნელი იყოს მოთხრობის თუ პოემისა, პიესას სხვანაირი თარგმნა უნდა. ერთხელ ავაერ ვასაძემ მითხრა: „ერთხელ შენი ენით დამალაპრაკე სცენიდანო“. კოტე მარჯანიშვილი ხშირად მიკვეთავდა პიესის თარგმანს, „სცენაზე იღდგი ფეხი, გისწორებია ბევრი თარგმანი, გამობრძედილი ხარ სცენიურ ენაზე, იცნობ მსახიობს, წმინდა ქართული კონსტრუქციით ლაპარაკობო“ და სხვ. მე ბედნიერი ვარ, რომ შემხვდნენ ისეთი მთარგმნელები, რომელთა თავანეარა ენა საფურცლად დაედო ჩემს პატარა მოღვაწეობას. ესენი იყვნენ: ივანე მაჩაბელი, ნიკო ავალიშვილი, გრ. ყიფშიძე და ივანე მაჭავარიანი. მათი ნათარგმნი პიესები ორიგინალს ედავრიშებოდნენ და უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ეტოქებოდნენ, ესიტყვებოდნენ.

ყველა ამ ფაქტმა ჩაუქრობელი გრძნობის ჩირალი დამინთეს გულში და დლესაც, ხანდაზმულს, ეს შედევრები არ მშორდებიან და მათთანა ვარ დლეცა და ლამეც.

ერთი კი აშეარაა, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, მარტო ნიკი, შრომის გარეშე, ანთებულ ბურბუშელასავით ჩაქრება. შრომა, შრომა და შრომა — ეს უნდა იყოს ყველასთვის ცხოვრების მიზანი.

ამ, ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი საშუალო და უმაღლესი განათლებაც...

ახ, მეგობრებო, რაღა ვითხრათ
მე თეალის ჩინაღ,
მიუვარდა კითხვა და ამ კითხვაშ
გაღამარჩინა.

გარდაიცვალა ქართული კულტურის გამოჩენილი შოღლვაწე, შესახული ნიშნავი მწერალი და ცნობილი თეატრალი შალვა დადიანი.

შალვა დადიანის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ჩევნი ხალხისათვის, მაგრამ მისმა სიკედილმა განსაკუთრებით გული დასწყვიტა მის შეგობრებს, რომლებსაც მრავალი თეატრი წლის მანძილზე მისთან ერთად უმოლვაწნით, მასთან ერთ დ გამოუელათ რევოლუციამდელი მძიმე დღეები და ბეჭნიერ საბჭოთა დროშიც ერთად უშენებიათ ახალი კულტურა.

ძნელია შეურიგდეს გონება იმას, რომ შალვა აღარ არის, აღარ სცემს მისი მგზნებარე და დაუღალავი გული, აღარ გაისმის მისი თბილი და ხაეერდოვანი ხმა, ვეღარ იხრლავთ მის მხრურ, ზეიად ლი-შილს.

შალვა იშვიათი პიროვნება იყო, იგი ყველას სიცლავდა თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღრისებებითა და დამიმანერი კეთილშობილებით. ერთ მას ჭავუკობიდანვე ცნობდა, არ შეიძლება აღფრთოვანებული არ ყოფილუყო იმით, რომ ამ ღრმად ციხულებულ დამიმანს ბოლომდე შემორჩენილი პქონდა ახალგაზრდული ხალისი. ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ როდის უფრო ენთუზიასტი იყო, ორმოცდათი წლის წინათ, როდესაც იგი მე პირველად გვიცანი, თუ პილი თანებში, როდესაც მან ოთხმოც წელს გადააბიჯა.

შალვა დადიანი, როგორც მწერალი და თეატრალი, მუდამ მოუსკენარი, დაუცხრომელი, მაძიებელი იყო რაღაც ახლისა და უკეთესისა. წაიკითხეთ მისი რომანები, მოთხრობები, პიესები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყოველი მათვანი ერთმანეთს ჰეგანან კიდევ და თითქმის არც ჰეგანან, ყოველ მათვანში რაღაცა ახლის მარცვალია; ახალ აზრთან ერთად მწერალი ეძებდა ახალ ფორმას, გამოხატვის თავისებურ საშუალებებს. ეს საშუალებები მის მიერ ქართული ენის, მისი მდიდარი ლექსიკის უცბრო ცოდნით როდი ამოიწურებოდა. მისი მეტყველება მართლაც იშვიათად მდიდარი და კოლორიტული იყო, მაგრამ ასევე მდიდარი და თავისებური იყო მისი რომანების, პიესებისა და მოთხრობების ფორმა; იგი იყო ერთნაირად ძლიერი ოსტატი როგორც ხატვისა, ისე თხრობისა; მის ამ ოსტატობას შინაგან ძალასა და მომხილაობას აძლევდა ცხოვრების ღრმა ცოდნა და, რაც მთავარია შემოქმედისათვის, აღამიანთა ყოფის, ხისიათის ნიუანსებში ჩაწერდომის უნარი.

შალვა დადიანის მოღვაწეობას ეშხსა და სილამაზეს მატება ის გარემოება, რომ იგი მუდამ ხალხში ტრიალებდა და განდგომილია ასე კარჩაკეტილს მას ვერასოდეს ვერ ნახვდით. განსაკუთრებით გაოცებას იწვევდა მისი ენერგია, დაუბერებელი ხალისი და ბოლომდე ნათელი გონება. ყოველ უბრალო საუბრის დროსაც კი იგი რაღაც ახალ კულტურულ წამოწყებაზე ჩამოვიდებდათ საუბარს, მას ბოლო ხანებში ძალიან სწყუროდა შეექმნა ექსპერიმენტული თეატრი, რომელიც გამოვლენდა ნიჭიერ ახალგაზრდებს სასკრნო შემოქმედების ყველა დარგში. იგი ფიქრობდა ახალ პიესებზეც, რომანებზეც. წერდა მოგონებებს, თვალყურს აღევნებდა ახალ მოვლენებს და ლიტერატურული იყო ჩეკინი ხალხის დიდი წარმატებებით. როგორც დამიანს ხომ მას ბადალი არ ჰყავდა. მეგობართა შორის შალვა დადიანს ყველა უყვარდა და უველასადმი ერთნაირი პატრისცემით იყო განმსჭვალული; მუდამ სასიამოვნო იყო მასთან შეხვედრა, საუბარი, რაღგან ურასოდეს ვერ ნახავდით მას მოწუწუნეს, გულგატებილს მაშინაც კი, როცა საამისოდ აუცილებლად საპატი ჰქონდა. მისი იმედიანი სიტყვა თქვენც გამხნევებდათ, რაღაც ძალას გმატებდათ, გიხართდათ; შალვა დადიანი მეგობრებს კიდევ იმის გამო უყვარდათ, რომ იგი მათ შესახებ ზურგს უკან არასოდეს ცუდს არ იტყოდა, პირში კი აქს სათქმელს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, უსათუოდ ეტყოდა, უსაფუძვლოდ კი არავის გაეკიცხავდა.

შალვა დადიანმა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრებითა და კაცური კაცობით მუდმივი სიყვარული დაიმკვიდრა ხალხის გულში.

[1959. წ.]

ჩვენი გალაკტიონი

ძნელია წარმოეიდგინოთ, რომ გალაკტიონი ალარა გვყავს, წავიდა ჩვენგან ყველასათვის საყვარელი დიდი პოეტი, მღელვარე და დაუცხრომელი სულის ადამიანი.

ძნელი დასაჯერებელია და გულდასაწყვეტი ეს იმბავი, განსაკუთრებით ჩემთვის, რომელსაც მასთან ნახევარსაუკუნვანი მეგობრობა მაკავშირებს. ჩემს თვალწინ ახლაც კვლავ ცოცხლად დგას დიდი შემოქმედებითი ცეცხლით ანთებულ იმ მოუსვენარ გალაკტიონად, როგორიც მახსოვს პირველი ლექსების გამოქვეყნებისას და ჩემში იგი ასეთად დარჩება მარადის.

ხიკედილი!

განა შეიძლება ეს სიტყვა გალაქტიონის გვედით დავაყენოთ?
სიკედილი ანლოც ვერ გაუვლის პოეტს, რომელიც მხოლოდ სი-
ცოცხლეს უმღეროდა, სიცოცხლეს დიდს, ამაღლებულს, მშფოთვარეს, წინმავალს.

გალაქტიონმა ცხოვრების რთული გზა გიარა, იგი მახსოვს დამო-
ნებულიცა და მხნეც, მწუხარეცა და აღფრთოვანებულიც, მაგრამ რო-
გორადაც გულგატეხილი არ უნდა ყოფილიყო რაიმე გარემოებით,
არასოდეს უკან არ იხედებოდა, მას თვალწინ ყოველთვის ნათელი მო-
მავალი ეხატებოდა, დაბინდულ მთებს იქით მოწმენდილი ცის მომ-
ხიბლაჲ სილურგეს სჭერეტდა, ბავშვერი უშუალობით შეპხაროდა გა-
ზაფხულის ყლორტებს, ბალის გაფურჩქვნილ კვირტებს და მინდვრის
ცვარდაყრილ ყვავილებს. — რწმენით იარ! რწმენით იარ! ეს მარადი
ძახილი პოეტის სულისა ყველას ამხნევებდა ნაყოფიერი, სასარგებლო
სიცოცხლისათვის და უცერად სიკედილი!

დღეს ყველას გულთან ერთად ჩემი გულიც უსაზღვროდ კენესის.
ჩემმა ხალხმა უდრიოდ დაკარგა თავისი საუკეთესო შეილი, ქართუ-
ლი ლექსინ დიდი განმაახლებელი, ახალი ცხოვრების უბალლო მომღე-
რალი. დიდია და მძიმე ეს დანაჯლისი, მაგრამ ნუგეშ ისევ გალაქტი-
ონის სიტყვები გვაძლევენ:

„მეგობრებო, ჩვენი გზა
გასწევს წელთა მრავლობას,
იგი მუდამ დარჩება
სოვნად შთამომავლობას“.

[1959 წ.]

აუცაზღაურებელი დანაკლისი

ძეირუასო ძმაო და მეგობარო, ჩემო გალაქტიონ! დიდი მწუხარება
უნახავს შენს შშობელ ხალხს, ბევრი თავისი სასიქადულო პირმშო
დაუკარგავს, ბევრგერ შეკუმშულა ქართველი მამულიშვილის გული გა-
მოჩენილი მოღვაწისა თუ ამაგდარი მეცნიერის, ტკბილად მოლილინე
პოეტის თუ მაღლიანი მწერლის წასკლით.

ჩემი თაობის კაცმა, ერთი წუთი რა არის, ერთი წუთითაც რომ
გაიხსენოს ქართველი ხალხის დათალხული დღეები, თვალწინ გაუერ-

ეებს შავი არშიით შემოსილი მოგონებათა ბევრი ფოთოლი, მაგრამ დღევანდელი მწუხარება განსაკუთრებით დიდია ჩემი ხალხისთვის აგრ მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც ჩვენგან წავიდა ჩვენთვის დღად საყვარელი შალვა... ჯერ კიდევ უკანასკნელი ვალის მონდაც კი ვერ მოვასწირით ამ ღვაწლმოსილი იდამიანის წინაშე, რომ შენც ხელიდან გამოგვეცალე, ჩვენო უბადლო გალაკტიონ... ახლა ყველა ჩვენგანის თვალები ურემლით არის მონამული, მწუხარებისა და სიყვარულის ცრემლებით, ორი ჩვენი დიდი თანამოქალამის დაკარგვით გამოწვეული.

ძმით გალაკტიონ, აუნასლაურებელია დანაკლისი, რომელიც ჩვენ. მა მშობლიურმა ლიტერატურამ, მშობლიურმა ლაშათიანმა ქირილურმა სიტყვამ განიცადა. შენი სახით, ჩვენს ხალხს გამოეცალა ჩვენი წინაპრების პოეტური სიტყვის ახალგაზრდა მემკერდე.

ძმით გალაკტიონ! შენი ხალხი ამ დიდი მწუხარების მიუხედავად უნუგეშოდ მიინც არა რჩება. შენ წახვედი მისგან მხოლოდ ფიზიკურად, ხოლო ის მდიდარი სულიერი საუნგე, რომელიც შენმა ნაჭირებად შექმნა, უხვად მოპოვინე ჩვენი ქვეყნის მთაველებს.

შენ ჩვენს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურას დაუტოვე ნაზი, სათუთა, მღელვარე ლექსები.

შენი სათხო, კეთილი სახე, შენი მაღლიანი, მარილიანი სიტყვა, წემო გალაკტიონ, მუდამ დარჩება ქართველი ხალხის მომავალ თომათა გულში და იმედი გქონდეს, უკედავო გალაკტიონ, რომ „შენი ლექსები თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა“.

შვიდობით, ძვირფასო ძმათ და მეგობარო. ჩვენი მოუსვენარო პოეტო და სანუკვარო გალაკტიონ!

1959 წ.

ცხოვრება და მფარლობა

მწერალთა მესამე ყრილობისადმი საყოველთაო ყურადღება იმით არის გამოწვეული, რომ ივი კიდევ უფრო მეტად გააერთიანებს კულტურის მოღვაწეებს მაღალი საყაცობრიო იდეალებისათვის საბრძოლველად, დასახავს კონკრეტულ გზებს იმისათვის, რომ დიად და ლამაზ ცხოვრებას დიადი და ლამაზი ლიტერატურა ჰქონდეს, რომ კულტურის ყველაზე დიდი დამთხავებელი — საბჭოთა ხალხი ყოველმხრივ კმიურთილი იყოს თავისი მწერლობით.

ნევნ ბევრი კარგი მწერალი გეყავს. მათ შორის ცოტა როდია ის თი, რომლის ხმასაც უცბად გამოიცნობთ ათას ხმაში, მაგრამ როგორ გვევნიერ, განათლებულ და ნიჭით მომადლებულ ახალგაზრდობას უკუკუ ყურებ, ნათლად მესახება თვალწინ ჩვენი ლიტერატურის უფრო შრწყალ ნეალე მომავალი.

წინსკლის მთავარი პირობა სამშობლოს ერთგული სამსახურია. მწერალი მარად ხალხის მაჯისცემას უნდა ისმენდეს. მწერლის შემოქმედებითი გამარჯვების საწინდარი ყოველთვის ხალხთან მციდრო კავშირი იყო. მასზე საუბარი იმიტომ ჩამოვაგდე, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა „თავილობა“ ცხოვრების აქტუალურ თემებზე წერს. მას მარანია, რომ მწერალი და ცხოვრება პარალელურად მიღიან, ცხოვრებას თავისი გზა აქვს, პოზიას კი თავისი.

უკელა დროის მოწინავე მწერალი მუდამ შეიძროდ იყო დაკავშირებული ხალხთან და თავის შემოქმედებაში გამოხატვედა ხალხის შისწრაფებას, ადამიანის სიყვარულს.

ლიტერატურა ადამიანისა და მისი სიყვარულის გარეშე არ არსებობს. ნამდვილი მწერალი ის არის, ვისაც ადამიანი უყვარს. და ის, ვისაც ადამიანი უყვარს, არ შეიძლება ცხოვრების მაჯისცემას არა გრძნობდეს და თვევისი შემოქმედებით აქტურ მონაწილეობას არ იღებდეს იმ საზოგადოების აშენებაში, რომელშიც ადამიანი უკელა ბედნიერი და ყველაზე თავისუფალი იქნება.

ახალგაზრდობა ჩვენი მწერლობის მომავალია. უფრო მეტად უნდა შევუწყოთ ხელი მის დაოსტატების და ცხოვრების დულილში ჩაბმას. ეს პირველ რიგში გაზეთებს ეკისრებათ. როდესაც უფურცლევ ჩვენს გაზეთებს, გული მტკიცა, რომ იქ ნაკლებად ჩანს ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობა, — მისი ლექსის და მოთხოვნები, მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები — და, თუ გნებავთ, კორესპონდენციებიც!

გაზეთისა და მწერლის ურთიერთობა, ჩემი ახრით, ყრილობის ყურადღებას მიიქცევს. პრესა ხალხს ცხოვრებასთან მწერლის დაკავშირების მთავარი ბერკეტია.

უკელა ერთიანი ძალით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენს დიად და ლამაზ ცხოვრებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი ქმნის, დადა და ლამაზი ლიტერატურა პქონდეს!



ჩემი 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, იმ დოდე ზემოთ
დაკავშირებით, რომელსაც ესოდენი სიყვარულით მიხდის იუბილეს
სახით პარტია და ხელისუფლება, მინდა მივესალმო თქვენი გაზრის
საშუალებით ჩემი ტურფა ქვეყნის ახალგაზრდობას, ყველას, ვისაც
კი წაუკითხავს ჩემი თუნდაც ერთი ლექსი, ყველას, ვისაც კი უსწავ-
ლია ისინი ზეპირად, ყველას, ვინც ახლობელივით წარმოთქვამს ჩემს
შინაურულ სახელს — სოსო.

მიეცისალმები არა მარტო ჩემს ყურადღებიან მკითხველს, მიეცისალ-
მები ჩემს შეგირდებსაც პოზიის დარგში, მიეცისალმები და უსტაბა-
შიერთ დავლოცავ ყოველ მათვანს, ვისაც ჯერ არ დაუბეჭდავს თავისი
პირველი წიგნი, მათაც, რომელთა პირველი წიგნის რედაქტორი მე
გახლდით — გაახსენდებათ ეს ფაქტი ანდრო თევზაძეს, ხუტა ბერუ-
ლავას, ისესებ ნონე შვილს, ოთარ კუპრავას, ბერს კიდევ — ნუ ზეწ-
ყენენ ისინი, ვისი გვარიც ამ ნაუცხათევ მისალმებაში ვერ მოეიხ-
სენი.

70 წელი ცოტა როდია, და მაინც, წელთა ამ სიმრავლიდან რომ
გადავიხედავ, ყოველივე საოცრად ახლოა, ბაგშეობაც, ყრმობაც, ჭა-
ბუკობაც. წელთა აღმართიც... ახლოა და თითქოს იგივე ძალით გან-
ვიცი ყოველივეს, ისევე მაფორიაქებს გადატანილი ლელვანი და სი-
ხარული, როგორც მაშინ. კელავ ძალებურად მიჭრის კალამი, კელავ
მოუსცენრად ვგრძნობ თავს წიგნებისა და ქალალდების ფოლიანტთ,
გარეშე და ამიტომ თამამად წარმოვთქვამ ცხრამეტი წლის წინ დაწე-
რილი ჩემი ლექსის სტრიქონს, თამამად და რიხით — დავბერდი? არა!

[1959 წ.]

ნინო ნაკაშიძის ზღაპრეზი

ხალხურმა იგავ-არაკებმა და ზღაპრებმა უდიდესი როლი შესრუ-
ლეს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

ხალხი ზღაპრებში აქსოდა მაღალ მორალურ თვისებებს, ლამაზ
იდეალებს ბეღნიერ და უკეთეს მომავალზე, ადამიანის თავისუფლება-
სა და ვაჟაცობაზე, წმინდა და გულითად სიყვარულზე; მეგობრობასა
და სამშობლოსათვის თავდადებაზე.

ზღაპარი ინკითარებდა ბავშვის დამოუკიდებელ ხასიათს, მის ფანტაზიას.

ხალხური ზღაპრისათვის დამახასიათებელი იყო ჩვეულებრივის უჩვეულო ფორმაში წარმოდგენა, საგნებისა და ამბების ფანტაზიის ლამაზი და მიმზიდველი სამოსელით მორთვა-მოკაზმვა.

ხალხის ფანტაზია უფრო შორსაც იხედვებოდა, — ჩვეულებრივის იქით, ფანტასტიკურ სამყაროში, ოცნების სამყაროში.

ზღაპარში ადამიანის ფანტაზია ხედავდა არა მხოლოდ იმას, რაც დედამიწაზე არსებობდა, არამედ იმასაც, რაც მას სურდა, რისკენაც მისი ოცნება დაუცხრომლად მიისწრაფოდა და რასაც ადამიანის ვონება ოდესლაც აუცილებლად შეკვეთიდა. ზღაპარში ხალხი სწელებოდა ზესკნელსაც და ქეესკნელსაც, ე. ი. მიწის გულსაც და კოსმოსურ სივრცესაც, რასაც შემდეგში დაეუფლა მეცნიერება. დიდი ხანი როდია, რაც ადამიანები თავისუფლად დასრიალებენ ზღვებსა და ოკეანებზე, მათი ფსევრებიდან თეალ-მარგალიტს იღებენ, აზროვნებენ, დედამიწის გულის ათასგვარ მაღნეულს ეუფლებიან. სულ ახლახინ საბჭოთა ადამიანებმა დედამიწისა და მზის თანამგზავრები გაუშევეს...

საუკეთესო ხალხური ზღაპრები აკაუებენ ბავშვის გონებასა და ნებისყოფას. ზღაპრის გმირებით მოხიბლული ბავშვი ცდილობს იყოს მათსაცით მამაცი, უშიშარი, გულადი, მეგობრის გამტანი, ერთგული და ბნელი ძალას ის აძლევს, რომ ამბები და გმირთა თავგადასავალი იქ მოთხრობილია მიმზიდველად, ბავშვისთვის გასაგებად და სანიაზოდ. პირველი ფრაზითვე ზღაპარი აღვიძეს ბავშვის ცნობისმოყვარეობას და ბოლომდე დაძაბული ყურადღებით ამყოფებს. ზღაპარს არ უყევას ლირიკული გადახვევები, რათა ბავშვის გულისყური არ დაიფაროს, ერთი ამბავი შეხირებები არ გადაიტანოს. მისი სიუკეტი ბოლომდე ერთ ძირითად ამბავს უნდა მიჰყევს და გორგალივით თანდათან გაიხსნას კვანძი.

ხალხური ზღაპრის ეს მხატვრული თავისებურება არაჩვეულებრივად იწიდავს ბავშვს. ამ გარემოებამ განაპირობა მისი უმაგალითოდ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამავე გარემოებამ განსაზღვრა ზღაპრის ძლიერი გავლენა საბავშვო მწერლობის განვითარებაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხალხურმა ზღაპრებმა დიდად განსაზღვრეს საბავშვო ლიტერატურის სტილობრივი მხარე და წარმოშვეს მისი ძლიერი დარგი — ლიტერატურული ზღაპარი.

მსოფლიო მწერლობას ამშევნებს უარიავი გენიალური სახელი,

რომლებმაც დაგვიტოვეს ლიტერატურული ზღაპრების მდიდარი შემ-
ავიდრეობა.

ამ ხასიათის თხზულებით არც საბავშვო ლიტერატურა შეიძლება
თითქმის ყელა მწერალს, რომელსაც ბავშვებისათვის რომე მნიშვ-
ნელოვენი ნაწარმოები შეუქმნია, უცდია კალამი ამ დარგშიც. სხვა
რომ არა იყოს რა, ვაკა-ფშაველამ ხომ შექმნა მსოფლიო შედევრი —
„შელის ნუქრის ნაამბობი“.

ლიტერატურული ზღაპრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წელი-
ლი შეიტანეს ქართველმა საბჭოთა მწერლებმაც. ამათგან პირველ
რიგში უნდა დავისახელოთ დიდად პატივუფერდული ნინო ნაერშიძე.

სამოც წელზე მეტია ნინო ნაერშიძე დაულალავად, მთელი გატა-
ცებით ემსახურება სულიერად ჯანსაღი და ამაღლებული მომავალი
თაობის აღზრდას. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან საბავ-
შვო ლიტერატურის განვითარებას შეალია! ლრმად მოხუცებული,
ოთხმოცდათ წელს შიტანებული ნინო ნაერშიძის ფიქრები ახლაც ნორ-
ჩი თაობის მომავალზე ზრუნვეს დასტრიალებს. ნინო ნაერშიძეს სა-
კუთარი შვილი არა ჰყოლია, მაგრამ იგი მუდამ დიდედა იყო ცველა-
ქართველი ბავშვისა! მისი ერთნალი „ნაერდული“ სათუთად ულოლი-
ავებდა, ეალერსებოდა, შეიძლება ითქვას, ანგბივრებდა კიდეც ნორჩ
მკითხველს საუკეთესო ნაწარმოებებით...

მეფის თვითმშეცვლობის დროს, როცა ეროვნული შემოქმედე-
ბისათვის არაეითარი პირობები არ არსებობდა, ეს ფიზიკურად პატა-
რა, მაგრამ სულიერად გოლიათი ქართველი მანდილოსანი ახერხებდა
ლამაზი და შინაარსით მდიდარი ეურნალი გამოეცა, თავის გარშემო
შემოეკრიბა გამოჩენილი მწერლები თუ სახოგადო მოღვაწენი და,
დიდ ეროვნულ საქმეებთან ერთად, მათი ყურადღების ცენტრში ბაე-
შეთა აღზრდის „პატარა“ საქმეც დაეყენებინა. არაერთხელ გამივო-
ნია მისგან, რომ ვინც თავისი ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ფიქ-
რობს, მან პირველ რიგში ბავშვებზე უნდა იფიქროსო! ა, ქვეყნისა
და ხალხისადმი ამ დიდმა სიყვარულმა ნინო ნაერშიძე საბავშვო მწერ-
ლობის დაულალავ და უანგარო მოამაგედ აქცია. იგი შესანიშნავი სა-
ბავშვო მწერალია. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მაღალმხატვ-
რული ნაწარმოებები, რომლებიც ჩეუნ ნორჩ თაობაში ფართო პოპუ-
ლარობით და დიდი სიყვარულით სარგებლობს. აგრეთვე ნინო ნაერ-
შიძე არის შევენიერი დრამატურგიც, პუბლიცისტიც, იშვიათი მთარგ-
მნელიც. არ შეიძლება არ მოგხიბლოთ მისმა საღა და ხატოვანშა სიტ-
ყვამ, მისმა ლაქონიურმა ფორმამ, იშვიათად თბილმა ინტონაციამ.

განსაკუთრებით სანიაზოა დეიდა ნინოს ზღაპრები. ამ დარგში მან მეტად ბევრი გააქცია. მისი ზღაპრები ყურადღებას იქცავს მხატვა-რულ-ლიტერატურული ღირსებითა და დიდი ოღმზრდელობითი გნელობით. ამ უკანასკნელ მომენტს მწერალი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მისთვის მთავარია ოღმზრდელობითი იდეა. მისი ზღაპრები შინაარსით მეტად აზიზია და კეთილშობილურ მორალზეა ავტობული, პატრიოტობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღმზრდელი.

წინამდებარე ქრებულში მოთავსებული ზღაპრები სწორედ ამით არის შესანიშნავი. ყოველი მათგანის წაყითხვისას ბავშვი იგრძნობს მწერლის დიდ გულს, მის ძალვის ცემას, სათუთ სიყვარულს.

როგორც საერთოდ, ნინო ნაკაშიძე ზღაპრებშიც კეშარიტი რეალისტია. მისი ზღაპრების ლალი და თმამი ფუნტაზია ნამდვილ იმბებს. ნამდვილ ცხოვრებას დასტრიიალებს თავს და სწორად წარმართავს ბავშვის ცნობის მოყვარეობას, მის ინსტინქტს.

ნინო ნაკაშიძის ზღაპრები შეიძლება შევადაროთ ხალხურს ფორმით, შინაარსით, ისინი სრულიად განსხვავებული არიან შემეცნებითი თვალსაზრისით, ბავშვის აძლევენ მართალ წარმოდგენას.

ნინო ნაკაშიძის ზღაპრები ჩვენი საბავშვო ლიტერატურის ძვირისი განძია, ისინი მუდამ ხელს შეუწყობენ მომავალი თაობის იღწერდის წმინდა საქმეს.

[1959 წ.]

ვარების ხასაძღვალე

მარტინოს სარიანის სახელი სწრაფად გასცდა მისი სამშობლოს ფარგლებს. მხატვრის ტილოებმა დაიპყრეს ადამიანთა გულები ასრის სილრმითა და ფერების იშვიათი მჟღვრმეტყველებით. როცა ვუყურებთ სარიანის მიერ დახატულ სურათებს, სომხეთის მოღვაწელი მთებისა და არარატის დაბლობის მოქარგულ პეიზაჟებს, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა შთაგონებით აღსცევდილ პორტრეტებს, ჩვენს წინაშე კოცხლდება მრავალსაუკუნოვანი სომხეთის სევდა და სიხარული, ამ სახელოვანი ერის გრძელი, უსიხარულო გზა და განახლებული, ყუვაებული და დამშვენებული დღევანდელობა.

მარტინოს სარიანის შემოქმედება სრულიად ახალ სამყაროს შლის

სომხეთის სახვით ხელოვნებაში. მან მოიტანა ახალი ფერები, ფერების თანიგინალური შეხამება და სომხეთის მხატვრული კულტურა თავისებური მოტივებით გამდიდრა. ფერწერაში მე იგი წარმომიდგება ჯადოქარ პოეტად, რომელიც იშვიათი ოსტატობით ფლობს ფერების ენას, მათ შინაგან მუსიკალობას.

როდესაც მარტიროს სარიანს ცალკე აიღოთ, როგორც მხატვარს და არ განიხილავთ მას სომხეთის მთელი კულტურის მიღწევებთან კავშირში, მოგეჩენებათ, თითქოს მას შშობლიურ ხელოვნებაში წინაპარი არა ჰყავდეს. ეს ისე არ არის. ყოველი დიდი ნოვატორი ხელოვნის შემოქმედება კანონზომიერი გაერძელებაა იმ საუკეთესოსი, რაც მის ხალხს მთელი ცხოვრების მანძილზე შეუქმნია. მარტიროს სარიანის მხატვრობაც აღმოცუნდა ლომები ხალხის მთელი კულტურის მონაბოვართა ნიადაგზე და მისი წინაპრები არიან „დაერთ სასუნცის“, „სომხეთის კრილობების“ და „ანუშის“ ავტორები. სარიანის მხატვრობა სომხეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ცტორის კანონზომიერი ახალი საფეხურია.

მარტიროს სარიანის შემოქმედება მე მხიბლავს ღრმა ეროვნული თავისებურებით, განცდათა უშუალობითა და იშვიათი პატრიოტული მგზნებარებით. ვინც არ იცნობს სომხეთს, მის წარსულსა და აწმოს, მის მთებსა და ველებს, რომლებიც იშვიათ კონტრასტულ ფერებს წერიცავენ, იგი მნელად ჩაწერდება სარიანის მხატვრობის დედააზრს, მისი ფუნქცის პოეტურ ენას.

როცა მარტიროს სარიანის მიერ შესრულებულ სურათებს უუფურებ, მე იმ დროს ვიხედები არა მარტო ავტორის სულში, გონების თვალით სომხეთში გადავდივარ, მის ვანახლებულ ქალაქებსა და სოფლებში ემოვზაურობ და ვესაუბრები იმ ბეღნიერ ადამიანებს, რომლებსაც წინაპართა ოცნება ახდომიათ, თავისუფალ მიწაზე თავისუფალი სამშობლო შეუქმნიათ.

მარტიროს სარიანი ბეღნიერი ხელოვანია, რადგან არა მარტო იწყის თავისი ქვეყნის სიყვარულში, არამედ მან შესძლო თავის მხატვრობაში სრულყოფილად გამოხეატა შშობლიური სომხეთის სევდა და სიხარული და სომხური კულტურის თვალწერები კედლებისათვის ერთი დიდი აგური მიემატებინა.

მარტიროს სარიანი კეშმარიტი პოეტია, მისი ფუნქცის ყოველი მონაბი პოეტის სტრიქონებივით შთავონებით მღერის. მარტიროსის სახელი ჩემს წარმოდგენაში. ყოველთვის დაკავშირებულია დიდი ოვანესისა და დიდი ავეტიქის სახელებთან.



იაკობ გოგებაშვილი აჩსაღ არ დადიოდა, გაციებისა ეშინოდა; ფილტვები ჰქონდა დაზიანებული და თავს უფრთხილდებოდა... მისი მარშრუტი იყო სახლიდან წერა-კითხევის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიამდე. ამ მაღაზიის გვერდით ვალერიან გუნის რედაქცია ჰქონდა. 1907 წლიდან გამოლიოდა უურნალი „ნიშალური“. მე, სრულიად ახალგაზრდა, ამ უურნალის მღივანი ვიყავი. იაკობი ხშირად შემოლიოდა რედაქციაში და ვალერიან გუნისთან საუბარი ჰქონდა მაშინდელ ეროვნულ ჭირ-ვარამზე... 1908 წელს „ნიშალური“ დახურეს, მის ნაცვლად ვალერიან გუნიამ გამოსცა უურნალი „საქართველო“. ამ უურნალში დაიბეჭდა ქუთაისიდან კორესპონდენცია ტეხურისპირელისა (მეთოდე კავაბაძის), საღაც აუგად იყო მოხსენებული იონა მეუნარგვა, რომელიც ქუთაისში ილია ჭავჭავაძის სალამონქ მოგონებით გომოსულა და რამდენიმე არასწორი ფრაზა უკალრებია დიდი ილია ჭავჭავაძისთვის. იაკობი, კიდრე მეუნარგვის შესახებ წერილს დასწერდა, წინასწარ მოელაპარაკა ვ. გუნიას, ნერეიულობდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა (საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ვოგებაშვილის ხმა არ იყო ელასტიური, ხმა უფრო უხეში და გამყიუვანი ჰქონდა), არა სჯეროდა მეუნარგვის გამოხდომა ილიას წინააღმდეგ. მაგრამ როცა გუნიამ დაუდასტურა, რომ ტეხურისპირელი სანდო კორესპონდენტია, მაშინ იაკობმა ამოიღო უბიდან ილიას დასაცავად თავისი წერილი და გადასცა გუნიას (დაიბეჭდა უურნალ „საქართველოში“, 1908 წ. № 8).

იაკობ გოგებაშვილი ნამდვილი საზოგადო მოღვაწის განსახიერება იყო. თუ რაიმე დაიბეჭდებოდა ჩვენი ეროვნული გრძნობის შემლაპეველი, არ შეიძლებოდა, მაშინვე გაზეთით არ ეპასუხნა. განსაკუთრებით თავის „დედაენას“ ედგა ერთგულ ებგურად. „დედაენას“ და „ბუნების კარს“ ყოველ წელიწადს ბეჭდვადა და ყოველ წელიწადს სიახლე შეჰქონდა. მე არ მინახეს სხვა მწერალი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყოველდღე ერთ წიგნს თავს დასტრიიალებდეს: ასწორებდეს, უმატებდეს, ლექსებსაც თვითონ სწერდეს (ჩატ. ერისთავი და აკაკი წერეთელი მისი დაკვეთით და მითითებით სწერდნენ „სადედაენო“ ლექსებს; შეადარეთ გოგებაშვილის თარგმანი „ჯერ შრომა, მერე ხტომა“ — „ქონჩილ დელო, გულია სმელო“); იაკობისთანად ყმაწველის სულის მოძრაობა არავინ არ იცოდა! „დედაენის“ ახალ გამოცემაზე, როგორც ზემოთ ვთქვით, მთელი წლის განმავლობაში მუ-

შაობდა. მაგიდაზე გადაშლილი პქონდა „დედაენა“ და თუ ვინმე შევიდოდა მასთან, საეჭვო სიტყვას ან ტერმინს ამოწმებდა და პკითხავდა მისალმებისთანავე: „თქვენში ეს სიტყვა როგორ ისმის, როგორ იწერება?“ (გაიხსენეთ კამათი — „გუგუ თუ კუკუ?“). ახლა როგორი რედაქტორი იყო? როგორი გუმოვნება პქონდა? გ. ჭალალიძელის ცნობილი ლექსი — „დედის დარიგება“ სუსტი ლექსი იყო. გოგება-შვილმა დასწურა, შეამოკლა, ხორკლები მოაცილა და დაჯ სასიამოვნოდ ელერს — ყველას ზეპირად გეახსოვს! აბა, ამ სტრიქონებს გაუშებდნ „დედაენის“ ავტორი?

„ჩერ ანი ნახე, შემდეგ კი ნარი,
მაგრამ ყველაზე უუთხარი ეარი.“

(გ. ჭალალი დილი)

„რწყილი და ჭიანჭველა“ ხალხურში იყო ასე: „ტილი და ჭიანჭველა“. გოგებაშვილმა მშეენიერი რედაქტია გაუკეთა ხალხურ ლექსებს. რომელი ერთი ვთქვა?

ი. გოგებაშვილი ჩემი და ჩემი ბალიშების ნამდეილი პაპაც არის და მამაც!

იგი ახალგაზრდების შოთა რუსთაველია!

ი. გოგებაშვილს, როგორც დიდ ადამიანს, მრავალი მოშურნე ჰყავდა. იაბას თავის ლექსიკონში შური ასე აქვს განმარტებული; „შური არა მწუხარებაი სხვისა კეთილისა ზედა“. ვაუა კი თავისებურად გვასწავლის:

„არ ვარგა კაცი უმტერო,
კარგია შედამ შტრინი...“

ისტორიამ თავისი სიტყვა თქვა... გოგებაშვილი ამაღლდა, განმტკიცდა! მისი შრომები ოქროს ფონდში შეეიდა და „დედაენა“ იქცა ბაეშვების საცვარელ წიგნად!

„მის სკოლაში ვინ არა ვართ ნასწარი?“

1960 წ.

სომხურ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან

„ევროპის მწერლებს — ავად თუ კარგად, თითქმის ყველას ვიცნობთ, ან ეცდილობთ გავიცნოთ, ამ დარგში ჩამორჩენა სამარცხვინოდ მიგვაჩინია, საკუთარი ლიტერატურის უცოდინარობა კი — ამ

გვეთავისულება. მით უმეტეს არ ვიცნობთ ჩვენი ქარის შეზობლებს, რო-
მელნიც გოგრაფიულად თუ ისტორიულად, ასე ახლოს არიან „ჩვენი
თან“.

ასე ეწერდი ჭერ კიდევ ამ 40 წლის წინათ ჩემს მიერ ნათარგმნ
ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების წინასიტყვაობაში.

სომები ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას ხანგრძლივი
ისტორია აქვს. ქართველ-სომებთა შორის მეგობრობა შორეულ დრო-
იდან იწყება. მათ ერთმანეთთან ახლოებდა თავიანთი დიდი კულ-
ტურული წარსული და საერთოდ სულიერი და პოლიტიკური მდგო-
მარეობა. ჩვენი ხალხების ისტორია მდიდარია მაგალითებით, როცა
ისინი ერთად ხელისელ ჩავიდებულნი იბრძოდნენ გარეშე დამპყრო-
შელთა წინააღმდეგ.

როცა ერთს რომელიმეს გარეშე საფრთხე დაემუქრებოდა, მეორე
გაშინებულ მხარში ამოუდგებოდა და მამაცურად ეკვეთებოდა საერთო
მტერს.

მონლოლთა, სპარსთა და თურქთა თარეშმა ცოტა ზიანი როდი
მოუტანა ამ ორი უძველესი კულტურის მატარებელ ერის ისტორიულ
ურთიერთობას. უნდობი ირანელები და ნახევრად-ველური თურქები,
სელჩუკები, როცა ისინი იქრებოდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, ანადგუ-
რებდნენ და აჩინავებდნენ ერის მატერიალურ და კულტურულ დოკ-
ლათს, აღვივებდნენ ნაციონალურ შულლა და ლვარძლს. სპარსელებს
სძულდათ აზერბაიჯანელები. როცა ვერაგი აღა-მამადხანი თბილისის
ასაოხრებლად დაიძრა, წინ აზერბაიჯანელები ვაიგდო, ირანელები
უკან მოსდევდნენ, თუ აზერბაიჯანელები დაიხევდნენ და თბილისზე
არ სურდათ გალაშქრება, მაშინ ასეთებს ხოცავდნენ.

განსაკუთრებით დიდი ენება მიაყენა ქართველ-სომებთა მეგობრო-
ბას მეფის თეითმცყრობელობამ. ცარიშმის შოვინისტურმა პოლიტი-
კამ მკვეთრი გამოელინება ჰპოვა კაცისიაში.

მეფის რუსეთი განაპირა მხარეებს ეკონომიკურად და პოლიტიკუ-
რად იძონებდა, მან ჩვენი ქვეყნები ნამდევილ კოლონიებად გადააქ-
ცია, მაგრამ კარგად იცოდა კი, რომ მხოლოდ ძალადობა — ხიშტი და
რათრახი თავისუფლებისმოყვარე ქართველ-სომებთ და აზერბაიჯანელ
სალხთა დასამონებლად საქმარისი არ იქნებოდა, მიტომ ის სხვა
გზით ცდილობდა ხალხებს შორის ნაციონალური შულლის გაჩაღე-
ბას. მოსკოვული აგენტების საშუალებით თხზავდა, ავრცელებდა ცი-
ტისმწამებლურ ვითომდა „ფაქტებს“ და აწყობდა სხვადასხვა ექს-
ცუსებს.

თი ფაქტები: როცა ჩეენმა მსახიობებმა 1882 წელს დავით ერის-
თავის „სამშობლოში“ ქართული დროშა გამოიტანეს და მესამე მოქ-
მედების სცენაში ფიცი დასდეს, ებრძოლათ ორანელების წინაღმდეგ
აბჯრის დაცვეთამდე, შავრაზმელმა მ. კატკოვმა თავის გაზეთში ჩეე-
ნი დროშა ცირკის დროშას შეადარა და ქართველი ერის წარსული
დაცინებით მოიხსენია. ამ მმავს ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა და
შესანიშნავი პასუხიც გასცა.* ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას
სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და
რუსეთისათვის შეუმწიქლავად გადაუცია; გაჭირვების დროს ქართუ-
ლი დროში, რუსეთის დროშასთან ერთად, არაერთხელ გამოსულა
საომარ ველზე და მისი წინამძღვრობით და სახელით ქართველობას
არაერთხელ დაუღვრია სისხლი რუსებთან ერთად“.

ი. კიდევ მეორე ფაქტი, ეს მეტად საინტერესო მმავსი: 1892
წელს გარდაიცვალა სომეხი საზოგადო მოღვაწე გრიგოლ არწრუნი,
რომელიც თავის ლიბერალურ გაზეთს — „მუშას“ — მთელი 50 წლის
განმავლობაში რედაქტორობდა. სომეხმა ხალხმა დიდი პატივი სცა
განსცენებულ მწერალს. დამარხესა რაღაც არაჩვეულებრივი იყო, მარ-
ტო 26 ბალდახინი გვირგვინებით დატვირთული მისდევდა კუბოს და
მგლოვიარე ხალხის ერთი წვერი მაშინდელ „ერევნის მოედანზე“ იყო,
მეორე — ხოჭივანების სახითლაონზე..

რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი, ეს
გასცენებაც არაჩვეულებრივი იყო. თბილისიდან სოფ. სტეფანწმინ-
დამდე რამდენიმე თეთული ეტლების ქარავანი მიჰყებოდა ქართვე-
ლი ხალხის საყვარელ მწერლის ნეშტს..

არ ეძინა ყანდაჩმერიასაც. ცარიშმის დამქაშებმა ამ ორ პროცე-
სიაში დაინახეს რაღაც სეპარატული მოძრაობის ჩანასახები და დაბეჭ-
დების მიზნით ასეთი საიდუმლო დეპეშები აფრინეს პოლიციის დე-
პარტამენტის მისამართით:

....გასული წლის დეკემბერში, — კიოთხულობთ ამ დოკუმენტში,—
გარდაიცვალა თბილისის სააერადმყოფოში ქართველი ბელეტრისტი
ალექსანდრე ყაზბეგი. ეს მწერალი დიდი ხანი იყო სულით ავადმყო-
ფი და იტანჯებოდა. სიცოცხლეში მასზე სრულიად არავინ არა ზრუ-
ნავდა და არც ფიქრობდა... მაგრამ მოკედა თუ არა ყაზბეგი, ქართ-

* კატკოვის გაზეთის („მოსკოვსკიე ვედომოსტრიის“) თბილისელი კორესპონდენ-
ტი იყო ქუთაისის კლასიური გიმნაზიის ლათინური ენის მასწავლებელი სტეფან
ივანეს ძე ჩივივი (ს. ჩ.), შოთარისტი და რეაქციონერი.

კოლეგმა ასტენის ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ეწყებინათ თუ მთელი ქვეყნისათვის ვერა, კავკასიონის სათვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ (როგორც ეს ჩიტინეს სოჭითოვან ხებმა არწრუნის განსვენებაზე). ყაზბეგის გვამის დაკრძალვა, — ვკა-ოხულობთ არქიეპის მასალებში, — ერთი კვირით შეაწერეს და ყო-ელლე რამდენიმეჯერ იხდიდნენ პანაშვიდებს, რომლებსაც დიდალი საზოგადოება ესწრებოდა (განკხალებანი ამის შესახებ ყოფილ დღეს და დღიული ადგილობრივ განხილვი), როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, რომლის კუპონთანაც დედებს პატარა ბავშვები მომყავდათ და ახორებლენ ბარათაშვილის კუბოს წინ, ისე ყაზბეგის გვამის დიდი პატივით დასაფლავებაც, უნდა ერგულისხმოთ, მოხდა სომხების ზეგაელენით, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ეს ამბავი გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას, რომლის დროსაც ზეპიველად ექნებოდა ადგილი დიდ სისხლის ლერას, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს".

ამ, ნამდვილი პოლიტიკური პროცესია, ორი ერთს წასასისია-ნებლად აღმრული. მაგრამ ჩევნი მხატვერული სიტყვის ისტატების და მიერკავების ქართველ-სომეხთა ინტელიგენციის წარმომადგენელ-თა წყალობით ამ პროცესტორთა ანკესზე არ წამოვეგნით...

გირ კადევ მე-17 საუკუნის სომეხმა მოლვაწემ იონათან ნაყაშმ, ასეთი ხოტბა შეასხა „საქართველოს ტურქებს“ (ნაწყვეტი ჩემი თარგ-მანიდან):

შინდა ვაქო მხიარულის გულითა,
ქამანჩითა, სიმღერითა, რელითა,
შევენიერობენ სილამაზით სრულითა
საქართველოს შევენიერი ქალები.
ყალამ-წარბი შეითლობს, როგორც კაბარი,
თყალში მზე აქვთ, ვახ, რა კარგი ასმ არი.
შემოუკრავთ ტანი შერასა ქამარი,
...საქართველოს შევენიერი ქალები.
ტანი ჩაცმაში მათ იციან ფარეზი,
უკან დასდევთ მოახლე და ფარეზი,
კაცუცობენ მწვანე არემარეზი
საქართველოს შევენიერი ქალები.
საქართველოს ხალხი ღონიერია,
სხვა მილეთზე უძველესი ერთა,
ურცხევ მტერი ბევრჯერ მოიგერია
(გვლადობა მათი ყველგან სწერია...)

მე ნაიაში, ცოდვილი ვარ, ბრალი ვარ,
 ქართველ ქალის სიყვარულით მოერთა ვარ,
 მინდა ვაგო, მაგრამ ვაი, მერთალი ვარ,
 საქართველოს შეენიშრი ქალები.



სომეხმა მწერალმა რაფიმ თავის მოთხრობა „დაუღბევში“ მოქმედ
 პირად გამოიყვანა ქართველი. ჩვენი ისტორიკოსის ცნობით, ვიტანგ
 მეფეს „ქილილა და დამანა“ ერთი სომხის დახმარებით გადაუთარე-
 ბინია: როცა ასპინძის გმირმა, მეფე ერეკლემ, იგრძნო, რომ ორტილე-
 რიის გარეშე მოზღვავებულ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ჯერ კიდევ
 აღა-მაპმაღ-ხანის შემოსევამდე ახალგაზრდობა გავზიანა რუსეთში სამ-
 ხედრო ცოდნის შესაძენად. ამ ახალგაზრდებში სომხებიც ერივნენ.
 აი, რას გვაუწყებს დოკუმენტი: „სომხეთის მელიქი ივან პავლიში რუ-
 სეთს იყო, — სწერს მეფე ერეკლე თავის დესპანს გარსევან ჰავება-
 ვიძეს, — იქ რუსული ენა და წიგნი ისწავლა და აქ, ჩვენთან მოერდა
 და ჩვენ ისევ მანდ რუსეთს, შენთან რუსეთს გამოვისტუმრეთ, იმ
 მიზეზისთვის, რომ ჩვენინარ კრეპუსტში მიაბარო და კამფლექტში იმ-
 ყოფებოდეს მათის დიდებულების ყოვლად მოწყალის ხელმწიფის
 მოწყალებით. ეგების, — დასძნს ერეკლე მეფე, — ორტილერიის საქ-
 მე ისწავლოს და კვეყანას გამოადგეს“ („ივერია“ 1891 წ., № 131).
 „კვეყანას გამოადგესო“ და ეს აქვეყანა“ ორივე ერისათვის იყო „სა-
 ქართველო“, რომელსაც იცავდნენ ქართველები და სომხებიც თავაშ-
 ვებულ ირანისაგან.

მკურნალმა ბასტამიანმა მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ქარ-
 თულიდან სომხურად პირველად გადათარგმნა რუსთაველის უკადაგი
 პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მაგრამ ყველა ეს იყო ხანა მომზადებისა.

ქართველ-სომეხთა ხალხის საქმიანი დაახლოება მოხდა მას შემ-
 დეგ, როცა აშენდა ორწრუნის თეატრი და ორივე თეატრის მუდმივი
 „დასი ჩაისახა“. ეს იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თეატრი
 ხომ ძველად მხატვრული ლიტერატურის გამარტივებელი ორგანი-
 ზაციაც იყო.

ამას თვით საარქივო მასალებიც ამტკიცებს: ეანდარმერიის დოკუ-
 მენტებში ნათქვამია, აგრეთვე, რომ ქართველები და სომხები ერთობ-
 ლივად მოქმედებენ... აი, სიტუაციიტუვით რა ეწერა ცარიშმის ავენ-
 ტების ქალალდებში: „სომხები ცდილობენ დაუახლოვდნენ ქართვე-
 ლობას და ამას ადვილად შეამჩნევს კაცი კლუბებში, თეატრებში და
 სხვა საზოგადო შეყრილობაში...“ რომ „ქართველები მოქმედებენ სომ-
 ხების ზეგავლენით“, რომ „ილია ჭავჭავაძესთან იმართება საიდუმლ-

კრებები“, რომ „სომხის ორგანიზაციებს საქართველოს თავკაციებთან ერთად კაშირი აქვთ“ და სხვ.

თეატრი ერთ-ერთი კერძო იყო, საიდანაც ვრცელდებოდა ქართული კანონები და სომხური მხატვრული ლიტერატურა, სადაც შეუნილბერებული გულ-მოდგინედ მოქმედებდნენ ჩევნი საზოგადო მოღვაწენი და მსახიობების თუ პიესების გაცვლა-გამოცვლით დიდ ეროვნულ და ხალხთა მეგობრობის იდეის ამსახველ საქმეს აკეთებდნენ...

ამ დაახლოების პირველ მერცხლებად გვევლინებიან მწერლები და მსახიობები: სუნდუკიანცი, ოვანეს თუმანიანი, შირავანზადე, ისააკიანი, ბაშინჯალიანი... ქართველებიდან — აკაკი წირეთელი, ვასო აბაშიძე, ილია ჭავჭავაძე, დიმ. ბაქრაძე და სხვ.

აკაკი წირეთელი გაბრიელ სუნდუკიანცს თავის „უფროს ძმას“ უწოდებს. აკაკი წირეთელმა სამი ლექსი უძღვნა სომეხთა დრამატურგს.

ქართველ და სომეხთა მოწინავე მწერლებს შორის თბილისში მტკიცე კაშირი არსებობდა. ამას ხელს უწყობდა თბილისელი სომხების მიერ ქართული ენის მშვენიერი ცოდნა. გაბრიელ სუნდუკიანცმა თავისი პიესა „პეპო“ თვითონვე გადათარგმნა ქართულად. მისი პიესები: „პეპო“, „დაქცეული ოჯახი“, „ხათაბალა“ და სხვ. პარალელურად ქართულადაც იდგმებოდა. ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო ამ პიესების შინაარსით. მას არ გამოუტოვებია „პეპოს“ არც ერთი წარმოდგენა. ილიამ ეს პიესა მთლიანად დაბეჭდა თავის უურნალ „ივერიაში“ და გაზეთში კი მაღალი შეფასება მისცა სომხები დრამატურგის დიდ ნიჭის, მის შემოქმედებას. მან გულწრფელად გამოხატა ქართველი მაყურებლის გრძნობა, რომელსაც ეს უკანასკნელი განიცდიდა სუნდუკიანცის კომედიებით. ამასთანავე ილია არ ივიწყებდა და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ გაბრიელ სუნდუკიანცს დიდი დამსახურება მიუძღვის, როგორც სომხური, ისე ქართული თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიის განვითარების საქმეში. ქართველი მაყურებელიც მოძმე ერის დრამატურგისადმი ლრმა სიყვარულით იყო გამსცვალული.

სუნდუკიანცის პიესებს შესანიშნავად თამაშობდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია.

„პეპო“ ქართულად პირველად დაიდგა 1875 წელს, როცა ჩევნი არტისტები ჭერ კიდევ „სცენის მოყვარეობდნენ“ და მუდმივი დასი არ იყო ჩამოყალიბებული... „პეპოში“ როლები ასე იყო განაწილებუ-

ლი: ქორე ყიფიანი თამაშობდა გიქოს, პოეტი იოსებ ბაქრაძე — კულას, გორელი პედაგოგი იასონ ნათაძე — ზიმზიმოვს, მესტრეულა ლე ეფემიას—ოლა ყაზბეგისა, ხოლო პეპოს როლის შემსრულებელი ქართველებში რომ არ აღმოჩნდა, სომხის დასიდან მოიწყეოს. ეს იყო გაორქ ჩიმიშვიანი, რომელიც ქართულადაც ჩინებულად ლაპარაკობდა.

სერგეი მესხმა აღთრთოვანებული წერილი უძღვნა „პეპოს“ პირველ დადგმას და ჩიმიშვიანი პიესის მთავარ გმირის როლში გულთბილად მოიხსენია, ხაზი გაუსვა მის სწორ ქართულ მეტყველებას...

აქვე უნდა ითქვას, რომ რაფიელ ერისთავი, რომელიც პეპოს ერთერთი თანარედაქტორთავანი იყო, სცენიდან, როგორც მსახიობი, მშენივრად კითხულობდა პეპოს ცნობილ მონოლოგს, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „წალი, პეპო, მიწა გალოე, შენ რა ღირსი ხარ ადამიანთა შორის ირიცხებოდე“ და სხვ.

70-იან წლებში საქველმოქმედო მიზნით ხშირად იმართებოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. ამ საღამოებში მონაწილეობდნენ: ილია ჭავჭავაძე, ავაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, დაუით ერისთავი და სხვები. ხოლო მუსიკალურ განყოფილებაში ვითლინოზე დამკვრელნი, თბილისელი ვირტუოზები: დანდუროვი, აბგარიანი და სხვ. ასეთი საღამოები ჯერ ერთი აახლოებდა კულტურულად ორი მოძმე ერის ადამიანებს და მეორეც — კარგ შემოსავალს იძლეოდა, რომელიც ხმარდებოდა ან ღარიბ სტუდენტებს, ან კიდევ წერა-კითხვის უცოდინარობის წინაღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებს.

ერთი სიტყვით, ჩეენი ლიტერატორები, მიუხედავად აღმინისტრაციის ჭანგებისა, ახერხებდნენ ამისთანა ლეგალურ საღამოებზე ერთმანეთთან შეხვედრას, დამეგობრებას, სიყვარულის გრძნობის უშუალოდ გამომედავნებას და ერთმანეთის დახმარებას. მე ვთქვი „დახმარება“. დიახ, როცა სომხების გამოჩენილი მსახიობი აღამიანი ავალ შეიქმნა, ქართველმა არტისტებმა 1891 წელს, მის სასარგებლოდ წარმოდგენა გამართეს და მთელი შემოსავალი მას გადასცეს.

1874 წელს ქუთაისში აჩსებულა სომეხ-ქართველ სცენისმოყვარეთა წრე. აქ ყოფილან: ვასო აბაშიძე, ანტ. ლორთიქიფანიძე, ეფრო კლდიაშვილი, ელენე ყიფიანი, ვინმე ქურციკიძე (პეპოს როლის შემსრულებელი). ქართულად მოლაპარაკე ქუთაისელ სომხებიდან ყოფილან: ბარხუდარიანი, ტერსტეპანოვი, არამიანცი და სხვ. ამ წრეების შესახებ ძალიან კარგი წერილი აქვს 1874 წ. „დღროებაში“ ავაკი წერეთელს შემდეგი სათაურით: „ლუკმა გავარდეს, ჭამში ჩავარდეს“;

როცა ვორონცოვის თეატრის „შემდეგ იყავიმ პირველი ქართული წარ-
მოდგენა გამართა ქუთაისში, მან მსახიობად ქართულად მოღონება-
კე სომხებიც გამოიყვანა სცენაზე. იყავი წერს თავის მოგონებაში; „
„ქართველი ქალი რომ ვერავინ გამოვიდა სცენაზე, მაშინ სომხის
ქალი ნინო ნაზაროვის ასული, იზმიროვის მეუღლე გამოიყიდანეთ სცე-
ნაზე. ეს წრე ქუთაისშია სდგამდა: ოსტროვსკის „შემოსვლიან აღ-
გილს“ მოლიერის „სკაპენის ცულლუტობას“, ბურენინის „მედეას“, ან-
ტონოვის „მზის დაბნელებას“, „პეპოს“ და სხვ. და როცა ქართველმა
არტისტებმა პროფესიული მსახიობის სახელწოდება მიიღეს, ქართულ
სცენას შეემატა გედეონ მირალიანი (გედევანოვი), ვანო ტერგრიგორია-
ნი, ფირუმიანი, მელიქიანი, ხოლო ქართულ ოპერას ლეონ ისეცი (ოვა-
ნესიანი), ჰაკებანუშ დანელიანი, რომელნიც, უველას გვახსოვს, რა
შესანიშნავად მღეროდნენ ფალიაშვილის „დაისში“, დოლიძის „ქე-
თო და კოტეში“ და სხვ.“

1920 საუკუნის პირველ ათიან წლებში მე თეოთონ მიხახავს საქ-
ველმოქმედო მიზნით გამართული სომხური წარმოდგენები, სადაც
ქართველი არტისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგ., ვასო აბაში-
ძეს უთამაშნია სომხურად შეგირდის როლი სუნდუკიანცის პიესაში—
„საბამოს ერთი ცხვირი ხეირია“, ადამ ადამიძეს „ორთავალის ქე-
იფში“ — დახლიდარის როლი, ნიკო გოცირიძეს—სომხურად თარგ-
მილ ირეთელის „ქრისტინეში“ — მიკიტნის როლი და სხვ.

ვის არ უნახავს ჩვენს მუზეუმებში დაცული სურათი არტისტების
ერთი ჯგუფისა, სადაც ერთად არიან გადაღებული: ლადო მესხიშვი-
ლი, აბელიანი, ქ. ყიფიანი, ზარიფიანი, ვასო აბაშიძე და არაქსიანი.

მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ქართველ და სომებს ხელოვნების
მოღვაწეებს, მაშინ სხვა ასპარეზი არ იყო — კარგად ესმოდათ და-
მობილების იდეა და ამას ისინი დიდის გულწრფელობით და სიყა-
რულით მისდევდნენ — პიესების შენაცვლებით ხდებოდა ეს თუ პი-
რადი მეგობრობით.

განა ჯერ კიდევ საიათოვა ერთნაირის ემოციით არ უმღეროდა
ქართველ, სომებს და აზერბაიჯანელ ხალხებს: მისი ერთი ლექსი სამ
ენაზეა დაწერილი. აი, ნიმუში:

ეს რა მომიფიდა ბიბინჩიმ ქარდემ,
გვთ ბაინი ბერლუ ტანენ დუსარაწ,
თავი წავაგებინე აზ შეშ მართემ,
დივანა გეზარამ ტანენ დუსარაწ.
ბულბული ერ, გარს გვეფარა ილალი,
ბიბინჯი გარდემ პური ზაღა ჭალალი,

როგორმიშამ ჭავაირი, პალალი,
 ბარ ენდუ ჰამარ იმ ნანენ დუსაჩაწ.
 ნიადაგ ეტირი, ვიძხი ვიში,
 ჩ ბადა ჭადაფენ ნამილეთ ქიში,
 ბულარედ ქიმან ჩქუმ ჩქმას პარ ქიში,
 ოჩოუ-ჩილი სირკეანენ დუსაჩაწ.
 მოდი, საიათნოვა, შენ ცოდეილი ხარ,
 ყურბანიმ ბიბირემ იმ დარენ მაწადარ,
 ბუ მანა ყამულამ, პერ ფარეარ დიგარ.
 პოქის ჩამანის დრატრა ჭანენ დუსაჩაწ...

აქ საინტერესო ის კი არ არის, რა წერია იმ ლექსებში, საინტერესოა თვით ის ფაქტი, რომ საიათნოვამ ერთ ლექსში სამი ერის ენა იხმარა — ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ამით თითქოს ხაზი გაუსვა იმას, რომ სამივე ძმა ერთი ოჯახის წევრები არიანო. თანამედროვე პოეზიიდან 1953 წელს მე დაწერე ლექსი, რომელსაც ვუძღვი ჩვენი ქარის მეზობლებს:

თბილისი, ბაქო და ერევანი! —
 რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
 ეს ერთი ვაზის სამი მტევანი
 ძმურ მარანშია დაყიდებული.
 ჯერ კიდევ ძეველად საქართველოში,
 როცა მეფობდა ისარ-მშეილობა,
 როდე ვისხედია მყუდრო ჩერტში,
 ვიბრძოდით, ვკეტდით: „გვინდა მშეიღობა!“
 საიათნოვა, აშერთა მამა,
 ჩანგს რომ უკრავდა მხნედ, არხეინალ,
 ისიც კი მტრისენ ვაიკრა სამალ,
 სიმღერით ქედი მოახრევინა.
 ჩვენს ალალ გულებს, ჩვენს მაგარ ძარლებს
 საფუძვლად მიმბის სიმართლე უძევს,
 არ დაირღვევა, არ დაირღვევა
 პარტიის სიბრძნით ნაშენი ფუტე.
 და თუ გაბედავს ვინმე აფთარი,
 რომ ხის ფოთოლიც კი შეათრთოლოს,
 ჩვენი ლაშეარი მუდამ მზად არი,
 უნასთა ბუდეს მოულოს ბოლო,
 თბილისი, ბაქო და ერევანი, —
 რა კარგი თქმაა, რა დიდებული,
 ეს ერთი ვაზის სამი მტევანი,
 ძმურ მარანშია დაყიდებული.

საიათნოვა ხალხის წიაღიდან ამოტყორცნილი მგოსანია, ხელოსანი, ფეიქარი, რომელმაც თავისი ნიჭის წყალობით მეცე ერეკლეს კა-

რამდე მიაღწია: მაინც ბოლომდე გლეხად დაჩია, მომლერლად, და-
ლება არ იშიდავდა:

დამხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
ეი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა.

სომები მსახიობთა ბენეფისები, მწერალთა იუბილეები და სხვა
კალენდარული მნიშვნელოვანი თარიღები ხშირად ნამდვილ სახალხო
ზემიად გადაიქცეოდა. გამოჩენილი სომები მსახიობის — ადამიანის
წარმოდგენებზე ქართველებიც დაიარებოდნენ და ქართველი არტის-
ტებისათვის სომხურ თეატრში ყოველთვის უფასო ადგილები იყო
გადადებული. „ივერია“ წერდა: „ჩვენ არ შეგვიძლია არ აღნიშნოთ ის
სასიმოვნო ფაქტი, რომ პატიცემულმა და თავაზიანმა არტისტმა ადა-
მიანმა ჩვენს ქართველ არტისტებს უსასყიდლოდ დაუთმო წარმოდ-
გენებზე ადგილები („ივერია“, 1888, № 32). ამ გასტროლების რეცენ-
ზენტრად გაზეთმა „ივერიამ“ გამოჰყო ვალერიან გუნია (ვალიკო-ია).

ერთ-ერთ რეცენზიაში ვ. გუნია მიმართავდა ქართველ ახალგაზრდა
მსახიობებს: „მიდიოთ და ისწავლეთ ადამიანისაგან როგორ უნდა სცე-
ნაზე თამაშიო“. როცა პირველად ქართულ სცენაზე პამლეტი დაიდგა,
ადამიანიც დაესწრო. იგი დიდად აღფრთვენებული იყო ლადო მე-
ხიშვილის პამლეტის თამაშით...

ცნობილმა მხატვარმა გეორგ ბაშინჯალიანმა ვასო აბაშიძის ერთ
ბენეფისზე ცოცხალი სურათები დადგა ილია ჭავჭავაძის „განდევილი-
დან“ და „მეფე დიმიტრი თავდადებულიდან“. ქართული საყმაწეოლო
ურნალ „ჯეგილის“ თავფურცელი იმავე გიორგი ბაშინჯალიანის მიერ
არის გაფორმებული, სადაც საქართველოს პეიზაჟი გამოცდილი ის-
ტატის ყალმით არის მოხაზული.

თბილისში მოღვაწეობდნენ საიათოვა, სუნდუკიანცი, ლაზაროს
აღაიანი, არწიუნი, რაფი, ბაკიხანოვი, ჯივანი, მირზა შაფი, პროშია-
ნი, მურაცანი, ნაზარიანი და ნარდოსი, შესანიშნავი მხატვარი ა. შამ-
შინოვი, წატურიანი, აკოფიანი, ოვ. თუმანიანი, — აქ მოღვაწეობდნენ
და აქვე აღესრულენ...

სპარს-თურქმენების თარეშის და ცარიზმის ბატონობის შავბნელ
პირობებში ჩვენი ხალხები ინარჩუნებდნენ ერთმანეთისადმი სიყვა-
რულს და პატივისცემას. მოძმე ერების მოწინავე ინტელიგენცია ხში-
რად გამოდიოდა სომებთა და ქართველთა შორის ეროვნული მეცნი-

რობის მედროშედ. ეს მაღალი საკაცობრიო მისწრაფებები გამოსაყენებული რებით მკაფიოდ მეღაენდებოდა მხატვრული ლიტერატურისა და კრეტურის საქმიანობაში.

ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მწერლები იყვნენ თავისი თი ხალხების გულწრფელი სურვილებისა და სპეტაკი იღების გამომ-სახეელნი. თავი რომ დაეანებოთ ძალიან შორეულ მაგალითებს, ამ ურთიერთობის გასათვალისწინებლად შეიძლება დავასახელოთ ნიკოლოზ ბარითაშვილის ნეშტის გამოსვენება განჯიდან თბილისში, რაც მაშინ ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ სამგლოვიარო დღედ გადაიქა. ამ მგლოვიარობას სომხებიც დაესწრნენ და 24 წლის ჭაბუკი ოვანეს თუმანიანი დიდი გულწრფელობით გამოეხმაურა ამ ამბავს. მან შესანიშნავი ლექსი წაიკითხა დიდუბის პანთეონში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისხამდგმელნი ილია ჭავჭავაძე და ავაკი წერეთელი განსაკუთრებული გულისყურით აღევნებდნენ თვალს სომხეთის კულტურისა და ლიტერატურის განვითარებას, დიდად აფასებდნენ მათ მოწინავე მოღვაწეებს. უსაზღვროა ილია ჭავჭავაძის პატივისცემა სომეხი ხალხისადმი, მისი წარსულისა და აწყობისადმი. ილია ჭავჭავაძე სომეხ ხალხს უწოდებდა ნიკიერ ხილხს, რომელმაც მრავალი რამ საუკეთესო შესძინა საკაცობრიო კულტურას. იგი ებრძოდა იმათ, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელს უწყობდნენ ამ ორ მეზობელ ხალხში შულლისა და მტრობის დანერვას, ილია და მისი თანამედროვენი ებრძოდნენ „გოლოს კავკაზის“, „სევერნი კურიერს“, „ჩერნომორსკი ვესტნიკს“, — კატეკს, პალმს, ველიჩქს, ხატისოვს და სხვა შოთარისტებს, რომელნიც სომეხ-ქართველთა ურაიერთობის გამწვავებას ცდილობდნენ...

1916 წელს ოვანეს თუმანიანმა შესანიშნავი წერილი გაუგზავნა პოეტ ვალერი ბრიუსოვს, რომელმაც დიდი ჭატა გასწია რუსულ ენაზე სომეხთა ანთოლოგიის შედგენის საქმეში. თუმანიანი სწერდა რესპონსებს:

„დღევანდლამდე რუსეთიდან იგზავნებოდნენ ჩვენთან პოლიციელები — ქურდებისა და არამზადების დასაქერად. ისინი ჩამოდიოდნენ და ნახულობდნენ აქ ქურდებს და ავარებს.

ჩვენთან იგზავნებოდნენ ბრალმდებლები — მკვლელების და ბორტმოქმედთა გამოსავლინებლად და გასასამართლებლად. ისინი ჩამოდიოდნენ და პოულობდნენ აქ ავაზაკებსა და ბოროტმოქმედებს.

გვიგზავნიდნენ უანდარმებს რევოლუციონერების თვალის სადევ-

ნებლად და გასასამართლებლად, ისინი ჩამოდიოდნენ და პოულობდნენ აქ მკელელებს და ბოროტმოქმედებს.

და ასე: ხმა მოედო მთელ რუსეთს, რომ კაცებიაში არიან ყაჩილებისა და კურდები, მკელელები, ბოროტმოქმედნი და... რევოლუციონერებიც, და არასოდეს რუსეთს კაცებიაში არ გამოუვჩავნია პოეტები. და აი, პირველად ჩამოდის ჩვენთან რუსი პოეტი, პირველად ჩვენს პოეზიას ეზიარებიან გამოჩენილი რუსი პოეტები და ბევრ კარგ რამეს ნახულობენ აქ. და ახლა მთელ რუსეთში დაიტხევა ხმა, რომ კაცებიაში არის პოეზია და არიან პოეტებიც".

სომეხთა პოეტის — თუმანიანის ეს შესანიშნავი სიტყვები მიწერილი ბრიუსოვისადმი, შეიძლება საქართველოს მიმართაც ითქვას...

მეორე ღიღი სომეხი პოეტი ავეტიქ ისააკიანი თავის პოემის „აბულ ალა მაარის“ წინათქმაში ამბობს: „ჩემი პოემა დაიწერა გენიალური ქართველი პოეტის — ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ზეგალენით, ბარათაშვილის ლექსი გახდა ჩემი შემოქმედების ბრწყინვალე წყაროდ“.

ქართველი და სომეხი ხალხების მთელი ცხოვრება ერთმანეთისადმი მზიური სიყვარულის იშვიათი მავალითია. როგორც ერთს, ისე მეორეს, გარდუველად სწავდათ, რომ ერთმანეთისადმი შტაცი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია მშვიდობიანი არსებობა და მოგერიება იმ გარეშე მტერთა ურდოებისა, რომელნიც თავს გვესხმოდნენ და გვარებევდნენ.

ილია ჭავჭავაძეს არა ერთხელ აღუნიშნავს სომხეთის როლი და მნიშვნელობა საქართველოსათვის. „ჩვენ კარგად ვიცით, — წერდა ილია, — წინანდელ საქართველოს უძლურობა დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კი პირქვე დაემხო — ეს ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. საქართველოს რომ თათრობა მოესეოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. მიტომაც ჩვენი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცი არაფერს არა ზოგადნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ“.

ილია ჭავჭავაძე იყო ერთი იმ მოწინავე ქართველთაგანი, რომელსაც კარგად ესმოდა სომეხ-ქართველთა ურთიერთობის მნიშვნელობა. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული მათი მეგობრობის როლი ორივე ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აუვავების საქმეში. ასევე უნდა ითქვას აკაუი წერეთელზე და სხვა ჩვენ გამოჩენილ მოღვაწეებზე.

და, სუჟეკტური იმედნიეროს
თვის საშობლოში, თვის მხარეში,
რომ მოძებ იყონ ერთიმერის
და არა მონა, უმა და ფარეში.



ეს ლექსი აეკისაა. აკაკის სწამდა, რომ თუ ეს ერთობა დაირღვევა,
მაშინ მტერი გაიხარებს:

მეც წამახდენ, შენც წახდები,
გავიატებო მხოლოდ გრეჩია...
ჩეენ ვიყვირებთ: „ეპი-დედას“,
ის კი: „მრავალებირსა“.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ მეფის მთავრობამ კიდევ უფრო
გაძლიერა პატარა ერების დევნა და მათი ერთმანეთთან გადაეცე-
ბა. და როცა კორონცოვ-დაშვილის ანკესით გამოწვეული სომეხ-თა-
თართა შეტაცება დაწყო, ქართველმა პოეტმა აკაკიმ, როგორც ლრმა
პუმანისტური იდეებით აღჭურებილმა, ხმა აღიმაღლა და შესძახა:

ლეთის მაღლას... რა დროს ეგ არი,
მხა ძანხე ლესაკ ხანგალსა,
იღუპებიან ორივე,
არც ლონეს ზოგვენ, არც ძალა.
გააგდეთ ხმალი, ხანგალი
ხელი მიეცით ძმურათა,
ნუ შესტერიხართ ერთმანეთს
მტრელად და ბატონიშურადა.
ბეღიერება ამ ქვეყნად
შეერთებული შრომაა...
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განხე დგომაა.
შეერთლით, ძმებო, შეერთლით,
ხელიხელს მიეცეთ ძმურადა,
და მტერს—გარეშეს—დაუხედეთ
თამადა, ვაჟაცურადა...

ხოლო სომხის ინტელიგენციიდან ოვანეს თუმანიანი ერთი პირ-
ველი და უცელაზე გამოჩენილი ფიგურა იყო, რომელიც სომეხ-თა-
თართა შუა ჩაღა და მეგობრობისაკენ მოუხმობდა მათ. იგი დადიოდა
ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და თავისი მგზნებარე სი-
რყვებით ორივე ხალხში მეგობრობის მარცვალს ლეივებდა. .

ილია ჭავჭავაძეს თავის მხატვრულ ნაწარმოებში, — რომელსაც
„დედა და შვილი“ ეწოდება,—ერთი მეტად საინტერესო აღვილი აქვს:

თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნიერსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საქართველო
შენ ხარ შექილობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.
შენ ხარ აღმზრდელი ლეთატბაძე კაც ბრძნებისა.



და ეს თავისუფლების შესანიშნავი ჰიმნი ბრძოლისაერთ მოწოდებით ცეკვებს დედის მონოლოგში:

ხალხი აზერთლა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს.
კასპიის ზღვიდამ შეა ზღვამდინარ ერთს უიქმნასა ფრქიობს.
და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება...

ყურადღება მიაქციეთ ამ სტრიქონის: „და ეს ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება“ კავკასიის თავისუფლება — აი, რა სწადა ილია გვავჭავაძეს. ილიას წარმოლგენაში საქართველოს თავისუფლება გადაჯავალია მთელ კავკასიის თავისუფლებასთან. აქა სჩინს ქართველი და სომხეთი ერთს მრავალსაუკუნოებანი განუწყვეტელი ბრძოლა უცხოური დამპყრობლების წინააღმდეგ ინტერნაციონალური სულის ქებური შემოქმედების შესანარჩუნებლად.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „სომხეთი ხალხის სიკეთე, ლირსება, ჩვენთვეს სანატრელია და არა საშუალი. შურს ისა სწყინს და გულს უკლავს, სხვის ჩემზე მეტი რათა აქვსო, ნატვრა კი პატიოსნური სურვილია, მეც ის შევიძინო, რაც სხვის შეუძენია, მისდა სიკეთემდე, ლირსებამდე მივაღწიოთ, შური ვერ იტანს სხვისა ლირსებას, ნატვრა კი შეპხარის, შური ებრძეის ლირსებას, ნატვრა კა—ეტრფის“.

დიახ, შური საშინელი რამ ყოფილა. ჭერ კიდევ საბა განმარტავდა თავის ლექსიკონში: „შური არს მწუხარებათ სხვისა კეთილისა ზედა“. რომელ ხალხის ცხოვრებაში იყო ერთი აეთ ხანა, დაშნაკებისა და მენშევეკების ბრუნობის ხანა; მათ დაიწყეს ჩვენი ხალხის ერთმანეთთან გადაყიდება, შურისა და შულლის ჩამოგდება. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს მათი მისწრაფება, ხალხის ღრმა ფენებში და მოწინავე ინტელიგენციაში ვერ შეარყიეს ის კეთილშობილური და საკაცობრიო გრძნობები, რაც მრავალი საუკუნის მანძილზე ქირსა თუ ლხინში ერთად ყოფნის შედეგად იყო გამომუშავებული.

გორგი წერეთელი, ეს დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, კურ კიდევ ოთხმოციან წლებში წერდა: „ჩვენი საქართველოს ხალხს, სომხებს და თათრებს დღეს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, სამრევე ერის გულისათვის ერთად ზრუნვა და ძმური კავშირი“.

ამ ძმურ კავშირს ხანდახან არღვევდა უანდარმერია და თბილის ქართველ-სომხეთი, რომელიც შოვინისტური ხაშხაშით იყვნენ გამობრული, თორემ ამიერკავკასიის ხალხებს რა პქონდათ ერთმანეთს ში გასაყოფი.

თავის დროზე განხოთ „ივერია“ დიდი შორსმეტეტელობით წერდა: „სომხეთის დაცემის შემდეგ, მთელი შეიძიო საუკუნე გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერ მტერს, მაგრამ მთელი ჩვეხი ისტორიული დღენი მოვლალეთ და შევალიეთ სომხეთის კარის დაეტვას და ერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდი რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაპირდა და მეგობართავენ პირი პქნა და მიიბრუნა. განა ჩვენთვის კი სანატრიელია, — განაგრძობს ილია, — ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა? ღმერთმა მისცეც ღონე და უნარი ერთად მოყარონ თავი ყველამ ეჭ. სიიდანაც იყრილან და აქაიქ გაფანტულან“.

ნახევარ საუკუნეზე შეტი დრო გავიდა, რაც ეს გულმისნური სიტყვები დაწერა და სომხეთის ერის ერთად თავმოყრა მხოლოდ ჩვენ დროს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გახდა შესაძლებელი. კიდევ უფრო განმტკიცდა სომხებსა და ქართველებს შორის კავშირი. სოციალისტური სახელმწიფობრივი სისტემა გადაიქცა ერთა შორის მეგობრული კავშირის ურყევ დუღაბად... მოხდა ის, რასაც შენატროდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლები და მოღვაწენი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ორი ერის ხალხისათვის მისაწელომი გამხდარიყო ქართველ და სომხე მწერალთა საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებთა მასობრივი თარგმნა და გამოცემა.

მეგობრობა ქართველ და სომხე ხალხთა შორის მტკიცება და დღეგრძელობს.

დღეს გრიგოლ არწრუნი ველარ მისცემდა თავის ერთ მოწინავე ტატიას ამისთანა სათაურს: „მეზობელი მეზობელს არ იყნობს“.

დღეს სიამაყის გრძნობით შეიძლება თამამად ითქვას, რომ „მეზობელი მეზობელს იყნობს“. მაშ, დაე, ორ ერთა შორის სუფევდეს სიუკარული და ჰყვაოდეს ივი. მტკიცე იყოს ეს ერთობა და ჩვენს მშვიდობას ედგეს — შტო ზეთისხილისა და თავთავთა გვირგვინი. ახლა მთელი ხმით გაისმის სტრიქონები ოვანეს თუმანიანის ლექსისა, რომელიც ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა „საქართველოს პოეტებს“ უდენა მობისა და მეგობრობის აღსანიშნავად:

არა, რუსთველის ოქროს სიტყვები
 როდი ხმაურობს შპლედ და დუნედა,
 მის ამაყ აჩრდილს დღეს თვეუკუნ მისყვებით,
 ვერა გძლევთ ტანგვა საუკუნოთა.
 ახალგა ხელმა ცამდე აღმართა
 ძელი ლოცვები, ხანგაღასული
 და საქართველომ კვლავ გამართლა
 შშენიდრება უკადაეთ სულის.
 თანამოძმენო, სალამი თქვენდა,
 პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად
 და არარატმა, როგორც ლეგენდა,
 გრძი გაიპო თქვენს შესახვედრალ.
 შემოღმებით მიმერასი შექი,
 დე, შეცერთდეს ჯინსაღ განთაღს.
 აინთოს ძმითა ოჩი ჰატრუქი,
 გზა გაუნათოს მომავალს დიად.
 დე, ჩვენი ლექსის ძმურ ცისარტყელაშ
 მოსპოს ცერაგთა სისინი შტრული;
 დე, ჩვენი ლექსი მოყდოს ყველას
 ბედნიდრებით გადაზღაპრული.
 კავკასიონის ჭალარა ერებს
 ჩვენ მოვეწოდებთ საერთო ლხინშე,
 ჩემი ქამანჩაც ტებილად იმღერებს
 თქვენი მგოსნების შემოძახილშე.
 დაერჩეთ, ქერუმნო, ძმად და მეგობრალ-
 შევქმნათ ოჯახი ამხანაგური
 და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
 ყევლამ მიუზიდოთ თითო აფური.
 დღეს ერთ სისხლში თუმც იწურება,
 ეს დაგვრჩეს მაინც ძველ გაყეთილად:
 რომ ერთი ერთს უბრძლება
 ვერ გადიქცევა სხვისონის კეთილად.
 მაშ რუსთველურად დაცერათ ჩანგს ხელი,
 თავში მოვექცეთ მსოფლიოს კბეს,
 ვიყვნეთ გულუხვნი, გვწამდეს სახელი.
 ვინც დარღვმანდობს, ვერ ილარიობებს.
 ვის შეუძლია, რომ გადაგვთელოს,
 ჩვენს სულში ცეცხლი არ იწვის განა?
 დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
 არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა.
 არა, რუსთველის ოქროს სიტყვები
 როდი ხმაურობს შპლედ და დუნედა.
 მის ამაყ აჩრდილს დღეს ჩვენც მივყენებით,
 ვერა გვძლევს ტანგვა საუკუნოთა.



თქვენთან ერთად, ჩემო ძეირფასო მეგობრებო, მინდა მიცესალა-
მო, მიცესურვილო და ჩემი აღფრთოვანება გამოვთქეა იმ დაუღალა-
ვი შემოქმედებითი შრომისათვის, რომელსაც ნინო რამიშვილი და ილი-
კო სუხიშვილი ეწევიან.

ნინო და ილიკო დიდიხანია ერთ სიმბოლიურ სახელად იქცა, რო-
მელთანაც მუდამ დაკავშირებული იქნება ქართული ხალხური ცეკვი-
ბის სიცოცხლე და სილამაზე.

ენ არ მოუხიბლავს თავის დროზე ამ წყვილის ფაქტება და ნარნა-
რა „ქართულს“, საქართველოს მთა-ველებივით ლალა და მოქარეულ
დაცლურს... მათი ყველა ცეკვა ხალხური სიდარბაისლით, აზრის სილ-
რმით და სულიერი სიმშვენიერით სუნთქვავს. მათ იღადგინეს, დან-
ვეწეს და გამდიდრეს ძეელი ქართული ეროვნული ცეკვები, პოეზი-
ით გაამზიურეს ისინი. მათი ანსამბლის ცეკვები მხატვრული ნოე-
ლებია, რითმიანი ლექსებია, თვითეულის ტანის მოძრაობა და ფეხის
გასმა მუსიკასავით ჩაეციმის ყურჩი, ურუანტელივით დაგივლით სხე-
ულში, აგამაღლებთ, აღგაგზნებთ, — ხან ნაკადულივით რაკრაკაა, ხან
ძოკარდნილი ნიაღვარივით შმაგი, ხან პეპელას ფრთებივით ნაჩი და
მსუბუქი, ხანაც ქარიშხალივით ძლიერი, ელევასავით სწრაფი და ჭუბი-
ლავით მონუმენტური.

რამიშვილმა და სუხიშვილმა აღზარდეს მრავალი ნიჭიერი ახალგა-
ზრდა, რომელთაგან ბევრი უდავ სახელმოხვევებილი ხელოვნი გახდა.
მათმა ანსამბლმა საქვეუნოდ გაითქვა სახელი, მთელი დედამიწა შე-
მოიარა და მსოფლიო განაცვიფრა — ყველა მოხიბლა ქართული ხალ-
ხური ცეკვის ფერების სიმღიდრემ, პლასტიკურმა სილამაზემ, მასში
განცდილმა ქართველი კაცის სათნო, ჰუმანურმა ბუნებამ, ვაჟკაცო-
ბამ და შეუძლებელმა ხასიათშა.

ქართული ცეკვის ანსამბლი გასაგები ენით ელაპარაკება რუსსა და,
უკრაინელს, ფრანგსა და გერმანელს, ინგლისელსა და ამერიკელს,
ბერძენისა და იტალიელს, დიდსა და პატირას, ელაპარაკება და გული
გულთან მიაქვს, მაყურებლებს კაცომოვარეობის გრძნობით განა-
წყობს და ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცები-
სათვის. ბრძოლის დიად საქმეში.

ამიტომ უკრავენ ტაში ყველგან.

კუსურეოთ ახალი წარმატებები — კიდევ უფრო გაეფართოვები-

ნოთ ქართული საცეკვაო კულტურის კიდე-განი, შორს გაეტანოთ, მთელი დედამიწისათვის მოეფინოთ ჩვენი კულტურის სიმღიდრე, კვლავც ესახელებინოთ მშობლიური ქვეყანა — ჩვენი საქართველო-გავა

1961 5.

ବାଲ୍ପିଲିର ଶେଷତାରୁକ୍ତି

თავები იყო ჭირსა და ლხინში. არ ყოფილა არც ერთი დიდი სამეცნიერო კულტურული ცენტრი, რომელშიც წილი არ ედოს ამ კუთილ-გონიერ, გულისხმიერ, უანგარო ადამიანს, დაუცხრომელ მოამზეს, თა-ვისი ქადაგის დიდებულ მოჭირნახულეს. დარბაისელი, დიხევი, შაომულა-ოქროპირი — მუდამ ასე წარმომიდგება ქართული სცენის შესანიშ-ნის ქურუმი ვალერიან გუნია.

ბევრი რამ მახსოვეს ამ დიდბუნებოვანი მამულიშვილის ცხოვრებიდან. ჩაფიქრებული მქონდა მოვონებათა ფურცლების გამოქვეყნებაც, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმრჩა. ვიტყვი გულახდილად, ჩემი პირადი მეცვლე პოეზიაში ვალერიან გუნია იყო.

გუნიამ დაბეჭდა ი. პატივიაძის ხსოვნისაღმი მიძღვნილი ჩემი პატარა ლექსი. მართალია, სამწუხარო მოვლენას გამოვეხმაურე ცრემლნარევი სტრიქონებით, მაგრამ, როგორც დამწყებ პოეტს, ეს დებიური რეის მაძლევდა, მომავლის ჩრშმენას მინერვავდა.

მინდა მოვიგონო ქართულ თეატრში მუშაობის წლები. ჩემმა მკითხველებმა იციან ალბათ, რომ სიქაძუე სუფლიორიზით დავიწყე. კარგად მასხოვეს ჩვენი გამოჩენილი მსახიობის გაფრთხილება, როგორ სუფლიორის სკამს მივუჭდებოდი და ლამპის შუქჩე ვიწყებდი სიტყვების მიწოდებას:

— სოსო, არ დაგვიწყდეს, პირველი სიტყვა თქვეი გარევევით, დანარჩენს თვითონ ვიტყვი.

და სწორედ ასეც იყო. გუნია მთელი განცდით წარმოთქვამდა ამ, თუ იმ მონოლოგს და დაუგიშუარ სცენიურ სახიერებას მისცემდა. სულს ჩაუდგამდა ყოველ სიტყვას. ყოფილა შემთხვევაც, თუ ჩემს ნათქვამ სიტყვას ვერ გაიგონებდა, თვითონ ქმნიდა ახალს, როლის შესაცერისს და ისე მოხდენილად იტყოდა, რომ ზოგჯერ ეს ახალი ტექსტში ნათქვამსაც სჭობდა.

თეატრით სუნთქვაედა, ხალხის სიყვარულით სულდგმულობდა ჩვენი დიდი მამულიშვილი. ასზე მეტი თრიგინალური და ნითარგმნი დრამატიკული ნაწარმოები დაუტოვა მან ქართველ საზოგადოებრიობას. ხალხმა შეიყვარა და განსაკუთრებული მოწონებით მიიღო მისი „აღლუმი“, „სიძე-სიმამრი“, „დედისერთა“, „ჩათრევას ჩაყოლა სჭობია“ და მრავალი სხვა კარგი ნაწარმოები. ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოიცა ვალერიან გუნიას ნაწერების ორტომეული და ბიბლიოთურაფულ რშვიათობას წარმოადგენს.

დიდი ნიჭით დაჭილდოებული გუნია ყველა დიდ წევულების ებადლო თამადაც იყო. ჩინებულად, უზადოდ მიჰყავდა ქართული სუფრა, ისევე როგორც ოთარბეგის როლი სუმბათაშვილის უკვდავ „ღალატში“. მას ერთი წამითაც აზ უღალატნია მშობელი ხალხისათვის თავისი მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში.

ვალერიან გუნიას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო შეგალითა იმისა, თუ როგორ უნდა ეშვახურო სამშობლოს და უკვდავშეყო საკუთარი თავიც დეიძლი მამულის უსაზღვრო სიყვარულით.

1963 წ.

გენეზეზი

ი. გრიშაშვილის თხზულებათა V ტომში თავმოყრილია პოეტის მიერ 1944—1963 წლებში დაწერილი ლიტერატურულ-კრიტიკული, თეატრალური წერილები, ნარ-კლიკები, მოგონებები, სიტყვები.

წერილების ტექსტები შედარებულია ხელნაშერ და ნაბეჭდ წყაროებთან.

წინმდებარე ტომში მასალა განლაგებულია ქრონიკოგიური თანმიმდევრობით. თუ წერილი არც ერთ წყაროში არ არის დათარიღებული, მაშინ მას ვათარიღებთ პირების პებლივაციის მიხედვით. ასეთი თარიღები ოთხეუთხ ფრჩხილებშია ჩასმული. ასევე ოთხეუთხ ფრჩხილებშია ჩასმული ჩევს მიერ დაგვენილი თარიღებიც.

1944—1948 წლებში გამოქვეყნებული წერილები გამოისაცემად მოაწია პ. ხელიშვილმა, 1949—1963 წლების წერილები კა—ც. ყიფშიძემ.

კრიტიკი და პაპარი წარითალი (გვ. 5)

ნაბეჭდი: კრილოვი ქართულ ლიტერატურაში, „კომუნისტი“, 1944 წ., № 32; კრილოვის იგავ-არაების საიუბილო გამოცემის წინასატყვაობა; 1944 წ., ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 144; 1957 წ., გვ. 147; თხზულებანი ტ. IV. 1964 წ., გვ. 180.

ალ. ჩახვაძი, როგორც მსახიობი (გვ. 20)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, № 1762.

ნაბეჭდი: ლიტერატურული ძიებანი, სათაურით „ყაზბეგი თეატრში“, 1944 წ., № 2; ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 301; 1957 წ., გვ. 308; თეატრალური წერილები, 1960 წ., გვ. 48; თხზულებანი, ტ. V. 1965 წ., გვ. 74.

ჩილი განხავლებელი — ლალიონი (გვ. 41)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, № 1148.

ნაბეჭდი: თხზულებანი, 1965 წ., გვ. 260.

ჩარათაშვილის აღმართი (გვ. 44)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, № 1866

20. ი. გრიშაშვილი, ტ. V

ნაბეჭდი: ლიტერატურული ნარკევები, 1952 წ., გვ. 433; 1957 წ., გვ. 455;
თხზულებები, ტ. V, 1965 წ., გვ. 339.

ცარისანი
ცარისანი

ნიკოლოზ გარათაშვილის „ნიკა ფიჩა“ და ალექსანდრი ვავენაპის

„ფიჩა გელა“ (გვ. 47)

ხელნოწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1084.

ნაბეჭდი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № 35. 21 ოქტ.; ლიტერატურული
ნარკევები, 1952 წ., გვ. 108; 1957 წ., გვ. 109; თხზულებანი, ტ. IV,
1964 წ., გვ. 123.

აკაკის უცნობი შილა (გვ. 53)

ხელნოწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1196, 1197.

ნაბეჭდი: „მნათობი“. 1945 წ., № 2-3; თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 360.

საიათოვა (გვ. 59)

ხელნოწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1462.

ნაბეჭდი: „კომიტისტი“, 1945 წ., № 199, 7 ოქტ.; ლიტერატურული ნარკევები,
1952 წ., გვ. 216; 1957 წ., გვ. 220 (სათაურო „საიათოვას მისაგონიად“); თხზულებანი,
ტ. IV, 1964 წ., გვ. 254.

დიმიტრი მრისთავი (გვ. 63)

ხელნოწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.
№ 1140, 1141, 1142.

ნაბეჭდი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № 32; ლიტერატურული
ნარკევები, 1952 წ., გვ. 374; 1957 წ., გვ. 390; თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ.
გვ. 326.

სიმავა ფილიამ გოგიასიშვილს (გვ. 65)

ხელნოწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 2119.

ნაბეჭდი: თხზულებანი, 1964 წ., ტ. IV, გვ. 283.

ნიკოლოზ გარეთაშვილი (გვ. 68)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1119.
ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V., 1965 წ., გვ. 345.

0603400160 (გვ. 69)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1129.
ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 271.

0701 ალექსიშვილი (გვ. 70)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 259.

სონა გოგაზვალი (გვ. 71)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1715.
ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 304.

09 და რუსიშვილი (გვ. 75)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1174, 1175, 1176, 1177.
ნაბეჭდი: ლიტერატურული ნაჩვევები, 1952 წ., გვ. 389; 1957 წ., გვ. 405;
თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 312.

დ. მილისტავი (გვ. 79)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 151.

პოტი გარებალიშვილი (გვ. 88)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1729.
ნაბეჭდი: ლიტერატურული ნაჩვევები, 1952 წ., გვ. 410; 1957 წ., გვ. 428;
თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 171.

შარიშვილი უმსაიმიანა და ივანე მარგალი (გვ. 89)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1426.
ნაბეჭდი: ლიტერატურული ნაჩვევები, 1952 წ., გვ. 321; 1957 წ., გვ. 329; თე-
ოტრალური წერილები, 1960 წ., გვ. 69; თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 95.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1536.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 224.

ქართული ესტრადის მოძღვა ისტორიული მიმოხილვა (გვ. 112)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1829.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 229.

საფრთხო 052830ლ0 (გვ. 122)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1838.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 295.

5060 ჩაკაზიქი (გვ. 124)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 361.

მარო მდინარე (გვ. 131)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1744.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 297.

საფლიორის 5052რიდან (გვ. 133)

(გახსენება ლადო შესხივილზე)


ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი; აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№№ 1750, 1751, 1752.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ლიტერატურული ნარკევები, 1952 წ., გვ. 396; ლიტერატურული
ნარკევები, 1957 წ., გვ. 413; თეატრალური წერილები, 1960 წ., გვ. 143; თხზუ-
ლებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 157.

გაგრილ სედერანიდი და ქართული საზოგადოებრივა (გვ. 148)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№№ 1491, 1492, 1493.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: ლიტერატურული ნარკევები, 1957 წ., გვ. 234; თეატრალური წერი-
ლები, 1960 წ., გვ. 113; თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 258.



ხელ ნაწერი: აეტოგრაფები დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№№ 1544, 1545, 1546.

ნაბეჭდი: ლიტერატურული ნარკევები, 1952 წ., გვ. 198; ლიტერატურული
ნარკევები, 1957 წ., გვ. 201; თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 161.

ელისაბედ ჩარძენიშვილი (გვ. 195)

ხელ ნაწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1769.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 177.

ავლე ფრანგიშვილი (გვ. 207)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 306.

ალექსანდრა კარგარეთელი (გვ. 208)

ხელ ნაწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1724.

ნარგებალი გვლი (გვ. 211)

ნაბეჭდი: თხზულებანი, 1965 წ., ტ. V, გვ. 216.

ვიქტორ მათარაძე (გვ. 211)

ხელ ნაწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№№ 1741, 1742.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 292.

ოვანის თავანიანი (გვ. 214)

ხელ ნაწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში
№№ 1432, 1433, 1434, 1435, 1438.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 286.

შალვა დაღიანი (გვ. 225)

ხელ ნაწერი: აეტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1137.

სომხეთის დილი მოაღიალი (გვ. 228)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 382.

საქართველოს მომსახუამისათვის (გვ. 233)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1087.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 375.

მომსახუა დაცი გელაზიანი (გვ. 236)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ № 1719, 1719.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 308.

მომსახუა ერთი ფოთოლი (გვ. 239)

(ცერიკო ანგალარიძე)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1713.

ნაბეჭდი: ლიტერატურული ნარკევები, 1957 წ., გვ. 434; თეატრალური წერი-
ლები, 1960 წ., გვ. 164; თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 212.

ჩამი გელაზიანიან (გვ. 242)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 247.

პ. ცაგარელის წილილი, ნიკო ნიკოლაძისადგი (გვ. 245)

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 395.

აკოდიანი (გვ. 259)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1431.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 387.

ჩამი გელაზიან დაახლოებალი კოერი (გვ. 260)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1624.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 392.

გარე თანახმი გალი (გვ. 265)

ხელნაწერი: ავტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1839.

ნაბეჭდი: თხზულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 303.

თავუკი თავუკიანი (გვ. 266)

ხელნაწერი: აკტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1823.

ნაბეჭდი: თხისულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 412.

ჩიხოვის „დათვი“ ქართულ სცენაზი (გვ. 267)

ხელნაწერი: აკტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ 1602.

ნაბეჭდი: გამ. „ლიტერატურული განხილვი“, 1958 წ., 7 თებერვალი. № 5;
თხისულებანი, ტ. IV, 1964 წ., გვ. 232.

ავღარა თავილისი (გვ. 268)

ნაბეჭდი: გამ. „ლიტერატურული განხილვი“, 1958 წ., 17 ოქტომბერი, № 38,
გვ. 3.

თავილისი თავილისი (გვ. 270)

ხელნაწერი: აკტოგრაფი დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში,
№ № 1872, 1873.

ნაბეჭდი: თხისულებანი, ტ. V 1965 წ., გვ. 379.

ჩიხოვარა ჩიხოვარა (გვ. 272)

ნაბეჭდი: თხისულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 251.

გულისხმილი გულისხმილი (გვ. 273)

ნაბეჭდი: გამ. „ლიტერატურული განხილვი“, 1959 წ., 20 მარტი, № 11, გვ. 3.

ჩიხოვარა ჩიხოვარა (გვ. 274)

ნაბეჭდი: გამ. „კომიტეტისტი“, 1959 წ., 22 მარტი, გვ. 3.

აუგაზმაურებელი დანაკლისი (გვ. 277)

ნაბეჭდი: გამ. „ლიტერატურული განხილვი“, 1959 წ., 27 მარტი, № 12, გვ. 3;
თხისულებანი, ტ. V, 1965 წ., გვ. 320.

ცხოვილისა და ცხოვილისა (გვ. 278)

ნაბეჭდი: გამ. „კომიტეტისტი“, 1959 წ., 17 მაისი, გვ. 3.



၁၃၁ ပု ၂၆ ၈: ဘဝီ. „အာဇာပိုရှင်မြတ်စွာ၏ ပုံမှန်ပါစဉ်။” 1959 ၇., ၅ ဧပြီမီး။ ဒါ. ၃.

ပေါ်မှု အနာဂတ်ပါ၏ ဖော်အနေနှင့် (ပု. 280)

၁၃၂ ၂၀၇၂ ၈: အဗျားကျော်မြတ်စွာ လာပြောလာ ၈. ဂရိုဝ္းမြှော်ပါ၏ ပိုမ်းလောက်သူ့-မြှော်ချော်မြော်၊ ၁၁၅၅.

၁၃၃ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. V, 1965 ၇., ပု. 368.

အောက်ပါ၏ ပေးပို့ချော် (ပု. 283)

၁၃၄ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. V, 1965 ၇., ပု. 389.

အောက်ပါ၏ ပေးပို့ချော် (ပု. 285)

၁၃၅ ၂၀၇၂ ၈: အဗျားကျော်မြတ်စွာ လာပြောလာ ၉. ဂရိုဝ္းမြှော်ပါ၏ ပိုမ်းလောက်သူ့-မြှော်ချော်မြော်, ၁၄၂၃.

၁၃၆ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. V, 1965 ၇., ပု. 258.

ကျော်မြတ်စွာရေး လေပို့ဆောင်ရေး ပုံမှန်ပါစဉ်၏ ပေးပို့ချော် (ပု. 286)

၁၃၇ ၂၀၇၂ ၈: အဗျားကျော်မြတ်စွာ လာပြောလာ ၁၀. ဂရိုဝ္းမြှော်ပါ၏ ပိုမ်းလောက်သူ့-မြှော်ချော်မြော်, ၁၅၃၃.

၁၃၈ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. IV, 1964 ၇., ပု. 239.

ပေးပို့ချော် ၂၈၁၁၆၂၀ (ပု. 287)

၁၃၉ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. V, 1965 ၇., ပု. 413.

ပေးပို့ချော် ၂၈၁၁၆၂၀၀၇ (ပု. 288)

၁၄၀ ပု ၂၆ ၈: တန်ဖူးလျော်မြတ်စွာ, ပု. V, 1965 ၇., ပု. 264.

ශාර්හ 030

ජරුවලුවට දා ඇඟි ජේරුවෙලට	5
ංගෝස්සාන්දරු ප්‍රාදේශීලිය, උගුණු ම්‍යාක්‍රියාව	
නිශ්චිත මාස්ථාපලුවෙලට — දාලිත්‍ය	41
ඩාරාතාජුපිළිස අභ්‍යන්තරය	44
නොවුනු දාරාතාජුපිළිස „ප්‍රසා පුරුෂ“ දා එංජිසාන්දරු ප්‍රාදේශීලියෙන්	
ප්‍රාදේශීලියෙන් „පුරුෂා ජ්‍යෙෂ්ඨ“	47
ඇඟිස් ප්‍රාදේශීලියෙන්	53
සාමාන්‍යය	59
දැම්බත්තරි ග්‍රන්ථාවය	63
සිතුවා තුළපිං්‍ය ගුණිතාජුපිළිස	65
නොවුනු දාරාතාජුපිළිස	68
තරුවුනිත්‍ය	69
පිළිරා චලක්ෂිතජුපිළිස	70
සුනා ගුණාජුපිළිස	73
ඩේ දා ජ්‍යෙෂ්ඨජුපිළිස	75
උ. ග්‍රන්ථාවය	79
ජාත්‍යාය මාර්ගානිජුපිළිස	83
ජාත්‍යාය ජ්‍යෙෂ්ඨානිකා දා මාන්‍ය මාන්‍යෙලට	89
ඉත්තුම්බිත්‍ය	109
ජාත්‍යාය ටැල්කාලිස මොවු පාත්‍රානුවා මිම්ත්‍යෙනුවා	112
සාන්දරු නින්දාජුපිළිස	122
නින්න නායාජිත්‍ය	124
මාර්ග මුදුසානි	131
සුවුදුනිත්‍ය නියෝගිත්‍ය	133
දාම්ජ්‍රිත්‍ය සුන්දුරුකාන්ත්‍රි දා ජාත්‍යාය පාත්‍රානුවා පාත්‍රානුවා	148
ආගුණිත්‍ය „රුවුනිත්‍රාන්“ ජාත්‍යාය සුන්දුරු	176
උල්පාඩ්‍රය නිර්ජ්‍යාජිතජුපිළිස	195
ඩාජුලු ප්‍රජාත්‍යාජිතජුපිළිස	207
ංගෝස්සාන්දරා ජාත්‍යායජුවෙලට	208
නිශ්චිත්‍රාලා ගුළුව	211
විද්‍යාත්‍රා මාත්‍රාරාජු	211
මාන්‍ය තුළම්‍යානිත	214
ඡාලුව දාජ්‍රානි	225
සිම්බුත්‍ය දාජ්‍රානි මාම්ලුරාලා	228

სილუათერიაკო	მოთხერობებისათვის	233			
მოგონება	დაეთ	გულაზიაშე	236		
მოგონების	ერთი	ფოთოლი	239		
ჩემი	მემუარებიდან		242		
ა.	ცაგარელის	წერილები	ნიკო	ნიკოლაძისადმი	245
აკოფიანი					259
ჩემს	გულთან	დაახლოებული	პოეტი		260
მარო	თარხნიშეიღილი				265
ჰაბუკი	ჰაბუკიანი				266
ჩეხოვის	„დათვი“	ქართულ	სცენაზე		267
ჰადარი	ობილისი				268
შეგირდობა	თბილისში				270
ჩემი	მემუარები				272
გულისხმიერი	მეგობარი				275
ჩვენი	გალაკტიონი				276
აუნაზღაურებული	დანაკლისი				277
ცხოვრება	და	მწერლობა			278
დავბერდი?	არა!				280
ნინო	ნაყაშიძის	ზღაპრები			280
ფერების	მესამდუმლე				283
გოგებაშვილი					285
სომხერ-ქართული	ლიტერატურული	ურთიერთობის	ისტო-		
	რიცდან				286
სეკვის	ოსტატები				302
მამულის	სიყვარულით				303
შეინშენები					305

ჩედაქტორი გ. ფალიანი
მხატვარი თ. სამსონაძე
მხატვრული ჩედაქტორი: დ. ღუნდუ
ტექნიკური ჩედაქტორი: ნ. ქავთარაძე
კორექტორი შ. ხუთაშვილი, ქ. ქავთარაძე
გამომუშები ა. ხავაძე

გადაეცა წარმოებას 18.04.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
23.12.85 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. ქაღალდის ზომა $60 \times 84^1/16$.
გარნიტურა ენია. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი თაბა-
ხი 18,37. პირ. საღ.-გატ. 18,37. სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,16.
ტირაჟი 7,000. შეკვ. № 1065.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგ-
ნის გამრიბის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის
ი. ჯავახიშვილის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეცნიერობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Госу-
дарственного комитета Грузинской ССР по делам из-
дательств, полиграфии и книжной торговли, пр.
Дружбы № 7



ИОСИФ ГРИГОРЬЕВИЧ ГРИШАШВИЛИ

Собрание сочинений

в 5-ти томах
Том V

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1985

